

ՀԱՅԿԱՍՏԱՆ



ՃԱՆՊԱՆՈՒԹՅԱՆ  
ԵՎ ԳՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ

52

«ՆՆՆՆՆՆՆՆ»  
Ծ Ճ Կ Լ Խ Ծ  
1974

8И (Англ)  
82.092(დოკენსი)  
კ 395

რუსულიდან შემოკლებით თარგმნა  
ვლადიმერ სირბილაძემ

პირველი გამოსცემა



## პირველი ღაკვირვებანი

ეს ამბავი ქალაქ პორტსმუტში მოხდა 1812 წლის ზამთარში. შვიდი თებერვლის საღამოს საადმირალოს წერილმა მოხელემ ჯონ დიკენსმა ცოლი მეჭლისზე წაიყვანა. გავიდა რამდენიმე საათი და ცოლ-ქმარს მეორე შვილი ჩარლზ დიკენსი შეეძინა.

კაცმა რომ თქვას, დიკენსს მშობლების ხასიათი და მისწრაფება-ნი არ გამოჰყოლია. ჩარლზის მამა ლაქიისა და მოახლე ქალის შვილი იყო. შემდეგ იკი მსახურთუფროსი გახდა, დედა კი — მწე. ჯონ დიკენსი მიმზიდველი, გულკეთილი, გულდია და ხელვაშლილი გახლდათ, მაგრამ ცოტა ზერელე და ბაქიაობას მიჩვეული. ძალიან უყვარდა ანეკდოტები, კიდევ უფრო მეტად — ჯინი და ვისკი. ჩარლზის დედა ქმართან შედარებით მაღალი წრიდან ყოფილა: მის ნათესაობაში მოხელეებიც ერივნენ. ეს კეთილი, მშვიდი, პათიოსა-ნი, მაგრამ საკმაოდ ფუქსავატი ქალი ქმარზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა და ვერც თავს ართმევდა ცხოვრების სიძნელეებს, ჯონ დიკენსის უდარდელი და დამლუპველი ჩვეულების წყალობით რომ წარმოიქმნებოდნენ და რომლებსაც ქმარი საოჯახო საქმეების გადაწყვეტისას ავლენდა.

ჩარლზი ხუთიოდე თვისა იყო, როცა დიკენსების ოჯახი მაილენდ ტერასის ქუჩიდან ქალაქის გარეუბანში პოკ-სტრიტზე გადავიდა. აქ ცხოვრობდნენ დიკენსები ლონდონში გადასახლებამდე.

ჩარლზი ორი წლისაც არ იყო, დაკვირვების არაჩვეულებრივი ანიჭი რომ გამოაჩნდა. მოწითულობაში მწერალი იგონებდა პოკ-

სტრიტზე მათი სახლის გვერდით მდებარე ბაღს. სადაც ახლად ფეხ-  
დადგმული ბავშვი ბაჭბაჩით დასდევდა უფროს დას.

მწერალს კარგად ახსოვდა როგორ გამოიყურებოდა თოვლით  
გადათეთრებული პორტსმუტის ქუჩები იმ დღეს, როცა მისი ოჯახი  
მე ქალაქიდან ლონდონში გადასახლდა.

1814 წლიდან დიკენსები ლონდონში ცხოვრობდნენ; 1817 წელს  
კი ჩათემში გადასახლდნენ. ჯონ დიკენსი საადმირალოს ანგარიშ-  
სწორების განყოფილებაში დაინიშნა საბასუხისმგებლო თანამდებ-  
ობაზე. დიკენსებმა ოთხი წელი გაატარეს ჩათემში. პატარა ჩარლ-  
ზის ბავშვობაში ეს ყველაზე ბედნიერი წლები იყო, „ბედნიერი  
სიზმარი“, რომელიც სიკვდილამდე ახსოვდა. მოწიფულობაში მწე-  
რალს შეეძლო აღედგინა „იმ შორეული წლების ყოველი შემთხვე-  
ვა, ყოველი წვრილმანი, შემთხვევით გაგონილი სიტყვა და შემ-  
თხვევითი გამოხედვაც. ის ყველაფერს ხედავდა, ყველაფერს  
ამჩნევდა. სწორედ მაშინ განიცადა ქვრეტის, დაკვირვების სიამე და  
პირველი აღმოჩენების სიხარული. ჩარლზი ჭანსუსტი იყო (ხშირად  
აწუხებდა ქვლები), თვითონ თამაში არ შეეძლო, მაგრამ როგორც  
კი საყვარელი წიგნების კითხვას ცოტა ხნით თავს მიანებებდა, სია-  
მოვნებით შესცქეროდა ტოლების თამაშს.

მომავალი მწერალი აქ დაუმეგობრდა მეზობლად მცხოვრებ,  
მასზე ცოტათი უფროს ბიჭს. მრავალი წლის შემდეგ დიკენსმა ის  
„დევიდ კოპერფილდში“ გამოიყვანა სტირფორსის სახელით. პატა-  
რა დიკენსი ინსტინქტურად ხვდებოდა თავის ქუჩაზე მცხოვრები  
ადამიანების ზნესა და ხასიათს, იხსომებდა მათ ახირებულობას და  
უცნაურობას. ეს მოგონებები შემდეგ „ბოსის ნარკვევებად“ იქცა.  
ჩარლზი და მისი ორი წლით უფროსი და ფანი მამას მაიტრ-ინში  
დაჰყავდა. აქ ბავშვები ტავერნის კლიენტებს სიმღერით ართობ-  
დნენ. ჩარლზს თეატრი აინტერესებდა, უყვარდა სცენის-  
მოყვარეთა წარმოდგენები. ერთხელ დაესწრო „მაკბეტას“ და „რი-  
ჩარდ მესამეს“ როჩესტერის სამეფო თეატრში. შინაც არ აკლდათ  
გართობა: დეკლამაცია, პიესების დადგმები, ჭადოქრული სურათე-  
ბი, მამასთან ერთად ნავით სრიალი მდინარეზე, სეირნობა ქალაქ-  
გარეთ. ხშირად ჩაუვლიდნენ ხოლმე ჰედსპილს. ერთხელ შვილმა  
უთხრა მამას, გორაზე წამოჰკიმული ეს სახლი ძლიერ მომწონსო.  
ეინ იცის, ეგებ დადგეს დღე და ჩარლზი ამ სახლის პატრონი გახ-

დეს, რა თქმა უნდა, თუ გულმოდგინედ იზრომებსო, — უპასუხა მამამ. ბიჭუნას გულმოდგინედ ჰქონდა დათვალიერებული ქედსილი, საკათედრო ტაძარი. როჩესტერის ყველა ქუჩა და ბილიკი. ჩათემის ნავსაყეთებლები; კობემის პარკი; კენტის მინდვრები და დაბლობები.

წერა-კითხვა ჩარლზს დედამ ასწავლა. დედა ასწავლიდა ლათინურ ენასაც, მაგრამ სისტემატურად ვერ ამეცადინებდა, არ ეცალა. ეს გარემოება აღონებდა ჩარლზს, ეჩვენებოდა, დედას არ ვუყვარვარო. როგორც თანატოლებს მოკლებულ, ჭანსუსტ ბავშვებს სჩვევიათ, ჩარლზი გულჩათხრობილი ხდებოდა, ეს კი ბელს უწლიდა, ღირსეულად დაეფასებინა დედა არაა გასაკვირი, რომ მამა. რომელიც იმ წლებში მისი ყველაზე ახლო მეგობარი იყო. ჩარლზს უფრო უყვარდა. ბავშვს არ ესმოდა. რომ, ვიდრე დედა ზედიზედ მშობიარობდა, ოჯახს უვლიდა და ბავშვებს ასწავლიდა. მამა თავის საამებლად ცხოვრობდა, დროს უზრუნველ მეგობრებთან ატარებდა; მეტს ხარჯავდა. ვიდრე შოულობდა. მეტს სესხულობდა. ვიდრე გადახდა შეეძლო. ერთი სიტყვით. მომავალზე არ ფიქრობდა, მსუბუქად და უდარდელად ეშვებოდა გზაზე. რომელმაც. როგორც მოსალოდნელი იყო, ვალის გადაუხდელობის გამო ციხემდე ოჯახითურთ მიიყვანა<sup>1</sup>.

1810 წლიდან 1832 წლამდე მისი დიკენსს შერდი შვილი შეეძინა. როცა ჩარლზს ცხრა წელი შეუსრულდა, ოჯახს ისე უჭირდა ცხოვრება, რომ ხარჯების შემცირება აუცილებელი გახდა. ორდნანს ტერასზე მდებარე ნათელი სახლი პატარა, ძველმა სახლმა შეცვალა. ეს სახლი საინტ-მერი-პლაისზე იყო. ცხოვრება უეცრად ახალ სერიოზულ ყაიდაზე აეწყო: დეკლამაცია, სიმღერა, ჯადოსნური მირაჟები—ყველაფერი დავიწყებას მიეცა. ჩარლზი სკოლაში მიაბარეს. იქ ერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდა ბაკტისტმა მღვდელმა კლასიკოსების კითხვა უჩაჩია. მღვდელი ბავშვს გულისსმიერად ეპყრობოდა და. ბუნებრივია, ბავშვმაც შეიყვარა ის. თუმცა დიკენსები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, ოჯახში მაინც სრული თანხმობა და სიამტკბილობა სუფევდა. მათი მსახური ქალის — მე-

<sup>1</sup> ვალის გადაუხდელობისათვის დაპატიმრებული პირის ოჯახს მასთან გადასვლის უფლება ჰქონდა. ამასთანავე ციხიდან წასვლაც შეეძლო.

ჩი უელერის გადმოცემით, მისის დიკენსი „ჩინებული მანდილოსანი და ნაზი, თავდადებული დედა იყო“, ხოლო ჩარლზი — „საყვარელი ბიჭუნა, დაუდგრომელი, კეთილი, გულთბილი და მოყვარული“. ბავშვებმა ჩხუბი იციან, ჩარლზი არასდროს არ ჩხუბობდა. კითხვა ხომ „საშინლად უყვარდა“. მას შემდეგ, რაც ჩარლზმა ზედა სართულის ერთ პატარა, ცარიელ ოთახში მამამისის მოტანილი აუარებელი წიგნი აღმოაჩინა, ბავშვი ყოველ თავისუფალ წუთს როდერიკ რენდომის, პერეგრინ პიკლის, ჰემფრი კლინკერის, ტომ ჯონსის, უეკფილელი მღვდლის, დონ კიხოტის, ეილ ბლაზის, რობინზონ კრუზოს და „ათას ერთი ღამის“ კითხვას ანდომებდა.

იმ დროს კითხვა მისი მთავარი სკოლა და უდიდესი სიხარულიც იყო. თავს ყოველი წიგნის გმირად წარმოიდგენდა ხოლმე და ფიქრობდა, როგორ მოიქცეოდა თითოეულის ადგილზე. „მთელი კვირა — არც მეტი, არც ნაკლები, — თავი ტომ ჯონსად მქონდა წარმოდგენილი. როდერიკ რენდომის ჩემებური სახე შეეკმენი და მთელი თვე მის როლს ვთამაშობდი. როცა იმ დროს ვეკონებ, თვალწინ უმალვე ერთი სურათი წარმომიდგება: ზაფხულას საღამოა. ბავშვები ეკლესიის ეზოში თამაშობენ, მე კი ღოგინზე ვზივარ, ვკითხულობ და ვკითხულობ. იმ მიდამოების ყოველი ფარდული, ეკლესიის იატაკის ყოველი ფილა, სასაფლაოს ყოველი კუთხე ჩემს წარმოდგენაში ასე თუ ისე წიგნებთან იყო დაკავშირებული. ვხედავდი, როგორ ადიოდა სამრეკლოზე ტომ პაიპსი, როგორ შეჩერდა სულის მოსათქმელად და ჩვენს ჰიშკარს მიეყრდნო ზურგზე სამგზავრო ჩანთაკიდებული სტრეპი. დანამდვილებით ვიცოდი, რაზე ესაუბრა კომოდორი ტრენიონი ბატონ პიკლს ჩვენი სოფლის ლუდხანის პატარა დარბაზში“. შემდეგ ამავე მოგონებებიდან ვიგებთ, რომ დევიდ კოპერფილდი და ჩარლზ დიკენსი თავიანთი ოთახების ფანჯრებიდან ერთსა და იმავე ეკლესიასა და სასაფლაოს გაჰყურებდნენ; ოღონდ პირველი — ბლანდერსტოუნში, მეორე კი — ჩათემში, საინტ-მერი-პლაისზე.

1823 წლის დამდეგს ჯონ დიკენსი სომერსეტ-ჰაუსში<sup>1</sup> გადაიყვანეს სამსახურში და მთელი ოჯახი ისევ ლონდონში გადასახლდა.

<sup>1</sup> სომერსეტ-ჰაუსი შენობაა, რომელშიც მოთავსებული იყო სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულება.

მხოლოდ ჩარლზი დარჩა ჩათემში, რადგან სასწავლო წლის ბოლომდე სკოლას ვერ მიატოვებდა. მაგრამ დამთავრდა თუ არა სასწავლო წელი, ისიც შეუერთდა ოჯახს. მამა კმაყოფილი იყო, რადგან ჩათემელ მევალებებს გაეცალა, სამაგიეროდ ჩარლზი იყო შეწუხებული — თერთმეტი წლის ასაკში სკოლას სტოვებდა. თანაც რა დიდი განსხვავებაა მათ სახლებს შორის ჩათემსა და კემდენში! მათი ქუჩის კუთხეში რედ კეპის ბაღში, ღია ცის ქვეშ საჩაიე მაგიდები იყო ჩამწყვრივებული: დაახლოებით ნახევარი მილის მოშორებით კი, ჩოკ-ფარმზე, ცოცხალ ღობეებს შორის ბილიყები მიუყვებოდა ასეთივე. ღია რესტორნებისაკენ. გადმოდგამდი თუ არა ფეხს სახლიდან, თვალწინ სემპსტედის ბორცვის ტყით დაფარული ფერდობები გადაგეშლებოდა, მაგრამ რა ფასი აქვს ყოველივე ამას, როცა საცოდავ ქიხში ხარ შეყუჩული. როცა შენი მეზობლები უხეში, გაუნათლებელი ადამიანები არიან, როცა ოჯახში დიდსა და პატარას უნდა დაეხმარო: ფეხსაცმელები დაწმინდო, უმცროს დაძმან მოუარო და მრავალი სხვა დავალება შეასრულო, რადგან უსასწრაზობის გამო შენს ოჯახს მოსამსახურედ მხოლოდ ჩათემის ობოლ ბავშვთა თავშესაფრიდან გამოყვანილი პატარა ობოლი გოგო ჰყავს.

თავისი ტოლი ამხანაგები ჩარლზს არ ჰყავდა. მისი და ფანი სამეფო მუსიკალური აკადემიის მოსწავლე გახდა. მრავალი წლის შემდეგ დიკენსი უამბობდა ერთ-ერთ მეგობარს. როგორ სტკიოდა გული, როცა ლონდონში მიმავალ დას აცილებდა, სტკიოდა გული და ნაღვლიანად ფიქრობდა, ჩემი ჯავრი არავის აქვსო. ბავშვობის მეგობართან დაშორების გამო ჩარლზი ყველასაგან მიტოვებულად და უპატრონოდ გრძნობდა თავს.

მაგრამ ისევე, როგორც სმოლეტის<sup>1</sup>. ფილდინგის<sup>2</sup> და სერვანტესის კითხვისას გაირკვა მისი ქვეშაირიტი მოწოდება, აქ, ლონდონის ჯურღმულეებში ის ნამდვილ განათლებას იღებდა. ამ დროს მას უკვე ტრაგედია ჰქონდა დაწერილი და მოთხრობებსაც წერდა. ქალაქსა და მის განაპირა პირქვეშ უბნებში ხეტიალის დროს შეუმჩნევლად უვროვდებოდა მასალა (ეს მასალა შემდეგში გადაამუშავა

1 სმოლეთი — ცნობილი ინგლისელი მწერალი, სათავგადასავლო რომანების ავტორი.

2 ფილდინგი — გამოჩენილი ინგლისელი მწერალი (1707—1754 წწ.)

და თავისი გმირები შექმნა). პირველ ხანებში ის ჰემპსტედროუდის მიდამოებში დადიოდა, მაგრამ თანდათან გათამამდა და სოხოს უბანსაც გაეცნო, აქ ჯერარდ-სტრიტზე ბინა ჰქონდა ბიძამისს თომას ბაროუს; ლიმპჰაუსის რაიონში კი, ჩერჩ-როუზე, სადაც გარშემო ყველაფერი გემებთან და ზღვასთან იყო დაკავშირებული, ჩარლზის ნათლია მეტაკელაჟე ქრისტოფერ ჰათამი ცხოვრობდა. მასთან მიმავალი ბიჭი ისტ-ენდის ცხოვრებას აკვირდებოდა და ყველაფერი, რასაც ხედავდა, წარმტაცად ეჩვენებოდა. მისი ექსკურსიების რჩეული ადგილი კოვენტგარდენი და სტრენდი იყო. მთელი საათობით იღგა ვიწრო ქუჩების რომელიმე კუთხეში, თვალებს აცეცებდა, იკვირებოდა ვიწრო, მყრალი ქუჩის ეზოებში და იხსომებდა იქაურ მობინადრეთა ყოფასა და ზნე-ჩვეულებებს. ყველაფერზე მეტად აოცებდა სევენ-დაიელსის უბანი. „როგორი შესაზარი მოგონებები გამოძევა იქიდან! — წამოიძახა მან ერთხელ, — რა მოხვეწებები! რა მანკიერება, დამცირება, სილატაკე!“ ასეთი სანახაობა შიშსაც ჰგვრიდა და თან იზიდავდა სუსტ, ავადმყოფ, ყველაფრის განმტდელ ბიჭს. მწერალმა შემდეგში ეს ადგილები აღწერა და მათი ნობინადრეები თავისი რომანების გმირებად გახადა.

ამრიგად, ჩარლზი ცოდნას იმარაგებდა იმ დროს, როცა მამამისის ძირითადი კაპიტალი — კეთილი სახელი — დღითი დღე ქრებოდა. ახალი თანამდებობა ჯონ დიკენსმა გავლენიანი პირების, დედამამის ყოფილი ბატონების წყალობით მიიღო და თუ სამსახურში ტოვებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი დათხოვნა იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ის, ვთქვათ, სახაზინო ფულებს მიითვისებდა. მგონი, არავისთვის არ იყო სადავო, რომ ჯონი სასიამოვნო ადამიანი, საზოგადოების სული და გული იყო. მაგრამ შვილის მხურვალე სიყვარული მისდამი ნაწილობრივ იმიტაც იხსენება, რომ ბავშვი დედისადმი გულცივად იყო განწყობილი. „მე ვიცი, რომ მამაჩემი ყველაზე გულუხვი და კეთილი ადამიანი იყო. როგორ ეპყრობოდა ის ცოლს, შვილებს, მეგობრებს, როგორ ეპყრა თავი მწუხარებისა და ავადმყოფობის ეამს! რაც კი მაგონდება, ყოველ შექებას აღემატება. მე, ჯანსუსტ ბავშვს, ის დღე და ღამე დაუღალავად, მოთმინებით მივლიდა. მრავალი დღე და ღამე! მინდობილ საქმეს მუდამ პატიოსნად, გულმოდგინედ, კეთილსინდისიერად და ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა“. რამდენადაც ჯონ დიკენსის მთავარ „საქმეს“

ცოლ-შვილზე ზრუნვა შეადგენდა, ჩარლზის შექმასება რამდენადმე უნდა შესწორდეს: ჯონის უდარდელმა ხასიათმა. გადაჭარბებულმა ხელგაშლილობამ მის ოჯახს თავს დაატეხა მწუხარება და ხელმოკლეობა, ჩამოაშორა ცოლის ნათესავეებს, რომელთაც აღარ სურდათ, „სესხი ეძლიათ“ მისთვის, დააკარგვინა მის ვაჟს სკოლა და სკოლის ამხანაგები. სამაგიეროდ, მამა ალტაცებით ისმენდა ჩარლზის მხიარულ სიმღერებს. უეჭველია, ეს არის ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ მწერალი ასე გულთბილად იგონებს მამას. ამიტომ დახატა იგი სიყვარულით მიქობერისა და მოხუცი დორიტის სახით. ჯონ დიკენსი პირველი აუდიტორია იყო, რომელმაც ჩარლზის ნიჭი ჭეროვნად დაათვა. შვილი უმადლოდა მამას ყურადღებას ავადმყოფობის დღეებში, მეგობრობას, იმასაც, რომ მამა ამაყობდა მისი გამოსვლებით. ამიტომ როცა ოჯახი ნამდვილ განსაცდელში ჩავარდა, ჩარლზმა დედა გაამტყუნა და სიკვდილამდე მისკენ გული არ მიბრუნებია. სინამდვილეში დედა მხოლოდ ქების ღირსი იყო, რადგან გაქირვების ქამს მონდომებით ლამობდა ოჯახის შევლას. თვით ჩარლზიც ხომ მამის წყალობით ჩავარდა აუტანელ მდგომარეობაში.

საბრალო მისის დიკენსი კრიტიკულ მომენტში ყველაფერს აკეთებდა, რაც კი შეეძლო, მაგრამ მისი ცდები ამაო იყო. სკოლის გახსნა განიზრახა, ბინაც დაიქირავა ჰოუერ-სტრიტზე, წარწერაც გააკრევეინა „მისის დიკენსის სასწავლებელი“, და ჩარლზს დაავალა სასწავლებლის პროსპექტები გაეცრელებინა მეზობელ უბნებში. კიდევ კარგი, რომ მოწაფეების მისაღებად სხვა სამზადისი არ ჩაუტარებია. მისი სასწავლებლისათვის არავის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ცოტა ხნის შემდეგ დიკენსებს უსიამოვნება მოუვიდათ მეპურესა და მეხორცესთან. რომლებიც მოითხოვდნენ: ვალს გადახდა უნდაო. ოჯახი ნახევრად მშიერი იყო. საქმე იმით გათავდა, რომ ჯონ დიკენსი ვალების გადაუხდელობის გამო დააპატიმრეს. საბრალო ჩარლზს ცრემლები ახრჩობდა, ცდილობდა, არ აზლუქუნებულყო, ბორკავდა, ხან მამასთან გარბოდა, ხან მის გამწარებულ ოჯახთან. „ჩემი მზე სამუდამოდ ჩაესვენა“, — თქვა მამამ, როცა მარშალისს ციხეში გადაჰყავდათ. ამ სიტყვებმა ბიჭს გული მოუქლა. მალე მამის სანახავად მივიდა ციხეში. „მამა ჭიხურში მელოდებოდა, საკანში ავედით და ტირილით გული ვიჭერეთ. მახსოვს, მამა

შირჩევდა, მარშალსი ზეგარდმო გაფრთხილებად ჩათვალე და დაიხსომე: თუ კაცი წელიწადში 20 გირვანქას იღებს და ხარჯავს ცხრამეტ გირვანქას, 19 შილინგს და ექვს პენსს, მის ბედს ძალი არ დაჰყუფეს, მაგრამ, ერთი ზედმეტი შილინგიც რომ დაიხარჯოს, მისი საქმე წასულია“. ჩარლზი მამასთან დარჩა სადილად. მისტერ დიკესმა ის დანა-ჩანგლისათვის გაგზავნა მეორე პატიმართან, რომელსაც „კაპიტან პორტერს“ ეძახდნენ. თუმცა კაპიტნის საკნის ზღურბლზე ჩარლზი სულ ერთი-ორი წუთი იდგა, ეს საკანი მისი მეხსიერებიდან არასდროს ამოშლილა.

სინამდვილეში მამის მდგომარეობა ისეთი საშინელი არ იყო, როგორც თვით ჩარლზისა. მათი სახლი თანდათან ცარიელდებოდა, აფეცი ქრებოდა. ჩარლზი წარამარა მირბოდა ლომბარდში. პირველ რიგში მისი მთავარი საუნჯე.—წიგნები დააგირავეს. ამას მიჰყვა სურათები, სკამები, მაგიდები. ბუხრის სამკაულები, სასადილოს ჭურჭელი და ასე გაგრძელდა მანამდე. ვიდრე ოჯახი ორ პატარა ცარიელ ოთახში არ აღმოჩნდა. ამ საშინელ მდგომარეობაში ქალბატონ დიკენსის შორეულმა ნათესავმა და ყოფილმა მდგმურმა ჯაიმს ლემერტმა, რომელიც ვაქსის ფაბრიკის პატრონი გახდებოდა, ჩარლზს თავის საწყობში შესთავაზა სამუშაო. ჩარლზი კვირაში ექვს შილინგს მიიღებდა. ეს წინადადება ხელს აძლევდა ბიჭის მშობლებს. ჩარლზი ფიქრობდა, დედ-მამა ამაზე უფრო კმაყოფილი მაშინაც კი არ დარჩებოდა, საშუალო სასწავლებელი წარმატებით რომ დაემთავრებინა და ახლა უნივერსიტეტში შესვლის სამზადისში ვყოფილიყავიო. ქარხანა ზღვის პირას ჭუჭყიან შენობაში იყო მოთავსებული. სახლი სავსე იყო ვირთაგვებით, ირგვლივ ყველაფერს მერქნის სუნი ასდიოდა. ჩარლზი იგონებდა: „ჩემი სამუშაო ზუმბურ-ზეთიანი ქილების დაბეჭდვა იყო: გაცვილულ ქაღალდს ჯერ ლურჯ ფურცელს ვაფარებდი, მერე მოვუჭერდი კანათს და ქაღალდის კიდევებს მოკლედ შევაჭრიდი. როცა ასეთ ქილებს საკმაოდ დავაგროვებდი, თითოეულზე წინასწარ დაბეჭდილ ეტიკეტს ვაწებებდი და შემდეგ ახალი წყების მზადებას შევუდგებოდი“. პირველ სართულზე ამავე სამუშაოს ორი მოზარდი ასრულებდა. ისინი ჩარლზზე ნაკლებ ჯამაგირს იღებდნენ. „ერთი მათგანი, რომელსაც დახეული წინსაფარი აფარებინა და თავზე ქაღალდის ქუდი მოეგდო, ამოვიდა ზევით და მასწავლა, როგორ მეხმარა ხეზი და გამეკეთებინა ნას-



კვები. ბიჰს ბობ ფეჯინი ერქვა. მრავალი წლის შემდეგ ეს სახელი „ოლივერ ტვისტში“ გამოვიყენე“.

ვაქსის სამეფოში სინათლის ერთადერთი სხივი ბობ ფეჯინი იყო. ჩარლზს ისე ეპყრობოდა, როგორც „ნორჩ ჯენტლმენს“; ექო-მაგებოდა, ეთამაშებოდა და უვლიდა, როცა ჩარლზს ბალღობიდან დაყოლილი ჰვლები შეუტევდა. „ისე ვიტანჯებოდი, რომ კანტორის ჰუჭყიან წაღოში, სადაც ჩვეულებრივად ვმუშაობდი, თვის უბად-რუკი საწოლი მომიწყვეს. ნახევარი დღე ვგორობდი ამ საწოლზე აუწერელი ტკივილებით გატანჯული. ბობი კი სათბურებს მიცვლი-და, ე. ი. ვაქსის ცარიელ ქილებს ცხელი წყლით ავსებდა და გვერდ-ზე მადებდა. ტკივილები თანდათან გამიყუჩდა, საღამოს სულ გა-მიარა, მაგრამ ბობს ჩემი მარტო გაშვება არ უნდოდა და გაცილე-ბა შემომთავაზა (ის ჩემზე ბევრად უფროსი და უფრო მაღალიც იყო) „ვითუ გაიგონ, რომ ჩვენები ციხეში ცხოვრობენ! არასოდეს!“ მკრად ამაყი ვიყავი. სხვადასხვა საბაბით შევეცადე. ბობი თავიდან მომეშორებინა, მაგრამ კეთილ ბიჰს ამის გაგონებაც არ სურდა. მა-შინ თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს საუსვარკის ხიდან ვცხოვრობ-დი, და რომელიღაც სახლის კარებთან გამოვემშვიდობე. დავაკაჟუ-ნე კიდევ კარებზე იმ შემთხვევისათვის, თუ ბობი უკან მოიხედავ-და, და, როცა კარი გამიღეს, ვიკითხე. რობერტ ფეჯინი აქ ცხოვ-რობს-მეთქი?

ამ ხანებში პატარა დიკენსი ციხე მარშალსში ცხოვრობდა. ეს ასე მოხდა: არცერთმა სულიერმა არ ირწმუნა მისის დიკენსის სას-წავლებლის დიდი ღირსებები, არავინ გამოეხმაურა მის განცხადე-ბას. ექვსი თვე კიდევ იცხოვრა ოჯახმა ჰოუერ-სტრიტზე ამო მო-ლოდინში; შემდეგ დედამ შვილებს ხელი დახვია და ახალ ბინაში— ციხეში გადასახლდა. მის ქმარს კიდევ ეძლეოდა საზღვაო უწყები-დან ჯამაგირი — ექვსი გირვანქა სტერლინგი კვირაში, ციხეში მე-ვალეები აღარ აწუხებდნენ. ერთი სიტყვით, ახლა არსებობის პი-რობები ბევრად უკეთესი ჰქონდათ, ვიდრე უკანასკნელ რამდენიმე წელს. ასე რომ, ოჯახის მეთაურს არც კი უფიქრია იმ ვალის გა-დახდა, რომლის გამო ციხეში ამოჰყო თავი. ჩარლზი და ფანი ციხეში არ ცხოვრობდნენ, მაგრამ ჩარლზი ყოველ კვი-რას გაუვლიდა დას მუსიკალურ აკადემიაში და ორივენი გშობლებთან ატარებდნენ უქმე დღეს. პირველ ხანებში ბიჰი პაწა-

წინა ოთახს ქირაობდა კემდენ-ტაუნში „ღრმად მოხუცებული ხელ-  
მოკლე მანდილოსნისაგან“. ერთ შვენიერ დღეს ეს მოხუცი ლედი,  
რომელმაც კინალამ შიმშილით მოკლა თავისი მდგმური, გახდა მი-  
სის პიპჩინი, ცნობილი რომანის „დროები და შვილის“ პერსონაჟი.  
ბიჭის ცხოვრება ამ ქალის ოჯახში ისეთი გაუხარელი იყო, რომ ის  
მივიდა მამასთან და შეევედრა, რამე მიშველყო. ჩარლზს დაუქირა-  
ვეს მანსარდი საუსვარკში, ლანტ-სტრიტზე, ციხის მახლობლად.  
მასპინძლის ოჯახი ჩარლზს ძლიერ გულთბილად ეპყრობოდა, უვლი-  
და ჰვლებს მორიგი შეტევის დროს. ამ ოჯახის წევრები გარლანდე-  
ბის სახელით „სიძველეთა სავაჭროში“ გამოიყვანა დიკენსმა. იმავე  
წიგნის გმირის — მარკიზას პორტრეტისათვის საჭირო ზოგი შტრი-  
ხი ჩარლზმა ისესხა ჩათემელი ობოლი გოგონასაგან, რომელიც ისევ  
უმსახურებოდა დიკენსებს. ჩარლზი ყოველ დილას ხვდებოდა მას  
ლონდონის ხიდან და არაჩვეულებრივ ამბებს მოუთხრობდა. დი-  
ლის საუბრებზე და ვახშმად მომავალი მწერალი ყოველთვის თავის  
ოჯახში იყო, მაგრამ სადილად რომ მისულიყო, დრო არ რჩებოდა.  
ამიტომ მისი სადილი თითქმის მუდამ ერთნაირი იყო: ფუნთუშა ან  
პუდინგის ნაჭერი, ზოგჯერ პურის ნატეხი და ყველი. ასეთ სადილს  
იშვიათ შემთხვევაში ჰქია ლუდს დააყოლებდა ხოლმე.

ვაქსის ფაბრიკაში გატარებული ექვსი თვე მისთვის ტანჯვისა  
და თავის მოჭრის დრო იყო. ჩარლზი თავს დამცირებულად, უპატ-  
რონოდ, უმწეოდ, ყოველ იმედს მოკლებულ ახალგაზრდად გრძნობ-  
და. „ვერავენ მამჩნევდა, რომ ასე ჩუმად და მწარედ ვიტანჯებო-  
დი“, — გამოტყდა მრავალი წლის შემდეგ ერთ-ერთ წერილში დი-  
კენსი. თავის თხზულებებში ის ხშირად აღწერს ცხოვრების ამ პე-  
რიოდს, მაგრამ ეს დრო არასოდეს უხსენებია საკუთარ შვილებთან,  
ისე ძლიერ იმოქმედა მასზე იმან, რაც მაშინ განიცადა. ვაქსის ფაბ-  
რიკის ამბავი შვილებმა მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ გაიგეს  
მისი ბიოგრაფიიდან, რომელიც ფორსტერმა შეადგინა. უფრო მე-  
ტი: დიკენსს არასოდეს გაუვლია იმ ადგილის სიახლოვეს, ვიდრე  
მთელი უბანი არ დაანგრის და ახლად არ ააშენეს. „ჩემმა უფროს-  
მა შვილმა უკვე ენა აიდგა, — წერდა ის მოგვიანებით, — მე კი ისევ  
ცრემლებს მგვრიდა იმ განაპირა უბანში გავლა. მაგრამ მიუხედა  
ვად იმისა, რომ იმ დროს ყმაწვილი დიკენსი თავს დაღუპულად  
გრძნობდა, მისი ინტერესი „აღამიანთა კომედიისადმი“ ერთი წუ-

ითაც არ შენელებულა. მის ცნობისმოყვარეობას კი საზღვარი არ ჰქონდა. „როცა შარშალის ციხეში ვბრუნდებოდი, მუდამ მზად ვიყავი, თავდავიწყებით მესმინა დედაჩემისათვის, რომელიც ამა თუ იმ პატიმარი-მევალის ამბავს ჰყვებოდა“. იმდროინდელი ერთი სურათი დიკენსმა მრავალი წლის შემდეგ მისებური სიცხოველით აღადგინა. მეფის დაბადების დღე ახლოვდებოდა. ჯონ დიკენსს აზრად მოუვიდა, დაეწერა თხოვნა, რომ პატიმრებისთვის ამ დღეს ფული მიეცათ, რათა თავიანთი მონარქის სადღეგრძელო შეესვათ. ამ შესანიშნავი დღისათვის ჩარლზმა სამსახურიდანაც კი გაითავისუფლა თავი. პატიმრები საკნის წინ რიგში ჩამწკრივდნენ, რიგრიგად შედიოდნენ და ხელს აწერდნენ პეტიციას. კაპიტანი პორტერი ყოველ მათგანს ეკითხებოდა, „გსურთ, მოისმინოთ, რა სწერია აქ?“ თუკი ვინმეს ყოყმანს შეამჩნევდა, უმალვე ხმამალა წაუკითხავდა პეტიციას პირველიდან უკანასკნელ სიტყვამდე. „მანსოვს, როგორ მკექარედ და განსაკუთრებული მახვილით წარმოთქვამდა ის ისეთ სიტყვებს, როგორც „თქვენო უმაღლესობა“, „თქვენი უმაღლესობის ბედით დასჯილი ქვეშევრდომები“, „თქვენი უმაღლესობის სახვლგანთქმული სიუხვე“ და სხვა. საბრალო მამაჩემი კი ამ დროს თვალს არ აშორებდა ფანჯრის წინ ამართულ, ლურსმნებით აქედით ციხის კედელს და, როგორც ავტორს შეჰფერის, ოდნავ ზვიადად უსმენდა პორტერს“.

ვიდრე ოჯახის სხვა წევრები დღე-ღამეებს ციხეში ატარებდნენ, ფანი წარმატებით მეცადინეობდა. დადგა დღე, როცა დიკენსების მთელი ოჯახი სამეფო მუსიკალური აკადემიისკენ გაემართა, რომ ენახათ, როგორ მიიღებდა ფანი ჯილდოს. ჩარლზისათვის ეს მძიმე წუთები იყო. „ჩემთვის აუტანელი იყო იმისი შეგნება, რომ კეთილშობილი მეტოქეობა, აღიარება, წარმატება ჩემთვის არ არსებობდა. გული გახეთქაზე მქონდა. იმ სადამოს დაწოლის წინ ღმერთს შევევედრე, ამ დამამცირებელი ცხოვრებისაგან მიხსენი-მეთქი. ასეთი ტანჯვა მანამდე არ განმიცდია, მაგრამ შური აქ არაფერ შუაში იყო“.

ჩარლზის ლოცვა მალე იქნა შესმენილი. 1824 წლის აპრილში ჯონ დიკენსის დედა გარდაიცვალა და შვილს ორას ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი უანდერძა. მისმა მეორე შვილმა გადაიხადა ძმის ვალი და ციხიდან გაათავისუფლა იგი.

ოჯახი კემდენ-ტაუნს დაუბრუნდა და ცოტა ხნით ერთ მოხუც მანდილოსანს შეეკედლა (შემდეგ დიკენსმა ის მისის პიპჩინის სახელით დახატა). მალე იქირავეს პატარა სახლი, აქ დიკენსებმა სამი წელი იცხოვრეს. ვაქსის ქარხანამაც გამოიცვალა ბინა. ჩარლზი და სხვა მოზარდები აქ უფრო ნათელ ოთახში მუშაობდნენ, ისინი ფანჯარასთან ისხდნენ. გამვლელ-გამომვლელნი კარგად ხედავდნენ მათ. ერთხელ ქარხანას ჯონ დიკენსი ეწვია და იწყინა, რომ მისი შვილი თითქოს განგებ დაეყენებინათ ისე, რომ ხალხს დაენახა. მან შეურაცხმყოფელი წერილი მისწერა ლემერტს, რისთვისაც ამ უკანასკნელმა ჩარლზი უმალვე დაითხოვა სამუშაოდან. „მე მწარედ ავტირდი, ერთის მხრივ, იმის გამო, რომ ყველაფერი ასე მოულოდნელად მოხდა, კიდევ იმის გამო, რომ გაჯავრებული ლემერტი მამაჩემს უმოწყალოდ ლანძღავდა, თუმცა მე ტკბულად მელაპარაკებოდა. გულშემსუბუქებული და იმავე დროს დაღონებული ვბრუნდებოდი შინ. საქმის მოგვარება დედამ იკისრა. თავისი განზრახვა კიდევ განახორციელა: მეორე დღესვე მოიტანა ამბავი, კარგად დაგახასიათეს (რაც, ჩემი აზრით, დამსახურებული მქონდა) და გთხოვენ, ხვალდან სამუშაოს დაუბრუნდეთ. მამამ გამომიცხადა, არავითარ შემთხვევაში აღარ დაუბრუნდები სამუშაოს, რადგან სკოლაში უნდა ისწავლო. „მე ახლა აღშფოთებისა და წყენის გარეშე ვწერ, რადგან ვიცი, ჩემმა მწარე ბავშვობამ მაქცია იმად, რასაც წარმოვადგენ, მაგრამ არასდროს დამვიწყებია და არ შემიძლია დავივიწყო, რომ დედაჩემს უნდოდა ისევე გავეგზავნე ლემერტთან“. ჩვენ მკაცრად არ უნდა განვსაჯოთ არც დედა, არც შვილი: მისი დიკენსი წლებზე ფეხს იდგამდა, კატორღელივით შრომობდა, რომ ბავშვები აღეზარდა და, რა თქმა უნდა, კვირაში ექვსი შილინგის დაკარგვა უმძიმდა. გარდა ამისა, მას უნდოდა მეგობრული ურთიერთობა შეენარჩუნებინა თავის ნათესაებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შეექციათ ზურგი მისი ოჯახისათვის. ჩარლზი, ბუნებრივია, ვერც წარმოიდგენდა, რამდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა დედამისი. ზუმბურზეთის ქარხანაში დაბრუნება კი ბავშვისათვის ისევ გაუთავებელ ტანჯვასა და ყოველივე იმედის წარკვეთას ნიშნავდა. და, თუ ჩვენი თანაგრძნობა ისევ ჩარლზის მხარეზეა, არა იმის გამო, რომ ის მართალია, ხოლო დედამისი მტყუანი, არამედ

იმიტომ, რომ ის მხოლოდ 12 წლისა იყო, მისის დიკენსი კი სრული ასაკის ადამიანი და თანაც მისი დედა გახლდათ.

1824 წლის ბოლოს ჯონ დიკენსი გაათავისუფლეს საადმირალოდან და დაუნიშნეს პენსია წელიწადში ას ორმოცდახუთი გირვანქა. თითქმის მაშინვე ცოლის ერთ-ერთი ძმის პროტექციით მან რომელიღაც გაზეთში პარლამენტის რეპორტიორის ადგილი მიიღო და თავისი ნიჭი ამ თანამდებობაზე იმით გამოავლინა, რომ სახელმწიფო მოღვაწეების მწვერმეტყველების ზადს აშალაშინებდა. რამდენიმე თვით ადრე კი მისი შვილი ჰემპსტედ-როუდზე კერძო სკოლის მოწაფე გახდა. აქ ჩარლზი ორ წელზე მეტ ხანს სწავლობდა. ექვს გარეშეა, ეს ბედნიერი წლები იყო. რარიგად განსხვავდებოდნენ ახლანდელი მისი მეგობრები (სოციალური თვალსაზრისით) იმათთან, ვისაც ცოტა ხნის წინ მოშორდა! რა გასაოცრად არ ჰგავდა ლათინური წინადადებების გარჩევა ეტიკეტების დაწებებას!

სკოლის დირექტორი, რომელსაც მოწაფეებმა „შეფი“ შეარქვეს, იმდენად უმეცარი კაცი იყო, რომ მხოლოდ როზგების ხმარება ეხერხებოდა. მასთან შედარებით მისი კოლეგები ყოვლისმცოდნენი ჩანდნენ. დიკენსი წერს: „ფრანგული ენის მასწავლებელს შეფი მუდამ ზრდილობიანად ექცეოდა, იმიტომ, რომ, თუ მას აწყენინებდა, ის მაშინვე ფრანგულად დაუწყებდა ლაპარაკს და თავს მოსკრიბდა მოწაფეებთან. დირექტორმა ხომ ფრანგულის ინჩიბინჩი არ იცოდა!“ მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობისათვის შეუფერებელი იყო (შეიძლება სწორედ ამის გამო) დირექტორს ბედმა ისეთი სიურპრიზი არგუნა, როგორც იშვიათად რგებია სკოლის დირექტორს: ის მისტერ კრიკლად იქცა რომანში „დევიდ კოპერფილდი“. უმცროსი დიკენსის საქმეები სკოლაში წარმატებით მიდიოდა: მას ინგლისურ ენასა და ლიტერატურას, ცეკვას, ლათინურსა და მათემატიკას ასწავლიდნენ და, რაც მთავარია, ფულის ღრმა პატივისცემას უნერგავდნენ. ჩარლზმა რამდენიმე ჯილდო დაიმსახურა და პირველი მოწაფე გახდა. ახლა ის სანდომიანი სახის, ყველასთვის საყვარელი, თმახუჭუჭა, მარჯვე, საზრიანი, გულთბი და შეუპოვარი მოზარდი იყო. ამხანაგთან ერთად მან რვეულიდან აპოხეულ ფურცლებზე ყოველკვირეული გაზეთის გამოცემა დაიწყო. გაზეთს აკითხებდა ყველას, ვინც საფასურად რაიმეფულის ნატეხებს

გადაიხდიდა. გრიფელი სკოლაში მთავარ გასაველიან საქონლად ითვლებოდა. გრიფელის საკმაო მარაგის პატრონი კი მდიდრად. ჩარლზი წერდა და დგამდა პიესებს. თეთრი ლექსით დაწერილ ერთ-ერთ მათგანში აღწერილია, თუ როგორ მხეცურად ეპყრობა მოყვარული მამიკო შვილს. ეს პირწმინდად გამოგონილი ამბავი იყო, მაგრამ ავტორს კარგად მოხვდა ამისათვის. არც ამხანაგების საყვარელი გართობისათვის — თეთრი თაგვების წერთნისათვის — დაუკლია ხელი ჩარლზს, და უფროსებისათვის აბსოლუტურად - გაუგებარი, უცნაური ენით ლაპარაკშიც დიდ წარმატებას მიაღწია. მოკლედ, ის საუცხოოდ ატარებდა დროს.

## პირველი სიხვარული

1827 წლის გაზაფხულზე 15 წლის დიკენსმა სკოლა დაამთავრა და პირდაპირ შეეჭახა სამყაროს, რომლის სიმკაცრე აღრევე ჰქონდა ნაგემები. აღრეული ბავშვობის სურათები ახლა სხვა ცხოვრების სურათებად ეხატებოდა. რამდენიმე კვირა ადვოკატის შიკრიკად იმსახურა საიმონს-ინში; როგორც ჩანს, აქ გაიცნო მან იმავე კანტორის კლერკი ტომას მიტონი, რომელსაც სიკვდილამდე მეგობრობდა.

იმავე წლის მაისში ის ადვოკატთა ფირმის „ელის და ბლეკმორის“ კლერკად, უკეთ რომ ვთქვათ, შიკრიკად დაინიშნა (ისევ დედის ნათესაეების დახმარებით). აქ წელიწად-ნახევარი იმსახურა. ამ ხნის განმავლობაში მისი ჯამაჯური კვირაში ცამეტი შილინგიდან თხუთმეტ შილინგამდე ავიდა. მომავალი მწერლისათვის ასეთ ადგილზე სამსახური სასარგებლო იყო: ადვოკატთა ფირმის არა ერთი და ორი ახირებული კლიენტი გადაბარგდა „პიკვიკისა“ და სხვა წიგნების ფურცლებზე.

გრეის-ინის დაწესებულებები მტვრითა და ბალღინჯოვით იყო სავსე. დიკენსი იგონებს, რომ ერთ ასეთ გაოხრებულ კონტორაში სულ ადვილად შეიძლებოდა სხეულის ზუსტად აღბეჭდვა ყოველ საგანზე, რომელსაც კი რამდენიმე წამით მიეყრდნობოდი. „მეც უჩუმრად იმით ვერთობოდი, რომ ყოველ ოთახში აღბეჭდავდი ჩემს თავს. ეს ჩემი პირველი დიდი ტირაჟი იყო“.

თანატოლ ძმაბიჭებთან ერთად ჩარლზი ლონდონის ქუჩებში დაეხეტებოდა, სანამ ფული ჰქონდათ, დადიოდნენ თეატრში, სვამ-

დნენ ლუდს; თავგამეტებით ანცობდნენ: ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ, ხან გაიბლინძებოდნენ, გარშემო ყველა და ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებოდათ, თავიანთი თავები კი უაღრესად საინტერესო ადამიანებად მიაჩნდათ. ახლა სევვენ-დაიელსი საშინელებათა .ცენტრს აღარ წარმოადგენდა, ის გასართობი სცენების ადგილად ქცეულიყო: „ვისაც ზაფხულის ცხელ საღამოს სევვენ-დაიელსზე გავლა მოესურვება და დაინახავს, როგორ ლაყბობენ დიასახლისები, იფიქრებს, აქ სრული სიმშვიდე და სათნოება სუფევს და ამ უბნის მობინადრეებზე გულუბრყვილო ხალხის მნახველი არა ვარო. აფსუს! მედუქნე თავის ცოლს აწამებს, ხალიჩების მბერტყავი ხელს საკუთარი ცოლის ზურგზე ავარჯიშებს; მეორე სართულის ოთახს განუწყვეტელი ომი აქვს მესამე სართულის ოთახთან იმის გამო, რომ მესამეზე იმ დროს იწყება ცეკვა, როცა მეორეზე იძინებენ; მესამე სართულის ოთახი (ფანჯრები, რომ ეზოსკენ აქვს), მოსვენებას არ აძლევს მეორე ოთახის ბავშვებს! (სამზარეულო რომ ქუჩისკენ აქვს); ირლანდიელი ყოველ საღამოს მთვრალი ბრუნდება შინ და ყველას თავს ესხმის; მეორე სართულის ოთახში, ფანჯრები რომ ქუჩის მხრით აქვს, განუწყვეტელი ღრიალცელია. ჩხუბი, აყალ-მაყალი სართულიდან სართულზე ინაცვლებს. სარდაფიც კი იმაღლებს ხმას, თითქოს უნდა დაამტკიცოს, სხვებს არც მე ჩამოვრჩებიო. მისის ა-მ მისის ბ-ს ნაშიერს სილა გააწნა, რას მეღრიჯებიო, მისის ბ-მ მაშინვე წყალი შეასხა მისის ა-ს ნაშიერს, გინება არ გაბედოო. ჩაერევიან მამაკაცები, აყალმაყალი მატულოვს, მისი შედეგი ხელჩართული ომია, ფინალი — პოლიციელის გამოცხადება“.

ჩარლზი წინანდებურად თავისიანებთან ცხოვრობდა. მხოლოდ ახლა სომერს-ტაუნზე. მამამისმა სტენოგრაფია იცოდა. როგორც ჩანს, ამიტომ შეიღმაც მოისურვა ამ საქმის დაუფლება. მას იმედი ჰქონდა, რომ პარლამენტის რეპორტიორის ბლოკნოტით ეურნალისტიკაში შესვლას შეძლებდა. ჰენრის სახელმძღვანელოთი შეიარაღებული გულმოდგინედ შეუდგა ინგლისური მეტყველების ჩინური იეროგლიფებივით თავსატეხი ნიშნებით გამოსახვას. იოლად ვერ ძლევდა საქმეს, სიზმარშიც აწვალდნენ მას წერტილები, წრეები, ხვეულები, ობობას ქსელის, ბუზის ფეხების მსგავსი რალაცეები, მაგრამ ის უკან არ იხევდა. წელიწად-ნახევარში იმდენად დახელოვნდა, რომ თავი დაანება თავის ადვოკატებს და გადაწყვიტა



პრაქტიკულად გამოეცადა თავი დოქტორს-ქომონსში.<sup>1</sup> დოქტორს-ქომონსში მაშინ ანდერძების განხილვა მიმდინარეობდა. „აქ სიყვარულისაგან დამწვარი წყვილები შეუღლების, ხოლო მოღალატე შეუღლებები გაყრის ნებართვას იღებდნენ. აქ აფორმებდნენ იმათ ანდერძებს, ვისაც საანდერძებელი რამე გააჩნდა, და სჭიდნენ ჭენტლმენებს, რომლებიც სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ მანდილოსნებს. საზღვაო და რელიგიურ საკითხებს ერთი და იგივე მოსამართლეები განაგებდნენ და დიკენსს აოცებდა, რატომ ითვლებოდნენ საეკლესიო კანონების მცოდნეები საზღვაო საქმეების სპეციალისტებად.

პირველად და სამუდამოდ აეხილა ჩარლზს თვალები ინგლისური სამართლის წარმოების სიმახინჯეზე, უაზრობასა და შეუსაბამობაზე. მწერლის არსენალში კანონის მსახურებმა და მათმა ხელობამ დიდი ადგილი დაიკირა. სიამოვნებას ჰგვრიდა დიკენსს მოსამართლეებისა და ადვოკატების მანჯვა, მაგრამ, გარდა ამისა, ერთი საინტერესო რამ აღმოაჩინა: თურმე ადამიანების ბუნების განსაკუთრებით ფუჭი, მრავალნაირი და, მაშასადამე, ყველაზე სასაცილო თვისებები მოწმეების ჩვენებებში იჩენს თავს. ამიტომ დიკენსმა მართებულად დაასკვნა. დოქტორს-ქომონსში დრო უქმად არ დამიჯარგავს და ჩემი შემოქმედებისათვის მასალა დავაგროვეო. თავდაპირველად ის, სამწუხაროდ, დაკვირვებით უნდა დაკმაყოფილებულიყო. არც ერთ რედაქციასთან არ იყო დაკავშირებული და ადვოკატისაგან რომ სამუშაო ეშოვნა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. შემდეგ ერთ-ერთმა ფირმამ სასამართლო სხდომების რეპორტაჟის შედგენა მიანდო და ისიც გატაცებით შეუღდა საქმეს. ამ პერიოდში დიკენსი მცირე ხელფასით ახერხებდა თავის გატანას და სტენოგრაფიაშიც ვარჯიშობდა.

სამი წლის განმავლობაში ის ყოველდღე მიდიოდა დოქტორს-ქომონსში, ამავე დროს გულმოდგინედ სწავლობდა ბრიტანეთის მუზეუმში. გარდა ამისა, ძლიერ იზიდავდა თეატრი, პროფესიონალ მსახიობთან სცენაზე ლაპარაკსა და თავის დაჭერას სწავლობდა. ჩარლზმა ბევრი როლი მოამზადა, საათობით იჯდა სარკის წინ და სწავლობდა დაჯდომა-ადგომას. გასულა-შემოსულას, თავის დაკერას, მი-

<sup>1</sup> დოქტორს-ქომონსი — იურისტთა კოლეჯია.

სალმებას, სახის სხვადასხვა გამოპეტყველების მიღებას: დამცინავს, ხან მომხიბლავს, სიყვარულის, სიძულვილის, იმედისა და სასოწარკვეთილების გამოხატავს. ბოლოს თეატრს მიმართა თხოვნით, გამომცადეთო, მაგრამ გადამწყვეტ დღეს ისე მაგრად გახდა ავად, რომ გამოცდაზე ვერ გამოცხადდა. ახალი თეატრალური სეზონის დაწყებისას კი უკვე წარჩინებული რეპორტიორი იყო, ასე რომ, მსახიობის კარიერაზე ფიქრს თავი დაანება. ამავე სამ წელიწადში ზის ცხოვრებაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა, ვიდრე სარკის წინ საკუთარ ხელზე მთხვევა იყო — მას ქალი შეუყვარდა.

— 1829 წლის განმავლობაში დიკენსების საქმე კარგად იყო. მამა გარდა პენსიისა, ჯამაგირსაც იღებდა გაზეთიდან. ჩარლზიც საკმაოდ შოულობდა. ასე რომ, ახლა ფანის შეეძლო მუსიკალური საღამოების გამართვა. ასეთ საღამოებზე ყველა მღეროდა. ამ მგალობელ ფრინველებთან ზოგჯერ ახალგაზრდა ჯენტლმენი ჰენრი კოლე, ბანკის დირექტორის ბიდნელის ერთ-ერთი ქალის საქმრო შეფრინდებოდა ხოლმე.

ბანკის დირექტორს სამი ქალიშვილი ჰყავდა, სამივე მუსიკოსი. უმცროსი მარია არფაზე უკრავდა. სწორედ მან მოხიბლა პირველი შეხედვისთანავე ჩარლზი. გატაცება მალე სიყვარულად იქცა, მაგრამ ქალმა არ უპასუხა. მარია თავის გასართობად ეკეკლუცებოდა და გუნების ცვალებადობით აგიჟებდა ჩარლზს: ერთ დღეს გულთბილად და აღერსიანად შეხვდებოდა, მეორე დღეს — ცივად და გულგრილად, ხან ჩარლზის გასაჯავრებლად სხვა თაყვანისმცემლებს ეკეკლუცებოდა, ხან ჩარლზს დაუტკებოდა სხვის გასაჯავრებლად. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ქალი ვილაც გუდამშიერი სტენოგრაფის ცოლობას სულაც არ ფიქრობდა. მერე რა! ეს თაყვანისმცემელი ლამაზია, გვარიანად მღერის და გარდა ამისა, ვის არ სიამოვნებს ასეთი თაყვანისცემა, მაგრამ ფული და თანამდებობა — აი, რა სწყვეტდა საკითხს. ქალიშვილის წრეში თვლიდნენ, იმის საქმენ კარგად, ვისაც პერსპექტივა აქვს სიტყვაში კარგი თანამდებობა მიიღოსო. ქალის აზრით, სიყვარულობის თამაშიც კარგი გასართობი

---

<sup>1</sup> სიტყვა — ლონდონის ცენტრალური რაიონი, სადაც ბირჯა, ბანკები და მსხვილი კომერციული დაწესებულებები მდებარეობს.

იყო, ამიტომაც ჩარლზს დიდხანს ეგონა, ჩემი თაყვანისცემა საპასუხო გრძნობას იწვევსო. მას ახლა ერთადერთი მიზანი ჰქონდა — წინ წაწეულიყო, კარგი მდგომარეობა შეექმნა, რომ თავისი რჩეულისათვის ბუდე და საიმედო შემოსავალი შეეთავაზებინა. როცა ორთავე ორმოც წელს გადასცილდა, დიკენსი თავის ყოფილ შეყვარებულს სწერდა: „ჩემთვის ნათელია, რომ სილატაკიდან და არარაობიდან გზის გაკაფვა მხოლოდ თქვენზე ფიქრმა დამაწყებინა“.

დიკენსის მეხსიერებაში იმ დღეების მოგონება არასოდეს წაშლილა. ერთხელ მარიამ სთხოვა ვაჟს, ჩემი ლურჯი კაბისთვის შესაფერი ხელთათმანები შემირჩიეთო. დიკენსს მათი ფერი ოცდახუთი წლის შემდეგაც ნათლად ახსოვდა. მეორეჯერ შეხვდა მარიას, მის დედას და ერთ-ერთ მათ ნაცნობს, როცა ისინი მკერავთან მიდიოდნენ. ჩარლზმა ისინი კარებამდე მიაცილა, აქ მისის ბიდნელი, რომელსაც არ სურდა ჩარლზი მათთან ყოფილიყო. შეჩერდა და მოუჩივებლად უთხრა: „აჰა, ბატონო დიკენს, ახლა უნდა გამოგვთხოვოთ“. ეს შემთხვევაც არ დავიწყებია მწერალს.

როგორც იქნა. ჩარლზმა პარლამენტის რეპორტიორის ადგილი მიიღო. რამდენჯერ წასულა ის თემთა პალატიდან ლომბარ-სტრიტამდე ღამის ორ-სამ საათზე ფეხით, მხოლოდ იმისათვის, რომ დაენახა სახლი, სადაც მარიას ეძინა. რა და რა ფიქრები არ უტრიალებდა თავში! უკვე მოგვიანებით, როცა თავისი მაშინდელი მდგომარეობის სასაცილო მხარეც დაინახა. ის სევდიანი იუმორით იგონებდა თავის სულიერ განწყობილებას.

სიკვდილამდე ინახავდა დიკენსი თავის მეხსიერებაში ყოველ წვრილმანს, რომელიც მარია ბიდნელთან იყო დაკავშირებული. მისი სახელის გულგრილად გაგონება არ შეეძლო. ააქლერებდა თუ არა ვინმე ქნარს და წარბებს მარიასავით შეყრიდა, ყველაფერი ახლდებოდა დიკენსის გულში. როცა ყოველივემ გაიარა, დიკენსმა უთხრა მარიას: „იმ დროიდან და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემისთანა ერთგული, ჩემისთანა თავდადებული. ჩემისთანა უიღბლო მიჯნური ქვეყანაზე არ ნახულა. ოცნება, ფანტაზია, ვნება, ენერჯია, გამარჯვების ნებისყოფა, სულის სიმტკიცე — ყველაფერი, რითაც მე მდიდარი ვარ, ჩემთვის სამუდამოდ დაკავშირებულია პატარა გულქვა ქალთან“... დიკენსი ამბობდა, რომ მარიასადმი სიყვარულს უნდა უმაღლოდეს ის არა მარტო

იმას, რომ წარმატებას ადრე მიიღწია, არამედ იმასაც, რომ მას ძირ-  
ფუძვლიანად შეეცვალა ხასიათი. „ჩემმა უანგარო სიყვარულმა თქვენ-  
დამი და იმ უმძიმეს წლებში ამაოდ გაფლანგულმა სინაზემ, რომელ-  
თა მოგონება მწარეცაა და ტკბილიც, ჩემს გულში ღრმა კვალი და-  
ტოვა; ჩემი ბუნებისათვის უცხო თავშეკავებას შემეჩვია. ამიტომაც  
ასე იზვიათად ვეაღერებები შვილებს, სულ პატარების გამოკლე-  
ბით“.

გაურკვევლობა — აი, რა აგიჟებს დიკენსს იმ დროს. დღეს მა-  
რია თვალთმაქცურად ნაზია და ჩარლზის ნეტარებას საზღვარი არა  
აქვს, ხვალ მკაცრად წარბშეკრულია. და ჩარლზი პირდაპირ მკვდა-  
რივითაა. მან ანას, მარიას დას, წერილი მისწერა: უნდოდა თავისი  
შანსები გამოერკვია. „ჩემო ძვირფასო ჩარლზ! — იყო ანას პასუ-  
ხი, — მართალი გითხრა, მე არაფერი მესმის მარიასი. გაგაგებინო,  
ვინ მოსწონს მას? ასეთ პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებ“. ალტა-  
ცებას ნაღველი სცვლიდა, სასოწარკვეთილებას — იმედი, მაგრამ იმ  
დღეს, როცა ჩარლზს ოცდაერთი წელი შეუსრულდა, ყველაფერი  
გადაწყდა. ამ დროს დიკენსები მოედან ქავენდიშ-სკვერზე ცხოვ-  
რობდნენ. ბინის გამოცვლა იმის მაჩვენებელი იყო, რომ ჩარლზ დი-  
კენსმა სამსახურში ერთი საფესურით მალლა აიწია და მისი ოჯახის  
მდგომარეობა გაუმჯობესდა.

იმ დღეს დიკენსები ჩარლზის დაბადების დღეს დღესასწაულობ-  
დნენ. „საღამო მშვენიერი იყო. იმ დროს, როცა ლხინში ყოველ-  
გვარი წესრიგის ნასახი ქრება ხოლმე, მე მას გამოველაპარაკე, გა-  
ვუხსენი ჩემი გული. ის ანგელოზის თვინიერების განსახიერება  
იყო, მაგრამ... პასუხად ისეთი სიტყვა მითხრა, რომელმაც, როგორც  
მაშინ ვუთხარი, ტვინი დამითუთქა. ის მალე წავიდა. როცა ყველა  
დაიშალა, ერთ-ერთ გზააბნეულ ღვარძლიან ლოთს ავეკიდე „თავ-  
დავიწყების საძებრად“.

მტანჯველი შინაგანი ბრძოლის შემდეგ დიკენსმა მარიას წერი-  
ლები შეაგროვა, ცისფერი ბაფთით შეკრა და დაუბრუნა ქალს.  
„ჩვენი ყოველი შეხვედრა ბოლო დროს, — სწერდა ის მარიას, —  
თქვენი ჩემდამი გულგრილობის მაჩვენებელია. ჩემთვის კი თითო-  
ეული მათგანი კაემნისა და სიმწრის წყაროა. ჩემი წინანდელი  
გრძნობები მკმუნვარებამ და სასოწარკვეთილებამ შეეცვალა. მად-  
ლობა ღმერთს, მგონია, ჩემდა საამაყოდ შემიძლია ვთქვა, რომ, რაც

თქვენ გიცნობთ, სამართლიანად და ღირსეულად მეჭირა თავი. მე კი ხან ასე მეპყრობოდნენ, ხან — ისე, ერთ დღეს — ალერსიანად, მეორეს — სულ სხვანაირად. მერწმუნეთ, არაფერი არ მომგვრის ისეთ სიხარულს, როგორც ვაგება იმისა, რომ თქვენ: ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული, ბედნიერი ხართ“.

მარიამ ამ მგზნებარე გრძობაშიც გამოძებნა სასაცილო მხარე და გასართობად აქტია ყველაფერი ის, რაც მათ შორის მოხდა. ქალიშვილმა ყოველივე მერი ენი ლის გაუზიარა, იმან კი, — რა თქმა უნდა, საიდუმლოდ — ფანი დიკენსს. მალე მის ლი ჩარლზის მიერ გამოართულ სტენისმოყვარეთა წარმოდგენას დაესწრო და ჩარლზთან კეკლუცობის დრო იხელთა. შემდეგ კი მარიას უამბო. ჩარლზი მეარშიყებოდა და ყველაფერი მიაბო, რაც თქვენს შორის მოხდაო. როცა ეს ჩარლზმა გაიგო, მარიას მისწერა. მის ლი სტყუისო. მარიამ თავის გასართობად უპასუხა ჩარლზს, მე ლის ნათქვამი მჭერაო. ქალიშვილმა კიდევ ერთი ბარათი მიიღო ჩარლზისაგან: „რაც თქვენგან გადამხდა, მე მგონია, არც ერთ სულიერს არ განუტღია ქალის წყალობით, მაგრამ ახლაც კი არ შემძლია ავიტანო თქვენი ექვი, თითქოს ჩემი თქვენდამი გრძობა შეიცვალა, ან სხვას ეკუთვნის; არა, ასეთი ექვი მე არ დამიმსახურებია!“ დიკენსმა მის ლის ზიზღით და საყვედურებით სავსე წერილი გაუგზავნა. ხოლო თვითონ ღვინოს დაეძალა. იმავე დღეს. 1833 წლის 19 მაისს, ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელმა მიჰმართა მარიას: „მე ყველაფერს ვაკეთებდი და მომავალშიც ვაკეთებ. რის ვაკეთებაც ადანიანს მოთმინებით, შეუპოვრობით და დაულალავი შრომით ძალუძს. რათა გზა გაიკაფოს. თქვენსავით არავინ შემყვარებია და არც შემყვარდება“. მაგრამ მარიას უკვე მოსწყინდა პამპულაობა. მან ცივად უპასუხა საყვედურებით. ამის შემდეგ მათი გზები გაიყარა. მაგრამ დიკენსმა მას ინგლისურ ლიტერატურაში უმშვენიერეს და უღმობელ ქალთა პორტრეტების გალერეაში დაუპყვიდრა ადგილი.

უთუოდ სწორედ ცხოველმა და მტკიცე სიყვარულმა მწვავედ აგრძნობინა დიკენსს პოლიტიკის არაჩაობა და შეუსაბამობა. თერთა პალატის რეპორტიორი ის 1832 წლის გაზაფხულზე გახდა, როდესაც პარლამენტში რეფორმის ბილს განიხილავდნენ და ინგლისელებს სჯეროდათ, დღეს-ხვალ ქვეყანა სამოთხედ იქცევაო. „ერის წარმომადგენელთა“ ურცხვი ტყუილების მოსმენის შემდეგ დიკენს-

მა მათი თათბირების შედეგებზე თავისი აზრი გამოიმუშავა. მან დაასკვნა, საშუალო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე ოპორტუნისტი, მოლაყბე, მლიქვნელი და კარიერისტია. ხოლო რომელიმე პარტიის გამარჯვება მხოლოდ ერთი ჯგუფის კეთილდღეობას მოასწავებსო. ოცი წლის ასაკში ის წერდა იმაზე, თუ როგორ „პამპულაობდნენ პარლამენტის წევრები“. რადგანაც არც შემდეგში დაუნახავს მას იმის საფუძველი, რომ ვესტმინსტერის სასახლეში მიმდინარე კომედიაზე აზრი შეცვლოდა. ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები შეიძლება მისი პირველი და ერთადერთი თვალსაზრისის გამომხატველად ჩაითვალოს ამ საკითხზე:

„ჩვენ ვთვლით, რომ საპარლამენტო სესიის დასაწყისი მხოლოდ მდიდრული საციკო წარმოდგენის პირველი აქტია და მისი უდიდებულესობის ყოვლად მოწყალე სიტყვა, წარმოთქმული ამ სესიის გახსნაზე. წარმატებით შეიძლება შევადაროთ ჯამბაზების კლასიკურ მისაღმებას: „აი, ჩვენც აქ ვართ, მილორდებო და ჯენტლმენებო!“ ეს შეძახილი მოკლედ და საუკეთესოდ გადმოგცემს კაბინეტის მეთაურის პირფერულ-შემრიგებლური სიტყვის არსს...“

„ალბათ, პოლიტიკური სანახაობა ვერასოდეს ვერ დაიკვეხნიდა მონაწილეთა ასეთ ძლიერ შემადგენლობას, როგორც ჩვენს დროს. განსაკუთრებით კარგები არიან ჯამბაზები. გამოტყდით, განა აღრე გვყავდა ასეთი მუშაითები? განა ოინბაზები ოდესმე ავლენდნენ ასეთ მზადყოფნას. გამოეფინათ ფანდების მთელი მარაგი ალტაცებულ მყურებლების გასართობად? ვერ ვიტყვით, რომ ეს ადამიანები ტაკი-მასხარაობით და ქვეყნის სასაცილოდ უფასო წარმოდგენების გამართვით თავიანთი პროფესიისადმი პატივისცემას აღუძრავენ ვინმეს.“

მაგრამ კმარა! ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ გემოვნების საკითხია, სხვა არაფერი. ღირს კი ამაზე ლაპარაკი? არ აჯობებს, სასიამოვნო ფიქრებს მივეცეთ იმაზე, თუ რა ჩინებული უნარი გამოავლინეს ჩვენმა ჯამბაზებმა მიმდინარე სეზონში? დღენიადაგ აქ არიან, ვინ იცის, რას არ აკეთებენ: ღამის სამ საათამდე იგრიხებიან, იმანჰეზიან. ერთმანეთს სილებს სთავაზობენ — შესანიშნავი სანახაობაა და... დაღლის არავითარი ნიშანი! გარშემო კი რა ამბავია, — რა უცნაური ხმაურობა, ღრიალი, არევ-დარევა! მგონი არავინ არ იხლეჩს

ყელს ისე. როგორც ის თავზებელალებულები, მოკრივეთა შეჭიბრების დროს რომ ექვს პენსად ავსებენ ქანდარას! მაგრამ რა შედარებაა? ესენი ყველა თავზებელალებულებს გაუსწრებენ!

განსაკუთრებით საინტერესოა, რა უცნაურად იმანჭება ესა თუ ის ჯამბაზი ჯადოსნური ჯოხის დაქნევანზე. იმ ჯოხისა. რომელიც ლიდერს (იმავე არლეკინს) უჭირავს. ამ ჯოხის ჯადოსნური, მოუგერიებელი ძალის მორჩილი ხან უძრავად გაშეშდება. როგორც თითის განძრევის და მეტყველების უნარდაკარგული, ხან—ზომაზე მეტად გამოცოცხლდება და აღფრთოვანებით ამოაფრქვევს უშინაარსო, უაზრო სიტყვების ნაკადს, გატაცებით იმანჭება, ყოვლად წარმოუდგენელ პოზებს იღებს, მუცლით დაცოცავს. ეს რაა! თუ დასჭირდა, მუჭყსაც წარბშეუხრელად ალოკავს ენით!

„არლეკინიც, ჯადოსნური ჯოხის გარკვეულ დრომდე მფლობელი. უცნაურ იღეთებს აკეთებს. პირდაპირ სასწაულია! ვის ცხვირ-წინაც ჯოხს გააქნევს, მას უმაღლვე გამოუფრინდება თავიდან ყველაფერი, რასაც აქამდე ფიქრობდა. და სულ სხვა იდეების წყება უჩნდება. ჯოხის ოდნავი შეხება და — სერთუვი უმაღლვე ფერს იცვლის.“

ყოვლისშემძლე ჯადოქარი, რომლის სურვილითაც აკუთვნებენ ჯადოსნურ კვერთხს, ზოგჯერ გამოგლევს ხელიდან კვერთხს მის დროებით მფლობელს და სხვა პამპულას გადასცემს. ასეთ შემთხვევაში მოქმედი პირები ადგილებს იცვლიან და წარმოდგენა თავიდან იწყება“.

სალამოს ერთ გაზეთში ექვსი თვის სამსახურის შემდეგ დიკენსმა მეორეში. „პარლამენტის სარკეში“ მიიღო ადგილი. მისი გამომცემელი ჩარლზის ბიძა ჯონ ბაროუ იყო. ჩარლზი ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ბიძას ნორვედში. ბიჯის სიმკვირცხლემ და გულმოდგინებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბაროუზე და მან დისშივლი გაზეთ „მორნინგ ქრონიკლის“ გამომცემელს გააცნო. ახალგაზრდა რეპორტიორი ამ გაზეთის თანამშრომელიც გახდა. კვირაში ხუთი გინეა დაენიშნა. ჩარლზმა კოპწიაობა დაიწყო: შეიძინა ახალი ქუდი და შავი ხავერდით გაწყობილი ლურჯი პალტო. რომელსაც ესპანურ ყაიდაზე წამოისხამდა ხოლმე. სხვა განსაცვიფრებელი ტანსაცმელიც გაუჩნდა. არ ითქმის, რომ პარლამენტის რეპორტიორის ცხოვრება სიამით იყოს სავსე. ჯერ ერთი, მოწყენილობისაგან გულ-

გადაღეულს უნდა ესმინა, რას ბუბუნებდა მორიგი ორატორი და ჩაეწერა მისი უშინაარსო სიტყვების რახარუხი. მეორე, რეპორტიორების ადგილებზე სივიწროვის გამო ჯდომა უხერხული იყო. განათება არაფრად ვარგოდა, მძიმე ჰაერი და სიმყარე სულს უხუთავდა, ოფლი წურწურით სდიოდა. — თუ ერთსა და იმავე მდგომარეობაში დიდხანს დაჯდებოდი, ყველაფერი აგტკივდებოდა, მდგომარეობის შეცვლას შეეცდებოდი და — კიდევ უარესი იყო.

1834 წელს თემთა პალატა დაიწვა და მისი სხდომები დროებით ლორდთა პალატაში გადაიტანეს. ამასთან დაკავშირებით დიკენსის ცხოვრებაში ერთი ცვლილება მოხდა: წინათ დამჯდარი იტანდა ჯოჯონხეთურ ტანჯვას, ახლა კი — ფეხზე მდგომი. მის მდგომარეობაში მყოფთადმი მგზნებარე სიყვარული არ განუცდია ჩარლზს, ამიტომ ძმობიკები თავაზიან, მაგრამ გულჩათხრობილ ადამიანად სთვლიდნენ. თუმცა ერთი მეგობარი, სახელად თომას ბირდი მაინც გაიჩინა და სიკვდილამდე მეგობრობდა.

პარლამენტის სესიებს შორის მუშაობა ბევრად უფრო საინტერესო იყო. „მორნიგ ქრონიკლის“ დავალებით დიკენსი მასალას კორესპონდენციებისათვის პროვინციებში აგროვებდა: ამა თუ იმ მინისტრის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, ცნობებს არჩევნების ჩატარებაზე, სად მოხდა დიდი ხანძარი — მოკლედ, წერდა ყველაფერზე, რითაც „ეპოქა სუნთქავდა“. ჩარლზისათვის სენსაციების საძებრად მოგზაურობა ნამდვილი ნეტარება იყო. კარგით რომ მოგზაურობ, დღისით ყოველ გაჩერებაზე კომიკური პერსონაჟების სიმრავლეა, ღამით კი ავარიები და მლეღვარება, ქანცგაწყვეტილი ცხენები და შეზარხოშებული მეეტლეები. ეტლი ხან გადაბრუნდება, ხან რალაც გაუტყდება, ხან თვალი მოძვრება — ყველაფერი ეს საკაზივით განსაკუთრებულ გემოს აძლევდა ცხოვრებას და მასალის მდიდარი წყაროც იყო მწერლისათვის. წინასაარჩევნო ორომტრიალი და ალიაქოთი ნეტარება იყო მისთვის. მოგზაურობასთან დაკავშირებული უხერხულობა არაფრად მიაჩნდა. ძალიან სიამოვნებდა ხოლმე, როცა დროზე შეკრებილ ცნობებს ადგილზე ჩააბარებდა და ყველა სხვა გაზეთის რეპორტიორებს სირცხვილს აჰმევდა.

დეკემბერში დიკენსი კეტერინგში ჩავიდა არჩევნებზე დასასწრებად და სასტუმრო „თეთრ ირემში“ დაიდო ბინა. მისი აზრით,



ქალაქში „იდიოტობა და უსაშველო მოწყენილობა“ სუფევდა. მაგრამ მან და მისმა ამხანაგმა საბილიარდო მაგიდა დადგეს თავიანთ ნომერში, დერეფნის ბოლოს მოზრდილ ოთახში, რომლის „ორი ფანჯრიდან საჭინბო ეზოს წარმტაცი სურათი ჩანს. კარს უკან პატარა წინკარია. კარი ჩაკეტეთ და გარედან ცეცხლის საჩხრეკი ჩამოვიდეთ“. ნაკლებად მიმზიდველ მოვლენებზე ანგარიშებისაგან თავისუფალ დროს ბილიარდის თამაშს ანუომებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს საბილიარდო და საწოლი აპარტამენტების პატრონებმა სამი სტუმარი მიიწვიეს საშობაო სადილზე. სადილად ხამანწყები თევზის წვენი, როსტბიფი, იხვი, ტრადიციული ქიშმიშიანი პუდინგი და ტკბილი ღვეზელები ჰქონდათ. რაც შეეხება არჩევნების დიკენსისეულ აღწერას, ისინი ფრიად საგულისხმოა. ავტორი ამტკიცებს, ქვეყანაზე არასდროს არ ნახულა ისეთი თავზეხელაღებული ბოროტმოქმედთა ხროვა, როგორც ტორიოა. „გუშინ, როცა „საქმე კეთილად დამთავრდა და ზეიმი დაიწყო, ისინი ნამდვილი ველურებრვით იქცოდნენ. დარწმუნებული ვარ, აქ რომ ინგლისური ქალაქის ნახვის მსურველი უცხოელი მოხვედრილიყო, ის მაშინვე სამშობლოში დაბრუნდებოდა და ინგლისის მიწაზე ფეხს აღარ დაადგამდა. ამომრჩევლები საერთოდ ზშირად კარგავენ ადამიანურ სახეს, მაგრამ ამ სუბიექტების უნანუსობა ყოვლად წარმოუდგენელია. გუშინ უმწეო ხალხში დიდი შვიარაღებული რაზმი შეიჭრა. თანამზრახველთა ზურგს ამოფარებულმა ერთმა მათგანმა გატენილი დამბაჩის ჩახმახი შეაყენა და ხალხს ტყვია დაუშინა. დაიჭრებთ, რომ მათ მღვდლები და ქალაქის თეიოპართველობის წევრები ხელმძღვანელობდნენ? დაიჭრებთ, ჩემი თვალით ვნახე, რომ ერთ-ერთმა თავზეხელაღებულმა არამზადამ აბჯანდს ღვედი ახსნა და მისი რკინისბალთიანი ბოლო ხალხს დაუშინა მარცხნივ და მარჯვნივ! არასდროს ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამაზე საზიზლარი, გულისამრევი და აღმამფოთებელი რამე!“ არჩევნების დღეს ხმაური იყო, თუმცა არა ისეთი ჯოჯოხეთური, ახლანდელი ხმამაღლა მეტყველი აპარატი რომ გამოსცემს, სამაგიეროდ, უფრო არაკეთილხმოვანი: ზარები რეკენ, კანდიდატები ყელს იხლეჩენ, მუსიკა გრიანებს, მამაკაცები ჩხუბობენ, ქალები წივიან, ხოლო „ყოველი საქეიფო სახლიდან ღრიალი და ღმუილი მოისმის — ამომრჩევლები ზომაზე მეტად ძღებთან და ილეშებიან“. დიკენსს თავი „პირდა-

პირ უსკდება“, ის თავის ნომერში მიეშურება და ბილიარდს თამაშობს.

მაგრამ იმ დროს, როცა დიკენსი რეპორტიორის სამუშაოს თავდაუზოგავად ასრულებს, მსოფლიოში ყველა პოლიტიკურ აურზაურზე უფრო მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა: ერთი რომ, გამოვიდა ვინმე ბოსის ნარკვევები და დიდი ინტერესი გამოიწვია, მეორე — მათმა ავტორმა ცოლის შერთვა დააპირა.

## უბალო ბოსი

1833 წლის შემოდგომის ერთ საღამოს დიკენსი ფლიტ-სტრიტზე<sup>1</sup> გამოჩნდა, მაშინვე ჯონსონ-კორტის შესახვევში გაუჩინარდა და ჟურნალ „მანსლი მეგეზინის“ საფოსტო ყუთისაკენ გაემართა. მარია ბიდნელის მიერ უარყოფილ დიკენსს დაუძღვეელი მოთხოვნოლებები დაებადა, თავისი გონება რაიმეთი დაეტვირთა. ეწინააღმდეგებოდა, გამომცემლებმაც უარი არ მითხრანო, მაგრამ მაინც დაიწყო ნარკვევების წერა. ნარკვევები რეალური ცხოვრების სარკეს წარმოადგენდნენ. იმ დღეს ფოსტის ყუთში პირველი ნარკვევი ჩაუშვა. ეს ნარკვევი შემდეგ ცნობილი გახდა სათაურით „მისტერ მინსი და მისი ბიძაშვილი“. იგი დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა. როცა ასაღვაზრდა ავტორმა ეს გაიგო. ვესტმინსტერ ჰოლში<sup>2</sup> შევიდა და მთელი ნახევარი საათი უძრავად იჯდა. „სიამაყისა და სიხარულის გრძნობა თვალებს მინისლავდა, ჭეჭისა და გამვლევების დანახვა არ მინდოდა, თვითონაც ისეთი სანახავი ვიყავი, ქუჩაში არც გამესვლებოდა“. ჩარლზი ჰენრი კოლეს სწერდა: „საშინლად ვდელავ, ხელი ისე მიკანკალებს, ერთ სიტყვასაც ვერ ვწერ გარკვევით“.

„მანსლი მეგეზინის“ რედაქტორმა აგრძნობინა მას, ჟურნალის თანამშრომლები სახელით უნდა დაკმაყოფილდნენ, ჰონორარის იმედი კი არ უნდა ჰქონდეთო. დიკენსმა ჟურნალისთვის ნარკვევების მიწოდება მაინც განაგრძო. ისინი 1834 წლის აგვისტომდე ხელ-

<sup>1</sup> ფლიტ-სტრიტი — ქუჩა ლონდონის ცენტრალურ ნაწილში.

<sup>2</sup> ვესტმინსტერ ჰოლი — ინგლისის სასამართლოს სხდომათა დარბაზია.

მოუწერლად იბეჭდებოდა. აგვისტოში კი ავტორი გამოჩნდა ფსევდონიმით „ბოს“. „ჩემი უმცროსი ძმის საალერსო სახელია. მე მას მოსესი შევარქვეი „უეაფილდელი მღვდლის“ პატივსაცემად. ამ სახელს ცხვირში წარმოვთქვამდი — ასე უფრო სასაცილო გამოდიოდა — „ბოსეს“, შემდეგ შემოკლებით „ბოს“ გამოვიდა“.

ნარკვევებმა სწრაფად მიიპყრო ყურადღება. ერთი მათგანი კიდევ მითთვისა ერთმა მსახიობმა, ვოდევილად გააკეთა და თეატრ „ადელფის“ სცენაზე დადგა ისე, რომ ავტორს არაფერი აცნობა. იმ დროს საავტორო უფლებები თეატრზე არ ვრცელდებოდა. ჩვეულებრივად თეატრების დირექტორები უკიდურეს თავაზიანობას იჩენდნენ და ავტორებს არ აწუხებდნენ დადგმის ნებართვის ან რჩევისათვის, განსაკუთრებით კი ფრთხილობდნენ, ჰონორარის შეთავაზებით არ შევეურაცხეყოთო. არც გაზეთებს დაუკლიათ ბოსისათვის ყურადღება. „ნარკვევებს“ მთლიანად ბეჭდავდნენ გაზეთების ფურცლებზე და ავტორმა, რომლის შრომას აგრერიგად პატივსაცემდნენ, იგრძნო რომ სახელს „საძაგელი ლითონი“ ერჩია. თავის გაზეთ „მორნიგ ქრონიკლს“ დიკენსმა უფასოდ დააბეჭდინა რამდენიმე ნარკვევი, მაგრამ, როცა იმავე ფირმამ კიდევ საღამოს გამოშვება „ჩენიგ ქრონიკლი“ დააარსა, დიკენსმა რედაქტორ ჯორჯ ჰოგარტს სთხოვა, ჯამაგირი მომიმატეთ, როგორც კომპენსაცია იმ ნარკვევებისათვის, რომელთა დაწერასაც ამ გამოცემისათვის ვაპირებო. ის იმედს გამოსთქვამდა, რომ თხოვნას „ზომიერად და სამართლიანად“ ჩასთვლიდნენ. — არც შემეცდარა: მას ხუთი გინეის ნაცვლად შვიდი დაუნიშნეს.

დიკენსის პირველი გამოჩენილი თანამედროვე, რომელიც „ნარკვევების“ გამოქვეყნების შემდეგ ავტორის გაცნობის შემთხვევას ეძებდა, ჰარისონ ჰენსვორტი იყო, ავტორი 1834 წელს გამოქვეყნებული და დიდად გახმაურებული რომანისა „რუკვუდი“: კვირაობით ჰენსვორტი კენზალ-ლოჯში სტუმრებს იღებდა. მიიწვია დიკენსიც. აქ გაიცნო ჩარლზმა გამომცემელი ჯონ მაკრონი, რომელსაც „ნარკვევები“ წაეკითხა და მოხიბლულიყო. 1836 წელს მან პირველი სერია ორ ტომად გამოსცა მხატვარ კრუკშენკის ილუსტრაციებით, ხოლო ერთი წლის შემდეგ — მეორე სერია — ერთ ტომად. „ეს ჩემი პირველი ნაბიჯებია, — წერდა დიკენსი, — თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ტრაგედიას, რომლებიც ცხრა წლის ავტო-

რის ხელით დაიწერა, იდგმებოდა ბავშვებით გაქვდილ ბინებში და მქუხარე ტაშს იმსახურებდა“.

დიკენსი მხოლოდ ოცდაერთი წლისა იყო, როცა „ნარკვევების“ წერა დაიწყო და მაშინვე ყურადღება მიიქცია, როგორც მახვილი თვალის მქონე; დაკვირვებულმა, იუმორით დაჯილდოებულმა ავტორმა. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ადამიანებს თვითონვე მოაქვთ თავიანთი თავისთვის ათასნაირი უბედურება. აი. ბოსის „გმირის“ ნიმუში — ტიპი, რომელიც სხვადასხვა სახელით გვხვდება მისი თხზულებების ფურცლებზე. „ის ბედნიერი მხოლოდ მაშინ იყო, როცა თავს უაღრესად უბედურად გრძნობდა... ყოფის სიხარულს მაშინ განიცდიდა, როცა გარშემომყოფი სიცოცხლეს მოუწამლავდა. ეს იყო ერთადერთი ნეტარება“...

დიკენსის შემოქმედებაზე ორმა მწერალმა — დეფომ და სმოლეტმა — მოახდინა გავლენა. „რობინზონ კრუზომ“ და „როდერიკ რენდომმა“ მას მეტი შესძინეს, ვიდრე ყველა სხვა წაკითხულმა წიგნმა. უკეთ რომ ვთქვათ, ისინი რაღაცით უფრო უპასუხებდნენ მის მიდრეკილებას. დიკენსი შექსპირის შემოქმედებას კარგად იცნობდა, ფილდინგი უყვარდა, ვალტერ სკოტით აღტაცებული იყო, მაგრამ ტემპერამენტით ძლიერ განსხვავდებოდა ამ სამი დიდი წინამორბედისაგან, რაც შეეხება რიჩარდსონის „კლარისას“, დიკენსს მხოლოდ გადაუფურცლავს ის, რათა შემდეგ არასდროს აღარ ჩაეხედა შიგ. საერთოდ ცნება „გავლენა“ სრულიად შეუფერებელია დიკენსისათვის, მისთვის მართებულია ეპითეტი „თვითმყობადი“.

„ნარკვევებზე“ მუშაობისას (ამ ნარკვევებმა გამომცემლები იმით მოხიბლეს, რომ მათში ჰონორარი არ ეხარჯებოდათ) მწერალი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. ჯერ სტრენდის რაიონში, სესილ-სტრიტზე ქირაობდა ბინას. „აქ მდგმურებს საძაგლად ექცეოდნენ. რაგუს ყოველთვის კარბად უმატებდნენ წყალს. ჯავზის სახეხი საღლაც დაკარგეს, სუფრა მთლად ერთიანად გამიფუჭეს, და სხვა, და სხვა... ერთი სიტყვით. იძულებული გავხდი გამეფრთხილებინა, რომ უნდა გადავიდე (ვერ ვიტან, როცა საყოფაცხოვრებო წვრილმანები მიშლიან ხელს)“. სიტყვა და საქმე ერთი იყო. ის მარგარეტ-სტრიტზე დასახლდა მშობლებთან. მათთან ერთად ფიც-როიზე გადავიდა, შემდეგ — ბენტინკ-სტრიტზე. აქ ოჯახის, ნათესავების, მეგობრების ვ. ვ. პირსონი

სა და თავისი თავის გასართობად საოჯახო სპექტაკლი გამართა რამდენჯერმე. სპექტაკლებში კოლეც მონაწილეობდა, დიკენსმა ასეთი წერილი გაუგზავნა მას: „ოჯახი ქანცგაწყვეტილია, შემსრულებლები ღელავენ, რამდენიმე წუთის შემდეგ დეკორაციებიც მზად იქნება, მექანიზმები აწყობილია, ფარდა შეკერილია, ორკესტრის მთელი შემადგენლობა ადგილზეა, თეატრის დირექტორი საკვამურების მწმენდავივით გათხვირულია“.

დროგამოშვებით დიკენსს ისევ ჭვალეების შეტევები უახლდებოდა. უფულობის შეტევები ზომ მუდამ სტანჯავდა. 1834 წელს მამამისი კვლავ დააპატიმრეს, ამჯერად — მეღვინის ვალი ჰქონდა. ჩარლზმა როგორღაც მოახერხა მისი განთავისუფლებისათვის საჭირო თანხის შოვნა. მალე მისის დიკენსი გახდა ავად და ნისიების ახალი ანგარიშები დაგროვდა. არ ითქმის, რომ ჯონ დიკენსი მდგომარეობის გამოსწორებისათვის ზრუნავდა. პირიქით, გამოჩნდებოდნენ თუ არა მევალეები, გაქრებოდა და ოჯახში მისი ადგილ-სამყოფელი არავინ იცოდა. ოჯახს რომ დახმარებოდა და მამისათვის პატიმრობა აეცდინა. ჩარლზი რამდენიმე თვის ჯამაგირს წინდაწინ იღებდა. შეიძლება ითქვას, რომ, რაც ჩარლზ დიკენსმა სამსახური დაიწყო, ხშირად მთელ ოჯახს ინახავდა, მის რამდენიმე წევრს კი — გამუდმებით. ბოლოს ოჯახმა ბენტინჯ-სტრიტი დატოვა და ორად გაიყო. ჩარლზი და მისი უმცროსი ძმა ფრედერიკი ფერნივალსინზე № 13 სახლში დაბინავდნენ, მაგრამ ბინის კეთილმოწყობა ვერ შეძლეს, რადგან ხელფასის უდიდესი ნაწილი ისევ ოჯახის შენახვაზე იხარჯებოდა. ასე რომ, სტუმრებს თითქმის ცარიელ ოთახში იღებდნენ: პატარა მაგიდა, ორი-სამი სკამი და წიგნები — ეს იყო და ეს მისი ოთახის მოწყობილობა. მაგრამ მიუხედავად ბევრი საზრუნავისა და მღელვარებისა, ნათელი იმედებით აღსავსე ჩარლზი მშვენიერ გუნებაზე იყო. კვირაში შვიდ გინეას იღებდა, მაგრამ ცოლის შერთვა დააპირა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გარდა მშობლებისა და დამამისა, ცოლი და თავისი მომავალი შვილები უნდა შეენახა. ჩარლზი ჯორჯ ჰოგარტს დაუმეგობრდა, ჰოგარტმა მისი „ნარკვევების“ სერია „ივინგ ქრონიკლში“ დაბეჭდა. მალე ჰოგარტმა ჩარლზი ოჯახში მიიწვია. დიკენსი ჰოგარტის ცოლსა და ქალიშვილებს ძალიან მოეწონათ. ანდა როგორ შეიძლებოდა ეს ჰაბუკი არ შეჰყვარებოდათ? ის ყველაფრით შემკული იყო: სასიამოვნო გარეგნობა,

შევირცხლი ბუნება, მზარდი სახელი, მეტად სასიამოვნო სახუმარო სიმღერების ვრცელი რეპერტუარი, წარმტაცი ამბების ამოუწურავი მარაგი, ათასნაირი სასაცილო ოინი და წამოწყება. მაგალითად, ერთხელ ზაფხულში ჰოგარტებმა სასტუმრო ოთახში მოიყარეს თავი. უეტრად ბაღიდან ღია ფანჯარაში მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი დიკენსი სტვენით შემოხტა, მეზღვაურის ცეკვა შეასრულა და უკანვე გადახტა. რამდენიმე წუთის შემდეგ დინჯად შემოვიდა სასტუმრო ოთახში ჩვეულებრივად ჩაცმული. სათითაოდ ჩამოუარა ყველას და დარბაისლურად ჩამოართვა ხელი, მედიდურად დაეშვა სკამზე, მაგრამ მასპინძლების გაკვირვებისა და დაბნეულობის დანახვაზე ველარ მოითმინა და სიცილი წასკდა. სიცოცხლით სავსე, მომხიბლავმა ქაბუქმა ჰოგარტები დაიპყრო. ყოველდღე მათი სტუმარი იყო. მათთან ახლოც კი დაბინავდა. სულ მალე ჰოგარტის უფროს ქალიშვილს ქეთს ცოლობა სთხოვა.

დიკენსის ბუნება მოყვარულ არსებას მოითხოვდა. ტრაგედია ის გახლდათ, რომ მეტს მოითხოვდა, ვიდრე თვითონ შეეძლო გაეცა. მისი რწმენით, დედის სიყვარულს მოკლებული იყო და ამიტომ მუდამ მოყვარულ ადამიანებს ეძებდა. მარია ბიდნელი მას გაშმაგებით უყვარდა, როგორც სიყვარულს მოწყურებულ ადამიანს. როცა მარიამ ზურგი შეაქცია, დანამდვილებით შეიძლებოდა თქმა, რომ მისი ცოლი გახდებოდა პირველივე ქალი, რომელიც მის გრძნობას უპასუხებდა. ჰოგარტის ქალიშვილებიდან გასათხოვარი მხოლოდ უფროსი ქეთი იყო. ეს გახლდათ მშვიდი, უწყინარი, თვინიერი, თავდაპირილი და ცოტა ზანტი ქალი, ქორფა, ფუნთუშა და სანდომიანი. მძიმე ქუთუთოები და ლურჯი თვალები, ოდნავ აპრეხილი ცხვირი, მშვენიერი შუბლი, პატარა მრგვალი პირი, ხასხასა ტუჩები და რბილი ნიკაპი ჰქონდა. აუჩქარებლად, ოდნავ მოუქნელად მოძრაობდა, თითქოს მუდამ თვლემდა. სამაგიეროდ, ძალიან სასიამოვნო ხმა ჰქონდა და ლაპარაკის დროს სახეს მშვენიერი ღიმილი უმშვენებდა. მისი ნაცნობები ამბობდნენ, „ღვეიდ კოპერფილდის“ გმირს აგნესას ჰგავსო. ქმრის წერილებით თუ განვსჯით, ქეთის იუმორის გრძნობა საკმაოდ გააჩნდა, მაგრამ მას მხოლოდ კალამბურებით გამოხატავდა. ასეთი იყო ის იღბლიანი ქალი, რომელზეც დიკენსის გრძნობამ გადაინაცვლა. მაშინ არც ერთ მათგანს არ უფიქრია, რომ ეს არჩევანი მარია ბიდნელისადმი მგზნებარე სიყვარულის გამოძა-

ხილი იყო. შეყვარებულის როლს დიკენსი ისე მგზნებარედ თამაშობდა, რომ ამ გრიგალმა ქეთიც გაიტაცა: თუ რატომ იქცეოდა დიკენსი ასე, ნათელი გახდება, როცა ვილაპარაკებთ მისი ხასიათის ზოგიერთ თავისებურებაზე. ნამდვილად შეყვარებული ადამიანი ქორწილის წინა დღეს დიკენსივით არ შეუთანხმდება საცოლეს, რომელიმე ჩვენგანს სხვა ვინმე რომ შეუყვარდეს, უმაღვე ერთმანეთს გაუუმელავნოთო. შეუღლების წინ ასეთი შეთანხმება იმას ჰგავს, რომ მორწმუნე, რომელიც კათოლიკობის მიღებას აპირებს, აფრთხილებს მღვდელს, გამაჰმადიანება რომ დავაპირო, არ დამიშალოთო. ქეთი იმდენად ჰკვირავდა იყო, რომ ამას მიმხვდარიყო.

პირველი უსიამოვნება ნიშნობიდან სამი კვირის შემდეგ მოუვიდათ. 1835 წლის მაისში საცოლისადმი მიწერილ წერილში ჩანს, რომ ქალი თავის სიყვარულს ისე მგზნებარედ არ ავლენდა, როგორც ეს დიკენსს სურდა. „უეცარმა და უმიზეზო ცივმა მოპყრობამ გამაკვირვა და გული დამიკოდა. გამაკვირვა იმიტომ, რომ წარმოუდგენელია, როგორ უნდა თავსდებოდეს ერთ გულში სიყვარული და ასეთი პირქუში, უდრეკი უინიანობა. გული დამიკოდა იმიტომ, რომ ახლა უფრო ძვირფასი ხარ ჩემთვის ვიდრე აქამდე“. ის აფრთხილებს საცოლეს: „იმას, რისი დაფარვაც შეყვარებულისაგან შეიძლება, ქმარი ყოველთვის მიხვდება და გამოიცნობს. თუ ნამდვილად გიყვარვარ, ჩემი სურვილია, შენი თავის ღირსი იყო. ჩვენი სიყვარული გაცვეთილ ფანდებზე და სულელურ კეკლუცობაზე მაღლა უნდა იდგეს: ისინი ბლაღვენ და ქვეყნის სასაცილოდ აქცევენ თვით სიტყვა „სიყვარულს“. საცოლის თავქარიანობას დიკენსი თავის ურყევ ერთგულებას უპირისპირებდა, აგონებდა ქალიშვილს, როგორ ჩამოშორდა მეგობრებს მის გამო, როგორ შეწუხებული იყო მისი ავადმყოფობით, როგორ ახარებდა მისი განკურნება. „კი არ გიჭავრდები, გული მეტკინა და ეს უკვე მეორედ მოხდა“. მარია ბიდნელს დიკენსი ასეთი კილოთი არ სწერდა. ერთმა ქალიშვილმა გააწბილა. მეორეს არ გაასულელებინებს თავს, — აი, რა აზრია მის გაფრთხილებაში.

ქეთი უმაღვე დათმობაზე წავიდა. მის პასუხში სავსებით გამოვლინდა „ის სიწრფელე, ის მშვენიერი გრძნობა, რომელიც, მე ვიცი, შენ გაქვს და რომელშიც ტოლი არა გყავს. წესად რომ დაიდებდე, ასევე ალერსიანად და ნაზად მომეპყრო მაშინაც, როცა გუნებაზე



არ ხარ, გადაუჭარბებლად ვიტყვოდი, რომ უნაკლო ადამიანი ხარ. მთხოვ, „ისევ“ შემეყვარო, მაგრამ ეს არაა საჭირო, — ერთი წამითაც არ შემეცვლია შენზე გული, რაც გაგიცანი, და არც არასოდეს შემეცვლება“. ქეთის გაცვეთილი სასიყვარულო სიტყვებისა სჯეროდა, მით უფრო, რომ ისინი დამაჯერებლად ჟღერდნენ.

წერილები შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ჩემო საყვარელო, ჩემო ღვიძლო, ძვირფასო!“ „ჩემო ძვირფასო სულიკო!“ „ჩემო საყვარელო თავუნი!“ „ჩემო თვალისჩინო!“ და თავდებოდა კოცნით, ათასი, მილიონი, ურიცხვი კოცნით. შეყვარებულების მიწერ-მოწერრიდან ადვილი მისახვედრია, რომ სულ მალე ერთიმეორესთან თავს თავისუფლად იგრძნობდნენ. კატერინგიდან გამოგზავნილ წერილს ასეთი მინაწერი აქვს: „იმედია გაბუტული არა ვართ“, ხოლო პეტ-ფილდიდან დიკენსი არწმუნებს საცოლეს, „ძლიერ და ზეძლიერ“ მიყვარხარო.

ზოგჯერ მეტად მოუცლელი დიკენსი საცოლეს ვერ ხვდებოდა. ზშირად ძლივს შოულობდა დროს, რომ მუშაობის შემდეგ რამდენიმე სიტყვა მიეწერა. ქეთი ჩიოდა, საქმრო ასე დატვირთული რომ იყო. რამდენიმე ფრაზიდან შეიძლება დავასკვნათ: ქეთის საქმროს გრძნობების სიწრფელე მაინცდამაინც არ სჯეროდა: „მაშასადამე გგონია, რომ შენი უნახაობა მე მსიამოვნებს...“ „ძლიერ მწყინს, ძვირფასო გოგონავ, რომ ჩემი წერილი ნაძალადევი და ცივი გეჩვენა... ეს წინაგანზრახვით არ მომსვლია“. ანდა: „გგონია, შენ ჯერ კიდევ ვერ დასძლიე უნდობლობა, შენთვის დამახასიათებელი ზედმეტი ექვიანობა“... კიდევ „სიყვარულით, სულით და გულით მუდამ შენი. დამიჯერე ეს, თუ საერთოდ დაჯერების უნარი გაქვს.“ ზოგჯერ მთელი დღე მუშაობდა ჩარლზი. ქეთის სანახავად მისვლა აღარ შეეძლო, ამიტომ შეუთვლიდა, მოიყვანე შენი და მერი და საუზმე დაამზადეთო.

დიკენსის ძმა ფრედი შიკრიკის მოვალეობას წარმატებით ასრულებდა: ფერნივალს-ინისა და ბრომპტონს შუა დაარბენინებდა წერილებს, მაგრამ უსაკო ბიჭი ახალგაზრდა ქალის მზრუნველად და მხლებლად არ ვარგოდა. „მე არ მინდა მხოლოდ ფრედის თანხლებით იარო მთელ ლონდონში. განსაკუთრებით — უესტ-ენდზე<sup>1</sup>. რო-

<sup>1</sup> უესტ-ენდი — ლონდონის დასავლეთი ნაწილი, მდიდარი არისტოკრატიული რაიონი. აქ მდებარეობს პარლამენტი, მეფის სასახლე და სხვ.

გორ მინდა დღევანდელი საღამო შენთან გავატარო! რა ნეტარება იქნებოდა, რომ შემეძლოს მუშაობის შემდეგ ბუხართან დავსხდეთ, ჩვენს ბუხართან; შენს სინაზეში, შენს კეთილ გულში ვპოვო დასვენება და ბედნიერება, რომელსაც ვერ ვპოულობ მარტოობაში. აუცილებლობა, მხოლოდ აუცილებლობა მაიძულებს კვირაში ერთი საღამო დავთმო შენთან ყოფნის სიამოვნება. ვიცი, არ დაიჭერებ ამას, თუმცა ვალდებული ხარ დაიჭერო. ერთადერთი, რაც დამრჩენია, ვიდრე წიგნს დავამთავრებდე, არის იმედი, რომ მომავალში შევძლებ დაგარწმუნო შენს უსამართლობაში. ნუთუ არ გეხმის, ასე მუშაობა, როგორც მე ვმუშაობ, მეტი ეგოისტობა არ არის, ვიდრე გართობა და ის, რომ მე ერთადერთი ფიქრი, ერთადერთი მიზანი მამოქმედებს — შენს მომავალზე. შენს ბედნიერებაზე და კეთილდღეობაზე ფიქრი“.

ჩარლზი ისე იღლებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს ავად ხდებოდა. ერთხელ კალომელის დიდი დოზა მიიღო, რამაც მასში ისეთი უცნაური პერტურბაციები გამოიწვია, რომ სახლიდან გამოსვლის თავი აღარ ჰქონდა: თავბრუს ხვევა, შაკიკი, სისუსტე გამუდმებით სტანჯავდა. ერთხელ ღამის სამ საათზე სამუშაოს უჯდა, „მთელი დანარჩენი ღამე კი ისეთ ტანჯვაში გავატარე, რომელიც ყველა ადრე განცდილს აღემატებოდა, მწვავე ტკივილებს ვგრძნობდი გვერდში“. მაგრამ ისე შეჩვეული იყო შეტევებს, რომ ყურადღებას არ აქცევდა. 1835 წლის შემოდგომაზე ქეთის და დედამისის ქუთრულში შეეყარათ. ჩარლზი ყოველდღე რამდენიმე საათი უჯდა საცოლეს საწოლთან. მართალია, მეტი თანაგრძნობის გამოწვევის მიზნით ავადმყოფი ზოგჯერ აზვიადებდა თავის სატკივარს, მაგრამ არც ის ითქმის, რომ მისი შეყვარებულნი დიდი ხალისით ასრულებდა მანუგეშების მოვალეობას. „ძალიან ძნელია, ვინმე გაამხნევო, როცა თვითონ საჭიროებ ნუგეშს, — სწერს ის ქეთის, — ჩემო სულიკო, დამიჭერე, შენი მდგომარეობა ჩემს მდგომარეობასთან შედარებით სასურველად მეჩვენება... სიცხე გაქვს? რა ვუყოთ! მეც ვიწვი შენთან ყოფნის სურვილისაგან“.

მთელი წელი დიკენსი ვალებს იღებდა, რომ მამის ოჯახი და თავისი თავი შეენახა, მაგრამ მამისაგან განსხვავებით, ჩარლზი ზუსტად დროზე იხდიდა ვალებს. ორჯერ მიმართა მან მაკრონს, „ბოსის ნარკვევების“ დამსურათებელი კრუკშენკი დააჩქარეო. თვითონაც

მივიდა მხატვართან, მაგრამ შინ არ დახვდა. დიკენსმა გადაწყვიტა, ცუდი არ იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნებაო, ორჯერ-სამჯერ შემოიარა მთელი პენტონვილი და ახალ ქუჩებზე გასაქირავებელი სახლები დაათვალიერა. „ჩემ მიერ ნანახიდან ყველაზე იაფი ორმოცდათხუთმეტი გირვანქა დაჯდება. ადგილი, რა თქმა უნდა, კარგია, თვითონ სახლებიც მშვენიერია, მაგრამ ორმოცდათხუთმეტი გირვანქა მეტისმეტია“. „ნარკვევები“ რომ უფრო წარმტაცი გაეხადა, გადაწყვიტა ჩამატებინა თავი ნიუგეტის ციხეზე. მწერალმა დაათვალიერა ეს ციხე, „ძლიერ საინტერესოდ“ ეჩვენა ის, ძრავალი სასაცილო ამბავი გაიგო და ქეთისაც უამბო. მისი ფინანსური საქმეები ძლიერ ცუდად იყო. საღ იშოვოს ფული, რომ სახლი იქირაოს, რომ მამა ციხეში არ მოყვეს ვალებისათვის, ოჯახს საჭარლო და თავშესაფარი ჰქონდეს? რა მოახერხოს, რომ ბინა მოაწყოს და ტანსაცმელი იყიდოს. გამომცემლებთან და ახალ ნაცნობებთან ხომ წესიერად ჩაცმულმა უნდა იაროს? ის რომ ამ საკითხზე თავს იმტვრევდა, მოვალეები მოსვენებას არ აძლევდნენ თავიანთი ანგარიშებით. „გუშინ საღამოს ყასაბისაგან წერილი მივიღე: მის თანაშემწეს უნდა ციხეში ჩამაგდოს გალანძღვისათვის. მე ვუპასუხე, რაც ადრე გააკეთებს ამ საქმეს, მით უკეთესი იქნება-მეთქი. ვუბრძანე ჩემს კლერკს, არავინ მიიღოს იმათთაგან, ვინც ეცდება თავხედური ხერხებით მიიღოს ჩემგან რამე“.

ამასობაში ახალ 1836 წელს ყველა უკუღმართ გარემოებას ბოლო მოეღო. თებერვლის პირველ რიცხვედში „ბოსის ნარკვევები“ გამოვიდა და სწრაფად იყიდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ გამომცემლობა „ჩეპმენ და ჰოლმა“ დიკენსს ახალი სამუშაო შესთავაზა: მას გამოსაცემი სურათების სერიისათვის ტექსტი უნდა დაეწერა. თვეში თოთხმეტ გირვანქა სტერლინგს უნიშნავდნენ. სერიის გპირები „მონადირეთა კლუბის „ნიმროდის“ წევრები სანადიროდ და სათევზაოდ მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყანაში; თავიანთი უგერგილობით წარამარა ფათერაკს აწყდებიან. მათი თავგადასავალი ნაწილ-ნაწილ უნდა გამოსულიყო ყოველთვიურად. ტექსტის ავტორს ცნობილ მხატვართან რობერტ სეიმურთან უნდა ეთანამშრომლა. ტექსტს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლეოდა. გამომცემლობის ჩანაფიქრით. სერია ხუმრობა უნდა ყოფილიყო, კარგი ხუმრობა, არაფერი გარდა ხუმრობისა. მაგრამ ავტორის აზრსაც ანგა-

როში უნდა გასწეოდა. დიკენსი კი კრიტიკულად იყო განწყობილი: „დავფიქრდი და საწინააღმდეგო აზრი გამოვთქვი. — ჭერ-ერთი, — ვაძბობდი მე. — თუმცა ქალაქგარეთ დავიბადე და აღვიზარდე, სპორტსმენი არა ვარ, თუ არ ჩავთვლით იმას, რაც დედამიწის ზურგზე გადანაცვლებასთანაა დაკავშირებული. შემდეგ თვით-იდეა არავითარ სიახლეს არ შეიცავს. ბევრად უკეთესი იქნება, რომ გრავიურები ტექსტიდან გამომდინარეობს და არა პირუკუ. კარგი იქნება, თუ სიუჟეტის განვითარება მე მომენდობა. მაშინ მასში ინგლისური ცხოვრების საგნები უფრო ფართოდ გაიშლება და პერსონაჟებიც უფრო მრავალფეროვანი გამოვლენ. ვშიშობ, სხვანაირად დაწერას ვერ შევძლებ, ძალიანაც რომ მოვინდომო. მეგობრები მეუბნებოდნენ. ასეთი გამოცემები იაფფასიანი, დაბალი გემოვნების საამებელი ნათითხნი გამოვა, ეს ყველა შენი ნათელი იმედების დალუპვას მოასწავებსო. ახლა ყველამ იცის, მართალი იყვნენ ჩემი მეგობრები, თუ — არა“.

დიკენსმა მიაღწია იმას, რომ ჩანაფიქრ სერიაში გადამწყვეტი სიტყვა ტექსტის ავტორს მიკუთვნებოდა და „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ პირველი გამოშვების მზადებას შეუდგა. პირველად საქმე ტაატით მიდიოდა. „ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა ნელა მატულობს“, — ბუზღუნებდა დიკენსი. მაგრამ მეორე თავიდან საქმე მარჯვედ აეწყო. „ეს-ესაა, პიკვიკი და მისი ამფსონები ეტლში ჩავსვი და როჩესტერში გავისტუმრე, მათ ერთი პიროვნება ახლავს, რომელიც არც ერთ ჩემს წინანდელ გმირს არ ჰგავს. იმედი მაქვს, რომ ამ ჭაბუკს უდავო წარმატება ექნება“. და თუმცა ჭინგლს მაშინ „უდავო წარმატება“ ჭერ კიდევ არ ეგემნა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, დიკენსის გმირებში მსახიობი პირველი გმირი იყო, რომლის ტემპერამენტი ძლიერ ენათესავებოდა ავტორის ტემპერამენტს.

შემოქმედებითი ჩანაფიქრით აღსავსე დიკენსმა იქვე ფერნივალს-ინში იქირავა გვარიანი ბინა და ქორწინებისთვის სამზადისს შეუდგა. ქორწილი სულ სადად გადაიხადეს. ერთადერთი სტუმარი, ჯარდა დიკენსებისა და ჰოგარტებისა, სასიძოს მეჭვარე ტომ ბირდი იყო. ცოლის ნათესავები ისევ არ სწყალობდნენ ჯონ დიკენსს. ამიტომ როცა ჩარლზმა თავის დედის ძმას ტომას ბაროუს აცნობა, ვქორწინდებითო, მწუხარება გამოთქვა, რომ ცოლს ვერ გააცნობდა. „ჩემდა სამწუხაროდ, არ შემიძლია დავდიოდე იმ ოჯახში, სადაც

შამაჩემს არ იღებენ. ასევე ვერც ჩემს ოჯახში მივიღებ იმ ნათესავებს, რომლებიც შამაჩემს სხვანაირად უცქერიან, ვიდრე მე“. ეგებ იმ იმედით, რომ ბიძა სიძისადმი დამოკიდებულებას შესცვლიდა, ჩარლზი შეეცადა გაეცნო მისთვის ქეთის მამა ჯორჯ ჰოგარტი, როგორც „ჩენტლმენი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ ბრწყინვალე და ფართოდ ცნობილი მუსიკალური გამოკვლევა დაწერა, ის სერ ვალტერ სკოტის თანამოღვაწე, უახლოესი მეგობარი და ქ. ედინბურგის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიტერატორთაგანია.

თაფლობის თვე ჩარლზმა და ქეთმა კენტის სოფელ ჩოკში გაატარეს. სამართლიანი იქნებოდა ამ ერთი თვისათვის ერთი კვირა გვეწოდებინა, რადგან სწორედ ერთი კვირის შემდეგ ჩარლზს მოუსვენრობა დაეტყო, ის ლონდონში დაბრუნებას იჩქაროდა. მიზეზი ზათელია: ცოლთან გამუდმებით ყოფნა უმძიმდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ჩვეულებრივი შეცდომა მოუვიდა: ფიზიკური ლტოლვა სიყვარულად მიიჩნია. სამაგიეროდ, მიხვდა თუ არა თავის შეცდომას, როგორც მტკიცე ადამიანმა, გადაწყვიტა, როგორ დაექირა თავი მომავალში. ქორწილის წინ დაწერილი მისი წერილი იწყებოდა სიტყვებით: „ჩემო ფასდაუდებლო კრიტიკოსო!“ პირველი წერილი ქორწინების შემდეგ კი — „საყვარელო ქეთ!“

როცა დიკენსი თავის ფერნივალს-ინში დაბრუნდა, აჩვენეს გრავიურა „მოხეტიალე მსახიობის ნაამბობისათვის“ („პიკვიკის“ მეორე გამოშვებიდან). დიკენსს გრავიურა არ მოეწონა და სეიმური შინ მიიწვია მოსალაპარაკებლად. მათ ერთმანეთი ჯერ არ ენახათ და უხერხული ვდგომარეობა შეიქმნა არა მხოლოდ იმის გამო, რომ დიკენსის ბევრისაღმტკმელმა ჩანაფიქრმა სეიმურის იდეა უკუაგდო, არამედ იმიტომაც, რომ სეიმური დიკენსზე თორმეტი წლით უფროსი და უკვე სახელმოხვეპილი იყო. უეჭველია, ამ ნერვულმა, უკვე რამდენიმე ლიტერატორთან ნახუბარმა მოღვაწემ ითაკილა თავისი აზრის უკუგდება. დიკენსს კარგად ესმოდა. რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მისთვის სახელგანთქმულ მხატვართან მუშაობას და ღირსეულად ექირა თავი. მისი წერილი სეიმურისადმი უაღრესად დამამშვიდებელი ტონით იყო დაწერილი:

„დიდი ხანია ვაპირებდი თქვენთვის მოწერას, რა დიდი სიხარულია ჩემთვის, რომ თქვენ ამდენ დროსა და ძალას ანდომებთ ჩვენს საერთო მეგობარს მისტერ პიკვიკს და რამდენად აღემატება თქვე-

ნი შრომის შედეგები ჩემს მოლოდინს. თუმცა „მოხეტიალე მსახიობის ნაამბობის“ ესკიზი ძალიან კარგია, მაგრამ ავტორის ჩანაფიქრს არ შეეფერება და ის ძალიან დავალებული იქნება, თუ სეიმურის ახალ გრავიურას გააკეთებს. „ძლიერ მესიამოვნება თქვენი და თქვენი ესკიზის ნახვა, როცა ის მზად გექნებათ“. დიკენსი მოაგონებს მხატვარს, რა ცვლილებებია შესატანი ესკიზში. შემდეგ დასძენს: „ოთახის მოწყობილობა შესანიშნავად გამოგვსვლიათ. მე გავბედე ზოგი რამ გიკარნახოთ. დარწმუნებული ვარ, ჩემს შენიშვნებს ისე კეთილი გულით მიიღებთ, როგორც მე ვანდობ მათ თქვენს. სამსჯავროს“.

სეიმური დიკენსთან მივიდა. არ ვიცით, რა მოხდა მათ შორის. რამდენსაც დიკენსს კარგად ვიცნობთ, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას უაღრესად გულითადად და თავაზიანად ექირა თავი. მას ჯერ კიდევ უნდა გაეკაფა გზა. „პიკვიკს“ წარმატება არ ჰქონდა. სეიმურს კი სპორტსმენების ცხოვრების ამსახველი სურათებით ჰქონდა სახელი განთქმული. დიკენსს კარგად ესმოდა, რომ თუ სეიმურს ვერ შეეწყობოდა, უკეთესი მხატვრის შოვნა გაუძნელდებოდა. ამიტომ მზად იყო, ყველაფერი გაეკეთებინა, რაც მის ძალღონეს არ აღემატებოდა. მაგრამ დათმობა — არა! ძალიან კარგად იცოდა, რაც სურდა, და გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თავისი მიზნისათვის მიეღწია. არ შეიძლება, ერთ არმიას ორი მხედართმთავარი წინამძღოლობდეს და, როცა რწმუნებამ არ გაჭრა, დიკენსმა, როგორც ჩანს, პირდაპირ მოითხოვა თავისი მითითების შესრულება. სეიმურს მედიდურად ექირა თავი: ვილაც მეტიჩარა. თვითდარწმუნებული ჟურნალისტი უცხადებს, ესკიზში გმირები ანტიპათიურად გამოიქვიჩებიან, ერთი მათგანი „უკიდურესად საზიზღარიც კიაო. მხატვრის ღირსება, მისი ცრუმპარტავნობა უაღრესად ილახებოდა. ეტყობა, საუბარი თითქმის ჩხოზად იქცა და უეცრად შეწყდა. სეიმური წავიდა. მეორე დღეს ახალი ესკიზის მზადებას შეუდგა. მაგრამ, როგორც ჩანს, წყენის, რამციარების, უმწეობის გრძნობა არ უცხრებოდა, მოსვენებას არ აძლედა, ბოლოს ისე შეიპყრო, რომ მხატვარმა უეცრად თავი დაანება მუშაობას, ბალში გავარდა და შუბლში ტყვია იკრა.

გამომცემლების მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. „პიკვიკის“ გამოცემის იდეა სეიმურს ეკუთვნოდა. გამომცემლები იმედოვნებ-

დენ, რომ მკითხველებს გამოჩენილი მხატვრის სახელი მოიხიდავდა. პირველი ნაწილი მძიმედ საღებოდა. ახლა კი სენიშურიც გამოიკალათ ხელიდან. ახალგაზრდა ფირმის საქმეები სახიფათოდ გამოიყურებოდა. მაგრამ დიკენსის ენერჯიამ და თავისი ძალების რწმენამ გამომცემლებიც გაამხნევა. მოიწვიეს მეორე მხატვარი, რომ ბერტ ბასი. მისი ილუსტრაციებიც არ გამოდგა. სხვა პრეტენდენტებიც იყვნენ, მათ შორის — ორი ახალგაზრდა კაცი, ერთს ჯონს ლიჩი ერქვა, მეორეს — უილიამ მეიკპის თეკერი. დიკენსს არც მათი ესკიზები მოეწონა. მან დაარწმუნა ჩეპმენი და ჰოლი, ერთადერთი მხატვარი, რომელიც „პიკვიკის“ დასურათებას შეძლებს, ჰებლოტ ბრაუნიაო. ბრაუნმა ის-ის იყო „ფიზ“-ის ფსევდონიმით დაასურათა დიკენსის პამფლეტი „კვირა“ „სამი თავის ქვეშ“. ბრაუნი შეუდგა მუშაობას და არასდროს არავის არ მისცემია საბაბი, რომ ეს არჩევანი ენანა. ის ჩასწვდა დიკენსის გმირების სულს და ოდნავ კარკატურულად დახატა ისინი. დღესაც ძნელია „პიკვიკის“ პერსონაჟების სხვანაირად წარმოდგენა.

1836 წლის შემოდგომისთვის პიკვიკი ინგლისში პრემიერ მინისტრზე უფრო სახელგანთქმული გახდა. დიკენსმა საკუთარი, სრულიად განსაკუთრებული სამყარო შექმნა, მაგრამ ის სრულიად არაა დავალებული იმ მწერლებისაგან, რომელთაგანაც ესა თუ ის იღვანა. საინტერესოა, რომ „პიკვიკის ჩანაწერებს“, რომლებიც 1836 წლის მარტიდან 1837 წ. ნოემბრამდე გამოდიოდა, პირველი ოთხი თვის განმავლობაში არავითარი მოწონება არ დაუმსახურებია. პირველი ნაწილი მხოლოდ ოთხას ცალად დაიბეჭდა. მაგრამ აი, მეხუთე ნაწილში სამუელ უელერი გამოჩნდა და ტირაფი თავბრუდამხვევი სისწრაფით მატულობს. ასე რომ. მთელი სერიის გამოქვეყნებამდე თვეში ორმოც ათას ცალს მიაღწია. „პიკვიკს“ სახელი სემმა გაუთქვა, მაგრამ თანამედროვე მკითხველების უმრავლესობისათვის ნათელია, რომ მასვე შეეძლო მთლად დაედუბა ის. მწერლობაში არც ერთი კომიკური გმირი არ მოიპოვება, რომ მასზე ნაკლებად კომიკური იყოს, გარდა შექსპირის ოსელოკისა,<sup>1</sup> რომელსაც ტოლი არ მოეპოვება. თხზულების უდიდეს გამარჯვებად ჩვენ სემის ნამის, ტონი უელერის სახე მიგვაჩნია. მისი ნაამბობი, თუ როგორ

<sup>1</sup> ოსელოკა — მასხარა უ. შექსპირის კონედაში — როგორ მოგწონთ?

კვდებოდა მისი ცოლი, თითქმის არ ჩამოუვარდება მისტრის კვიკლის ნაამბობს ფალსტაფის<sup>1</sup> სიკვდილზე. „პიკეიკის“ ცალკეული სცენები რალაც განსაკუთრებულია. გარდა ამისა, ამ წიგნში, თუ ვალტერ სკოტის ორ-სამ რომანს არ მივიღებთ მხედველობაში, ინგლისური ლიტერატურის უბრწყინვალეს იუმორისტულ ფურცლებს ვხვდებით.

ასეთია, მაგალითად, გასამართლების სახელგანთქმული სურათი. საინტერესოა, რომ დიკენსის ფანტაზია სწორედ განსაკუთრებით იქ შლის ფრთებს, სადაც ავტორი უკიდურესად ახლოა ფაქტებთან. სერ ჩარტრ ბაირონის დამოწმებით, ადამიანისათვის, რომელიც სამართლის წარმოების მონაწილე არასდროს ყოფილა, სწორედ ზებუნებრივია ის ცოდნა, რომელსაც დიკენსი ამ დარგში იჩენს. „ჯერ არც ერთ მწერალს არ მოუცია სასამართლოს პროცესისა და მასთან დაკავშირებული განცდების მასავეთ ზუსტი ასახვა. საეჭვოა, მოინახოს სამართლის წარმოების თუნდაც ერთი მხარე, რომ ავტორს არ აესახოს და არ უკვდავეყოს cause célèbre-ში „ბარდლი პიკეიკის წინააღმდეგ“. განსაკუთრებით ემარჯვება დიკენსს. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, რომლებიც ორ-სამ გვერდზე ევლინებიან მკითხველს და შემდეგ უჩინარდებიან.

ლიტერატურის ისტორიას „პიკეიკით“ გამოწვეული ფურცრის მსგავსი არაფერი ახსოვს. ისინი, ვისაც ის მაინც და მაინც არ მოსწონდა, საერთო ენთუზიაზმს „ბოსომანიას“ ეძახდნენ. მოდაში პიკეიკის ქუდები, პალტოები, ჯოხები და სიგარები შემოვიდა. ძაღლებს და კატებს „სემს“, „ჯინგლს“, „ბარდლს“, „ტროტერს“ არკმევდნენ. ადამიანების მეტსახელებად „ტაკმენი“, „უინკლი“, „სნოდგრასი“ და „სტიგენსი“ გაჩნდა. „სქელი ჭაბუკი“ ხომ ინგლისური ენის ლექსიკონში შევიდა. გამოვიდოდა თუ არა თხზულების მორიგი ნაწილი, მისი მთელი თავები იაფფასიან პერიოდულ გამოცემებში ქვეყნდებოდა. გაქნილი გაიძვერები წიგნს უნებართვოდ ბეჭდავდნენ, იპარავდნენ, ვინც რას შესძლებდა, პიესებად აკეთებდნენ თეატრებისათვის. და ერთადერთი კაცი, რომელსაც ამ ოპერაციებიდან არავითარი შემოსავალი არ ქონდა, თვით დიკენსი

<sup>1</sup> ფალსტაფი და მისტრის კვიკლი — უ. შექსპირის პიესა „ჰენრიხ V“-ის მოქმედი პირები.



იყო. მან თავის გამომცემლებს მისწერა: „ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ „ბიკვიკის“ გაყიდვით მიღებულ სოვერენებს დათვლით და რამდენიმე ცალს მეც გამომიგზავნით“. წიგნის დამთავრების აღსანიშნავად 1837 წლის ნოემბერში გამართულ ბანკეტზე ლაპარაკობდნენ, ავტორსა და გამომცემლებს წერილობითი ხელშეკრულება არ დაუდვიათ, ყველაფერი ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა და ორივე დაინტერესებული მხარე შედეგების კმაყოფილი დარჩაო. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გამომცემლებმა ოცი ათას გირვანქა სტერლინგამდე წმინდა მოგება მიიღეს, ხოლო ავტორს ორი ათას ხუთასი გირვანქა ერგო ჰონორარად, საეჭვოა, რომ ის ისევე კმაყოფილი დარჩენილიყო, როგორც გამომცემლები. ყოველ შემთხვევაში, დიკენსმა გადაწყვიტა, ამის შემდეგ უმთავრესად სწორედ ავტორის ინტერესებით ეხელმძღვანელა და ზეპირი შეთანხმებებისათვის ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო.

## შ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ა ნ ი

წარმატების პირველი ნაყოფი ის იყო, რომ დიკენსმა „მორნინგ ქრონიკლ“ მიატოვა, და 1836 წლის ზაფხულის დარჩენილი დღეების გასატარებლად ქალაქგარეთ იქირავა კოტეჯი ელმ ლოჯი.

როცა გაზეთის პატრონებმა გაიგეს, დიკენსი ერთი თვის შემდეგ გაზეთის მიტოვებას აპირებსო, გაცოფდნენ. დიკენსი კი თავის მხრივ იმით იყო აღშფოთებული, რომ გაზეთში ვერ დააფასეს. ამიტომ განშორება საკმაოდ ცივ, უფრო სწორად, საკმაოდ დაძაბულ ატმოსფეროში მოხდა. დიდი ამბავი! მას შეეძლო მედიდურად დაეჭირა თავი ძველ მეპატრონეებთან, რადგან გამომცემლები, რედაქტორები და თეატრების დირექტორები გამალებით ცდილობდნენ მის ტროფეებში დაედოთ წილი. როგორც კი დარწმუნდა დიკენსი, რომ ყოველ ახალ თხზულებას დაუყოვნებლივ ხელიდან გამოსტაცებდნენ, თეატრისკენ ჰქნა პირი. დაწერა ორი ფარსი: ორაქტიანი „უცნაური ჯენტლმენი“, ერთაქტიანი „მისი ცოლია?“ და კომიკური ოპერა „სოფლის კეკლუცები“. სამივე პიესა ახლად აგებულ თეატრ სანტ-ჯაიმსში დაიდგა 1836—1837 წლებში. თუმცა პიესებს წარმატება ხვდა, უეჭველია, ეს საქმე დიკენსს მალე მოსწყინდა. ის რომ არა მხოლოდ ავტორი, არამედ დამდგმელი და მთავარი როლის შემსრულებელიც ყოფილიყო, ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ მსახიობთა ჰირვეულობას, მომღერალი ქალებისა და რეჟისორების ახირებას დიკენსი ერიდებოდა. უფრო გვიან, ამ თხზულების მოგონება მას არც კი სურდა. მათი სცენაზე დადგმიდან შეიდი წლის შემდეგ იგი ამბობდა: „როცა ეს პიესები დავწერე, არ

დავფიქრებულვარ, რომ ისინი ჩემი სახელისათვის სახიფათო იქნებოდა. ახლა არ დაეწერდი მათ, ათასი გირვანქაც რომ შემომთავაზონ, და გულწრფელად მსურს მათი სამუდამოდ დავიწყება“.

დიკენსმა გაიგო, რომ კრუკშენკს სურდა ზოგი რამ გადაეკეთებინა ბოსის „ნარკვევების“ მეორე სერიის ტექსტში. მსახიობებზე ისედაც გულაყრილ მწერალს საბაბი მიეცა გაგულისებულიყო. ჯონ მაკრონს რისხვის წერილი მისწერა: „დიდი ხანია ვთვლი, რომ კრუკშენკი ჰკუაზე შემცდარია და ამიტომ მის წერილს არ გავუკვირვებოვარ. როცა წერილს მისწერთ, ძალიან დამავალებთ, თუ ჩემი სახელით აცნობებთ, რომ მისმა იდეამ ძლიერ გამართო! მას უნდა ჩემი ხელნაწერი გაასწოროს! ეს რომ მომხდარიყო, მის შესწორებებს შევიანხავდი, როგორც „ლიტერატურულ კურიოზს“. ჩემი გარკვეული წინადადებაა: ჩამომეხსნას. ვიდრე ამ წიგნთან რაიმე დამოკიდებულება მაქვს, არ მინდა მისი ხელი შეეხოს. თუ ილუსტრაციები საჭიროა, ფიზი საუკეთესოდ შეასრულებს“.

ის ფაქტი, რომ დიკენსმა წარმატების მიღწევისთანავე თეატრისთვის წერა მოიწადინა, მისი ხასიათის მნიშვნელოვან თავისებურებას ნათელჰყოფს: ეს ადამიანი ბუნებით მსახიობი იყო. როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში მსახიობთა ორი კატეგორია არსებობს: არის „გმირი“, რომელიც მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როცა თავის თავს თამაშობს, და არის მსახიობი, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს კარგად, როცა სხვა ვინმეს წარმოადგენს. მეცხრამეტე საუკუნის ორი ხელოვანი — ბენჯამინ დიზრაელი და ოსკარ უაილდი შემსრულებელთა პირველი ტიპის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდნენ — ისინი ცხოვრებაში იყვნენ მსახიობები, თავიანთი თავით გატაცებული ადამიანები, რომლებსაც დაკვირვებით აერჩიათ როლი. მათი ყოველი მოძრაობა, ყოველი სიტყვა მხოლოდ მათთვის იყო ტიპიური. ჩარლზ დიკენსი კი ისეთი მსახიობის საუცხოო მაგალითს წარმოადგენდა, რომელსაც შეუძლია თავი სხვა ვინმედ წარმოიდგინოს და ურიცხვი ტიპი განასახიეროს. ის ცხოვრებაში დევიდ გარიკი იყო, შეეძლო სცენაზე მეორე გარიკი ეთამაშა. უნდა ითქვას, საკონცერტო ესტრადაზე ის ორმაგად გარიკი გახლდათ. მისი სიყრმის ოცნება, პროფესიული მსახიობი გამხდარიყო, რომ ვერ განახორციელა, მუდამ მწარედ ნანობდა. ჩვენდა საბედნიეროდ, მისი სასცენო ნიჭი ლიტერატურული გმირების შექმნაში გა-

მოვლინდა. ყველა მის გმირს რაღაც სპეციფიკურად თეატრალური ახასიათებს, თანაც უაღრესად რელიეფურად და ცოცხლად არის დახატული. ავტორს რომ ათიოდე მათგანის სცენაზე განსახიერების საშუალება მისცემოდა, იგი თავისი დროის უდიდესი მსახიობი იქნებოდა. ის თავისი გმირების ცხოვრებით ცხოვრობდა და თვითონაც არ იცოდა, მისი რა ნაწილი იყო თითოეულ მათგანში. ჩვენი აზრით, ყველა პერსონაჟი რაღაცით მას ჰგავს. როცა ცდილობდა კომიკური და იმავე დროს საზიზღარი სახეები შეექმნა, ვერ ამჩნევდა, რომ მათში მაინც ხალისიანი ნაპერწკალი ელავდა. ეს სიცოცხლის მჩქეფარე სიყვარულია, რომელიც თვით ავტორის მსახიობურ ბუნებას ახასიათებდა.

ბუნებით მსახიობი ისაა, ვისშიც ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები გაზვიადებულ ფორმას ღებულობს და ვისაც ამ გრძნობების გამომწვეურება სწყურია. ასეთი ადამიანი სხვებზე უფრო მჭეჩარედ იცინის, თავშეუყავებლად ქვითინებს, მისი რეაქციები მძაფრი და მკვეთრია. ამ მხრივ დიკენსი ყველა დიდი მწერლისაგან განსხვავდება. ფილდინგის ან სმოლეტის, თეკერის, ჰარდის, უელსის მსახიობებად წარმოდგენა ძნელია, დიკენსი კი თავიდან ფეხებამდე მსახიობი იყო. მისი გმირები, მისი იუმორი, მისი გრძნობები სცენურია: ის სწრაფად ამჩნევს ადამიანის ბუნების უცნაურ მხარეებს, ფოტოგრაფიული სიზუსტით ხატავს მათ, და როგორც გარიკი ან კინი<sup>1</sup> ისევ და ისევ უბრუნდება მათ. თავის შეგრძნებებს მსახიობივით გამომეტყველად გადმოგვცემს. ქარიშხალს ის კი არ აღწერს, არამედ დგამს, როგორც რეჟისორი დადგამდა სცენაზე: მისი ავკაცები მელოდრამატულები, სცენისათვის გაჩენილი არიან. მისი თხზულებების ზოგი ადგილი თითქოს თეატრისათვისაა განკუთვნილი. ამიტომ მისი რომანები ძლიერ იზიდავდა მსახიობებსა და დრამატურგებს. ჩვენს დროში დიკენსი კინოსცენარების ავტორების მეფე გახდებოდა და პოლივეუდი ფეჩქვეშ გაეგებოდა.

თავის ქმნილებებს დიკენსი თვითონაც ენათესავებოდა: მკვირცხლი. დაუდეგარი, ადვილად აღმზუნებადი, მხიარული, ენერგიით

---

<sup>1</sup> კინ ელმუნდი — დიდი ინგლისელი მსახიობი-ტრაგიკოსი, მე-19 ს-ის II ნახევარში.

და ენთუზიაზმით აღსავსე და ემოციური იყო: ხარბად ისრუტავდა ყველაფერს, რაც გარშემო ხდებოდა, სულიერი განწყობილება ხშირად ეცვლებოდა — დღეს გულლია და მხიარული, ხვალ განმარტოებისკენ მიილტვოდა. იცინოდა მასთან, ვინც მხიარულობდა, მწუხარებაში მყოფთან თავშეკავებულად ქვითინებდა. მთელი თავისი არსებით ეძლეოდა ყველაფერს, რასაც მოეციდებოდა, შემოქმედებითი აღტყინება მთელ სამყაროს ავიწყებდა. „ასეთი ადამიანი მალალი საზოგადოების სალონში — ღმერთო ჩემო! — წერს ლი ჰანტი<sup>1</sup>! დიკენსთან პირველი შეხვედრის შემდეგ, — მასში მეტი სიცოცხლეა, მეტი სულია, ვიდრე ოცდაათ სწავში“<sup>2</sup>. კარლელიძე, რომელმაც უკვე სახელგანთქმული დიკენსი დიდ წვეულებაში გაიცნო, მისი შესანიშნავი „მომენტალური ფოტოსურათი“ დაგვიტოვა: „შესანიშნავი ვინმე ყოფილა ეს ბოსი: კევიანი, ლურჯი, კრიალა თვალები, გასაოცრად მალლა აფრენილი წარბები, დიდი, ძლიერ მოკუმული პირი, წინ წამოწეული ტუჩები, არაჩვეულებრივად მოძრავი პირისახე — როცა ლაპარაკობს, მისი წარბები, თვალები, პირი — ყველაფერი მოძრაობს. ძალიან თავისებურია. ამ სახეს უფერული კულულები აგვირგვინებს. ეს თავი დაადგით კარგად მოყვანილ ტანს, დაუშმატეთ ჩაცმულობა არა თუ კარგი, არამედ დ'ორსესებური და აი, პიკეიკი! ბევრს არ ლაპარაკობს. გარეგნულად გამკრიახი ჩანს. ეტყობა, მშვენივრად იცის თავისი და სხვისი ფასი. აღსანიშნავია, რომ თავის მეორე თანამედროვეზე, სახელგანთქმულ მსახიობ მაკრიდიზე<sup>3</sup>, ეკვიან და ფიცხ ადამიანზე, დიკენსთან სიახლოვე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა. ის ერთადერთი მეგობარი იყო, რომელთანაც მაკრიდის უსიამოვნება არ მოსვლია. ყოველ გრძნობა — გაჭავრება იქნებოდა ის თუ აღტაცება. სიბრაღული თუ კმაყოფილება — ეღვის სისწრაფით გამოიხატებოდა ხოლმე დიკენსის სახეზე, რომელიც გონების არაჩვეულებრივ სიმკვირცხლეზე, გამკრიახობაზე და გრძნობათა სიწრფელეზე მეტყველებდა. მიუხედავად კონტა ჩაცმულობისა და ხასხასა პირისკანისა, ის საქმიანი და ფხიზელი კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა. მიმოხრა ენერგიული ჰქონდა, შესახედაობა — წარმოსადეგი, თავის დაქერის მანერა — მხნე

<sup>1</sup> ლი ჰანტი — ცნობილი ინგლისელი პოეტი, დიკენსის თანამედროვე.

<sup>2</sup> მაკრიდი უილიამი — ინგლისელი მსახიობი, ტრაგიკოსი.

და გაბედული. ცხვირის მკვეთრი ხაზები და განიერი ნესტოები შინაგან ძალაზე მეტყველებდნენ. კარლეილის თქმით, მისი სახე „თითქოს ფოლადისაგან ჩამოსხმული“ იყო. ამ ადამიანში ტემპერამენტიანი მსახიობი მშვენივრად უთავსდებოდა ყაირათიან საქმოსანს, რაც საუკეთესოდ ჩანს მის ურთიერთობაში გამომცემლებთან.

1836 წლის ზამთარში დიკენსმა გარისონ ეინსვორტის ოჯახში თავისი მომავალი ბიოგრაფი-ჯონ ფორსტერი გაიცნო. უმაღლვე ერთმანეთისადმი სიმპათია იგრძნეთ, თუმცა ფორსტერი ალტაცებასთან ერთად, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულიც იყო, როცა დიკენსმა მათი ნაცნობობა უმაღლვე მჭიდრო მეგობრობად აქცია. ზოგი ადამიანის კეთილი განწყობილება-ან მადლიერება რომ მოვიპოვოთ, ხშირად უნდა მივმართოთ რჩევისა და დახმარებისათვის. სწორედ ამით დაიმსახურა დიკენსმა ფორსტერის სიყვარული და პატივისცემა. დიკენსისათვის, რომელმაც 24 წლის ასაკში ფენომენალურ წარმატებას მიაღწია, მართლაც აუცილებელი იყო დაკვირვებული ადამიანის რჩევა და დახმარება. ფორსტერთან მეგობრობა იყო ის, რაც მას ესაჭიროებოდა. ფორსტერსაც ძალიან უნდოდა დიკენსთან მეგობრობა. სწრაფად მოპოვებული დიდება და თავისი ძალების რწმენა დიკენსში შემოქმედებითი ენერჯის სიჭარბეს იწვევდა და მანაც აუარებელი წიგნი დაწერა (ჯერ მხოლოდ თავის წარმოდგენაში), დაუდო ხელშეკრულება გამომცემლობებს, როცა ჯერ არც ერთი სიტყვა არ ჰქონდა დაწერილი. მზად იყო ლონდონის ყველა გამომცემლისათვის მიეწოდებინა თავისი წიგნი და თვალდახუჭულს მოეწერა ხელი ყოველნაირ ხელშეკრულებაზე. ფორსტერმა გაცნობის პირველი დღეებიდანვე მოჰკიდა ხელი მის საქმეებს და უპირველეს ყოვლისა სცადა კონფლიქტის მოგვარება მაკრონთან. 1836 წლის მაისში, როცა „პიკვიკის“ ბედი ჯერ კიდევ ბეწვზე ეკიდა, დიკენსი შეუთანხმდა ჯონ მაკრონს: — დავწერ რომანს „გაბრიელ ვარდონს“, ნოემბრის დამლევს ხელნაწერს ჩაგაბარებთ და პირველი გამოცემისათვის ორას გირვანქას მაშინვე მივიღებო. იმავე წლის აგვისტოში, როცა ქვეყანას სემ უელერი მოევლინა და „პიკვიკის“ წარმატება უეჭველი იყო, დიკენსმა მეორე გამომცემელს, რიჩარდ ბენტლის კიდევ ორი რომანის დაწერა აღუთქვა (ამჯერად ჰონორარი ათას გირვანქას შეადგენდა). ხოლო პირველ ნოემბერს მადლობის გრძნობით აღსავსემ, მეგობრულად და მხიარულად განწყო-

ბილმა, „პიკვიკის“ გამომცემელს მისწერა: „ამით ვნიშნავ და ვამტყიცებ უილიამ ჰოლსა და ედვარდ ჩემპენს და აგრეთვე მათ მემკვიდრეებს და მეურვეებს ჩემი ნაშრომის გამომცემლებად, ვიდრე გაზეთებში არ გამოქვეყნდება განცხადება, რომ გამოსულია ჩარლზ დიკენსის უკანასკნელი გამოცემა — ერთტომეული ხის გარეკანითა და სპილენძის ილუსტრაციებით“. სამი დღის შემდეგ, მან განაცხადა, იანვრიდან რიჩარდ ბენტლის ჟურნალის რედაქტორობას ვიკისრებ და ამავე ჟურნალში სერიებად გამოსაცემ რომანს მოვამზადებო. ეს რომანი სათაურით „ოლივერ ტვისტი“ „ბენტლის ალმანახის“ თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა და 1839 წლის მარტამდე იბეჭდებოდა. ლირექტორის სავარძლის დაქერის შემდეგ დიკენსი მიტყდა, რომ ხელშეკრულებათა ასეთი სიმრავლე უექველად უთანხმობას გამოიწვევდა და ზომები მიიღო, პირველი მათგანი მაინც გაეუქმებინა. ას გირვანქად მან მაკრონს ბოსის ნარკვევების ორივე ნაწილის გამოცემის უფლება მისცა. ხელშეკრულება „გაბრიელ ვარდონზე“ გაბათილებული იქნა. მაგრამ ტყუილად კი არ უწოდებდა მაკრონი თავის თავს გამოცდილ გამომცემელს. იმ მომენტში, როცა „ბოსომანია“ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ბოსის ორი წიგნი შეტად ფასობდა, ვიდრე მხოლოდ ავტორის წარმოდგენაში არსებული ახალი წიგნი. მაკრონმა გადაწყვიტა, ახლად გამოეცა „ნარკვევები“ ყოველთვიურად და დაერთო ხოლმე ისეთივე ილუსტრაციები, როგორც „პიკვიკში“ იყო.

გაიგო თუ არა დიკენსმა მაკრონის განზრახვა, საჩქაროდ მისწერა ფორსტერს: „ბუნებრივია, რომ მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. შეიძლება იფიქრონ, რომ ესარგებლობ „პიკვიკის“ წარმატებით და მატერიალური მოსაზრებით ძველი ნაშრომი ახალი ტანსაცმლით მოვრთე, რათა თავს მოვახვიო მკითხველს“. მაკრონმა უკვე ისედაც დიდი მოგება ნახა „ნარკვევებში“ და ისე აიღო ახალი გამოცემის ნებართვა, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს. ამ დროს „ბენტლის ალმანახში“ უკვე ყოველთვიურ სერიებად იბეჭდებოდა დიკენსის ორი თხზულება „პიკვიკის ჩანაწერები“ და „ოლივერ ტვისტი“. ასეთივე ტიპის კიდევ ერთი გამოცემა ძლიერ ავნებდა ავტორის რეპუტაციას და დიკენსი დიდი გულისწყრომით წერს იმას, რაზეც ფორსტერი წინდაუხედავად დუმს.

„საჭიროდ მიმაჩნია, დავუმატო და ეს დაუფიქრებელი მუქარა

კი არა, მომწიფებული, აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებაა. თუ ეს ახალი გამოცემა მაინც განხორციელდა, მე ყველა გაზეთში გამოვაცხადებ, რომ ეს ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოხდა და რომ მე დაბეჯითებით ვთხოვ ყველა ჩემს მეგობარს არ შეიძინოს ეს გამოცემა; სადაც ის მოათავსებს ახალი გამოცემის რეკლამას, მეც იქვე დავბეჭდავ ამ განცხადებას“. წერილის ბოლოს დიკენსი ამბობს. თუ მაკრონმა ხარჯი უკვე გასწია ახალი გამოცემისათვის, ჩემგენი და ჰოლი მზად არიან მისგან გამოცემის უფლება შეისყიდონო.

ამ მუქართა და გამოცემის უფლების გამოსყიდვის წინადადებით გემართა ფორსტერი მაკრონთან, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, განაცხადა, უფლება მაქვს ჩემი საკუთრება, როგორც მსურს, ისე მოვიხმარო. როცა ფორსტერმა სიტყვა ჩამოაგდო „ნარკვევების“ გამოცემის უფლების შესყიდვაზე, მაკრონმა უპასუხა, უსიამოვნება რომ არ გამეორდეს, ავტორს შეუძლია; „ნარკვევები“ ორიოდ ათას გირვანქად მიიღოსო. მაკრონის გაუმძღვრობით შეძრწუნებულმა ფორსტერმა დიკენსს უჩნია, აღარ ვანეგრძო ბრძოლა. როგორ? არაფერი იღონოს, როცა მისი ინტერესები ითვლება?! არა, ეს შეუძლებელია! მან ეგ საქმე დაუყოვნებლივ ჩემგენსა და ჰოლს მიანდო. გაიმართა მაკრონთან მოლაპარაკება. ჩემგენი და ჰოლი დაეთანხმნენ მაკრონს. ორი ათას ორას ორმოცდაათი გირვანქა მისაღები ფასიაო. მორიგდნენ. „ნარკვევები“ მაინც სერიებად გამოვიდა, მაგრამ არა მაკრონის, არამედ ჩემგენისა და ჰოლის გამოცემით, რადგან ეს ხარჯების დაფარვისა და მოგების მიღების ერთადერთი საშუალება იყო. ამრიგად, ცხარე მოლაპარაკებაში დიკენსის მთავარი პრეტენზია მაკრონისადმი დავიწყებას მიეცა.

მაგრამ დიკენსის თვალსაზრისის გაგებაც არ არის ძნელი. თუ ვილაც მკითხველისათვის ძველი თხზულების შეპარებით ჯიბეს ისჯვლებს, წილი ავტორსაც უნდა ერგოს, თუნდაც ის ამ წამოწყების წინააღმდეგი იყოს. მაგრამ დიკენსის უკმაყოფილებას ძირითადად მისი ნაშრომებისადმი თავისუფალი მოპყრობა იწვევდა: პიკვიკს ბაძავდნენ, მასზე პაროდიებს წერდნენ, ამოკლებდნენ და გადააკეთებდნენ ხოლმე, ცალკე წიგნებადაც ბეჭდავდნენ და სერიებადაც, თეატრისათვისაც. ყოველივე უდიდესი აღფრთოვანებით ხდებოდა, ეს ავტორს კიდევ ახარებდა და კიდევ აცოფებდა. დიკენსს მაკრო-



ნის გეგმის საწინააღმდეგოდ ბევრი არაფერი ეთქმოდა, მაგრამ ყაჩაღურმა თავდასხმებმა ავტორის უფლებებზე ისე განაწყო ეს უკანასკნელი, რომ მაკრონის სრულიად გონიერ ნაბიჯებშიც მძარცველის განზრახვას ხედავდა. როგორც მძლავრი ემოციებისა და მეტად ფიცი ადამიანს, დიკენსს რისხვაც ადვილად ეუფლებოდა და სიბრაღულიც. ორიოდვე წლის შემდეგ. მაკრონი გარდაიცვალა. დიკენსმა გაიგო, რომ მისი ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. მან მოთხოვნებისა და ნაკვევების კრებულის რედაქტორობა იკისრა. კრებულში თავისი მოთხოვნებიც იყო. წიგნს უწოდა „ჩანაწერები პიკნიკიდან“ (რამაც კრებულის სწრაფად გასაღებას შეუწყო ხელი). ამ გზით დიკენსმა ქერივს და მის ობლებს სამასი გირვანქა სტერლინგი უშოვა.

დიკენსი ყოველთვის როდი ფლობდა თავის გრძნობებს. ამ გარემოებამ განსაკუთრებით ძლიერ ერთ შემთხვევაში იჩინა თავი და უდიდესი გავლენა მოახდინა მასზე. ეს ამბავი მოხდა სულ მალე მისი ქორწინების შემდეგ. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შედეგი იყო წიგნი, რომელმაც მთელი ეპოქა ცრემლის მორევში ჩაახშო და ბევრად შეუწყო ხელი ავტორის ყველაზე საყვარელ პოპულარულ მწერლად ქცევას ინგლისში.

1836 წლის შემოდგომაზე დიკენსებთან ფერნივალს-ინში დასახლდა ქეთის და, თექვსმეტი წლის მერი. მას შემდეგ რაც დიკენსი დიდ მწერლად აღიარეს. მისი მეგობრების წრე სწრაფად იზრდებოდა. მასში შედიოდნენ ცნობილი მხატვრები დანიელ მაკლიზი და კლარკსონ სტენფილდი, სახელგანთქმული მსახიობი უილიამ მაკრიდი, გამოჩენილი ადვოკატი ტალფური, ორი ბრწყინვალე კრიტიკოსი უილიამ ჯერდანი და ჯონ ფორსტერი და გამოჩენილი რედაქტორი ლი ჰანტი. დიკენსი ხშირად არ სადილობდა შინ და ზოგჯერ ზედმეტსაც დალევდა ხოლმე. „ღღეს ღამის პირველ საათზე მოვედი სახლში და მოყვარულმა მეუღლემ დამაწვინა ლოგინში“. — სწერდა ის ერთ-ერთ მეგობარს. 1837 წლის 6 იანვარს გაჩნდა მისი პირველი შვილი — ვაჟი. ამის შემდეგ ქეთის ჯანმრთელობა საეჭვოდ ეჩვენა დიკენსს და ცოლ-ქმარი ცოტა ხნით ჩოკში წავიდნენ, იქ, სადაც მათ თაფლობის თვე გაატარეს. ზომაზე მეტი შრომისა და მღელვარებისაგან დიკენსს საშინელი თავის ტკივილები დაეწყო და მას „დაუყოვნებლივ გამოუწერეს წამლები“.

„ბენტლის ალმანახის“ საქმეები წარმატებით მიდიოდა წინ და გამომცემლის წინადადებით დიკენსი გაირიყვინა წევრად ჩაეწერა. ის ძლიერ იღლებოდა, ან რა გასაკვირია: უურნალი, ორი რომანი, რომლებიც სერიებად გამოდიოდა, წამდაუწუმ სტატიები და ათეული სხვა და სხვა საქმე. „მეტის გაკეთება არ შემოიძლია ორი ხელით და ერთი თავით“, შესჩიოდა ის კრუკშენკს. მაგრამ მას აღმოაჩნდა დრო, რომ მერისთან ერთად ერბინა უფრო შესაფერი სახლის საშოვნელად და აპრილის დამდეგს დიკენსი, ქეთი, ბავშვი, ჩარლზის ძმა და მერი გადავიდნენ დაუტი-სტრიტზე № 48 სახლში, სადაც მათ თითქმის სამი წელი იცხოვრეს.

დიკენსი ბუნებით ისეთი იყო, რომ მიუწვდომელი მუდამ მისაწვდომზე უფრო იზიდავდა. მერი მას ბევრად უფრო ღრმად შეუყვარდა, ვიდრე თავისი ცოლი უყვარდა, თუმცა იმ დროს ამაში თავს არ უტყდებოდა. მშვენიერი, სიცოცხლით სავსე, გულთბილი, გულისხმიერი, ჰკვიანი მერი მას არაჩვეულებრივ მოვლენად სთვლიდა ამ ქვეყნად, ხოლო მისი თხზულებები ყველაზე გასაოცრად მიაჩნდა. დიკენსი ასეთ თავყვანისმცემლისადმი გულგრილი როდი იყო. პირიქით! მაგრამ ისინი ახლო ნათესავეები იყვნენ და მათ შორის რაიმე ცოდვილი ზრახვის გულში გავლების შესაძლებლობაც კი გამორიცხული იყო. ამიტომ დიკენსისათვის მერი წმინდანად, იდეალურ არსებად იქცა. ასეთი იდეალიზაცია სავსებით შეეფერებოდა დიკენსის სულისკვეთებასა და ბუნებას. მისთვის ადამიანთა ურთიერთობაში სრულყოფილების ზღვარი იყო სწორედ ასეთი ღრმა, ჰარმონიული სულიერი სიახლოვე ქალთან, რომელმაც თავისი თავი მის ინტერესებს უძღვნა. ცოლი საოჯახო საქმეებში იყო ჩაფლული, დიკენსი ყველგან მერის დაატარებდა: ოფიციალურ მიღებებზე, მეგობრებთან, გამოფენებზე, თეატრებში. ეს ყველაზე ბედნიერი დღეები იყო მის ცხოვრებაში — ის ნეტარებად დიდების სხივებით გაცისკროვნებული და მერის თავყვანისცემით დამთვრალი. მაგრამ ბედნიერება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. 6 მაისს, შაბათს ახალ ბინაში გადასვლიდან ხუთი კვირის შემდეგ დიკენსმა ქეთი და მერი თეატრ „სან-ჟეიმსში“ წაიყვანა. საღამო საუცხოოდ გაატარეს. მერი, როგორც ყოველთვის, მშვენიერ გუნებაზე იყო. ღამის პირველ საათზე ის თავის ოთახში შევიდა დასაძინებლად, მაგრამ ტანზე გახდილიც არ იყო, რომ უეცრად თავი ცუდად იგრძნო. მაშინვე

ექიმი მოიწვიეს. მერის გულის მანკი აღმოაჩნდა. ექიმის ყველა ცდა ამაო იყო. მეორე დღეს მერი გარდაიცვალა. „მადლობა ღმერთს, ეს ჩემს ხელში მოკვდა და უკანასკნელ წუთებში ჩემს სახელს ჩურჩულებდა“, — წერდა დიკენსი.

ეს უღმობელი თავზარი იყო. კიდევ კარგი, რომ გადაუდებელი საქმეები დიკენსის ყურადღებას მოითხოვდა და არ აცლიდა. მწეხარე ფიქრებში ჩაფლულიყო. მის სიღედრს გული შეუღონდა და მთელი დღე უგრძობლად იწვა, შემდეგ კი მოძრაობის უნარი მთელი კვირით დაკარგა. ქეთი მასთან იყო, ანუგეშებდა და უვლიდა; ასე რომ ჩარლზს მოუხდა წერილების დაგზავნა და ყველაფრის გაკეთება, რაც ასეთ შემთხვევაში საჭიროა. „ვერ წარმოიდგენთ, რა სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო ჩვენ ყველანი ამ საშინელმა დანაკლისმა, — უამბობდა ის ერთ თავის ნათესავს. — მას შემდეგ, რაც ქეთი და მე შევეუღლდით, მერი ჩვენი სული და გული იყო. მისი სილამაზე და სრულყოფილება საერთო აღტაცებას იწვევდა. მე სისხლით ახლობელი ადამიანის ან ძველი მეგობრის დაკარგვას უფრო ადვილად გადავიტანდი. მის მაგივრობას ჩვენ ვერავინ გაგვაწევს. მისი დაკარგვის შემდეგ დაგვრჩა სიცარიელე, რომლის შევსების არავითარი იმედი არ არის“. დიკენსი მერიზე ისე წერდა, როგორც ადამიანი, რომელსაც მწუხარებისაგან თავი არ ახსოვს. „ჩვენი ბედნიერი ოჯახური წრის ლამპარი“, „სული და გული“, „ჩვენი სახლის მშვენება და სიამაყე“, „ჩვენი სიცოცხლე და სიხარული“. დიკენსს მერი იმ არსებად ჰყავდა წარმოდგენილი, რომელიც დროთა ვითარებაში ქვეყანამ პატარა ნელის სახელით გაიცნო თხზულება „სიძველეთა სავაჭროში“. „მე საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ასეთი სრულყოფილი არსება ქვეყანას არასოდეს უნახავს. მისი სულის ყველა ფარული კუნჭული ჩემთვის ღია იყო. შემეძლო მისი ღირსეულად დაფასება. მას არავითარი ნაკლი არ გააჩნდა“.

დიკენსი გულს ვერ უღებდა სამუშაოს. მან თავი მიანება „პიკვიკსა“ და „ოლივერ ტვისტს“. მათში არც ერთი არ გამოსულა. „ბენტლის აღმანახის“ მკითხველებს გამოუცხადეს, ავტორი დასტირის „უაღრესად ძვირფას ახალგაზრდა ნათესავ ქალს. რომელიც მსურველედ უყვარდა და რომლის გვერდით ყოფნა მუშაობის შემდეგ მისთვის დასვენება იყო“. მერის დასაფლავების შემდეგ დიკენსები ჰემპსტედში კოლინზ ფარმზე წავიდნენ, იქიდან ჩარლზმა

მოსწერა გარისონ ეინსვორტს: „მე ისეთი თავზარი დამცა იმ ქალი-  
შვილის დაკარგვამ, რომელიც ჩემი ცოლის შემდეგ ყველაზე უფრო  
მიყვარდა ამქვეყნად, რომ იძულებული ვარ, ამ თვისთვის დაგეგმილ  
სამუშაოზე ხელი ავიღო. ვცდი, სიწყნარესა და მარტობაში დავი-  
სვენო ორი კვირა“. ერთხელ კვირა დილას ეინსვორტი ეწვია. დი-  
კენსს, მაგრამ შინ ვერ ნახა: ის ეკლესიაში წასულიყო. ესტუმრა მას  
ფორსტერი, მაკლიზი ჩამოვიდა გასამხნეველად და სანუგეშოდ  
ქეთის, უეკველად ანგელოზის ხასიათი უნდა ჰქონოდა, რაკი ასეთ  
ღროს ქმრისაგან შექება დაიმსახურა: „მან მძიმე განსაცდელი ისე  
აიტანა, როგორც კეთილშობილ, მშვენიერი სულის ქალს შეჰფე-  
რის“. „მან იცის, რომ, თუ რომელიმე მომაკვდავი არის ცაზე ასე-  
ლის ღირსი, მისი და უეკველად იქ არის. მისი მოგონებები დაზე —  
ეს მხოლოდ უსაზღვრო სიყვარულით სავსე დღეების გრძელი წყე-  
ბაა. არც ერთი უხეში სიტყვა, არც ერთი ბოროტი გამოხედვა არ  
გაახსენდებოდა ქეთის მისგან. ვერც თავის თავს უსაყვედურებდა  
და ახლა ისე გულმშვიდად და მხნედ არის, რომ მისი ნახვა გაგი-  
კვირდებათ“. ელდისაგან, რომელიც მერის სიკვდილმა გამოი-  
წვია, ქეთის მუცელი მოეშალა, მაგრამ დიკენსს ეს მაშინ დიდ უბე-  
დურებად არ ჩაუთვლია.

მერის მოგონება დიდხანს არ ასვენებდა მწერალს. თეატრ „სანტ  
ჯეიმსში“ ის ვერ ჯდებოდა ვერც იმ რიგში, რომელშიც ისინი მერის  
დაღუპვის წინა ღამეს ისხდნენ, ვერც დარბაზის სხვა ადგილას, სა-  
იდანაც ლოყა ჩანდა.

როცა დიკენსი „ოლივერ ტვისტში“ როზ მეილის გარეგნობას  
აღწერდა, ის ხატავდა მერის ისე, როგორც მის წარმოდგენაში  
დარჩენილიყო ქალიშვილი. „ის ჩვიდმეტობდნე წლისა იყო. ისე მსუ-  
ბუქი და ნატიფი, ისე ალერსიანი და თვინიერი, წმინდა და მშვენი-  
ერი, გვეგონებოდათ, დედამიწა მისი ტარებდს, ხოლო დედამიწის  
ტლუნქი ბინადარნი — მის გვერდით ცხოვრების ღირსნი არ არი-  
ანო. ასეთ ნორჩ მიწიერ არსებაში ძნელი წარმოსადგენია ის ჰკუთა,  
რომელიც მისი ღრმა ლურჯი თვალებიდან ანათებდა და კეთილშო-  
ბილ შუბლზე იყო აღბეჭდილი. და მაინც ეს ცვალებადი, კეთილი,  
საყვარელი გამოხედვა, ეს ათინათი, რომელიც სახეზე ეფინებოდა  
და, რაც მთავარია, ეს მხიარული, გულთა ღიმილი, რომელიც სა-  
ხეზე ყოველივე ჩრდილს აცლიდა — ყველაფერი თითქოს ოჯახური

კერისთვის, ოჯახური ბედნიერებისათვის, მშვიდი საღამოებისათვის იყო გაჩენილი“. იმავე წიგნში დიკენსი არ მალავს სურვილს, გაჰყვეს ქალიშვილს იმიერ სამყაროში.

ამ ტრაგედიიდან ექვსი თვის შემდეგ დიკენსი სწერდა თავის სიღედრს: „მის ნაჩუქარ ბეჭედს არც დღე, არც ღამე არ ვიშორებ, მხოლოდ მაშინ ვიხსნი, როცა ხელებს ვიბან. მერის მშვენებასა და სრულყოფილობაზე ფიქრი ასეთ წუთებშიც არ მშორდება. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ვერც ძილში და ვერც ცხადში ვერ ვივიწყებ და ვერც დავივიწყებ ჩვენს უღმობელ განსაცდელს და მწუხარებას... რომ იკოდეთ, როგორი სევდით ვიგონებ ახლა სამ პატარა ოთახს ფერნივალს-ინში, როგორ მაკლია მისი ტკბილი ღიმილი, მისი გულითადი სიტყვები, რომლებიც მუშაობისა და დასვენების საათებს ძიამებდა, როცა მხიარულად ვხუმრობდით, ბუხართან მსხდომნი; სიტყვები, რომლებიც მთელი ქვეყნის თაყვანისცემაზე ძვირფასია ჩემთვის. მე ყველაფერი მახსოვს, რასაც ის ამბობდა, რასაც აკეთებდა იმ ბედნიერ დღეებში. მასთან ერთად წაკითხული ყველა ნაწყვეტის, ყველა სტრიქონის დასახელება შემიძლია“. 1838 წლის პირველ იანვარს დიკენსი წერს თავის დღიურში: „ნაღვლიანი ახალი წელი... ის რომ ახლა ჩვენთან იყოს, მომხიბვლელი, მხიარული, გულთა, ყველა ჩემი ფიქრისა და გრძნობის გამგები, როგორც არაფერს, მეგობარი, რომლის მსგავსი არასოდეს მყოლია და არც შეყოლება! მგონი, მეტს არაფერს ვისურვებდი, ოღონდ ეს ბედნიერება გაგრძელებულიყო“. ხუთი დღის შემდეგ: „არასოდეს არ ვიქნები ისე ბედნიერი, როგორც იმ პატარა ბინაში მესამე სართულზე. არასოდეს, თუნდაც ყელამდე ოქრო და დიდება მომელოდეს. სახსარი რომ მქონდეს, იმ სამ ოთახს ვიჭირავებდი, რომ შიგ არავინ იცხოვროს“... ჩარლზს ხშირად ესიზმრებოდა მერი. 1838 წლის თებერვალში ცოლს მისწერა იორკშირიდან: „რაც სახლიდან წამოვედი, სულ მესიზმრება და, უეჭველია, ასე გაგრძელდება, სანამ შინ არ დავბრუნდები“... დიდი ხნის შემდეგაც, 1841 წლის ოქტომბერში, როცა პატარა ნელის სახის შექმნით დიკენსმა შეძლო თავისი გულისნადების ამოფრქვევა, ის ფორსტერს სწერდა: „სურვილი, რომ მის გვერდით დავიმარხო, ისეთივე ძლიერია ჩემში, როგორც ხუთი წლის წინათ. ვიცი, ეს სურვილი არასოდეს გამიქრება“.

როცა ადამიანი ძვირფას მახლობელს ჰკარგავს, ჩვეულებრივად

უზომო მწუხარებას ეძლევა. თუ დიკენსის მწუხარება გაზვიადებულად გამოიყურება, კარგად უნდა წარმოვიდგინოთ, რას ნიშნავდა ისეთი ადამიანისათვის, როგორც დიკენსი იყო, ერთადერთი არსების დაკარგვა, რომელიც მთლიანად იზიარებდა მის აზრებს. სიხარულსა და იმედებს. ამავე დროს გვერდს ვერ ავუქცევთ გრძნობას, რომელიც უნდა გამოეწვია დიკენსის ცოლის სულში ასეთ მეტყველ განცდებს, რომელთა განელებას ვერც დრო ახერხებდა და არც დიკენსი ცდილობდა. როგორც ჩანს, ქმარმა ქეთის დაუფარავად აგრძნობინა, რომ მერი მისთვის უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ის. კოლინზ-ფარმში ორი კვირის დასვენების შემდეგ დიკენსი და მისი ცოლი დაუტი-სტრიტს დაუბრუნდნენ, სადაც დიკენსი მისთვის ჩვეული გატაცებით შეუდგა მუშაობას. მუშაობას ისეთი ორგანიზაციები ენაცვლებოდა, რომლებიც ნაკლებად ენერგიულ ადამიანს პირდაპირ მოჰკლავდა. ფორსტერის, მაკლიზის ან ეინსვორტის თანხლებით ანდა სულ მარტო დიკენსი ნაბიჯის შეუწყობლად მიიბიჯებდა ჰემპსტედ-ჰიტზე, საათში ოთხ მილს გადიოდა, სადილობამდე ხშირად ტავერნა „ჩეკ სტროზ კასლიმდე“<sup>1</sup> აღწევდა. ზოგჯერ ისინი უფრო შორსაც მიდიოდნენ ქვეითად, ანდა ცხენებზე ამხედრებული მიჰქროდნენ რიჩმონდში და ტვიკენჰემში, ბერნეტში, ჰემპტონ-კორტში ან ეპინგში. მხოლოდ სადილისათვის თუ შედგებოდნენ, მეტი შესვენება არ იცოდნენ. რაკი გზას გაუდგებოდა, დიკენსი ბოლომდე არავის დაასვენებდა, არც ნაბიჯს შეანელებინებდა. ის ზუსტად დანიშნულ დროზე გამოდიოდა სახლიდან და სხვებისაგანაც იმავეს მოითხოვდა. ივლისის პირველ რიცხვებში ის ცოლითურთ პირველად გაემგზავრა საზღვარგარეთ. მათ წაჰყვა ჰებლოტ ბრაუნცი. საფოსტო ეტლით შემოიარეს ბელგია, ინახულეს „გენტი, ბრიუსელი, ანტვერპენი და კიდევ ასეული ქალაქი, რომელთა სახელები ახლა არ მაგონდება, კიდევ რომ მოვიგონო, სწორად ვერ დავწერ“. სექტემბერში მთელი ოჯახი ჩავიდა ბროდსტერსში, რომელმაც იმით გაითქვა სახელი, რომ დიკენსს მოეწონა.

აი დიკენსების ოჯახის სურათი: ელინორ კრისტიანის მოგონე-

<sup>1</sup> ჩეკ სტროზ კასლი — რესტორანი XVIII—XIX საუკუნეებში. სადაც სიამოვნებით ისვენებდნენ და ერთობოდნენ მაშინდელი ინგლისელი მწერლები და მხატვრები.

ბის თანახმად, დიკენსის მშობლები და ძმა მასთან ერთად ჩავიდნენ ბროდსტერსში. ელინორის, მაშინ მოზრდილი გოგონას თქმით, უფროსი მისი დიკენსი სახეგაცრეცილი, მოღლილი, მაგრამ ფხიზელი და გონიერი მანდილოსანი იყო. ხოლო ჯონ დიკენსი — ჩასუქებული, მოსდენილი მამაკაცი, რომელსაც გაბერილი ფრაზებისა და ამალღებული გრძნობებისადმი მიდრეკილება ჰქონდა. უფროს მისი დიკენსს გაგიჟებით უყვარდა ცეკვა, ჩარლზს ცოტა არ იყოს, ეჩოთიერებოდა დედამისის ცეკვა, მაგრამ ზოგჯერ თვითონაც ცეკვავდა მასთან. მისტერ ჯონ დიკენსი, როგორც თვითონ აღიარებდა, ოპტიმისტი იყო. ის ამბობდა, ბოთლის საცობს ვგავარ: ერთ ადგილზე ჩააგდებენ წყალში, ის, თითქოს აქ არაფერიაო, თავს მეორეზე ამოპყფსო.

ჩარლზს მალ-მალე ეცვლებოდა გუნება, ამიტომაც ნათესავები მასთან მაინც და მაინც კარგად ვერ გრძნობდნენ თავს: ამ წუთში რომ მხიარული და ტკბილი იყო, მეორე წუთში გონებაგათანტული და გულჩათხრობილი ხდებოდა. ზოგჯერ თავი ისე ეჭირა, თითქოს ელინორს ეარშიყებოდა და შემდეგი სიტყვებით მიჰმართავდა: „ჩემი სულის დედოფალო“, „მშვენიერო, დამატყვევებლო“, „ჩემი გულის სატრფოვ“. საცეკვაოდ კი ასეთი სიტყვებით იწვევდა: „მშვენიერო ლედი, ეგებ კეთილ ინებოთ და ეს მენუეტი მაჩუქოთ?“ „რა სასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის, რომ ამ სარაბანდის სურათები შენთან ერთად მეწნა“. მაგრამ ერთ დილას, როდესაც ელინორმა სთხოვა მას, მამაჩემის დაწერილი წიგნი წამაკითხეთო, დიკენსმა უხეშად შეაქცია ზურგი და წაიბურტყუნა, მეჭავრება შოტლანდიური ზღაპრები და საერთოდ ყველაფერი შოტლანდიურიო. ქეთი, რომელსაც ეს უხეში სიტყვები ისევე ეხებოდა, როგორც ელინორს, აენტო და ნერვული სიცილით შეეცადა ქალიშვილის დამშვიდებას, ყურადღებას ნუ აქცევ, გეხუმრებო.

ხანდახან დიკენსის მხიარული განწყობილება უღრუბლო მხიარულების საზღვარს სცდებოდა და მაშინ მოქმედებდა ის მსახიობი, რომელიც მალე კვილპის როლში უნდა გამოჩენილიყო დიკენსის ერთ-ერთი რომანის ფურცლებზე. ერთხელ საღამოჟამს ისა და ელინორი პატარა ზვირთსაქცევის ნაპირზე სეირნობდნენ. დიკენსმა უეცრად ხელი მოჰხვია ქალს და სულ ბოლოსაკენ გააქანა. ერთი ხელით ბოძს ჩაეჭიდა, მეორეთი ელინორს და გამოუცხადა, მანამ

არ გაგიშვებთ, სანამ „ზღვის მრისხანე ტალღები“ არ დაგვეფარავნო.

— წარმოიდგინეთ, რა სენსაცია იქნება! — ყვიროდა ის, — წარმოიდგინეთ დიდების გზა, რომელზეც უნდა შევედგეთ. ბოდიში, შევედგეთ, კი არა, შევცუროთ!

ქალიშვილი ცდილობდა დასხლტომას, მაგრამ დიკენსს მარწუხივით ჩაეველო მისთვის ხელი.

— მიაპყართ თქვენი ყურადღება „ტაიმსის“ სვეტს. რომელიც იუწყება მშვენიერი ე. კ-ს გულსაკლავ ზვედრს: დიკენსს სიგიჟემ მოუარა და ის ზღვის ფსკერისაკენ გაისტუმრა! ნულარ ფრთხილად, უბედურო ჩიტუნია, ამ ქორის ბრქვალებს ვერსად გაექცევი!

— ჩემი კაბა, ჩემი საუკეთესო, ერთადერთი აბრეშუმის კაბა! მყვიროდა. ელინორი და მშველელად მისის დიკენსს მოუხმობდა. ტალღები უკვე მუხლებამდე სწვდებოდა ქალიშვილს.

— ჩარლზ! როგორ შეიძლება აგრე ხუმრობა? — მიაძახა ჩარლზს მეუღლემ. ეს იმით გათავდება, რომ ორთავეს ტალღა წაგიღებთ, მეორეც, საბრალო გოგოს აბრეშუმის კაბას გაუფუჭებთ.

— კაბა! — თეატრალური პათოსით შესძახა ჩარლზმა. — არც ერთი სიტყვა კაბაზე! განა ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ სოფლის ამაოებაზე, როცა სიბნელეში გასაქრობად ვემზადებით, როცა უკვე დიდი საიდუმლოების ზღურბლზე ვდგევართ? და განა მე თვითონ არ ვწირავ ამ წუთში ახალ, ნისიად აღებულ ლაკის ფეხსაცმელებს? მაშ, გაქრეს ქვენა ფიქრები! განა ამ დროს, როცა ჩვენი სმენა განგების ძახილისაკენაა მიპყრობილი, შეიძლება შეგვაჩეროს ბავშვურმა ტიტინმა აბრეშუმის სამოსელზე? განა, ასეთ წვრილმანებს შეუძლია შეაჩეროს ბედისწერა?

ბოლოს ტყვემ, როგორც იქნა თავი დააღწია ჩარლზს, მაგრამ ისე გაწუწული იყო, რომ ტანისამოსის გამოსაცვლელად შინ წავიდა. ჩარლზმა კი ორჯერ კიდევ გაიტაცა ის კონცხის შორეულ კუთხეში, სადაც აქაფებული ტალღები იმსხვრეოდა.

ერთხელ მთელი კამპანია ჰეგველ-ბეიზე წავიდა და „კვილპომანიით“ შეპყრობილი დიკენსი გზაში უხამს სიმღერებს მღეროდა.

მაგრამ ყოველთვის როდი იყო დიკენსი ასე უღარდელად განწყობილი. აი, რას ვკითხულობთ ფორსტერისადმი მიწერილ წერილში, რომელიც მისი რომანის ყალთაბანდურად გამოყენების მრავალ-



რიცხოვანი ცდის ერთ-ერთ ინიციატორს ეხება: „დაე, „პიკვიის“ წყალობით ამ უნიათო ვაებატონმა თავის გახვრეტილ ჯიბეში რამდენიმე შილინგი ჩაიწყოს, რათა ციხეს დააღწიოს თავი. დაე, განაგრძოს თავისი საზიზღარი ლათაიები. კმაყოფილი ვარ, რომ გამოვადექი მას“. კმაყოფილი ვარო? რალაც არ ეტყობა.

1837 წლის ოქტომბრის დამდეგს დიკენსები პირველად ჩავიდნენ ბრაიტონში<sup>1</sup> და სასტუმრო „ძველ გემში“ დაიდვეს ბინა. ჩასვლისთანავე ავდარი დაიწყო. წვიმა ამ ზღვისპირა პატარა ლამაზ ქალაქში ისევე სასიამოვნოა, როგორც მზიანი დღეები. „ოთხშაბათს ნამდვილი ქარიშხალი ამოვარდა და საერთო პანიკა გამოიწვია: ფანჯრებს და დარაბებს გლეჯდა, ადამიანებს მიწაზე ანარცხებდა, ოთახებში ცეცხლს აქრობდა... რამდენიმე საათით ყველაფერი დაბნელდა. ზეციდან სეტყვასავით ცვიოდა მოძველებული შავი ქუდები. ფიქრობენ, რომ ისინი ქალაქის განაპირა უბნების წინდაუხედავ მგზავრებს ეკუთვნოდა. მეთვეზეები გულმოდგინედ აგროვებდნენ მათ... გამოაცხადეს ჩარლზ კინი<sup>2</sup> ოტელს ითამაშებსო. არ ვიცი, მიაღწია თუ არა მან თეატრამდე, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, მის გარდა იქ არავინ მივიდოდა“.

ლონდონში დაბრუნების შემდეგ სამუშაო იმატა: დიკენსი ბენტლისათვის „გრიმალდის მოგონებების“<sup>3</sup> რედაქტირებას შეუდგა. ეს მხოლოდ დღიურად მუშაობა იყო და სხვა არაფერი. მან წინასრუტყვაობა დაწერა. მისი აზრით, წიგნი „ცარიელი ლაყობა“ გახლდათ, მაგრამ კარგად იყიდებოდა. რადგან გარეყანზე დიკენსის სახელი ეწერა. თვითონ დიკენსი სერიოზულ მნიშვნელობას არ აკუთვნებდა მას. ეს სამუშაო მან მხოლოდ იმიტომ აიღო, რომ ბენტლისთან ახალი შერიგებული იყო. ეს მეგობრული შეთანხმება შემდეგში გაბოროტებულ მტრობად იქცა. იმიტომ მათი ურთიერთობის ისტორია უნდა განვიხილოთ. როგორც ყველა შემთხვევაში ხდება: თითოეული მხარის სასარგებლოდ ბევრი რამის თქმა შეიძლება და. არანაკლებისა — საწინააღმდეგოდ.

<sup>1</sup> ბრაიტონი — არისტოკრატთა კურორტი სამხრეთ ინგლისში.

<sup>2</sup> ჩარლზ კინი — ინგლისელი მსახიობი და რეჟისორი (1811—1868 წ.).

<sup>3</sup> გრიმალდი — სახელგანთქმული ჯამაზი იყო (1779—1837 წ.) ლონდონში. მისა მოგონებები დიკენსის რედაქტორობით დაიბეჭდა 1838 წ.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ 1836 წლის ნოემბერში დიკენსმა თვეში ოც გირვანქა სტერლინგად იკისრა „ბენტლის ალმანახის“ რედაქტორობა. ოთხი თვის შემდეგ ეს თანხა ოცდაათ გირვანქამდე გაიზარდა. დიკენსმა თავისი კმაყოფილება გამოთქვა. გარდა ამისა, იმავე 1837 წლის ნოემბერში, მან იკისრა დაეწერა ბენტლისათვის ორი რომანი და მათ საფასურად ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო. ალმანახს დიდი წარმატება ხვდა წილად. „ოლივერ ტვისტი“ ხომ საბოლოოდ განამტკიცა დიკენსის სახელი. სწორედ მაშინ ჩაუფიქრდა ავტორი იმას, რომ ხელშეკრულება ცალმხრივად იყო შედგენილი, ე. ი. ბენტლი უზარმაზარ თანხას იღებდა, ხოლო ავტორი — მეტად მცირეს. ადრე, როცა მის წიგნებს ასეთი ფენომენალური წარმატება არ ჰქონდა, ეს მოსათმენი იყო. ახლა კი ამ ხელშეკრულების პირობების დაცვის აუცილებლობა აცოფებდა დიკენსს. ოდესღაც ბენტლიმ გულმხურვალე სიტყვებით დაარწმუნა ის, სიძუნწეს არ გამოვიჩინო. და აი, 1837 წლის ივლისში დიკენსმა ბენტლის წერილი გაუგზავნა და სთხოვა, ახალი ხელშეკრულება შევადგინოთ, „ჩემი ძირფესვიანად შეცვლილი მდგომარეობა და ჩემი თხზულებების მზარდი პოპულარობა გავითვალისწინოთ“.

ბენტლიმ შესთავაზა, შევიყაროთ და ყველაფერი განვსაჯოთო. ექვევლია, იმ მიზნით, რომ დრო მოეგო, დიკენსმა, პირიქით, თავისი მოთხოვნილებები უმაღლვე წერილობით შეატყობინა: ექვსასი გირვანქა „ბარნები რაჯას“ სამი ათასი ცალისთვის და შვიდასი გირვანქა „ოლივერ ტვისტის“ იმდენივე ეგზემპლარიისთვისო. გაიმართა მოლაპარაკება და ბენტლიმ ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც თითქოს საგანგებოდ დიკენსის წონასწორობიდან გამოყვანას ისახავდა მიზნად. ბენტლიმ განაცხადა, ხელშეკრულების პირველი ვარიანტი ძალაში უნდა დარჩეს, მე ნაყიდი მაქვს საავტორო უფლება ორივე რომანზე და არ შევურიგდები იმას, რომ ჩემი წილი შემოსავალი ვინმემ შეზღუდოსო. ბენტლი მზად იყო დიკენსისათვის ორი რომანის საფასურად სამასი გირვანქა მიეცა, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვდა, გამოცემის უფლება მას დარჩენოდა ე. ი. მას უნდა დარჩენოდა ამ რომანების გაყიდვის უფლებაც. ბუნებრივია, დიკენსმა თავისი აღშფოთება „გამოთქმების შეურჩევლად გამოხატა“ და სხვათა შორის, დაემუქრა ბენტლის, ასეთ პირობებში რომანების წერას შევწყვეტო. საქმის არბიტრაჟზე გადატანის საკითხი წამოიჭ-

რა, მაგრამ დიკენსი ისეთ გუნებაზე იყო, როცა ადამიანი ანგარიშს უწევს ერთადერთ არბიტრს — თავის თავს. ბენტლის მან განუცხადა, — ამის შემდეგ ყოველგვარი უშუალო კონტაქტი თქვენთან ჩემთვის შეურაცხმყოფელი და არასასიამოვნოა. ბენტლიმ რჩევისათვის მეგობრებს მიჰმართა. მათ ურჩიეს, არაფერი დაეთმო. მაგრამ სექტემბერში, როცა დიკენსმა განაცხადა, „აღმანახს“ თავს ვანებებო, ბენტლიმ მაინც შეადგინა ახალი, რედაქტორისათვის უფრო ხელსაყრელი ხელშეკრულება. ახლა იგი თანახმა იყო, თითო რომანში შვიდას ორმოცდაათი გირვანქა გადაეხადა. მშვილობა აღდგენილი იქნა, მაგრამ დიკენსმა „გრიმალდის მოგონებებს“ რედაქცია გაუყეთა და ურთიერთობა ისევ დამძიმდა.

„პიკვიკის“ ახალ გამოცემებში რაიმე წილი რომ ჰქონოდა და იმავე დროს მადლობა გადაეხადა ჩეპმენისა და ჰოლისათვის, რომლებიც მაკრონთან შეტაკების დროს დაეხმარნენ მას, 1837 წლის დამლევს დიკენსმა იკისრა კიდევ ერთი სერიებად გამოსაცემი რომანი დაეწერა ამ ფირმისათვის. ის სამი ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებდა. რომანის გამოცემის უფლება 5 წლით გამომცემლებს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ ავტორს უბრუნდებოდა. ამ რომანის სახელწოდება იყო „ნიკოლას ნიკლბი“. ის 1838 წლის აპრილიდან 1839 წლის ოქტომბრამდე გამოდიოდა, ე. ი. „ოლივერ ტვისტის“ ბოლო გამოცემებთან ერთად. ავტორი გაოგნებით, სულმოუთქმელად მუშაობდა. მან იცოდა, რომ მისი შრომა უზარმაზარ მოგებას მისცემდა ბენტლის, ხოლო მას რაღაც საცოდავ გროშებს მოუტანდა. ბუნებრივია, ერთდროულად ორი რომანის წერით გადაქანცული დიკენსი გატყდა. მან უარი თქვა „ბენტლის აღმანახის“ რედაქტორობაზე. მისი ადგილი გარისონ ეინსვორტმა დაიჭირა.

სხვათა შორის მაკრონთან და ბენტლისთან ურთიერთობაში ეინსვორტმა საკმაოდ ულამაზო როლი შეასრულა. მას სამივესთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მაკრონს „უაღრესად საიდუმლოდ“ ურჩევდა, დიკენსთან კონფლიქტის გარჩევის საქმე რწმუნებულისათვის მიენდო, აქსულებინა დიკენსი, რომ ხელშეკრულების ყველა პირობა დაეცვა და, თუ ის თავს აარიდებდა რომელიმე მათგანს, მის წინააღმდეგ სასამართლოში აღედგა საქმე. ექვს გარეშეა ისიც, რომ სწორედ ეინსვორტმა ურჩია ბენტლის,

როგორ მოქცეოდა დიკენსს, თანამოკალმეს კი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს უაღრესად თანაუგრძობდა. როცა დიკენსმა „ალმანახს“ თავი დაანება, ამბობდნენ, რედაქტორსა და გამომცემელს შორის განხეთქილებაში ფორსტერია დამნაშავეო. როგორც ჩანს. ესეც ეინსვორტის ბრალი იყო. ყოველ შემთხვევაში, დიკენსმა ეინსვორტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც საკმაოდ მკაცრად მოითხოვდა, ეს ცილისწამება დაუყოვნებლივ უარჰყავიო. უნდა ითქვას, რომ ეინსვორტის უპატიოსნო საქციელი მწერლისთვის ბოლომდე დაფარული დარჩა და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა კიდევ მრავალ წელს გაგრძელდა.

მაშასადამე, მას შემდეგ, რაც ბენტლიმ დიკენსს კიდევ ორი წიგნის დაწერა შესთავაზა უფრო ხელსაყრელ პირობებში, „საომარი მოქმედება“ დროებით შეწყდა. დროებით, რადგან ის ისევ განახლდა: ბენტლიმ ისევ აწყენინა მწერალს. 1840 წლის ივნისში კვლავ ჩეპმენი და ჰოლი მიეშველნენ დიკენსს: ორი ათას ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს ბენტლის, რათა მას უფლებები „ოლივერ ტვისტზე“ ავტორისათვის გადაეცა და ხელი აელო რომან „ბარნები რაჭზე“. დიკენსს ჩეპმენისა და ჰოლის ვალი „ბარნები რაჭის“ გამოსვლის შემდეგ უნდა გადაეხადა ჰონორარიდან.

როცა ლაპარაკია კონფლიქტზე ავტორსა და გამომცემელს შორის, ხალხი ჩვეულებრივად ან ერთ მხარეს ამართლებს, ან მეორეს. არ არის სწორი. დიკენსის დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ ის დიკენსი იყო და არა ბენტლი, ხოლო ბენტლისა — ის, რომ იგი ბენტლი იყო და არა დიკენსი. თითოეული მათგანი თავისი რწმენიდან გამომდინარე. კანონის თვალსაზრისით ბენტლი მართალია, ადამიანობის თვალსაზრისით სავსებით მართალია დიკენსი. მაგრამ ერთმანეთის გაგებისათვის მათ როლები უნდა შეეცვალათ. აქ ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვა ხელშეკრულებაზე საერთოდ. ბერნარდ შოუ, რომელსაც საქმიანობაში მისი დროის ვერცერთი გამომცემელი და ვერცერთი ავტორი ვერ შეედრებოდა, ამბობდა, კარგი ისეთ ხელშეკრულებას უნდა ეწოდოს, რომელიც ორივე მხარეს აწყობსო, თუ ხელშეკრულება რომელიმე მხარეს აღარ აკმაყოფილებს, ის ახლად უნდა შედგეს, უნდა გაითვალისწინონ ორივე მხარის ინტერესები, თუნდაც იმიტომ, რომ ნაწყენი ადამიანი უარე-

სად მუშაობს, ვიდრე შეუძლიაო. არც ერთი ხელშეკრულება არ უნდა იყოს საგაღდებულო სამუდამოდ. გონიერ გამომცემლებს ეს ესმით. ავტორის ფიქრი წიგნის დაწერის გარშემო ტრიალებს. იშვიათ მწერალს ეყოფა მოთმინება, რომ ხელშეკრულება წაიკითხოს, მით უფრო გაიგოს, რა წერია შიგ. ერთადერთი მისი ფიქრია, კარგი თანხა მიიღოს, ისიც ავანსად. ხელშეკრულების შედგენა და მასში გარკვევა გამომცემლების საქმეა. ავტორის ინტერესებიც რომ ისევე დაეცვა; როგორც საკუთარი, გამომცემელს თავი უნდა დაენებებინა საქმისათვის და წმინდანად ქცეულიყო!

დიკენსი ადრე დარწმუნდა, რომ გამომცემლებისათვის მისი შემოქმედებითი ენერგია აუწერელი გამდიდრების წყარო იყო იმ დროს, როცა თვითონ ოდნავ მეტს იღებდა იმაზე, რაც საჭირო იყო კეთილშობილ სიღარიბეში საცხოვრებლად. ის სრულიად სამართლიანად იქცეოდა, როცა უარს ამბობდა ხელშეკრულების დაცვაზე. იმით, რომ ხელშეკრულება მისი ხელმოწერილი იყო, არაფერი იცვლებოდა: იმ ადრინდელი შიმშილობის წლებში ის ყველაფერზე მოაწერდა ხელს, ოღონდ კი ოდნავ მნიშვნელოვანი ავანსი მიეღო. გამომცემლებს რომ მოენდომებინათ ხელშეკრულების პირვანდელი პირობების დაცვა, ისინი ამას მიაღწევდნენ. მაგრამ იმათ ესმოდათ, რომ მწერალს უპირატესობას ანიჭებდა მისი პოპულარობა, და დათმობაზე მიდიოდნენ. დიკენსი, სულს რომ ძლივს ითქვამდა აუტანელ შრომაში, ფორსტერს სწერდა: „ჩემი წიგნებით ჩემს გარდა ყველა კეთდება, ვისაც მათთან რაიმე დამოკიდებულება აქვს. ღმერთისა და ადამიანის წინაშე თავისუფლად მიმაჩნია თავი ამ მტაცებლური შეთანხმებებისაგან“. საომრად განწყობილი დიკენსი ახალი ბრალდებებით დაესხა თავს ბენტლის. ბენტლიმ განაცხადა, ყველა ბრალდება უსამართლოაო. არა აქვს მნიშვნელობა მართლა ასე იყო, თუ არა: ეს ჩვეულებრივი ხერხია, რომელსაც ადამიანები მიჰმართავენ შეტაკების დროს და რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ საქმის არსთან. წერილს, რომელშიც ეს ბრალდებები იყო ჩამოთვლილი, ბენტლიმ დააწერა: „დიკენსი ძლიერ ჭკვიანი იყო, მაგრამ პატროსანი — არა“. აქედან ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ბენტლის მიმართ დიკენსი არც ჭკვიანი იყო და არც უპატიოსნო. ის რომ ჭკვიანი ყოფილიყო, უფრო წინდახედუ-

ლად მოიქცეოდა, უპატიოსნო რომ ყოფილიყო, გრძნობებით კი არა, გონებით ისეღმძღვანელებდა და არ დაუშვებდა. რომ პირად მტრობას გავლენა მოეხდინა საქმიანი მოლაპარაკების მსვლელობაზე.

ბენტლის მიერ შედგენილი არც ერთი ახალი ხელშეკრულება არ იყო ნაქარნახევი წრფელი სურვილით, რომ სამართლიანად მოქცეოდა ადამიანს, რომლის შრომამ დიდი ქონება შესძინა მას. არა, ყოველ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერას წინ უძლოდა გაუთავებელი მოლაპარაკება, ათასნაირი ფანდების, ხრიკებისა და მახეების გამოყენება. დიკენსს, ცხადია, შეძულდა გამომცემელი 1837 წლის ივნისიდან — იმ მომენტიდან, როცა ბენტლისათვის საკმარისი იყო ოდნავ კეთილშობილური ეესტი, რომ ავტორი „მოეთვინიერებინა“. მართალია, კანონი, ბენტლის უჭერდა მხარს, მაგრამ ეს ადამიანი, ეეჰველია, მეტად ხარბი და ანგარებიანი იყო. მსოლოდ დიკენსი როდი ბრახობდა მასზე. ხელშეკრულებას მუდამ მკაცრი პირობებით უღებდა მწერლებს. ჩარლზ რიდმა მის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრა საქმე. ამ საქმის მსვლელობამ ყველასათვის ნათელჰყო, რაოდენ უსამართლო იყო ბენტლის მიერ დადებული ხელშეკრულებები. დიკენსი წერდა: ადამიანებისაგან, რომლებიც კალმით შოულობენ სარჩოს (მეც მათ რიცხვს ვეუთვნო), მე თანაგრძნობას არც მოვითხოვ და არც ველი, მაგრამ მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, არაფერი დავიშურო — არც სულიერი სიმშვიდე, არც ქონება, — რათა ამ ვაებატონს ხელი ავაღებინო რწმენაზე, თითქოს მას ნება ჰქონდეს ისე მოგვეპყრას, როგორც მოეპრიანება“.

რა გასაკვირია, რომ ჰანს ანდერსენი, რომელიც 1847 წელს სტუმრად იყო ბენტლის მამულში, მოგვითხრობს, როგორ ფუფუნებით ცხოვრობდა გამომცემელი ქალაქგარეთ დიდებულ სასახლეში. სტუმრებს თეთრწინდებიანი ლაქიები ემსახურებოდნენ. „ესეც თქვენი წიგნებით მოვაჭრე!“ აღმოხდა ანდერსენს. ამოა იქნებოდა დიკენსისას თეთრწინდებიანი ლაქიების ძებნა. კიდევ მრავალი წელი უნდა გასულიყო, ვიდრე ის ქალაქგარეთ სახლს შეიძენდა. ჯერჯერობით კი გამომცემლებთან ომი ჰქონდა. რიგით შემდეგი ჩეპმენი და პოლი იყვნენ.

## დიდი მოგოლი

ყველა უსიამოვნების მოწესრიგებაში, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, დიკენსს მისი ახალი მეგობარი ფორსტერი ეხმარებოდა. მათი გაკნობიდან ნახევარი წლის შემდეგ დიკენსი სწერდა მას: „თუ რაიმე საშინელი არ მოხდა, ჩვენს მტკიცე კავშირს სიკვდილის გარდა ვერაფერი შეარყევს“. მაგრამ კიდევ ოთხმა თვემ განვლო და დიკენსი ეინსვორტს სწერდა, ამ კავშირში უახლოეს წლებშივე შეიძლება პირველი ბზარები გაჩნდესო. „ჩვენი ღირსეული მეგობარი მოგოლი რამდენიმე დღის განმავლობაში ძლიერ ცუდად გრძნობდა თავს. რის გამოც მოიღრუბლა. მოიღუშა... ბობოქრობდა, იწყევლებოდა... მაგრამ ახლა მიყუჩდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ. ჰკუთხე მოვიდა“. მაშ. დაეაკვირდეთ ამ ადამიანს, რომლის მეგობრობა ოცი წლის განმავლობაში დიკენსისათვის მეტს ნიშნავდა, ვიდრე სხვა ვისიმე და რომელიც შემდეგში მისი ბიოგრაფი გახდა.

ჯონ ფორსტერი ტაინის ნიუკასლში დაიბადა დიკენსზე ორი თვით გვიან, 1812 წლის ორ აპრილს. მამამისი საქონლის მრეწველი იყო და არაკეთილმოსურნეები ჯონს ყასბის შვილს ეძახდნენ. თავის დედას ჯონი „ბრილიანტს“ უწოდებს, მაგრამ ეს მხოლოდ ფრაზაა, რომლითაც პორტრეტს ვერ დახატავ და რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ჯონი ნანებიერები შვილი ყოფილა. ბავშვის სწავლის ფულს ბიძა იხდიდა. პირველად ჯონი კერძო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ — ლონდონის უნივერსიტეტთან არსებულ კოლეჯში. 1828 წლის ნოემბერში ფორსტერი იურიდიული კორპორაციის წევრი

გახდა. მტკიცედ გადაწყვიტა, დაწინაურებულყო. მალე ლი ჰანტი-სა და ჩარლზ ლემის კეთილი განწყობილება მოიპოვა კიდევ. ოცი წლის ასაკში უკვე ერთ-ერთი გაზეთის თეატრალური კრიტიკოსი გახდა, ერთი წლის შემდეგ — უკვე სამი სხვა გაზეთისა, ხოლო ერთ წელზე ნაკლებ ხანში — წამყვანი გაზეთის „ეგზამინერის“ ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკოსი. დაბინავდა მდიდრულ აპარტამენტებში. მომდევნო წლებში ის რამდენიმე დიდ პერიოდულ გამოცემას რედაქტორობდა, მათ შორის — „ეგზამინერს“, ხუთ ტომად გამოსცა „ინგლისელ სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერილობა“, დაწერა გოლდსმიტისა და ლენდორის ბიოგრაფიები და ფსიქიატრიული სამკურნალოების ინსპექტორის თანამდებობა მიიღო. დაუნიშნეს ათას ხუთასი გირვანქა სტერლინგი წელიწადში. მეთოდი, რომლითაც მან ამ თანამდებობას მიაღწია, ნათელს ჰფენს მისი ხასიათის ზოგიერთ თავისებურებას. „ბრუმს ჩავებლაუჰე და ერთი წუთით არ ვეშვებოდი, — უამბობდა ფორსტერი ერთ თავის მეგობართაგანს. — ვტკებნე მისი კარების ზღურბლი, ვიდრე მოთმინების ფიალა არ აევსო. ერთი სიტყვით, ვაიძულე, დავეკმაყოფილებინე“.

ოცდახუთი წლის ფორსტერი შესანიშნავად იცნობდა ყველას, ვინც კი ხელოვნების სამყაროში სახელგანთქმული იყო. როგორც ჩანს, ეს ისეთი ადამიანი გახლდათ, რომელმაც მტკიცედ გადაწყვიტა, აღზევებას მიაღწიოს და ამ მიზნის შესასრულებლად არავითარ საშუალებას არ დაერიდოს. მას შეეძლო წარბშეუხრებლად შეექცია ზურგი იმისთვის, ვინც ოდესღაც მას გამოსდგომია, მაგრამ ვის დახმარებას უკვე აღარ საჭიროებდა. გასაკვირი არაა, რომ დიდ პიროვნებათა დამეგობრება არ უძნელდებოდა. რა გულმოდგინედ ასიაშოვნებდა მათ, რა ყურადღებიანი იყო, როგორი გატაცებით აპყავდა ისინი ცამდე! გამოჩენილი კრიტიკოსის მდგომარეობა იოლად როდი მოიპოვა. მაგრამ ბევრად უფრო მალა უმიზნებდა. ხელოვნების სამყარო, ასე ვთქვათ, ხელში ჰყავდა. ერთხელ თეკერემ თქვა: „ვინც ხიფათში ჩავარდება, მასთან მირბის, მიხსენიო. ის ყოველისმცოდნეა, სასწაულებს ახდენს“.

ახლა უფრო სანუკვარი რამის მოპოვებისათვის უნდა ეზრუნა. და ფორსტერმა რამდენიმე გამოჩენილ არისტოკრატსა და პოლიტიკურ მოღვაწეს გამოსდო ქამანდი. გრაფ დ' ორსე და ლედი ბლე-



სინგტონი მან ადვილად მოხიბლა. წარმატებით დამთვრალმა გადაწყვიტა, პალმერსტონი და გლადსტონი ჩაეგდო ხელში. მაგრამ ეს არც ისე ადვილი გამოდგა: მთელი სტრატეგიული ხელოვნების გამოყენება დასჭირდა. უნდა გენახათ ფორსტერი წარჩინებულთა წარმომადგენლების წრეში! ალერსიანი ხვადივით კრუტუნებდა, მისი ხმა ტკბილად და რბილად ჟღერდა, როცა ის (მსგავსად მოსესი, რომელიც სინას მთიდან წინასწარმეტყველებდა), აუწყებდა სტუმრებს: „მისი უბრწყინვალესობა ფრიად მტკიცედ აცხადებს...“

მაგრამ ბოჰემის წრეში ფორსტერი სულ სხვანაირი იყო, აქ ის ხშირად თვრებოდა, მისმა მგრავინავმა ხმამ, მკუქარე სიცილმა და მბრძანებლურმა მანერებმა, რომლებიც სწრაფად შეითვისა, როგორც კი დიდი კაცი გახდა, მხატვრების, მწერლებისა და მსახიობების მოწონებაც დაიმსახურა და ათვალწუნებაც. გულთბილობის, თანამგრძობლობისა და დასახმარებლად მზადყოფნისათვის ის უყვარდათ, მაგრამ მას შეეძლო ასევე სისაძაგლის ჩადენა. უხეშად მოქცევა და პირფერობა. დაბალი და ჩასკვნილი კაცი იყო, ფართო სახე, კვადრატული თავის ქალა და საბრძოლოდ წინგამოწეული ნიკაბი ჰქონდა. სახის კუმუტი ნაკვთები, მბრძანებლური ხმა, დაბალი ტანი, მაგრად რომ ჰქონდა ჩაჰედილი კისრამდე შეკრულ მოკლე სერთუქში, მის გარეგნობას თავისებური ღირსების ელფერს აძლევდა. და, თუ ამავე დროს თავის მონოკლს, რომელსაც ხელში ათამაშებდა, თვალში ჩაიდგამდა, ერთი შეხედვით უაღრესად თვითდაჯერებული, ქედმაღალი და დამოუკიდებელი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. ნამდვილად კი, თუ კარლელს დავუჯერებთ, ის საკუთარ შეხედულებებს ისევე ადვილად უარყოფდა, როგორც მეგობრებს, რომლებიც აღარ სჭირდებოდა „წააწყდება თუ არა ფორსტერი იდეას, რომელიც მისაღებად მოეჩვენება, ყველას გამოაყრუებს მასზე ლაპარაკით, ხმაურობას ასტეხს, ალაქლაქდება, ქაფმორეული იცავს მას, ყველას უჩიჩინებს, მაგრამ შენიშნავს თუ არა. რომ იდეა არ უმართლებს, რომ სხვებს აზრი შეეცვალოს, ისიც გულგრილად ივიწყებს მას და სხვა გასართობს ეძებს“. თუ არ მოსწონდა, რასაც სხვები ამბობდნენ, ისეთ ხმაურობას ასტეხდა, მოწინააღმდეგე მაშინვე დადუმდებოდა. „აუ-ტა-ნე-ლია“. „დაუჯერებელია!“ „აბდაუბდაა!“ „რას სულელობთ!“ - შეეძლო ყოველივე უცენზურო ფრაზით დაემთავრებინა და თან აბუჩადამგდები სიცილი დაეყოლე-

ბინა. შეკამათება როგორ შეიძლებოდა! წინააღმდეგობა აცოფებდა; თუ მისი მკვეხარა ტონი და გამაყრუებელი ხმა ვისიმე არმოწონებდას იწვევდა, მას თავი გამომწვევად, შეურაცხყოფელად ეჭირა. სულ უბრალო რამისთვის ისე გაცოფდებოდა, რომ, დიკენსის თქმით, „გაბორბტებისაგან სისინებდა, ორთქლმავალივით ქშინავდა“. როგორც ზედმეტად ფხუვიან ადამიანებს სჩვევია, ის ხშირად არ ზოგავედა სხვის გრძნობებს და ადრე თუ გვიან ყველასთან ჩხუბობდა. ვის მეგობრობდასაც ადრე თავგამოდებით დაეძებდა.

განხეთქილების მულმივი წყარო ექვიანობა იყო. ამით თავს აბეზრებდა თავის მეგობრებს. ფორსტერი აეკიდებოდა იმას, ვისი გაცნობაც უნდოდა — როგორც წესი, სახელგანთქმულს, ან სახელგანთქმულობის ზღურბლზე მდგომს, და ისე დაუახლოვდებოდა ერთ დღეში, როგორც სხვა ათ წელიწადში ვერ მოახერხებდა. თუ ეს განწყობილება ცოტად თუ ბევრად მტკიცე ხდებოდა, ეს მეგობარი მის საკუთრებად იქცეოდა, ფორსტერი შეუდგებოდა მისი ლექსების ან პირადი ღირსებების ქება-დიდებას. მაგრამ, თუ ვინმე მისებრ აღფრთოვანებას გამოხატავდა და ფორსტერის უფლებებს ხელჰყოფდა — მის მორიგ ფავორიტს დაუახლოვდებოდა და უკანასკნელის პატივისცემას დაიმსახურებდა, ფორსტერი უმაღლე მოიღრუბლებოდა და იწყებოდა ექვიანობის სცენები, საყვედურები. ერთხელ მან არჩევანი რობერტ ბრაუნინგზე შეაჩერა. პირველ ხანებში ისინი განუყრელები იყვნენ, ფორსტერი ახალ პოეტ-სასწავლს ისეთ ხოტბას ასხამდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბრაუნინგს. როგორც ჩანს, ექვი შეეპარა: ჩემი ნამდვილი გვარი შექსპირი ხომ არ არისო. მაგრამ როცა ფორსტერმა რობერტის სახელი ქვეყანას მოსდო, მოახერხა მაკრიდის დაინტერესება თავისი მეგობრის დრამებით, როცა სხვებმაც დიდი ენთუზიაზმით იწყეს ბრაუნინგის ქება, — აი, მაშინ დაიწყო ალიაქოთი! დიკენსმა აღტაცებული შეფასება მისცა ბრაუნინგის „დალაქულ ფარს“ (ხელნაწერი ფორსტერმა მას საიდუმლოდ უჩვენა). ასეთი მწერლის შექება, რა თქმა უნდა, პიესის ავტორს დიდ სამსახურს გაუწევდა. მაგრამ ფორსტერი წერილს მალავდა. დიკენსის სიკვდილამდე ბრაუნინგს მისი არსებობა არ გაუგია. ფორსტერმა წარმოიდგინა, შემიძლია ისე მოვეპყრა ბრაუნინგს, როგორც მომესურვებო. ერთხელ რომელიღაც სადილზე ისე გამოიყვანა მოთმინებიდან, რომ ბრაუნინგმა კიქას სტაცა

ხელი და კინალამ თავში სთხლიშა თავის მფარველს. საბედნიეროდ ერთ-ერთი სტუმარი ჩაერია. ბოლოს ბრაუნინგს, როგორც თვითონ ამბობდა, მოსწყინდა ფორსტერის ფეხქვეშ გება და ისინი დაშორდნენ ერთმანეთს. ერთხელ მაკრიდისთან მოხვდნენ. თავი ისე ეჭირათ, თითქოს ერთმანეთს არ იცნობდნენ. ფორსტერს ის აცოფებდა, რომ სახელოვან პიროვნებათა შორის ბრაუნინგს მეტი ნაცნობი ჰყავდა, ვიდრე მას.

ეჭვს გარეშეა, თავისი მეგობრების წვალება ფორსტერს სიამოვნებდა. როცა ედუარდ ბულვერმა (მომავალმა ლორდ ლიტონმა) გესლიანი ანონიმური ლექსები დაუწერა ტენისონს, ამ უკანასკნელმა მათ საპასუხოდ რამდენიმე დვარძლიანი სტრიქონი გამოუგზავნა ფორსტერს დასაბუქდად. მათში ბულვერი დახატული იყო, როგორც კორსეტიანი, ხელოვნურბეჭებიანი მამაკაცი, რომლის „ნამცეცა სულის ნახევარი ლაფია“. ტენისონმა თითქმის მაშინვე იხანა თავისი საქციელი და ფორსტერს სთხოვა, ჩემს ლექსს ნუ დაბეჭდავთო. ფორსტერმა კი, რომელიც ბულვერის ახლო მეგობარი იყო, დაარწმუნა ტენისონი, ჩემთვის სიმართლე მეგობრობაზე ძვირფასიაო. ლექსი „პანჩში“ დაბეჭდა. ასეთმა მუხანათობამ, ბუნებრივია, უნდობლობა გამოიწვია იმათ მხრივ. ვინც დიად მოგოლს კბილი გაუსინჯა. ფორსტერმა თავდაცვისათვის განსაკუთრებული მეთოდი მიიშველია: სიტყვის ბანზე აგდება, არტისტულად ლაპარაკი, ფაქტების ამოფარება მრავალსიტყვაობის საბურველს უკან. ამ მანერით აღწევდა ის თავს მძიმე სიტუაციებს. პატიოსანი იყო თუ არა ფორსტერი, როგორც ზიოგრაფი? ესეც საეჭვოა! შევაჯამოთ მისი დახასიათება მაკრიდის 1840 წლის დღიურის ორი ჩანაწერის მიხედვით.

„16 აგვისტო. დიკენსთან ვისადილე და ნასადილევს მეტად მძიმე სცენის მოწმე გავხდი. მე, ფორსტერი და მაკლიზი ვიყავით. ფორსტერმა მისებური თავაწყვეტილი ტირადა დაგვატეხა თავს. მისი აზრით. ამას კამათი ჰქვია. თავს თვითონვე ალაგზნებდა, სანამ არ გავარჯარდა. რამდენიმე შენიშვნა პირადულ თემაზე და ერთმანეთის შემკობა დაიწყეს. ფორსტერმა მისთვის ჩვეული უტაქტობა გამოავლინა და მასპინძელი გაცოფებამდე მიიყვანა. თავდავიწყებამდე მისულმა დიკენსმა აგრძნობინა თანამოსაუბრეს, აქ ჩემი სახლია და ძალიან მოხარული ვიქნები, თუ დაგვეტოვებთო. ფორს-

ტერმა მეტად სულელურად დაიჭირა თავი. მე შევაჩერე და ვუთხარი: წუთიერი აფეთქების გამო შეიძლება დაირღვეს მეგობრობა, რომელსაც ორივე აფასებთ-მეთქი. დიკენსი ვაიძულე ეთქვა, ალღევება მალაპარაკებდა, ფხიზლად მსჯელობის უნარი რომ არ დამკარგოდა, იმას არ ვიტყოდი, რაც ვთქვიო. მაგრამ ისიც დასძინა, თუ ფორსტერი ისევ გამომწვევად დაიჭერს თავს, ჩემი თავისათვის პასუხს ვერ ვაგებ და ისევე მოვიქცევი, როგორც ამჯერადო. ფორსტერმა არაჩვეულებრივი სულმდაბლობა გამოავლინა: ჩვენ ვუჩიინებდით, დიკენსმა თავი დამნაშავედ სცნო, ნანობს სიფიცხით წარმოთქმულ სიტყვებსო, მაგრამ ის ჩიუტობდა, რაღაცას ბუტბუტებდა. ბოლოს, როგორც იქნა, იგრძნო, რომ ჩიხში მოექცა და ბოღიშის მოხდა ინება. შემდეგ მთელი საღამო დუმდა. გასაკვირიც არაა! ატირებული მისის დიკენსი გაგვშორდა. მძიმე სურათი იყო!

20 აგვისტო. დიკენსთან მივედი... ფორსტერზე ლაპარაკი ჩამოვარდა. დიკენსმა იგივე თქვა, რაც — ოდესღაც ედუარდ ბულვერმა: „ფორსტერი საზოგადოებაში ქედმაღლური ტონით ლაპარაკობს, რათა შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ის მფარველია. რა გულნამცეცობაა! რა სისულელეა!“

16 აგვისტოს მომხდარი შემთხვევის მეორე დღეს, დიკენსი სწერდა მაკრიდის: „გუშინდელი საღამოს გამო რა უნდა ვთქვა? სიმართლე გითხრათ, სალაპარაკო არაფერია... მე რომ თქვენი პატივისცემა მაქვს, იმაზე მეტი პატივისცემა შეუძლებელია. წარმოუდგენელია უფრო წრფელი და თბილი სიყვარული, ჩემო ძვირფასო ნევობარო, მაგრამ თქვენს ვაჟკაცურ, სულგრძელ ჩარევასაც კი არ ძალუძს მაიძულოს, რომ თავისუფლად ვილაპარაკო იმაზე, რაც ესოდენ მწვავედ და ღრმად მალეღვებს. მე ფრიად და ფრიად დაღონებული ვარ, მაგრამ მაინც არ ვნანობ, — არ შემიძლია! მიუხედავად მისი და ჩემი ახლო მეგობრობისა, თვალებს ვერ ვხუჭავ იმ გარემოებაზე, რომ სხვებთან ჩვენ ჩხუბი არ მოგვდის. რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ არ ყოფილა და არ არსებობს ადამიანი, რომელიც ასე ბოროტად სარგებლობდეს თავისი მეგობრების მოთმინებით. გულწრფელად გარწმუნებთ, მისი ყოფაქცევა ცეცხლს მიკიდებს, მრცხვენია, დამცირებულად ვგრძნობ თავს ამის გამო, რომ მეც ამომიღო მიზანში. ვიგონებ ყველაფერს, რაც თქვენ მითხარით, მაგრამ ჩემი თავდაუქვერლობის თუნდაც მეთათხელი ნაწილის უკან წალებას არ ვისურვებდი“.

ეს მათი მეგობრობის ადრინდელი დღეები იყო. დიკენსს არ შეეძლო გაეჭვრიტა, რომ ფორსტერს „ჩხუბი სხვებთანაც მოუფიქრდა, რომელთაგან ერთმა, გარბსონ ეინსვორტმა, უკვე გაწყვიტა ურთიერთობა თავის ყოფილ მფარველთან. ფორსტერს ძალიან მახვილი თვალი ჰქონდა, ის მშვენივრად ხვდებოდა, ვინ მოიპოვებდა წარმატებას, და წინასწარ განწყვიტა, რომ ეინსვორტის სახელი მალე დაკარგავდა ელვარებას დიკენსის გვერდით. ამიტომ, როცა ეინსვორტის „ჯეკ შეპარდს“ მალაზიებიდან იტაცებდნენ, ხოლო — „ოლივერ ტვისტი“ ჯერ მხოლოდ თაროებზე ეწყო, ფორსტერი საშინლად განრისხდა, ეინსვორტის წიგნი ამორალურად გამოაცხადა და ამრიგად ერთის მეგობრობა მეორეს, უფრო ხელსაყრელს, ანაცვალა. თავისი ცხოვრების ერთადერთი რომანიც კი ფორსტერმა მსგავს მოსაზრებებს დაუმორჩილა. მისი დანიშნული იყო მწერალი და პოეტი ქალი ლეტიცია ლენდონი, რომელიც წერდა ფსევდონიმით „ლ. ე.“. ქალი ათი წლით უფროსი იყო თავის საქმროზე და მისკენ ფორსტერს უმთავრესად ცნობილი მწერლის სახელი იზიდავდა. როცა ხმა გავრცელდა, ქალი ცოლშვილიან კაცთან, უილიამ მაგინთან ინტიმურ ურთიერთობაში იმყოფება და მის რეპუტაციას საფრთხე ემუქრებაო, ფორსტერმა ეს უმაღვე საბაბად დაიხვია ხელზე და ნიშნობა გააბათილა. თავის განცდებს ისეთ ყურადღებას აქცევდა, ისე დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა, რომ, თუ ვინმეს წაეჩხუბებოდა, მოითხოვდა, მის მეგობრებსაც ყოველგვარი ურთიერთობა გაეწყვიტათ ასეთ ადამიანთან. სწყინდა, თუ მეგობარი რეგულარულად არ სწერდა წერილებს. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ თვითონ ფორსტერი მაინცდამაინც არ იყო დარწმუნებული თავის თავში. მყვირალა თვითდამაჯერებლობის ქვეშ, უეჭველია, შინაგან შეზღუდულობასა და უხერხულობას ფარავდა. ამავე დროს, როგორც კრიტიკოსი, ის დიდი პატივისცემით სარგებლობდა, მას კითხულობდნენ, ანგარიშს უწევდნენ. „ფორსტერი რა აზრისაა?“ — ეკითხებოდნენ ერთმანეთს ორმოც-ორმოცდაათიან წლებში ისინი, საკუთარი აზრით რომ უნდა ეხელმძღვანელათ. მის აზრს აფასებდნენ. გასაოცარი ნიჭი ჰქონდა, აეძულებინა ადამიანი, მისი მითითებით ემოქმედა.

ნელ-ნელა ფორსტერმა კანონების მოკარნახე მბრძანებლის მდგომარეობა მოიპოვა, ასე რომ, ახალი თაობა მას ისეთსავე პა-

ტივს სცემდა, როგორითაც თავის დროზე მხოლოდ დოქტორ ჯონ-სონი<sup>1</sup> სარგებლობდა.

და მაინც თითქმის ყველა სიყვარულით ექცეოდა ფორსტერს. ის გულკეთილობას იჩენდა იმათ მიმართ, ვისაც გასაქირში ხედავდა. დაუცხრომელი იყო, როცა მეგობარი დახმარებას საჭიროებდა. მაგრამ ზოგჯერ. მეტს კისრულობდა, ვიდრე შეეძლო და ამიტომაც ყველაფერს ურევდა. სამაგიეროდ, არასდროს არ ზოგავდა თავის ძალ-ღონეს და, თუ ეს მჩქეფარე სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე ადამიანი რაიმეს იკისრებდა, საქმე ბოლომდე მიჰყავდა. იმავე დროს ნერვული. ემოციური ადამიანი იყო. თანაუგრძნობდა და უხვად ეხმარებოდა, ვისაც ეს ესაჭიროებოდა, შეეძლო ერთ წუთში ეპატიებინა ყველაფერი იმისათვის, ვისი დასჯაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. სხვისი მწუხარება ისე ატირებდა, როგორც საკუთარი. მეგობართან მარტო თუ დარჩებოდა, ხათრიანი იყო, მშვიდად, ბუნებრივად, სადად და გულთბილად ექირა თავი. გულახდილად აღიარებდა თავის სუსტ მხარეებს და სხვასაც აპატიებდა ნაკლს. სწყინდა, თუ საშუალებას უსპობდნენ სიხარული და მწუხარება გაეზიარებინა მისი საყვარელი ადამიანისათვის. მაგრამ საზოგადოებაში ის სულ სხვა იყო: ცრუპატივმოყვარე და ქედმაღალი.

ფორსტერს მასპინძლად ყოფნა ერჩია სხვასთან სტუმრობას. მისი სადილები ლინკოლნ-ინ-ფილდსზე განთქმული იყო. მასპინძელმა თითოეული სტუმრის გემოვნება იცოდა და ყველას ასიამოვნებდა. ქიქები მისას უფრო ხშირად ივსებოდა, ვიდრე ეს სასარგებლო იყო სტუმრების ჯანმრთელობისათვის. სპეციალურად მამაკაცებისათვის გამართულ სადილებზე ისეთი შმაგი მხიარულება სუფევდა, რომ უმრავლესობა იქიდან მხოლოდ ბედნიერი შემთხვევისა და არა სალი გონების წყალობით მიაღწევდა ხრლმე თავის სახლამდე. იქ ბევრად უფრო თავისუფალი სიტყვები გაისმოდა, ვიდრე აეკერვის და დიკენსის მკითხველებს შეეძლოთ წარმოედგინათ. ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ როგორ ამოცოცდებოდა დამღამობით ბიწიერება ქალაქის ქვაფენილზე ყოველი ხვრელიდან. ემერსონმა განაცხადა, თუ ყველგან ისეთი უსირცხვილო პროსტი-

<sup>1</sup> ჯონსონი — ინგლისელი მწერალი, ლექსიკოგრაფი და კრიტიკოსი მე-18 საუკუნეში, ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის ავტორი.

ტუციაა, როგორც ლივერპულში, სადაც ჩემი თვალებით ვხედავდი მას, მაშინ ყოველ ჭაბუკს საშინელება მოეღისო. ამაზე კარლელიმა და დიკენსმა უპასუხეს, ინგლისში უბიწოება მამაკაცების შორეული წარსულის საქმეა და ისე იშვიათია, რომ გამონაკლისები თითებზე ჩამოითვლებათ. კარლელიმა დასძინა, ალბათ ამერიკაშიც იგივე ხდებაო. მაგრამ ემერსონმა უპასუხა, ჩემს ქვეყანაში კარგად აღზრდილი ჭაბუკები საქორწინო სარეცელში უბიწოები წვებიანო, მაგრამ თავისი ნათქვამი არაფრით დაუსაბუთებია. დიკენსმა თავის მხრივ შენიშნა — ინგლისში აღვირახსნილობა წესადაა ქცეული და ჩემი შვილი რომ უბიწო აღმოჩნდეს — შეეშფოთდები, ავად ხომ არ არის მეტი. დიახ, სადილები საუცხოო იყო და სტუმრები ითმენდნენ მასპინძლის წრეგადასულ მრავალსიტყვაობას. დიკენსი არასდროს არ ცდილობდა მსმენელთა ყურადღების დაპყრობას, ის დიდი ინტერესით უსმენდა მეგობრებს, ხუმრობით უპასუხებდა ქათინაურებზე, რომლებითაც მას დიდი მოგოლი აჯილდოებდა. ისინი მართლაც მეგობრები იყვნენ, თუმცა დიკენსი ზოგჯერ ვერ სძლევდა ცდუნებას და ფორსტერს მთელი მისი სიდიადით წარმოადგენდა, ბაძავდა მას იქვე, მის თვალწინ. „რამდენს იხდით შამპანურში?“ — ჰკითხა ერთხელ ფორსტერს ერთმა სტუმართაგანმა. „ჰენრი, რამდენს ვიხდი შამპანურში?“ — თვითმპყრობელის კილოთი იკითხა ფორსტერმა. „ნახევარ გინეას ბოთლში“, — დინჯად მიუგო ლაქიამ. ამ დიალოგმა დიკენსის უსაზღვრო აღტაცება გამოიწვია და შემდეგ მას არაერთხელ წარმოუდგენია ეს სცენა. მეორეჯერ სუფრაზე საქონლის მოხარშულ ხორცზე სტაფილო არ ეწყო. ფორსტერმა დარეკა. მსახური გამოცხადდა. „მერი! მოიტანეთ სტაფილო!“ მერიმ მოახსენა, სტაფილო არ არისო. ფორსტერმა დაითხოვა ქალი და თან მიაყოლა: „გააჩინეთ სტაფილო, მერი!“ თვით მამაღმერთს, როცა ის ეშაადებოდა დიადი სიტყვების სათქმელად „იყოს სინათლე“, შეშურდებოდა მოგოლის ხელმწიფური კილო. ამ ეპიზოდმაც საპატიო ადგილი დაიკირა დიკენსის რეპერტუარში.

მაგრამ დროთა ვითარებაში ფორსტერის ეგოიზმმა, მისმა შეურყეველმა თვითდაჯერებულობამ, გაუტანლობამ იმათ მიმართ, ვინც მის რჩევას არ მისდევდა, შეარყია მათი მეგობრობა. დიკენსს გული გაუცივდა ფორსტერზე, თუმცა მადლიერების გრძნობა ყველაფრისათვის, რაც მოგოლმა გაუკეთა, მის გულში სამუდამოდ დარჩა. ის

ბოლომდე აფასებდა დიდი მოგოლის კეთილ თვისებებს, მაგრამ უფრო და უფრო უმძიმდა მისი მანერების ატანა და შესანიშნავად ამასხარავებდა მის ახირებულობას. 1855-დან 1865 წლამდე დიკენსს თავის უბის წიგნაკში შეუტანია მომავალი თხზულებებისათვის გამოსადეგი აზრები. ორი ჩანაწერი ფორსტერს ეხება (იმათგან შემდეგში გაჩნდა პოდსნაპი, „ჩვენი საერთო მეგობრის“ გმირი). აი ისინი:

„მე თავგამოდებით ვიცავ ჩემს მეგობრებსა და ნაცნობებს, არა თვით მათთვის, არამედ იმიტომ, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან. მე ვიცნობ მათ. შე ყოველგვარი უფლება მაქვს მათზე, მე პატენტი მაქვს ალებული მათზე. მათი დაცვით მე ჩემს თავს ვიცავ...“

„და ჰგონია, რომ რასაც ის არ სცნობს, საერთოდ აღარ არსებობს ბუნებაში“.

ფორსტერმა პოდსნაპში თავისი თავი ვერ იცნო. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ სწორედ ის იფხორებოდა ინდაურით. და არც შეეძლო წარმოედგინა, თუ დიკენსი იკისრებდა დაეხატა ის აუტანელი ხასიათის ჩია კაცად.



## შრომა და გართობა

1838 წელი იყო. დიკენსს ამდენი არასოდეს უშრომია. ის „ოლივერ ტვისტს“ და „ნიკოლას ნიკლბის“ წერდა. გრიმალდის მემუარებს ხეწდა, ახალ ნარკვევებს ამზადებდა ჩეპმენისა და ჰოლისათვის, ზოგჯერ—„ეგზამინერისთვისაც“, რედაქტორობდა „ბენტლის ალმანახს“ და წერილებს წერდა მისთვის. მთელი ოქტომბერი ისე მოუტლელი იყო, რომ დაგროვილი წერილებისათვის სამი კვირის განმავლობაში ხელი არ უხლია. ფული კი არ ყოფნიდა. ოჯახის ექიმს ბოდიში მოუხადა: გასამრჯელოს წლის ბოლომდე ვერ გადაგიხდით. „ფსკერი ფეხებქვეშაა, ნაპირი ახლოა, მე მზად ვარ, გაბედულად შევუტეო „ოლივერს“, მაგრამ მორიგი სამუშაოს ტალღა ისევ გამიტაცებს და მიმათრევს ხელნაწერთა ზღვაში. ზოგჯერ მას მთელი დღე უცდებოდა: სრულიად ღონემიხდილი იყო, განსაკუთრებით „ოლივერ ტვისტზე“ წვალობდა. ბოლოს, როცა მეტის გაძლება აღარ შეეძლო, ჩაჯდა გემში და ბულონში გაემგზავრა, იქ სულმოუთქმელად მუშაობდა სასტუმროში. „ოლივერისა“ და „ნიკოლასის“ მორიგი გამოშვებისათვის მასალა დაამზადა და სწორედ იმ დროს დაბრუნდა, როცა ხელნაწერი ასაწყობად უნდა ჩაებარებინა. „თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, საზრუნავისა და სიამოვნების რა ტვირთს კისრულობთ. როცა მწერლის პროფესიას ირჩევთ“. — აფრთხილებდა ის ერთ ქალს. რომელმაც რჩევისათვის მიმართა. მაგრამ თავისთვის კი სწორედ ეს პროფესია აირჩია — და არ ნანობდა: ვინც ხელოვნების ერთგულია, მთლიანად უნდა შესწიროს მას თავი და ჯილდოც ეს იქნება! თავის სამუშაოში ის უფრო

უშუალო გრძნობებს აქსოვდა, ვიდრე ნააზრევს. მწერალს უნდოდა წიგნს შესისხლხორცებოდა, როგორც მსახიობი შეუსისხლხორცდება ხოლმე თავის როლს, მთელი არსებით უნდა ჩაფლულიყო მასში. ის ამბობდა: „რალაცნაირად არაფერი გამომდის (განსაკუთრებით, თუ სერიოზულ რამეს ვწერ), სანამ არ გავხურდები, სანამ თემა იმდენად არ გამიტაცებს, რომ ველარ მოვშორდე მას“. აი, რატომ იყო, რომ დიკენსს არასოდეს არ ჰქონდა წინასწარ წარმოდგენილი, როგორ დამთავრდებოდა ესა თუ ის ეპიზოდი, როგორ განვითარდებოდა ესა თუ ის ხასიათი, და, როცა სამუშაო მაგიდას მოშორდებოდა, უკვირდა, ამბავი როგორ წარმართულაო. უკვირდა ისე, როგორც სულ გამოუცდელ მკითხველს. „ოლივერ ტვისტზე“ მუშაობისას; უცერად შენიშნა, მშვენიერი პიესა გამოვყო და ერთ თეატრს მისი დადგმა შესთავაზა.

„ფეჩინი, — განაცხადა მან, — ისეთი გაქეჩილი ეშმაკია, რომ პირდაპირ ვერ წარმომიდგენია, როგორ მოვიცილებ თავიდან“. ბუნებით მსახიობს აუდიტორია სწყუროდა და დააკანონა, ყოველი თხზულება დაბეჭდვამდე თავისი მეგობრებისათვის წაეკითხა. მაგალითად, მის ცოლზე ცნობილმა მკვლელობის სცენამ „ოლივერ ტვისტიდან“ მართებული შთაბეჭდილება მოახდინა. „მას რალაც აუწერელი ემართებოდა... კარგი ნიშანია, ჩემი წინაგრძნობაც ამას მეუბნება“.

„ოლივერ ტვისტმა“ ახალი მკითხველი მოინადირა. ეს რომანი მკვეთრად განსხვავდებოდა თავის წინამორბედისაგან და თითქმის შეუძლებელი იყო იმის დაჯერება, რომ ორივე წიგნი ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნოდა. მისი განსაკუთრებით კარგი სურათები მოწმობენ, რომ დიკენსი კარგად იცნობდა ცხოვრების უკუღმართ მხარეს და ამაში მკირე წვლილი როდი შეიტანა ზუმბერზეთის ქარხანამ. მონობის მძიმე პერიოდი დიდი ხანია განვლილი იყო და აიწ დიკენსმა ქურდების თავშესაფარის სახით, საქმის ცოდნით და დიდი გემოვნებით გააცოცხლა ძველი საწყობი, მისი შემზარავი და ადამიანის ღირსების დამამცირებელი წვრილმანებით. ახლა ის მიხვდა, რომ მისთვის, როგორც მხატვრისათვის, არაფერს ჩაუვლია ფუჰკად. მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ ის გაუგებარი გარემოება, რომ ყველაზე თავზნებლადებულ ბოროტმოქმედს იმ ერთადერთი ადამიანის სახელი დაარქვა, რომელიც გულთბილად ეპყრობოდა ბავშვო-

ბის შემზარავ დღეებში. ის არაფერს ცუდს არ ხედავდა იმაში, რომ ამგვარად გამოიყენა ბობ ფეჯინის სახელი და გვარი. დიკენსისათვის მისი ფანტაზიით შექმნილი ფიგურები ცოცხალ ადამიანებზე უფრო რეალური იყო და, შესაძლოა, კიდევ ეგონა (თუკი ამ დროს საერთოდ გააჩნდა უნარი რამეზე დაფიქრებულიყო, გარდა თავისი გმირებისა), ძველ მეგობარს ამით პატივი ვეცო. „მრავალი წლის შემდეგ მე ჩემს თავს ნება მივეცი, ეს სახელი (ფეჯინი) გამომეყენებინა „ოლივერ ტვისტში“ — აი ერთადერთი, რისი თქმაც მწერალმა საჭიროდ დაინახა ამ თემაზე. ის იმდენად შეპყრობილი იყო თავისი ქმნილებებით, ისე ცოცხლობდა მათი სიცოცხლით, რომ გულწრფელად უკვირდა, მისი პროტოტიპები რომ ნაწყენი რჩებოდნენ. პროტოტიპებს კი ის სწყინდათ, რომ მათთვის შინაგანად შესაზარა გმირებს მიაწერდა. ბობ ფეჯინს რომ პროტესტის გამოცხადება ეფიქრა, დიკენსს, უეჭველია, ეწყინებოდა, მან ხომ საუცხოოდ იცოდა, რა მცირე მსგავსება იყო ფეჯინსა და ბობს შორის. დიკენსს კარვად ახსოვდა ფაბრიკასთან დაკავშირებული საშინელებანი, მარტოობა და განკერძოება მათგან, ვისაც ის ქარხანაში ხედავდა, მაგრამ მოხდა შემოქმედებითი მეტამორფოზის მსგავსი რამ: ერთადერთი ადამიანი, რომელიც ქარხანაში თანაგრძნობით ეპყრობოდა მას, რომანში უსაშინლეს ბოროტმოქმედად იქცა. რაც შეეხება მოხერხებულ გაიძვერას და ჩარლი ბეიტსს, ეს, როგორც ჩანს, იმ ორი ბიჭის პორტრეტია, რომლებიც ოდესღაც სჩაგრავდნენ პატარა დიკენსს. ჩარლზ დიკენსს მათგან ახალგაზრდა ფეჯინი იცავდა, გამოგონილ ოლივერს კი — მოხუცი.

ებრაელს თავისი ლიტერატურული მშობლისაგან მემკვიდრეობით გასაოცარი იუმორი გამოჰყვა; რომანის პერსონაჟებში ის ნამდვილად ყველაზე ცხოვრებისეულია. ბილ საიქსი — გროტესკი. კარიატურაა, ნენსი კი — ერთი იმ „დაცემულ ქმნილებათაგანია“, რომლებიც მუდამ გვხვდება დიკენსისა და მის თანამედროვეთა რომანებში, როგორც სიცოცხლემოყირკებული. თავის კეთილდღეობაში დარწმუნებული კლასის ხორცშესხმული დანაშაული. როგორც სიღარიბე ყველას ერცხვინება, გარდა ღარიბებისა, მეძავობაც სირცხვილს იწვევს ყველაში, გარდა მეძავეებისა. ვიქტორიას ეპოქის ლიტერატურის გმირი ქალების მსგავსად ნენსი სინდისის განსახიფ-

რებაა, მაგრამ ცხოვრებისეული სიმართლისა კი — არა, შემეცნებითი თვალსაზრისით ის საინტერესო არ არის.

ბამბლი მოხელეთა წრის გამასხარავების პირველი ცდაა დიკენსის შემოქმედებაში. წლების მანძილზე დაცინვა უფრო და უფრო გაბედული და გესლიანი ხდებოდა. ეს გაფრთხილება ყველასათვის, ვინც დიკენსს სოციალიზმის ან რომელიმე სხვა „იზმის“ წინამორბედად აცხადებს. რომანში კიდევ ერთი გმირია, ამ გმირის სახე ნათელს ჰფენს იმ მეთოდებს, რომლებსაც დიკენსი იყენებდა. საპოლიციო უბნის სურათის დასახატად მწერალს გულქვა მოსამართლე დასჭირდა. ყური მოჰკრა ჰეტონ-გარდენში სწორედ ასეთი არაჩვეულებრივად არასასიამოვნო პიროვნება ცხოვრობსო. მან მოახერხა სასამართლოში შეღწევა და სწრაფად, მაგრამ ზედმიწევნით შეისწავლა ეს ადამიანი. ადგილობრივ ხელისუფლებას არაერთხელ მისვლია საჩივარი, მოსამართლე ფენგი თავის უგუნებობას სასამართლოს სხდომის დარბაზში ანთხევსო. ერთ-ერთი საჩივარი მღვდელმა შეიტანა (ეს მღვდელი შემდეგში დასაჯეს იმის გამო, რომ საქველმოქმედო სადილზე, რომელზეც თავმჯდომარედ იყო, ვერცხლის კოვზი მოიპარა). დიკენსმა ოსტატურად დახატა მოსამართლის პორტრეტი. ხელისუფლებამ ისარგებლა შემთხვევით და ის, როგორც ჩანს, თანამდებობიდან მოხსნეს. ფენგი მართლაც აღრენილ გუნებაზე იყო, როცა დიკენსი უთვალთვალებდა. ვინ იცის, ეგებ მთვრალი იყო, შეიძლება ფხიზელიც, რაც კიდევ უარესია. დიკენსი ამ საკითხს ღიად ტოვებს.

„მისტერ ფენგი საშუალო ტანის, ჩამომხმარი კაცი იყო, კისერგამშეშებული. თმა მხოლოდ კეფის გარშემო შერჩენოდა. პირქუშად გამოიყურებოდა. სახე არაბუნებრივად ულაყლავებდა. უზომოდ სმის საძაგელი ჩვეულება რომ არ ჰქონოდა, შეეძლო საკუთარი პირისახე პასუხისგებაში მიეცა ცილისწამებისათვის და კარგ კომპენსაციასაც მიიღებდა მიყენებული ზარალის ნაცვლად“.

„ოლივერ ტვისტში“ დიკენსმა პირველად გამოამჟღავნა ლონდონის ატმოსფეროს აღქმისა და გადმოცემის არაჩვეულებრივი ნიჭი. ლონდონის კარგი მცოდნე სხვაც ბევრი იყო: მაგალითად, დოქტორი ჯონსონი, ანდა ჩარლზ ლემი. მაგრამ დიკენსი თვით ლონდონი გახლდათ. ის ქალაქთან იყო შერწყმული, მისი ყოველი აგურის, შემადღულაბებელი ხსნარის ყოველი წვეთის ნაწილს წარმოადგენდა.

დიკენსის ლონდონზე ისე ფიქრობ და ლაპარაკობ, თითქოს თვითონ დიკენსს. აეშენებინოს ის და ლონდონი კი არა, დიკენს-თაჟნი უნდა ერქვას. დიკენსი ქუჩების, სანაპიროების და მოედნების უდიდესი პოეტი იყო, მაგრამ იმ დროს მისი შემოქმედების ეს უნიკალური თავისებურება კრიტიკას შეუმჩნეველი დარჩა. თითქმის ოცი წელი შეიქნა საკირო, რომ ის აღმოეჩინათ. ფაქიზი მკითხველი აფორიაქდა: საიდანღაც მოულოდნელად, უეცრად სოციალური რეფორმების მაუწყებელი გამოჩნდა! „დაბალი“ ცხოვრების მომღერალი! ასეთი დიკენსი მათ არ აწყობდა. ინჰოლსბი ბარჰემი<sup>1</sup> ერთ თავის მეგობარს სწერდა: „ოლივერ ტვისტში“ რაღაცნაირი რადიკალური სურნელება იგრძნობა, რომელიც მაინცდამაინც არ მომწონს. ვფიქრობ, ამ ხარვეზს მალე მოვიცილებთ. ყოველ შემთხვევაში, ბენტლის ლოიალობას შეიძლება ვენდოთ“. მაგრამ რა მოხდა? ჩვენ უკვე ვიცით, ვინ იქნა „აცილებული“ და ძლიერ რადიკალურადაც: თვითონ ბენტლი. მაგრამ უფრო გასაოცარი იყო თეკერეის თავდასხმა, რომლის აზრით „ნიკიერ ადამიანს ასეთი ტიპების მიმზიდველად და საინტერესოდ დახატვის უფლება არა აქვს. მკითხველის არაჩანსად ჟინს არ უნდა ავეყვით, საკუთარი ავადმყოფური ფანტაზიაც უნდა ავლაგმოდ, არ უნდა გავუმასპინძლდეთ მკითხველს ასეთი საზარელი ნათათხნით“. ეს პირველი მტრული ხმა იყო, რომელიც ორი ყველაზე სახელგანთქმული ვიქტორიანელი მწერლის ურთიერთობაში გაისმა (თეკერეი იმ დროს ნაკლებად ცნობილი იყო). ექვს გარეშეა, არც ერთ მათგანს არ დავიწყებია ის მომდევნო წლებში.

მიუხედავად შეუნიღბავი რადიკალობის და „დაბალი“ ცხოვრებისადმი მიდრეკილებისა, დიკენსი არისტოკრატთა ოჯახების და ფეშენებელური სალონების სასურველი სტუმარი გახდა. იყო ჭაშინოთხი ნიკიერი ახალგაზრდა კაცი, რომლებსაც ჩაცმის მანერა ისევე ექსტრავაგანტური ჰქონდათ, როგორებიც თვითონ იყვნენ. მათთვის ჩაცმის ხელოვნების კერპს გრაფი დ' ორსე წარმოადგენდა, ეს უკანასკნელი ღუნდი. მოდური ჩაცმულობის მხრივ ყველაზე ექსცენტრული ბენჯამენ დიზრაელი იყო, მაგრამ მას არც სხვები ჩამორჩე-

<sup>1</sup> ინჰოლსბი ბარჰემი — დიკენსის თანამედროვე ცნობილი ინგლისელი თუმორისტი.

ზოდნენ — ედვარდ ბულვერი, გარისონ ეინსვორტი და ჩარლზ დიკენსი.

კენსინგტონში გორ-ჰაუსი ლედი ბლესინგტონის რეზიდენციას წარმოადგენდა. რადგანაც სახლი იმავე დროს გრაფ დ' ორსეს შტაბი იყო. მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები თავს არიდებდნენ გორ-ჰაუსს. მანდილოსანი იშვიათად თუ გაბედავდა იქ გამოჩენას, რომ მის რეპუტაციას ლაქა არ მოსცხებოდა. რაც შეეხება დიკენსს, ლედი ბლესინგტონის წყალობით ამ ბრწყინვალე წრეში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ძლიერ შეეთვისა გრაფ დ' ორსეს და დიასახლისს. როცა ის იტალიაში მოგზაურობდა, გრძელ წერილებს სწერდა ლედის და ყველა თავის თავგადასავალს აუწერდა. „... არ დაუჭეროთ მათ. გულში ორმოცდაათი წერილი მაინც მოგწერეთ, მაგრამ ვერც ერთს ვერ ჩავთვლი ჩემს დამსახურებად, უკლებლივ ყველა გამოწვეული იყო სურვილით, გასოვდეთ და თქვენი კეთილი განწყობილება შევინარჩუნო“. აი, ნაწყვეტი მეორე უსტარიდან: „წინასწარვე აღტაცებით ვტკბები თქვენი მალე ხილვის მოლოდინში. ისეთი ზათქით დავესხმი თავს გორ-ჰაუსს, რომ თქვენი პუდელიც კი გაოცდება — თუ მან კიდევ შერჩენია უნარი, რაიმე გაუკვირდეს ამ ცოდვილ დედამიწაზე“. ინგლისში დაბრუნების შემდეგ დიკენსმა საუცხოოდ გაატარა დღე გორ-ჰაუსში და დიასახლისს განუცხადა: „კი ღირს ჩვენეთში ან ამერიკაში წასვლა იმისათვის, რომ ისევე დაბრუნდე სამშობლოში, სადაც მოგელის ასეთი სიხარული: თქვენთან და გრაფ დ' ორსესთან შეხვედრა“.

გორ-ჰაუსში მან გაიცნო უოლტერ სევიჯ ლენდორი, რომელიც „ჰავეს ორმოც ლომს, შერწყმულს ერთ პოეტში! გაცნობის შემდეგ სულ მალე დიკენსი ლენდორს ბატში ეწვია. აქ აღმოჩნდა, რომ მისი მეგობარი „საშინლად სწავლული იყო“, საუბარში უმთავრესად პირველი პირის ნაცვალსახელს ხმარობდა მხოლოდობით რიცხვში და დაყინებით არ-სურდა საკუთარი მცდარი აზრების უარყოფა. მაგრამ მიუხედავად ამისა, „მასთან ყოფნა არასდროს მოგწყინდება და საერთოდ ის საუცხოო ყმაწვილი და რაინდიკ, რომლისთანა იშვიათად მოიძებნება“. მაგრამ ზოგჯერ ცხარედ კინკლაობდნენ. ერთხელ დიკენსმა დროზე ვერ მისწერა წერილი მეგობარს. გაჯაერებულმა ლენდორმა მიახალა, ეშმაკებში შენი თავიო. დიკენსმა

თავდაჯერილად უპასუხა: „არა მაქვს სურვილი, რადგან არა ვარ დარწმუნებული, რომ თქვენს სარეკომენდაციო წერილს ეშმაკი ნამდვილად გაუწევს ანგარიშს“. ურთიერთპატივისცემა რომ არასდროს დაუკარგავთ, კარგად ჩანს დიკენსის წერილიდან. ის მადლობას უხდის ლენდონს, რომელმაც ერთ-ერთი წიგნი უძღვნა დიკენსს 1853 წლის სექტემბერში: „ეს მოძღვნა ჩემთვის დიდი პატივია... მას თვით დედოფლის მოძღვნაზეც არ გავცვლიდი“.

დიკენსს სიამოვნებით იღებდა თავის ოჯახში ლედი ჰოლანდიც. დიკენსი ჰოლანდ-ჰაუსის ხშირი სტუმარი გახდა. ჰოლანდ-ჰაუსი ერთი საფეხურით მაღლა იდგა გორ-ჰაუსის სალონთან შედარებით და აი რატომ: ლედი ბლესინგტონს საექვო ურთიერთობა ჰქონდა გრაფ დ'ორსესთან და ლედი ჰოლანდი ამის გამო მედიდურად უცქეროდა მას. მაგრამ ლედი ჰოლანდს თვითონაც არასასიამოვნო მდგომარეობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მისი ურთიერთობა თავის საკუთარ ქმართან ერთ დროს დაკანონებული არ იყო და ის მანდილოსნები, რომლებსაც მამაკაცებთან ურთიერთობაში არასოდეს გადაულახავთ კანონიერების ჩარჩოები, ისევე უცქეროდნენ და ექვეოდნენ მას, როგორც ის — ლედი ბლესინგტონს: არც ერთს უყადრებდნენ თავს და არც მეორეს. მაღალი საზოგადოების ეს „სიფაქიზე“ დიკენსს მხოლოდ ართობდა და სულაც არ უშლიდა ხელს, სტუმრებოდა ორივე სალონს, თანაც — უცოლოდ. აქ ნახავდით ყველას, ვისი გაცნობაც ღირდა: გორ-ჰაუსის ღირსშესანიშნაობას დიზრაველი წარმოადგენდა, ჰოლანდ-ჰაუსის „ეარსკვლავი“ სიდნეი სმითი იყო.

დიკენსი სწერდა გამომცემელ უილიამ ლონგმანს: „გთხოვთ გადასცეთ მისტერ სიდნეი სმითს, რომ იმათთაგან. ვისაც მე მხოლოდ შორიდან ვიცნობ, ყველაზე უფრო მისი გაცნობა მწადია“. მისი ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებული იქნა; მათ ერთმანეთი მოეწონათ. დიკენსის ეპოქის წარმომადგენელთა შორის სიდნეი სმითი ყველაზე ნიჭიერი იყო. სმითი აუცილებლად გახდებოდა დიკენსის რომელიმე რომანის გმირი, ავტორს რომ ყოველი პორტრეტი მოჩამახულად არ მოსჩვენებოდა ორიგინალთან შედარებით. „როგორი კეთილშობილი ჰქუა ჰქონდა!“ — აი ყველაფერი, რასაც ვიგებთ სი-

---

1 სიდნეი სმითი — (1771—1845) — ფილოსოფოსი-ღვთისმეტყველი, მრავალი წიგნის ავტორი.

დნეი სმითზე დიკენსისაგან, რომლის კალამს მის სახელგანთქმულ თანამედროვეთა მრავალი ბრწყინვალე პორტრეტი ეკუთვნის. იქვე, ჰოლანდ-ჰაუსში, დიკენსი შეხვდა მეორე „ქკუას“ — არა ესოდენ კეთილშობილს — ბანკირსა და პოეტს — სამუელ როჯერსს.<sup>1</sup> როჯერსის ოჯახში საუზმეებზე ხელოვნების სამყაროს მთელი მაშინდელი თაიგული იყრიდა თავს. ერთხელ დიკენსიც კი მივიდა. „დიკენსიც კი“ იმიტომ, რომ თუ დილით მოშორდებოდა თავის საწერ მაგიდას, მთელი დღე და საღამო ეკარგებოდა. ასეთი ამბავი კიდევ ერთხელ გამეორდა: 1870 წლის მაისში, როცა გლადსტონთან იყო მიწვეული საუზმეზე. თუ როჯერსი უფრო შესაფერ საათებში უმასპინძლდებოდა თავის მეგობრებს, დიკენსიც სიამოვნებით იღებდა მის მიწვევას და ისე გულმხურვალედ იყო განწყობილი მასპინძლისადმი, რომ წიგნიც კი უძღვნა მას. დიკენსის 1852 წლის წერილის მიხედვით ეს სრულიადაც არ იყო თავშეუთქავებელი აღტაცება. ის წერდა: როჯერსი ისეთივეა, როგორც ყოველთვის: სიცოცხლით სავსე და ღვარძლიანი. დღეში ოცჯერ გიამბობს ერთსა და იმავეს ერთი და იმავე სიტყვებით. მართავს ინტიმურ სადილებს ოთხი პირისათვის და ცოფდება, როცა ამ სადილზე ვინმე სხვას მომართავ და არა მას“. იმ დროის კიდევ ერთი გამოჩენილი „ქკუათაგანი“, რომელიც დიკენსს უყვარდა და რომელსაც პატივს სცემდა, დუგლას ჯეროლდი<sup>2</sup> იყო. ის სხვა წრის ადამიანი გახლდათ. ზოგი პირქუშ ცინიკოსად სთვლიდა. დიკენსი სხვა აზრისა იყო. „ძალიან კეთილი, ძალიან ნაზი ადამიანთაგანია ქვეყანაზე, — წერს ის, — თუმცა თანმიმდევრულობით და წონასწორობით არ დაუჯილდოვებია ბუნებას“.

„ნიკოლას ნიკლბი“ — აი, ვინ შესძინა დიკენსს სახელი საზოგადოების მაღალ კლასებში. გორ-ჰაუსშიც და ჰოლანდ-ჰაუსშიც მას ყველა კითხულობდა. ყველანი კამათობდნენ, წინასწარმეტყველებდნენ, რა ბედი ეწეოდათ რომანის გმირებს, თითქოს ისინიც ცოცხალი ადამიანები ყოფილიყვნენ და ეს ამბავი სინამდვილეში მომხდარიყოს. ზოგი პორტრეტი მართლაც ნატურიდანაა დახატული. სკოლის

<sup>1</sup> სამუელ როჯერსი (1763—1855)—ინგლისელი პოეტი, კოლექციონერი და ბანკირი.

<sup>2</sup> დუგლას ჯეროლდი — ინგლისელი დრამატურგი, იუმორისტი, დიკენსის მეგობარი.



პატრონი სკვირსი კი იმდენად ჰგავდა ორიგინალს, რომ ამ მსგავსე-  
ბამ მას ადრე მოუსწრაფა სიცოცხლე.

იორკშირის სკოლების ამბები დიკენსმა პირველად ბავშვობაში  
გაიგონა. მაშინ იგი როჩესტერის ციხის მახლობლად მყუდრო კუთ-  
ხეში მიიყუჩებოდა და ფიქრობდა იმათზე, ვინც მუდამ გონებაში  
უტრიალებდა: ესენი იყვნენ პარტრიჯი, სტრეჟე. ტომ პაისი და  
სანჩო პანსა. ბავშვობის შთაბეჭდილებები იორკშირის სკოლებზე  
„დაკავშირებული იყო დაჩირქებულ წყლულთან. რომელმაც ერთი  
მოწაფეთაგანი მოკლა. რადგან იორკშირელმა აღმზრდელმა, ფილო-  
სოფოსმა მელნით დასერილი დანით გაუკვეთა დაჩირქებული სიმ-  
სიენე“. დიკენსს შემდეგაც ხან იქ, ხან აქ ესმოდა ზოგი რამ იორკ-  
შირის სასწავლებელზე და ბოლოს გადაწყვიტა დაეწერა ამ თემაზე.

ერთ დღეს დიკენსი ჰებლოტ კ. ბრაუნის თანხლებით ეტლში  
ჩაჯდა და იორკშირში გაემგზავრა. ერთმა ნაცნობმა მას სარეკომენ-  
დაციო წერილი გაატანა ადვოკატ რიჩარდ ბარნსესთან. წერილში  
ეწერა — დიკენსი მეგობარია ერთი ქვრივი ქალისა, რომელსაც  
სურს თავისი ვაჟები იორკშირის სასწავლებელში მიაბაროსო. ბარ-  
ნესმა ჩამოსულებს რამდენიმე სკოლა დაუსახელა, მაგრამ მეორე  
საღამოს მივიდა მათთან სასტუმროში და გამოუტყდა, თქვენზე ფიქ-  
რი არ მასვენებდა, რადგან იქაური სკოლა არ არის შესაფერისი  
ადგილი ობოლი ბიჭებისათვის, ჯობს სხვაგან მოაწყოს ქვრივმა ვა-  
ჟები, გინდ საჩინბოში. გინდ სავაჭროში გასაგზავნ-გამოსაგზავნ  
ბიჭებად. ანდა სულ მიანდოს ბედს: აქაურ სკოლაში მიბარებას ყვე-  
ლაფერი აჯობებსო. ბრაუნმა და დიკენსმა ზემოთ ნახსენები სასწავ-  
ლებლები შემოიარეს და ბოლოს ბაუზ-აკადემიზე შეჩერდნენ. იქ ამ  
სასწავლებლის დირექტორს უილიამს შოუს ესაუბრნენ. დირექ-  
ტორმა იქვეულად შეათვალღერა სტუმრები და სკოლის ჩვენება-  
ზე უარი განუცხადა. ასეთი წინდახედულებისათვის მას მტკიცე სა-  
ფუძველი ჰქონდა: მოწაფეებს ცუდად ეპყრობოდა. ამიტომაც რამ-  
დენიმეჯერ იყო პასუხისგებაში მიცემული და დიდი ჯარიმაც გადაე-  
ხადა არაადამიანური ყოფაქცევისათვის. მრავალ მოწაფეს მისი უყუ-  
რადღებობის გამო მხედველობა დაჰკარგოდა. ბავშვებს აშიმშილებ-  
დნენ, მკვდარი საქონლის ხორცით კვებავდნენ, ძონძებით მოსავ-  
დნენ, სცემდნენ და ავადმყოფობის დროს არ უვლიდნენ. შოუ მო-  
რიგ ჯარიმას იხდიდა, მაგრამ შემოსავლიან ხელობას არ ეშვებოდა.

მას ერთი მოწაფეც არ დაჰკლებია მას შემდეგ, რაც მისი გულქვაობა და სიმკაცრე მხილებული იქნა. როცა მიხვდა, დიკენსი სკოლითაა დაინტერესებულიო, შოუმ ყურები ცქციტა, უგემურად ესაუბრა სტუმრებს ხუთიოდე წუთი და ცხვირწინ მიუხეურა კარები. დიკენსმა ამ ხუთ წუთში საკმაო მასალა დააგროვა შოუზე, ზოგი რამ მეზობლებს გამოჰკითხა და საბოლოოდ დარწმუნდა, საჭირო იყო ყველას გაეგო, როგორ სამარცხვინოდ ეპყრობოდნენ მოწაფეებს. დიკენსი მუშაობას განსაკუთრებული გატაცებით შეუდგა. შემდეგში ამბობდა: „მისტერ სკვირსი და მისი სკოლა სინამდვილის მხოლოდ მკრთალი ანარეკლია, განგებ გაფერმკრთალებული სურათია, ახვავარად მკითხველს ეს ამბავი დაუჭერებლად მოეჩვენებოდა“.

და თუმცა ავტორმა აღნიშნა, „მისტერ სკვირსი მთელი კლასის წარმომადგენელია და არა ცალკეული პიროვნებაო“, და მოქმედების ადგილის შენიღბვასაც შეეცადა, მაინც ყველამ იცნო შოუ და მისი სკოლა. შოუ გაკოტრდა. მან ვერ გადაიტანა ეს უბედურება. პისი „აკადემია“ დაიხურა. კეთილ საქმეს ფუქად არ ჩაუვლია: იორკშირის ის ნაწილი, სადაც შოუს სასწავლებელი იდგა, უკვე აღარ ითვლებოდა განათლების ცენტრად. დიკენსმა სახელი გაუტეხა განათლების იმ მანკიერ სისტემას, რომელიც ბავშვების აღზრდას საღისტ აღმზრდელებს ანდობდა.

თუ შოუსა და მის მსგავსთ გაჩენისთანავე უნდა გაუსრისონ თავი, არ შეიძლება არ შევიბრალოთ მასწავლებლები და მსახურები, რომლებიც შოუს მიაყოლეს და გარეყეს, თუმცა ისინი არაფერ შუაში იყვნენ. დაზარალებულნი სასტუმროების პატრონებიც და მედუქნეები: „ნიკოლას ნიკლში“ დახატულმა მოზარდთა უბედური ცხოვრების სურათებმა ცოცხალი გამოძახილი გამოიწვია. რა გასაკვირია, რომ ბერნარდ კასლის მიდამოებში სახელი „დიკენსი“ დიდხანს იყო გაიგივებული „ემმაკთან“. შოუს ზოგი მოწაფე პროტესტით გამოდიოდა, თითქოს დიკენსის რომანში ბაუზ-აკადემის ცხოვრება არაა სწორად დახატულიო. მაგრამ დიკენსი ხომ იმ ჩვენებებს ეწყარებოდა, რომლებიც ადგილზე შეიკრიბა, და იმასაც, რაც შოუს გასამართლების დროს მიეცა სამსჯავროს. თავისებური წარმოდგენა ქურდებს შორისაც არსებობს პატიოსნებაზე — ასევე, როგორც ჩანს, გაიძვერებასაც თავისებური ურთიერთთავდებობა აქვთ: მოწა-

ფეები, შოუს მეთოდები რომ მოსწონდათ, უეკველია, მისი ფავორიტები იყვნენ.

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც უკმაყოფილებისთვის მტკიცე საფუძველი ჰქონდა, დიკენსის დედა იყო, მაგრამ მან, საბედნიეროდ, მისის ნიკლში თავისი თავი ვერ იცნო. ეგებ მისის დიკენსს დაენახა მსგავსება, მისი პორტრეტი რომ ასე ზუსტად არ ყოფილიყო დახატული. მისის ნიკლში ჩარლზის დედის ზუსტი ასლია, მაგრამ იმავე დროს კარიკატურაცაა, რომელშიც ყველაფერი სასაცილოდ გაზვიადებულია, ხოლო, რაც პატივისცემის ღირსია, გაფერმკრთალებულია.

დიკენსის ნაკლებად თავგამოდებულ პატივისცემლებს კი საქმე სხვანაირად ეხატებათ. მათი აზრით, პორტრეტი საერთოდ, გაბოროტებით დახატული არ არის. თუ ავტორს არაფრის ნამდვილად ორიგინალურის შექმნა არ შეეძლო, რატომ არ უნდა გამოეყენებინა ის თვისებები, რომლებიც მაღალმა ღმერთმა თუნდაც მის საკუთარ დედას მიანიჭა? „თავიანთ პერსონაჟებს მწერლები სხვადასხვანაირ ხასიათების ნაკვეთებით, შემთხვევითა ხაზებით და ნაწყვეტებთ ქმნიან“. — თქვა თეკერიმ. მისის ნიკლში მისის დიკენსის პატარა ნაქერია; მისი პორტრეტი განგებაა გაშარებული იმის მიხედვით. თუ როგორაც წარმოუდგებოდა ის შვილს.

გ. ჯ. უელსი ამბობდა: „რომანში ყოველი „ცოცხალი“ სახე აშკარად თუ ფარულად ცხოვრებიდანაა აღებული, ვისიმე ბიოგრაფიიდანაა მოპარული მთლიანად ან ნაწილობრივ. ის ან მთლიანი პორტრეტია, ანდა რალაც ნაკუნებიდან შეკრებილი საბნის მსგავსია. მისის ნიკლში ისე, როგორც ყველა სხვა კარგად გამოსული ფიგურა დიკენსის რომანებში, ავტორისთვის ცნობილი ცოცხალი ადამიანის ნაწილია, გარშემო „ნაკუნებზემოკრებული“. მანაც კი, ვინც უშუალოდ დაკავშირებულია ამ პორტრეტთან, თავის თავთან მსგავსება ვერ შენიშნა. ეს პირდაპირ ბედნიერებაა, რომ ადამიანები თავის უარყოფით თვისებებს ვერ ხედავენ. ასე რომ არ იყოს, ყველა პირველხარისხოვან რომანისტსა და დრამატურგს სხვა პროფესიის ძებნა მოუხდებოდა.

დიკენსის მიერ შექმნილი ხასიათების სიცხოველე ავტორის სწორი დაკვირვების უნარით არის განპირობებული. ეს ბუნებრივია; თუ

მოვიკონებთ, რომ მსახიობად დაბადებულ მწერლის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ.

ნისტერ მანტალინი ცხოვრებიდან აღებული სახეა. რომანის ყველაზე უფრო სასაცილო სცენები მას და მის მეუღლეს ეძღვნება.

გამოვიდა „ნიკოლას ნიკლბის“ პირველი გამოშვება და იმავე დღეს ორმოცდაათი ათასი ცალი გაიყიდა. ასეთი მაჩვენებელი „პიკვიკის“ ყველაზე იღბლიან გამოშვებებსაც არ ჰღირსებია. ეს იმით აიხსნება, რომ იმ სიახლესთან ერთად, რომელიც დიკენსის პირველ რომანს ახასიათებდა, „ნიკლბი“ რეალური სინამდვილის უფრო მართალ სურათებს შეიცავდა. როგორც ყოველთვის, რომანის სიუჟეტი და გმირები ვილაცამ საჩქაროდ მიითვისა, გადააკეთა და წარმატებით დადგა თეატრში. „დაზარალებული“ ავტორი კი იმდენად სულგრძელი აღმოჩნდა, რომ დადგმაც შეაქო და მსახიობიც. თითქმის ყველაფერს, რასაც დიკენსი წერდა, თეატრალური მეკობრეები იტაცებდნენ და ზოგჯერ ერთდროულად დგამდნენ რამდენიმე თეატრში. რა უნდა ექნა ავტორს? ან ეცინა, ან ეჩხუბა და ეთმინა. მას ისევ პიესების წერის სურვილი აწვალებდა და მაკრიდის სთხოვა, ჩემ მიერ სცენისათვის გადაკეთებული „ოლივერ ტვისტის“ ვარიანტი დადგო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფეჯინი მაკრიდის ძალღონეს აღმატებოდა (დიკენსის მიერ შექმნილი ებრაელი მხოლოდ ორი თაობის შემდეგ გაცოცხლდა სცენაზე ბირბომ ტრის! შესრულებით). ერთხელ დიკენსმა მაკრიდის თავისი ვოდევილი წაუკითხა. „გასაოცარი ადამიანია, გამოცდილი მსახიობივით კითხულობს!“ — ჩაინიშნა მაკრიდიმ თავის დღიურში. ფორსტერი, რომელიც კითხვას ესწრებოდა, ყოველ ხუმრობას გრგვინვისებური ხარხარით უპასუხებდა, დარწმუნებული, რომ ვოდევილის კომედიური შესაძლებლობანი დამდგმელზე სათანადო შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაგრამ ვერც ვოდევილმა და ვერც ფორსტერის მოწონებამ ვერ აღუძრეს მაკრიდის სათანადო ენთუზიაზმი და ვოდევილის დადგმაზე უარი თქვა. ამ შემთხვევის გამო დიკენსმა მას მეგობრული ბარათი გაუგზავნა. „დამიჭერეთ, მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ვერ შევძელი თქვენთვის გამოსადეგი რამე შემექმნა“. მაკრიდის დიკენსის ბარათმა გული აუჩვილა და დღიურში ჩაიწერა: „დიკენსის მოქმედება სა-

1 ტო ჰერბერტ ბირბომ—ენობილი ინგლისელი მსახიობი (1853—1917).

სიკადულოა. მაღალი სულის, გულკეთილ ადამიანთან ერთიერთობა ჰეშმარიტად ნეტარებაა. ჩემთვის დიკენსი და ბულვერი ადამიანის კეთილშობილების დიდებულ ნიმუშებს წარმოადგენენ“.

1839 წელს მაკრიდი და მისი ოჯახი ძლიერ დაუახლოვდნენ დიკენსებს. მსახიობი ძალიან ხშირად ეწვეოდა ხოლმე მას, რომ სალამო მეგობრულ და თბილ გარემოცვაში გაეტარებინა. ერთი ბავშვის ნათლობისა და მეორის დაბადების დღის გამო გამართულ ვახშაშზე ისეთი სადღეგრძელოები წარმოითქვა, რომ მაკრიდს არ მოეწონა. სამაგიეროდ შექსპირის სახელობის კლუბში მაკრიდის პატივსაცემად გამართულ სადილზე დიკენსის მიერ გულწრფელად, მკვერმეტყველურად და ამაღელვებლად წარმოთქმული სადღეგრძელო ძლიერ მოეწონა მას. დიკენსმა სიტყვა, როგორც მაკრიდი იგონებს, დააბოლოვა მისდამი მიძღვნილი მადრიგალით, რომელმაც მსახიობს გული აუჩუყა.

შექსპირის სახელობის კლუბმა დიდხანს ვერ იარსება. თვით დიკენსმა მიუხედავად თავისი საზრიანობისა, ვერ გადაარჩინა ის. საქმე ასე იყო: ერთხელ კლუბის წევრები შეიკრიბნენ დიკენსის თავმჯდომარეობით. სიტყვა სადღეგრძელოსათვის ფორსტერმა აიღო და ისეთი თვითღარწმუნებით, ისე აბეზარად ილაპარაკა. რომ გულგაწყალბებულმა სტუმრებმა — უმცროსი თაობის წარმომადგენლებმა — თავიანთი უკმაყოფილება ხმამაღლა გამოთქვეს. ფორსტერი გააფთრდა და ლანძღვით უპასუხა მათ. დიკენსმა რამდენჯერმე სცადა წესრიგი აღედგინა. მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, თავმჯდომარის სავარძელი დაეტოვებინა. კლუბი დაიშალა, მაგრამ ამ გარემოებას დიკენსი და მაკრიდი მაინცდამაინც არ შეუწუხებია: 1838 წლის გაზაფხულზე ისინი ლიტერატურულ კლუბ „ატენიუმის“ წევრებად აირჩიეს. მეგობრებს ბევრი რამ აახლოებდა: ერთნაირი გემოვნება, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი, ხოლო თეატრი მსახიობზე უფრო მწერალს იტაცებდა. სხვა რამეც ანათესავებდა მათ: ორივეს უყვარდა სიარული. ინტერესით ეცნობოდნენ ციხეების ყოფას, გაგიჟებით უყვარდათ ცეკვა. ერთხელ მათ ჯეროლდთან, მაკლიზთან და ფორსტერთან ართურმის თამაშზეც კი წაუსწრეს.

1836—1840 წლებში დიკენსი პიტერჰემში ან ტვიკენჰემში ცხოვრობდა. დრო შრომასა და გართობაში მიდიოდა. თავდავიწყე-

ბით ეძლეოდა ყველაფერს, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა. მასთან ერთად ატარებდნენ დღეებსა და ზოგჯერ კვირეებსაც ძველი მეგობრები: თომას ბირდი, თომას მიტონი და ახალი მეგობრები: ედვინ ლენდსირი, დენიელ მაკლიზი, ჰარისონ ეინსვორთი, კლარკსონ სტენფილდი, დუგლას ჯეროლდი, ნ. ტალფური, მაკრიდი, თეაერეი და მრავალი სხვა; მათთან ერთად აქვე იყვნენ საკუთარი ოჯახის წევრები და მეუღლის ნათესავები. ყველა ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო თამაშობებში, ექსკურსიებსა და სპორტულ შეჯიბრებებში. რას არ გამოიგონებდა მწერალი: სირბილი, სიმაღლეზე ნტომა, დისკოს ტყორცნა, თამაშობდნენ კრიკეტს, ვოლანსა და ბილიარდს. უშვებდნენ ჰაერბურთებს, მართავდნენ ცეკვებს. ყველა თამაშის და გართობის სული და გული დიკენსი იყო. გართობა მას ატკობდა, როგორც ბავშვს. ამისი აღზენება ყველას გადაედებოდა ხოლმე. მართალია, იყო წუთები, როცა მას გუნება ეცვლებოდა, ვთქვათ, რომელიმე განსაკუთრებით ღვარძლიანი რეცენზიის გამო. როგორც ყველა დიდი მწერალი, დიკენსი იმის მსხვერპლი იყო, რასაც მაკოლეი<sup>1</sup> „პატივმოყვარე ყეყეჩების მძვინვარე შურს“ უწოდებდა. მაგრამ დიკენსი თავდასხმებს საკმაოდ ბრძნულად ხვდებოდა: რამდენიმე წუთით აენთებოდა, ერთ-ორ საათს მწარე ფიქრებში გაატარებდა — და მთელ ამ სისულელეს თავიდან მოიშორებდა. მრავალი წლის განმავლობაში ისე, როგორც ახლა, გაზეთი „ტიმისი“ გაბოროტებით ესხმოდა თავს მის რომანებს, მაგრამ ის მუდამ იმ აზრით ინუგეშებდა თავს, რომ არა უშავს, რაეი ყოველნაირი სისაძაგლის მეტს ვერაფერს ხედავენ ქვეყანაზე. „ჩვენი სიცოცხლის ყოველი წამი იმდენ სიკეთეს შეიცავს, რომ ზოგჯერ ვერც კი ვერკვევით ამაში“.

1838 წლის შემოდგომაზე არდადეგები მოიწყო და ჰებლოტ კ. ბრაუნთან ერთად გავიდა ლონდონიდან. ჯერ ლიმინგტონში ჩავიდნენ, შემდეგ კენილვორტი მოინახულეს. ამ ქალაქმა ორივე მოხიბლა. დიკენსი ცოლს სწერდა: „ზაფხულში უეჭველად აქ უნდა ვიცხოვროთ, ვერც კი წარმოიდგენ, რა მშვენიერია აქაურობა. აქ კარგ ამინდში ნანგრევებში რომ კითხვა მოვაწყუთ, საუცხოო იქნება!“

<sup>1</sup> მაკოლეი თ. ბ. (1800—1859)—ინგლისელი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე.

ენილვორტიდან ვარვიკ-კასლში გაემართნენ, შემდეგ — ეივონის სტრეტფორდში, „ცოტა ხანს იმ ოთახში ვისხედით, რომელშიც შექსპირი დაიბადა, ჩვენი ავტოგრაფები დავტოვეთ, სხვების ავტოგრაფები წავიკითხეთ...“ — სწერდა დიკენსი ცოლს. მწერალი თავს უფროთხილდებოდა: ძლიერ ცოტას სკამდა, ცოტას სვამდა, მაგრამ გვერდის ტკივილი მაინც ვერ აიცილია — სტრეტფორდში ჩასვლისას აუტანელი ტკივილი ჰქონდა და იძულებული გახდა ლენცოფის გვარიანი დოზა მიეღო. ის წერდა: „წამალმა შესანიშნავად მარგო, უშფოთველად და მაგრად მეძინა. ამ დღით თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ. თავიც ნათელი მაქვს — ლენცოფას ცუდად არ უმოქმედია.“ შრუზბერისაკენ რომ მიემართებოდნენ, ბირმინჰემი და ვულვერპემტონი გაიარეს. „დილის რვა საათზე გავემგზავრეთ. ჯერ ნესტიან ცივ-ნისლში ვმგზავრობდით, შემდეგ, როცა ნისლი გაიფანტა და ინათა, წილის გზებით მივიდიოდით, მოგიზგიზე ღუმელებს შორის, ორთქლის მანქანების ღრიალში. ირგვლივ ისეთი ტალახი, ისეთი სიბნელე და სილატაკე სუფევდა, როგორც არასდროს მინახავს“. ამ მოგზაურობას ამოდ არ ჩაუვლია: მაშინ გავლილი ადგილები მას ზუსტი ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად გამოადგა ახალ რომანში. წერილს შრუზბერის სასტუმრო „ლომიდან“ მწერალი ასე ამთავრებს: უფალმა გაკურთხოს, ჩემო ძვირფასო. შენთან დაბრუნებასა და ჩემი საყვარელი ბალებების ნახვაზე ვოცნებობ“. მოგზაურები შრუზბერიდან ლანგალენში ჩავიდნენ. 5 ნოემბერს კი დიკენსი უკვე ლივერპულის სასტუმრო „ადელფიდან“ სწერდა ცოლს: „ჩემო ძვირფასო, სიყვარულო... მიხარია, რომ მალე გნახავ...“

დაოჯახების შემდეგ შვიდი წლის განმავლობაში მისი საყვარელი სამყოფელი სოფელი ბროდსტერსი იყო. აქ დიკენსისა და მისი გმირების სახელთან იმდენი სახლია დაკავშირებული, რომ ამ სოფლის ახლანდელ მკვიდრებს უთუოდ ეუკვირთ, საიდანღა რჩებოდათ საცხოვრებელი ადგილი ჩვენს პაპებს, და პაპისპაპებსო.

დიკენსი ბროდსტერსში გულმოდგინედ მუშაობდა, ყოველდღე გაივლიდა დადგენილ მანძილს, რეგულარულად ბანაობდა, ალფროვანებით იღებდა სტუმრებს და, როგორც კი თავისუფალ წუთს იშოვიდა, ზღვის სიმშვენიერით ტკებოდა. 1839 წლის სექტემბერში ფორსტერს სწერდა: „სამი დღე-ღამე ზღვაზე ქარიშხალი ღმუ-

და, გუშინ საღამოს კი ისეთი ღელვა იყო!... მწყინს, რომ არ გინახავს! მე გაქირვებით მივალწვი პირსამდე; ნაპირზე დიდი ნავის ქვეშ შევძვერი და თითქმის მთელი საათი ვუცქეროდი, როგორ იმსხვრეოდა ტალღები. თავისთავად ცხადია, შინ თავიდან ფეხებამდე გაწუწული დაებრუნდი“.

ამასობაში მისი მამა და ძმები სულ წაეიდნენ ხელიდან. ფრედერიკი, რომელსაც მამისაგან მემკვიდრეობით გამოჰყვა ღვინისადმი სიყვარული, ჩარლზმა გაქირვებით მოაწყო ხაზინაში მოხელედ. მაგრამ რა უნდა ექნათ დანარჩენებს? ჯონ დიკენსმა არც აცივა, არც აცხელა, ვაქრობას მიჰყო ხელი: სუვენირებისა და ავტოგრაფების მოყვარულებზე ასაღებდა ქალაქის ფურცლებს, რომლებზედაც ჩარლზის ხელით ეწერა რამე. გარდა ამისა, ფულს ესესხებოდა გამომცემლებს, რომლებსაც ეგონათ, მამისათვის ხელის გამართვით შვილს ვუწევთო სამსახურს. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. შემაწუხებელი ნათესავებისაგან თავის დაღწევა მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა: რაც შეიძლება შორს უნდა გაესტუმრებინა ისინი ლონდონიდან და აი, 1839 წლის მარტში დიკენსი მისთვის ჩვეული ენერგიით გაემგზავრა ექსტერში და სასტუმროში იქირავა ბინა. შეათვალეირა გარეუბნები და ექსტერიდან ერთი მილის დაშორებით ალფერტონში სიმპათიური კოტეჯი აღმოაჩინა. დიკენსმა გადაწყვიტა, ჩემი მშობლები ასეთ ადგილას ტკბილად იცხოვრებენო (უფრო ხნიერი რომ ყოფილიყო, თვითონაც დიდი სიამოვნებით დასახლდებოდა იქ). დაუყოვნებლივ იქირავა კოტეჯი. ოც გირვანქა სტერლინგად წელიწადში, ექსტერში დაბრუნდა, შეიძინა ხალიჩები, კურკელი, ბალისთვის საჭირო ხელსაწყოები; მოიმარაგა ნახშირი, ერთი სიტყვით, შეეცადა ყველა პირობა შეექმნა მშობლების სიამით ცხოვრებისათვის. შემდეგ დედა ჩამოიყვანა ალფერტონში, რათა ენახა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. ერთ თავის მეგობარს კი დაავალა, მიეხედა, როგორ მოთავსდებოდნენ ეტლში და გაემგზავრებოდნენ ლონდონიდან მისი მამა, ძმები და ოთახის ძალი. მხოლოდ ამის შემდეგ გაექანა შინისაკენ, რათა „ნიკოლას ნიკლბის“ მორიგი გამოშვება დაემზადებინა.

მშობლები რატომღაც ჩარლზის აღტაცებას არ იზიარებდნენ და სულ მალე მამისაგან მიქობერისებური წერილები, ხოლო დედისაგან მისის ნიკლბის სტილის ეპისტოლეები მოეძალა. ეს წერილები



ზიზღს აღუძრავდა დიკენსს. მაგრამ მამის ოჯახის წევრები თანდა-  
თან შეეგუენ ახალ პირობებს და ჩარლზს აღარ აბეზრებდნენ თავს  
ხშირი სტუმრობით. ჯონ დიკენსი არ იშლიდა ინგლისში მოგზაუ-  
რობას, ვერ ვიტყვით, რა მიზნით: სამუშაოს ეძებდა, თუ გულუბრ-  
ყვილო ადამიანებს, რომლებიც ხელს გაუმართავდნენ; შეიძლება,  
მხოლოდ იმისთვის მოგზაურობდა, ახალი ადგილების ხილვით დამ-  
ტკბარიყო! მგონი, მეორე მოსაზრება უფრო სწორი უნდა იყოს,  
რადგან ოჯახის ბუნების წიაღში დამკვიდრების ერთი წლის შემდეგ  
ჩარლზი იძულებული იყო, გაზეთებში გამოეცხადებინა, მამის ვა-  
ლებისათვის პასუხისმგებელი არა ვარო. მაინც ვერც ერთი შვილი  
ვერ გაუკეთებდა მშობლებს მასზე მეტს: ის ხომ მთელი სიცოცხლე  
ინახავდა მამის მრავალრიცხოვან ოჯახს.

## აკილპი და ტაპერტიტი

შრომა, გართობა და საზოგადოებრივი დატვირთვა, სეირნობა, ოჯახური უსიამოვნებანი... ვიდრე დიკენსი ამ ორომტრიალში იმყოფებოდა, მისი მეუღლე ზედიზედ მშობიარობდა: პირველ ვაჟს ორი ტყუპი გოგონა მოჰყვა. 1841 წელს კი, როცა მეოთხე შვილი დაიბადა, დიკენსების ოჯახში ქეთის უმცროსი და ჯორჯინა დასახლდა. ქეთს დამხმარე სჭირდებოდა, რადგან მას უკვე მოღლა დაეტყო. ის ხომ ბუნებით ზანტი, დონდლო ქალი იყო, ამას ხშირი ფეხმძიმობაც დაერთო. ოჯახის მართვის სადავე თანდათან ჯორჯინას ხელში გადავიდა, ყველა პრაქტიკული საკითხის გამო დიკენსი და ფორსტერი მას მიმართავდნენ, როგორც ოჯახის დიასახლისს. ხათრიანი და დამყოლი ქეთი აღვილად შეურიგდა ამ მდგომარეობას. 1839 წელს, როცა მესამე შვილი შეეძინათ, სივიწროვის გამო დიკენსს სხვა ბინის შოვნა მოუხდა. ბევრი ძებნის შემდეგ მან დევონშირ-ტერასზე № 1 სახლზე შეაჩერა არჩევანი. ეს იყო დიდი სახლი, გარს მაღალგალავნიანი საუცხოო ბაღი ერტყა. ახალ ბინაში გადასვლასთან დაკავშირებით წვალემა რამდენიმე კვირას გაგრძელდა. 1838 წლის დეკემბერში დიკენსები, როგორც იქნა, ახალ სახლში დაბინავდნენ, აქ თორმეტი წელი იცხოვრეს. ამ ხნის განმავლობაში მათ ხუთი ვაჟი და ერთი ქალი შეეძინათ. ყველა აღრინდელ სახლზე უფრო დიკენსს ეს სახლი უყვარდა.

„ნიკოლას ნიკლბის“ ისეთი წარმატება ხვდა წილად; რომ გამოცემლებმა ჩემენმა და ჰოლმა ავტორს დამატებით ათას ხუთასი

გირვანქა გადაუხადეს და, გარდა ამისა, დათანხმდნენ, კვირაში ეძლიათ ორმოცდაათი გირვანქა ახალ პერიოდულ გამოცემაში, რომელიც დიკენსმა მათ შესთავაზა. ეს გამოცემა ადისონის „მაყურებლის“ სტილის „მოლაყბის“ ან ჰოლდსმიტის „ფუტურის“ მსგავს ყოველკვირეულ გაზეთად იყო ჩაფიქრებული. მასში მოთხრობები, ნარკვევები, ლიტერატურული ჩანახატები უნდა დაბეჭდილიყო. მათი უმრავლესობა თვითონ დიკენსს უნდა ეწერა. დასურათება ფიზმა და ჯორჯ კეტერმოლმა იკისრეს. 1840 წლის აპრილში გამოვიდა „ოსტატ ჰემფრის საათის“ პირველი გამოშვება. სამოცდაათი ათასი ცალი სწრაფად გასაღდა. როცა თავის დროზე „პიკვიკის წერილები“ გამოქვეყნდა, დიკენსი შემთხვევით ლონდონში არ იმყოფებოდა. მას შემდეგ ცრუ რწმენა შერჩა, ჩანაფიქრი საქმის წარმატებისათვის ლონდონიდან უნდა გავიდეთ. ახლაც, როცა „ოსტატი ჰემფრი“ გამოვიდა, ავტორი ბირმინჰემში იმყოფებოდა. იქ მიუსწრო მას ფორსტერმა და გაზეთის სენსაციური გასაღების ამბავი ჩაუტანა.

სიხარულით აღგზნებული მეგობრები სტრეტფორდში გაქანდნენ და შექსპირის სახლი მოინახულეს, იქიდან ლიჩფილდში ჩავიდნენ და ჯონსონის სახლი დაათვალიერეს, მთელი ფული დახარჯეს. ბირმინჰემში დაბრუნდნენ და თავიანთი ოქროს საათები დააგირავეს, რომ სასლამდე ჩაეღწიათ. მაგრამ წარმატება, რომელიც გაზეთის პირველ ნომერს ზედა, არ განმეორებულა, ვიდრე დიკენსმა „სიძველეთა სავაქროს“ პირველი ნაწილი არ დაამზადა.

ახალი ნაწარმოების ერთ-ერთ მთავარ გმირს დიკენსმა დანიელ კვილზი დაარქვა და მასში წინასწარი განზრახვის გარეშე უმთავრესად თავისი თავი გამოხატა. ხოლო იმ დროს, როცა მის თავში ის-ის იყო კვილზი ისახებოდა, თვით ავტორმა — არა ქალაქდზე, არამედ ცხოვრებაში — თავისი გმირისებური ნომერი გააკეთა. რითაც სწორედ ისე გააოცა თავისი მეუღლე და ზოგიერთი მეგობარი, როგორც კვილზი აოცებდა თავის ცოლსა და ნაცნობებს. ამ უსაქციელობის საბაბი — დედოფალ ვიქტორიასა და პრინც ალბერტის შეუღლება — გახლდათ. ისინი 1840 წლის იანვარში დაქორწინდნენ. დიახ, უეჭველია, დამძიმდა ცხოვრება დევონშირ ტერასზე მდებარე სახლში, სანამ სახლის პატრონმა თავი არ დააღწია თავის უცნაურ აზირებას. მან ისე დაბეჯითებით დაიჩემა, დედოფალი ვიქტორია თავდავიწყებით მიყვარსო, რომ კინაღამ თვითონაც დაიჭერა.

„მწუხარებისაგან გონს ვერ მოვსულვარ, — სწერდა ის ფორსტერს, — ვერაფერს ვაკეთებ.

„ჩემი ცოლის დანახვა მებრაზებს, მშობლები მძაგს, საკუთარ სახლს ვერ ვიტან. ხშირად ვფიქრობ სერპენტაინის<sup>1</sup> ტბაზე, რიჯენტის არხზე, დალაქის დანაზე, აფთიაქზე... თავი ხომ არ მოვიწამლო, ან ბაღში მსხალზე ჩამოვიხრჩო, ხელი ავიღო ქამაზე და შიმშილით მოვიკლა თავი, თუ გამოვიწვიო ექიმი მკლავის გასახსნელად, შემდეგ მოვიგლაჯო სახვევები და სისხლისგან დავიწრიტო? ცხენებს შეევუვარდე ფეხებში ნიუ-როუდში? ყელი გამოეჭრა ჩემმენსა და პოლს და ამით გავხდე ცნობილი? (მაშინ ხომ ის აუცილებლად გაიგონებს ჩემზე რამეს, — ეგებ მას მიაართვან ხელის მოსაწერად ჩემი დაპატიმრების ორდერი. მაგრამ აწერს კი ის ხელს ორდერებს?). ეგებ უკეთესი იყოს ჩარტიტი გავხდე, სათავეში ჩავუდგე თავზეხელადებულთა ბრბოს, თავს დავესხა სასახლეს და ჩემი საკუთარი ხელებით გადავარჩინო ის? ვინც გინდა ვიყო, ოლონდ არა ის, ვინც აქამდე ვიყავი! რამე გვაკეთო, ოლონდ არა ის, რასაც მთელი სიცოცხლე ვაკეთებდი! თქვენი გონებადაკარგული მეგობარი.“

უოლტერ სევიჯ ლენდორი მაგრად შეაცბუნა დიკენსის წერილმა, რომელშიც ის უმჟღავნებდა სიყვარულს დედოფლისადმი და გადაწყვეტილებას, ერთ-ერთ სეფე ქალს მოვიტაცებ და უკაცრიელ კუნძულზე წავიყვანო. მეორე მეგობარს დიკენსმა უთხრა, მე და მაკლიზი დედოფლისადმი სიყვარულმა გაგვაგიჟაო. „უიმედო სიყვარულმა, ისეთმა უსაზღვრომ, რომ სიტყვებით არ გადმოიციემა და წარმოდგენით არ წარმოიდგინება. სამშაბათს ჩვენ უინძორში ჩავედით, სასახლესთან მივიპარეთ, დავინახეთ დერეფანი, ვნახეთ გვირგვინოსანთათვის დამზადებული ოთახები — კიდევ მეტი, ვნახეთ მათი საწოლი ოთახიც (ადრეც ორჯერ ვიყავით აქ და ვიცოდით, სადაც იყო ეს ოთახი), განათებული მოწითალო, თბილი სინათლით, რომელიც გონების თვალს ისეთი ნეტარებისა და ბედნიერების სურათებს წარმოუდგენს, რომ თქვენი მორჩილი მონა პირდაპირ ლაფში ჩაწვა და გადაჭრით უარი თქვა ყოველგვარი ჩავგონების მოსმენაზე, რითაც შეგვიანებული გამგელელები ძალიან გააოცა. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შოვიქეცით გიჟურად და საფოსტო ეტლით დავბრუნდით

<sup>1</sup> სერპენტაინის ტბა—ძლიერ დაკლანილი ტბაა ლონდონის ჰაიდ-პარკში.

ლონდონში. ახლა გვირგვინოსანთა დაქორწინების გამო გამოშვებულ სამახსოვრო მედლებს გულთან ვატარებთ, ჯიბეები სავსე გვაქვს მისი სურათებით, რომლებსაც იღუმალად მწარედ დავზღუქუნებთ. ჩვენთან ერთად უინძორში ფორსტერიც იყო, ფორსტერმა ამბობს (ხუმრობით), სიყვარულით მეც ვიწვიო, მაგრამ მას ის არ უყვარს. არავისთან არ დაგცდეს სიტყვა ჩემს საბედისწერო სიყვარულზე. საშინლად ვიტანჯები და ოჯახიდან გაქცევაზე ვოცნებობ. ცოლის დანახვა მალონებს, ჩემი შვილების ხმების გაგონებაზე ცრემლებს ვერ ვიკავებ... წერილის ბოლოს ის აუწყებს მეგობარს, თავის მოკვლა მტკიცედ გადაწყვიტეო და წერილს შემდეგი მინაწერით აბოლოებს: „მისი უდიდებულესობის კარის მინისტრის ავტორიტეტული მტკიცებით, ის ჩემს წიგნებს კითხულობს და ძლიერ მოსწონს. მე მგონია, ეწყინება, რომ აღარ ვიქნები. მინდა ჩემი ბალხაშირებული ცხედარი ესვენოს ბუკინჰემის სასახლის ტრიუმფალურ თაღში, როცა ის ქალაქში იქნება, ხოლო უინძორში რომ ჩამოვა — რაუნდ ტაუერის ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკზე“. როგორც ჩანს, დიკენსი კიდევ ლაპარაკობდა ასეთ აზრებდას, ასე რომ ბევრი ფიქრობდა, ხომ არ გაგიჟდაო. მართლაც, სულ მალე ხმა დაიჩხა, დიკენსმა კათოლიკობა მიიღო, გაგიჟდა და საგიჟეში მოათავსესო. ამ ხმებმა მწერლის ყურამდე მაშინ მიაღწია, როცა ის უკვე გონს მოვიდა, ნორმალური ადამიანი გახდა და დედოფლის სიყვარულით გაგიჟებული მოტრფიალის როლზე ხელი აიღო. გასართობად ხომ არ ეჩვენებოდათ დიკენსის მეგობრებს მისი საქციელი? არ ვიცი. უქვევლია, მისმა წამოწყებამ ისინიც გაიტაცა. მაგრამ, როცა თამაში შეწყდა, სახტად დარჩნენ. ეს ჯამბაზის შესაფერი ხუმრობა იყო, ხუმრობა, რომელზეც ხელის აღება დიკენსს მაშინაც არ სურდა, როცა ის აღარავის აცინებდა. განსაკუთრებით — მის ცოლს. მხოლოდ მოღლალი ღიმილით რომ უპასუხებდა ქმრის ახირებას. რა ვუყოთ: მსახიობის ტემპერამენტიანი ადამიანი დროდადრო უნდა განიმუხტოს. უზომო ენერჯია სტანჯავს მას. ვერ იტევს სიხარულს და გრძნობს, რომ მოკვდება, თუ მთელი ხმით არ დაიყვირა, ორჯერ ყირაზე არ დადგა, თუ თავი არ მოიგიჟიანა, ან არ გამოაჯავრა ვინმე. ის აუცილებლად უნდა განიტვირთოს — მყუდროება და სიწყნარე დაარღვიოს. მთელი ქვეყანა ააფორიაქოს.

ქარბი ენერჯიისაგან განტვირთვის შემდეგ დიკენსი უეცრად და-

დინჯდა, მედიდური გახდა, თითქოს წარმოდგენაც არ ჰქონოდა, რა იყო თავის მოგიჟიანება. სამუშაოს ჩაუჭდა. „როგორც ჩანს,—სწერდა ის ფორსტერს, — გარკვეულად საჭიროა მკაცრი რეჟიმის დაცვა კვირაში ხუთიოდე დღე: დიეტა, მოციონი...“ ექვს-შვიდ წიგნაკად ნაგარაუდევმა „სიძველეთა საგაქრომ“ სრულიად დაიხყო მწერლის გონება. ის დაძაბულად მუშაობდა. „ძლიერ ღრმად განვიციდი ამ წიგნს, ეს კარგად მენიშნება“—წერდა მწერალი 1840 წლის მარტში.

ბ რ ო დ ს ტ ე რ ს ი, 14 ი ვ ნ ი ს ი: „ახლა ნაშუალამევის 4 საათია, მე კი სამუშაოს დილის ცხრის ნახევრიდან ვუზივარ. ნამდვილად ჩამოვხში, ისეთ მდგომარეობაში მივიყვანე თავი, რომ კლდიდან თავდაყირა გადმოვარდნა მაკლია, მაგრამ ვიდრე ასეთი სიამოვნების ნებას მივსცემდე ჩემს თავს, ცოტა მაინც უნდა გავმდიდრდე. დიდ იმედებს ვამყარებ მეთხუთმეტე გამოშვებაზე, რომელიც დღეს დავიწყე. გმირები ნელ-ნელა ეცლებიან ქალაქს და მრავალ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ადგილს გაივლიან. ეს ნაწყვეტი რომ სხვის კალამს ეკუთვნოდეს და მე შემხვედროდა, ჩემზე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა. მოხუცი და გოგონა, რა თქმა უნდა, შორეულ გზას გაუდგნენ. სიუჟეტიც მშვენიერია...“

ი ვ ლ ი ს ი. „ამ დილით ბევის-მარქსში ვიყავი. სემპსონ ბრასისათვის სახლი უნდა ამერჩია. განზრახული მქონდა, უკან დაბრუნებისას თქვენთან შემომველო, მაგრამ ძალის არხის ებრაელებში ხეტიალს მოვუნდი, მერე მოულოდნელად მურფილდზე აღმოვჩნდი. ეტლი ავიყვანე და სიტი-როუდენის გავლით დავბრუნდი შინ, მაგრად დაღლილი“...

ბ რ ო დ ს ტ ე რ ს ი, 9 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი: „მეორე ტომი კითხი დავიწყე: ამ დილით ვიჩქეი და ზღვას გავცქეროდი. უცრად თვალი ამეხილა, თითქოს ლიბრი მომეცალა და დავინახე, რომ შეიძლება მაღე მას ერთი გულში ჩამწვდომი რამ გავუკეთო, ვნახოთ!“

ბ რ ო დ ს ტ ე რ ს ი, 4 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი; „თქვენ უეჭველად გეცნობათ გზა, ჩვენ ხომ ამ გზით ვიარეთ, ბირმინჰემიდან ბულვერჰემტონამდე. მაგრამ ეს ფურცელი უფრო კარგად მქონდა ჩაფიქრებული. მაინცდამაინც კმაყოფილი არა ვარ იმისა, რაც გამოვიდა, უკეთესს მოველოდი.“

ნ ო ე მ ბ ე რ ი: „ვერ წარმოიდგენთ, სრულიად სერიოზულად გეუბნებით და გწერთ, როგორი განაწამები ვარ დღეს გუშინდელი მუ-

შაობის შემდეგ. გუშინ საღამოს ღონემიხდილი და სასოწარკვეთილი დავწყე. დღეს საშინლად დაღლილი და საცოდავი წამოვდექი. არ ვიცი, რა ვუყო ჩემს თავს... ვფიქრობ, რომანის ფინალი საუკეთესო გამოვა... ძალიან გამიჭირდა, — აუწერელი ტანჯვა გამოვიარე“...

24 ნოემბერი (ჩეკმენსა და პოლს): „მომდის და მომდის წერილები, მევედრებიან, მიჩრჩევენ, შევინდო საბრალო ნელი. გუშინ — ექვსი ცალი, დღეს — უკვე ოთხი (ჭერ კი თორმეტი საათიც არ არის!)“

22 დეკემბერი. (ჯორჯ კეტერმოლს): „სულ გამაწამა ამ წიგნმა: ვერ ვაძულე თავი, რომ დავამთავრო“.

1841 წლის 7 იანვარი: „ჩემზე უბედური არსება დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება. ისე უხალისოდ და უგუნებოდ ვარ, ფეხებს ძლივს დავათრევ... დიდი დროა საჭირო, რომ მოვბრუნდე. არავის არ დააქლდება ის ისე, როგორც მე. ეს ისეთი სატკივარია, არ ძალმიძს ჩემი მწუხარების გამოხატვა: წარმოვიდგენ თუ არა, ყველა იარა მებსნება. და მაინც უნდა დავწერო. მხოლოდ ღმერთმა იცის, რა დამიჯდება ეს. გაცვეთილი ჰემმარიტებით თავს ვერ ვინუგეშებ, თუმცა ვცდილობ. როგორც კი ამ სამწუხარო ამბავზე დაეფიქრდები, მგონია, ჩემი ძვირფასი მერი გუშინ მომჩვენდა... უარი ვთქვი რამდენიმე მოწვევაზე... გადავწყვიტე, არსად ვიარო, ვიდრე რომანს არ დავამთავრებ. არ მინდა გავფანტო განწყობა, რომლითაც გამსჭვალული ვარ. არ შემიძლია ყოველივეს ხელმეორედ განცდა...“

14 იანვარი: (ჯორჯ კეტერმოლს) „ჩერჩერობით ნახევრად მკვდარი ვარ მუშაობისა და მწუხარებისაგან — ჩემი პატარას დაკარგვის გამო.“

17 იანვარი: „ძალიან მალონებს ფიქრი, რომ ყველანი ჩემთვის სამუდამოდ დაკარგულები არიან. მგონია, ვერასოდეს ვერ შევიყვარებ ჩემს მომავალ გმირებს.“

13 მარტი: (თომას ლატიმერს) „მგონია, ეს ნაწარმოები უფრო შევიყვარე სამუდამოდ, ვიდრე რომელიმე ადრე დაწერილი ან ის, რასაც ოდესმე დავწერ“.

დიკენსის თანამედროვეებზე პატარა ნელიმ ისეთივე გულისგამგმირავი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც წიგნის ავტორზე. ეს იმით აიხსნება, რომ სენტიმენტალობა ჩვეულებრივად უგულობის თანამგზავრია. მაძლარი საუკუნე, რომელიც გაასუქა ბავშვებისა და

მონა ზანგების კატორღულმა შრომამ, ინდოეთის გაძარცვამ და მრავალმა სხვა ბოროტმოქმედებამ, ცვილივით დნებოდა, როცა უმანკო და მშვენიერ გოგონას ტანჯვაზე კითხულობდა, თითქოს პატარა ნელიზე დაღვრილი ცრემლებით ხარკს იხდიდა ყველა ბოროტმოქმედებისათვის. არავის არ შეუძლია ისე თავშეუთავებლად ზღუქუნი, როგორც გამოუსწორებელ არამზადას. ამის დასამტკიცებლად ერთი შემთხვევა მოვიგონოთ. ჩიკაგოში სენტიმენტალური პიესა იდგმებოდა. დადგმას უმეტესად განგსტერები ესწრებოდნენ. როცა ცხვირსახოცებს მოიცილებდნენ სახიდან, ტირილისაგან დასიებული თვალები უჩანდათ. ბუნებრივია, რომ „სიძველეთა სავაქრომ“ განსაკუთრებით დიკენსის ყველაზე გამობრძმედილ თანამედროვეებზე იმოქმედა. კარლეილი ბავშვივით დაჰქვითინებდა რომანს, შეძარწუნებულმა დანიელ ოკონელმა გულამოსკენილი ქვითინით გადაისროლა წიგნი ფანჯრიდან, რადგან ვერ ურიგდებოდა ანგელოზივით ბავშვის დაღუპვას, უოლტერ სევეჯ ლენდორმა (როცა მეტყველების უნარი დაუბრუნდა) რომანის გმირი ქალი ჯულიეტას და დეზდემონას გვერდით დააყენა. ფრენსის ჯეფრი (შემდეგ მოსამართლე, ადრე კი დესპოტი რედაქტორი, „ედინბურგის მიმოხილვის“ ულმობელი კრიტიკოსი), ცრემლად იღვრებოდა „ბოსის გოგონა ნელის“ კითხვისას. იგი ყველგან საჭაროდ ამტკიცებდა, მას შემდეგ, რაც შეიქმნა კორდელია, ლიტერატურაში არ ყოფილა ასეთი სრულყოფილი ქმნილება, როგორც პატარა ნელიაო. რაც უფრო შორს აღწევდა დასავლეთისაკენ „სიძველეთა სავაქრო“, რაც უფრო ტლანქი და მკაცრი მკითხველები უჩნდებოდნენ მას, მით უფრო ძლიერდებოდა ზღუქუნი. როცა გეგმა, რომლითაც „სიძველეთა სავაქროს“ უკანასკნელი ნაწილი მიქონდათ, ნიუ-იორკს მიაღწია, სანაპიროზე აუარებელი ხალხი ღრიალით დახვდა მას: „ცოცხალია თუ არა პატარა ნელი?“. როცა რომანი ხელში ჩაუვარდებოდა კოვბოებს, პრერიებს მწუხარე ოხვრა მოიცავდა. რა ხდებოდა კალიფორნიის მადარობებში, როცა რომანის თეთრი ლექსით დაწერილ ნაწყვეტს კაცის ნკვლელი მძარცველები და სხვა ბოროტმოქმედნი კითხულობდნენ! ადამიანი, რომელსაც შეუძლია ასე ააღელვოს ეპოქა, რა თქმა უნდა, თვითონაც მისი შვილია. რამდენადმე დიკენსსაც ახასიათებდა სისასტიკე და გასაკვირი არ არის, რომ მისი ფანტაზიის ქმნილებები ზოგჯერ ასეთი სანტიმენტალური იყვნენ.



თუმცა პატარა ნელის სახე დიკენსს მაშინ მოევიდნა, როცა ის და ლენდორი ერთად ცხოვრობდნენ ბატში, კვილპისა კი, — როცა მას უკვე ნანახი ჰყავდა მახინჯი ჯუჯა, მაგრამ ნელი მერი ჰოგარტის შეგნებულად გადაღლებული სახეა. ხოლო კვილპს თვით ავტორის ბევრი თვისება ახასიათებს. „მკითხველს ლიტერატურული გმირისადმი ინტერესს ვერ აღუქრავ. თუ წინასწარ არ შეაყვარე, ან არ შეაძულე ის,“ — წერდა დიკენსი. რომანის წერა რომ დაიწყო, განზრახული ჰქონდა, პატარა ნელი ყველას შეყვარებოდა მგზნებარედ, ხოლო კვილპი შესძლებოდათ. თუ მეცხრამეტე საუკუნეზე ვილაპარაკებთ, მწერალმა მიზანს მიაღწია. სულ სხვაა თანამედროვე მკითხველი. რომანის მთავარი გმირი ჩვენთვის მოსაწყენია, ჯუჯას კი აღტაცებაში მოვყავართ. როგორც ლანსვლოტ გობო ამბობს, საბოლოოდ სიმაართლე იმარჯვებს. დღეს „სიძველეთა სავაქროში“ გვიინტერესებს არა მისი სენტიმენტალური სცენები, არამედ სიმაართლის მარცვლები. იუმორისტული მწერლობის შედეგებს უნდა მივაკეთვნოთ სცენები, მიძღვნილი პირმოთნე მოხელის სემპსონ ბრასისა და მისი დაუცხრომელი დამქირავებლის კვილპისადმი, რომელნიც დიკენსმა უხვად დააჩილდოვა კადნიერი ოინბაზობით. რარიგ სასაცილოა მონური შიში, რომელსაც ბრასი განიცდის, როცა ის ნავსადგურში ხვდება კვილპს. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს მას შემდეგ, რაც ორივე არამზადამ შეგნებულად დააბრალა ქურდობა პატარა ბიჭს და ციხეში უკრა თავი. გამარჯვებით დამთვრალი კვილპი მძვინვარებს და მომხდარი ამბის საგაზეთო ანგარიშს ხმამაღლა კითხულობს.

დაკენსი იმდენად უშუალო და მიამიტი იყო, რომ კვილპის ცოლი თავისი მეუღლის თვისებებით შეამკო: ის სასიამოვნო, ლურჯთვალეა, რბილი და თვინიერი ხასიათისაა. გამგონე, მორცხვი, მოყვარული ქალი და ჯუჯას ყურმოჭრილი მონა. უეკველია, ქალბატონ დიკენსს შეეძლო სიტყვასიტყვით გაემეორებინა ქალბატონ კვილპის სიტყვები, ჩემს ქმარს თუ უნდა. ისე მოიქცევა. ულამაზეს ქალსაც მოხიბლავსო. კვილპში, ამ გაიძვერა კვილპის ხასიათში კვლავ და კვლავ ავტორის თვისებების გამოვლინებას ვხედავთ. ის შესანიშნავად ერკვევა ყველაფერში, რაც მის გარშემო ხდება, გაგიყებით უყვარს რამე მოულოდნელი უცნაურობის ჩადენა, ცელქობა და თავის ოინებზე ისე ხარხარებს, თვალებიდან ცრემლები სცვივა. ხშირად

ალტაცების გამოსახატავად სადმე მიყრუებულ შესახვევში გულის-  
შემზარავ კიყინს ატეხდა და შიშის ზარს სცემდა შემთხვევით  
მგზავრს. თვითონ ჭუჭა კი საუკეთესო გუნებაზე დგებოდა, მხნეობა  
ემატებოდა და გულზე ეშვებოდა. დიკენსსაც შეეძლო, ერთი შეხედ-  
ვით უმიზეზოდ და მოულოდნელად საშინელი კიყინით შეეძრა გა-  
რემო და თავისი თანამგზავრები შეეშფოთებინა. უთუოდ კვილპი-  
ვით ისიც სიამოვნებით იმგზავრებდა, - დილიენის მეორე სართულით,  
რათა ათასნაირი ოინით შეეწუხებინა მისის ნაბლსი, რომელიც იმავე  
ომნიბუსით მგზავრობდა. „ეს გარემოება კვილპისათვის სიხარულის  
წყარო იყო. მისის ნაბლსი მარტოდმარტო იჯდა ომნიბუსში. ზედა  
სართულიდან გადმოკიდებული კვილპი ომნიბუსის ფანჯარაში იც-  
ქირებოდა და ისედაც დაქყეტილ თვალებს კიდევ უფრო ჰყეტიდა.  
ეს მით უფრო საშიში სანახაობა იყო, რომ მისის ნაბლსს ჰაერში და-  
ყირავებულად ეჩვენებოდა. გადაჯდებოდა თუ არა ქალი მეორე მზა-  
რეზე, კვილპი იმწამსყე იმ მხრიდან ჩამოეკიდებოდა თავით. შეჩერ-  
დებოდა თუ არა ომნიბუსი, კვილპი ბურთივით ჩამოგორდებოდა  
ძირს, თავს ფანჯარაში შეჰყოფდა და საბრალო ქალს ავბედიტად  
უბრეცდა თვალებს“.

სიწყნარე, მყუდროება, განმარტოება არ ახასიათებს დიკენსის  
რომანებს. მწერლის სამუშაო ოთახი მისი ფანტაზიით შექმნილი  
პირებით იყო ავსებული, ხოლო მთელი სახლი, რომელშიც ის  
ცხოვრობდა, — ცოცხალი ადამიანებით. მეგობრებთან დაშორება  
მისთვის აუტანელი იყო. როცა ლონდონიდან სადმე მიემგზავრებო-  
და, ყოველნაირად ცდილობდა, ისინიც გაეტყუებინა. თუმცა მარტო  
არ იყო: — პატარა ნელის სახე ერთი წამითაც არ შორდებოდა მას.  
მანც ვერ ისვენებდა, თუ სახლში ერთი ოთახი რჩებოდა ცარიელი.  
ბროდსტერსში ჩასვლიდან ორი საათის შემდეგ უკვე სწერდა თომას  
ბირდს: „ქარადაში, სასადილოში რომ დგას, ბოთლები უკვე სამხედ-  
რო მზადყოფნაშია ჩამწყკრივებული. სახლის წინ ზღვა ისე მიაქანებს  
ტალღებს... როგორც წესია. სახლში ორი პატარა საძინებელი ოთა-  
ხია, რომლებიც მოუთმენლად ელიან, რომ ვინმე დაბინავდეს შიგ“.  
ასევე ეხვეწებოდა მაკლიზსაც. ყველა ბოროტებაზე უფრო მოწყე-  
ნილობისა ეშინოდა. მაგრამ, თუ მათთან ისეთი ვინმე ჩავიდოდა,  
ვინც დიკენსს არ მოსწონდა, თავის ოთახში ჩაიკეტებოდა. „ქეთს  
ეწვია ვილაც ასული. მე ის მეზიზღება... ეს ვილაც ძველი მეზღვაუ-

რია, რომელსაც ახალგაზრდა ქალის სახე აქვს. ცეცხლოვან თვალებს მაშტერებს და მეც არ ძალმიძს თვალი მოვაშორო. ამ წუთში ბასილისკო სასადილოშია, მე კი კაბინეტში ვარ. გუშინ საღამოს სახლიდან გავედი სასოწარკვეთილი და გავიკრიკე საგანგებოდ... რომ აღარ შევხვდე“.

დიკენსი საზოგადოებისათვის იყო გაჩენილი და განსაკუთრებით კარგად გრძნობდა და ავლენდა თავს, როცა მეგობრებთან საუბრობდა, სეირნობდა, ან იღებდა. ფხიზელს თუ შეზარხოშებულს ერთნაირად სიამოვნებდა მახლობელ ადამიანებთან ყოფნა: იმ წლებში ზოგჯერ ზედმეტი ჭამა-სმა უყვარდა და მიუხედავად ახალგაზრდობისა და მჩქეტარე ენერჯისა, ხშირად სტანჯავდა მწვავე ტკივილები. „აუწერლად ვეწამები, გუშინ თითქმის მთელი დღე დამევიწვალე. სახე მტკივა. რევმატიზმია, ნევრალგია თუ კიდევ სხვა რამე — ღმერთმა უწყის, — სწერდა ის თავის გამომცემლებს ბროდსტერსიდან 1840 წლის შემოდგომაზე.—რა თბილი საფენები არ ვიკეთე, მაგრამ თითქმის არაფერი მიშველა. დღეს მთლად მოწყვეტილი ვარ. მის სკვირსივით ვიქცევი: ვწერ და განუწყვეტლივ ვღრიალებ. ანთებიანი, აღზნებული, დაჩაგრული, გულწრფელად თქვენი დიკენსი“. ის უთუოდ ძლიერ ნერვული და განცდის კაცი იყო, ყველაფერი არაჩვეულებრივი ერთბაშად აკარგვინებდა წონასწორობას.

ახალი მეგობრისა და თაყვანისმცემლის ლორდ ჯეფრის თხოვნით 1841 წლის ივნისში დიკენსი შოტლანდიას ეწვია. აქ მას პირველად მოუწყვეს ისეთი გრანდიოზული მიღება, როგორც შემდეგში პრავალჯერ ეწყობოდა მის პატივსაცემად სხვადასხვა ადგილას. ისტორიაში არაა ცნობილი ლიტერატორის ისეთი დაფასებისა და პატივისცემის მაგალითი. როგორითაც დიკენსი სარგებლობდა.

შოტლანდიის დედაქალაქი თორმეტი დღის განმავლობაში ელოლიაებოდა დიკენსს, შემდეგ მწერალი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში გაემართა საექსკურსიოდ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დიკენსზე გლენკოუს ველმა. ინვერარიში დიკენსს ქალაქ გლაზგოდან მიუვიდა მიწვევა ბანკეტზე, მაგრამ მან უპასუხა. სასწრაფო საქმეების გამო სამშობლოში დაბრუნებას ვიჩქარაო. შოტლანდიის წვიმების, ქარისა და სიცივისაგან დაქანცულს მართლაც მოენატრა ლონდონი და ფორსტერს მისწერა, ახლა აქ თითო ოცი ათას გირ-

განქად ღირებული ოცი სადილიც ვერ შემაჩერებსო. ამ ამაღელვებელ ამბებში გართული დიკენსი მაინც წერდა ხუთი წლის წინ ჩაფიქრებულ რომან „ბარნები რაჯას“. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი დიდხანს ფიქრობდა ამ თხზულებაზე, მუშაობა ვერ მიდიოდა ისე თავისუფლად, როგორც დიკენსს სჩვეოდა, იგი აზრების მოსაყრებად ერთი კვირით ბრაიტონში წავიდა. როცა ლონდონში დაბრუნდა, ქალაქის ყველაზე უფრო ღარიბ დამაღონებლად დაღვრემილ ქუჩებში დაიწყო ხეტიალი „რომანისათვის საჭირო სურათების საქებრად“. განსაკუთრებით იზიდავდა ჩიგველის რაიონი. რომანის მრავალი სცენა ამ ადგილებში მიმდინარეობს.

1841 წლის ოქტომბერში დიკენსმა ძლიერ მტკივნეული ოპერაცია გადაიტანა. „ფისტულად წოდებული ავადმყოფობა შემეყარა იმის გამო, რომ დიდხანს ვუზივარ ხოლმე საწერ მაგიდას“. მაკრიდამ „ჯოჯობეთური ტანჯვა“ განიცადა დიკენსის ავადმყოფობის გამო, მაგრამ მწერალმა მალე მოიკეთა და ნოემბრის დამდეგს უკვე გაგზავნა სტამბაში „ბარნები რაჯას“ უკანასკნელი ნაწილი.

ამ რომანის სიუჟეტი წარმტაცი და საინტერესოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისეთი პოპულარული არ არის, როგორც დიკენსის სხვა რომანები და ამიტომაც მას ნაკლებად კითხულობენ... ახლა საინტერესო არ არის იმის კვლევა, თუ რატომ მოხდა ეს. დიკენსის ყოველ წიგნში ამჯერად უმთავრესად მხოლოდ ის გვაინტერესებს, რაც რაიმე ახალს გვეტყვის მწერლის ბიოგრაფიაში. ამ თვალსაზრისით „ბარნები რაჯაში“ ყველაზე საინტერესო საიმონ ტაპერტიტია. ჯერ არავის შეუფასებია ღირსეულად დიკენსისეული განკვერტის ნიჭი. ჭარგალ გაბრიელ ვარდონის პორტრეტი კი გასაოცარი წინასწარმეტყველებაა, რომლის მსგავსი ლიტერატურის ისტორიაში მანამდე ცნობილი არ არის. ტაპერტიტი „პატარა კაცისადმი“ მიძღვნილი კომიკური ჰიმნია, რომელიც დაიწერა ასე წლით ადრე, ვიდრე „პატარა კაცი“ საერთო აღიარებას მოიპოვებდა, თვით ირწმუნებდა თავის სიღიადეს, თავის სახეს შექმნიდა ხელოვნების სამყაროსა და ცხოვრებაში და თაყვანს სცემდა მას.

„ის ოცი წლისაა, უფრო მეტისა ჩანს, ხოლო ისეთი რიხით ლაპარაკობს, თითქოს, სულ ცოტა, ორასი წელი მაინც უცხოვრია ამქვეყნად. მის ჩია ტანში „პატივმოყვარე, ძალაუფლებას მოწყურე-

ბული სული ცოცხლობს. მისტერ ტაპერტიტს თავისი „ღიადი, მაგრამ ბუნდოვანი“ იდეები აქვს. ის „რაინდ-ქარგლების“ საზოგადოების მეთაური, გული და სულია.

როცა ამ საზოგადოების საქმეებს განაგებს, ხელებს გულზე დაიწყობს, წარბებს შეიკრავს, მედიდურად, მიუყარებლად გამოიყურება და თრთოლვას ჰგვრის ღვინის სარდაფში შეკრებილ საზოგადოების წევრებს. „ქარაფშუტები! ლოთები!“ — ღვარძლიანად ბურტყუნებს ის, როცა ხედავს, რომ მისი თანამოაზრეები კევლის თამაშით ერთობიან. ქარგლები პატივს სცემენ კონსტიტუციას. ეკლესიას, სახელმწიფოს და მტკიცე წესრიგს, ხოლო თავის დამჭირავებლებს — არამც და არამც. მათი მეთაური ნაღვლობს, რომ წასულია ის დრო, როცა ქუჩებში კეტებით მიმოდირდნენ და საპატიო მოქალაქეებს სცემდნენ. მათი მოვალეობაა, თავი მოაბეზრონ, აწყენინონ; ეჩხუბონ იმათ, ვისიც უქმაცყოფილონი არიან. წინამძღოლი ჰპირდება: მათ, ჩემი ბედუკუდმართი ქვეყნის იარების განკურნებას შეეძლებო. მასზე შეყვარებულ ახალგაზრდა ქალს ეუბნება: „ახალი საზოგადოებრივი წყობილება რომ დამყარდება, თქვენც არ დაგივიწყებთ. თქვენ ყველაფერი გექნებათ. გასაგებია?“ საკუთარ ბედსაც უფიქრდება და თავს ღიად მომავალს უწინასწარმეტყველებს: „უჩინოდ ცხოვრება, როცა კაცობრიობამ არც კი იცის შენი არსებობა? მოთმინება! მე სახელს გავითქვამ. ამოდ კი არ მიჩურჩულებს შინაგანი ხმა, რომ განდიდება მომელის. ახლოა ის დღე, როცა ყუმბარასავით აფეთქდები და ვინ გაბედავს მაშინ ჩემს დაცხრომას?“ როცა ამოქმედების დრო დგება, ის შესძახებს: „ჩემი ქვეყანა სისხლისაგან იცლება. ის მომიწოდებს. მივდივარ!“

თვით დიკენსს ტაპერტიტის ბევრი თვისება ჰქონდა. ამიტომ შესძლო ასეთი უტყუარი ალლოთი, ასე ბრწყინვალედ დაეხატა განდიდების იდეით მოწამლული „პატარა კაცი“. მაგრამ დიკენსი, უპირველეს ყოვლისა, გენიალური მხატვარი იყო — აი, ამიტომ შეასხა ხორცი ტაპერტიტის სახეს ცხოველი, კონკრეტული ფორმით და კომიკური სახე შექმნა. მწერალი რომ ასი წლით გვიან დაბადებულიყო და თავისი ფანტაზიით შექმნილი სახე ხორცშესხმული ენახა, უფრო მუქი ფერებით და ნაკლებად სასაცილოდ დახატავდა მას.

თვითონ კი? „ყოველდღე ველი, რომ სადაცაა გავჰალარავდები: თითქმის დავარწმუნე თავი, რომ წითელი ქარით ვარ დაავადებულ-ლი“, — აი, რა თქვა ოცდაცხრა წლის მწერალმა, როცა მეოთხე გა-ყი შეეძინა. დიახ, ოჯახის მომავალი უკვე აფიქრებდა მას. დასვენე-ბაც იყო საჭირო. ჩვენ ვიცით, როგორი რადიკალური იყო მისი შე-ხედულება ინგლისის პოლიტიკურ თამაშზე. ამავე დროს გრძნობდა, რომ არსებობს ქვეყანა, სადაც თანასწორობაა. იმ ქვეყანაში ფუ-ლიც უფრო ადვილად იშოვება, ვიდრე ინგლისში. ფული იქ მოქმე-დების თავისუფლების საწინდარი იყო და დიკენსს სპირდებოდა ეს საწინდარი. ამერიკაში წასვლის ფიქრმა შეიპყრო მწერალი და. რო-ცა შეერთებული შტატების შორეული კუთხეებიდან ალტაცებული წერილები მოსდიოდა. გულთბილად უპასუხებდა. შემოდგომაზე ამერიკაში წასვლის აზრი აეკვიტა. „ამერიკაზე ოცნება დღე და ღამე არ მასვენებს. ქეთი მწარედ ქვითინებს, როგორც კი ამ თემაზე ვიწყებ ლაპარაკს. მაინც უნდა მოგვარდეს ეს საქმე“. ვაშინგტონ ირვინგი არწმუნებდა მას, ამერიკაში მოგზაურობა განუწყვეტილი ტრიუმფი იქნებაო. ამან საბოლოოდ გადაწყვიტა საქმე. დიკენსმა სთხოვა მაკრიდის, ქეთიზე გავლენა მოეხდინა და დაერწმუნებინა, რომ წასვლა აუცილებელი იყო“. მაკრიდი დაეთანხმა და ქეთის დაჰპირდა, თქვენს არყოფნაში ბავშვებზე ზრუნვასა და მეთვალყუ-რეობას მე ვიკისრებო. ქეთი განიარაღდა. გადაწყდა ხელზე მოსამ-სახურე ენიც თან წაეყვანათ. სახლში მდგმურები შეიყვანეს. მსა-ხური მწერლის ძმას ფრედერიკს დაუტოვეს. დიკენსმა მისწერა ამე-რიკაში. „იმედი მაქვს, რომ ახალი წლის მესამე კვირაში ფეხს შევ-დგამ იმ მიწაზე, რომელზეც ხშირად დავეხეტები ოცნებით და რომ-ლის შეილების ხილვა და გაცნობა მწყურიაო.“

წასვლის წინ დიკენსი შეუთანხმდა ჩეპმენსა და ჰოლს, „ოსტატ ჰემფრის საათის“ ბეჭდვა შეჩერდება, მაგრამ ამ მოგზაურობაზე რომანს დავწერო. გამომცემლებმა იკისრეს წლის განმავლობაში ყოველთვიურად ეძლიათ მისთვის 150 გირვანქა სტერლინგი, ხოლო როცა ახალი რომანის ბეჭდვა დაიწყებოდა, ორასი გირვანქა. გარდა ამისა, ის მიიღებდა მოგების მესამედს. ხელშეკრულება ავტორისა-თვის განსაკუთრებით ხელსაყრელი გახლდათ და მწერალიც ალტა-ცებული იყო. სექტემბრის ბოლო რიცხვებში დიკენსმა და ფორს-ტერმა რამდენიმე დღე როჩესტერში, გრეისვენდსა და კობემში

იმოგზაურეს. ნოემბერი მწერალმა ცოლითურთ რიჩმონდსა და უინ-  
სორში გაატარა, უკანასკნელი ორი კვირა წასვლის წინ კი — შინ,  
ბავშვებთან. ნახალწლევს ცოლ-ქმარი ლივერპულიდან გემ „ბრი-  
ტანეთით“ გაემგზავრა ამერიკაში. თავის სულიერ განწყობილებაზე  
დიენსი გამგზავრების წინა დღეებში სწერდა ერთ-ერთ მეგობარს:  
„ვერ გამოვთქვამ, როგორი თრთოლა ამიტანს, როცა ვფიქრობ. რა-  
სასწაული მომელის ამერიკაში...“

## მეზღლითურთ ამერიკაში

რამ აფიქრებინა დიკენსს ამერიკაში წასვლა? ბევრ მიზეზს ასა-  
წელეებენ. ერთი მათგანი თითქოს ის იყო, რომ მწერალს უნდოდა  
ქალაქ კაიროს ნახვა, რადგან მას დიდი თანხა ჰქონდა შეტანილი კა-  
იროს კამპანიაში, ამ ფრიად განმაურებულ აფიორაში (ეს ქალაქი  
ძღვებარეობდა მისისიპისა და ოჰაიოს შესართავთან). მაგრამ საეკ-  
ვოა, ადამიანმა რკეანე და თითქმის ნახევარი კონტინენტი გადალა-  
ხოს მხოლოდ იმისათვის, რომ ნახოს, სად განისვენებს მისი ფული.  
არა, დიკენსი ამერიკას ისეთივე გულისწადილით ეწვია, როგორც  
იულიუს კეისარს ამოქმედებდა, როცა ინგლისში ჩავიდა: უნდოდა  
ენახა, როგორი იყო ის. ცნობისმოყვარეობა და რწმენა, იქ გულ-  
თბილად მიმიღებენო, — აი, რა ამოქმედებდა მწერალს; უნდოდა  
გაეგო, რამდენად წინაა ახალგაზრდა რესპუბლიკა ძველ მონარქი-  
აზე. გარდა ამისა, ყოველთვის სასიამოვნოა თვითონ დარწმუნდე,  
რამდენად დიდია შენი პოპულარობა.

პირველ ორ დღეს ზღვა მშვიდი იყო. მესამე დღეს განსაცდელი  
დაიწყო და დიკენსი რამდენიმე დღე საწოლიდან არ ამდგარა. არ  
იოქმის, რომ მას ნამდვილი ზღვის ავადმყოფობა შეეყარა — არა,  
რალაც გულგრილობა და მოთენთილობა დაეუფლა.

როცა ადგომა შეძლო, დიკენსი მთელი დღეები თავისი მანდი-  
ლოსნების კაიუტაში იმყოფებოდა. საკმელსაც იქვე მიირთმევდნენ.  
როცა ნახევარი გზა გავლილი ჰქონდათ, „ბრიტანეთი“ მძლავრი  
გრიგალის არეში მოექცა. — რამდენიმე საათის განმავლობაში ყვე-  
ლანი „მორჩილად შეურიგდნენ ყველაფერზე საშინელს. მე აღარ



შეგონა, თუ დილამდე ცოცხალი მივალწვედი და უდრტვინველად  
ძივანდე თავი უფლის ნებას“. არც ჰქონდა სხვა გზა, რადგან საკმაო-  
საქმე გაუჩნდა: მანდილოსნები უნდა დაემშვიდებიან და გაემხნევე-  
ბინა: „კაიუტაში იყვენენ... ქეთი, ენი და ერთი პატარა თანამგზავრი,  
შოტლანდიელი ქალი — ყველანი ღამის პერანგების ამარა და თითქ-  
მის შერყეულები შიშისაგან. ქარიშხალი ღრიალებდა, გემს ხან ერთ  
მხარეს ისროდა, ხან მეორეს. მანდილოსნების გასამხნეველად სხვა-  
ვერაფერი მოვიფიქრე და სოდიანი ვისკი შევთავაზე. სხვათა შორის,  
მთელი კაიუტის გასწვრივ უზარმაზარი დივანი იდგა, თითქოს  
ოთახის ნაწილს შეადგენდა. როცა მე სასმელის თასით შემოვბრუნ-  
დი კაიუტაში, სამივე მანდილოსანი დივანის ერთ მხარეზე ერთმან-  
ეთზე მიყრილი იყვნენ. როცა სასმელი ტუჩებთან მივუტანე ერთ-  
ერთს, გემი გადაიხარა და, ჩემდა გასაოცრად, სამივენი საწოლის  
მეორე ბოლოში მოექცნენ. მივალწვიე თუ არა მათთან, გემი საწინა-  
აღმდეგო მხარეზე გადაიხარა ისევ და ისინიც იქით გადაისროლა.  
ნახევარი საათი მაინც ვიწვალე, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ და-  
ვიჭირე. ამ წვალებაში მწვავედ განვიცდიდი ჩვენს სულელურ  
მდგომარეობას“... როგორც იქნა, ავად თუ კარგად, გემმა მიზანს მი-  
აღწია. აქ „ბრიტანეთი“ მეჩეჩზე დაჯდა შლამიან ნაპირთან. უთუ-  
ოდ იმის გამო, რომ ბოცმანი ზედმეტად ენდო თავის ოსტატობას.  
ბოლოს სუფთა წყალზე გასვლა ელირსათ და გემმა ღუზა ჩაუშვა  
გალიფაკის ნავსადგურში. ნავსადგურში ერთი კაცი წინ და უკან  
ღარბოდა და გაიძახოდა: „დიკენს! დიკენს!“. ის საკანონმდებლო  
ასამბლეის თავმჯდომარე აღმოჩნდა და იქვე დაეპატრონა სახელ-  
განთქმულ მწერალს. ზეიმიტ ჩაატარა ქუჩებზე, გუბერნატორს გა-  
აცნო და, როგორც საპატიო სტუმარი, პარლამენტის სესიის განს-  
ნაზე მიიწვია. სამშობლოში გაგზავნილ წერილებში დიკენსი თავის  
თავს უბადლოს უწოდებდა (ერთხელ ჩათემის სკოლის მოხუცმა  
მასწავლებელმა სათუთუნე აჩუქა. სათუთუნეზე ეწერა: „უბადლო  
ბოსს“). მწერალი ასე აუწუწა ფორსტერს. გალიფაკსში მოწყობილ  
შეხვედრას: „უნდა გენახათ, რა აუარებელი ხალხი ეგებებოდა „შე-  
უდარებელს“ ქუჩებში: შეგებდათ, როგორ ესალმებოდნენ „უბად-  
ლოს“ მოსამართლეები. კანონმდებლები. კანონის შემსრულებლები  
და ეპისკოპოსები: შეგებდათ, როგორ მიიყვანეს ის თავმჯდომარის  
ტახტთან და უზარმაზარ სავარძელში დააბრძანეს; როგორ მარტოდ-

მარტო იქდა წარმომადგენელთა პალატის შუაში, საერთო ყურადღების ცენტრში, სამაგალითო სერიოზულობით ისმენდა წარმოუდგენელ აბდაუბდას, დარბაზში რომ წარმოითქვა, და უნებურად ილიმებოდა, რადგან იმაზე ფიქრობდა, იქ წარმოთქმული სიტყვები ათას ერთი მოთხრობისათვის საუკეთესო მასალად გამომადგებოა.“

ბოსტონში 1842 წლის 22 იანვარს ჩავიდნენ. დიკენსი გემბანზე იდგა და დიდი ინტერესით იცქირებოდა იქით-აქეთ. „... იმდენი თვალი რომ მქონოდა, როგორც არგუსს და ყველა ფართოდ გამეხილა, თითოეულისათვის მოიძებნებოდა რაიმე ახალი“. მისი ყურადღება რამდენიმე ორფეხა არსებამ მიიპყრო: „სიცოცხლის დაუზოგავად გემბანზე ათამდე კაცი ამოხტა, ყველას გაზეთების შეკვრა ჰქონდა ილღიაში ამოჩრილი და ხელში პლაკატები ეჭირათ“. დიკენსს ეს ხალხი გაზეთების გამყიდველები ეგონა, მაგრამ ისინი რედაქტორები აღმოჩნდნენ. მოსულები გაცნობისას ხელს ისე მაგრად ართმევდნენ მწერალს, რომ დაუბრუნეეს. ბოლოს როგორც იყო, გაეცალა მათ და ცოლის, მოსამსახურე ენის და თანამგზავრ ღორდ მალგრეივის თანხლებით (მალგრეივი თავის პოლკში ბრუნდებოდა მონრეალში) დიკენსი გაემართა ქალაქის საუკეთესო სასტუმრო „გრემონტ-ჰაუსში“. მხიარული და მღელვარე დიკენსი გადმოხტა ეტლიდან, კიბე აირბინა და პოლში შეიჭრა შეძახილით: „აი, ჩამოვედი!“ თავისი მახვილი თვალით ყველანაირს ამჩნევდა და აღიქვამდა, წრფელად და გადამდებად იცინოდა, ძალდაუტანებლად, მკვირცხლად ლაპარაკობდა, თითქოს თავის სახლში ჩასულიყოს. ნასადილევს გარდა მალგრეივისა, კიდევ ორ-სამ ამერიკელთან ერთად, რომლებიც ის-ის იყო გაიცნო, დიკენსი ქალაქისაკენ გაეშურა. ყინვისაგან სახე ეწვოდა. სიხარულით სავსე წინ მიისწრაფოდა, მალაზიების აბრებს კითხულობდა, თანამგზავრებს გზადაგზა თავის შენიშვნებს უზიარებდა ქალაქის არქიტექტურაზე. მისი სიტყვების დაუსრულებელ ნაკადს მხიარული, მკვექარე სიცილი ენაცვლებოდა. როცა მოსეირნეები უოლდ-საუს-ჩერჩის პირდაპირ შეჩერდნენ, დიკენსმა უეცრად კვილპისებური ღაღადისი ამოუშვა, რითაც გვარიანად დააფრთხო და გააოცა თავისი ახალი ნაცნობები. ერთი მათგანი ორმოცი წლის შემდეგ იგონებდა დიკენსს და წერდა: „ეს ღაღადისი აქამდე გამოცანაა ჩემთვის“. მაგრამ იმათთვის, ვინც დიკენსის ბუნებას იცნობდა, აქ არავითარი საიდუმლოება არაა.

მსოფლიოს არ სმენია არაფერი მსგავსი იმ მიღებისა, რომელიც დიკენსს ამერიკაში ხვდა წილად. არც უფრო ადრე, არც უფრო გვიან ისე არ შეხვედრიან არც ერთ მწერალს არც ერთ ქვეყანაში, „არ ვიცი, მოვახურობებ თუ არა, წარმოიდგინოთ, როგორ მიმიღეს მე აქ, — სწერდა ის ფორსტერს. — რა გითხრათ იმ ბრბოებზე, რომლებიც აქ მოედინებიან ცისმარე დღე; იმ ხალხზე, რომელიც თავს იყრის, როგორც კი მე საიდანმე გამოვდივარ; ოვაციაზე, რომელიც თეატრში მომიწყვეს; ლექსებზე, მოსალოც და მოსალმების წერილებზე; ურიცხვ მეჯლისზე, სადილებსა და საზეიმო კრებებზე... როგორ მოგიტხროთ ეს ყოველივე, რომ ოდნავად მაინც წარმოიდგინოთ ის ალტაცება, რომლითაც მეგებებიან! მოსალმების შეძახილები მთელ ქვეყანას მოედო! შორეული დასავლეთიდან დელეგაციები მესტუმრნენ — ადამიანები მდინარეებისა და ტბების ნაპირებიდან, ულრანი ტყეებიდან და ძელური ქოჩებიდან, დიდი და პატარა ქალაქებიდან, ქარხნებიდან და შორეული სოფლებიდან. თითქმის ყველა შტატის გუბერნატორებისაგან მივიღე მოსაწვევი ბარათები. მწერენ უნივერსიტეტები, კონგრესები, სენატი და ყოველნაირი კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. „ეს არც ახირეზულებაა, არც ჯოჯოხობის გრძნობა, — მომწერა გუშინ დოქტორმა ჩენინგმა, — ყველაფერი ეს წრფელი გულიდან მომდინარეობს! ასეთი ტრიუმფი არასოდეს ყოფილა, არც იქნება...“ „მიწერ-მოწერა აქვს ჩემთან ერთ მინისტრს, მოდური ექიმი თავის სამსახურს მთავაზობს, მოდელად უნდათ ჩემი გამოყენება მხატვარსა და მოქანდაკეს. მყავს მდივანი, რომელსაც ყველგან თან დავატარებ. ამ ახალგაზრდა კაცს ჯორჯ პუტნემი ჰქვია. ძლიერ წყნარი, ზრდილი. ბეჯითი და სიტყვაძვირია. თავის საქმეს ჩინებულად აკეთებს“. ბოსტონში ორიოდე დღის ჩასვლის შემდეგ მთელი დარჩენილი დრო უკანასკნელ საათამდე განრიგით იყო განაწილებული.

ბოსტონის მაღალი საზოგადოების ნაღებს არ მოეწონა დიკენსის თავის დაქერა და ჩაცმულობა. მას უბრალო ლონდონელი მედუქნის სახე აქვს, — ამბობდნენ ისინი. — მეტყველებაც უბრალო, დაუხვეწელი, აჩქარებული. უეჭველია. ჰკვიანი და მომხიბლველია, მაგრამ სიდარბაისლე აკლია, გამოთქმებს არ არჩევს, ზედმეტად

1 უ. ჩენინგი — ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე, მღვდელი, მონობის მოწინააღმდეგე.

ენერგიულია. როგორ ლაპარაკობს! განა ეს ჭენტლმენის ხმა! მერე და ეს ჟილეტები! რა ფერებია! ბოსტონელ ჭენტლმენების უმრავლესობა საზეიმო შეკრებებზე შავი ატლასის ჟილეტებით ცხადდებოდა. დიკენსი ღია ყოლოსფერ ან უცნაურად მწვანე ჟილეტებს იცვამდა. საათი ორმაგი ჯაჭვით ჰქონდა გულზე დაბმული. ყელსაბამი — სულ მთლად ფანტასტიკური — საყელოს ფარავდა და მდიდრულ ნაკეცებად ეშვებოდა გულზე. არც ერთი ბოსტონელი, რომელსაც ჭენტლმენის წოდების პრეტენზია ჰქონდა, არ იკისრებდა, ხმამაღლა ეთქვა ყველაფერი, რაც აზრად მოუვიდოდა, ანდა თავი დაეკვირა ისე, როგორც მოეპრიანებოდა. რადგანაც ზრდილობის ეს ორი აუცილებელი ატრიბუტი დიკენსს არ გააჩნდა, ამან ბიკონსა და პარკ-სტრიტზე თავშეკავებული, მაგრამ ცივი უკმაყოფილენა გამოიწვია. ერთხელ საზეიმო სადილზე დიკენსმა შემთხვევით დაინახა სარკეში, რომ ჭოჩორი ოღნავ გაწეწოდა. ჭიბიდან სავარცხელი ამოიღო და იქვე, სუფრაზე გულმშვიდად გადაივარცხნა თმა. მეორეჯერ ბოსტონის ერთ-ერთ რჩეულ ოჯახში სადილობდა — მოსამართლე პრესკოტთან. სტუმრები კამათობდნენ. ვინ უფრო ლამაზიაო — ჰერცოგ სატერლენდის მეუღლე, თუ ქალბატონი კეროლიან ნორტონი. „არ ვიცი, — თქვა დიკენსმა, — ჩემი აზრით, ქალბატონი ნორტონი. სამაგიეროდ, ჰერცოგის მეუღლე, უთუოდ, უფრო კარგი საკოცნელია“. სუფრაზე მყოფთ თითქოს მეხი დაეცათ. როცა სტუმარი ნიუ-იორკში წავიდა, ბოსტონის საზოგადოების რჩეულებს გულზე მოეშვათ.

ვიდრე ფეხებზე ბოსტონის მტვერს მოიშორებდა, დიკენსმა კიდევ ერთი რამ ჩაიღინა, რითაც თავის წინააღმდეგ განაწყობოს ბოსტონის უფრო ნაკლებად ნატიფი საზოგადოებაც. ბოსტონში და ჰარტფორდში მის პატივსაცემად გამართულ სადილებზე მან მოურიდებლად განაცხადა, იმ მოგებიდან. რომელსაც ამერიკელი გამომცემლები იღებენ ინგლისელი მწერლების გამოცემით, ავტორებს მცირე ნაწილი მაინც უნდა უზიარონო. მან, რა თქმა უნდა, არ იკისრა ეთქვა, მწერალმა მოგების მეოთხედი მაინც უნდა მიიღოსო, — ასეთი საშინელი აზრი სულაც არ მოსვლია. მაგრამ არ შეეძლო არ დაფიქრებოდა. იმ გარემოებას, რომ, თუ ადამიანი კატორღელივით შრომობს, ურიცხვ მკითხველებს ატკობს. მას სრულიად საფუძვლიანად შეუძლია ელოდოს რაიმე, თუნდაც სულ უმნიშვნელო

ანაზღაურებას. საერთაშორისო სააეტორო სამართალი მაშინ არ არსებობდა. მიიღებდნენ თუ არა დიკენსის რომელიმე რომანის გამოცემას, გამოცემლები იტაცებდნენ, სასწრაფოდ ბექდავდნენ ათასობით ეგზემპლარად, ყიდდნენ, მოგებას ჯიბეში იწყობდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, აეტორისათვის მადლობა მაინც შეეთვალოთ.

დიკენსმა თქვა, ინგლისელმა მწერლებმა პირველი ნაბიჯი გადადგეს საერთაშორისო შეთანხმების დადების საქმეში და იმედი მაქვს, ამერიკა ამ ამბავს მხარს დაუჭერსო. როგორც კი მწერალი ამ საკითხს შეეხო, ამერიკული პრესა უღმობელი გაბორბტებით დაესხა თავს. საშუალო ჟურნალისტის ლექსიკონში არ არსებობს ისეთი სალანძღავი სიტყვა, რომ სახეში არ მიეხალუბინათ დიკენსისათვის. როცა დიკენსმა თქვა, უოლტერ სკოტი უფრო მშვიდად გაატარებდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს. იმ ვალის მეთაფი მაინც რომ მიეღო, რაც ამერიკელ გამოცემლებს ედებოდათო, ისეთი ღაღადისი შეიქნა, რომელსაც ინგლისელი ვერც კი წარმოიდგენს. ანონიმური წერილები მომავარეს, პირად საუბრებში მარიგებდნენ, მარწმუნებდნენ. გაზეთები ისე თავგამოდებით მესხმოდნენ თავს. რომ კოლტი (კაცისმკვლეელი, რომელზეც აქ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ) ჩემთან შედარებით ქერუბიმად გამოიყურება. განმიცხადეს, ჯენტლმენი კი არა, ჩვეულებრივი, ფულს დახარბებული არამზადა ხარო. ასეა ყოველდღიურად. ამას უხვად ემატება საზარელი ქორეზი შტატებში ჩემი ჩამოსვლის თაობაზე. ნიუ-იორკში გრანდიოზული ბანკეტის მოსაწყობად შექმნილმა კომიტეტმა წერილი გაუგზავნა დიკენსს და სთხოვა, ამ საკითხზე მეტი აღარ ილაპარაკოთო. „მე ვუპასუხე, რომ ვილაპარაკებ, რომ ვერავინ ვერ გამაჩერებს... რომ მათ უნდა რცხვენოდეთ და არა მე... რომ არ დაეზოგავ მათ“.

დიკენსმა დიდი მამაცობა გამოიჩინა. როცა ასეთი გამოწვევა მიახალა საზოგადოებრივ აზრს იმ ქვეყანაში. რომელმაც განიზრანა მწერლისთვის ანგარიში ფულით კი არა, მყვირალა პატივისცემით გაესწორებინა. ჩვეულებრივ ადამიანს მხოლოდ ბოსტონში 1 თებერვალს გამართული სადილი გააბრუებდა. იმ საღამოს პროგრამის მთავარ ნომერს ურცხვი პირფერობა წარმოადგენდა. ყოველ სადღეგრძელოში დიკენსის რომანების გმირებზე ლაპარაკობდნენ. ეს სადილი საღამოს ხუთი საათიდან ღამის ორ საათამდე გაგრძელდა.

ნიუ-იორკში მიმავალი ცოლ-ქმარი პარტფორდში შეჩერდა: აქ ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში მიღება ჰქონდათ. ყოველ ასეთ დარბაზობას ორასი-სამასი ადამიანი ესწრებოდა. ერთხელ, ღამით, როცა ისინი უკვე იწვნენ, სერენადა გაისმა. მომღერლები ტალანში მოწყობილიყვნენ, საწოლი ოთახის კარებთან, და „გიტარის აკომპანიმენტზე დაბალი ხმებით მღეროდნენ ოჯახზე, მეგობრებზე და სხვა რამეებზე, რაც გულისათვის ახლობელია. ვერ ავიწყრთ, როგორ აგვიჩვილეს გული. უეცრად სასაცილო აზრი დამებადა და ისე გამეცინა, რომ თავი ბალიშებში ჩავმალე. „ღმერთო ჩემო, — ვუთხარი ქეთს—წარმოიდგინე, რა დღეში იქნება იქ, კარს უკან ჩემი ფეხსაცმელები!“

დაკენსები შეჩერდნენ ნიუჰეივენში და „იძულებული გავხდით მიგველო აქაური უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტები და პროფესორები, შემდეგ — მოქალაქეები. გამოთხოვებისას ხუთასზე მეტ აქცს ჩამოვართვით ხელი, ცხადია, მე სულ ფეხზე ვიდექი“. პარტფორდის შემდეგ ვალინგფორდში ჩავიდნენ. მცხოვრებლები ქუჩაში გამოფენილიყვნენ. აქაც გაჩერდნენ. ასევე — ვუსტერში და სპრინგფილდში. თებერვლის შუა რიცხვებში, როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, მისტერ დიკენსი და მისი მანდილოსანი ნიუ-იორკში ჩავიდნენ და სასტუმრო „კარლტონში“ დაბინავდნენ.

პირველ საღამოსვე მათ ვაშინგტონ ირვინგი ეწვია. ირვინგი სასტუმრო ოთახში მიიწვიეს, მალე გაისმა ხმაური და ოთახში გრივალივით შემოიქრა დიკენსი, ხელში ხელსახოცი ეჭირა, მხიარულად მიესალმა ირვინგს და გაიტაცა ის სუფრასთან, რომელიც, ირვინგის თქმით, ვულგარული სიუხვით იყო გაშლილი. სუფრაზე ღვინისა და წვენის ლაქები იყო (სტუმარმა ესეც შენიშნა). ირვინგ! — ყვიროდა დიკენსი, — ბედნიერი ვარ, რომ გხედავთ, რას დალევთ? კოკტეილს? პიტნის სასმელს? ამ გულითადი სცენის მოგონებაზე ირვინგი მუდამ აფთრდებოდა, ზიზლით ლაპარაკობდა დიკენსის უხამს „მიკიტნურ“ ქცევაზე, უძრახავდა ვულგარულ ჩაცმულობას, ვულგარულ ქცევას, აზროვნების ვულგარულ წყობას, ზოლო მის გულითადობას ეგოიზმად სახავდა. მოკლედ, ინგლისელმა გენიოსმა ამერიკელი ჩენტლმენი შეაცბუნა, მისი ნატიფი გემოვნება შეუტრაცხყო.

ნიუ-იორკი ბოსტონზე უარესი აღმოჩნდა. სადაც არ უნდა გა-

შოჩენილიყო დიკენსი, აუარებელი ხალხი აედევნებოდა, თავს აბეზრებდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ. რომელიღაც ამერიკელი აღმფოთებას გამოთქვამდა „ამ მონური თაყვანისცემის, ამ საზიზლარი პირმოთნეობის გამო. ვიღაცა დაცივით ამბობდა, რომელიმე ყოჩაღმა და მოხერხებულმა იანკიმ დაინელთოს ბოსი, გალიაში ჩასვას და საჩვენებლად ატაროსო“. 14 თებერვალს ბოსის პატივსაცემად დიდი მეჭლისი გაიმართა პარკ-სიეტრში. „პარკში ზორბა სანახაობა წარმოგვიდგა: სამი ათასი საუკეთესოდ მორთული ადამიანი, მოკაზმული თეატრი, — საუცხოოა! რა განათება, რა კაშკაში! რა მოელვარე ზიზილ-პიპილები, რა სიუხვე, მოსალმების როგორი შეძახილები! სიტყვით არ გადმოიცემა!“ ქალაქის მერი და სხვა თანამდებობის პირები შესასვლელთან დახვდნენ დიკენსს და ორჯერ ჩამოატარეს ზეიმით უზარმაზარ საცეკვაო დარბაზში, ორჯერ! — მრავალთავიანი ჰიდრას მოთხოვნით. „როცა ამას მოვრჩით, ცეკვა დავიწყეთ, როგორ — ღმერთმა იცის, ისეთი სივიწროვე იყო“. ცოცხალი სურათებით უჩვენეს სცენები დიკენსის რომანებიდან. შემდეგ გაზეთში წერდნენ, ამ რომანების ავტორი არასოდეს არ ყოფილა ისეთ კარგ საზოგადოებაში, როგორც ბოსტონში და ნიუ-იორკში ნახა, მისთვის გულთბილი მიღების მოსაწყობად შეკრებილი არისტოკრატების ნახვამ გააოცა, განაცვიფრა და გააბრუაო. ამ მეჭლისის შემდეგ დიკენსს ყელი ასტკივდა. არ ვიცით, ედებოდა თუ არა ბრალი ამ საქმეში გულლია მასპინძლებს, მაგრამ ყველაფერი, რაც პროგრამით გათვალისწინებული იყო, ოთხი დღით გადაიდო. 18 თებერვალს ქალაქის თვითმმართველობის შენობაში ბანკეტი მოეწყო. თავმჯდომარეობდა ვაშინგტონ ირვინგი.

დიკენსმა თავისი მუქარის თანახმად ნიუ-იორკშიც ილაპარაკა საერთაშორისო საავტორო უფლებებზე. აქ ზოგიერთი გამოჩენილი ამერიკელი სინდისმა შეაწუხა და მას მხარი დაუჭირეს. ირვინგმა თქვა, „სამართლიანობა მოითხოვს, დაფნის გვირგვინით შემკულებმაც რაიმე სარგებლობა მიიღონო. კიდევ მეტი: ერთ-ერთმა რედაქტორმა, კორნელიუს მეტიუზმა თქვა, ამერიკელი ავტორებისათვისაც არ არის სასურველი, ინგლისურ წიგნებს ამერიკელი გამომცემლები უფასოდ რომ იღებენო. „მე ვისურვებდი, — გულწრფელად განაცხადა მან, — რომ ჩვენი უზარმაზარი, ასეული წლების ვალი ნაწილობრივ მაინც დაფარულიყოს“. გაზეთებში კი ისევ თავ-

შეუკავებლად განაგრძობდნენ დიკენსის ლანძღვას. „გეფიცებით,— აღიარებდა დიკენსი, — ამ უნამუსო ყოფაქცევით გამოწვეულმა გულისწყრომამ და სიძულვილმა ისეთი ტანჯვა მომგვარეს, როგორიც არასდროს განმიცდია. მაგრამ უფრო მალლა მდგომმა გაზეთებმა, მაგალითად, „ტრიბუნმა“ მხარი დაუჭირეს მას. სასწორი რომ საბოლოოდ მისკენ გადახრილიყო, დიკენსმა სთხოვა ფორსტერს, რამდენიმე წამყვანი მწერალი შეიპირე, მხარი დაგვიჭირონო. კარლელი მაშინვე დაეთანხმა, სხვებმაც მის მაგალითს მიბაძეს, მაგრამ საავტორო უფლების საკითხი მაინც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში გადაუქრელი რჩებოდა (1892 წლამდე). ამ დროისათვის კი ამერიკის დავალიანება ისეთ კოლოსალურ თანხას შეადგენდა, რომ მასზე აღარავინ ლაპარაკობდა.

სათაყვანო და საძულველი სტუმრისათვის ნიუ-იორკში ცხოვრება სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა: „არა მაქვს საშუალება, ვაკეთო ის, რაც მინდა, წავიდე, სადაც მინდა, ვნახო, რაც მინდა. შესახვევში რომ შევუხვიო, მაინც მთელი ბრბო ამედევნება, შინ თუ ვრჩები, სახლი ბაზრად იქცევა; განვიზრახე, რომელიც საზოგადოებრივი დაწესებულება დამეთვალაღიერებინა ერთადერთი კაცის თანხლებით, მაგრამ მივედი თუ არა, მომეგებნენ უფროსები, გამიყვანეს ეზოში და გრძელი სიტყვებით მომმართეს. სტუმრად რომ მივდივარ სალამოს, სადაც არ უნდა შეეჩერდე, ისე მჭიდროდ შემომერთყმიან, სულის მოთქმაც შეუძლებელი ხდება. მივდივარ სადმე სადილად და — უეჭველად ყველას ყველაფერზე უნდა ვებაასო. დასვენების მძებნელი ეკლესიაში შევდივარ. — რა დაგიკარგავს, რას ეძებ! — თავიანთ ადგილებს სწყდებიან, რომ ჩემს ახლოს დასხდნენ, ხოლო მღვდელი პირდაპირ სახეში მიქადაგებს თვალმოუშორებლად. რკინიგზის ვაგონში ვკდები, კონდუქტორი არ მასვენებს. გაჩერებაზე გამოვდივარ წყლის დასალევად, პირს გავაღებ თუ არა, ასამდე დოცლაპია შიგ ხახაში მაშტერდება. წარმოგიდგენიათ! ეს წერილები? ურიცხვი წერილი! ყველა მოითხოვს, დაუყოვნებლივ ვუპასუხო. ჩემთვის დასვენება არ არის“. მაგრამ ერთხელ მაინც მოახერხა გაძრომა, ნახევარი ღამე ორი პოლისმენის თანხლებით იხეტიალა და „ინახულა ყველა საროსკიპო, ქურდების ყველა თავშესაფარი, ყაჩაღების ჭურღმული, მეზღვაურთა დანსინგი. ყველგან იყო, სადაც ყოველგვარი ბოროტმოქმედება და მანკი-



ერება ბუდობს“. შტატების ყველა ქალაქში მიღებებზე და საღი-  
ლებზე სიარული?! ამის ატანა აღარ შეეძლო. მიწვევაზე უარი უთხ-  
რა ფილადელფიის, ბალთიმორის, ვაშინგტონის და სხვა ქალაქთა  
საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რაკი გადაწყვიტა თავის ნებაზე  
ეცხოვრა. მაგრამ ეს შესაძლებლობა მაინც იშვიათად ეძლეოდა.

ამერიკელების გულისწყრომა დიკენსმა მარტო საავტორო უფ-  
ლებებს მოთხოვნით როდი დაიმსახურა. ერთხელ კერძო საუბარში  
მონობას მან „საზიზღარი და უბილწესი, სამარცხვინო რამ უწოდა,  
ხოლო მონათმფლობელს — ალისფერი სამოსლით მორთულ ჰარუნ-  
არ რაშიდზე უფრო უღმობელი და თავგასული დესპოტი“. დიკენ-  
სის თქმით, რესპუბლიკელის პოზიცია შტატებში დაახლოებით ასე-  
თია: „ჩემზე მაღლა ვერავის მოვითმენ, ხოლო იმათთაგან, ვინც  
დაბლად, ახლო მოსვლას ვერავინ გაბედავს“.

დიკენსი სწერდა ფორსტერს: „ყველაზე მძლავრ დარტყმას თა-  
ვისუფლებას ის ქვეყანა აგემებს, რომელმაც ვერ შეძლო სამაგალი-  
თო გამხდარიყო მთელი დედამიწისათვის“. იქაურების ყოფაქცევაც  
შეძაგდა დიკენსს. ისე როგორც თეკერის, მასაც ეზიზღებოდა, ამე-  
რიკელები — ქალებიც და მამაკაცებიც — დანის წვერით რომ ქამ-  
დნენ საკმელს და თითებით იწმენდდნენ ცხვირს.

მარტის პირველ რიცხვებში ცოლ-ქმარი ფილადელფიას ეწვია. აქ  
მათთან სადარბაზოდ ერთი გამოჩენილი მოქალაქე მივიდა და  
სთხოვა დიკენსს, ნება მომეცით ჩემი რამდენიმე მეგობარი გაგაც-  
ნოთო. დიკენსი შეუძლოდ იყო, მაგრამ უარი ვერ უთხრა. მეორე  
დილას ელდისაგან გაქვავებულმა დიკენსმა ფანჯარაში დაინახა: მა-  
თი სასტუმროს წინ ზღვა ხალხი ირეოდა. გამოიჩქვია, რომ წინა  
დღეს გაცნობილ მოქალაქეს დილის გაზეთში გამოეცხადებინა, დი-  
ლის თერთმეტის ნახევრიდან თორმეტის ნახევრამდე ბატონი დი-  
კენსი „სიამოვნებით ჩამოართმევს ხელს ჩემს მეგობრებსო“.

დიკენსმა გადაჭრით უარი თქვა ხელის ჩამორთმევაზე. მაშინ  
სასტუმროს პატრონმა განუმარტა მას, ბრბო რომ არ დააკმაყოფი-  
ლოთ, სასტუმროს დამინგრევენო. დიკენსი იძულებული გახდა „მე-  
გობრები“ მიეღო. ორი საათის განმავლობაში ის და ქეთი შეუდ-  
რეკლად იდგნენ ერთ ადგილას. ხელებს ისე უნჯღრევდნენ მათ,  
თითქოს უნდოდანთ ძვლები დაემტვრიათ და სახსრები ეღრძოთ.  
მნახველების ნაკადი კი არ წყდებოდა. ოჰ! რომელი მათგანი წარმო-

იდგენდა ამ გროვაში როგორ გაუსწორდებოდა მათ სულ მალე „მარტინ ჩეზლვიტის“ ავტორი. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო დიკენსი, ქალები დაჟინებით სთხოვდნენ, სამახსოვროდ თუნდაც თმის ბეწვი მოგვეცითო. მაგრამ დიკენსს როდი სურდა პარიკით დაბრუნება სამშობლოში, ამიტომ მანდილოსნებს მხოლოდ ავტოგრაფებს აძლევდა. სამაგიეროდ, საზამთრო ქურქი სულ შემოაფეკცენეს: ბევრი ახერხებდა ბეწვის მოგლეჯას სამახსოვროდ. გაზეთები უძღვნიდნენ მწერალს მისასალმებელ ლექსებს და მხიარულ კალამბურებს.

ფილადელფია დიკენსს „ლამაზ, მაგრამ საოცრად მოსაწყენ ქალაქად“, ეჩვენა. ორიოდე საათის ხეტიალის შემდეგ იგრძნო, რომ არაფერს დაიშურებდა ერთი მრუდე ქუჩისათვის. როგორც ყოველთვის, დიკენსმა აქაც დაათვალიერა სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულება, მათ შორის — აღმოსავლეთის საკატორლო ციხე, სადაც განმარტოებული პატიმრობის სისტემამ შეაძრწუნა. „მხოლოდ ცოტანი შეძლებენ წარმოიდგინონ, რა აუწყრელ ტანჯვა-წამებას ჰგვრის ადამიანებს ეს საშინელი სასჯელი, რომელიც მრავალი წელი გრძელდება“. მისი აზრით არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, ასეთი ტკივილი მიაყენოს სხვას: „ეს წელი და ყოველდღიური ჩარევა სულის საიდუმლოებაში განუზომლად უფრო დიდი საშინელებაა, ვიდრე ნებისმიერი ფიზიკური წამება. „ჩემზე ამან ისე იმოქმედა, როგორც პირადმა მწუხარებამ“, — სწერდა ის ერთ-ერთ მეგობარს. მისი განცდების სიღრმე და სიძლიერე იმას მოწმობს, რომ ის ბუნებით, უპირველეს ყოვლისა, „საზოგადოებრივი“ არსება იყო.

კვაკერების ქალაქში დიკენსს მოუვიდა პაკეტი, რომელშიც იდო მოთხრობების ორი ტომი, ავტორის წერილი და კრიტიკული სტატია „ბარნები რაჯაზე“. დიკენსი გაისარჯა, მოთხრობებიც გადაათვალიერა და წერილიც წაიკითხა. მიუხედავად იმისა, რომ გაბეზრებული იყო ავტორებისაგან, რომლებიც ხელნაწერებს უგზავნიდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ ყურადღებით წაეკითხა, შეესწორებინა და ინგლისში დაბეჭდვაზე დახმარებოდა. ზოგჯერ მისალმები ჰონორარიდან პროცენტებსაც ჰპირდებოდნენ. ისეთებიც იყვნენ,

---

<sup>1</sup> კვაკერები — ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის წევრები არიან ინგლისსა და ამერიკაში.

„ბრწყინვალე“ იდეებს და თანაავტორობას რომ სთავაზობდნენ. ყოველივე ამის გამო საექვოა, რომ ორ პატარა ტომს მწერლის აღტაცება გამოეწვიოს. მაგრამ დიკენსმა მაინც გადაათვალიერა ისინი და ავტორი — ედგარ ალლან პო სასტუმროში მიიწვია. სამი წლის შემდეგ პოს სახელი გაუთქვა პოემა „ყორანმა“, რომლის იდეა ავტორს დიკენსის „ბარნები რაჯას“ გმირმა აღუძრა. კიდევ ოთხი წლის შემდეგ ახალი წარმატება ხვდა პოს პოემა „ზარებს“, რომელიც ისევ დიკენსის „ზარებით“ იყო შთაგონებული. მაგრამ მაშინ პო ჯერ კიდევ უცნობი მწერალი იყო. დიკენსმა აღუთქვა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მოთბრობები ლონდონში გამოიცესო. ამ სასიამოვნო საუბრის შემდეგ ერთხანს პო ისე სევდიანი არ იყო. როგორც ყოველთვის. სამშობლოში დაბრუნებულმა დიკენსმა მართლაც სცადა პოს თხზულებებით დაეინტერესებინა გამომცემლები, მაგრამ ვერაფერს გახდა და პოს აცნობა, ფირმები უარს ამბობენ ნაკლებად ცნობილი ავტორის თხზულებების გამომცემაზე. ფორსტერისადმი მიწერილ ერთ წერილში დიკენსი, როგორც ჩანს, პოზე ლაპარაკობს: „თბილი ღომილი მომგვარა ფილადელფიელმა ე. პ.-მ. ლიტერატურის კრიტიკოსმა და ინგლისური ენის ერთ-ერთმა კარგად მცოდნემ ე. პ.-მ, რომელიც შეურიგებლად გეტუქსავს პრესაში ჩვენ, ინგლისელ ლიტერატორებს, მაგრამ ამავე დროს გამიცხადა, თქვენ ახალი ეპოქა დამანახეთო.

შემდეგ ქალაქი, რომელსაც დიკენსი და მისი მანდილოსანი ეწვივინენ, ვაშინგტონი იყო, გზად მხოლოდ ბალტიმორში შეჩერდნენ. ვაგზალში თავმოყრილი ბალტიმორელები გათავიციებით აჩერდებოდნენ უცხო მგზავრებს. დიკენსი წერდა: „ყველა ფანჯარა ჩასწიეს, თავი და ბეჭები შემოჰყვეს კუპეში, და ისე გულგრილად გამოთქვამდნენ შენიშვნებს ჩემი გარეგნობის თაობაზე. თითქოს მე კაცი კი არა, ფიტული ვიყავი“...

ვაშინგტონში დიკენსები სასტუმრო „ვილარდსში“ დაბინავდნენ. დიკენსი სენატისა და წარმომადგენელთა პალატის სხდომებზე მიიწვიეს. მაგრამ არც წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეების შთაბეჭდავმა ფიგურებმა, არც მათმა მქვერმეტყველებამ არ მოახდინა მასზე სათანადო შთაბეჭდილება. ის ნაღვლიანად აღიარებდა, შეიძლება ჩემში გულის აჩუყების ინსტინქტი სუსტადაა განვითარებული, ამიტომ ქედმაღლური სიხარული ცრემლს არ მგვრის, არც რომე-

ლინე საკანონმდებლო კრების ხილვა მაკარგვინებს გრძნობასო. „თუმცა თემთა პალატას ვუძღვებდი, როგორც მამაკაცს შეჭფერის, ლორდების პალატაში მხოლოდ ერთ სისუსტეს ვიჩენდი: ზოგჯერ ეთვლემდი, ჩამეძინებოდა“.

მწერალი შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, რბილი ხასიათის წყნარმა კაცმა ჯონ ტაილერმა მიიღო. „ძალიან გაუკვირდა, რომ ასე ახალგაზრდა ვარ. მინდოდა იგივე მეთქვა მისთვის, მაგრამ ისეთი მოქანცული და განაწამები სახე ჰქონდა, ქათინაური ყელში გამეჩხირა. როგორც მაკბეტს — „ამის“.

ბევრი წარჩინებული თანამდებობის პირი ეწვია დიკენსებს სასტუმროში პატივისცემის გამოსაცხადებლად. ცოლ-ქმარს, როგორც ყოველთვის, დროის თავის ნებაზე გამოყენების საშუალება არ ეძლეოდა. მაგალითად, 15 მარტს, ცხრიდან ათ საათამდე დიკენსი პრეზიდენტთან იყო ოფიციალურ მიღებაზე. ორი ათასი კაცი პირდაღებული, კისერწაგრძელებული, თვალებდაქყეტილი უვლიდა მას გარშემო. როცა წასვლა დააპირა, აედევნენ, მიჰყვნენ ეტლამდე, სასტუმრომდე, მის ნომრამდე. თავის საწოლ ოთახში შვებით ამოისუნთქა მწერალმა, რაკი დარწმუნდა, ტანისამოსის კარადაში და ლოგინის ქვეშ არავინ იყო დამალული. არაა გასაკვირი, რომ მის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, ამერიკელებს შორის ჩემს ქერქში ვერა ვარ, თუმცა ისინი სტუმართმოყვარე, გულუხვი, გულთბილი და ზრდილები არიანო. „არ მომწონს ეს ქვეყანა, არაფრად არ ვისურვებდი აქ ცხოვრებას: აქ გული არაფერზე მიმდის... მე მგონია, ინგლისელი ამერიკაში თავს ბედნიერად ვერ იგრძნობს“. აქ საქმე სუბიექტურ განცდებთან არა გვაქვს. „ეს ის რესპუბლიკა არ არის, რომელიც მე წარმომედგინა და რომლის ნახვაც მინდოდა. მას ათასჯერ ვამჯობინებ ლიბერალურ მინარქიას, მისი სასამართლოს გულისამრევი ცირკულიარებიოთ... რწმენათა თავისუფლება? კი, მაგრამ სადაა ის? აქ პრესა უფრო საცოდავი, უქკუო, უპატიოსნოა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. აქაური გაზეთი სიბინძურე და საძაგლობაა. პატიოსანი კაცი თავის ოჯახში ფენსაწმენდად არ იკადრებს მას“. დიკენსი ხედავდა აგრეთვე. რომ „პარტიულ უთანხმოებათა სულისკვეთებას — პირმოთნეობის, მლიქვნელობის, მაამებლობის, მონური მორჩილების უბადრუკ, ღვარძლიან სულისკვეთებას — ცხოვრების ყველა არეში შეუთონავს!“

გასაგებია, რომ ვაშინგტონში ყოფნის ბოლო ხანებში ყოველივე ამით ყელამდე იყო სავსე, მაგრამ მას არ სჩვეოდა შუა გზიდან მობრუნება და მოგზაურებმა გზა მონათმფლობელური რაიონებისაკენ განაგრძეს. რამდენიმე დღე შტატ ვირჯინიას ქალაქ რიჩმონდში გაატარეს. აქ სასტუმრო „ბირჟა“-ში დაბინავდნენ. ადგილობრივი საზოგადოების რჩეული ნაწილის მიერ გამართულ ვახშამზე თავმჯდომარემ გაათრთხილა დიკენსი, წარმატებესაგან თავბრუ ისე არ დაგეზვიოთ, როგორც თავის დროზე ნაპოლეონს მოუვიდაო. დიკენსმა უპასუხა, ყოველნაირად ვეცდები, ბუნებრივად ვიყო. მთელი საღამო იფრქვეოდა ორივე მხრიდან მსგავსი ხუმრობანი, რომელთაც პორტუგინის მირთმევის შემდეგ არცთუ ისე უწყინარი ხასიათი მიიღეს. სუფრის ხელმძღვანელმა „სიძველეთა სავაჯროს“ ერთ-ერთი გმირი შეაქო, რაზედაც ავტორმა უპასუხა, თქვენ თვითონ ცოცხალი „სიძველე“ ბრძანდებიართ. ასეთი დროსტარება ერთი-ორი საათით გაართობდა ხოლმე დიკენსს, ავიწყებდა კოშმარს— მონობას, მაგრამ არა დიდი ხნით. ერთ-ერთმა პლანტატორმა უთხრა დიკენსს: „მონებთან ცუდად მოპყრობა პატრონისთვის ხელსაყრელი არ არის, რაც თქვენ ინგლისში გაგიგონიათ, სისულელეა“. დიკენსმა მიუგო: „ლოთობა, ქურდობა, ქალაღის თამაში და ბევრი მსგავსი მანკიერებაც არაა ხელსაყრელი, მაგრამ ადამიანები მისდევენ მათ. შეუბრალებლობა და შეუზღუდავი უფლების ბოროტად გამოყენება, ეს ორი ქვენა გრძნობა დამახასიათებელია ადამიანის ბუნებისათვის. როცა ადამიანი მათ დაკმაყოფილებას ცდილობს, სრულიადაც არ უფიქრდება, ხელსაყრელია ეს მისთვის, თუ დამლუპველი“. მეორეჯერ რომელიღაც მოსამართლემ სიტყვა ჩამოაგდო იმაზე, რომ ინგლისში მონობაზე უმეცრულად და მიკერძოებით მსჯელობენ. „მე მივუგე, რომ ჩვენ უფრო სწორად შეგვიძლია მონობის საშინელებაზე და საძაგლობაზე მსჯელობა, ვიდრე იმათ, ვინც მონობაში დაიბადა და აღიზარდა. ის, ვისაც მონობა სიკეთედ მიაჩნია, საღად ვერ აზროვნებს. როგორ შეუძლია მას იმსჯელოს უმეცრებასა და მიკერძოებაზე? შეუძლებელია! აბსურდია! ამაზე კამათი არ ღირს“.

„ამ საძაგელი, გათახსირებული წესებისაგან გაცლა“ დიკენსისათვის გამოუთქმელი შვება იყო. ბალტიმორში მან სასტუმრო „ბარ-ნუმი“ ისადილა ვაშინგტონ ირვინგთან ერთად. ირვინგს თავი ისე

ეჭირა, თითქოს დიკენსისადმი საუკეთესო გრძნობები ჰქონდა. შემდეგ ცხენებით ჩავიდნენ პარისბურგში, სადაც ცნობისმოყვარეთაგან თავის დასაღწევად პატარა გემში ჩასხდნენ და არხით პიტსბურგი-საკენ გაემართნენ.

არხით მგზავრობა მაინცდამაინც კომფორტული არ აღმოჩნდა: აიუტაში აუარებელი ხალხი და სივიწროვე იყო.

პიტსბურგში მგზავრები სასტუმრო „ბირჯაში“ დაბინავდნენ და რაუტი გამართეს. აუცილებელი გახდა რამდენიმე ასეული კაცისთვის ჩამოერთმია ხელი მწერალს. დიკენსი მოწყენილობამ შეიპყრო. გასართობად ჰინოზს მიჰყო ხელი. მისი ოსტატობის პირველი მსხვერპლი ქეთი იყო, რომელიც ჯერ ისტერიაში მიიყვანა, შემდეგ — გულის წასვლამდე. მაგრამ მოწყენილობას ვერც ამან უშველა. განსაკუთრებით მოიწყინა, როცა დასავლეთისაკენ მიუყვებოდნენ მდინარე ოჰაიოს. „სრულიად სერიოზულად ვაცხადებ, რომ მსოფლიოში არ არის იმდენი აბეზარი ადამიანი, როგორც შეერთებულ შტატებში. აქ უნდა ჩამოხვიდე, რომ კარგად გაიგო, რა არის მოსაწყენი, გულის გამწყალებელი ადამიანი“. ორი დღე ქალაქ ცინცინატიში, სასტუმრო „ბროდვეიში“ გაატარეს. ის იყო, უნდა გამოეცხადებინათ, შინ არ ვართო, რომ ორი მოსამართლე გამოეცხადათ ადგილობრივი მცხოვრებლების მიღებაზე შესათანხმებლად. სხვა გზა აღარ იყო: ხელის ნჯღრევისა და თითების მტკრევის ცერემონია სათანადოდ ჩატარდა. იმავე დღეს მწერალს გარს შემოეხვივნენ ადგილობრივი მანდილოსნები, ერთი მათგანი ეხვეწებოდა, ღილის კილოში რომ ვარდი გაქვთ, ის მისახსოვრეთო. „არ გამოვა. არ შეიძლება, — უპასუხა მწერალმა, — სხვებს გული დაწყდება“. მაგრამ ვერ გაუძლო ამ „სხვების“ ანთებულ თვალებს და ვარდი ფურცლებად დაუნაწილა მათ. ამას მოსამართლე უოლკერთან სტუმრობა მოჰყვა. „ყველა იქ მყოფს — ასორმოცდაათამდე ადამიანს — სათითაოდ აცნობდნენ დიკენსებს. ყველა უალრესად მოსაწყენი პიროვნება აღმოჩნდა, თითოეული მოითხოვდა, მწერალი მასთან დამჯდარიყო და დალაპარაკებოდა. „განუზომელი მოწყენილობისაგან, რომელსაც გამუდმებით განვიცდი, ჩემს სახეს, უეპველია, ღრმა მწუხარების მყარი გამომეტყველება მიეცა“.

ნერვები უკვე დალატობდა დიკენსს. ხოლო გემზე ცხოვრება, განსაკუთრებით საერთო სუფრა, მის უკმაყოფილებას ვერ შეანე-

ლებდა. „ჯერ არასდროს არ განმიცდია ასეთი მძიმე მოწყენილება, როგორც ამ სადილის დროს, — წერდა ის რამდენიმე თვის შემდეგ, — მათი მოგონებაც კი გულს მიღონებს და მტანჯავს... რაც შეიძლება მალე ამოლოკე შენი ჯამი და პირქუშად გაბობლდი განზე პირუტყვივით! ამ წესჩვეულების ბუნებრივი მოთხოვნილებების შიშველ, ხარბ დაკმაყოფილებად ქცევა საძაგლობაა! ეს მე არაფრად მექაშნიკება“.

ბოლოს კაიროს მიაღწიეს და დიკენსმა დაინახა ადგილი, რომელიც ერთი სააქციო საზოგადოების პროსპექტში წარმოდგენილი იყო, როგორც ელდორადო — ზღაპრული სიმდიდრეების მხარე. ამ მხარემ გააკოტრა მრავალი მიამიტი ინგლისელი, რომლებმაც კაიროს ამხანაგობაში თავიანთი კაპიტალი შეიტანეს. დიკენსის საქმე კი სწვანაირად წავიდა. მან ქარბად აინახლაურა თავისი ფული, როცა „მარტინ ჩეზლივტიში“ კაირო დახატა. ელდორადო? არა! „ეს მაღარიის ბუდე დაღუპული ადგილია, ადგილი, სადაც არც მიწას, არც წყალს, არც ჰაერს არც ერთი სასარგებლო თვისება არ გააჩნია“.

მისისიპით, რომელსაც დიკენსი თხელი ტალახის მყრალ ნაკადს უწოდებს, მგზავრები სანტ-ლუისში ჩავიდნენ. იქიდან დიკენსი და სხვა მამაკაცები პრერიის სანახავად გაემართნენ. პრერიას მასზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მეორე დღესვე დიკენსები ცინცინატიში დაბრუნდნენ და კოლუმბუსში გაემგზავრნენ ეტლით... ისევ ეტლით — სანდასკში. ეს მოგზაურობა საშინელი ელკეჭით დამთავრდა. შემდეგ ტბა ერიზე გაემართნენ კლივლენდში. მთელი გზა ზღვის ავადმყოფობით იტანჯებოდნენ და ამიტომ სათანადოდ ვერ შეხვდნენ უზარმაზარ ბრბოს, რომელიც დილის 6 საათზე გაჩნდა გემბანზე, სახელგანთქმული მწერლის სანახავად. ზოგიერთები დიკენსის კაიუტის ფანჯრებში იჭყიტებოდნენ. დიკენსი ამ დროს პირს იბანდა, მისი მეუღლე ჯერ არ ამდგარიყო. ბრბოს ასეთმა ყოფაქცევამ აღაშფოთა დიკენსი. „როცა ტრადიციის მიხედვით გემზე ქალაქის მერი ამოვიდა, მე ის არ მივიღე და პუტინემს დავავალე, განემართა მიზეზი“.

ბუფალოში მგზავრები გემიდან ჩამოვიდნენ და მატარებლით ჩავიდნენ ნიაგარაში. მდინარის ნაპირზე მდებარე სასტუმრო „კლიფტონ ჰაუსში“ ათი დღე იცხოვრეს. წყალვარდნილმა დიკენსი გააშეშა. უეცრად გაუქრა ახალი ადგილების ხილვის სწრაფვა. ის

„სულიერმა სიმშვიდემ, დაშოშმინებამ, განსვენებულთა უშფოთველმა მოგონებებმა, სამუდამო განსვენებაზე და ბედნიერებაზე ფიქრებმა შესცვალა. შიშისა და სევდის არავითარი ნასახი. პირველი დანახვისთანავე ნიაგარა სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს გულში, როგორც სილამაზის განსახიერება — შეურყევლად, წარუშლელად და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“. ცოტა სხვანაირი შთაბეჭდილება მოახდინა წყალვარდნილმა ხელზე მოსამსახურე ენიზე, რომელმაც განაცხადა: „წყალია და წყალი, ბევრია და ისაა“.

რა სასიხარულო იყო ისევ კანადაში დაბრუნება, ინგლისელთა შორის ყოფნა. აქ ადამიანები არ გაგულქვავენებულან. იუმორის გრძნობა და სიცოცხლის სიყვარული არ დაკარგვიათ ბიზნესის სამსახურით გამოყვეყჩებულებს. ტორონტოსა და კინგსტონის მოვლის შემდეგ მგზავრები მონრეალში ჩავიდნენ. აქ დიკენსმა დიდი გატაცებით იკისრა სამი ერთაქტიანი პიესის დადგმა გარნიზონის ოფიცრებისათვის. წარმოდგენაში მისი მეუღლეც მონაწილეობდა. „ქეთმა გასაოცრად კარგად ითამაშა“, — განაცხადა დიკენსმა. თვითონ დიკენსი რეჟისორიც იყო, მთავარი როლის შემსრულებელიც, დამდგმელიც, მოკარნახეც, ბუტაფორიც, დეკორატორიც. „მე ისევ თეატრალური ციებ-ციხელებით ვარ შეპყრობილი და ისევ ვფიქრობ, რომ ჩემი ნამდვილი მოწოდება თეატრის დირექტორობაა. ქალაღმმა, მელანმა და კალმებმა დამილუპეს დამდგმელის თანდაყოლილი ნიჭი“. ამ ეპიზოდმა დიკენსს მეტი სიხარული აგემა, ვიდრე ხუთი თვის მოგზაურობამ ამერიკაში. თანაც ის თანამემამულეთა შორის იყო და სამშობლოში გასამგზავრებლად ემზადებოდა.

ატლანტის ოკეანით პირველი ცურვის შემდეგ დიკენსმა დაასკვნა, რომ ხომალდი „უსაზიზღრესი გამოგონებაა“. ამიტომ უკან იალქნიანი გემით დაბრუნდნენ. ერთხელ ვილაციის შეკითხვაზე, ახსოვს თუ არა ესა და ეს ნიუ-იორკელი ჭენტლმენი, მან უპასუხა: „არა, მე მასეთ ამერიკელ ჭენტლმენს არ ვიცნობ. შემინდოს უფალმა, რომ ეს ორი სიტყვა ერთად წარმოვთქვი“. ნათქვამი კარგად ახასიათებს დიკენსის დამოკიდებულებას შეერთებულ შტატების მცხოვრებლებისადმი, თუმცა მათ შორის მან რამდენიმე მეგობარი გაიჩინა.



## მოგზაურობის შედეგები

ეს 1842 წლის 29 ივნისს მოხდა მაკრიდის სახლში. ის-ის იყო შესახობმა დივანზე მოიკალათა, რომ უეცრად ვილაც სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ოთახში. „ვინ იყო ის, თქვენი აზრით? ვინ და საყვარელი დიკენსი, რომელიც სიხარულისაგან გაბრწყინებული სახით ზომეხვია და გულში ჩამიკრა. მადლობა ღმერთს!“

ვიდრე დიკენსები ამერიკიდან დაბრუნდებოდნენ, მათი ბავშვები არცთუ ძალიან ტკბილად ცხოვრობდნენ მაკრიდის ოჯახში. მაკრიდი ოჯახში მკაცრი იყო და მორჩილებას მოითხოვდა. არ ჰგავდა დიკენსს, რომელიც მუდამ ანცობდა და თამაშობდა ბავშვებთან, მათდამი თავის ნაწ გრძნობებს არ ჰფარავდა. როცა მაკრიდი ამერიკიდან დაბრუნდა, შვილებს ნამდვილი გამოცდები გაუმართა შესამოწმებლად, თუ როგორ მეცადინეობდნენ ისინი მამის არყოფნაში. დიკენსმა კი ჩამოსვლისთანავე წამოყარა შვილები ლოგინებიდან. ყველანი დაკოცნა და ისეთი ალიაქოთი ატეხა. ისე ააფორიაქა ბავშვები, რომ ერთ მათგანს კრუნჩხვაც კი მოუვიდა. არც ერთი ინგლისელი, რომელსაც უცხოეთში გატარებული თვეების შემდეგ სამშობლოს მიწაზე შეუდგამს ფეხი. არ ყოფილა ისე ბედნიერი, როგორც დიკენსი. რას უნდა შევადაროთ ეს გრძნობა? როცა სამშობლოში ბრუნდები, გეჩვენება, რომ წვიმა საუცხოოა. ნისლი ისეთი გემრიელია. გინდა ერთბაშად ჩაყლაპო: ღრუბლიანი დღე საშოთხეა, ლონდონის ქვარტლი და კენჭყო ცით მოვლენილი წყალობაა. აღტაცებული დიკენსი ხან ერთ მეგობართან გარბოდა. ხან მეორესთან. ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის, რომ მამამისს ფული

ესეხსა მაკრიდისაგან, მის ძამიკო ფრედს კი ალიაქოთი აეტეხა ქუჩაში. მერე რა? ჯობია გაკორტებული, მუდამ ხელმოკლეობაში მყოფი მამა და თავზახელაღებული ძამიკო გყავდეს და ინგლისში ცხოვრობდე, ვიდრე ამერიკაში, თუნდაც მდიდარი ნათესავეებით გარშემორტყმული.

დიკენსის ჩამოსვლის გამო მეგობრებმა სადილი გამართეს გრინვიჩში. ეს სერობა მხიარულად ჩატარდა.

პირველ ხანებში დიკენსი სამუშაოს არ ეკარებოდა. მთელი დღეები ბავშვებთან ერთობოდა, ანდა მხიარულად სეირნობდა ფორსტერთან და მაკლიზთან ერთად. მაგრამ ორი კვირის შემდეგ საწერ მაგიდას მიუჯდა და ამერიკული შთაბეჭდილებების ჩაწერას შეუდგა. აქ მას ძალიან გამოადგა ამერიკიდან ფორსტერისათვის გამოგზავნილი წერილები. აგვისტო ბროდსტერსში გაატარა: ზღვაში ბანაობდა, მუშაობდა და ერთობოდა. ერთხელ ლონგფელო ესტუმრა. დიკენსმა ის როჩესტერის სასახლის სანახავად წაიყვანა. როცა მათ გალაუანში შესვლა სცადეს, დარაჯი დაემუქრა, პასუხისგებაში მიგცემთო. მუქარას ყური არ ათხოვეს და ნანგრევები გულდასმით დაათვალიერეს, მიუხედავად დარაჯის წყევლა-კრულვისა, დიკენსმა, ლონგფელომ, ფორსტერმა და მაკლიზმა პოლისმენის თანხლებით დაათვალიერეს ლონდონის დარიბთა თავშესაფრები, ყველაზე საშინელ ბუნაგებში შედიოდნენ. მაკლიზი ასეთ სანახაობას ვერ იტანდა, ერთ თავშესაფარში გულიც შეუღონდა და ამ წამოწყებისადმი ინტერესი დაკარგა.

სექტემბერში დიკენსმა გაიგო, რომ შეერთებულ შტატებში მისი სახელით გამოქვეყნებულა ყალბი ნაწარმოები, რომელშიც ავტორი ლანძღავდა ამერიკელებს და რომ ამერიკელები ამის გამო ლანძღავენ დიკენსს. დიკენსმა არ მოისურვა ყალბისმქნელის პრესის საშუალებით მხილება. მან მხოლოდ თავის მეგობარ ამერიკელებს გააგებინა, ყოველივე ეს გაუგებრობააო, და დაივიწყა ეს ამბავი. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გამოვიდა მისი „ამერიკული შენიშვნები“, რის შემდეგ ავტორმა ახალი მოგზაურობა მოაწყო, რომელშიც მონაწილეობდნენ ფორსტერი, მაკლიზი, კლარკსტონი და სტენფილდი. ამ არაჩვეულებრივად მხიარულ მოგზაურობას დიკენსი აუწერს წერილში თავის მეგობარს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ ფელტონს:

„ზეციურო ძალებო! რა შესანიშნავად ვიმოგზაურეთ ლონგფელოს გაცილების შემდეგ... დევონშირში მატარებლით ჩავედით. იქ ერთ მედუქნისაგან, რომელიც გულით და სულით პიკვიკის თაყვანისმცემელი აღმოჩნდა, ღია ეტლი ვიჭირავეთ. ხან მთელი დღე ვმგზავრობდით, ზოგჯერ — დღეც და ღამეც. საერთო სალარო მებარა, სადილებს ვუქვეთავდი, გზის ხარჯებს ვიხდიდი, სასაცილო ამბებზე ვესაუბრებოდი მეეტლეებს და ყოველი შესვენების ხანგრძლივობას ვაზუსტებდი. როცა ჩვენი მოგზაურობის რომელიმე წერტილის თაობაზე უთანხმოება იჩენდა თავს, სტენფილდი (გამოცდილი მეზღვაური) დიდ რუკას გაშლიდა, ჯიბიდან კომპასს ამოიღებდა და სხვა მეცნიერულ ინსტრუმენტებს მოიშველიებდა. ბარგს ფორსტერი განაგებდა, მაკლიზი კი, რაკი არავითარი მოვალეობა არ ეკისრა, მღეროდა. ღმერთო ჩემო! ნეტავი გენახათ, რამდენი ბოთლი იყო ამოჩრილი ჩვენი ეტლის ყველა საბარგო განყოფილებიდან. მერე როგორი ბოთლი გინდათ, რომ აქ არ ყოფილიყო! ნეტავი გენახათ, რა ტკბილად შემოგვცქეროდნენ მეეტლეები, რა უსაზღვრო თაყვანისცემას გვიძღვნიდნენ მეჭინბეები, როგორ ეკარგებოდათ თავგზა სიხარულისაგან ჩვენს დანახვაზე ლაქიებს! ნეტავი ჩვენთან ერთად ყოფილიყავით ჟამთასვლისაგან გამუქებულ ეკლესიებში, ზღვის პირქუშ ნაპირებზე მდებარე, საიდუმლოებით მოცულ გამოქვაბულებში, თავბრუდამხვევ მწვერვალებზე და იქიდან მოგესმინათ, როგორ ღრიალებენ დაბლა, ჩვენგან ასეული ფუტის დაშორებით მწვანე წყლები! ნეტავი შეგეხებათ, როგორ გიზგიზებდა და ლაპლაპებდა ცეცხლი ძველებური სამიკიტნოების უხარმაზარ ოთახებში, სადაც ჩვენ ნაშუალამევამდე ვისხედით ბუნხართან! არასოდეს ასე არ მიცინია, როგორც ამ მოგზაურობაში. ნეტავი გაგეგონათ! სიცილისაგან სული მეხუთებოდა. ასეთი იყო მთელი გზა. სტენფილდიც კი, რომელიც ძლიერ ჩამოგგავთ თქვენ ხასიათით და აღნაგობითაც (ოღონდ თხუთმეტი წლით უფროსია), სიცილისაგან ბუირობოდა, შმაგდებოდა. ზოგჯერ ზურგში ჩემოდნებს ვურტყამდით, რომ გონზე მოგვეყვანა. არა, მსგავსი ვოიჯი არავის მოსწრებია. მერედა, ეს ჩემი თანამგზავრები ისეთ ჩანახატებს აკეთებდნენ ხანმოკლე დასვენების დროს! შეიძლება დაეფიციო, რომ მხიარულების სულთან ერთად სილაპაზის სულიც ჩვენი თანამგზავრი იყო.“

შინ დაბრუნებულმა დიკენსმა გაიგო, რომ „ამერიკული შენიშვნები“ ძლიერ სწრაფად სალდებოდა. დღეს ეს წიგნი მხოლოდ იმიტომ ასსოვთ, რომ ზედ ავტორის გვარია. ის რომ სხვას დაეწერა, თავის ეპოქას არ გასცდებოდა. მაკოლეიმ არ იკისრა ამ წიგნის განქიქება და თავისი უარი „ედინბურგის მიმოხილვის“ რედაქტორს ასე განუმარტა: „მისი ქება არ შემძლია და ძაგება კი არ მიწდა...“ თავის უარს იმითაც ასაბუთებდა, რომ დიკენსის ოჯახში სტუმრად ნამყოფი იყო. „თვით დიკენსი კარგ და ნამდვილად ძლიერ ნიჭიერ კაცად მიმაჩნია“. ემერსონმა ამ წიგნს „უაღრესად უხეში პასკვილი“, ზერელე, უმეცარი წიგნი უწოდა. რა გასაკვირია, რომ ამერიკაში ეს ნაწარმოები ბევრს არ ეკაშნიკა: წიგნის ავტორს ცივილიზებული ტურისტის პოზიცია უჭირავს. ტურისტი ბარბაროსების ქვეყანაში მოხვდა. ავტორის ღვარძლიანობას მოკლებული კილო ცეცხლზე ნავთს ასხამდა.

ერთი წელიც არ გასულა, დიკენსი რომანის წერას შეუდგა, ახალ წიგნში შეერთებული შტატების ცხოვრების ისეთი სურათები დახატა, რომლის მტრულ ხასიათს ყველაზე უფრო შემწყნარებელი კრიტიკოსებიც ვერ უარყოფდნენ. ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ დამცინავი გაკილვა მძვინვარების ღრიალმა შეცვალა.

„აღამიანი ხშირად მიჯაჭვულია თავისი წამების იარაღზე. მას თავის დაღწევა არ ძალუძს, — სწერდა დიკენსი თავის მეგობარს, — ნაგრამ ისეთი ტანჯვა და სიმწარე, რომლისთვისაც განწირულია ყველა. ვინც კალამზეა მიჯაჭვული, ბევრს არ ხვდება წილად“. თავდაპირველად „მარტინ ჩეზლივითს“ ძალიან ძნელად წერდა. ზედიზედ მრავალ დღეს ატარებდა მწერალი თავის ოთახში და რადგანაც ერთ პწკარსაც ვერ აბამდა თავს, გარეთ გადიოდა „ისეთი გაბოროტებული და პირქუში, რომ ჩემს დანახვაზე ყველაზე თავზეხელაღებულიებიც კი გარბოდნენ... გამომცემლები წყვილ-წყვილად მოდიან ჩემთან, რომ კენტად მოსულს თავს არ დაეცხა და აბეზარი არსება სიცოცხლეს არ გამოვასაღმო“. არავითარ მიწვევას აღარ იღებდა, რადგან „უფრო და უფრო მტკიცედ ვგრძნობ. რომ ჩემი მარტოყოფნის წყვილიდიდან რალაც კომიკური წარმოიშობა“. რომანის პირველი ნაწილი 1843 წლის იანვარში გამოვიდა, უკანასკნელი — 1844 წლის ივლისში. გარდა მისის ჰემპისა, რომლის სახით დახატულია მის კუტის ოჯახში ნანახი ბებია ქალი, ამ წიგნში მკითხველის

ყურადღებებს იპყრობს უმთავრესად ამერიკელი ცხოვრების სურათები, რომელმაც ნწყერალმა უბრწყინვალესი სატირული გვერდები უძღვნა. ამერიკელებმა სატირა, რა თქმა უნდა, შეგანებულ ცილისწამებად წიიჩნოეს. „ამ ხალხის კარიკატურის დახატვა შეუძლებელია, — განაცხადა დიენსმა, — ზოგჯერ როცა რომელიმე ნაწყვეტს გადავიკითხავ, სასოწარკვეთილი ვაგდებ ხელიდან კალამს“. ჯორჯ ვაშინგტონის თანამემამულეები „მარტინ ჩეზლიტში“ გამოყვანილი არიან, როგორც სნობები,<sup>1</sup> თვალთმაქცები, მატყუარები, უადრესად მოსაწყენი მოლაცბეები, მკეებარები, ცრუპენტელები, ჩხუბისთაეები, ველურები, არამზადები, კაცისმკვლელები და იდიოტები. ავტორი ბრალს სდებს მათ უხეშობაში, სიძუნწეში, შურიანობაში, უმეცრებაში, პრეტენციოზულობაში, სიხარბეში და აცხადებს, საზოგადოებრივ ჩვევებში პირუტყვეებისაგან შორს არ წასულან, ხოლო პოლიტიკურ საქმეებში გარყვნილები არიანო. ბუნებრივია, რომ ამერიკაში ბევრი არ შეხვედრია ამ წიგნს სიხარულით. გემისკენ, რომელსაც რომანის ახალი გამოშვებები მიჰქონდა, ალტაცებული ბრბოები აღარ გარბოდნენ. ყველაფერზე შეურაცხყოფელი სწორედ ის იყო, რაც ხალას სიმართლეს შეიცავდა, მაგალითად, ასეთი გესლიანი გამონათქვამები:

„მათ ისე ძლიერ უყვართ თავისუფლება, რომ მას მეტად თავისუფლად ეპყრობიან“.

„გვეჩვენება, რომ ყველა მათი საზრუნავი, იმედები, სიხარული, სიყვარული და მეგობრული ურთიერთობა — ყველაფერი დოლარებადაა გადამდნარი“.

მონობაზე: „თავისუფლებას თვალეზე ჩაჩი ჩამოუფარებია და ყოვლად საძაგელ მონობას თავისუფლებად აღიარებს“.

რაც შეეხება მთელ რესპუბლიკას. დიენსის თქმით, ის „დასაბიჩრებულია. ისეთი წყლულებით და იარებით არის დაფარული, ისე შეურაცხყოფს ადამიანის თვალს და გრძნობას, რომ საუკეთესო მეგობრებიც კი ზიზლით აქცევენ ზურგს ამ საძაგელ არსებას“.

როცა მარკ თეპლი თავს ნებას აძლევს მეგობრულად გამოთქვას

---

<sup>1</sup> სნობები — ირონიული სახელწოდება იმ ადამიანებისა, რომლებიც ყოველივე მოდურით არიან გატაცებული და ყველაფერს, რაც მალა საზოგადოებაში მიღებულია, თავანსა სცემენ.

რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა ადგილობრივი წესების თაობაზე, მისტერ ჰანიბალ ჩოლოპი აფრთხილებს მას:

„თქვენი მსგავსი ქუთის-კოლოფი დიდხანს ვერ იბოგინებს, ტყვიებით დაფლეთენ.

— ვითომ რისთვის? — დაინტერესდა მარკი.

— ჩვენ უნდა გვაქოთ, სერ, — მიუგო ჩოლოპმა მუქარის კილოთი. — თქვენ აქ რომელშიმე დესპოტიანში კი არა ხართ. ჩვენ სამაგალითო ვართ მთელი მსოფლიოსათვის და ამიტომ უნდა გვადილოთ, გაიგეთ?

— ნუთუ მე კადნიერად ვილაპარაკე?

— ერთი ასეთი სიტყვისთვისაც კი კულტურული ადამიანები ცხვირ-პირს დაგინაყავენ. ჩვენ მთელი დედამიწის ჭკუა და სინდისი ვართ, კაცობრიობის ნაღები, მისი მშვენიება და სიამაყე. ჩვენ ფიცხები ვართ. თუ ჩვენ ბრძყალებს გიჩვენებთ, ფრთხილად იყავით, გასაგებია? გირჩევნიათ, გვაქოთ!“

კვილპისა და პატარა ნელის მსგავსად, „მარტინ ჩეზლვიტი“ სულ სხვა გრძნობებს იწვევს დღეს, ვიდრე დიკენსის დროს. მაშინ სიმპათია ტომ პინჩის მხარეზე იყო. პექსნიფი კი ზიზღს იწვევდა. ჩვენთვის ტომ პინჩი აუტანელია, პექსნიფი კი აუარებელ სიამოვნებას გვგვრის. ის ერთ-ერთი ყველაზე კუროიზული ფიგურათაგანია ლიტერატურაში. „ოჰ, ეს ადამიანის ბუნება! ადამიანის ბედნავსი ბუნება!“ — შენიშნა მისტერ პექსნიფმა და მწუხარედ გადააქნია თავი, თითქოს თვითონ ადამიანის ბუნებასთან არაფერი საერთო ჰქონოდა. და, თუმცა პექსნიფი პაროდული პერსონაჟია, მასში იმდენი რამ არის ამ „ადამიანის ბუნებისა“, რომ იგი ყველა ზიზია გმირს გვირჩევნია. აქ კვილპის ამბავი გამეორდა: დიკენსმა პექსნიფს ბევრი საკუთარი თვისება მიაწერა ანგარიშმიუცემლად.

ორმოცდამეათე თავში მარტინი თავის მეგობარ ტომ პინჩს ვერაგობას უსაყვედურებს, მაგრამ არ ვიცით, — რატომ. მარტინი არ ამბობს, რა დაუშავა მეგობარმა, რით დაიმსახურა ეს საყვედური. ამ ეპიზოდში, რომლის აზრიც მკითხველისათვის ამოუხსნელი დარჩა, ტომისა და მარტინის პირით თვით დიკენსი ლაპარაკობს და იგი მწერლის მაშინდელი განცდების ანარეკლია.

1844 წლის 26 თებერვალს ჩარლზ დიკენსმა ლივერპულში მუშათა სკოლის სწავლა გახსნა. გამოაცხადა, ახლა პიანისტი ქალი და-

უკრავსო და დასძინა, მის სახელს განსაკუთრებული სიწმინთ წა-  
 მოვთქვამო: მის უელერ! ამ სიტყვებზე ხარხარმა იფეთქა და წა-  
 ზუნა მის უელერი. მაგრამ დიკენსმა წასჩურჩულა, ინგლისა, ოღონდ  
 გვარს გამოიცივლით და ძალიან ბედნიერი იქნებითო. ამ ქალიშვილ-  
 მა, რომელიც მერი ჰოგარტს აგონებდა, დიკენსზე არაჩვეულებრივი  
 შთაბეჭდილება მოახდინა. მან ისევ იგრძნო, რამდენად აუღდა სუ-  
 ლიერი სიახლოვე და თანაგრძნობა ქალისა, რომელიც მას გაუგებ-  
 და და მხოლოდ მისი ცხოვრებით იცხოვრებდა. ის ისევ იღვალტურ  
 სიყვარულზე ფიქრმა შეიპყრო. მეორე დღეს მის უელერი და მისი  
 მამა საუბრებზე მიიწვია და თავისი მეგობარი თომპსონი გააცნო იმ  
 იმედით, რომ შემდეგ მასთან ექნებოდა საუბარი და მიწერ-მოწერა  
 ამ საინტერესო საგანზე. ბირმინჰემიდან, სადაც ის პოლიტექნიკუ-  
 რი ინსტიტუტის სადამოს თავმჯდომარეობდა, თომპსონს მისწერა:  
 „მის უელერზე ხუმრობით ლაპარაკი არ შემიძლია: ის მეტად მშვე-  
 ნიერია. ჩემი ინტერესი ამ ნორჩი ქმნილებისადმი, რომელიც, რო-  
 გორც მეჩვენა, ნაადრევად უნდა დაიღუპოს, სერიოზულ გრძნობად  
 შექცა. ღმერთო ჩემო, რა გიჟად ჩამთვლიდნენ, ვინმე რომ მიმხვდა-  
 რიყო, რა გასაოცარი გრძნობა გამოიწვია მან ჩემში!“ ორიოდ  
 დღის შემდეგ ის თავის დას ფანის სწერდა: „არ ვიცი, მაგრამ მგო-  
 ნია, რომ თუ არა ფიქრი მის უელერზე, დიდი სიამოვნებით ჩუმი  
 ჩამოვიხრჩობდი თავს, რომ ამ ამაო, სულელურ, გიჟ, მოუწყობელ  
 და უმსგავსო სამყაროს განეშორდე“. 11 მარტს, 12 დღის შემდეგ,  
 რაც მის უელერს თომპსონი გააცნო, დიკენსმა გაიგო, რომ მის მე-  
 გობარს მის უელერი შეჰყვარებოდა და მისი ცოლად შერთვა გა-  
 ნებზარბა. „გაფიციებით, ამ დღით, თქვენი წერილი რომ გავხსენი  
 და წავიკითხე, — სწერს დიკენსი თომპსონს, — ვიგრძენი, როგორ  
 უკუმექცა სისხლი პირისახიდან — არ ვიცი სად, ტუჩებიც კი გამი-  
 თეთრდა: ჩემს სიცოცხლეში არაფერს გავუოცებია ასე. დავინახე  
 თუ არა თქვენი წერილი, წაკითხვამდე მივხვდი, რაც ეწერა შიგ და  
 წამით სიცოცხლე მიყუჩდა ჩემში“. ელდისაგან რომ მოიკეთა, დი-  
 კენსმა თომპსონს ასწავლა, როგორ მოექონა თავი ქალიშვილის მა-  
 მისათვის, და 29 მარტს უკვე ნიშნობა მიულოცა მეგობარს, საპა-  
 ტარძლოს გამოუტყდა, თომპსონის ბედნიერებას ისე განვიციდი,  
 თვითონ რომ ცოლშვილიანი არ ვიყო, მის სხეულს დიდი სიხარუ-  
 ლით ფოლადის ხმლით გავემირავდიო. ამრიგად თომპსონმა შთა-

აჯონა დიკენსს ზემოხსენებული საინტერესო ეპიზოდი „მარტინ ჩეზლვიტისათვის“.

მაგრამ აი ამერიკაში ჩავიდა წიგნი, რომელშიც აღწერილია მარტინის თავგადასავალი ოკეანის იქით. ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს, სხვა რომელიმე ნაწარმოებს გამოეწვიოს ისეთი გააფთრებული გულისწყრომა, როგორმაც ოკეანეს იქითა ხმელეთი მოიცვა.

კარლეილის თქმით: „იანკი დუდლი სოდიანი წყლის უზარმაზარი ბოთლივით ამიშინდა“, ხოლო დიკენსი ამბობდა, ოკეანეს იქით მარტინის გამო გაცოფდნენ და გაგიჟდნენო. მას ასობით მოდიოდა უცნაურობა ლანძღვა-გინებით აღსავსე წერილები. გაზეთებსაც უგზავნიდნენ: დიკენსი გაუხსნელად აბრუნებდა მათ ფოსტაში. ლანძღვისა და წყევლა-კრულვის ნაკადი ისე ძლიერდებოდა, რომ 1843 წლის შემოდგომაზე, როცა მაკრიდი ამერიკაში მიემგზავრებოდა, დიკენსი ლივერპულში არ წაპყვა გასაცილებლად: ეს რომ ამერიკაში გაეგოთ, სტუმარს ხეირს არ დააყრიდნენ. „რაც არ უნდა წაიკითხოთ, რაც არ უნდა გაიგონოთ, — სწერდა დიკენსი მაკრიდის, — რაც არ უნდა გითხრან ჩემზე, არ შეეკამათოთ, არსად თქვათ, რომ თქვენი მეგობარი ვარ, არსად მოიწადინოთ ჩემი დაცვა. არათუ გათავისუფლებთ გამოქომაგებისაგან, დაბეჯითებით გთხოვთ, დუმილი მიიჩნიოთ თქვენს მოვალეობად იმათ წინაშე, ვისთვისაც ახლობელი და ძვირფასი ხართ. ჩემთვის საკმარისია, რომ თქვენთან, თქვენს გულში ვიქნები... გარდა ამისა, ფოსტით წერილებს ჩემს სახელზე ნუ გამოგზავნით. როცა სხვებს მოსწერთ, მათ კონვერტებში ჩემი წერილიც ჩადევით. მაგრად იყავით, იცოდეთ. არაფერი წამოგცდეთ ჩემთან სიახლოვეზე“. მაკრიდი, რომელსაც ადრე ეგონა, რომ დიკენსი მეტად მკაცრად ეპყრობოდა ამერიკელებს, ამერიკაში ჩასვლის შემდეგ დარწმუნდა, რომ ცდებოდა. „კერძებით დატვირთულ აქაურ სუფრას ინგლისში ხმელი პურის ყუა მირჩევნია, — იწერებოდა ის 1848 წელს ბოსტონიდან. — ნიუ-იორკში მეხუთე ავენიუზე სიკვდილს კი — ინგლისში ჰუტყუიან თხრილში ჩაკვდომა“.

ინგლისელები არ აღმოჩნდნენ დაცინვისადმი ისე მგრძობიარენი, როგორც ამერიკელები: პეკსნიფმა, ინგლისის ერის სუსტი მხარეების განსახიერებამ, ისინი მხოლოდ გაართო. თუმცა, თუ წიგნის გასაღების მიხედვით განვსჯით, არცთუ ძალრან გამართობი ეჩვენათ:



წიგნი ბევრად უფრო ძნელად საღებოდა, ვიდრე „პიკეიკი“. „ნიკ-  
ლბი“. „ბარნები რაჯა“ და „სიძველეთა საეპრო“. დიკენსი ძლიერ  
ნაწყენი იყო: მან ხომ იცოდა, რომ „მარტინ ჩეზლვიტი“ ადრინდელ  
რომანებზე ბევრად უკეთესი იყო. ამავე დროს გამომცემლებმა ჩეზ-  
მენმა და ჰოლმა ცეცხლზე ნავთი დაასხეს: ავტორს მოსთხოვეს  
აენაზღაურებინა მათთვის განსხვავება ყოველთვისურ ჰონორარსა  
და რომანის გაყიდვით მიღებულ თანხას შორის. დიკენსი სულ გა-  
ცოფდა. სხვა გამომცემლის ძებნას შეუდგა, ფორსტერს სთხოვა.  
ფირმა „ბრედბერი და ევანსს“ მოელაპარაკეო. გადაწყვიტა შემდეგი  
წიგნი „სამობაო სინღერა“ გამოეცა. ამ მოთხრობის წერა მან 1843  
წელს დაიწყო, ე. ი. იმ დროს, როცა „მარტინ ჩეზლვიტი“ იბეჭედი-  
და. ჩეპმენისა და ჰოლის მაღის ალაგმვის მიზნით მწერალმა განიზ-  
რახა წიგნი საკომისიო საწყისებზე გამოეცა. ე. ი. გამოცემის ხარ-  
ჯები თვითონ ეკისრა, გამომცემლებისათვის კი საკომისიო გადაეხა-  
და გასაღებისათვის. მისი ანგარიში არ გამართლდა, მოთხრობას ღი-  
დი მოწონება ერგო, მაგრამ სასურველი ათასი ვირვანქა სტერლინ-  
გის ნაცვლად ავტორმა ათასობით ალტაცებული წერილები მიიღო.  
ბუნებრივია. დიკენსმა დაასკვნა, მის შესაშინებლად გამომცემლებმა  
ხარჯები განზრახ გაბერეს, რათა აეფულეებინათ იგი, ძველ პირობებს  
შერიგებოდა. ნამდვილად კი მცირე მოკულობის წიგნის რეალიზა-  
ციამ ვერ დაფარა გამოცემის ხარჯები, მით უფრო, რომ იგი მდიდ-  
რულად გამოიცა. ასე თუ ისე, დიკენსს ძალიან აშფოთებდა ხარჯე-  
ბის ზრდა. მას თავი უკვე საბოლოოდ გაკოტრებულად ეჩვენებოდა.  
გადაწყვიტა, სახლი გაექირავებინა და ოჯახითურთ საზღვარგარეთ  
ეცხოვრა ზომიერად. მაგრამ წინასწარ ჩეპმენსა და ჰოლთან უნდა  
გაესწორებინა ანგარიშები და ახალ გამომცემლებთან დაეჭირა საქ-  
მე. ფორსტერი ამ გამომცემლებთან მრჩეველად მსახურობდა; ამი-  
ტომ საქმის მოგვარება მწერალმა თავის ახალგაზრდობის მეგობარს  
ოომას მიტონს მიანდო.

მბეჭდავები ბრედბერი და ევანსი ჯერ ეკრძალებოდნენ გამომ-  
ცემლებად ვახდომას. ბოლოს დიკენსის თხოვლებებით კაპიტალის  
შეძენის პერსპექტივამ მიიზიდა ისინი. დიკენსი ვალდებულებას კის-  
რულობდა. თუ გამომცემლები ორი ათას რვასს გირვანქა სტერ-  
ლინგს მისცემდნენ, ეძლია მათთვის მეოთხედი იმისა, რასაც რვა  
წლის განმავლობაში მიიღებდა: როდის რას დაწერდა, — თვითონ

მწერლის საქმე იყო, ანგარიშსწორება ჩეპმენტან და ჰოლთან დამთავრდა, ასევე — ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობაც.

ვინც დიკენსს უსაყვედურებს გამომცემლებთან ურთიერთობაზე, უქვეყლად ცდება. დიკენსი რომ უტემპერამენტო ადამიანი ყოფილიყო, ის ხომ დიკენსი აღარ იქნებოდა. იგივე თვისებები, რომლებიც შველოდა თავისი თხზულებების შექმნაში, არ აძლევდა სიმშვიდის შენარჩუნების საშუალებას, როცა ეგონა, უსამართლოდ შექცევიანო. სულიერი განწყობილება სწრაფად ეცვლებოდა, ადვილად აღმგზნებადი ადამიანი იყო: ხან რბილი და გულჩვილი, ხან შეუღრეკელი და შეუბრალებელი. ნაწილობრივ ამით აიხსნება მისი შემოქმედების არაჩვეულებრივი სიმდიდრე და მრავალფეროვანება. მუშაობის დროს ის ერთი კი არა, ოცი კაცი იყო, მასში თავს იჩენდა ოცი სხვადასხვანაირი, თითქოს ერთმანეთის შეუფერებელი თვისებები. ცხოვრებაშიც ხომ არანაკლებ გასპოცარი ცვალებადობა ახასიათებდა. მას შეეძლო გულში ჩამწვდომი ქადაგება დაეწერა, ფულის სიყვარული საშინელი ბოროტებააო, ხოლო შემდეგ გაათორებულყო იმის გამო, რომ „საშობაო სიმღერისათვის“ ნაკლები მიიღო, ვიდრე ელოდა. რაც შეეხება ჩეპმენტსა და ჰოლს, მათ სრულიად კანონიერი საფუძველი ჰქონდათ, როცა ავტორისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებას მოითხოვდნენ: „ჩეზლივის“ პირველი ნაწილები ცუდად სალდებოდა, საქმის გაუმჯობესების ნიშნები არც ჩანდა. მაგრამ ჩეპმენი და ჰოლი უგნურად და არაკეთილშობილურად მოქმედებდნენ, უგნურად — იმიტომ, რომ ვერ მიხვდნენ, როგორ შეხედავდა მათ საქციელს ადამიანი. რომელიც თავის საქმისთვის არაფერს ზოგავდა: არც ტვინს, არც სულს და გულს; არაკეთილშობილურად — იმიტომ, რომ დიკენსის წიგნების წყალობით მათ უზარმაზარი ქონება შეიძინეს. დიკენსის დაკარგვით მათ მიიღეს ის, რაც დაიმსახურეს.

საკუთარი საქმეების მოგვარებას რომ ცდილობდა, დიკენსი თანამოკალმეებსაც არ ივიწყებდა. ის სწერდა ტომას ჰუდს: „თქვენი ხელშეკრულების პირობები სამარცხვინოა. მე მინდა ვთქვა, რომ მისტერ კოლბერნისათვის, გამომცემლისათვის, არის სამარცხვინო. ისე გექცევით, როგორც მეფასზე; როგორც ბირჯის სპეკულიანტი; როგორც მეძველმანე ებრაელი, როგორც კრიჟანგი, რომელიც სისხლს გწოვთ“.

„მარტინ ჩეზლიტზე“ მუშაობის დროს დიკენსი გართობასაც ეძლეოდა მისთვის ჩვეული გატაცებითა და ენერგიით. ბროდსტერში ის შორეულ სეირნობას აწყობდა, ასევე — ლონდონშიც: ზოგჯერ ჰემპსტედამდე მიდიოდა ფერასტერთან და მაკლიზთან ერთად. ზოგჯერ „მაღალ“ საზოგადოებაშიც ესწრებოდა საღამოებს, მაგრამ ასეთი გართობა მაინცდამაინც არ იზიდავდა. თავისი დამოკიდებულება ამ საზოგადოებისადმი მწერალმა ასე გამოხატა: „საზღვიმოდ ვაცხადებ, რომ ეგრეთწოდებული „მაღალი საზოგადოება“ მქანცავს, მეზიზღება, მძავს. რა გაუგონარი ცრუპატივმოყვარეობაა, რა უსაზღვრო უმეცრებაა ყველაფერში, რაც მის კარს უკან ხდება! რომ ვაკვირდები მას, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ახლოვდება დრო, როცა ეს საზოგადოება იძულებული გახდება, თავისი მანკიერებითურთ დაემორჩილოს ადამიანებს, რომლებიც დედამიწის ზურგისაგან აღგვიან და ბოლოს მოუღებენ მის მანკიერებას“.

როგორც წესი, დიკენსი მეტად მოუტყლელი იყო, მორიგ რომანზე მუშაობის დროს მისი საღმე (სადილად ან ვახშმად) გატყუება შეეძლო მხოლოდ არაჩვეულებრივ მოვლენას — „მაგალითად, ჩინეთში რომ ჩემი ტყუპის ცალი ძმა აღმოჩნდეს და სამშობლოში ერთი დღით ჩამოვიდეს. მაგრამ ასეთი რამ ხომ ხშირად არ ხდება“. როცა დიკენსი წიგნის მორიგ გამოშვებას ამზადებდა დასაბეჭდად, იძულებული იყო, მეგობრებთან შეხვედრაზეც უარი ეთქვა; კიდევ მეტი: შინაც მყუდროებაში და მარტობაში ცხოვრობდა. ერთხელ კინალამ გაიქცა ბროდსტერსიდან იმის გამო, რომ მეზობელ სახლში პიანინოს უკრავდნენ.

მაგრამ იყო ერთი გართობა, რომელსაც ის ისე წრფელად და უშუალოდ ეძლეოდა. რომ მისი მხიარულება ყველას გადაეცემოდა ხოლმე. ჯეინ კარლეილი იგონებს ერთ მხიარულ დღესასწაულს, რომლის სული და გული დიკენსი იყო. მან წინასწარ შეიძინა ოინბაზობისათვის საჭირო ჯადოსნური საგნების მთელი კომპლექსი და ყოველ საღამოს ვარჯიშობდა სხვადასხვა ნომრების შესრულებაში: ჯიბის საათს საღლაც გააჭრობდა. შემდეგ სხვა ადგილზე აღმოაჩენდა; მისი ბრძანებით მარჯვენა ჯიბეში ჩაწყობილი ფული მარცხენაში აღმოჩნდებოდა. ცხვირსახოცებს დაწვავდა, ფერფლს ჯადოსნურ ჯოხს შეახებდა და ცხვირსახოცები მთელდებოდა; ნახერხიან ყუთს

ზღვის ღორად აქცევდა, მაყურებლის ქუდში ფქველს ჩაყრიდა, კვერცხებს დაუმატებდა, ერთხანს მაგარ ცეცხლზე დაიქერდა და შიგნიდან ცხელ პუდინგს ამოიღებდა, ქუდს კი უვნებლად დაუბრუნებს და პატრონს. 1843 წლის 21 დეკემბერს მაკრიდის ქალიშვილის დაბადების დღეს იხდიდნენ. თვითონ მაკრიდი მაშინ ამერიკაში იმყოფებოდა. ეს ძალიან კარგი იყო, რადგან მისი შინ ყოფნა მხიარულებას ხელს შეუშლიდა. თუ დიკენსს ვერწმუნებით, მაკრიდის ნაშეირებს გამოჩენა შეეძლოთ. „როცა სუფრაზე ტკბილს მოიტანდნენ. თითოეულს ნამცხვარი და ერთი კიქა წყალი ეძლეოდა. „მაგრამ ახლა მსახიობი ამერიკაში იყო და თავისუფლად შეიძლებოდა ანცობა. კარლელი მთელი კვირა უძილობისაგან იტანჯებოდა და თავს ცუდად გრძნობდა, დღესასწაულზე იღუმალი ძრწოლით წავიდა. მაგრამ გამოირკვა, რომ არავითარი წამალი არ უშველიდა მას ამ საღამოსავით. „ეს საღამო სასიამოვნო აღმოჩნდა ყველაზე, რომელსაც კი ლონდონში დავსწრებავარ“. ოინბაზის თანაშემწეობა ფორსტერმა იკისრა და ორივენი ისეთი მონდომებით მოქმედებდნენ, რომ ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ და თითქოს ითვრებოდნენ აგზნებისაგან!“ უკეთესი ოინბაზი, ჩეინისეე სიტყვით, მას არასოდეს უნახავს. ის ისეთ ნომრებს უჩვენებდა, რომ კარგი ფულის გაკეთება შეეძლო, თუ ფართო საზოგადოების წინაშე გამოვიდოდა.

შემდეგ ცეკვა დაიწყო. „დიკენსი თითქმის მუხლმოდრეკით მეგედრებოდა, ვალსი ჩემთან იცეკვეო. მაგრამ მე, მგონია, უამისოდაც კარგად ვასრულებდი ჩემს როლს; არგაგონილ სისულელეებზე ვლაცობდი მასთან, ფორსტერთან, თეკერეისთან და მაკლიზთან. კიდევ ბედის ცთუნება რაღა საჭირო იყო? მაინც ნავახშმევს, როცა ყველა, შამპანურით გაბრუებული, ტაკუნების ხმაურით და უთვალავი სადღეგრძელოებით გაყრუებული, ეშხზე მოვიდა. კონტრდანსი დაუკრეს. უეცრად ფორსტერმა წელზე ხელი მომხვია და წრეში გამიტაცა საშინელ კყლეტაში. მეც ვიწყე ამ მორევში ტრიალი, რომ არ გავსრესილიყავი. წუთი შევარჩიე და შევევედრე: „გამიშვით, გაფიცებთ ყველა წმინდანს! თავს გამატეხვინებთ კარის საგდულზე“ ამაზე ფორსტერმა მომიგო: „ჰმ, თავსა! ვის რა საქმე აქვს თავთან? ეშმაკებსაც წაუღია ყველა თავი!“

ამ დროს ვიდაცამ საათს დახედა და წამოიძახა: „უკვე თორმეტი!“ ყველანი ტანთვასახდელს მივაწყდით. აქ მხიარულებამ ახალი

ძალით იფეთქა, წინა ოთახში გადავიდა და უკანასკნელ წუთამდე ბობოქრობდა. დიკენსმა და მისმა ცოლმა თან წაიყვანეს თეკერი და ფორსტერი „საღამოს შინ გასატარებლად“. წარმომიდგენია, როგორი წყნარი საღამო ექნებათ! ვაითუ საპოლიციო უბანში დაბოლოვდეს!“

„ჩეზლვიტზე“ მუშაობის დროს დიკენსი ჯანრთელობას არ უჩიოდა, თუ არ ჩავთვლით გაციებას, რომლის გამო, მისივე თქმით, ორივე ყურით დაყრუვდა, ყელი ამოეხლიჩა, ცხვირი გაუწათლდა, პირისახე გაუმწვანდა, თვალები ეწირაპლებოდა. ნწერალი ყოველ წვრილმანზე მოთმინებას კარგავდა.

მაგრამ ყოველივე ამის გამო მას არ შეუწყვეტია გამომცემლებთან და ლიტერატურის ყაჩაღებთან ბრძოლა. ამავე დროს აუცილებელი იყო დასვენება და გარემოს გამოცვლა. ხარჯების შემცირებაც საჭირო გახლდათ და დიკენსმა გადაწყვიტა, ერთი წლით საზღვარგარეთ წასულიყო მთელი ოჯახით. სახლი გააქირავა, კურიერი დაიქირავა, სახელად ლუი როში. შეიძინა მოგზაურობისათვის გამოსადეგი უზარმაზარი ეტლი და გატაცებით შეუდგა გამოსათხოვარი სადილისათვის მზადებას თავის დროებით ბინაში ოსნაბურგტერასზე, რადგან მისი სახლი უკვე ახალ მდგმურებს ეჭირათ. გამოსათხოვარი სადილი დიდებული გამოვიდა, მაგრამ რა იცოდა დიკენსმა, რომ იმ დღის ერთ-ერთ სტუმარს სიდნეი სმიტს სამუდამოდ ეთხოვებოდა (სანამ ის იტალიაში იმყოფებოდა, სიდნეი სმიტი გარდაიცვალა). კიდევ ერთი სადილი მხოლოდ მამაკაცებისათვის გამართა დიკენსმა გრინვიჩში და ოჯახი გზას გაუდგა. ჩავიდნენ ბულონში. ოჯახის უფროსი ბანკში წავიდა ფულის მისაღებად და დიდხანს დიდი წვალეებით უხსნიდა მოხელეს ფრანგულად მისვლის მიზანს. სანამ მოხელე წმინდა ინგლისურით არ შეეკითხა: „როგორი კუპირები გნებაეთ. სერ?“

ზარების წყარუნითა და თვლების რახრახით გაუდგა ევროპის გზებს ხალვათი ეტლი, რომელსაც ჩარლზ დიკენსი. მისი ცოლი, ცოლისდა, ხუთი შვილი, კურიერი და გაღია მიჰყავდა.

## შფოთი და მღელვარება.

1844 წლის ივლისის შუა რიცხვებში მოგზაურები გენუის გარე-  
უბანში -- ალბაროში ჩავიდნენ და დასახლდნენ ვილა დი-ბანი-  
არელოში, რომელიც მათთვის ანგუს ფლეტჩერმა წინასწარ დაიქი-  
რავა. ფლეტჩერს დიკენსებმა ქვედა სართული დაუთმეს, ხოლო  
სახლის დანარჩენი ნაწილი თვითონ დაიჭირეს. ეს ძალიან დიდი, ცა-  
რიელი და მოუწყობელი სახლი მხურვალედ შეყვარებოდათ კოლო-  
ნებს, რწყილებს, მორიელებს, ხვლიკებს, ბაყაყებს, ვირთაგვებს და  
აუარებელ კატებს. სამაგიეროდ ფანჯრებიდან ღვთაებრივი ბედი  
იშლებოდა. დიკენსმა ბევრი სარეკომენდაციო წერილი ჩაიტანა გა-  
მოჩენილი გუნუელების სახელზე, მაგრამ ამ წერილებით არ უსარ-  
გებლია, რადგან გამოჩენილი გენუელები თვითონ ეახლნენ მას.  
მათ შორის ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებიც იყვნენ. „მე ძა-  
ლიან ხშირად მივმართავ ხოლმე ჩემს ძველ ხერხს: ვემალები სტუმ-  
რებს და ქეთის ვანდობ მათ მიღებას“ — ჰყვებოდა დიკენსი. თვი-  
თონ ბანაობდა, იკვლევდა გენუის მიდამოებს, სეირნობდა, ბორც-  
ვებზე დაეხეტებოდა, გენუის მიყრუებულ კუთხეებში დადიოდა და  
ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს მთელი ეს ქვეყანა საში-  
ნელი მღვდლებით იყო სავსე.

სწვა ინგლისელი მოგზაურებისაგან განსხვავებით დიკენსი გულ-  
მოდგინედ შეუდგა უცხო ქვეყნის ენის შესწავლას: ის ყოველდღე  
მეცადინეობდა, გაიტყო ერთი იტალიელი, იგი მოდიოდა დიკენსთან  
და ესაუბრებოდა. ბოლოს და ბოლოს „ქუჩებში თავს ისე მხნედ  
ვგარძნობდი, როგორც ლომი. ვასაოცარია, რა თავხედობით იწყებ

უცხო ენაზე ლაპარაკს, როცა იცი, რომ სხვა გამოსავალი არა-  
გაქვს!“ პირველ ხანებში მისი მოლოდინი ამინდმაც არ გაამართლა.  
ისეთი აუტანელი სიტყვები იყო, რომ დიკენსს დაუძლეველი სურ-  
ვილი ებადებოდა: „სადმე მივეგდო — სულ ერთია სად, — და ასე  
ვიყო“. აქაური ცა ჰემსტედ-სიტის ცაზე უფრო ლაქვარდოვანი არ  
იყო, მაგრამ ჩრდილოეთის ზღვა სილურჯით ვერ შეედრებოდა.  
ხმელთაშუა ზღვას.

ოქტომბერში დიკენსები ალბაროდან გენუაში გადაბარგდნენ და  
იტალიის ერთ-ერთ ულამაზეს სასახლეში — პალაცო პესკიერაში  
დასახლდნენ. აქედან ქალაქისა და ნავსადგურის თვალწარმატაცი ხე-  
დი ეშლებოდათ თვალწინ. დიკენსს ხიბლავდა ეს პარკით გარემო-  
ცული სასახლე: „ულამაზესი მაღალი დარბაზი, მიქელანჯელოს სა-  
ხელის მოზიარე იტალიელი მხატვრის მიერ დახატული ფრესკები  
და კეთილსურნელოვანი ბაღები. ეს ზღაპრული სასახლე იყო“. დი-  
კენსი ხშირად დიდხანს იდგა პოლში და ტყებობდა გასაოცარი ხე-  
დით.

სასახლის ქირად კვირაში ხუთ გირვანქას იხდიდა: გამოდიოდა,  
რომ იტალიაში მეფურად ცხოვრება შეიძლებოდა იმ ფულით, რომ-  
ლითაც ღარიბი პოეტი გაქირავებით გაიტანდა თავს ინგლისში.

დიკენსებმა ოპერაში ლოქა დაიპირეს, მეგობრები და ნაცნობე-  
ბიც გაუჩნდნენ, ამინდიც გამოკეთდა. მაგრამ დიკენსი სამუშაოს  
ვერ ეკარებოდა, ენატრებოდა ლონდონი და თავს ისე გრძნობდა,  
როგორც თევზი ქვიშაზე: „არ მახსოვს, მოგწერეთ თუ არა, რა აუ-  
არებელი შადრევანია აქ? მაგრამ რა ხეირია! ისინი რომ ნექტარს  
აფრქვევდნენ, მაინც არ მომეწონებოდა ისე. როგორც ჩვენი დევონ-  
შირ-ტერასის შადრევნები“. ლონდონის ქუჩებსა და ლონდონის  
ბრბოს გარეშე დიკენსი შთაგონებას ჰკარგავდა. „დამსვით საღამოს  
8 საათზე ვატერლოოს ხიდზე, საშუალება მომეცით რამდენიც მინ-  
და ვიხეტილო და შინ მუშაობის სურვილით ანთებული დავბრუნ-  
დები. აქ კი ჩემს გულს არაფერი ეკარება. სამუშაოს ვერა და ვერ  
კვიდებ ხელს“.

ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც მწერალს განზრახული ჰქონდა  
ახალი წიგნის დაწერა ისევ საშობაო თემაზე, რათა „ღატაკების და-  
საცავად აემალლებინა ხმა“, მაგრამ ჯერ არც ერთი პქარი არ დაე-  
წერა. იცოდა, რაც უნდა დაეწერა. მაგრამ როგორ? ერთხელ მაგი-

დას უჯდა და ლამობდა, წერა დაეწყო. უეცრად ზარების საწეიმო რეკვა შეჰოესმა, მთელი გენუის ზარები ხმაურობდნენ, გუგუნებდნენ, წვრილებდნენ და ბრაზით ავსებდნენ დიკენსს, რადგან აზრებს უფანტავდნენ. მაგრამ აი, ზარების ხმაური მიწყდა. დიკენსი დამშვიდდა და მის მეხსიერებაში ფალსტაფის ფრაზა აქლერდა: „ღიახ. ერთად მოგვისმენია ზე და თქვენ შულამის ზარები, ბატონო კრუპენტელა!“ და ამ წამიდან ის უკვე მთლიანად თავისი ჩანაფიქრი „ზარებით“ იყო შეპყრობილი. მალე გუბერნატორის ჩამოსვლის გამო გენუაში რაუტი გაიმართა. დიკენსმა ინგლისის ელჩის სთხოვა, აეხსნა გუბერნატორისათვის, რომ ის ვერ დაესწრებოდა ამ ზეიმს.

— ღიადი ბარდი სად არის? — იკითხა გუბერნატორმა. — მე ღიადი ბარდის ნახვა მინდა!

— ღიადი ბარდი მუშაობს, თქვენო აღმატებულება, ის წიგნა წერს და ბოდიშს იხდის, რომ ვერ მოვა.

— ბოდიშს: იხდის? — შესიასა გუბერნატორმა. — ასეთ საქმეში ხელის შეშლას არაფრის გულისთვის არ ვიკისრებ. გთხოვთ გადასცეთ სინიორ დიკენსს, რომ ჩემი სახლის კარები მუდამ ღიაა მისთვის, როცა კი მოისურვებს პატივი დამდოს და მესტუმროს. მყუდროებას ნურავინ დაურღვევს, ჭენტლმენებო, ვიდრე არ გაიგებთ, რომ თავისუფალია!“

აი. კარგი მაგალითი იმისა, როგორ უნდა ეპყრობოდეს მმართველი ხელოვანს.

ზარების ხმაური უკვე აღარ აწუხებდა დიკენსს: „რეკონ, რამდენიც უნდათ გენუის ეკლესიებსა და მონასტრებში, მე მხოლოდ ლონდონის სამრეკლოს ვხედავ და ეს ზარებიც იქ გადავიტანე“. „ყველაფერი რიგზეა, — აცნობებდა ის ფორსტერს, — „ზარებით“ ვარ შეპყრობილი. შვიდ საათზე ვდგები, ცივ შხაპს ვიღებ, ვსაუზმობ და სამ საათამდე ვმუშაობ. ჩვეულებრივად სამზე ვამთავრებ, თუ არ წვიმს... ამ წიგნის გამო ცარცისფერი დამედო; ის-ის იყო ლოყები მიმრგვალდებოდა, მაგრამ ისევ ჩამიცივდა, თვალები გამიდიდდა, გადაიკითხეთ მესამე ნაწილის ბოლო სცენა. ვერაფრით ვერ დავეწრდი მას მეორედ: იმდენი მწუხარება და მღელვარება განვიცადე, თითქოს ეს ყველაფერი სინამდვილეში მომხდარიყოს. წიგნი მალეიქებდა ლამლამობით. გუშინ, როცა წერა დავამთავრე, იძულებული გავხდი, სახლში ჩავკეტილიყავი, რადგან სახე გამისივ-



და, ორჯერ უფრო დიდი განიხდა და წარმოუდგენლად შეუსაბამო სანახავი ვიყავი... წავალ, გავისეირნებ, რომ თავში ბერუსი გამეფანტოს. სულ მოვიშალე, ჩემ თვალწინ ყველაფერი ცურავს. დღე-ღამისთვის საკმარისია“.

4 ნოემბერს დიკენსმა მწარე ცრემლისღვრით დაამთავრა „ზარები“. „მათ ჩაეზარდა და ჩაექსოვა მთელი ჩემი გზნება და გულმიდრეკილება, — ამბობდა ის. — შემაძრწუნებელი წიგნია! „საშობაო სიმღერა“ მასთან შედარებით არაფერია“.

„ზარების“ ბედი ავტორს ისე აღლევებდა, რომ გადაწყვიტა, ლონდონში წასულიყო, კორექტურა გაესწორებინა, ილუსტრაციები შეერჩია და მოთხრობა ფორსტერისას მეგობართა ვიწრო წრეში წაეკითხა. გამგზავრების წინ მან ჩრდილოეთ იტალიის რამდენიმე ქალაქი შემოიარა: იყო პარმაში, ბოლონიაში და ვერონაში. ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, რომ რომეოს გადასახლების ადგილი — მანტუა სულ რაღაც ოციოდე მილით იყო ვერონიდან დაშორებული. მან შეიარა ვენეციაში, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყველა ქალაქებზე მეტად განაცვიფრა. „ვენეციის დიდებულება და სილამაზე აუწერელია. ასეთი ქალაქი ოპიუმის მწვეველსაც კი არ დაესიზმრება. ჯადოქარსაც არ შეუძლია უფრო დამატყვევებელი მოჩვენების შექმნა. შეუძლებელია მისი უცრემლოდ ჰვრეტა. მისი მშვენიება ენით არ გამოითქმება. წინათ არასდროს არ მინახავს ქალაქი, რომელზეც ლაპარაკისა გეშინია. მე ვგრძნობ, რომ ვენეციის აწერა შეუძლებელია“. ფუნჯი, კალამი, ფანქარი, — ყველაფერი ეს მხოლოდ უადრესად საერთო წარმოდგენას იძლევა წარმოუდგენლად მშვენიერ სინამდვილეზე“. ვენეცია სამუდამოდ ჩარჩა მას გულში. „ეს სამი დღე ზღაპარს ჰგავდა „ათას ერთი ღამიდან“, მაგრამ ათას ერთჯერ მეტად არაჩვეულებრივსა და ფანტასტიკურს.“ მილანში მასთან რამდენიმე დღით ცოლი და ცოლისდა ჩავიდნენ და ისევ გენუაში დაბრუნდნენ. მწერალი სტრასტბურგზე და პარიზზე გავლით ლონდონში გაემგზავრა.

ლონდონში ჩასვლისთანავე დიკენსი კოვეტგარდენზე მდებარე კაფე „პიაკაში“ გაეშურა, სადაც ის მაკლიზმა და ფორსტერმა ჩაიკრეს გულში. მისი საშობაო მოთხრობისათვის დამზადებული ილუსტრაციებიდან ორი არ მოეწონა. მან საუზმეზე მიიწვია ამ ილუსტრაციების ორი ავტორი, თავისი ყოვლისშემძლე მომხიბლველობა

მოიწველია და ორივე მხატვარმა უტოკმანოდ იკისრეს ახალი ილუსტრაციების დამზადება. ფორსტერისას მოთხრობის კითხვა გაიმართა; დაესწრნენ კარლეილი, მაკლიზი, სტენფილდი, მაკრიდი, ლემან ბლენჩარდი, დუგლას ჯეროლდი და კიდევ რამდენიმე კაცი. მოთხრობა მოიწონეს.

მოთხრობის წაკითხვის შემდეგ სულ მალე მაკრიდი შექსპირის პრესების სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად პარიზში ჩავიდა. ლონდონიდან გენუას მიმავალი დიკენსიც პარიზში შეჩერდა და მეგობართან რამდენიმე დღე გაატარა საფრანგეთის დედაქალაქში. მისი წასვლის შემდეგ მაკრიდის დღიურში ასეთი ჩანაწერი გაჩნდა: „ჩვენთან დღეს დიკენსი იყო სადილად. ექვსის ნახევარზე გენუაში გაემგზავრა. როგორც ჩანს, ჩემთვის ეს უკანასკნელი კარგი დღეა პარიზში“.

თავის სასახლეში დაბრუნების შემდეგ დიკენსს ისევ იტალიის უკეთეს გაცნობა მოესურვა და ცოლითურთ სამხრეთისაკენ გაემართა. რომში კარნავალს დაესწრნენ. ძველმა ქალაქმა, კოლიზეიმ და კამპანმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს მწერალზე. სამაგიეროდ, რომის თანამედროვე ნაწილი არ მოეწონა. ნეაპოლში მათ ჯორჯინა დაეწია. სამივენი ავიდნენ ვეზუვიზე და ბევრი შიში იგემეს. რომში აპრილამდე დარჩნენ, შემდეგ ისევ გენუაში დაბრუნდნენ; იქიდან შვეიცარიაში გაემართნენ. გზად ერთი კვირით ფლანდრიაში შეჩერდნენ, სადაც მაკლიზს, ფორსტერს და ჯეროლდს შეხვდნენ. საუცხოოდ გაატარეს დრო: დაუღალავად ყბედობდნენ, ღირსშესანიშნავ ადგილებს ათვალიერებდნენ და გარემოს ხარხართ იკლებდნენ.

შინ დაბრუნება ყოველთვის სასიამოვნოა, თანაც დიკენსმა ლონდონში ჩასვლისთანავე გაიგო, რომ ბრედბერი და ევანსი ბევრად უფრო დიდ ჰონორარს მისცემდნენ მას „ზარებისათვის“, ვიდრე ჩემპენისა და ჰოლისაგან მიიღო „საშობაო სიმღერისათვის“. ახლა თითქოს ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ ახალი თხზულების წერა დაეწყო, მაგრამ არა! მან სულ სხვა რამე ჩაიფიქრა! დაუყოვნებლივ შეუდგა ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემის სამზადისს. ჟურნალი ისეთივე ხალისიანი უნდა ყოფილიყო, როგორც მისი დამაარსებელი: გულთბილობის, მხიარულებისა და კეთილმოასურნეობის სულით გაჟღენთილი. ჟურნალის სახელწოდება უნდა

ყოფილიყო „კრიკინა“. მაგრამ ფორსტერმა არ მოუწონა დიკენსს ეს იდეა და ხელი ააღებინა მის განხორციელებას. სულ მალე დიკენსი უფრო დიდმა გეგმამ გაიტაცა: ახლა გაზეთის დაარსება გადაწყვიტა. გაზეთს „ტაიმსისათვის“ უნდა გაეწია მეტოქეობა, რადიკალური რეფორმებისათვის დაეჭირა მხარი და პროგრესული იდეები დაეცვა.

გაზეთს „დეილი ნიუს“ დაარქვა. ბრედბერმა და ევანსმა იკისრეს მისი გამოცემა და ნაწილობრივ დაფინანსებაც. მაგრამ საჭირო კაპიტალის დიდი ნაწილი დიკენსმა მეგობრებისაგან ისესხა და საქმეს შეუდგა. ცნობილ კრიტიკოსებს, ჟურნალისტებს, მწერლებს მიმართა და უფრო დიდი ჯამაგირები შესთავაზა, ვიდრე სხვაგან იღებდნენ. საქმე იმით გათავდა, რომ სხვა გამომცემლები იძულებული გახდნენ, ან გაედიდებინათ ჯამაგირები თავიანთი უკეთესი თანამშრომლებისათვის, ან გამოსთხოვებოდნენ მათ.

ცხადია, გაზეთების პატრონები, რედაქტორები და გამომცემლები აღშფოთდნენ. დიკენსს ცუდი სახელი გაუვარდა გაზეთების მუშაკებს შორის, რა თქმა უნდა, იმათი გამოკლებით, ვისთვისაც მისი გულუხვობა ხელსაყრელი აღმოჩნდა.

გაზეთის პირველი ნომერი 1846 წლის 21 იანვარს გამოვიდა. შიგ დაბეჭდილი იყო დიკენსის „იტალიური სურათების“ პირველი ნაწილი. მკითხველებმა რამდენიმე საათში დაიტაცეს 10.000 ცალი. გაზეთმა სხვადასხვა სიძნელების გადალახვის შემდეგ წარმატებას მიაღწია. მაგრამ დიკენსმა სამი კვირის შემდეგ მიატოვა ის.

გასაოცარია! იმ დროს, როცა დიკენსი გაზეთის გამოსაცემად ემზადებოდა და შემდეგ სცემდა მას (აქ იმდენი საქმე ჰქონდა, რომ სხვა ყელამდე ჩაეფლობოდა) — იგი არანაკლებ დატვირთული იყო თეატრში. ორი პიესა დადგა. პირველი ჯონსონისა. — 1845 წლის სექტემბერსა და ნოემბერში, მეორე ზომონტისა და ფლეტჩერისა — 1846 წლის იანვარში. ის თამაშობდა კიდევ ორივე პიესაში. მისი მეგობრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დადგმებში. ბრწყინვალედ თამაშობდა მარკ ლემონი. მაკრიდიც ეხმარებოდა, თუმცა ეს საქმე ბავშვურ წამოწყებად მიაჩნდა, რჩევასა და მითითებებს მაინც არ იშურებდა. როგორც ყოველთვის, ყველაფერს დიკენსი აკეთებდა: რეპეტიციებს ხელმძღვანელობდა, თითოეული მსახიობის მთელ შესაძლებლობას ავლენდა, ქმნიდა დეკორაციებს, კოსტიუმებს, აფი-

შეხვედრის ტექსტს წერდა, ხუროებს არიგებდა, დირიჟორს მიითითებდნენ. აქედან; ასევე აფორმებდა თეატრის შენობას, სავარძლებს ნომრავდა, მსახიობებს სცენაზე იწვევდა, ეჭიდროულად წამყვანი მსახიობიც იყო, მებუტაფორიც, რეჟისორიც და სუფლიორიც. გასაკვირია, როგორი მოთმინებით წვრთნიდა ეს ფიცხი კაცი მსახიობებს. ჯონსონის პიესა თეატრ „როიალტში“ დაიდგა და სენსაცია გამოიწვია. ორი თვის შემდეგ საჭირო შეიქნა მისი გამეორება სენჯეიმის თეატრში პრინც ალბერტისა და დიდკაცობის წინაშე. დარბაზი გაქედლი იყო. შემოსავალი საქველმოქმედო საქმეს მოხმარდა.

დიკენსი დიდკაცთა საზოგადოებას როდი ეტანებოდა მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივად გულთბილი იყო. იგი წარმოდგენებს მართავდა, გაზეთსაც რედაქტორობდა, წიგნზე მუშაობდა და თავის საამებლად სიარულში რეკორდებს ამყარებდა. ამასთანავე პოულობდა დროს სტუმრების მისაღებად. თეატრში და გაზეთში ყოველი წვრილმანი აინტერესებდა. ასევე გახლდათ ოჯახშიც.

1845 წლის შემოდგომაზე დიკენსმა გადაწყვიტა, საზღვარგარეთ წასულიყო, ახალი წიგნის წერა დაეწყო და ფული შეეგროვებინა. უკვე აღძრა მორიგი შემოქმედებითი „თრობის“ მომასწავებელი აღზნება. 1846 წლის მარტში მწერალი ლედი ბლესინგტონს სწერდა: „სად და სად არ დავგნებები ლამეები, — ხომ იცით, რა მემართება ასეთ დღეებში: მყუდროება მწყურია და ვერ ვპოულობ, ვერ ვისვენებ“. მართლაც, დიკენსი გრძნობდა, რომ მყუდროება და დასვენება სჭირდებოდა, მაგრამ როცა ამის რეალური საშუალება ეძლეოდა, სულიერი სიმშვიდე ეკარგებოდა და დასვენებაზე ფიქრით არ სურდა.

ცოლ-ქმარს საუკეთესო მოგონებები დარჩენოდათ შვეიცარიაში პირველი მოგზაურობიდან. ახლაც შეთანხმდნენ, ექვსი თვე ჟენევის ტბის პირად გაეტარებინათ და 1846 წლის 1 ივნისს რეინის ქვედა დინებას გაჰყვნენ ისევ ლუი როშის თანხლებით. ქალაქ მაინცში დარწმუნდნენ, რომ გერმანიაში დიკენსის თხზულებებს ფართო მასები იცნობდნენ. ბაზელიდან ლოზანაში გაემართნენ. იქ ჯერ სასტუმრო „უიბონში“ გაჩერდნენ, შემდეგ მშვენიერი ვილა იქირავეს ტბის პირას მდებარე ბორცვზე. ფანჯრებიდან საუცხოო ხედი იშლებოდა.

დოკენსს მალე გაეჩინდა ნაცნობაა წრე ადგილობრივი ინტელი-  
გენციიდან. ვინ არ ჩადიოდა მასთან: ტალფურები, ჰარისონ აინს-  
ვორტი, ახლად დაქორწინებული თომპსონები. ჩავიდა მათთან თე-  
ნისონიც, რომლითაც დოკენსი მუდამ აღტაცებული იყო. დოკენსი  
გულმოდგინედ მეცადინეობდა ფრანგულ ენაში და მალე თავისუფ-  
ლად შეეძლო ამ ენაზე ლაპარაკი — ოღონდ ინგლისური აქცენტით.  
ჩვეულებისამებრ დაუღალავად გადიოდა ყოველდღე თხუთმეტ  
მილს, უფრო ხშირად — საღამოობით, მუშაობის შემდეგ. ზაფხუ-  
ლის მიწურულში ცოლი და ჯორჯინა სენ-ბერნარის უღელტეხილ-  
ზე წაიყვანა. „მონ-ბლანმა, შამონის ველმა, მერ-დე-გლასმა და სა-  
ერთოდ ამ სასწაულებრივი კუთხის ყველა სასწაულმა ყველა მო-  
ლოდინს გადააჰარბა. უფრო გრანდიოზული და დიდებული ვერა-  
ფერი წარმომიდგენია. შთაბეჭდილებებით აღსავსე ვარ. ისინი თუხ-  
თუხებენ ჩემში. მაგიეებს იმის ფიქრი, რა შეიძლება დაიწეროს  
ამაზე“.

თავის ახალ თხზულებას — „დომბი და შვილს“ იენისის დამ-  
ლევს მოჰყიდა ხელი მწერალმა, მაგრამ მისთვის ჩვეული სწრაფი  
ტემპით ვერ წერდა. ხელს უშლიდა შემამფოთებელი ფიქრი, რომ  
რომანთან ერთად საშობაო მოთხრობა უნდა დაემზადებინა. გარდა  
ამისა, მას ძლიერ აკლდა ლონდონის ქუჩები, დამის ლონდონის  
ხალხით გაჭედილი ქუჩები. „ვერ გამომიტყვამს, როგორ მაკლია,  
როგორ საჭიროა ჩემთვის ისინი. გონებას თითქოს მუშაობისათვის  
აუცილებელ რაღაცას აძლევენ ეს ქუჩები“. მისი გამომგონებლობა  
მაინც დაუშრეტელი იყო და ძლივს იოკებდა თავს, რომ „ფანტას-  
ტიკური გამონაგონით არ გაეხალისებინა ვული“. ზოგი ნაწიკიტი  
ისეთი სასაცილო გამოუდიოდა და ისე ახარხარებდა თვითონ მას,  
რომ თვალები ცრემლებით ენისლებოდა და წერაში ხელი ეშლებო-  
და. სექტემბერში დროებით გადადო „დომბი“ და საშობაო მოთხ-  
რობის წერა დაიწყო. მესამედი რომ დაწერა, უეცრად შეკრთა:  
„დომბი“ არ დაზიანდეს. სხვა წიგნს რომ ამდენ ენერჯიას ეუთმო-  
ბო. შეშფოთდა. სულის მოსათქმელად ენენევაში გაქანდა იმ იმე-  
დით, რომ ახალი გარემო გაუადვილებდა სწორი გადაწყვეტილების  
მიღებას. მართლაც. იქ მოიკეთა, ისევ იგრძნო. რომ ორივე წიგნის  
დაძლევის შეძლებდა. ლონდონში დაბრუნდა და საშობაო მოთხრობა  
მალე დაამთავრა. დაამზადა „დომბის“ ახალი ნაწილი. ისევ ენენევა-

ში წავიდა და იქ კიდევ დაამზადა ერთი გამოშვება, რომელიც აღ-  
რინდელი ბავშვობის მოგონებებს შეიცავდა. „იმედი მაქვს, მისის  
პაპინის დაწესებულება მოგეწონებათ. ის უხოვრებიდანაა აღებუ-  
ლი. მე თვითონ ნამყოფი ვარ ამ დაწესებულებაში — მაშინ, მგონი  
რვა წლისაც არ ვიყავი. ძალიან კარგად მახსოვს იგი. ჩემი ცხოვრე-  
ბის ეს პატარა მონაკვეთი შენვევაში მომაგონდა,“ — სწერდა ის ერთ  
მეგობარს.

„დომბის და შვილის“ პირველი გამოშვება 1846 წლის ოქტომ-  
ბერში დაიბეჭდა და ავტორის სასიხარულოდ, უდიდესი წარმატება  
ერგო წილად. თორმეტი ათასი ცალით მეტი გაიყიდა, ვიდრე „მარ-  
ტინ ჩეზლვიტი“. გამოშვებები ყოველთვის ურად იბეჭდებოდა 1848  
წლის აპრილამდე. თვითონ დიკენსის აზრი „დომბიზე“ ასეთი იყო:  
„დომბიზე“ დიდ იმედებს ვამყარებ, მჯერა, რომ მას დიდხანს დაიხ-  
სომებენ... თავიდანვე მთელ ძალ-ღონეს არ ვიშურებდი მისთვის—  
და... რა უცნაურად ვგრძნობ თავს ახლა, როცა მას გამოვეთხოვე“.

ლოზანიდან დიკენსი ოჯახითურთ პარიზში ჩავიდა. იქ ერთი თვე  
გაატარა, ხოლო 15 დეკემბერს ლონდონში გაჩნდა. აქ ამ დროს მის  
„საშობაო მოთხრობას“, გადაკეთებულს პიესად, დასადგამად ამზა-  
დებდნენ. დიკენსმა აღმოაჩინა, რომ შემსრულებელთა უმრავლე-  
სობას არ ესმოდა რაზე იყო პიესაში ლაპარაკი და როგორ ეთამა-  
შათ. უმაღლვე დანიშნა პიესის კითხვა ფორსტერის ბინაზე. დადგმა  
დიდი წარმატებით ჩატარდა. თეატრი ღმუროდა, ავტორს სცენაზე  
იწვევდნენ. სპექტაკლის შემდეგ დიკენსი პარიზში დაბრუნდა. წასვ-  
ლის წინ გაიგო, რომ ლონდონში მისი პიესის ოცდასამი ათასი ცა-  
ლი გაყიდულიყო პირველსავე დღეს.

მაგრამ ძველი მტერი — გაზეთი „ტიმსი“ არ ცხრებოდა: დი-  
კენსი წააწყდა „ტიმსში“ ვილაციის საზიზღარ წერილს თავის პიესა-  
ზე. წერილის ავტორი გამოთქვამდა აზრს, დიკენსის წყალობით  
წიგნის ბაზარი ყოველ წელიწადს „მაკულატურით“ ივსებაო. მაკუ-  
ლატურად ცხადდებოდა საშობაო მოთხრობები, ეს წიგნი უეჭვე-  
ლად ყველაზე უნიკოა მის უკანასკნელ წიგნებშიო, — ამბობდა კრი-  
ტიკოსი, — „აქ თვითმყოზადობის, ცხოვრებისეული სიმართლის,  
ბუნებრიობისა და სილამაზის ნიშანწყალი არ არის. ფრთხილად უნ-  
და იყოს და თავისი შეცდომები აღარ გაიმეოროს“, — არიგებდა  
მწერალს წერილის ავტორი. ამ წერილის გამო დიკენსი სწერდა მე-

გობარს: „შეუდარებელი“ ძლიერ დაღონებულია. ძლივს მუშაობს. მთელი ღამე „ტაიმსები“ ესიზმრებოდა. ფიქრობს, ზელანდიაში წავიდეს და იქ გამოსცეს ყურნალი...“ მაგრამ მძიმე სულიერი განწყობილება სულ მალე დასძლია და მთლიანად მიეცა რომანის მორიგი გამოშვების მზადებას.

1847 წლის 14 იანვარს, საღამოს 10 საათზე რომანი პოლ დომინის სიკვდილით დამთავრდა. „რადგან დაძინების იმედი გამორიცხული იყო“, მწერალი ბინიდან გავიდა და დილაშუალოდ პარიზის ქუჩებში დაეხეტებოდა. პატარა პოლის სიკვდილმა ინგლისელი მკითხველები შეაძრწუნა ისევე, როგორც პატარა ნელის სიკვდილმა, ხოლო ამერიკელებს აფიქრებინა, „მარტინ ჩეზლვიტი“ დიკენსის გონების დროებით დაბნელება იყო. პარიზი, თუ დიკენსს დავუჯერებთ, გაოცდა. თეკერეი, რომელმაც ის-ის იყო დაბეჭდა თავისი „ამაოების ბაზრის“ მეორე გამოშვება, ყვირილით შეიქრა „პანჩის“ გამომცემლობაში: „ამის შესადარი ჩამის დაწერა შეუძლებელია. ნურავის ექნება იმედი! ეს გრანდიოზულია!“ ჯეფრი კი სწერდა ავტორს: „საყვარელო, საყვარელო ჩემო დიკენს!.. როგორ დავტიროდი გუშინ და დღესაც შენს პოლს! როგორ ვზღუქუნებდი! ვგრძნობდი, რომ ეს ცრემლები სულს მიფაქიზებდა და გლოცავდით, და მიყვარდით იმისათვის, რომ ის ცრემლები თქვენ დამალვრევინეთ. თქვენდამი მოკრძალება და სიყვარული მუდამ განუზომელი იქნება“. ყოველივე ამან საბოლოოდ დაავიწყა დიკენსს „ტაიმსი“.

დიკენსებმა პარიზი დატოვეს იმის გამო, რომ მათი უფროსი შვილი ქუნთრუშით გამხდარიყო ავად. ამ ცნობის მიღებისთანავე დიკენსი და მისი მეუღლე ლონდონში ჩავიდნენ. მათ მიჰყვნენ ჯორჯინა და დანარჩენი ბავშვები:

მარტიდან ივნისამდე შინ დარჩნენ. საზაფხულოდ ოჯახი ბროდსტერში წავიდა.

რისთვის დასჭირდათ დიკენსს და მის ჯგუფს წარმოდგენების გამართვა? მიზეზს ბევრს ასახელებდნენ, გარდა ერთადერთი სწორისა: დიკენსს სცენაზე თამაში სწადდა და ეს სურვილი სხვებსაც ედებოდა. რათა თავისი თეატრალური მოღვაწეობა განეახლებინა, დიკენსმა 1847 წელს პირველ მონერხებულ საბაბს ჩასჭიდა ხელი: ლი ჰანტს დახმარება სჭირდებოდა, მაგრამ. გამოაცხადეს თუ არა მსახიობებმა თავიანთი განზრახვა, მთავრობამ ჰანტს პენსია დაუნიშნა. დიკენსი და მისი მსახიობები ახალი საბაბის ძებნას შეუდგნენ. და ისევ ჰანტი გამოადგა მათ. გამოიჩინა, რომ იგი ყელამდე ვალებში იყო. აქვე მეორე მწერალი გამოჩნდა, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა. ეს ჯონ პული იყო. ისიც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. დასი ივნისში მანჩესტერში ჩავიდა, რათა ისევ ბენ ჯონსონის პიესა დაედგა. დიკენსი კვლავ თავის სტიქიაში მოექცა. „მე ხშირად ვფიქრობდი, რომ სცენაზე ნაკლები წარმატება არ მექნებოდა, ვიდრე მწერლობაში“, — თქვა ერთხელ. მაგრამ ის მხოლოდ მსახიობი როდი იყო. დამდგმელიც გახლდათ და ისეთი მოთმინებით ამეცადინებდა თავის დასს, რომ თვით იობსაც შეშურდებოდა. მსახიობებს ხმის დაყენების გაკვეთილებს უტარებდა, ასწავლიდა სცენაზე თავის დაჰერას, ურჩევდა, როგორ ევარჯიშებინათ მესხიერება; როცა მსახიობები ნერვიულობდნენ, მათ თავიანთი თავის რწმენას უნერგავდა; ზედმეტად თავდაჯერებულს თავის თავი-

<sup>1</sup>CD და DC—ე. ი. ჩარლზ დიკენსი და დევიდ კოპერფილდი. ინგლისურად სიტყვები ჩარლზი და კოპერფილდი იწყება C-თი.



სადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას ასწავლიდა; როცა მსახიობები ეუბნებოდნენ, „პრემიერაზე ყველაფერი რიგზე იქნებაო“, დიკენსი აღწევდა იმას, რომ რეპეტიციასზევე იყო ყველაფერი რიგზე. უხეირო მიმოხრა, ნაძალადევი ინტონაცია, არაბუნებრივი ქესტი — მის ყურადღებას არაფერი გამოეპარებოდა. თავის დასს საათობით წვრთნიდა. რეპეტიციის შემდეგ ყველა ღონემიხდილი იყო მის გარდა. მეორე დღეს კი ცოცხლად, მხნედ წამოხტებოდა და თავისი შძიმე, დამქანცავი და ნერვული მუშაობისათვის ისევ მზად იყო.

1848 წელს დიკენსმა გაიგო, რომ დრამატურგი შერიდან ნოულსი, რომლის პიესები თავის დროზე ალტაცების ქარიშხალს იწვევდა, ძლიერ ხელმოკლედ იყო. ამავე დროს ლონდონში სახსრების შეკრება დაიწყეს შექსპირის სახლის შესასყიდად. ეს სახლი სტრეტფორდში იდგა. შიგ მუზეუმი უნდა გაეხსნათ. დიკენსი ჩაეჭიდა ამ საბაბს, განიზრახა პიესა დაედგა, მოგებული ფულით მუზეუმის მკველის თანამდებობა დაეწესებინა და ამ თანამდებობაზე ნოულსი მიეწვია. მაგრამ მისმა საქებარმა განზრახვამ ისევ მარცხი განიცადა. სტრეტფორდის ხელისუფლებამ სახლის მოვლა-შენახვა თვითონ იკისრა და მომვლელიც თავის ნება-სურვილით დანიშნა. მაგრამ დიკენსი როდი ცხრებოდა: 1848 წლის მაისში, ივნისსა და ივლისში მან თავისი დასის ძალებით წარმოდგენების მთელი რიგი გამართა ლონდონში, ბირმინჰემში, ედინბურგში, გლაზგოში, მანჩესტერში, ლივერპულში და მოგების დიდი ნაწილი შერიდან ნოულსს გადასცა. ამჯერად დიკენსის დასმა „უინძორელი მქირდავი ქალები“ დადგა. ფალსტაფის როლს მარკ ლემონი ასრულებდა, ხოლო შელოუს — დიკენსი. ეს პიესა ორჯერ დადგეს ლონდონის თეატრ „ჰეიმარკეტში“. ერთ-ერთ წარმოდგენას დედოფალი ვიქტორია და პრინცი ალბერტი დაესწრნენ. ყოველი წარმოდგენა ვოდევილით ბოლოვდებოდა. შემდეგ მსახიობებისათვის ვახშამი იმართებოდა. დიკენსი, რომელზეც მსახიობის, დამდგმელისა და მრავალი სხვა საზრუნავი ისე მოქმედებდა, როგორც გამამხნევებელი შხაპი, მასპინძლის როლს ასრულებდა, და ისე ასრულებდა, რომ სუფრაზე თავიდან ბოლომდე შმაგი მხიარულება სუფევდა. ასეთი წამოწყებები ჰაერით საკირო იყო დიკენსისათვის, უმისოდ მას მოწყენილობა იპყრობდა და ყოველდღიურობის ერთფეროვნებას უჩიოდა. მთელი ჩემი ენერჯია ამოწურულია და ძლიერ უბედურად

ვგრძნობ თავს, — სწერდა ის ქალბატონ კლარკს, რომელიც მისი კვიკლის როლს ასრულებდა. — შინაური კერა მძაგს. ხეტიალის სურვილი გულს მიწყალებს... ტილოს კარვის შემდეგ, რომელშიც ასე ბედნიერად ვგრძნობდი თავს, ნამდვილი სახლი აუტანლად მეჩვენება“. და კიდევ: „სრულიად გამოვყვეყნდი და გამოვიფიტე. საშინლად მწყურია მღელვარება და საზრუნავი. ნუთუ არავინ არ მოიგონებს ისეთ რამეს, რომ ჩემი გული აჩქარებით აძგერდეს, თმა კი ყალყზე დადგეს? მოგონებები! ოჰ, ეს მოგონებები?“ ის ოცნებობდა იმაზე, რომ სულ ემოგზაურა და სცენაზე ეთამაშა. ეთამაშა ყველგან, რადგან „ქვეყანაზე ვერაფერი ვერ შეედრება იმ წუთებს, როცა შენ წინაშე მთელი თეატრი გაბრწყინებული სახეების ზღვად აღგაფუძნდება, ფეხზე დგება და ტაშის ტალღად მოქრის“. სიცოცხლის ბოლო ხანებში ის გამოტყდა, რომ მუდამ სწყუროდა, მსახიობი გამხდარიყო, „დიდი, ერთადერთი მსახიობი — საზოგადოების კერპი“.

1849-1850 წლებში მწერალი დაკავებული იყო აუარება საქმეებით. სამაგიეროდ, 1850 წლის ნოემბრიდან 1852 წლის ნოემბრამდე მისი მიდრეკილება მოხეტიალე ცხოვრებისადმი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ იქნა. საქმე ის გახლდათ, რომ ბულვერ-ლიტონს უნდოდა თავისი ოლქის ამომრჩევლების ხმები თავისთვის უზრუნველყო. განიზრახა ამომრჩევლებისათვის ნეივორტში ჯონსონის პიესა ეჩვენებინა დიკენსისა და მისი დასის დადგმით. არ ვიცი, როგორ შეხვდნენ ამ დადგმას ამომრჩევლები, მაგრამ დიკენსმა კი ძლიერ გაიხარა. ის უთუოდ ტორებისთვისაც არ დაიშურებდა ხმას, ოღონდ კი სპექტაკლი გაემართა. დადგმას მისთვის ჩვეული გატაცებით შეუდგა და სულ მალე სპექტაკლის ყველა ძაფი ხელში ეჭირა. „ჩემი აზრით, რაკი ასეთ რამეს წამოიწყებ, ყველაფერს ერთად უნდა მოჰკიდო ხელი. ეს მძლავრ წარმობასავითაა, რომელსაც სული და გული უნდა უძღვნა“, — სწერდა ის ლიტონს. სულ მალე ერთ-ერთ რეპეტიციაზე ქეთიმ ფეხი იტკინა. როგორც კი ეჭიმმა თქვა, ქეთი წარმოდგენაში მონაწილეობას ვერ შესძლებსო, დიკენსმა მისი როლი ჯორჯინას გადასცა. „ეჰ, სერ, — უთბრა მას რეპეტიციის დროს თეატრის მთავარმა ხურომ, — თეატრში ყველანი ფიქრობენ. რომ ხალხმა ძლიერ წააგო, თქვენ რომ წიგნების წერა დაიწყეთ“.

1850 წლის ნოემბერში ჯონსონის კომედია სამჯერ დაიდგა ნეი-  
ვორტში, ხოლო იანვარში დიკენსი უოტსონებს ეწვია როკინჰემის  
სასახლეში. იქ სცენისმოყვარეთა ახალი დასყ დაიცნო, შეამოწმა  
მისი მონაცემები და სტუმრებისა და მსახურებისათვის ორი პატა-  
რა პიესა დადგა.

ნეივორტში მან ლიტონს გაუზიარა პროექტი, რომელმაც უახ-  
ლოეს ორ წელიწადში აუარება სიხარული და საზრუნავი არგუნა.  
ორივენი — დიკენსიც და ლიტონიც თვლიდნენ, რომ ხელმოკლე  
მწერლებისა და მხატვრების დამხმარე ფონდის შექმნა იყო საჭი-  
რო. რადგან უიღბლოთა დამხმარება წარმატებულთა მოვალეობაა,  
მეგობრებმა გადაწყვიტეს, სახელოები დაეკაპიწებინათ და დაუყო-  
ნებლივ შესდგომოდნენ საქმეს. შემდეგ ამ გილდიას „ლიტერატუ-  
რისა და ხელოვნების გილდია“ ეწოდა. ლიტონმა გილდიას მიწის  
ნაკვეთი შესწირა ნეივორტის მახლობლად. თან შეჰპირდა, დაწერ  
კომედიას, რომელსაც დიკენსი და მისი მეგობრები ყველგან დად-  
გამენო. შემოსავალი მონხმარდებოდა სახლების აგებას ნეივორტის  
ყოფილ ნაკვეთზე. ორივენი ფიქრობდნენ, საქმის წარმატებისათვის  
საჭიროა, პირველ წარმოდგენას დედოფალი და პრინცი ალბერტი  
დაესწრონო. დიკენსმა დევონშირის ჰერცოგს მიმართა თხოვნით,  
წარმოდგენისათვის სახლი დაეთმო ლონდონში... „ჩემი დამხმარება,  
ჩემი სახლი და ჩემი სახელი თქვენს განკარგულებაშია“, — მაშინვე  
გამოეხმაურა ჰერცოგი. ის მართლაც ეხმარებოდა დიკენსს, რითაც  
კი შეეძლო, უკანასკნელი თანდათან დიდი სიმპათიით გაიმსჭვალა  
მისადმი. თავისი ჩვეულებრივი წესის წინააღმდეგ, კიდევ ესტუმრა  
ჰერცოგს ჩეტსვორტში. დედოფალმა და პრინცმა ალბერტმა სპექ-  
ტაკლზე დასწრება აღუთქვეს. 1851 წლის მარტში დიკენსი უკვე  
პიესის „არც ისე ცუდები ვართ, როგორც გგონივართ!“ რეპეტიცი-  
ებს ატარებდა. ქარიშხალივით მიქროდა ხუროებისაგან — დეკორ-  
ატორ მხატვრებთან. მკერავებისაგან — მექანიკოსებთან, პარიკმახე-  
რებისაგან — გამნათებლებთან და აგზნებული ემზადებოდა სპექ-  
ტაკლისათვის. „მთელი საათობით ვდგავარ სცენაზე და ფეხები ისე  
მიშუბდება, რომ წინდების გახდა მიჭირს“... — ამბობდა ის... „ისე  
კარგად ვისწავლე ყველა როლი. ჩემი საკუთარი მავიწყდება“.  
სპექტაკლი 1851 წლის 16 მაისს დაიდგა დევონშირ-ჰაუსში. შეიკ-  
რიბა არისტოკრატიული საზოგადოება, ბილეთში თითოეულმა დამ-

სწრემ ხუთი გინეი გადაიხადა. ძნელი სათქმელია ვისი ნახვა უფრო სურდათ მათ: — დედოფალ ვიქტორიასი, თუ დიკენსისა. შემდეგ რამდენიმე წარმოდგენა ჰანოვერ-სკვერ-რუმსში გაიმართა, შემოდგომაზე კი დანმა მრავალი პროვინციული ქალაქი მოიარა. მოგზაურობა 1852 წელსაც გაგრძელდა. პირველი წარმოდგენის შემდეგ პროგრამას ჩაემატა მარკ ლემონის ვოდვეილი „მისტერ ნაიტინჰეილის დღიური“. დიკენსი მასში ექვს როლს ასრულებდა: ადვოკატის, ლაქის, ქვეითი მგზავრის, ჰიპოქონდრიკის, მოხუცი მანდილოსნისა და მნათესი.

რა თქმა უნდა, სწორედ ვოდვეილში შეეძლო დიკენსს ფრთების გაშლა. როგორც უკვე ვთქვით, ის სახასიათო როლებისათვის იყო ზედგამოჭრილი. ცხოვრებაშიც დიდხანს ერთსა და იმავე ხასიათზე ყოფნა არ სჩვეოდა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. სკენაზე( ) ასევე ხდებოდა. განცხრომაში იყო, როცა რამდენიმე წუთში ხუთ-ექვს სხვადასხვა როლს ასრულებდა. სწორედ მსახიობი — ტრანსფორმატორი იყო: სამაჩეებს შეიკეცავდა ან საყელოს აიწვევდა და თვალის დახამხამებაში გარდაიქმნებოდა. აგერ რომ საოცარ რაღაცად წარუდგებოდა მაყურებელს, მეორე წუთში ფრაკის კალთებს ბეჭებზე გადაიდგებდა და ელვის სისწრაფით სხვა არსებად გადაიქცეოდა. უტყუარი, მახვილი თვალი, მკვირცხლი მოსაზრება და მიმოხრა, მიმიკის ათასგვარად შეცვლა; მოქნილი ხმა — ყოველივე ეს არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი და ცოცხალი სურათების შექმნას უწყობდა ხელს. კარგი იყო დიკენსი ჯონსონის ბობადილის როლში, კიდევ უკეთესი — შელოუს როლში „უინძორელ მქირდავ ქალებში“. უნდა გენახათ ეს გაშეშებული სხეული, ეს აცახცახებული თავი, ეს კანკალით სიარული, უნდა გაგეგონათ მისი ჩიფჩიფი! ყოველი მოძრაობა, ყოველი ნოტა მოხუცებულობით სუნთქავდა, მოხუცებულობის არმიმღები მოხუცებულობით! ეს ვითომ ენერგიული ჟესტები, ეს არაბუნებრივი აღფრთოვანება, ეს ღირსეულად თავის დაჭერის უბადრუკი ცდები! მთლად დიდებული იყო დიკენსი „მისტერ ნაიტინჰეილის დღიურში“. ისე სწრაფად იცვლიდა ხმას, სახის გამომეტყველებას, მანერებს, ჩაცმულობას, მთელ იერს, რომ მაყურებლებს არ სჯეროდათ, თუ როლების უმრავლესობას დიკენსი ასრულებდა. მაგრამ „გმირების“ როლები მას არ ეხერხებოდა. წამიერი წარმოსახვის დიდი ოსტატი გახლდათ,

ზოლო როცა საჭირო იყო პორტრეტის თანდათან შექმნა, ფარხმალს ყრიდა.

დიკენსის ეს თავის თავის „სხვა ვინმედ გარდაქმნის“ მწვავე მოთხოვნილება გვაიძულებს, დავაკვირდეთ, როგორილა იყო ის თვითონ. უმაღლეს მისი მთავარი განმასხვავებელი თვისება მოგვჩვენება თვალში. ეს არის მგზნებარე ენერგია. რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს მთელი თავისი არსებით ეძლეოდა, იქნებოდა ეს სამუშაო, დროსტარება, სიმპათია თუ ანტიპათია, მეგობრობა, სიყვარული, დაინტერესება, ალტაცება თუ გულისწყრომა. „ყველაფერს, რასაც გენიოსი აკეთებს, კარგად აკეთებს, — უთხრა მან ერთხელ ერთი გაზეთის კორესპონდენტს. — ის კი, ვინც ყველაფერს ჰკიდებს ხელს, მაგრამ ბოლომდე არაფერს მიიტანს, გენიოსი არაა, დამიჯერეთ“. ერთ კაცს, რომელიც მწერლად გახდომას ეძნებოდა, მან ურჩია: „ამ საქმიანობისათვის იმდენი მოთმინება უნდა იქონიოთ, რამდენიც ქვეყანაზე არსებულ ერთად აღებულ პროფესიებისათვის დაგჭირდებათ!“ თუ იმის მიხედვით განვსჯით, რომ ხშირად ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა, შეიძლება ვიფიქროთ, დიკენსი მერყევი და არასანდო ადამიანი იყო. მაგრამ წრეგადასული ემოციურობა მასში მტკიცე ნებისყოფას უთავსდებოდა. ეს კი სიმშვიდისა და მიზანსწრაფვის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. ამის საუკეთესო მაჩვენებელია — მისი ურთიერთობა მეგობრებთან. ასეთ მოუსვენარ და თვითნება ადამიანთან მეგობრობა არც ისე უბრალო საქმეა და ზოგჯერ ამა თუ იმ მეგობრობას თითქოს ბოლო უნდა მოეღებოდა, მაგრამ მას არც ერთი მეგობარი არ დაუქარგავს სამუდამოდ. განსაკუთრებით სიყრმის მეგობრების: ბირდის, მიტონისა და სხვების ერთგული იყო. ერთხელ თქვა: „ჩვევად მაქვს, ძლიერ თბილად მოვექცე მათ, ვისაც ნაკლებად ბედნიერ დროს ვიცნობდი“.

მისი ამ თავისებურებების საუკეთესო ილუსტრაცია ფორსტერთან ურთიერთობაა. ფორსტერის მბრძანებლურ, მესაკუთრულ მანერებს უეჭველად უნდა გამოეწვია პროტესტი ისეთი ცხარე და დამოუკიდებელი ადამიანისა, როგორიც დიკენსი იყო. მაგალითად, მაკრიდი წერს, რომ მან „სამწუხაროდ, მოისმინა, რაოდენ თავშეუკავებლად, შეუფერებლად ელაპარაკებოდნენ ისინი ერთმანეთს“. მაშინ ხომ ხუთი წელი იყო გასული იმ „ფრიად სამძიმო სცენის“

შემდეგ, რომელზეც მსახიობი 1840 წლის აგვისტოში წერდა. 1845 წლის ბოლოს მეგობრებს შორის, როგორც ჩანს, უსიამოვნება ისევ გრძელდებოდა. ფორსტერი მაკრიდის შესჩიოდა, მჩაგრავენო და ამბობდა: „დიკენსი ისე დარწმუნებულია თავისი აზრების უცოდველობაში, ისე აღტაცებულია თავისი თხზულებებით, რომ მისთვის ყოველი რჩევა ამაოა. მან დასძინა, დიკენსი ყურს არ ათხოვებს კრიტიკას, მისი მიკერძოებული დამოკიდებულება საკუთარი შემოქმედებისადმი თანდათან გაძლიერდება, ვიდრე განუკუთრებელ ბოროტებად არ იქცევაო. ორი წლის შემდეგ ფორსტერი სწერდა მაკრიდის, ჩემსა და დიკენსის მეგობრობას უთუოდ მალე ბოლო მოეღებო. და მაინც მიუხედავად ამისა, რომ ფორსტერის დესპოტიზმს, მის სიყვარულს ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებისადმი, მის მედიდურობას არაერთხელ დაუკარგვინებია დიკენსისათვის მოთმინება, ისინი ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. თუმცა როცა ფორსტერი დაოჯახდა, ხოლო დიკენსმა უფრო შესაფერი მეგობარი აღმოაჩინა, მათ საკმაოდ გაუცივდათ გული ერთმანეთზე.

მტკიცება, რომ მის შემოქმედებაზე დაწერილი კრიტიკული წერილების კითხვა დიკენსს არ სურდა, მწერლის ხასიათის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მხარეს ეხება. ამიტომ საყურადღებოა აზრი, რომ იგი საკუთარი თხზულებებით აღტაცებული იყო. რაც უფრო თავდაჯერებულია ადამიანი, მით უფრო ნაკლებად პატივმოყვარეა ის, რადგან თავდაჯერებულობა საკუთარი ღირსებების გაზვიადებულ წარმოდგენას ემყარება, ხოლო პატივმოყვარეობა — სხვათა შეხედულებას. ნამდვილად თვითდაჯერებული მწერალი თავისი თხზულების მკაცრ კრიტიკას ღიმილით წაიკითხავს: მახლობლებისა თუ გარეშეებისაგან გაკიცხვა ვერ ახდენს გავლენას მის დამოკიდებულებაზე საკუთარი ნაშრომისადმი. პატივმოყვარე ადამიანი, პირიქით, გესლიანი კრიტიკის გამო ჭიაყელასავით იკლავება, ღამეებს უძილოდ ათენებს და ამაოდ ცდილობს დარწმუნდეს, თავს შურის გამო მესხმინაო. დიკენსი პატივმოყვარე და აღიარებას მოწყურებული იყო. „ჩემს არსებაში რალაც ეშმაკი ზის და ძლიერ მტკივნეულად შემახსენებს თავის თავს, — წერდა ის 1843 წელს. — როცა მეჩვენება, რომ უსამართლოდ მკიცხავენ, ბრაზი მახრჩობს, მაგრამ ესვე მიაღვილებს უსამართლობის გადატანას. შემდეგ კი ჩვეულებრივად ყველაფერი მავიწყდება. როცა დამწყები მწერალი ვი-

ყავი და რეცენზიებს კვათხულობდი, ვიტანჯებდრი. ამიტომაც სა-  
ზეიმო ფიცი დავდე, არც ერთს აღარ წავიკითხავ-მეთქი“.

დიკენსი მთელი არსებით ეძლეოდა სამუშაოს. მისი ქმნილებები  
მისთვის ნამდვილ ადამიანებზე უფრო ცოცხლები იყო. რა თქმა უნ-  
და, არ შეიძლება ითქვას, რომ სათანადოდ ვერ აფასებდა თავის  
წიგნებს, მაგრამ ყოველთვის ესმოდა: სხვებისათვის ისინი ისე ძვირ-  
ფასი არ იყო, როგორც მისთვის. ამიტომ მწერლობაში ღიდი ადგი-  
ლის პრეტენზია არ ჰქონდა და იშვიათად ლაპარაკობდა თავის  
თხზულებებზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ თაყვანისცემას,  
რომლითაც გარემოცული იყო ანაღზარდობიდან სიკვდილამდე,  
უნდა გვიკვირდეს, სულ რომ არ აებნა თავგზა და თავისი მიღწევე-  
ბის საღად შეფასების უნარი არ დაეკარგა. ფორსტერი მართალი  
იქნებოდა, რომ ეთქვა, დიკენსს თავისი ქმნილებები ნაზად უყვარ-  
სო. მაგრამ ის შეგნებულად ცრუობდა, როცა მაკრიდის უთხრა, დი-  
კენსი არავის აზრს ანგარიშს არ უწევსო. დიკენსი მეგობრების რჩე-  
ვას მუდამ ანგარიშს უწევდა. „ღიდი იმედების“ დასასრული კიდევ  
გაათუქა, სხვისი რჩევა რომ ყურად იღო. ფორსტერისადმი მიწერი-  
ლი ათეულობით წერილებიც მოწმობენ, რომ, ვიდრე ისინი ახლო  
მეგობრები იყვნენ, დიკენსი თავისი თხზულებების თაობაზე ეთათ-  
ბირებოდა ფორსტერს და ხშირად იღებდა კიდევ მის რჩევას. ძა-  
ლიან მოსწონდა კარლეილი, ტენისონი, ბრაუნინგი, ვაშინგტონ ირ-  
ვინგი, ჰანს ანდერსენი და კიდევ ორი-სამი მწერალი და არ უფა-  
რავდა ამას არც მათ, არც თავის მეგობრებს. თავისი ზოგიერთი თა-  
ნამედროვე მწერლის თაყვანისცემა და აგრეთვე ის, რომ თანამო-  
კალმეებისადმი შური მისთვის აბსოლუტურად უცხო იყო, მიმ-  
ზიდველს ხდიდა დიკენსის პიროვნებას.

ძლიერი ნებისყოფა, რომლითაც გამსჭვალული იყო მთელი მისი  
არსება, და რომელიც მიმართულებას აძლევდა მის ნიქს, ზოგჯერ  
სიმკაცრესა და ეგოიზმში ვლინდებოდა. მასში განებივრებული ბავ-  
შვი იგრძნობოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში სრულიად  
არ ანებივრებდნენ. „ვიცი, რომ ხშირად ფიცხი და თვითნება  
ვარ“. — აღიარებდა ის. ექვს გარეშეა, თავისი გარემო მთლად და-  
მორჩილებული ჰყავდა. თავის სურვილებს ახვევდა თავს, ხელ-  
მძღვანელობდა და განაგებდა. ოჯახშიც ყველაფერი მის გემოვნე-  
ბასა და სურვილებს ემორჩილებოდა. სადილები მისი ბრძანებისა-

მებრ იმართებოდა, ბინაც მისი მითითებებისამებრ იყო მორთული; ყოველგვარი მოგზაურობა—გასართობი თუ საქმიანი — მისი ნებასურვილით ეწყობოდა. მის დესპოტურ მიდრეკილებებს დიდად უწყობდა ხელს მისი მეუღლე, უსიტყვო და უპასუხისმგებლო ქალი. დიკენსი ბუნებით კეთილი, „კეთილმოსურნე დესპოტი“ რომ არ ყოფილიყო, მათი ოჯახური ცხოვრება აუტანელი იქნებოდა. ცოლი და ბავშვები ისედაც ხშირად იოკებდნენ თავს, თითქოს თავის ოჯახში კი არა, სტუმრად იყვნენ. მაგალითად, სისუფთავისა და სიფაქიზის ზედმიწევნით დაცვის დავიწყება წამითაც არ შეიძლებოდა. ოჯახის უფროსი წესრიგს ისე ადევნებდა თვალყურს, რომ მისი ოჯახის წევრები მაგიდიდან ჩამოვარდნილი წიგნის დანახვაზე შეშფოთებული წამოცვივდებოდნენ დანესტრილებივით. სუფრას საათის პირველი დარტყმისთანავე უნდა მისხდომოდნენ. ავეჯი ოთახებში ისე ელაგა, როგორც დიკენსს სურდა. ყოველი სკამის, სავარძლის, მაგიდის ადგილი მკაცრად განსაზღვრული იყო. ცოლისადმი მიწერილ წერილებში ხშირად ვხვდებით დარიგებას: „თვალყური ადევნე, რომ ყველაფერი თავის ადგილზე იყოს. უწესრიგობა მეჭავრება“. დაიკერდა თუ არა სადმე სასტუმროში ოთახს, უმაღვე ყველაფერს, საწოლებსა და გარდერობსაც კი თავისებურად შეუცვლიდა ადგილს.

მაგრამ მიუხედავად ასეთი პედანტურობისა, მისი ოჯახი ბედნიერი იყო: მას ძლიერ უყვარდა შვილები, სიამოვნებით უცქეროდა მათ გართობასა და თვითონაც ბავშვივით ცელქობდა მათთან ერთად. ზაფხულში სადამოობით ცოლს, ცოლისდასა და ორ ქალიშვილს ჰემპსტედში მიასეირნებდა. მანდილოსნები ყვავილებს ჰკრეფდნენ, ის კი საინტერესო ამბებს უამბობდა მათ. სეირნობის შემდეგ იქვე ისამხრებდნენ „ჯეკ სტროზ კასლში“ და შინ ბრუნდებოდნენ. დიკენსს მხურვალედ უყვარდა შვილები. ამ სიყვარულში უპირველეს ყოვლისა იყო ნაღველი თავისი დაკარგული ბავშვობის გამო და სურვილი კვლავ განეცადა ის თავისი შვილების გარემოცვაში. დიკენსი შვილებისთვის ამხანაგი უფრო იყო, ვიდრე მამა (ოღონდ არა მაშინ, როცა სისუფთავესა და სიფაქიზეზე ესაუბრებოდა).

წყურვილი მტკიცე, ყველაფრის მიმხვდომი სიყვარულისა, როგორც ვერსად ეპოვა, მოსვენებას არ აძლევდა, აღელვებდა დი-



კენსს, ხოლო შემოქმედის ცნობისმოყვარე გონება და მგზნებარე ტემპერამენტი აძლიერებდა ამ მოუსვენრობასა და მღელვარებას. „ეს აუწერელი, მტანჯველი რამ“, ეს „ბუნდოვანი და გაუმაძღარი წყურვილი, რალაც გაურკვეველისა“ თითქოს საქმოსანს ან მსახიობს უფრო შეეფერება, ვიდრე ხელოვანს, რომელსაც ფიქრებში წასვლა სჩვევია და შემოქმედების საიდუმლოებანი იცის. ხშირად დიკენსი ლონდონის ქუჩებსა და გარეუბნებში შეშლილივით მიაბიჯებდა, სულ უფრო და უფრო ჩქარა, თითქოს უნდოდა ნიკოლას ნიკლბივით თავისი ფიქრებისათვის გაესწრო. რაც დრო გადიოდა, მისი სულის ვარვარიც ძლიერდებოდა და მწერალს ისევ უბიძგებდა მოწამებრივი საქმიანობისაკებ, რომელმაც ნაადრევად გამოასალმა იგი სიცოცხლეს. ეს გამუდმებული სულიერი მღელვარება მის ნაშრომებშიც იგრძნობა. ასეთია, მაგალითად, ნაბიჯების აკვიატებული ბგერები დაწყებული „სიძველეთა სავაჭროდან“, „ორი ქალაქის ამბამდე“: „ეს შეუწყვეტელი ნაბიჯები, ხან შენელებული, ხან ისევ მოახლოვებული და მკვეთრი, ეს მარადიული მოძრაობა ფეხებისა, რომლებიც განუწყვეტლივ მიაბიჯებენ უხეშ ქვებზე, ხეხენ და აბრკეყვიალებენ მათ“. ანდა: „ჩინში ისევ და ისევ ნაბიჯების მკვეთრი ექო გაისმოდა: ზოგი ფანჯრებთან, ზოგი თითქოს თვით ოთახში სმიანობდა, ზოგი ახლოვდებოდა, ზოგი უეცრად წყდებოდა, ზოგი სადღაც შორეულ ქუჩებში იკარგებოდა თანდათან. გარშემო კი ძე ხორციელი არ ჩანდა“.

ენერგიასა და დაუცხრომელ სულთან ერთად დიკენსს ზუსტი და დეტალური დაკვირვების ფენომენალური ნიჭი ჰქონდა. არიან გასაოცარი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები: წიგნს რომ კითხულობენ, მათი მეხსიერება თითქოს მის ფოტოსურათს იღებს; ყოველი გვერდის მთელი ტექსტი აღიბეჭდება მათ ტვინში და ამ ტექსტის ზეპირად გამეორება რამდენიმე წლის შემდეგაც შეუძლიათ. დიკენსიც ფლობდა ამ ნიჭს, მაგრამ მის მეხსიერებაში გვერდები კი არა, ადამიანები, ადგილები, მოვლენები აღიბეჭდებოდა ხოლმე. ყოველი წვრილმანი ისე შეეკრებოდა მეხსიერებაში, ერთ წამში შეეძლო მოეგონებინა სახის გამომეტყველება, ინტონაცია, მოწყობილობის უმნიშვნელო დეტალი. ძნელად შესამჩნევი ცვლილება გარემოში, საუბრის ტონი. ეს გონებაში აღბეჭდილი ფოტოსურათები ქალაქზე სიტყვების ფორმას იღებდნენ. ამიტომაც დიკენსის მიერ

დაწერილი სცენები უბადლოა მრავალფეროვნებით. მხოლოდ ერთ სახეზე ხანგრძლივი შეჩერება მას არ შეეძლო. დიკენსი კომიკურ გმირებს ცოცხლად, მაგრამ ზერელებდ ხატავს, როგორც თეატრალურ პერსონაჟებს. მათ აკლია ფერების სიღრმე და სიმდიდრე, შექსპირისა და სკოტის კომიკური გმირების მიმზიდველობა და მნიშვნელობა, მაგრამ ისინი უფრო ბრწყინვალე და გროტესკული არიან, დღესაც რომელიმე ახირებულ, ექსცენტრულ ადამიანს „დიკენსის პერსონაჟს“ უწოდებენ.

მისი დამკვირვებლობის ძალა და სისწორე დასტურდება კიდევ იმ ზებუნებრივი სიზუსტით, რომლითაც მწერალი აღწერს სულიერ დაავადებათა შემთხვევებს. თუმცა მას არავითარი სამედიცინო განათლება არ მიუღია და თავის თხზულებებს იმ დროს ქმნიდა, როცა ნევროზებზე არაფერი იყო ცნობილი, მაგრამ, სპეციალისტ უ. რასსელ ბრეინის აზრით, ნერვულ დაავადებათა სიმპტომებს ის აღწერს „არანაკლებ დაწვრილებით და სწორად, ვიდრე ზოგიერთი გამოჩენილი კლინიცისტი“. ამის ერთი მაგალითია მისის გარკვერი „დიდი იმედებიდან“. შეიძლება „დომბი და შვილიდანაც“ დავასახელოთ მისის სკიუტონი, რომელიც ცერებრალური არტერიოსკლეროზით იყო დაავადებული. ამ ქალის ავადმყოფობის მიმდინარეობის ანგარიში, დახატული დიკენსის რომანში, არა მხოლოდ ცალკეული სიმპტომების ზუსტი აღწერით გვაოცებს, არამედ უმთავრესად იმით, რომ მწერალი დიდი ოსტატობით ხატავს ავადმყოფობის უღმობელ მსვლელობას: ის ჯერ ჩუმად ეპარება ადამიანს და შემდეგ კატასტროფულად მწვაავდება. რასელ ბრეინი გვარწმუნებს, რომ „ნევროლოგიაში დიკენსი ისევე ძლიერია, როგორც ფსიქიატრიაში“. ეტყობა, ბოროტმოქმედთა ბედი იყო, რომ დიკენსმა თავისი ძალა გამოამძიებლის ასპარეზზე არ სცადა, თორემ ის ყველა შერლოკ ჰოლმსს უკან ჩამოიტოვებდა.

თუმცადა, რისთვის უნდა შესცილებოდა ის ლუკმაში მძებრებს? თავისი საზრუნავიც ეყოფოდა. 1847 წლის ზაფხული ბროდსტერსში გაატარა, „დომბიზე“ მუშაობდა და დასასვენებლად ისეთ მოციონებს აკეთებდა, რომელსაც ყოველი ჩვეულებრივი ადამიანი საკატორღო სამუშაოდ ჩასთვლიდა. იმ წლის მიწურულში შოტლანდიაში წავიდა და სიტყვით გამოვიდა გლაზგოში ლიტერატურული კლუბის გახსნაზე. დიკენსს გრანდიოზული შეხვედრა მოუწყვეს.

თავს ევლებოდნენ, ხელის გულზე ატარებდნენ, ლენჩებსა და სა-  
დილებზე იწვევდნენ. წაიყვანეს ებოტსფორდში, მწერალმა ინახუ-  
ლა ჯეფრი. ყველაფერი ძალიან მოეწონა გარდა სკოტის ძეგლისა  
პრინსეს-სტრიტზე: „ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს გო-  
თურ ტაძარს შპილი ააძვრეს და მიწაში ჩაარქვეს“.

1848 წლის მარტის ბოლო რიცხვებში დიკენსმა „დომბის“ წერა  
თითქმის დაამთავრა. შემდეგ სასწრაფოდ გაეშურა სოლსბერიში და  
„თეთრ ირემში“ დაიღო ბინა. ის, ფორსტერი, ლიჩი და ლემონი  
მთელი დღე ცხენებით სეირნობდნენ: უინტერს ლოუში ჰეზლითის<sup>1</sup>  
ქოხი ნახეს, დაათვალიერეს სტოუნჰეჯი<sup>2</sup>, გადაიქროლეს დაბლობი,  
მალბოროში<sup>3</sup> შეიარეს და შინ დაბრუნდნენ. აქ რომანის დამთავრე-  
ბა ტრადიციული სადღესასწაულო სადილით აღინიშნა და დიკენსი  
„უინძორელი მქირდავი ქალების“ რეპეტიციებს შეუდგა. ზაფხულ-  
ში ისევ ბროდსტერსში ჩავიდა, სადაც მისი ცოლი კინალამ დაიღუ-  
პა: ეტლი სეირნობის დროს ცხენებმა გაიტაცეს. მისმა მეუღლემ აქ,  
როგორც თვითონ ამბობდა. „უსაქმურობა“ მოიწყო: დილის რვის  
ნახევარზე ყოველდღე ბანაობდა, შემდეგ ბავშვებს ეთამაშებოდა,  
სტუმრებს იღებდა. ოც მილზე გაისეირნებდა, მარგეტსა და რამს-  
ტეტში ჩადიოდა თეატრებში და ტანისამოსს წარამარა იცვლიდა,  
რადგან მუდამ სველი იყო — ხან წვიმისგან. ხან — ოფლისაგან.  
სექტემბერში მისი და ფანი გარდაიცვალა. ქალი კლექით იყო და-  
ავადებული. ჩარლზი საათობით უჯდა დას ლოგინთან და იგონებდა  
ბავშვობას, ჩათემს, როჩესტერს, კობემის ტყეებს. დის სიკვდილმა  
საშინელი თავზარი დასცა: გაწყდა პირველი ძაფი, რომელიც სიყრ-  
მესთან აკავშირებდა. შეძლება, მისი შემდეგი დიდი ნაწარმოების  
თემა სწორედ ამან განსაზღვრა. თუმცაღა, ვიდრე ის საშობაო  
მოთხრობა „შეპყრობილის“ მეხუთე და უკანასკნელ ნაწილს არ  
დაამთავრებდა, ახალ რომანზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ისევ და-  
იწყო ხეტიალი მოჩვენებებით საესე ღამის ქუჩებში. „შეპყრობი-  
ლი“ ნოემბერში დაამთავრა ბრაიტონის სასტუმრო „ბედფორდში“.

1 ჰეზლითი (1778—1830)—ინგლისელი კრიტიკოსი და ნარკვევების ავტორი.

2 სტოუნჰეჯი — ძველი კვლების ქვის ნაგებობათა ნაშთები, სოლსბერის  
ვახლობლად.

3 მალბორო — ლონდონსა და ერორტ ბატს შორის მდებარე ცარცის ბო-  
რცვი.

სადაც უკვე ზედიზედ სამი დღე „დავტიროდი მას, მაგრამ მწარე კი არა, სასიამოვნო ცრემლებით, როგორითაც, იმედია, დაიტირებენ მას მკითხველებიც“.

ახლა დიკენსს შეეძლო დაეწყო ახალი რომანი, რომელიც შემდეგში ყველა მის თხზულებაზე პოპულარული, თვით მისთვის კი ყველაზე ძვირფასი გახდა; რომანი, რომელიც მისი სამი საუკეთესო წიგნთაგანია. ძირითადად ის ავტობიოგრაფიულია, მაგრამ იმ მიზნით, რომ ეს ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო, ავტორმა შესცვალა მოქმედების ადგილი და ბევრი სხვა გარემოება, რომლებშიც მისმა სიყრმემ გაიარა. ცხოვრებიდან აყვანილი გმირები ისე დახატა, რომ საექვოა, რომელიმეს თავისი თავი ეცნო. გადაწყვიტა, ჩემი გმირი ბავშვობას სადმე იარმუტის მახლობლად გაატარებსო და 1849 წლის იანვრის დამდეგს იქით გაემგზავრა, მას გაჰყვნენ ლიჩი და ლიმონი. ლოუს-ტოფტის გზაზე, იარმუტის მახლობლად ბოძს წააწყდნენ, რომელზეც ეწერა: „ბლანდერსტოუნ“. დიკენსმა აქვე გადაწყვიტა, თავისი გმირის სოფლისთვის ეს სახელი დაერქმია. ბლანდერსტოუნში ის არასოდეს ყოფილა, ამიტომ რომანში იგი ისე არ ჰგავს ნამდვილ ბლანდერსტოუნს, როგორც იარმუტი არ ჰგავს ჩათემს: იარმუტი დიკენსს ეჩვენა „ყველაზე გასაოცარ ადგილად ქვეყნიერებაზე“. ასეც დახატა ის. მეგობრები სამეფო ოტელში დაბინავდნენ და დიკენსმა უმაღლვე წაათრია ისინი სასეირნოდ ლოუს-ტოფტში ოცი მილის მანძილზე! დაბრუნების შემდეგ ძალღვივით დაღლილ ლემონს ბუხართან ჩაეძინა.

1849 წლის თებერვალში დიკენსებს მეექვსე ვაჟი შეემატა. ბედნიერმა მამამ ქეთი ბრაიტონში წაიყვანა; კინგს-როუდზე № 148 სახლში დასახლდა და „დევიდ კოპერფილდის“ წერას მიჰყო ხელი. მათთან ერთად ლიჩი ცხოვრობდა ცოლითურთ. რამდენიმე დღემ გაიარა მათი ჩასვლის შემდეგ და სახლის პატრონი ჰკუდიდან შეირყა. მისი ქალიშვილიც მალე გაგიჟდა და მდგმურებმა ფრიად ცხოვლად გაატარეს დრო. „უნდა მოგესმინათ, როგორ ილანძღებოდნენ ორთავენი; უნდა გენახათ, როგორ ტყვიასავით გამოვარდებოდნენ ხოლმე ავადმყოფის ოთახიდან ექიმი და მისი თანაშემწე, როგორ მიგრბოდით ლიჩი და მე ესკულაპის სახსნელად, როგორ მიგვათრევენ უკან ჩვენი ცოლები, როგორ გაითხლავა შიშისაგან გრძნობამხილი მედოცინის დოქტორი და მის მოსაბრუნებლად

კიდევ სამი მედიცინის დოქტორი მოგვევლინა. და ყველაფერი ეს  
ხდება, დამაწყნარებელი პერანგების ფონზე მეგობრებისა და მსა-  
ხურის თვალწინ. მხოლოდ მისის ჰემი-ლა გვაკლდა! თქვენ, რა  
თქმა უნდა, იტყოდით, რომ ყველაფერი ეს საჩემოა. ჩემს გემოვნე-  
ბას შეეფერება“.

დიკენსები სასტუმრო „ბედფორდში“ გადასახლდნენ, სადაც  
დიკენსი გაორკეცებული მონდომებით ეცა „დევიდს“. რომანს სა-  
სელწოდება ერთბაშად როდი მოუნახა. ბევრი რჩევის შემდეგ „დე-  
ვიდ კოპერფილდის ცხოვრება“ აირჩია. გაზაფხული წყურალმა  
ლონდონში გაატარა, სადაც წვეულებას წვეულებაზე ჰპართავდა,  
თვითონაც ხშირად სადილობდა ნეგობრებისას და თან დაუღალავად  
მუშაობდა..

„დევიდ კოპერფილდის“ პირველი ნაწილი 1849 წლის მაისში  
გამოვიდა, უკანასკნელი — 1850-ის ნოემბერში. „დომბის“ წარმა-  
ტების შემდეგ დიკენსის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად განმ-  
ტკიცდა, რომ მას ფულის საკითხი აღარ აწუხებდა. მაგრამ ის, რომ  
„კოპერფილდი“ ისე კარგად არ საღდებოდა, როგორც „პიკიკი“,  
დიკენსს ძლიერ ადარდიანებდა. წერაც უფრო ძნელი აღმოჩნდა.  
ვიდრე მას ეგონა. „კოპერფილდს“ რაღაც არ ეყრება თავი. გუშინ  
და დღეს არაფერი გამოიკეთებია. ვიცო: რაც მინდა, მაგრამ მაინც  
ძლივს მიგჭრიალებ წინ. როგორც ფოსტის ეტლი“. ამას კიდევ უსი-  
ამოვნება დაერთო: იგი დაეცა და მაგრად დაშავდა. კოტონები და-  
იყარა. ბებერთა დამშვენებული ბროდსტერსში გაემგზავრა, „ალბი-  
ონში“ დასახლდა და ელოდებოდა. ეგებ ზღვის პაერი მომიხდესო.  
პაერი მართლაც მოუხდა, მაგრამ მალე ერთმა უმნიშვნელო ამბავმა  
ისევ აუზღვრია გუნება.

ქალაქის საყიდლად საწერილმანოში შეიარა. გაიგონა, რომ  
ვიღაც ქალმა „დევიდ კოპერფილდის“ უკანასკნელი ნაწილი მო-  
ითხოვა. როცა მას წიგნი გაუწოდეს, მან თქვა: „არა, ეს წაკითხული  
მაქვს, შემდეგი მინდა“ — „შემდეგი თვის ბოლოს გამოვა“. — უპა-  
სუხა გამყიდველმა. თვის ბოლოს! ჭერ კი არც ერთი სიტყვა არ  
დაუწერია! აი, როდის შეიპყრო დიკენსი. მისივე აღსარებით, პირ-  
ველად მის სიციცხლეში, შიშმა... ბროდსტერსზე უფრო მყუდრო  
ადგილის პოვნა იყო საჭირო. საჩქაროდ დაამთავრა ის ნაწილი, რო-  
მელსაც ასე მოუთმენლად ელოდებოდა უცნობი მყიდველი, და

კუნძულ უაიტზე გაემართა. იქ ბონჩერჩის მახლობლად მალე აღმო-  
აჩინა „მშვენიერი ადგილი, რომლის უკეთესი არსად მინახავს —  
არც ინგლისში, არც საზღვარგარეთ“. ეს იყო მისი მეგობრის ჯეიმს  
უაიტის მამული უინტერბურნი. დიკენსმა მაშინვე იქირავა ის, ხუ-  
როს პატარა წყალვარდნილთან შხაპის მოწყობა შეუკვეთა და ოჯა-  
ხის ჩამოსაყვანად გაექანა. რაიდში თეკერეის წააწყდა. „თავქულ-  
შოგლეჯილი მივრბივარ პირსის გასწვრივ. — წერდა თეკერეი მისის  
ბრუკფილდს. — დგა უეცრად ვხედავ დიდ დიკენსს ცოლითურთ, აქ-  
ვე არიან ბავშვები, მის ჰოგარტი. ყველანი ტლანქად, ვულგარულად  
და კმაყოფილად გამოიყურებიან“. დიკენსებს ისევ ცოლ-ქმარი ლი-  
ჩები ეწვივნენ და თავდაპირველად ყველანი მშვენივრად ატარებდ-  
ნენ დროს: პიკნიკებს აწყობდნენ, სეირნობდნენ, ბორცვებზე და-  
ფოფხავდნენ, ცურაობდნენ, ცხენებს დააპყენებდნენ, სხვადასხვა  
თამაშობით ერთობოდნენ. ხოლო დიკენსი, გარდა ამისა, ყოველ-  
დღე ღამის ორ საათამდე მუშაობდა. მაგრამ აი, ორი კვირა გავიდა,  
ყველას სიზარმაცე და თვლემა მოერიო. თვით დიკენსიც გაჭირვე-  
ბით ასრულებდა მოციონს, რომელიც ათ მილამდე დაიყვანა. ძალა  
ელეოდა. არაფრის კეთების სურვილი აღარ ჰქონდა. დილაობით  
თავს დამჯდარი ივარცხნიდა, ისეთ სისუსტეს გრძნობდა. კითხვა  
აღარ შეეძლო. ფიზიკურად და სულიერად დუნდებოდა. ფიქრობდა,  
აქ რომ მთელი წელიწადი დავრჩე, სიკვდილი არ ამცდებოა. სექ-  
ტემბრის დამლევს ლიჩი დიდმა ტალღამ წააქცია და ტეინის შერყე-  
ვა მოუვიდა. დიკენსი საათობით უჯდა საწოლთან. ავადმყოფი ვერ  
იძინებდა. დიკენსი მიხვდა, რომ მეგობარი ვერ მოიკეთებდა, თუ არ  
დაიძინებდა. ამიტომ ჰიპნოზის გამოყენება მოიწადინა. მისის ლიჩი  
წინააღმდეგი არ იყო და დიკენსი საქმეს შეუდგა. „ხანგრძლივი სე-  
ანსის შემდეგ ერთი საათით და ოცდათხუთმეტი წუთით დაიძინა“. ამის  
შემდეგ ლიჩმა მოკეთება იწყა და მალე სულ განიკურნა. რო-  
გორც კი საშიშროებამ განვლია, დიკენსი ბონჩერჩიდან ბროდსტერს-  
ში წავიდა. მაცოცხლებელმა სუფთა ჰაერმა მალე აღუდგინა სული-  
ერი მხნეობა, ჯანი, მაგარი ძილი და გრძელი მოციონების სიყვარუ-  
ლი. შინ დაბრუნების შემდეგ ნოემბერში მანინგების სიკვდილით  
დასჯას დაესწრო და შემწრუნებული იყო: „გულგრილი, უხეში  
ბრბო, მთვრალი ჯალათის ოხუნჯობა და გინება. რა საზიზღრობაა!“  
მან ორი წვრილი გაგზავნა „ტაიმსში“, აღწერდა ამ გულისამრევ  
სურათს და გადაჭრით მოითხოვდა, საჯაროდ სიკვდილით დასჯას

ბოლო მოვლას. ფართოდ გაიშალა დისკუსია და დიკენსი კინალამ კორესპონდენციების ნაკადმა დაახრჩო. მის პროტესტს უშედეგოდ არ ჩაუვლია: თავისი თვალთ ნახა, რომ სამარცხვინო სანახაობას ბოლო მოეღო.

იმავე თვის ბოლოს ის და ქეთი უოტსონებს ესტუმრნენ როკინ-ჰემის კოშკში. მათთან ერთად სტუმრად იყო დიკენსის მხურვალე თაყვანისმცემელი მერი ბოილი. მერის არაჩვეულებრივი სცენური ნიჭი ჰქონდა. დიკენსმა და მან რამდენიმე სცენა დადგეს „ავენობის სკოლიდან“ და ერთი — „ნიკოლას ნიკლბიდან“. ამის შემდეგ მერი ბოილი და დიკენსი სამუდამოდ დამეგობრდნენ.

1850 წლის ზაფხულში დიკენსმა პარიზში იმოგზაურა, იმავე წლის აგვისტო, სექტემბერი და ოქტომბერი ბროდსტერსის ფორტ-ჰაუსში გაატარა. მწერალი „კოპერფილდის“ წერას ამთავრებდა. ბევრს დადიოდა, სტუმრებს მასპინძლობდა და გრძნობდა, რომ სულ უფრო და უფრო უძძიმდა თავისი მომავალი ბიოგრაფის ატანა.

როცა „დევიდ კოპერფილდზე“ მუშაობდა, დიკენსი კვლავ განიცდიდა თავის ბავშვობას და უამრავი მოგონებებიდან ხშირად უძძიმდა კიდევ ისეთების არჩევა, რაც სიუჟეტისათვის ნამდვილად საჭირო იყო. წარსული, მუდამ ცოცხალი და ნათელი, ხშირად ესიზმრებოდა. „ჩვეულებრივად ოცი წლის წინანდელი ამბები მესიზმრება, — წერდა ის 1851 წლის თებერვალში. — ზოგჯერ მათ ჩემი ახლანდელი ცხოვრების ფაქტები ჩაექსოვება ხოლმე არეულად, გაურკვეველად. იმას კი, რაც ოცი წლის წინათ მოხდა, ძალიან ნათლად ვხედავ. უკვე თოთხმეტი წელია, რაც ცოლშვილიანი ვარ, ათი შვილი მყავს, არც ერთხელ არ დამსიზმრებია ჩემი თავი მეუღლისა და მამის მოვალეობით დატვირთული ან ჩემს მახლობლებში მყოფი“. („დევიდ კოპერფილდმა“ მას ბავშვობის წლები აღუდგინა და ამიტომ უყვარდა ის“ ყველა სხვა წიგნზე უფრო. როგორც მოყვარულმა მამამ, გულის სიღრმეში ვიცი, რომ მე საყვარელი შვილი მყავს, რომელსაც „დევიდ კოპერფილდი ჰქვია.“) ამჯერად „მანქანის ასამუშავებლად“ მას ბევრი დრო დასჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოვიდა მადაზე და სიტყვებმ თავისთავად სცვივოდა კალამს, რომანისათვის რამდენიმე წლის წინ დაწერილი ავტობიოგრაფიის ნაწყ-

ვეტიც გამოადგა. ავტორის წერილების ცალკეული ფრაზებიდან ჩანს. როგორ მიიწევდა სამუშაო წინ:

1850 წლის 20 აგვისტო: „სამი დღე თვაულებლივ ვწერ. წინ კი დორას მოკვლა მიდევს. თუ ბედმა გამიღიმა, ეგებ ხვალ მოვახერხო“. 26 აგვისტო: (მეუღლეს): „გუშინ სტოუნს და ჯორჯის ახალი ნაწილი წავუკითხე და ორივე საშინლად აღელდა. იმედია, არც შენ დარჩები გულგრილი“. (ლაპარაკია იმ ნაწილზე, სადაც დორას სიკვდილია აღწერილი). 15 სექტემბერი: „ეს ორი დღე კატორღელივით ვმუშაობდი; გუშინ ექვსი საათი ზედაზედ, დღეს—ექვს-ნახევარი. სულ ჰემისა და სტირფორსის ბრალია, საშინლად გამაწვალეს. კინალამ ხელი ავიღე წერაზე“.

17 სექტემბერი: „მძიმედ დაავადებული ვარ „კოპერფილდით“, ახლა წიგნის ყველაზე ძნელ ადგილზე ვარ და სამოცდაათოთხმეტგირვანქიანი ზარბაზნების დამზადებაზე დაკვეთების მიღება შემძძლია თამამად... ახლა ყველაფერი შემძძლია“.

21 ოქტომბერი: ბოლომდე რაღაც სამიოდე გვერდი დამრჩა, მე კი, როგორც ყოველთვის, გრძნობა გაორებული მაქვს: სიხარული და მწუხარება! ეჰ, ძვირფასო ფორსტერ, რომ იცოდეთ, რა განმაცდევინა დღეს კოპერფილდმა! თითქოს საკუთარ ნაწილს ვიშორებ და მოჩვენებათა ქვეყანაში ვგზავნი“.

23 ოქტომბერი: ეს-ესაა დავამთავრე „კოპერფილდი“ და არ ვიცი, ვიციან თუ ვიტყვი... ვფიქრობ, ერთი-ორი დღით სადმე წავიდე. უთუოდ როჩესტერში, სადაც სიყრმე გავატარე...“

„კოპერფილდს“ დიკენსი ბრაიტონშიც წერდა, ბონჩერჩშიც, ლონდონშიც, მაგრამ სამუშაოს უდიდესი ნაწილი ბროდსტერსში დაწერა. ბროდსტერსი ავტორს ყველა სხვა ზღვისპირა პატარა კურორტებს ერჩია. აქ ცხოვრობდა ბეტსი ტროტვეუდი, თუმცა რომანში ნათქვამია, მისი სახლი ღუვრში იყო. დიკენსი თავის წერილებში ყოველნაირად ამკობს ბროდსტერსს: „ბროდსტერსი მომაჯადოებელია. ამწვანებული ჭეჭილები, ტოროლას წყრიალი, ზღვის ლივლივი!“ მგონი, იქ გაატარა მან ყველაზე მეტი ბედნიერი დღე-სულიერი სიმშვიდე, რა თქმა უნდა, შედარებითი. რომლითაც ის აქ ტკბებოდა, „კოპერფილდშიც“ იგრძნობა. ეს მისი ყველაზე პარმონიული ნაწარმოებია. ეს მისი ყველაზე „პირადი“ წიგნია, ბევრად უფრო მართალი, ვიდრე ე. წ. ავტობიოგრაფიების უმრავლესობა.



მაგრამ ერთ რამეში ეს წიგნი მეტისმეტად ალალმართალი აღმოჩნდა. ერთმა მანდილოსანმა, სახელად მისის ჰილმა მის მოუჩერში თავისი თავი იცნო, ხოლო რადგან მის მოუჩერს ხასიათი ღვარძლიანი, გარეგნობა კი საზიზღარი ჰქონდა, მისის ჰილმა ავტორს საყვედური უთხრა. დიკენსმა უპასუხა, ჩემი თხზულებების გმირები განზოგადებული სახეებია. ზოგი მათი თვისება, უეჭველია, მისის ჰილს აქვს, ზოგი — ვინმე სხვასო.

თუმცა მართლაც უსამართლოდ მოვეჭეცი მისის ჰილს და ამიტომ მის მოუჩერის ჯოჯობეთის მაშხალად დახატვაზე უარს ვამბობ, პირიქით, დაეხატავ მას ფრიალ ღირსეულ პიროვნებად, რომელიც საზოგადოებისათვის სამაგალითო იქნებაო. თქმა და ასრულება ერთი იყო! დაწყნარებული მისის ჰილი, ეტყობოდა, სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს, როგორ შიაბიჯებდა გამოშვებიდან გამოშვებაში სულიერად გარდაქმნილი, მაგრამ, ვაი რომ, ფიზიკურად ისევე მახინჯი მის მოუჩერი.

არ ვიცით. შენიშნა თუ არა მწერლის მამამ ჯონ დიკენსმა, რომ მიქობერი მას ჰგავდა. მაგრამ ექვს გარეშეა, სწორედ ის იყო ამ გმირის პირველსახე. საკმარისია. ყურადღება მივაქციოთ მის რამდენიმე წინადადებას შვილისადმი მიწერილ წერილებში. რა თქმა უნდა, ჯონ დიკენსი ეუბნება მიქობერის პირით თავის ცოლს: „გენაცვალე. შენი მამიკო თავისებურად მშვენიერი ადამიანი იყო და ღმერთმა მაშოროს, რომ მისი ღირსებების დამცირება ვიკისრო. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ, უთუოდ. არასდროს... მე მინდა ვთქვა, ჩვენ ვერასოდეს ველარ ვნახავთ ადამიანს, რომელიც — ისიც მის ასაკში, ასე კობტად ატარებდეს გაშაშებს და ასეთ წვრილ შრიფტს უსათვალოდ კითხულობდეს“.

რაც შეეხება მისის მიქობერს, ის რაღაცით დიკენსის დედას ჰგავს. რომანში სხვა პერსონაჟებიცაა, რომელთა პირველსახეები ცნობილია. მაგალითად, სტიარფორსი და კრიკლი. მისის გემიჯზე ზომ ლაპარაკიც ზედმეტია: თითქმის ყოველ ოჯახში მოიძებნება მსგავსი ადამიანი, რომელიც თავის მწარე ბედს უჩივის. აგნეს — ისევე ის იდეალური არსებაა, როგორადაც დიკენსს მერი ჰოგარტი ეხატებოდა — სრულყოფილება, მხოლოდ წარმოსახვაში რომ არსებობს, და არა ცხადში.

პირველი თოთხმეტი თავი შეიცავს ყველაფერს საუკეთესოს,

რაც კი ბავშვობასა და ყრმობაზე დაწერილა. მართალია, იმ სცენის შემდეგ, როცა ბეტსი ტროტვეული მერდსტონებს თავიდან იშორებს, თხრობა შედარებით უხალისოდ მიმდინარეობს. ახალი ცხოველი ნაკადი მხოლოდ დორას გამოჩენის შემდეგ ერთვის მას. კომიკური და გროტესკული გმირი ქალების გამოკლებით, დორა დიკენსის ქალთა პორტრეტებში ყველაზე უკეთესია. როგორც ჩანს, მარია ბიდნელი დიკენსს მტკიცედ შესისხლხორცებოდა. დორა სწორედ მარია ბიდნელია, ცბიერი და მომხიბლავი. ჯერ არავის არ მოუხერხებია დიკენსზე უკეთ აეწერა ყრმობისდროინდელი სიყვარული, მისი განუსჯელობა, მძვინვარე სწრაფვები, სიხარული, ტანჯვა, აღტაცება და დამცირება, ეჭვები და მიაშიტი რწმენა.

თუმცა დევიდ კოპერფილდი ჩარლზ დიკენსის ასლად არ გამოდგება, მაგრამ მასში წიგნის ავტორის ზოგ მთავარ თვისებას ვხედავთ:

„მგონი, მაინცდამაინც არაფერს ვაცქერდებოდი, მაგრამ ყველაფერს ვხედავდი“.

„ცხოვრებაში ვერაფერს მივადწევდი, ის ჩვევები რომ არ მქონოდა, რომლებიც იმ დროს გამოვიმუშავე: ბეჯითობა, პუნქტუალობა, აკურატულობა“.

„რასაც კი ხელს მოვიკიდებდი, მუდამ ვცდილობდი კარგად გამეკეთებინე, რასაც ვაკეთებდი, ყველაფერს მთელი ჩემი არსებით ვეძლეოდი; როგორც მცირე, ისე დიდ ამოცანებს მუდამ საფუძვლიანად და სერიოზულად ვეკიდებოდი. არ მწამდა, რომ შეიძლება ცხოვრებაში რამეს მივალწიო მხოლოდ ნიჭით, თუ მას შრომისმოყვარეობას, თავმდაბლობას და შეუპოვრობას არ მივაშველებ“.

„ნურასდროს ნუ აკეთებ დაუდევრად, რისი გაკეთებაც კარგად შეგიძლია, ნუ იკადრებ აგდებულად მოეკიდო საქმეს, როგორიც არ უნდა იყოს ის — აი, ეს არის, როგორც ახლა ვხედავ, ჩემი ოქროს წესი“.

„(წიგნის ავტორის მსგავსად, დევიდი მშფოთვარე სულის პატრონია და ბევრ რამეში დიკენსის ცხოვრების გზას მიჰყვება. ვაქსის ფაბრიკა, ციხე მარშალსი, პირველი სიყვარული, დოქტორს-ქომონსი, რეპორტიორის მერხი პარლამენტში, პირველი წიგნები, წარმატება და ბოლოს, დევიდს ცოლის შერთვის შემდეგ,

დიკენსივით იმედი უცრუვდება) ქეთი უთუოდ ჩააფიქრა ამ პწკარების წაკითხვამ:

„ზოგჯერ — მართალია, ცოტა ხნით — მაინც ვგრძნობდი, რომ ცოლს არ შეუძლია რჩევა მომეცეს. მას ხასიათის სიმტკიცე და ძალა არ ჰყოფნის, რათა გამამაგროს, რათა შეავსოს ის სიცარიელე, რომელსაც ჩემს გარშემო ვგრძნობ“.

„აი ასე გამოვიდა, რომ ჩვენი ცხოვრების ყველა საზრუნავი და შრომა მე დამაწვა და ტვირთის შემამსუბუქებელი არავინ მყავს“.

„ცოლ-ქმარს შორის არც ერთი უთანასწორობა არაა ისე საშიში, როგორც მიდრეკილებათა და რწმენათა სხვადასხვაობა“.

„მაგრამ მე ვიცოდი, რომ უკეთესი იქნებოდა, ჩემს ცოლს შესძლებოდა ჩემთვის მეტი დახმარების გაწევა და ჩემი ფიქრების გაზიარება. ისიც ვიცოდი, რომ შეიძლებოდა ასეც ყოფილიყო“.

• დიკენსის ავტობიოგრაფიული რომანი ყველაზე პოპულარულია ინგლისური ლიტერატურის შედეგებს შორის. და, შესაძლებელია, საფუძველს მოკლებული არაა მოსაზრება, რომ „ტომ ჯონსი“, „პურიტანები“. „ამაოების ბაზარი“ და „პაწია ღორიტი“ უფრო მნიშვნელოვანი თხზულებებია, მაგრამ ბევრი ვერ იკისრებს იმ ფაქტის უარყოფას, რომ „დევიდ კოპერფილდი“ დიდი ინგლისური რომანების ათეულშია. \*1850 წლის იენისში, ბროდსტერსში გამგზავრების წინ დიკენსი სწერდა მაკრიდის: „ჯარასავით ვტრიალებ: ხან „კოპერფილდი“, ხან „საოჯახო კითხვა“, ვიმედოვნებ, რომ მალე სანაპიროზე წავალ მარადისობის ძველ სიმბოლოსთან, რომელიც ასე მიყვარს, და მის შეუწყობელ მუსიკის ხმაზე დავამთავრებ რომანს. ღმერთმა ქნას, რომ წიგნი კარგი გამოვიდეს. ვიმედოვნებ, რომ ასეც იქნება. დაე, იკითხონ ის თქვენმა შვილებმა. შვილიშვილებმა და მათმა შვილებმაც“. ჩვენ ვიცით, რომ დიკენსის ეს სურვილი განხორციელდა.

## სარედაქციო და სხვა საქმეები

„დეილი ნიუსის“ მიტოვების შემდეგ დიკენსი უფრო და უფრო ზშირად უბრუნდებოდა თავის სანუკვარ ოცნებას: შეექმნა ყოველკვირეული გამოცემა, მიმდინარე ამბების ერთგვარი მათიანე, რომელიც ეპოქის სულს ასახავდა. იგი კრიტიკული, სოლიდური, ლოგიკურად შედგენილი, „ჩვენი სოციალური ვითარების ყოველმხრივი გაუმჯობესებისაკენ მიმართული“ და, რაც მთავარია, საინტერესო ჟურნალი უნდა ყოფილიყო. ჯერ „კოპერტილდის“ ნახევარიც არ იყო მზად, როცა ავტორი ახალ იდეაზე სწერდა ფორსტერს. იგი ჟურნალის სახელწოდების შერჩევას შეუდგა: „მეყოლია“, „კაცობრიობა“, „ჩარლზ დიკენსი“, „ამხანაგი“, „შინაური ხმები“. ბოლოს — „საოჯახო კითხვა“ აირჩია. ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემა ბრედბერიმ და ევანსმა იკასრეს იმ პირობით, რომ შემოსავლის ერთ მეოთხედს მიიღებდნენ. დიკენსი, როგორც რედაქტორი, წელიწადში ხუთას გირვანქას და წმინდა შემოსავლის ნახევარს იღებდა. ფორსტერს შემოსავლის მერვედი მიეკუთვნა, ხოლო რედაქტორის მოადგილედ მიწვეულ უ. ჯ. უილსს (დიკენსის ყოფილ მდივანს „დეილ ნიუსში“) — კვირაში ჯამაგირად რვა გირვანქა და შემოსავლის ერთი მერვედი დაენიშნა. ჟურნალის პირველი ნომერი 1850 წლის 30 მარტს გამოვიდა. „საოჯახო კითხვამ“ 1859 წლის მაისის ბოლომდე იარსება. შემდეგ დიკენსმა თავისი საკუთარი ყოველკვირეული ჟურნალი დააარსა და სხვა სახელი დაარქვა.

ბუნებრივი იქნებოდა, რომ ნაყოფიერ მწერალს, რეჟისორს, მსახიობს, ორატორს, საზოგადო მოღვაწეს და ოჯახის თავს რედაქ-

ტორის მოვალეობა თავისი თანამემწისათვის გადაეცა. მაგრამ არა! დიკენსი ჟურნალის ყოველ ნომერს მკაცრად აკონტროლებდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო — შინ, თუ გარეთ, — ყველა საქმეს ეცნობოდა, უამრავ დარიგებას უთვლიდა უილსს, მასალებს კითხულობდა, სტატიებს და მოთხრობებს არჩევდა და ასწორებდა, ახალ ავტორებს იწვევდა, ახალი თემები შეჰქონდა, ამოკლებდა, ზოგჯერ რამეს უმატებდა, ზოგჯერ სხვის მასალას ახლად გადაწერდა ხოლმე. საკუთარ ნარკვევებს და შენიშვნებს მუდამ დროზე ამზადებდა. ავტორების სახელების საიდუმლოებას მკაცრად იცავდა. მკითხველებს ხშირად უკვირდათ, რომ ბევრი წერილი დიკენსის სტილით იყო დაწერილი. ეს ნაწილობრივ იმით იყო გამოწვეული, რომ მასალის დიდ ნაწილს რედაქტორი უკეთებდა კორექტურას. ავტორების წერილებზე. რჩევებსა და განმარტებაზე მეტ დროს ხარჯავდა. ვიდრე ჩვეულებრივი რედაქტორი მოწინავე სტატიებზე. მისი მამა და სიმამრიც თანამშრომლობდნენ გაზეთში. როცა დიკენსი ქალაქში იყო, ყოველდღე დილის რვა საათიდან თერთმეტამდე რედაქციაში მუშაობდა, კაბინეტში დასეირნობდა და მასალას ისე კარნახობდა. გონებრივ და ფიზიკურ შრომას ერთმანეთს ამჯერად უთავსებდა.

ახალი ჟურნალის თავისებურებას ის შეადგენდა, რომ ყოველ მოვლენას თავისი სახელით მოიხსენიებდა, რა თქმა უნდა, ზრდილობის ფარგლებში. საზოგადოების მანკიერებას არ ინდობდნენ, მაგრამ გრძნობების შეურაცხყოფას ერიდებოდნენ. ერთ ავტორს, რომელმაც გაზეთს უოტ ტაილერზე მიაწოდა წერილი, დიკენსი სწერდა: „ფართო მკითხველისათვის არ უნდა დასწეროთ ის, რისი ხმამაღლა თქმაც გეუხერხულებათ. შეიძლება მისის სკატფიჯი მართლა გაშიშვლდა ხალხის თვალწინ. დარწმუნებული ვარ, რომ ასე მოხდა. მაგრამ არაა საჭირო, გავაგებინოთ ეს შეცხრამეტე საუკუნის ქალიშვილებს“.

დიკენსმა იცოდა, რომ მის ავტორებს უპირველეს ყოვლისა ერთი რამ უნდა შეეთვისებინათ: ყოველი წერილი ცოცხლად და საინტერესოდ ეწერათ. ამას ის დაულალავად უჩიჩინებდა უილსსაც და სხვებსაც. ჰკვიანური იდეა? სულერთია! იუ ის ცუდად გამოთქმულია, ჯობს, სულ არ იყოს. „ეს ჯონ ჰოლინგსპედს მიახდეთ, — ეტყობა ის უილსს, — მართალია, უმეცარია, მაგრამ არა უშავს: სამავიეროდ ფაქტებს მიაფუჩიჩებს და საენციკლოპედია წერილებით

არ გაგვაწამებს“. დიკენსის ერთი წერილი უილსისადმი ასე ბოლოვდება: „ცოცხლად, ცოცხლად, ცოცხლად!“ რედაქტორსა და მის თანაშემწეს შორის მეგობრული ურთიერთობა უცებ არ დამყარებულა. ეს ძალიან ახარებდა ჯონ ფორსტერს, რომელსაც ეჩვენებოდა, უილსი ჩემს საკუთრებას მეცილებათ. დიკენსი წერდა: „ფორსტერი ჩივის, უილსი ნაკლებად მეკითხება რჩევა-დარიგებასო“. ნამდვილად კი ფორსტერს სხვა რამ აწუხებდა: ეს იყო დიკენსის და უილსის დამეგობრება. როცა ფორსტერმა გაიგო, უილსი ბრედბერი და ევანსთან დადებული ხელსაყრელი ხელშეკრულებით აღტაცებულიაო, იფეთქა: „ძალიან ვწუხვარ, ძვირფასო დიკენს, მაგრამ თქვენს მეგობარს აღტაცებითვე ვერ ვუპასუხებ, რადგან მასეთ ვირს ჩემს სიცოცხლეში არ შევხვედრივარ!“ ფორსტერი ყოველნაირად ცდილობდა, უსიამოვნება ჩამოეგდო უილსსა და დიკენსს შორის, თუმცა ვინც მის წიგნს „დიკენსის ცხოვრებას“ წაიკითხავს, ეგონება, ფორსტერი და უილსი განუყრელი მეგობრები ყოფილანო. ბოლოს, რაკი დარწმუნდა, მისი ცდები ამაო იყო, ხელი ჩაიქნია და 1856 წელს „საოჯახო კითხვაში“ მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

„საოჯახო კითხვა“ მკითხველებს უმაღვე შეუყვარდათ. „კოპერტილდის“ დამთავრების შემდეგ დიკენსი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა ჟურნალს. თუმცა 1851 წელს მას სხვა საქმეებიც ბევრ დროს ართმევდა: ლიტონის კომედიის დადგმა, წარმოდგენები, საჯარო გამოსვლები და პირადი საზრუნავი. მესამე ქალიშვილის შექმნის შემდეგ ქეთი დიკენსმა მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა. ერთხანს ეგონათ, დედაც დაიღუპებოდა და შვილიც, მაგრამ პატარა დორამ მოიკეთა, ქეთიმაც უკეთ იგრძნო თავი — იმდენად უკეთ, რომ 1851 წლის მარტში უკვე შესაძლებელი გახდა მისი მალვერნში წაყვანა. მაგრამ მისი სულიერი მდგომარეობა სერიოზულ შიშს იწვევდა; ადრეც, როცა ქალაქგარეთ ცხოვრობდა ახლობელ მეგობრებთან, რაღაც უცნაურად იქცეოდა და ქმარმა ექიმი გააფრთხილა, „ქეთის უადრესად ფრთხილად“ უნდა მოეპყროთო. მალვერნში ცოლ-ქმარი მამულ ნატსფორდ-ლოჯში დასახლდა და დიკენსი პირველ ხანებში ლონდონსა და მალვერნს შორის იყო გაბმული. რადგან ბავშვები ლონდონში ჰყავდათ, ხოლო ჯორჯინა დასთან ცხოვრობდა მალვერნში. მაკრიდის გამოსათხოვარი სპექტაკლი-

სა და დიკენსის მიერ მის პარტიესაცემად გამართული ბანკეტის შემდეგ მწერალმა ბულვერ ლიტონის კომედიის რეპეტიციებს და გაზეთის სტატიებს მოჰკიდა ხელი. მაგრამ უეცრად გახურებულ მუშაობაში ჩაბმულს ახალი უბედურება ეწვია. მამამისი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ ამხელდა, საშარდე ბუშტი რომ აწუხებდა, უცებ ძალიან ცუდად შეიქნა. საავადმყოფოში წაიყვანეს და უნარკოზოდ გაუკეთეს საშიში ოპერაცია. ეს მისი გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო. ავადმყოფს გასაოცარი მხნეობით ეჭირა თავი. „ოპერაციის შემდეგ უმაღლვე შემიშვეს მასთან. მთელი პალატა გასისხლიანებული იყო, როგორც სასაყლაო. ის მხნედ შემხვდა. ბევრი ვეცადე, რომ ყველაფერი მეშოვნა, რაც საჭირო იყო. ხელი მიკანკალეებს და გაუტყვევლად ვწერ“. 31 მარტს სამოცდახუთი წლის ჯონ დიკენსი გარდაიცვალა. იგი პაიეტის სასაფლაოზე დაკრძალეს. მის ძეგლს შვილის მიერ შედგენილი ეპიტაფია დააწერეს: იქ მისი ნიჭი, მოუღალავი და მხნე სულია შექებული. ჩარლზს თავისი აზრი მამაზე ბოლომდე არ შეუცვლია. „რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო კარგი აზრისა ვარ მამაზე“, ასე აფასებდა აღტაცებული შვილი მამას.

შრომით და საზრუნავით განაწამები დიკენსი რამდენიმე ღამე უძილობით იტანჯებოდა და გათენებამდე ლონდონის ქუჩებში დადიოდა. მრავალი საათი თავისი ხუთი თვის ქალიშვილის აკვანთან გაატარა. 14 აპრილს საღამომდე უვლიდა მას, შემდეგ თეატრალური ფონდის ბანკეტზე დასასწრებად წავიდა, სადაც თავმჯდომარეობა უნდა გაეწია. მის გამოსვლამდე ნახევარი საათით ადრე გაიგეს, რომ დორა უეცრად გარდაცვლილიყო. ბანკეტის დამთავრების შემდეგ ფორსტერმა გააგებინა მამას ეს სამწუხარო ამბავი. მთელი ღამე იჯდა მასთან მარჯ ლემონი, ფორსტერი კი დილით ადრე მალვერნში წავიდა. მას თან დიკენსის წერილი მიჰქონდა. წერილიდან ჩანს, რომ ქეთი იმ დროს ისტერიულ მდგომარეობაში იყო და სალად მსჯელობა არ შეეძლო. „მომისმინე, — ასე იწყებოდა წერილი. — აუჩქარებლად და ყურადღებით უნდა წაიკითხო ეს წერილი“. შემდეგ აცნობებდა, დორა ძალიან ავად არისო. „იციოდე, — ვერ მოგატყუებ, — სწორდა ის, თუმცა ყოველი მისი სიტყვა სიცრუე იყო, რადგან ახლა ქეთის სიმართლეს ერთბაშად ვერ ვტყუოდა. — ჩემი აზრით, ბავშვი ძლიერ ავად არის... არავითარი იმედი

არა მაქვს, რომ მოვარჩინო მას. რისთვის დაგიმალე ეს, ჩემო ძვირფასო? გვედრები, გთხოვ, გიბრძანებ, შინ დაბრუნებისას მთელი შენი თავდაპყრილობა მოიშველიო. ხომ გახსოვს, ხშირად მითქვამს შენთვის: ჩვენ ბევრი შვილი გეყავს და ვერ ვიქონიებთ იმის იმედს, რომ სხვა მშობლის მწარე ხვედრი აგვცდეს-მეთქი. როცა ჩამოხვალ, თუ იძულებული ვიქნები გითხრა: „ჩვენი პატარა მოგვიკვდა-მეთქი, შენ ვალდებული ხარ, შეასრულო შენი მოვალეობა სხვა შვილების წინაშე. მათი ბედ-იღბალი შენს ხელშია და ამ დიდი პასუხისმგებლობის ღირსი უნდა იყო“. ქეთიმ ღირსეულად აიტანა განსაცდელი და „ისე წყნარი და ალერსიანი იყო, რომ, ვშიშობ, ცუდად არ იმოქმედოს მასზე“. პატარა დორა იმავე ჰაიგეტის სასაფლაოზე დაასაფლავეს, სადაც ორი კვირის წინ მისი პაპა მიაბარეს მიწას. ორი ასეთი ელდის ზედიზედ გადატანა ადვილი არ იყო, დიკენსმა გადადო პრემიერა სპექტაკლისა „ისე ცუდები არა ვართ, როგორც გგონიათ“.

მთელი გაზაფხული დიკენსი დილიდან შუაღამემდე მუშაობდა და თავის სხვა უთვალავ მოვალეობას ასრულებდა. თანაც ახერხებდა „სხვადასხვა საბაბით“ ქეთი სახლიდან გაეყვანა, რომ ქალს გული გადაეყოლებინა. მაგრამ ქეთის მომჯობინება არ ეტყობოდა. მაშინ დიკენსმა ისევ ბროდსტერსში იქირავა ფორტ-ჰაუსი მაისიდან ოქტომბრამდე და იქ წავიბნენ. ეს უკანასკნელი ყოფნა იყო ბროდსტერსში. აქ უკვე ისეთი ხმაურობა იყო, რომ მწერალს მუშაობა უძნელებოდა. ხუთი წლის წინ მოხეტიალე მუსიკოსები უშლიდნენ ხელს. „თუ ქუჩაში კოკისპირული წვიმა არაა, ნახევარ საათს წაიმუშავებ და იწყება წამება: მეარღნეები, მოშაირეები, ყლარუნეები“. მაგრამ ახლა აქ ისეთი ყრიაშული იყო, რომ მხოლოდ კარების და ფანჯრების ჩაკეტვის შემდეგ შეიძლებოდა წერა, ხოლო სიმყუდროვეში გასეირნება თუ გინდოდათ, სადმე შორს უნდა წასულიყავით. იმ დროს ჰაიდ-პარკში მსოფლიო გამოფენა იყო და დიკენსს უხაროდა, ლონდონში რომ არ ცხოვრობდა. გამოფენა მასში რალაც გაუჩვეველი და აუხსნელი სიძულვილის გრძნობას იწვევდა. ინსტიტუტურად თვლიდა, გამოფენა მოსაწყენი და დამქანცველია. მაინც ორჯერ დაათვალიერა იგი და ექსპონატების სიმრავლისაგან თავბრუ დაესხა. დიკენსს, როგორც ყველგან, აქაც მეგობრები აკითხავდნენ; ჩამოვიდა მისი მომავალი ბიოგრაფიცი. „იყო აქ ფორს-



ტერი, მოწყალედ დაუთათუნა ბეჭზე ხელი ქალაქს და წავიდა. კოლინზი ღრმად დაარწმუნა, რომ ოკენე დიდად დავალებულია მისგან, რაკი იქ ბანაობს“.

მთელი ზაფხულის განმავლობაში დიკენსი თავისი ახალი სახლის გადაკეთებას ხელმძღვანელობდა. დევონშირ-ტერასზე სახლის იჯარის ვადა გადიოდა და ოჯახი ტევისტოკ-ჰაუსში უნდა გადასულიყო. გადასვლასთან დაკავშირებული ყველა საქმე დიკენსს დააწვა.

დიკენსმა ბალის გეგმა შეადგინა. მგებლეს დაწვრილებით განუმარტა, როგორ გადაერგო ხეები. მოითხოვა, წარმოედგინათ მისთვის ხარჯთაღრიცხვა და დაენიშნათ „სამუშაოს დამთავრების მაქსიმალური ვადა. „სიწესტე და სისწრაფა ის პირობა, რომელსაც მე პირველ რიგში მოვიტოვებ ყოველ საქმეში... მე მათ უპირველეს მნიშვნელობას ვაკეთებ და საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება მივაქციო ამას, როგორც ხელშეკრულების მთავარ ნუბლს“.

ნოემბრის დამდეგს ოჯახი, როგორც იქნა, შევიდა ტევისტოკ-ჰაუსში და დიკენსმა ახალ წლამდე მოასწრო დაემზადებინა თავისი ახალი რომანის „ცივი სახლის“ პირველი ნაწილი. რომანი 1853 წლის სექტემბრამდე ყოველთვიურ გამოშვებებად ობჟექტობდა, „კოპერფილდთან“ შედარებით ორჯერ ნაკლები ცალი გაიყიდა.

როგორც ყოველთვის, ახალ წიგნს ნერვული აგზნება უძღოდა წინ, ამჯერად — განსაკუთრებით ძლიერი. 1851 წლის აგვისტოში, როცა დიკენსი ბროდსტერსში „ცივი სახლის“ სიუჟეტს აყალიბებდა, წერდა: „საქმე მარჯვედ ვერ მიდის: სიმპტომებია: საშინელი სულიერი შფოთვა და სადმე წასვლის გაურკვეველი სურვილი. არ კი ვიცი, სად და რისთვის“. და შემდეგ: „კინლამ ჩემოდანი გავამზადე და გავემგზავრე... შეეიცარიამი, მთებში, მარტოდმარტო. ისევ მტანჯველი მოუსვენრობა მიღრღნის გულს. არ გაგიკვირდეთ, რომ ჩემი წერილი ერთ მშვენიერ დღეს მონბლანის ძირიდან მიიღოთ. დროგამოშვებით ჩემი ფიქრები თხზულების გარშემო ტრიალებს. მაგრამ რაც უფრო გარკვეულ მოხაზულობას იღებს სიუჟეტი, მით უფრო საშინელი კაემანი მეუფლებს! სადაც გინდა ვიყო, და არა აქ... რაღაც ძალა სხვაგან მეწევა“. შემდეგ „ცივმა სახლმა“ რამდენიმე ხნით ადგილი დაუთმო სახლს ტევისტოკ-სკვერზე. მაგრამ გადავიდა თუ არა ტევისტოკ-სკვერზე, დიკენსი უმაღლე გულმოდგინედ შეუდგა საფუძვლის მზადებას ახალი წიგნისთვის. პირველმა

თავებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ისინი მის უკანასკნელ ბავშვთან ედვარდ ბულვერ ლიტონ დიკენსთან ერთად გაჩნდა. დიკენსი თავის ვაჟებს ყოვლად წარმოუდგენელ სახელებს არქმევდა. ახლად-შობილს პლორნიშგენტერი დაარქვა, შემოკლებით — პლორნი.

განა მისის დიკენსის სამშობიარო ტყვილები შეედრებოდა ქმრისას! დიკენსის ლიტერატურულ „ძეებს“ ეკუთვნოდა მისი ყველა ფიქრი და გრძნობა. „ვიწვი, როგორც ციებ-ციხელებიანი, „ცივი სახლით“ ვარ დაავადებული. ხუთ საათზე ავდექი და გაშმაგებით ვეცი სამუშაოს. თორმეტი საათისათვის თითქმის დაკარგული მქონდა რაიმეს აღქმის უნარი“. დევონშირის ჰერცოგმა ჩეტსვორტში მიიწვია დიკენსი სადილად, მაგრამ ის წიგნს ვერ მოშორდა. ყოველგვარ მოწვევებზე უარს ამბობდა: „სიმართლე რომ ვთქვა, დიდი ხანია მწარე გამოცდილებით ვისწავლე, რომ, თუ წიგნს სწერ, მან პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს შენს ცხოვრებაში და განუყოფლად ფლობდეს ყველა შენს ფიქრს. შევეუროვდი იმას, რომ ბედმა გართობა კი არა, შრომა და საზრუნავი მარგუნა და ლხინში საპატიო ადგილები ჩემი რომანების გმირებს ეკუთვნის“. ერთი ამ შეთხზული თანამეინანეთაგანი მართლაც არა ერთხელ ყოფილა დიკენსის სუფრის მონაწილე. ეს ლი ჰანტი იყო, რომელიც დიკენსმა დიდი სიმართლით, შესანიშნავად და იმავე დროს არასახარბიელოდ დახატა პაროლდ სკიმპოლის სახით. რა თქმა უნდა, ბევრი ამტყუნებდა დიკენსს, მწერალმა ცუდი გემოვნება გამოამჟღავნა, მახლობელი ადამიანი ასე რომ დახატაო, მაგრამ ცუდი გემოვნება, თუ ის მიღებული პირობითობის დაუცველობაში ვლინდება, ხომ ყველა დიდ ადამიანს ახასიათებს, ის დიდი ნიჭის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. სკიმპოლის სახით დიკენსმა შეძლო უდიდესი ოსტატობით გადმოეცა ჰანტის საყოველღეო ფილოსოფია, უკეთ რომ ვთქვათ, ამ გულგაუტეხელი ეგოისტისა და ეპიკურელის დამოკიდებულება თავისი თავისადმი. ჰანტი — სკიმპოლის სახე ინგლისური ლიტერატურის სწორუპოვარი შედეგია.

ჰანტის გარდა „ცივი სახლის“ ფურცლებზე დიკენსის სხვა ცნობილი თანამედროვეებიც მოექცნენ. მაგალითად, ბოიტორნი მეგობრული შარკია უოლტერ სევეჯ-ლენდორისა. ყოველ შემთხვევაში, ის ჩაფიქრებული იყო, როგორც მეგობრული შარკი და ავტორს ასეც ეჩვენებოდა: რაც შეეხება ლენდორს, ამის გამო მაინცდამაინც

აღტაცებული არ იყო. ესეცაა: ძლიერ ცოტა ვინმე მოიპოვება, რომ თავის თავის სასაცილო მდგომარეობაში დანახვის ატანა შეეძლოს, მით უფრო — გაუხარდეს, როცა მის ახირებულებას ვინმე წიგნის გვერდზე დასცინის. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი მოქცევა იმ ადამიანისა, რომლითაც ლენდორი აღტაცებული იყო, მან ცუდი გემოვნების გამოვლინებად მიიჩნია, მაგრამ მათი ურთიერთობა გარეგნულად არ შეცვლილა.

რომანში კიდევ სამი საყურადღებო თავისებურებაა. ერთი რომ, აქ მკაფიოდ იგრძნობა დიკენსის სათაყვანებელი კარლეილის გაფლენა: წიგნი ისევე სხარტადაა დაწერილი, როგორც კარლეილის „საფრანგეთის რევოლუცია“. მეორე — რომანიდან ჩანს, რაც უფრო ახლოს ეცნობა ავტორი „მაღალ საზოგადოებას“, მით უფრო შტრულად უცქერის მას: საკმარისია, დავასახელოთ სცენები, სერ ლესტერ დედლოკის სახლში და ქალაქგარეთ მდებარე მამულში. სინამდვილეში დიკენსს დედლოკების ახლოს გაცნობის შემთხვევა არ მისცემია. მაგრამ მაინც შეძლო მათი ბევრი დამახასიათებელი თავისების გამოცნობა. მაშინ დიკენსს ჯენტლმენის — სოფლის ძველი დიდკაცობის წარმომადგენლის დახატვა არ შეუძლიაო. უჭკველია, ასე ფიქრობდნენ თვით ეს ჯენტლმენები, რომლებიც საკუთარ ახირებულებას ვერ ამჩნევდნენ, და ისინიც, ვინც ოცნებობდა ერთი იმათთაგანი გამხდარიყო, ე. ი. ასე ფიქრობდა უმრავლესობა. იშვიათი გამარჯვებაა (თუმცა ასეთი გამარჯვებები ამ წიგნში ბევრია) სერ ლესტერ დედლოკის პორტრეტი. სერ ლესტერი ღრმა სავარძელში ზის, ბუხარში ცეცხლს ჩასცქერის და უსმენს თავის რწმუნებულს, რომელიც ფიცის ქვეშ მიცემულ ჩვენებებს უკითხავს, და როგორც ჩანს, „იწონებს ყველა იმ იურიდიულ გაჭიანურებებსა და განმეორებას, რომლებიც ბრიტანეთის ერის ერთ-ერთ სიმაგრეთაგანს წარმოადგენს“. რომანის გვერდებზე ახალი ამბების და ჭორების გაგებას მოწყურებული მაღალი წრის პეპლები დაფრინავენ, რომ მოწყენილობას თავი დააღწიონ. ისეთები, როგორებიც დღესაც არიან, ათასი წლის წინ იყვნენ და ათას წელიწადს კიდევ იქნებიან. „ახლობელი მეგობარი ქალები ქირდავენ მას მაღალი საზოგადოების მოდური ყარგონით, თავს იწონებენ უაზლესი მოდური ფრაზებით და მანერებით. ოსტატურად, მოჩვენებითი გულგრილობით აგრძელებენ სიტყვებს უკანასკნელი მოდის მიხედვით“.

დაბოლოს, ვამჩნევთ, რომ ლონდონის ატმოსფერო ყოველ ახალ წიგნში უფრო და უფრო მძიმდება. მთელი ცა ქარხნების მიღებისა და ორთქლმავლების ბოლით იბურება და ჰაერი სქელი ნისლით იყლინება. დიკენსმა შეიძულა ქალაქი, რომელიც მისთვის მუდამ შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. „ჩემი გულწრფელი რწმენით ლონდონი საძაგელი ადგილია. — წერდა ის 1851 წელს. — მას შემდეგ, რაც საზღვარგარეთ ვიყავი, მას წინანდებურად თბილად ვეღარ ვუცქერი. ახლა, როცა საიდანმე ქალაქში ვბრუნდები და ამ ბნელ ცას ვხედავ, უზარმაზარ გუმბათივით რომ დამხობია სახურავებს, ყოველთვის მიკვირს: რა ეშმაკად ვარ აქ გაჩხერილი? რა საქმეები მაიძულებენ...“ შეიძლება ითქვას, რომ „ცივ სახლში“ ნისლი რომანის ერთ-ერთი გმირთაგანია. მეორე ასეთივე პერსონაჟი საკანცლერო სასამართლოა. ლორდმა დენმანმა. ცნობილმა იურისტმა, სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ და დიკენსის ძველმა მეგობარმა, ახალ წიგნს კრიტიკული წერილების ჯერი დაუშინა. ადვოკატების მრავალრიცხოვანმა კოლეგიებმა, როცა იგრძნეს, რომ მათ შეძლებულ არსებობას საფრთხე ემუქრებოდა, თავიანთი განათლებული აზრი გამოთქვეს წიგნზე, როგორც ფაქტების საზიზღარ და მახინჯებაზე. მიუხედავად ყოველივე ამისა, სულ მალე „ცივი სახლის“ გამოსვლის შემდეგ საკანცლერო სასამართლოს რეფორმა ჩატარდა.

როცა დიკენსის შემოქმედებას იხილავ. უნებურად გებადება სურვილი, მისი გენია ყეყეჩობისა და უგუნურების წუშებით გარემოცულ ცეცხლისმფრქვეველ ვულკანს შეადარო. არსად არ არის დიკენსი ისე ბრწყინვალე, როგორც „ცივ სახლში“. ყველა სხვა მწერლისათვის მხოლოდ ჰაროლდ სიკმპოლი იქნებოდა საკმაო სახელის მოსახეველად. აქ კი კიდევ ათეულ პორტრეტს შეუძლია დაიჭიროს ადგილი დიკენსის მიერ შექმნილი შედეგების ეროვნულ გალერეაში. ამავე ღროს ესთერ სამერსონის დღიურში ბევრი ისეთი რამ არის, რაც უეჭველად დაასამარებდა ყველა მწერალს, გარდა დიკენსისა.

1852 წლის ივლისში დიკენსი ზღვაზე გაემგზავრა — ამჯერად დუვრში, სადაც ოქტომბრამდე დარჩა. „...ქალაქი... მეტად ფაქიზია, სამაგიეროდ აქ ზღვა საუცხოოა და სასეირნო ადგილები შესანიშნავი!“ ვიდრე რომანის მორიგ გამოშვებას ხელს მოჰკიდებდა.

მწერალი ყოველთვის დიდხანს სეირნობდა მარტო. „დღეს „სახე-  
ტილო“ დღე მაქვს ხანგრძლივი მუშაობის წინ. ასეთ დღეებში მუ-  
დამ იმას დავეძებ, რაც ცხოვრებაში ვერ მიპოვია... წავალ, ეგებ  
კენტერბერის გზაზე ვიპოვო“.

ვიდრე დიენსი ღუვრში იყო, მისი სამი მეგობარი გამოესალმა  
სიცოცხლეს: როკინჰემის კოშკის პატრონი უოტსონი, გრაფი დ'ორ-  
სე და მისის მაკრიდი. აგვისტოში და სექტემბერში მწერალმა თავი-  
სი დასით ჩრდილოეთ ინგლისი მოიარა, ლიტონის კომედია დადგა  
სხვადასხვა ქალაქში და ლიტერატურულ გილდიას გვარიანი თანხა  
მოუტროვა. ოქტომბერში მან, ქეთიმ და ჯორჯინამ ორი კვირა ბუ-  
ლონში გაატარეს. ძლიერ მოეწონათ ეს ქალაქი და გადაწყვიტეს,  
მომავალი ზაფხულიც იქ გაეტარებინათ.

1853 წლის ივნისამდე დიენსი ლონდონიდან არ გასულა, ივ-  
ნისში მთელი ოჯახით ჩავიდა ბულონში და ოქტომბრამდე ცხოვ-  
რობდნენ შატო დე-მულინაში რიუ ბორეპერზე. ბულონში გამგ-  
ზავრების წინ დიენსს იმ სატივიარმა გაუხსენა, ბავშვობიდან რომ  
სტანჯავდა: ეს თირკმელების ქვალეები იყო. ექვსი დღე იწვა ლო-  
გინში. ექიმები წასვლას არ ურჩევდნენ. მაგრამ საფრანგეთში ორი-  
ოდე დღის შემდეგ სატივიარი მიუყუჩდა და მწერალი შეუდგა მზი-  
არული წერილების წერას მეგობრებისადმი. დაჟინებით იწვევდა  
მათ ბულონში.

„თუ რამის კეთება გკირდებათ, უკეთეს სამუშაო ადგილს ვერ-  
სად იპოვით, ხოლო თუ საქმე არა გაქვთ, ეს ადგილი საამისოდაც  
კარგია“, — სწერდა ის უილკი კოლინზს, რომელიც 1851 წლის ოქტ-  
დგეს გაიცნო. კოლინზი ოგასტეს ეგთან ერთად თამაშობდა ლიტო-  
ნის კომედიაში და დიენსის სიმპათია დაიმსახურა. მის გარდა ბუ-  
ლონს სხვადასხვა დროს ესტუმრნენ ლიჩი ცოლითურთ, ფორსტე-  
რი, ბირდი, მერი ბოილი და მრავალი სხვა. დიენსი სწორედ „უივ  
სახლს“ ამთავრებდა. გარდა ამისა, ბევრს მუშაობდა „საოჯახო  
კითხვისათვის“, კარნახობდა „ინგლისის ისტორიას ბავშვებისათვის“  
და ამავე დროს ახერხებდა ექსკურსიების მოწყობას სტუმრებისა-  
თვის ამიენში, ბოვესა და სხვა ადგილებში. მისი ოთხი ვაჟი — სხვა-  
დასხვა დროს — სწავლობდა ბულონის სკოლაში, რომელიც იქ ორ-  
მა ინგლისელმა გახსნა.

თითქმის ერთდროულად დაამთავრა დიენსმა ორივე წიგნი და

გადაწყვიტა, დაესვენა საქმეებისა და ოჯახისაგან. ამისთვის მორიგი მოგზაურობა მოაწყო. ამ „არღაღეგებზე“ მისი თანამგზავრები უნდა ყოფილიყვნენ ოგასტეს ეგი და უილკი კოლინზი. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ის ლონდონში უნდა ჩასულიყო ბანკეტზე, რომელიც მის პარტივსაგანდ მისგან დიდად დავალებულმა ლიტერატურულმა გილდიამ გამართა. თავმჯდომარედ ფორსტერი იყო. მან თავისი გულისწყრომის აფრა აუშვა. ამ გულისწყრომას დიკენსის და კოლინზის მეგობრობა იწვევდა. ჯერ კიდევ 1851 წლის ივლისში დიკენსი წერდა, ფორსტერი ყოველნაირად ცდილობს გილდიის საქმიანობას ხელი შეუშალოს. პიესების დადგმაში აღარ მონაწილეობს, ყველას უჩიჩინებს, „არც ერთი ჯენტლმენი არ იკისრებს თეატრს პროვინციაში სდიოსო.“ ახლა, 1853 წლის ოქტომბერში, დიკენსმა მისწერა თავის ცოლს: ბანკეტი ძალიან „კარგად ჩაივლიდა, თავმჯდომარის „დიდ უტაქტობასა და ხუმტურიანობას“ ხელი რომ არ შეეშალო. ეს არც გასაკვირია: როგორ შეეძლო ფორსტერისთან ადამიანს, თავი გაერთმია თავმჯდომარის როლისათვის, რომელიც დიდ თავდაპყერილობასა და თავაზიანობას მოითხოვს, მით უფრო, რომ სუფრაზე ისხდნენ დიკენსის ახალი მეგობრები, კოლინზი და უილსი. მათთან ერთად დიკენსი ევროპაში უნდა წასულიყო.

ოქტომბრის დამდეგს მეგობრები შვეიცარიაში ჩავიდნენ. ლონჯონში დიკენსი თავის ძველ მეგობრებს შეხვდა. იქიდან შამონში წავიდნენ. „ოტელ დე ლონდრში“ მეგობრებმა სამი ცხელი აბაზანა შეუქვეყნეს. „შიშის მომგვრელი, უხარმაზარი ღუმელი გააჩაღეს, მთელი ხეობა კვამლით აივსო“, მაგრამ ორი სტიქია წყალი და ცეცხლი რაღაცნაირად შეუწყობლად მოქმედებდა: ექვსი საათი გავიდა, რაც გამალებული სამზადისი დაიწყო, და... სამივე ისევ დაუბანელი იყო. სამაგიეროდ სხვა ყველაფერი წარმატებით შეასრულეს, რაც ღირსეულ ტურისტს წესით და რიგით ევალბა. დიკენსი მისდა სასიამოვნოდ ჯერ კიდევ მოგზაურობის დაწყებისას დარწმუნდა, რომ კოლინზი, „ყველაფერს უბრალოდ უცქერის და წვრილმანების გამო გუნება არ ეცვლება, ეს კი მთავარია“. გარდა ამისა, როგორც გაირკვა, ის „ყველაფერს ჰამს და სვამს თანმიყოლებით, ყველგან ყველას შეეწყობა და ყოველთვის კარგ გუნებაზეა“. მაგრამ აქ დიკენსის თანამგზავრების ნაკლებად სასიამოვნო თვისებებიც გამოვლინდა: „ასეთ ადგილებში, როგორც, მაგალი-

თად, აქაა, იგი ზოგჯერ ისეთ კომფორტს მოითხოვს, როგორსაც პარიზშიც ვერ ნახავ, ხოლო კოლინზი მომსახურეობის ანაზღაურებისას ცოტას მოიძინწებს...”

მსგავსად ბევრი სხვა ქმრისა, დიკენსსაც ისე არასდროს არ უყვარდა ცოლი, როგორც მაშინ, როცა შორს იყო მისგან. წასვლიდან ათი დღის შემდეგ სწერდა მას: „საშინლად მენატრება თქვენი ყველასი ნახვა“, ხოლო ერთი თვის შემდეგ: „ძალიან ბედნიერი ვიქნები, როცა დავბრუნდები და გადაგეხვევი, რადგან ცხადია, ძალიან მენატრები“. რამდენიმე წერილში ჩიოდა: „მეგობრებს ვერ შევაგნებინე, რომ შეიძლება სულაც არ დავწვე დასაძინებლად“. მის თანამგზავრებს მთელი დღის მგზავრობის შემდეგ ღამითაც მგზავრობა აღარ ხიბლავდათ და დიკენსური მანძილების ფეხით გავლანზე გადაჭრით უარს ამბობდნენ. მაინც ძალიან შეხმატებილებული და მგზავრობით ნასიამოვნები იყვნენ. სიმპლონის უღელტეხილის გადალახვის შემდეგ მილანს გვერდი აუქციეს და გენუაში ჩავიდნენ.

ზღვით წავიდნენ ნეაპოლში — „ერთ-ერთ უსაზიზღრეს ქალაქში დედამიწის ზურგზე“, სადაც თბილი აბაზანები ბევრად უფრო საკირო იყო, ვიდრე შვეიცარიაში. აქ ისინი უფრო ხელმისაწვდომიც გახლდათ. „თავიდან ფეხებამდე გამსაჰნეს ნეაპოლური საპნით, ლუფით მხეხეს, ჭაგარისით მფხიკეს, ფრჩხილები დამაჭრეს, კოყრები ამომჭრეს და კიდევ რაღაც წარმოუდგენელი მანიპულაციები გამოიკეთეს. მეაბანოვე აშკარად გაკვირვებული და ნაწყენი იყო იმით, რომ არც ისე ქუეყიანი აღმოეჩნდი...“ რომში რომ ჩავიდნენ, დიკენსი შეშფოთდა: ქეთის წერილი არ დახვდა. მეორე დღეს წერილი მოვიდა და დიკენსმა აცნობა ცოლს მისი შეგვიანების მიზეზი: „საერთოდ ვერ გამიგია, სულაც როგორ მოაღწია შენმა წერილმა. დაიჭერებ, ჩემი სახელი და გვარი კონვერტზე ისე გაურკვეველად აწერია, რომ ვერც ერთი საზღვარგარეთული საფოსტო კონტორა ვერ მონახავდა აღრესატს. მე ასე მგონია, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მოხელეები განზე სდებდნენ შენს წერილს. გასაკვირი ისაა, როგორ გაარკვია რომელიმე იტალიელმა ან ფრანგმა, რომ ჩემი გვარის პირველი ასო დ არის“.

რომიდან მეგობრები ფლორენციაში გაემგზავრნენ და კოლინზი, რომელიც ოდესღაც მხატვარი იყო, ისევე დიდი მოვლენების ცენტ-

რში აღმოჩნდა: წარმოსახვითი ხელოვნება, — წერს დიკენსი, — თემა საუბრისათვის, რომელშიც მე არ ვერევი. როგორც კი კამათი იწყება, მე თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს ჩაფიქრებული ვარ. არც სამხატვრო გალერეაში დავყვები მათ. რა მოსასმენია, როცა კოლინზი დიდი მეცნიერებით უჩიჩინებს ეგს (რომელსაც ეს სისულელეები ისე სძულს, როგორც არცერთ მხატვარს დედამიწის ზურგზე) წითელ და მწვანე ტონებზე, იმაზე როგორ „თამაშობს რაღაც ერთი რაღაცა მეორის ფონზე; სწორ და არასწორ ხაზებზე! ამას ვერავითარი პაროდია ვერ შეედრება! არასდროს არ დამავიწყდება. ბევრი რამ გაუგონია მას მუსიკაზეც და მთელ უვერტიურებს უსტვენს, ან ბუბუნებს, მაგრამ თავიდან ბოლომდე ვერც ერთ სწორ ტაქტს ვერ გაიგონებ. გუშინწინ ველარ მოვითმინე და ვთხოვე, ვილჰელმ ტელის უვერტიურას ნულარ უსტვენ-მეთქი. „პატიოსნებას გეფიცებით, — ვუთხარი მე, — თქვენი სმენა რაღაც საექვო მდგომარეობაშია, ბამბა ხომ არ გაქვთ ყურში? გაგონილა, სულ მარტივ ჰანგს ასე გაუსწორდეთ? „ზოგჯერ ფრანგული რომანებიდან ამოკრეფილ ზნეობრივ საწყისებს გვაცნობს. მე კი დაუყოვნებლივ შემთხვევის შესაფერი სერიოზულობით ვაცამტვერებ მათ. ხშირად გვიამბობს, როგორი გამოჩენილი პირები მიმართავდნენ მას რჩევისათვის, რას ეუბნებოდნენ, რას უპასუხებდა... ყველაფერ ამას გწერ იმიტომ, რომ სხვა არაფერი მაქვს მოსაწერი. სინამდვილეში საუკეთესო მეგობრები ვართ და ჩვენს შორის არც ერთი უთანხმოება არ მომხდარა“.

ფლორენციის შემდეგ მეგობრებმა ვენეცია და ტურინი მოიარეს. ოქტომბრის შუა რიცხვებში დიკენსი უკვე ტევისტო-აუსში იყო.

1853 წელი დიკენსისათვის ოვაციების ქუხილით დამთავრდა, რომელთა ხმაურში ამ წიგნის ავტორს ავისმაუწყებელი გაფრთხილება მოესმის. ბირმინჰემისა და მიდლენდის ინსტიტუტების საპრობებისათვის ფულის საშოვნელად დიკენსმა საჯარო კითხვები გამართა: 27 დეკემბერს ბირმინჰემის რატუშის შენობაში „სამოზაო სიმღერა“ წაიკითხა, 29-ს — „ჰრიკინა ლუმელზე“, ხოლო 30-ს იგივე „ჰრიკინა“ გაიმეორა მუშათა აუდიტორიაში, რომლისთვისაც ბილეთზე სპეციალური ფასი დაინიშნა: ექვსი პენსი. ამ კითხვებს ექვსი ათასამდე მსმენელი დაესწრო. აღტაცების ქარიშხალს ბოლო



არ უჩანდა. ყოველი მხრიდან მოდიოდა საქველმოქმედო ორგანიზაციების წერილები თხოვნით, კვლავ წაეკითხა თავისი თხოვნებები. ვინც მსახიობადაა დაბადებული, მისთვის ასეთი ცდუნების გაძლება ძნელია. დიკენსმა დროთა ვითარებაში თავისი გულის ნადები განახორციელა, მაგრამ ამით თავის სასიკვდილო განაჩენს მოაწერა ხელი.

## ახალი მეგობარი

1855 წლის თებერვალში დიკენსი პარიზში აპირებდა წასვლას უილკი კოლინზთან ერთად. ამ დროს მისის ვინტერის წერილი მიიღო. მისის ვინტერი? მარია ბიდნელი! მისი პირველი სიყვარული! „განშორების მრავალი წელი სიზმარივით გაქრა და წერილი ცახცახით გავხსენი, როგორც ჩემმა ნორჩმა მეგობარმა დევიდ კოპერფილდმა, როცა ის შეყვარებული იყო“. წარსულის მოგონება მუდამ არაჩვეულებრივად ანაღვლიანებდა დიკენსს. უეჭველად ბედნიერების მიუღწევლობით გამოწვეული კაეშნის გამოვლინება იყო ახალ ადამიანებთან მეგობრობის დამყარების მისწრაფება და გაუგებარი სევდის ახალი აფეთქებაც. სწორედ ასეთ მომენტში მის წინაშე არარსობიდან წარსული სიყვარულის სახე წამოიჭრა და იმედი აღუძრა, შესაძლოა მაინც მარიას უწერია ჩემი გზის მანათებელი ვარსკვლავი გახდესო. დიკენსმა ქალს უპასუხა, არაფერი დამეფიწყნია, წარსული ნათლად, ცოცხლად მახსოვსო. „თითქოს მას შემდეგ ხალხით გარშემორტყმული არასოდეს ვყოფილვარ, თითქოს სახელი „დიკენსი“ საკუთარი სახლის გარდა არსად გამეგონოს. ეს რომ ასე არ იყოს, რად ველირებოდი მე და ჩემთან ერთად ჩემი შრომა და ჩემი დიდება!“ სწერდა, პარიზში წასვლას ვაპირებ და შეიძლება თუ არა, იქ თქვენ და თქვენს ბავშვებს რაღე გიყიდოთო. შემდეგ იგონებდა თავისი გაუზიარებელი სიყვარულის მწარე ხანას და დასძინდა: „ყველაფერი, რაც ჩემს მეხსიერებაში თქვენთანაა დაკავშირებული... წერილმა... არა, სიტყვა ვერ მიპოვნია... თქვენი წერილი ისე მალეღეებს, როგორც ვერც ერთი ხელით დაწერილი ვერ ამალეღეებს. ვიმედობ, რომ მისტერ ვინტერი მაპატიებს ამას...“

პარიზში დიკენსმა მარიასაგან კიდევ ერთი წერილი მიიღო. ახლა მისის ვინტერი ნათლად ხედავდა, რა ბევრი დაკარგა, როცა მისი სიყვარული უარყო. რა სახელი! რა სიმდიდრე! მისმა გულთბილმა წერილმა ქალი ალტაცებაში მოიყვანა. გადაწყვიტა, ეგებ ყველაფერი დაკარგული არ იყოსო. მსოფლიოში ყველაზე ცნობილ მწერალთან მეგობრობაც არ არის ცუდი, განსაკუთრებით, თუ ყველა გაიგებს, რომ მისი პირველი და ყველაზე ძლიერი სიყვარული მე ვარ და არა სხვაო. პარიზიდან მიღებული მეორე წერილი კიდევ უფრო მღელვარე, ინტიმური და დამაიმედებელი აღმოჩნდა. დიკენსი სწერდა, პირველ წარმატებას თქვენი წყალობით მივალწვიეო. „ჩემი სიცოცხლის ყველაზე მიამიტ, ყველაზე მგზნებარე, ყველაზე წმინდა დღეებში თქვენ ჩემი მზე იყავით... არასოდეს არ ვყოფილვარ უფრო კარგი, ვიდრე იმ დროს, როცა თქვენი წყალობით უსაზღვროდ უბედური ვიყავი“. მან შთააგონა „დევიდ კოპერფილდის“ გმირი ქალის დორას სახე. „ღრმად მწამს და იმედი მაქვს (ამაში ცუდი არაფერია), — რომ თქვენ ერთიორჯერ მაინც დახურეთ ეს წიგნი და გაიფიქრეთ: „რა ძლიერ ვყვარებივარ ამ ქაბუქს! და რა კარგად ახსოვს თავისი სიყვარული ამ კაცს!“

მესამე წერილი, დაწერილი შინ დაბრუნების შემდეგ, ასე იწყება: „ჩემო ძვირფასო მარია“. როგორც ჩანს, მისის ვინტერმა მოასწრო გადაეკრა, რომ მათი დამორების მიზეზი ახალგაზრდობაში უბრალო გაუგებრობა იყო. „აჰ, რა დაგვიანებულია ეს სიტყვები, დაწერილი ნაცნობი ხელით! არასოდეს არ წამიკითხავს ისინი წინათ და ახლა მაინც ვკითხულობ ღრმა გრძნობით, აღრინდელი სინაზით, რომელსაც ენით გამოუთქმელად სევდიანი მოგონება ახლავს... ჩემს თავს კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს მივალწვიედი ამ ქვეყნად, თქვენ რომ ერთხელ მაინც გეთქვათ ის, რასაც ახლა მწერთ: იმდენი რწმენა და ენერჯია იყო მაშინ ჩემს სიყვარულში“. და განა ახლა არ შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი იღუმალი ფიქრები? მისის ვინტერი იწერება, რომ „უკბილო, სქელი, ბებერი და უშნო გახდა“. ეს შეუძლებელია! ის ისეთივეა, როგორც ყოველთვის! რა ფასი აქვს სახელის განთქმას, თუ ახალგაზრდობის ჩვენებას ზურგი უნდა შევაქციოთ?“ „მთხოვთ, რომ თქვენი სიტყვები გულში შევიანაზო. აბა ნახეთ, რას ვატარებდი მასში განვლილ წლებში, ბედის ტრიალში!“ ისინი უნდა შეხვ-

დნენ ერთმანეთს — პირველად მარტონი; ხოლო შემდეგ ერთი —  
ქმრით და მეორე — ცოლითურთ. დასასრულს დიკენსი წერს: „გახ-  
სოვდეთ, — გულით და სულით ვიღებ ყველაფერს და იმიტვე გიზ-  
ღავთ სამუდამოდ თქვენი მოყვარული მეგობარი“.

„იმიტვე გიზღავთ?“ ჰმ! რით გადაუხადა სახელდობრ, — ამას  
ვხედავთ მწერლის შემდეგ წიგნ „პაწია ღორიტში“, სადაც მარია  
ფლორა ფინჩინგის სახით გვევლინება. უეჭველია, ამჯერად მარიამ  
თავისი თავი ვერ იცნო, ანდა იცნო, მაგრამ გადაწყვიტა, ბევრად  
უფრო ვგავარო დორას. დიკენსმა უთუოდ თვალებს არ დაუჭერა,  
როცა თავისი ახალგაზრდობის ოცნების ნაცვლად ჩასუქებული და  
ძალიან სულელი მანდილოსანი იხილა. „დაინახა თუ არა კლენემმა  
თავისი აღრინდელი სიყვარულის საგანი, მასში იმ სიყვარულის  
კვალიც აღარ დარჩა... ფლორა, ოდესღაც შროშანი, ახლა პიონად  
ქცეულიყო — მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ფლორა, რომლის ყოველი  
სიტყვა, ყოველი აზრი ესოდენ მომხიბლავი იყო, ძლიერ სულელი  
და ენაქართალა გამხდარიყო. ფლორას, წინათ ნებიერ ბავშვს, ახ-  
ლაც ისევე ნებიერი ბავშვივით ექირა თავი. ეს უკვე კატასტროფა  
იყო“. მაგრამ დიკენსის ხასიათში ტყუილად კი არ თავსდებოდა მრავ-  
ალი სხვადასხვა ადამიანური თვისება. ის მხოლოდ ტრაგიკული  
გმირი კი არა, ჯამბაზიც იყო, რომელსაც შეეძლო დამსხვრეული  
ოცნების ამბავი კომედიად ექცია, ნაზი სასიყვარულო მოგონებე-  
ბი — პასკვილად. ეს — ლიტერატურაში... რაც შეეხება რეალურ ამ-  
ბავს, აქ ის საჩქაროდ გამოითიშა თამაშიდან. ერთი თვეც არ გასუ-  
ლა მათი შეხვედრის დღიდან, რომ მან მარიას, სქელ და სულელ  
მარიას მისწერა: „მივდივარ, რომ დავუფიქრდე რას, — მე თვითონ  
არ ვიცი. სად წავალ და რამდენი ხნით — ღმერთმა უწყის“. ქალის  
ყველა ცდა, სიახლოვე განეახლებინა, ამოი აღმოჩნდა. დიკენსმა აც-  
ნობა, სამუშაო დღეებში ყელამდე დატვირთული ვარ, ხოლო კვი-  
რაობით ქალაქგარეთ გავდივარო. მარიას შვილი მოუკვდა. დიკენსი  
მისასამძიმრებლად არ მივიდა. მისწერა: სრულიად დარწმუნებული  
ვარ, რომ უმჯობესია თქვენთან არ ვიარო. ჯობს განმარტოებით ვი-  
ფიქრო თქვენზეო. მასთან ურთიერთობის გაგრძელება ჯორჯინას  
შიანდო. მანდილოსნები დროგამოშვებით წერილებს სწერდნენ  
ერთმანეთს.

„პაწია ღორიტზე“ მუშაობას ჩვეული აფორიაქებისა და სული-

ჯრი შფოთვის ხანა უძლოდა წინ. 1854 წლის ოქტომბერში დიკენსს სადმე მარტო წასვლის სურვილი აეკვიატა. უნდოდა ახალი წიგნის წერა შორს, მიუწვდომელ ადგილას დაეწყო, „შვეიცარიის ერთ-ერთ თოვლიან მწვერვალზე, რომელიმე მონასტერში“. თითქოს მოუსვენრობის სულმა შეიპყრო. „მტკრიან ჰაერში ახალი წიგნის ნაწყვეტებს ვხედავ, აგერ-აგერ წინანდელი ვაებაც თავს იჩენს და ანგარიშების გასწორებას დამიწყებს“. მისში ისეთ მდგომარეობამდე მივიდა, როცა „სულ სადღაც მეწვეა რაღაც ძალა, ვერაფერს თავს ვერ ვაბამ, წუთი მოსვენება არა მაქვს, — ერთი სიტყვით, ღროა, ახალი წიგნის წერა დავიწყო!“... დამღამობით ბოლთას სცემდა ოთახში, დახეტებოდა მთელ სახლში, ქუჩებში, გემით მგზავრობაზე ოცნებობდა; საზოგადოებაში განმარტოებას ცდილობდა; მარტო რომ დარჩებოდა, საზოგადოებისაკენ მიილტვოდა, თავისთვის იცინოდა, გრძნობა მოერეოდა და ქვითინებდა. ერთი სიტყვით, თავი ისე ექირა, როგორც გიჟს, პოეტსა და შეყვარებულს.

ცოტა ხნით ამ მდგომარეობიდან ის უილკი კოლინზმა გამოიყვანა, — მელოდრამა „შუქურა“ გამოუგზავნა. დიკენსმა უმაღვე მისი დადგმა განიზრახა, თავის პატარა თეატრში რეპეტიციები დაიწყო და რომანი დროებით დავიწყებას მიეცა. ტვეისტოკ-სკვერზე მდებარე სახლში გახურებული მუშაობა დულდა. ოთახებსა და კორიდორებში დეკორატორები და ხუროები, გამნათებლები და მეკოსტუმეები, მსახიობები და მუსიკოსები ტრიალებდნენ. ჩაქუჩების კაკუნი, ხერხის წივილი, ადამიანთა ხმები და ვიოლინოს წრიპინი გაისმოდა. ავეჯს დაათრეუდნენ, დეკორაციებს ამაგრებდნენ, რაღაც გრიალებდა, რაღაც ჭრიალით აყრუებდა მთელ სახლს. დიკენსი ისევ თავის სტიქიაში მოექცა: მისი პატარა თეატრი მწერლისთვის ცოცხალ რეალურ სამყაროს წარმოადგენდა და საყვარელი წამოწყება ისე ახარებდა, როგორც პატარა ბავშვს — ახალი სათამაშო. ქანცამოლეული მსახიობები რეპეტიციის შემდეგ ტრადიციულ ვახშამს მიუსხდებოდნენ და უცქეროდნენ, როგორ ამზადებდა მას-პინძელი პუნშს. დიკენსიც ისე ღელავდა. როგორც სტუმრად მოყვანილი ბავშვი. სტენფილდმა ფარდა დახატა. (ის ახლაც ინახება ჰემპსტედის კენვუდ-ჰაუსში). დიკენსი შუქურას ზედამხედველის როლს თამაშობდა, წარმოდგენაში მონაწილეობდნენ მისი ქალიშვილი მერი, მარკ ლემონი, ოგასტეს ეგი და უილკი კოლინზი. საჭირა

გახდა სცენის გაგანიერება და დარბაზში მხოლოდ ოცდახუთი ადგილი დარჩა. ამიტომ იენისში სამი წარმოდგენა გაიმართა, ივლისში კიდევ — ერთი სპექტაკლი, საქველმოქმედო, კემპდენ-ჰაუსში მოეწყო. მაყურებლები მელოდრამაზე ხმამაღლა ტიროდნენ, ვოდევილზე გულიანად იცინოდნენ. ქვეთინიც და ხარხარიც განსაკუთრებით გრიგალისებური ხდებოდა, როცა სცენაზე დიკენსი გამოჩნდებოდა. ოპ, მისტერ დიკენს, რა საწყენია, — რომ თქვენ სხვა საქმიანობას ეწევით!“ — შეჰკენესა ერთხელ ვიღაც სიცილისაგან ღონემიხდილმა მანდილოსანმა...

ამ დროისათვის ფორსტერის მაგიერ დიკენსის საუკეთესო მეზობარი „შუქურას“ ავტორი იყო. მას ყურადღებით დაეაკვირდებოდას. თუმცა ვერავითარი გამკრიახი თვალი საერთო მოხაზულობის გარდა ვერაფერს დაინახავს: „უილკი კოლინზს ეხერხებოდა ნაკვალევების დაფარვა და, როგორც ჩანს, ჰქონდა კიდევ დასამალი რამეები“.

უილკი კოლინზი ლონდონში დაიბადა 1824 წლის 8 იანვარს, ე. ი. დიკენსზე ზუსტად თორმეტი წლით გვიან. ახალგაზრდობაში უილკი ყველაფერში დედის, მტკიცე ნებისყოფის შოტლანდიელი ქალის მორჩილი იყო. მამა მხატვარი ჰყავდა და შეიღს მისი ნიჭის რაღაც ნაწილი გამოჰყვა, იმდენი მაინც, რომ თავის თავის დაცივნის საბაბად გაეხადა. „რა გასაკვირია! — იტყოდა ის მოწიფულობის წლებში. — ეს შედეგრი თვით სახელგანთქმულმა უილკი კოლინზმა დახატა, რითაც ყველა მხატვარი-მეპეიზაჟე ისე შორს მოიტოვა, რომ მათი სიბრალულით თვითონ აიღო ხელი ამ პროფესიაზე“. სინამდვილეში კი პროფესიის არჩევის საკითხი მისთვის, მისივე თქმით, ჯერ კიდევ სკოლაში გადაწყდა. დორტუარში მის მეზობლად იწვა მოჩხუბარი და თავზეხელაღებული ბიჭი, რომელიც აიძულებდა, ძილის წინ სხვადასხვა ამბავი ეამბნა. ჩემს ტირანს მათრახი ექირა და, როცა გავჩუმიდებოდი გადმოიხრებოდა საწოლზე, ორიოდ „ცხელს“ მითავაზებდა, მე გველის ნაკბენივით წამოვვარდებოდი და... თავიდან ვიწყებდი. მაგრამ მაინც ვუმაღლი მას, რადგან სწორედ იმ მტარვალმა აღმოაჩინა ჩემში ნიჭი, რომლის არსებობას უმისოდ ეგებ ვერც კი მივმხვდარიყავ... სკოლის დამთავრების შემდეგ განვაგრძე ამბების გამოგონება უკვე საკუთარი თავის საამებლად!“ როგორც ჩანს, იმ ყაჩაღსას წყალობით მან მეტი ის-

წავლა, ვიდრე თავისი მასწავლებლებისაგან. ოცი წლის შემდეგ, როცა პროფესიული ლიტერატორი გახდა, გამოტყდა: დღემდე წარმოუდგენელ ორთოგრაფიულ შეცდომებს ვუშვებ, გრამატიკის არაფერი მესმის... დაიჭერებთ, ჩემს შეცდომებს ასოთამწყობები ასწორებენ“.

1846 წელს კოლინზი იურიდიულ კორპორაციაში შევიდა და ხუთი წლის შემდეგ ადვოკატი გახდა. მისი პირველი ლიტერატურული ცდათაგანი იყო მამის ცხოვრების აღწერა. ქაბუკობაში გადაწყვიტა, გართობაც საჭიროაო. „ეროვნული ბიოგრაფიული ცნობარი“ ფრიად ძუნწ ცნობებს იძლევა მასზე: „როცა მან სახელი გაითქვა, სიყრმეში დამყარებული სხვადასხვა ნაცნობობა ბევრი უსიამოვნების საბაზად ექცა. ეს დამლუპველად მოქმედებდა მის სულიერ განწყობილებაზე“. ერთია ცხადი: ახალგაზრდობაში ბლომად ჰქონდა სატრფიალო თავგადასავალი და აღვირახსნილი ღრეობები. თავის ეპოქის აზრს წესიერებაზე ოდნავაც არ უწევდა ანგარიშს.“

კოლინზი საკმაოდ შეუხედავი გარეგნობის გახლდათ: ჩია ტანი, პატარა ხელები და ფეხები, სიმაღლე — ხუთიოდე ფუტი, მაგრამ შუბლი ჰქონდა შესანიშნავი: მაღალი, თეთრი, მრგვალი. სათვალეებს ატარებდა. ორმოცდაათი წლისამ წვერ-ულვაში მოუშვა. ჩვეულებრივად სერიოზულად გამოიყურებოდა, სამაგიეროდ თვალები დამცინავად უციმციმებდა. ჯანით სუსტს ფერმკრთალი სახე ჰქონდა. მუდამ აწუხებდა რაიმე: ხან გული, ხან ღვიძლი, ხან კუჭი, ხან ფილტვები. ძალიან ბევრს ჰამდა და სვამდა. ამიტომ ხშირად იყო შეუძლოდ და შინ იჯდა. ერთხელ, მძიმე ავადმყოფობის დროს თრიაქი მიიღო და იმდენად უკეთ იგრძნო თავი, რომ ნელ-ნელა ნარკომანი გახდა. სიცოცხლის ბოლო წლებში თრიაქის ნაყენის ისეთ დოზებს ყლაპავდა ყოველდღე, რომელიც ადვილად დაასამარებდა რამდენიმე დამწყებ ნარკომანს.

მისი პირადი ცხოვრება სრულ გადახვევას წარმოადგენდა საყოველთაოდ მიღებული ნორმებისაგან. ის მეგობრებიც კი, თვითონ რომ საყვარლები ჰყავდათ, სთვლიდნენ, კოლინზი მეტისმეტსა შერებო. სტუმრად მას უცოლოდ იწვევდნენ, მის ოჯახშიც მხოლოდ მამაკაცების ლხინი იმართებოდა. „დაივიწყეთ ეს თქვენი წესიერება და სიტყვა მომეცით, რომ მოხვალთ“, ასე პატიყებდა ის მეგობრებს თავისას. საინტერესო მოსაუბრე იყო, ცინიკური, ენა-

მახვილი, თავისუფალი, ვულგარობამდე გულახდილი. მხიარული პესიმიისტი გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, და, როცა თავს გვარიანად გრძნობდა, დაუღალავად ოხუნჯობდა და ლაყბობდა. წესიერი მანდილოსნები ავსულად სთვლიდნენ, ის კი კეთილი, გულთბილი, ზანტი, თავმდაბალი კაცი იყო; არ სწყინდა, როცა ემბობდნენ, მისი მკითხველები ქურჭლის მრეცხავები არიანო. ყველაფრის წინააღმდეგი იყო, რაც ძალის დაძაბვას მოითხოვდა; სპორტს ვერ იტანდა. შეჭიბრების სულისკვეთებას წარმოშობსო, ჰინჯყლებსა და ჩხუბისთავეებს ზრდისო. კრიკეტის თამაშში გასაოცარი სისწრაფით არიდებდა თავს ბურთს, ნაცვლად იმისა, რომ უკუეგდო. დაწერა პიესა, რომელშიც ამტკიცებდა, სპორტული თამაშობანი ინგლისის ახალგაზრდობას ქვენა გრძნობებს უვითარებსო. სისასტიკეს ორგანულად ვერ იტანდა. საერთოდ რომ ვთქვათ, არც ცხოვრების უმადური იყო, არც თავის თავისა.

კოლინზი და დიკენსი თავიანთი ჩვეულებებითა და თვისებებით ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ გასაკვირია, როგორ ეწყობოდნენ ერთიმეორეს. აი რამდენიმე მაგალითი: დიკენსი პუნქტუალობისათვის გიჟდებოდა; კოლინზი საათს არასდროს დასცქეროდა. დიკენსი უადრესად ფაქიზი იყო; კოლინზი — უსუფთაო. დიკენსი ხელგაშლილი მფლანგველი იყო, კოლინზი — მოძუნწო და კეთილვონიერი. დიკენსი არაჩვეულებრივად ენერგიული და ფიცხი იყო, კოლინზი — დაუჯერებლად ზარმაცი და სკეპტიკური. დიკენსი ისეთ შრომას, რაც საჭიროდ არ მიაჩნდა, უქმად ყოფნად სთვლიდა. იგი აქტიურად ისვენებდა. კოლინზი — პასიურად. „თქვენ ყველაფერს მუშაობად აქცევთ. — ეუბნებოდა კოლინზი, — ჩემი აზრით, ვინც ყველაფერს მთელი ძალით აკეთებს, საშიში ადამიანია“. ჩაცმულობაშიც კი სულ სხვადასხვა გემოვნება ჰქონდათ. ვილკამ კოლინზს ქვეტელა აბრეშუმის ნაკუწი უჩვენა და ჰკითხა, ამას რა ვუყო. „დიკენსს გაუგზავნეთ, ჟილეტს შეიკერავს,“ — უპასუხა კოლინზმა.

მაშ რატომ იყო, რომ დიკენსს ცხოვრების უკანასკნელი თოთხმეტი წლის განმავლობაში კოლინზთან ყოფნა ერჩია. უბრალოდ იმიტომ, რომ დაუდგა ხანა, როდესაც ადამიანს სწყურია, თავისუფალი იყოს ყოველგვარი შემზღულდავი კავშირისაგან. მისი მსგავსი ადამიანისათვის ახალი გარემო და ახალი ადამიანები ისევე აუცი-



ლებელია, როგორც ახალი როლი და ახალი წიგნი. ფორსტერმა თავი მოაბეზრა ეპკვიანობით, ბუტიანობით, ეგოიზმით, ადამიანებთან შეუფუძვლობით. უშფოთველი სიწყნარე, შეზღუდულობა და მოდუნებულობა უკვე ბეზრდებოდა. ფორსტერი წესიერების, ზომიერებისა და პრეტენციოზულობის სიმბოლო იყო. კოლინზი—ზღვარდაუდებელი თავისუფლების, არაკეთილსაიმედოებისა და უზნეობის სიმბოლო. დიკენსისთვის კი იმ დროს მიწა, ხორცი და ეშმაკი მეტს ნიშნავდა, ვიდრე მოყირკებული ათი მცნება. „ბედნიერი ვიქნები, თუ ერთ ჰარუნ-ალ-რაშიდისებურ ლაშქრობას მოვაწყობთ“, — სწერდა ის კოლინზს 1855 წლის ბოლოს. მეორეჯერ კი: „დღეს მაგრად ვიქვიფებ. ასე ჩანს“. 1857 წლის მაისში მასვე სწერს: „როგორი გიჟი ავასტიურაც არ უნდა წამოიწყოს, თქვენი მორჩილი მონა აღტაცებით აგიბამთ მხარს“. იმ ხანებშივე: „თუ რამეს მოიფიქრებთ უსაზღვრო ავხორცობისა და გააზიზების ხანის სიბარბუტული რომის ყაიდაზე, თქვენთან ვარ... თუ იცით, როგორ გავატაროთ საღამო განსაკუთრებული მძვინვარებით... მითხარით. ჩემთვის სულერთია, როგორ. კეთილგონიერება? ჭანდაბას (დღევანდელ საღამოს!)“.

თუ კოლინზი დიკენსს საზრუნავს უმსუბუქებდა გართობით, დიკენსი თავის მხრივ მუშაობის სურვილს უღვიძებდა მას. რომანი „დამალობანა“ კოლინზმა თავის მეგობარს და დამრიგებელს უძღვნა. „ვერც შენ, ვერც ქეთრინმა ვერ შესძელით კოლინზის წიგნის ღირსეულად დაფასება, — სწერდა დიკენსი ჯორჯინას. — ჩემი აზრით ყველა ცნობილი დამწყები მწერლების რომანებიდან ეს ყველაზე ნიჭიერადაა დაწერილი. მრავალმხრივ ოსტატურად“. 1853 წლის გაზაფხულზე კოლინზი „საოჯახო კითხვის“ თანამშრომელი გახდა, 1856 წლის სექტემბერში ამ ჟურნალის შტატში ჩარიცხეს, კვირაში ხუთ გინეას აძლევდნენ. გარდა ამისა, ჟურნალში მისი რომანები ნაწილ-ნაწილად იბეჭდებოდა და ჰონორარს გულუხვად უხდიდნენ. კოლინზის თხზულებებზე დიკენსი ისევე შრომობდა, როგორც თავისაზე: კორექტურას უკეთებდა, ზოგ რამეს უმატებდა, ზოგს ამოაგდებდა: როგორც წესი, ჟურნალში ყველას თხზულებებს ანონიმურად ბეჭდავდნენ, მაგრამ კოლინზისათვის დიკენსმა ეს წესი დაარღვია და გამოაცხადა კოლინზის სახელი. ასე გახდა კოლინზი ცნობილი, როგორც მწერალი. მიუხედავად ხასიათების სხვადა-

სხვაობისა, ისინი მშვენიერად შეეწყვნენ ერთმანეთს. დიკენსს მოსწონდა და იმავე დროს აცინებდა კოლინზის ახირებულება, ცხოვრების ცოდნა, მსჯელობის მანერა და დამოუკიდებელი ქცევა. კოლინზს მოწიფულ კაცთან და სახელგანთქმულ მწერალთან მეგობრობა ესახელებოდა, იზიდავდა მისი ხელგაშლილი სტუმართმოყვარეობა და ის, რომ დიკენსს მის საზოგადოებაში ყოფნა სიამოვნებდა. ამას არც მალავდა.

„შუქურას“ დადგმის შემდეგ ისინი განუყრელად ერთად იყვნენ. 1855 წლის ივლისში დიკენსის ოჯახი ფოლკსტონში წავიდა. რა აქმა უნდა, კოლინზიც უნდა ჩასულიყო მათთან. აქ სამი თვე გაატარეს. დიკენსი „პაწია დორიტის“ პირველ გამოშვებას ამზადებდა. მისი ერთი ფრაზა უფრო მკვეთრ წარმოდგენას იძლევა ძველ ქალაქზე, ვიდრე ჰერბერტ უელსის მთელი რომანი: „პატარა ირიბ დამრეც ქუჩაზე, რომელმაც მოლრეცილ, დაკოჭლებულ კიბეს ჰგავდა, თავსხმაში შეეჩერდი, რომ ეტლების ფარდულში შემეხედა“... ფანჯრებიდან ზღვის ხმაური შემოდინოდა. დიკენსი დილიდან ორ საათამდე თავგადაკლული მუშაობდა, შემდეგ სასეირნოდ მიემშურებოდა, სეირნობდა, მაგრამ როგორ! ბორცვების მწვერვალებზე მიცოცავდა, ძირს მისრიალებდა; „გიგანტურ ციციბო კლდეზე“ ადიოდა და ამ პროგრამაში მხოლოდ მაშინ შექჰონდა ცვლილება, როცა მას მეგობრები ახლდა. მათი სეირნობა, „ბობღვა იყო და არა სეირნობა“. დროგამოშვებით „საოჯახო კითხვის“ საქმეები მას „გიგანტურ პაპანაქებაში“ — ლონდონში უხმობდა... მას უკვე ახალი რომანი დაეუფლა განუყოფლად და ყოველი მორიგი ნაწილის დაწყების წინ იტანჯებოდა: „ყოველ ხუთ წუთში კიბეზე ჩავრბივარ, ყოველ ორ წუთში — ფანჯარას ვეცემი და ვერაფერს ვაკეთებ... მთელი ჩემი არსებით რომანს ვეკუთვნი — „ხან ავფრინდები სულთ, ხან ვეცემი. ხან ავენთები, ხან ჩაქრები“. სამუშაოზე ფიქრებს სეირნობის დროსაც ვერ იშორებდა. „ახალი წიგნი ყველგან თან დამდევს, ზღვის ტალღას ამოაქვს, ღრუბლებში დაცურავს. ნიავთან ერთად მოფრინავს“. კორესპონდენციების კითხვას ვერ აუდიოდა: „სულ სხვადასხვა ადამიანები, რომელთა არსებობაზე არავითარი წარმოდგენა არა მაქვს, ასობით წერილებს მიგზავნიან, მწერენ ყოველნაირ შესაძლებელ და შეუძლებელ თემებზე, რომლებსაც ჩემთან არაფერი აქვს საერთო“. ყოველდღე აუარებელი თხოვ-

ნა მოსდიოდა, რომ საჯარო კითხვა მოეწყო საქველმოქმედო მიზნით. იძულებული იყო, ყველასათვის უარი ეთქვა, თუმცა ფოლკსტონში „სამობაო სიმღერის“ წაკითხვა იკისრა ლიტერატურული გაერთიანების სასარგებლოდ და მუშათა გაერთიანების წევრებისათვის ბილეთებს საგანგებო ფასი — სანჩი პენსი დააწერა. კითხვა დიდ საღურგლო სახელოსნოში შედგა.

შუა ოქტომბერში დიკენსი პარიზში ჩავიდა ბინის დასაქირავებლად, იქ ექვსი თვე უნდა ეცხოვრა ოჯახითურთ. იპოვა კიდევ, რასაც ეძებდა: თორმეტი ოთახი ელისეს მინდვრებზე თვეში შერდას ფრანკად. როცა ბინა გამქირავებელს წესრიგში მოაყვანიხა, ოჯახი ჩამოიყვანა, დაბინავა და თვითონ ლონდონში გაეშურა.

საფრანგეთში ისე, როგორც რუსეთსა და გერმანიაში, დიკენსის წიგნებზე დიდი მოთხოვნილება იყო და მწერალი დარწმუნდა, საფრანგეთის უბრალო ადამიანებში ისევე სახელგანთქმული ვარო, როგორც დიდი თანამედროვე ფრანგი მწერლები. გაზეთებში გამოცხადდა, პარიზში გამოჩენილი რომანისტი, სერ დიკენსი, „ლორდი ჩარლზ ბოსი“ ჩამოდისო. როცა დიკენსი მაღაზიაში თავის სადარბაზო ბარათს წარადგენდა, ასეთ შეძახილებს ისმენდა: „აჰ, ეს ცნობილი მწერალია!“ „მუსიეს ისეთი ცნობილი გვარი აქვს!“ „ოჰ, რა საინტერესოა მუსიე დიკენსის ნახვა!“ „მის ერთ წიგნს მე ყოველდღე ვკითხულობ“.

„მარტინ ჩეზლეიტი“ „მონიტერში“ იბეჭდებოდა ნაწილ-ნაწილ. მეკარემ საიდუმლოდ უთხრა ჯორჯინას: მადამ ტოკერი (ტოჯერსი) ძლიერ სასაცილო ვინმეა, ზუსტად ჰგავს ჩემს ნაცნობ მანდილოსანს, კალეს მცხოვრებსო. ის კი, ვინც ეს ტოჯერსი შექმნა, უკვე ფირმა „ამეტს“ შეუთანხმდა თავის თხზულებათა სრული კრებულის ფრანგულ ენაზე გამოცემის თაობაზე.

პარიზში დიკენსი შეხვდა ობერს, ლამარტინს, სკრიბს, დიუმას და ყორე ზანდს („რომელიც გარეგნობით ჩვენი დედოფლის მომგლელ ქალს ჰგავს“). ის საპატიო სტუმარი იყო გაზეთის მაგნატის ემილ დე ჟირარდენის მიერ გამართულ დიდ ნადიმზე.

დიკენსს პარიზში გასართობი არ აკლდა, მაგრამ ერთი დიდად მოსაწყენი საქმე ვერ აიცილია, — ჰარი შეფერი მის პორტრეტს ხატავდა. „ვერ გადმოგცემთ, რამდენად მომაბეზრებელია ეს საქმე: ტვინში არაფერი მოგდის, გარდა პატარა დორიტისა, აქ კი იგეჟი და

ეჭეკი.“ ხშირად ეწვეოდნენ დიკენსს ლონდონიდან „საოჯახო კითხვის“ ახალგაზრდა თანამშრომლები. რედაქტორი უმასპინძლებოდა მათ, და თუ საჭირო იყო, ფულსაც აძლევდა.

„საოჯახო კითხვა“ წარამარა მოითხოვდა რედაქტორის ყურადღებას და დიკენსს ბევრჯერ მოუხდა პარიზიდან ლონდონში გამგზავრება. ერთი ასეთი ვიზიტის დროს, 1856 წლის 11 მარტს მან საიდუმლოდ გააგო „ახალი ამბავი ყოვლად გაუგებარი, გრანდიოზული, შემადარწუნებელი, დამაბრმავებელი, დამაყრუებელი, გამანადგურებელი, წარმოუდგენელი;“ ახალი ამბავი, რომლის გმირი ფორსტერი იყო. გავიგე თუ არა ეს ამბავი (თვით ფორსტერისაგან) ამ დილით, იქვე გავიშორე, თითქოს ორთქლმავალი დამეცა თავისი ტენდერითურთ“. საიდუმლოება, რომელმაც დიკენსს გულიდან ხველა ეს მქუხარე ეპითეტი ამოაფრქვევინა, ის იყო, რომ ფორსტერს, ცოლის შერთვის დაჯერებულ მოწინააღმდეგეს, ცნობილი გამომცემლის ჰენრი კოლბერნის ქვრივი დაენიშნა. ოცდაათი წლის ქვრივი, ძალიან სანდომიანი და სალმიანი, თვალად კარგი და მდიდარი იყო. მართალია, თუ მაკლიზს დაეუჯერებთ, ფორსტერთან შეუღლების პერსპექტივისაგან მის სიტურფეს ელფერი დაეკარგა: „გეფიცებით, სერ, ამ ქალს რაღაც საშინელება სჭირს. როგორ გამოიცივალა! — უამბობდა მაკლიზი დიკენსს 1856 წლის მაისში. არც სისხლის ნატამალი შერჩენია, არც ფერი, ხმაც კი დაეკარგა. მთლად მოიკუტა, მოიკრუნჩხა — თითქოს იდუმალი მწუხარება ღრღნის. ფორსტერი კი, სერ, გაშმაგებულა — რა გასაოცარი კონტრასტია“.

ლონდონში საქმეზე მეორეჯერ ჩამოსულმა დიკენსმა დიდი სამსახური გაუწია თავის ზოდგილვ უილსს: ანჟელა ბერდეტ კუტსთან მოაწყო სამუშაოდ. ის უნდა დახმარებოდა ანჟელას მის მრავალრიცხოვან საქველმოქმედო ღონისძიებათა განხორციელებაში და წელიწადში ორასი გირვანქა სტერლინგი მიეღო. თავის თავსაც კარგი სამსახური გაუწია დიკენსმა: 1856 წლის 14 მაისს მან როჩესტერის მახლობლად, ჰედსჰილის ბორცვზე სახლი შეიძინა, სწორედ ის სახლი, რომელზეც ბავშვობიდან ოცნებობდა. სწორედ ამ სახლზე უთხრა ჩარლზს მამამ, შესაძლოა, ამ სახლის პატრონი გახდე, თუ ბეჯითად იშრომებო. ახლა დიკენსმა მოულოდნელად გაიგო, რომ სახლი იყიდებოდა. ცოტა შეევაჭრა და ათას შვიდას ოთხმოცდაათ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. ბევრი რამ შესაკეთებელი

და გადასაკეთებელი იყო. გარდა ამისა, სახლი მის მფლობელობაში მხოლოდ 1857 წელს უნდა გადასულიყო. დიკენსი ვარაუდობდა, რომ ყოველ ზაფხულს აქ გაატარებდა, ზამთრობით კი მდგმურებს შეუშვებდა. მაგრამ ვანგებამ სსვანაირად განსაჯა.

1856 წლის დანაწიყისში პარისში უილკი კოლინზი ჩავიდა და დიკენსის გვერდით დასახლდა. თავის ბინაში ეძინა და მუშაობდა, მაგრამ სადილად ყოველდღე მეგობართან იყო, ექსკურსიებში მონაწილეობდა და თეატრში დაჰყვებოდა. დიკენსმა ახალი მელოდრამის სიუჟეტი ჩაიფიქრა. ეს მელოდრამა ტევისტოკ-ჰაუსში უნდა დაედგა ნათლიღების წინა ღამეს. კოლინზმა ტექსტის დაწერა იცისრა და მელოდრამა მათი საუბრების მთავარ თემად იქცა. დიკენსი თვიდან თვემდე „პატარა ღორიტზე“ მუშაობდა გამუდმებით. ამ წიგნის პირველი გამოშვებები ორმოცი ათასზე მეტ ცალად გასაღდა, ასეთი წარმატება „ცივ სახლსაც“ კი არ რგებია. ყოველ გამოშვებას დიკენსისათვის ჩვეული სულიერი კრიზისი უძლოდა წინ. მოუნდებოდა ხან სენ-ბერნარდის მონასტრის „ღამაბრმავებელ თოვლში“ ყოფნა, ხან უეცრად მოუვიდოდა აზრად, დაუყოვნებლივ კალეში უნდა წავიდეთ. „რატომ? — არ ვიცი. ჩავალ თუ არა იქ, უმალვე სადმე სხვაგან წასვლა მომინდება“. ზოგჯერ ყველგან მყოფი „პაწია ღორიტისაგან“ თავის დაღწევას ლამობდა: „ამ წიგნის სახეები ტვინში მერჭობიან, თავი მიბუზუნებს და მინდა ერთ-ერთ უცნობ ადგილზე, სადაც ხანდახან ამოვყოფ თავს ღამღამობით, მივიმალა და თავი განვტვირთო“.

დიკენსმა იცოდა, რომ ასეთ პერიოდებში მასთან ერთ კერქვეშ ყოფნა ძნელი იყო, მაგრამ ვერ სძლევდა სულიერ მღელვარებას, რომელიც შეუბრალებლად სტანჯავდა და ფიზიკურ ტკივილებს აყენებდა. ვიდრე ახალი გამოშვების მზადებას შეუდგებოდა, ვერ ისვენებდა: „ოთახებში დაკვირვება, ვკლები, წამოვვარდები, ბუხარში ნაკვერჩხალს ვჩხრეკ, ფანჯარაში ვიციკირები, თავზე თმებს ვიგლეჯ. წერას ვიწყებ, ვერაფერს ვწერ... რაღაცას ვწერ, ვხევ, გავდივარ სახლიდან, ვბრუნდები. ასეთ დროს ოჯახისთვის მტარვალ ვარ, საშინელი ვარ!“ დიკენსი დარწმუნდა, ამქვეყნად მოსვენებას ვერ ეპოვებო. „არ იცოდე, რაა დასვენება და დამშვიდება, მუდამ რაღაც მიუწევდომლისაკენ ისწრაფოდე, მუდამ ჩანაფიქრი, გეგმები, საზრუნავი გაღელვებდეს, გულს გიღონებდეს. უცნაურია, მაგრამ

უეჭველია, ასეც უნდა იყოს, დაუძლეველი ძალა გიტაცებს და გერეკება, ვიდრე გზის ბოლო არ გამოჩნდება. ისევ ისა სჯობია, წვალობდეს და წინ მიდიოდეს, ვიდრე წვალობდეს და ერთ ადგილს სტკეპნიდეს. როგორც ჩანს, ამქვეყნად მოსვენება ყველას არ უწყე-რია“. 1856 წლის მაისის პირველ რიცხვებში, როცა რომანის მო-რიგ თავს ებრძოდა, მთელმა მისმა ოჯახმა შინ მოიყარა თავი. დი-კენსმა მიატოვა ისინი და ღუვრში ამოყო თავი, სასტუმროში სამი დღე აკვიატებული აზრით შეპყრობილივით მუშაობდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა ტევისტოკ-ჰაუსში.

ამჟერად ლონდონში ერთ თვეზე ცოტა მეტი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში სიტყვით გამოვიდა მხატვართა დამხმარე საზოგადო-ების დავალებით. „სიტყვის დამთავრებისას ყოველი დამსწრეთაგა-ნი ერთი ხელით ცხვირსახოცით იწმენდა თვალებს, მეორეთი ჯი-ბიდან საფულეს იღებდა“. შემდეგ ოჯახითურთ ბულონს ეწვია სამი თვით, სადაც ვილა მოლინოში დასახლდა და მთელი არსებით „პა-წია დორიტიზე“ მუშაობას მიეცა.

რომანი 1855 წლის დეკემბრიდან 1857 წლის ივნისამდე იბეჭ-დებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არავის, გარდა უბრალო მკითხვე-ლისა, არ შეუნიშნავს, რომ სწორედ ამ წიგნში ჩააქსოვა დიკენსმა მთელი თავისი ნიჭის შესაძლებლობა. მართალია, კარლელის მოე-წონა მმართველი პარტიის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული სატი-რა, მაგრამ თავისი ჩვეულებისამებრ ეს მოწონება იქვე გააბათილა: სატირა დიდი არაფერიყო. მაღალი სამხედრო წრეების ზოგ წარმო-მადგენელს, ვინც დაიჩაგრა იმ არევე-დარევის გამო, გაჯანჯლების სამინისტროს რომ შეჰქონდა ყირიმის ომში, პოლიპების ოჯახი ძა-ლიან ეცნაურა, მაგრამ მწერლის ვერც ერთი გამოჩენილი თანამედ-როვე ვერ მიხვდა, რომ მოხუცი დორიტი, რომლის სახით ავტორმა საკუთარი მამა დახატა, ისეთი ფიგურა იყო, რომელსაც ჩანაფიქ-რის სინატიფით დიკენსის სხვა რომელიმე გმირი ვერ შეედრებო-და. დიკენსის რომანების პერსონაჟებში მხოლოდ ის არის თავიდან ბოლომდე გასაოცრად ბრწყინვალედ დაწერილი. ამ სახის ჩამოყა-ლიბებაში დიკენსს ოდნავ არ უღალატია ცხოვრებისეული სიმართ-ლისათვის. ინგლისის სერიოზულ მწერლობაში მოხუცი დორიტი ყველაზე უნაკლო პორტრეტია, წარმოდგენილი „მთელი ტანით“. „ბლეკვუდს მეგეზინმა“ კი ამ წიგნს „უშინაარსო ლაყბობაზე“ უკე-

თესი დახასიათება ვერ მოუძებნა. თეკერეიმ განაცხადა, ეს მტკნარი სისულელე, იდიოტური აბღა-უბღააო, მაგრამ მას ასეთი მსჯელობა ეპატიება. მხოლოდ თეკერეი მიხვდა უთუოდ: ჰენრი ჰოუენი რომანში მხოლოდ იმისთვის გაჩნდა, რომ გამოეხატა დიკენსის აზრი უილიამ თეკერეიზე. თუმცა ვერ ვიტყვით, ეს პორტრეტი ისევე ზუსტი იყოს, როგორც ვთქვათ, სკიმპოლი — პაროდია ლი ჰანტზე. აი, მაგალითად, თეკერეის შეხედულება ხელოვნებაზე (დიკენსი კლენემის პირით ეკამათება მას): „კლენემ, მენანება, თქვენი კეთილშობილი ცდომილება დაგაქარგვინოთ. ფული რომ გამაჩნდეს, არ დავინანებდი, ისე ვარდისფრად მომჩვენებოდა ყველაფერი, როგორც თქვენ. ვაი, რომ ჩემს ხელობას მხოლოდ ფულისთვის მივღევ, მარტო მე კი არა, ყველა მხატვარი ასეა. ჩვენი საქონლის გაყიდვის იმედი რომ არ გექნოდეს, სულაც არ დავხატავდით სურათებს. დიახ, ეს სამუშაოა და გარჯას მოითხოვს, მაგრამ ის სხვა სამუშაოზე აღვილია. სხვა ყველაფერი თვალთმაქცობაა...“

ჰოუენი, თეკერეის მსგავსად, ყოველ ნაბიჯზე ეწინააღმდეგება თავის თავს, როცა ცხოვრებაზე ხან ცივი ცინიზმით მსჯელობს, ხან — აღტაცებით. „ადამიანთა უმრავლესობა, ასე თუ ისე, ცხოვრებაზე გულგატეხილია, ეს თავისას შერება. და მაინც ჩვენ უაღრესად სიმპათიურ სამყაროში ვცხოვრობთ, სულით და გულით მიყვარს ის. ღმერთმანი, ჩვენი სამყარო სამყაროთა შორის საუკეთესოა!... ჩემი პროფესია კი საუკეთესოა პროფესიათა შორის.“ ამ რომანში მწერლის ყველა ნაკლმა იჩინა თავი, მაგრამ ავტორის ოსტატობის წინაშე ყველა ფერპკრთალდება. შემადრწუნებელი მანქი-აობა, რომლითაც დიკენსი ხატავს კლენემის სიყვარულს ბებიისადმი, სავსებით გამოსყიდულა იმ შეუდარებელი კომიზმით, რომლითაც დახატულია ახალგაზრდა ჩივერის უიმედო სიყვარული პაწია ღორიტიისადმი. „ეს მისი ერთადერთი გართობაა, — თქვა მისის ჩივერეიმ თავის ქნევით. — არსად, უკანა ეზოშიც, კი არ გადის, თუ იქ სარეცხი არ არის გაფენილი. როცა ეზოში თეთრეულს ისე გაფენს გასაშრობად, რომ მეზობლებმა ადამიანი ვერ დაინახონ, საათობით ზის იქ. მოდის და ზის“.

მისის პლორნიში! რა შესანიშნავი ფიგურაა! რა შეუდარებელი დაკვირვებულობაა. რა მდიდარი ფანტაზიაა! დიახ, „ღვეიდ კოპერფილდი“ უფრო ჰარმონიულია, „ნიკოლას ნიკლბი“ გაუმეორებლად

ცოცხლად დაწერილია, სამაგიეროდ „პაწია დორიტი“ დიკენსის გენის ყველაზე მომწიფებული ქმნილებაა.

1856 წლის შემოდგომაზე სამშობლოში დაბრუნებული დიკენსი კოლინზის პიესა „გაყინული მორევის“ დადგმის სამზადისს შეუდგა. ეს პიესა ავტორმა სპეციალურად ტევისტოკ-ჰაუსის თეატრისათვის დაწერა. „პაწია დორიტისაგან“ თავისუფალ ყოველ წუთს დიკენსი თეატრს ანდომებდა. ხმამაღლა იმეორებდა თავის როლს, რითაც დიდად ამფოთებდა ფინჩლის. ნისდენის, ვილსდისა და მათი გარეუბნების მოსახლეობას. მათ ის ფსიქიატრულ საავადმყოფოდან გამოქცეული მანიაკი ეგონათ. ათი კვირა გაშირებია, კიბეების, ხარაჩოების, საღებავების, ნახერხის, გაზის შილებისა და ბელოვნური თოვლის სამეფოში იყო. პიესის ერთი მოქმედება ჩრდილოეთ პოლუსზე მიმდინარეობდა, და დიკენსმა უამრავი გამოკვლევა გადაქეჯა, რომ უმნიშვნელო დეტალებიც კი სიმართლით ეჩვენებინა. ეს ცოტაა: თვითონ წინანდელი ესპანიოლის მაგივრად წვერი მოუშვა. კოლინზმაც გაიზარდა თავისი ბუსუსი. ქალთა მთავარ როლებს ჯორჯინა და დამდგმელის ორი ქალიშვილი ასრულებდნენ. დიკენსს ხვდა უიღბლო შეყვარებულის როლი, რომელიც იმის მაგიერ, რომ მოკლას მეტოქე, გადაარჩენს მას თავისი სიყვარულის ობიექტის საამებლად და მძიმე განსაცდელის გადატანის შემდეგ საწუთროს ეთხოვება. სიკვდილის წინ ბედნიერ წყვილს დალოცავს. არაა გასაკვირი, რომ სწორედ „გაყინული მორევის“ დადგმამ აღუძრა დიკენსს ახალი ნაწარმოების იდეა. ეს „ორი ქალაქის“ ამბავი იყო. ტევისტოკ-ჰაუსში მუშების მთელი რაზმი მუშაობდა მაყურებელთა დარბაზის გაგანიერებაზე. რომ მასში ასამდე კაცი დატეულიყო. სპექტაკლები უკვე 1857 წლის იანვარში დაიწყო და მაყურებლები ან ისევ ცრემლებს აფრქვევდნენ, ან ალტაცებისაგან დნებოდნენ. მაგრამ აი ალიაქოთი მიწყნარდა, ოვაციები შეწყდა, ხუროები წავიდნენ, სცენის მუშები გაუჩინარდნენ და დიკენსმა მოიწყინა. თუმცა აპრილში ისევ გაუჩნდა გასართობი. ცოლი და ცოლისდითურთ გრეივსენდში წავიდა, რომ ჰედსპილ-პლაისის გადაკეთებისათვის ეხელმძღვანელა. მაისში რამდენიმე მეგობარი ჩავიდა მასთან ახალმოსახლობის მისალოცად. ჰანს ანდერსენიც ეწვია ხუთი კვირით.

ივნისში დიკენსმა საწყენი ამბავი გაიგო: მისი მეგობარი დუგ-



ლას ჯეროლდი გარდაცვლილიყო. დაიცადეთ! ჯეროლდს ხომ ოჯახი დარჩა და იგი უთუოდ ხელმოკლედ ცხოვრობს! როგორ უნდა მოიქცნენ ჯეროლდის მეგობრები? ცხადია, უნდა მიეშველონ განსვენებულს ოჯახს. მერე რას ნიშნავს ეს? იმას, რომ დაუყოვნებლივ განახლდეს „გაყინული მორვეის“ წარმოდგენები. გარდა ამისა, ლონდონსა და მანჩესტერში „საშობაო სიმღერის“ კითხვები უნდა ჩატარდეს. თემცა ჯეროლდის ვაჟმა უტაქტოდ განაცხადა, ჩემი ოჯახი ქველმოქმედთა დახმარებას არ საჭიროებსო, დიკენსმა უკან როდი დაიხია. თუ რაიმეს გადაწყვეტდა, ის უნდა გაკეთებულიყო. ჯეროლდის ოჯახს ჯერ არც კი ჰქონდა გარკვეული, რამდენად გამოუვალი იყო მისი ფინანსური მდგომარეობა, როცა სპექტაკლები გამოცხადდა და რეპეტიციებიც დაიწყო.

ჯეროლდის ფონდში სახსრების შესაგროვებლად დიკენსმა სამჯერ წაიკითხა საჯაროდ „საშობაო სიმღერა“ ლონდონსა და მანჩესტერში. იენის-ივლისში კი ხუთჯერ მოაწყო „გაყინული მორვეის“ წარმოდგენა — სამჯერ ლონდონში და ორჯერ მანჩესტერში. რადგან დიდ დარბაზებში მისი ქალიშვილებისა და ცოლისდის ხმებს ვერაფერს გაიგონებდა, მათ როლებზე პროფესიული მსახიობები მოიწვია: მისის ტერნანი და მისი ქალიშვილები, ელენ და მარია. უკანასკნელი ისე გაიტაცა როლმა, რომ თავისი ცრემლებით მთლად ერთიანად დაუსველა დიკენსს კოსტიუმში და წვერები. კოლინზი წერს: „დიკენსი მთავარ როლს დამაჯერებლად და გრძნობით თამაშობდა. ვინც წარმოდგენებს დაესწრო, სიკვდილამდე არ დაივიწყებს მას... მანჩესტერში ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა, პირდაპირ აღაგზნო მაყურებლები“. მატერიალური თვალსაზრისით დიკენსის შრომა წარმატებით დაგვირგვინდა: დუგლას ჯეროლდის ქვრივსა და გაუთხოვარ ქალიშვილს ორი ათასი გირვანქა სტერლინგი ჩააბარეს. თვით დიკენსისათვის მანჩესტერის სპექტაკლებს ნაკლებად სასურველი შეიდეგი მოჰყვა. მაგრამ აბა რა იცოდა ეს იმ ექვსი ათასმა მაყურებელმა. თავისი ფული რომ ჯეროლდის ფონდში მხოლოდ დიკენსის სანახაოდ შეჰქონდა? დიკენსს კი შეუყვარდა... არა, მარია კი არა... ელენ ტერნანი. ამ ამბავმა მთელ მის ცხოვრებაზე მოახდინა გავლენა. ერთი კვირის შემდეგ ის უილკი კოლინზს სწერდა: „საოჯახო კითხვისათვის“ რაღაც უნდა მოვიფიქრო და გავიქცე — გავექცე ჩემს თავს. როცა ადგილს მოვწყდები

და სარკეში ჩემს მოთენთილ სახეს ვუცქერი, ჩემი სევდა წარმოუდგენელია, სასოწარკვეთილება — უსაზღვრო“.

„საოჯახო კითხვისათვის“ დიკენსმა და კოლინზმა „ორი უსაქმური ქარგლის უსაქმო მოგზაურობა“ მოამზადეს. ეს იყო მათი ერთ-ერთი მოგზაურობის აღწერა. ისინი ალონზის სასტუმრო „გემში“ დაბინავდნენ და გადაწყვიტეს ერთ-ერთი ადგილობრივი სასტუმროს მეპატრონის თანხლებით მთა კერიკ ფელზე ასულიყვნენ. გზაში კოკისპირულმა წვიმამ მოუსწრო მოგზაურებს. სასტუმროს პატრონი დროგამოშვებით სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა და დიკენსი ხუმრობით ცდილობდა მის მოყვანას გუნებაზე. ბოლოს კოლინზი რუში ჩავარდა, ფეხის კუნთები გაეჭიმა. დიკენსმა ვაივაგლახით ჩამოათრია ის მთის ძირამდე და ქვებზე დააწვინა, სასტუმროს პატრონი ეტლისთვის წავიდა. დიკენსი რამდენიმე დღის განმავლობაში წვალეებით ჩასვამდა ხოლმე კოლინზს ეტლში, შემდეგ გამოიყვანდა, კიბეებზე ზევით-ქვევით დაათრევდა და ყველგან თან ახლდა. ამ უბედური შემთხვევის გამო მერიბორტში ვერ წავიდნენ. დიკენსი ფეხით დადიოდა იქ ფოსტის მისაღებად (25 მილზე). მათი პატარა სასტუმროს დიასახლისი დიკენსს ადრე გაეცნო გრეტა ბრიჯში, როცა იორკშირში მიდიოდა მასალის შესაკრებად „ნიკოლას ნიკლზისათვის“. მას შემდეგ ქალი წარმოუდგენლად გასუქებულიყო და მისი ქმარი წუხდა, როცა იგონებდა, როგორ ხევდა ცოლს წელზე ხელს წინათ... „ახლა კი, თქვე უგულო ადამიანო, — შესძახა დიკენსმა. — მიცქირეთ და ისწავლეთ!“ — და გულში ჩაიკრა ზორბა დიასახლისის მნიშვნელოვანი ნაწილი. შემდეგ ხუმრობით იკვებნიდა, ეს იყო ჩემი ბრწყინვალე კარიერის მწვერვალიო.

ლანკასტერში მეგობრები სასტუმრო „კინგს არმსში“ დაბინავდნენ. „ეს ძველი იმპოზატური შენობა იყო, ძველებური დარბაზები და არაჩვეულებრივად საინტერესო კიბე ჰქონდა. დიდებულ საწოლ ოთახში წითელი ხის უზარმაზარი საწოლი იდგა. პირველსავე დღეს სადილად ორი ცალი პატარა კალმახი, ბივშტექსი, ორი ცალი კაკაბი, შვიდი თავი ტკბილეული, ხუთნაირი ხილი და უზარმაზარი ტორტი მოგვართვეს. სასტუმროს პატრონმა განაცხადა — ჩვენი დაწესებულების ტრადიცია ასეთიაო. კოლინზმა გამოიანგარიშა, სადილში ნახევარი ვინეა უნდა გადავიხადოთო და გაფითრდა...“

„ვიცი, შეჩვეული ხარ, რომ „უბადლო“ ხალხის პატივისცემით

განებიერებულია, — სწერდა დიკენსი ჯორჯინას ლანკასტერიდან, — მაგრამ პატივისცემის მასშტაბი აქ, ჩრდილოეთის მიწაზე, შენც კი გაგაოცებდა. სადღურების უფროსები ხელს აშველებენ „უბადლოს“, როცა ის ვაგონიდან გამოდის; სასტუმროების ეესტიბიულებში მას დელეგაციები ელოდებიან; სასტუმროების პატრონები მის დანახვაზე თავს მიწას არტყამენ; მის გასაცილებლად მთელი ქალაქი იყრის თავს, ხოლო კოლინზის ნაღრძობ ფეხზე გაზეთებში წერენ!“

ლანკასტერში შეიარეს დოღზე დასასწრებად. დოღმა არასანდამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა დიკენსზე: „ბუკმეკერები.<sup>1</sup> მოთამაშეები, „ხოკოები“ და სხვა ვიგინდარები... სიმკაცრე, სიხარბე, ანგარება, უგრძნობელობა, სულმდაბლობა — და სხვა არაფერი“. თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ სამწლიანი ცხენების მარულაზე ბილეტები იყიდა და ზედ ხუმრობით ცხენების სახელები წააწერა. არც ერთზე არასოდეს არაფერი გაუგონია, მაგრამ სწორედ იმ ცხენებმა მიასწრეს სხვებს. საწყენია, რომ ადამიანებს შორის „პრიზიორებს“ ის ასე ადვილად ვერ გამოიცნობდა ხოლმე.

---

<sup>1</sup> ბუკმეკერები — დოღის წინ ნიქლაკთა შემკრები და ჩამწერი პირები.

ლოქტორა ჯონსონი დევიდ გარიკს ქვეყნად ყველაზე უფრო სი-  
ცოცხლისმოყვარულ კაცს ეძახდა. ასევე ითქმებოდა დიკენსზეც,  
რომელიც სინარულის წყარო იყო სხვებისათვის. ის თითქოს გულ-  
და საუბრებისა და მხიარულებისათვის იყო გაჩენილი. მეგობრებ-  
ში ყოფნა უყვარდა და ძალიან სწყინდა, როცა მათ შორის გულ-  
ცივობა იჩენდა თავს. „ჩემთვის ყველაფერზე უფრო საჭიროა ვინმე  
მყავდეს, რომ ნასადილევს დავსხდეთ და ვისაუბროთ“, — იტყოდა  
ხოლმე ის. მახლობლები გულით უყვარდა და სურდა, მისთვისაც  
ასევე ეპასუხათ. „მეგობრობა კრიტიკაზე ძვირფასია, და ჯობს ენას  
კბილი დავაჭირო“; თქვა მან ერთხელ. მეგობრებთან მოკლე ხნით  
განშორებაც კი უმძიმდა. ცდილობდა „მშვიდობით“ არ ეხმარა:  
ყოველი განშორება უკანასკნელი საბედისწერო განშორების მომას-  
წავებელიაო. იტყოდა ხოლმე.

1858 წლამდე (როცა ბევრის აზრით, დიკენსი თითქოს თავის  
თავს აღარ ჰგავდა), მას არც ერთ მეგობართან და ნაცნობთან სა-  
კუთარი ინიციატივით კეთილი ურთიერთობა არ გაუწყვეტია, თუმ-  
ცა ორ მათგანს ისე ეჭირა თავი, რომ მათთან საერთო ენის მონახვა  
ძნელი იყო. ერთი დუგლას ჯეროლდი იყო, რომელიც არ ეთანხმე-  
ბოდა დიკენსის გალაშქრებას სიკვდილით საჯაროდ დასჯის წინააღ-  
მდეგ. რამდენიმე თვე უბრად იყო დიკენსთან. ერთ მშვენიერ დღეს  
კლუბში შეხვდნენ ერთმანეთს. იქ მეგობრები მოეწვია სადილად.  
ზურგმუქცევით ისხდნენ, უეცრად ჯეროლდი შეტრიალდა სკამზე  
და დიკენსს უთხრა: „შევრიგდეთ, დიკენს, თუ ღმერთი გწამს! ისე-

დაც მოკლეა ჩვენი სიცოცხლე“. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. მეორე ჯორჯ კრუკშენკი იყო. მას მცირე რამისათვის ალიაქოთის ატეხა სჩვევდა. ახალგაზრდობაში ის და დიკენსი განუყრელი მეგობრები იყვნენ.

ოცდაათიან და ორმოციან წლებში კრუკშენკი ნამდვილი ლოთი იყო, მაგრამ ხელოვანთა წრეში გამუდმებით ყოფნამ გავლენა მოახდინა და სმას უკლო, ხოლო ორმოცდაათიან წლებისთვის ლოთობის წინააღმდეგ თავგამოდებულ, ფანატიკურ მებრძოლად იქცა. ის წერდა, სიტყვებით გამოდიოდა. დიკენსში სიგიჟის ეს სახეობა არავითარ თანაგრძნობას არ იწვევდა (პირიქით, მან „საოჯახო კითხვაში“ სიფხიზლის მანიის საწინააღმდეგოდ რამდენიმე წერილი მოათავსა). საბრალო ჯორჯს მოეჩვენა, დიკენსს ჩემზე გული აუცრუვდაო, და მწარე წერილი მისწერა. 1851 წლის აპრილში დიკენსმა უპასუხა: „გარწმუნებთ, რომ ერთი წამითაც არ გამციებია თქვენზე გული და ადრინდებულად თბილად და მეგობრულად ვარ თქვენდამი განწყობილი... ძალიან მალე ჩამოვალ თქვენთან და, იმედი მაქვს, ერთი ხელის ჩამორთმევით გავფანტავ თქვენს ექვებს (თუ ასეთი კიდევ არსებობს)“. მაგრამ კრუკშენკის ჰკუთხე მოყვანა ადვილი არ იყო. ერთხელ დიკენსთან რომ სადილობდა, ერთ-ერთ სტუმარ ქალს ღვინით სავსე ჭიქა ხელიდან გამოსტაცა და კინაღამ იატაკზე დაანარცხა. დიკენსი გააფთრდა. „როგორ გაბედეთ და მისის უორდის ჭიქას ხელი შეახეთ! ეს რა მოუერიდებლობაა? რას ნიშნავს ეს? ნუ-თუ ისეთი ადამიანის თანდასწრებით. რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში გამუდმებით ლოთობდა, ერთი ჭიქა ჰერესის მშვიდად შესმა არ შეიძლება?!“ კრუკშენკი დაიბნა, ვერაფერი უპასუხა და, როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, იქაურობას გაეცალა. რამდენიმე ხნის შემდეგ, უეკველია, რეტი დაესხა: ირწმუნებოდა „ოლივერ ტვისტისა“ და ზოგი სხვა წიგნის გმირები ჩემი შექმნილიაო... მაგრამ სიფხიზლის ფანატიკოსისაგან, როგორც ყველა სხვა ფანატიკოსისაგან, ყველაფერს უნდა ელოდე.

გარეშებთან დიკენსი საკმაოდ თავდაპირილი გახლდათ, მაგრამ მეგობრებში, როგორც იტყვიან. საზოგადოების სული და გული იყო. მისი დაუშრეტელი მხიარულება გასაოცრად გადაედებოდა სხვებს. თუ რომელიმე მეგობარი წვეულებას მართავდა და დიკენსს არ ეცალა, მას ეხვეწებოდნენ, ცოტა ხნით მაინც შემოდი, პუნში

დაგვიმზადე და შემწვარი ბატი აქენიო. პუნშის დამზადება მისთვის ნამდვილი რიტუალი იყო. ხან სერიოზულად, ხან ხუმრობით ლაპარაკობდა სასმელის შემადგენლობაზე. სასმელს დიკენსი ორატორული ხელოვნების ყველა წესის დაცვით შედგენილ სიტყვებს უძღვნიდა, შემდეგ გამოაცხადებდა, პუნში მზად არისო და თვითონ უვსებდა სტუმრებს ჭიქებს. ამ დროს თავი ისე ეჭირა, როგორც ოინბაზს, რომელსაც თავისი ქუდიდან ათასნაირი უცნაური ნივთი ამოაქვს.

ყველგან სასურველი სტუმარი იყო, თვითონ კი მასპინძლად ყოფნა ერჩია. როცა სტუმრები ჰყავდა, განსაკუთრებით კარგ გუნებაზე იყო. ყველაფრის განკარგულებას თვითონ იძლეოდა და ყველაფერი მისი გემოვნებით უნდა გაკეთებულიყო. სხვისას ხომ ეს არ მოხერხდება და ისიც მხოლოდ თავის სახლში გრძნობდა თავს კარგად. უმაღლესი კლასის მოკარნახეს, აქტიორს და დამდგმელს, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდა წვეულების რიგიანად ჩატარება, ისე, რომ ყველა კმაყოფილი ყოფილიყო. მისას არავინ არ გრძნობდა თავს უხერხულად, არავინ მოიწყენდა. ყველას ისე ეჭირა თავი, როგორც საკუთარ სახლში, ყველა ქანცის გაწყვეტამდე მზიარულეზდა. ჭინ კარლეილს ეჩვენებოდა, რომ დიკენსის სუფრა უზომოდ მდიდრული იყო: „სუფრა ახალ მოდაზე იყო გამლილი: კერძები მაგიდაზე კი არ იდგმებოდა, სტუმრებს ჩამოუტარებდნენ. ხოლმე, მაგიდაზე მხოლოდ ხელოვნური ყვავილები და ფორთოხლები, ლეღვი და ქიშმიში ელაგა. თითოეული ხელოვნური ვარდის გულში სანთელი იყო ჩადგმული: ოჰ, ღმერთო ჩემო!“ რას იზამ: მსახიობი იყო! დიკენსს არ შეეძლო ჰყიტინა, მყვირალა ჟილეტები არ ჩაეცვა. ყველას თვალწინ დაივარცხნიდა თმას. თავის ხელმოწერას მარჯვე კაურას გაუკეთებდა, სახუმარო სიმღერებს მღეროდა, ისეთი უსაზღვრო მზიარულეზით ცეკვავდა, რომ ყველაზე ბღენძია სტუმრებიც ივიწყებდნენ თავიანთ მედიდურობას — ბავშვებივით ხტუნავდნენ და პამპულაობდნენ. დიკენსს ცეკვა უყვარდა და, როცა ცეკვავდა, სამუშაოც ავიწყდებოდა, ურვაც და სულიერი მღელვარებაც. ახალგაზრდა კაცები ვერ უტოლდებოდნენ მას: ბალი რომ დამთავრდებოდა, მისი ასაკის ადამიანები დაღლილობისაგან ძლივს მიათრევდნენ ფეხებს, ის კი ისევ მხნედ და ცოცხლად გამოიყურებოდა. მაგრამ პირტიტველა ბიჭებთან მზიარულეზა დაუშვებლად

მიაჩნდა. როცა მისი უფროსი ვაჟი ჩარლზი თავის სრულწლოვანებას საკმაოდ ხმაურიანად დღესასწაულობდა, დიკენსმა დაწოლის წინ ერთი წუთით შეიხედა მასთან, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ახალგაზრდა სტუმრებისთვის ეთქვა, იხმაურეთ და იყვირეთ, რამდენიც მოგესურვოთ.

აი დიკენსი საპატიო ადგილზე ზის სუფრის ბოლოში: მასპინძელია! მის მკვირცხლ მზერას არაფერი გამოეპარება, არც ერთ სტუმარს საერთო საუბრიდან გამოთიშვის საშუალებას არ მისცემს. თვითონ ბევრს არ ლაპარაკობდა, მოსწრებულ სიტყვებს არ აბნევდა. სამაგიეროდ არანაკლებ იშვიათი ნიქის პატრონი იყო: მოსმენა-იცოდა და ყველაზე სიტყვაძუნწებსაც ჩააბამდა საერთო საუბარში. მის სუფრაზე გრძლად და მოსაწყენად მსჯელობა არავის შეეძლო და, თუ ვინმე, მაგალითად, ფორსტერი ამის სურვილს ამჟღავნებდა, დიკენსი დროულად ჩაურთავდა რამე შენიშვნას, საუბარს სხვა თემაზე გადაიტანდა, რომ სხვებსაც მიეღოთ მონაწილეობა.

ერთხელ ვიღაც ჰყვებოდა, ერთმა ასტრონომიით გატაცებულმა მღვდელმა უზარმაზარი ტელესკოპი გამოიგონა, რომ დაენახა ის... „რისი დანახვაც მისმა ძირითადმა პროფესიამ ვერ შეაძლებინა“, — დაურთო დიკენსმა. — „ოჰ, რა ცოდვილია ეს სამყარო!“ — ამოიოხრა ერთხელ ერთმა მკაცრი ზნეობის მომხრემ. — „ღიახ, სწორია! რა ბედნიერებაა, რომ მე და თქვენ მასთან არაფერი გვაქვს საერთო“, — გამოეხმაურა დიკენსი. მაგრამ დიკენსის მთავარ ნიქს სხვებში კარგის განჰკრეტა წარმოადგენდა. მის ძირითად „საუკეთესო როლს“ სასაცილო ისტორიები შეადგენდა (ტყუილად ხომ არ იყო მსახიობი). ეს ხან ნანახი ადგილის კურობული აღწერა იყო, ხან — მეგობრული შარკი რომელიმე ნაცნობზე, ხან — სასაცილო შემთხვევა. ის ამბავს კი არ ჰყვებოდა, — გაითამაშებდა ცოცხლად, გამომეტყველი ჟესტებით და მდიდარი მიმიკით. თანაც თავის ნათქვამს კი არ ახვევდა თავზე მსმენელებს — თითოეული მათგანი ამათუ იმ საუბრის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა. თვალწინ გიდგას მისი მკვირცხლი გამოხედვა, სახის მოძრავი ნაკვთები, ელვისებური გარდასახვები. აი მისი ხმა ძნელსაცნობად შეიცვალა, აი ჩუმ-ჩუმად იცინის, ამოიოხრა, გადამდებად გაიცინა...

საზოგადოებაში დიკენსი მუდამ გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, რომ საერთო საუბარი წვრილმან კინკლაობად და ურ-

თიერთ ლანძღვად არ ქცეულიყო. იშვიათად აუქცევდა გვერდს თემას, რომელიც მოაზროვნე ადამიანისათვის და ცივილიზებულ საზოგადოებაში ყოველთვის საინტერესო და გამოსადეგია, როგორც საუბრის საგანი: ადამიანის არსის გამოვლინება საქმეებში, ხელოვნებასა და შემოქმედებაში. ხომ შეიძლება, ძლიერ მოსაწყენი ადამიანიც დროებით საინტერესო მოსაუბრედ იქცეს, თუ თავის თავზე იწყებს ლაპარაკს.

არც თავის სახლში, არც სხვისას დიკენსი არავის აგრძნობინებდა, რომ მათ წინ წარჩინებული ვინმე იყო. არც ერთ სახელგანთქმულ მწერალს არ ეკირა თავი საზოგადოებაში უფრო საღად. თვითონ ამბებს მაშინ ჰყვებოდა, — კი არ ჰყვებოდა, გაითამაშებდა, — როცა სიტყვა მოიტანდა. მისი რამდენიმე თანამედროვის დამოწმებით, ეს ამბები თითქმის ყველა მისივე წერილებიდან იყო ამოღებული, გახდებოდა თუ არა სასაცილო სცენის მოწმე, ანდა ვინმეს რამე ცოდვას აღმოუჩენდა — მზად იყო წერილი ცოლისადმი, ფორსტერისა და სხვებისადმი. წერილიდან ამოღებულ ამბებს გარშემო მყოფთ უამბობდა, შესაძლოა, რამეს აზვიადებდა, მაგრამ ერთი კია: სასაცილო იყო ის ნაამბობი, თუ ტრაგიკული, მსმენელები არასდროს არ იღებდნენ მას გულგრილად.

თავის ნაამბობს დიკენსი დრამატიზმით აღსავსე დიალოგებით გაზმავდა და შეუდარებლად გაითამაშებდა ისე, რომ ამბის ყოველი გმირი მსმენელს ნათლად ეხატებოდა თვალწინ. მაგრამ მის ნამდვილ გატაცებას სულ სხვაგვარი ეპიზოდები წარმოადგენდა. ამ ეპიზოდებს სულის გამყინავი წერილმანებობი ჰყვებოდა და ისე ნატურალურად, რომ მსმენელებს ტანში ჟრუანტელი უვლიდა.

ჩვენი გმირის მთავარ განმასხვავებელ თვისებას იუმორი შეადგენს. აი, რატომ ცოცხლობს დიკენსი ჩვენს დღეებში. აი, რით უნდა სუნთქავდეს მასზე დაწერილი წიგნის ყოველი ფრაზა. როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში მისი ყველაზე მომხიბლავი თვისება მხიარულება იყო. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, შეიძლება მისი გარეგნობა, თავის დაქერის მანერა დაავიწყდეს, მაგრამ სიცილი — არასოდეს! დიკენსის კომიკური ნიჭის საფუძველს მისი ზებუნებრივი დაკვირვებულობა წარმოადგენს: ის ყველაფერს ხედავდა და ყველაფერში რამე სასაცილოს შეამჩნევდა. ზოგჯერ საერთო მხიარულებაში მისი ლურჯი მოელვარე თვალები რალაც გაურკვე-



ველ ელფერს იღებდნენ, ხუნდებოდნენ; მწერალი თითქოს იბნეო-  
და, სახეც რაღაც ნეტარ გამომეტყველებას იღებდა: მაგრამ ასეთ  
წუთებშიც არაფერი გამოეპარებოდა. გამომეტყველება წუთში ეც-  
ვლებოდა, ცოცხალი და დაკვირვებული უბნდებოდა. ყველასათვის  
ცხადი იყო, რომ ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა. აი,  
ვიღაც სასაცილო ამბავს ჰყვება, მასპინძლის სახემ მზაკვრული გა-  
მომეტყველება მიიღო, თვალებში ეშმაკუნები აუცეკვდნენ, წარბი  
მალლა აზიდა სასაცილოდ. ცხვირი შეკუმუნა. აი, მოაშბემ ყველაზე  
სასაცილო ადგილს მიაღწია, დიკენსს ლოყებზე ნაოპები უჩნდება,  
ბაგეების კუთხეები ზევით ეწევა. თვალები ეხუჭება და მთელი  
ოთახი მისი ჰომერული სიცილით ივსება. იცინოდა სიამოვნებით,  
თავმეუჯავებლად, მთელი გულით და სულით და ისე გადამდებდა,  
რომ ყველა აჰყვებოდა, ყველაზე ღვარძლიანი სკეპტიკოსები, ყვე-  
ლაზე პირქუში პესნიმისტებიც კი. თუ ნაანბობის გმირი ვინმე ძუნ-  
წი იყო, დიკენსს მოაგონდებოდა, როგორ იქცეოდნენ ვენეციაში-  
ულიკი კოლინზი და ოგასტეს ეგი. ამ ამბავს მხოლოდ რჩეულებს  
უამბობდა — იმათ, ვინც კარგად იცნობდა კოლინზსა და ეგს და  
მთხრობელის ხელოვნების დაფასება შეეძლო. ამ ამბის პირვანდელი  
(ჩაწერილი) ვარიანტი ასე უღერს: „არ შეიძლება არსებობდეს უფ-  
რო კურობული სანახაობა, ვიდრე კოლინზი და ეგი, როცა მათ  
მომპირნეობის ყინი მოუვლით. ყაირათიანობას მუდამ რაღაც სა-  
ცოდავ წვრილმანებიდან იწყებენ. აი, მაგალითად, დილით რომ ვსა-  
უზმობდით, გადაწყვიტეს, დღეს სერვიტორე (მსახური) არ დაგვ-  
ქირდებო. ველოდები, სანამ მათ შორის აზრთა გავკლა-გამოცკლა  
დამთავრდება, და ვეუბნები: „თქვენ ხომ გუშინ სადილობისას  
ზითხარით, დღეისათვის დავიჭირავეთ“. „—ჰო, რასაკვირველია,  
ასეა, მაგრამ კი არ დავიჭირავეთ, მოველაპარაკეთ. ახლა კი აღარ  
გვქირდება“. თერთმეტი საათი ხდება. დაბლა ჩავდივართ. ვესტი-  
ბიულში სერვიტორე ზის. კოლინზი იტალიურად უხსნის მას, დღეს  
საქირო არ ხარო. (თუ გინდათ გაიგოთ. როგორ ლაპარაკობს ის  
იტალიურად, ჯორჯინას ჰკითხეთ, ის გაიმბობთ) სერვიტორე მორი-  
დებულად მოაგონებს, დღეისათვის დამიბარეთ, უკვე მთელი საათი  
გელოდებით და მთელი დღე დავკარგეთ. რა უნდა ქნან? რა თქმა  
უნდა, უნდა დაიტოვონ.

გენუიდან საუცხოო ჩაი წავიღეთ. უნდა გენახათ, რა ყოფაში

იყვნენ, როცა პირველად უნდა გაგვესინჯა. რა გეგმებს აწყობდნენ, როგორ ეშოვათ ოტელში მუქთად აღუღებული წყალი. რა თქმა უნდა, სწრაფად გადავჭერი საკითხი: მოვითხოვე ერთი ულუფა ჩაი, რაც ათი პენსი დამიჯდა. საქმე ისაა, რომ ეგი ყველაფერს ხვდება, თუ სერიოზულად მოელაპარაკები, საერთოდ საყვარელი ადამიანია. მაგრამ მათ ორად ჰყოფს საწინააღმდეგო გრძნობები: ერთის მხრივ, ყველაფერი საუკეთესო სურთ, ჭირვეულობენ, მეორე მხრით, ფული ძალიან ენანებათ.“

დიკენსის ცნობისმოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა: მუდამ ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ცნობა ეშოვა მისთვის საინტერესო ადამიანზე. ინტიმურ საუბარშიც ისე ხარბად და ყურადღებით უსმენდა სხვას, როგორც მეგობართა წრეში სადილობისას. თავის საყვარელ თამაშს ის „ოც კითხვას“ უწოდებდა და საგანგებოდ მართავდა იმისთვის, რომ მეგობართა და ნაცნობთა გემოვნება უკეთ შეესწავლა. გასაკვირი არ არის, რომ დიკენსმა სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც სხვებზე მეტად ასიამოვნა მილიონობით ადამიანს.

## ოჯახური საქმეები

ჩვენ ქმარზე ვილაპარაკეთ. დიასახლისი კი? იყო თუ არა ის ქმართან ისეთი ალღოიანი, როგორც მისი ქმარი — ყველასთან? არა და არა! ნაწილობრივ სწორედ ამის გამო მოხდა, რომ მათი ოჯახური ცხოვრება უხეიროდ აეწყო. ამან ოცი წლის შემდეგ იჩინა თავი, როცა მათ უკვე ათი შვილი ჰყავდათ. საერთოდ დიკენსის მეუღლეს ორმოცი ნორმალური ადამიანის ძალა უნდა ჰქონოდა. ეს როლი აშკარად აღემატებოდა ქეთის ძალას. ის კეთილი, ალერსიანი, ნელი და საკმაოდ სუსტი ნებისყოფის ქალი იყო. სიწყნარე და მყუდროება უყვარდა. ყველაფერი, რაც ძალთა დაძაბვას და ენერჯიას მოითხოვდა, სატანჯველი იყო მისთვის. ოჯახზე ზრუნვა ბევრ დროს ართმევდა. შვილები უყვარდა, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, სიამოვნებდა ლაპარაკი პატარებზე, დედობრივ სიხარულსა და დარდზე, ხელსაქმეზე. ნახსა და გულთბილს სურდა, მშვიდად ეცხოვრა ოჯახურ წრეში. არავითარი საქმიანობა — არც გონებრივი, არც ფიზიკური — არ იზიდავდა. მოუქნელად მოძრაობდა, წარამარა რამეს წამოედებოდა, ეცემოდა, ხელიდან რაღაც უვარდებოდა, ავიწყდებოდა, სად რა იყო.

განა ასეთ ქალს შეეძლო ეამებინა თვითნება და მომთხოვნი ქმრისთვის? საამისო არც ენერჯია გააჩნდა და არც ტემპერამენტი. ზშირი მშობიარობაც ხელს უშლიდა. სანამ ახალგაზრდები იყვნენ, ცდილობდა გაეკეთებინა, რაც შეეძლო. უღრტვინველად მიატოვა ბავშვები და ამერიკაში წაჰყვა ქმარს, მისი ხათრით მთელი ევროპა შემოიარა მასთან ერთად, ათასნაირ უხერხულობასა და საშიშროე-

ბას ურავდებოდა. ქმრის სტუმრებს იღებდა და დიდხანს ესაუბრებოდა ათასნაირ მისთვის არასაინტერესო თემაზე. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ იმოგზაურა ქმართან ერთად ინგლისსა და შოტლანდიაში, საზეიმო ცერემონიებს ესწრებოდა, ქმრის გვერდით იჯდა ტრიბუნებზე და მოსაწყენ სიტყვებს ისმენდა დაღონებული. თავის რომანების ყოველ გამოშვებას დიკენსი ცოლს უკითხავდა, ისიც უსმენდა და ამოდ ცდილობდა ამ წიგნებისადმი დიკენსისნაირი ინტერესი გამოეჩინა. მეხსიერებას ძაბავდა, ნერვებს იფუჭებდა და ქმრის დადგმებში მონაწილეობდა მაშინ, როცა მის სახლში ყველაფერი ყირამალა იყო გადატრიალებული. დაბოლოს, ოჯახის დიასახლისისა და დედის ადგილი მან თანდათან უშფოთველად თავის დას, ჯორჯინას დაუთმო.

ხშირი მშობიარობაც არ უხდებოდა ქეთს და მეათე ბავშვის შეძენის შემდეგ ის ცოტა არ იყოს ინფანტილური გახდა. ესეცაა: ქმარი არასოდეს არ ეპყრობოდა მას, როგორც ზრდადამთავრებულს. ქორწინებამდე, როგორც ჩანს, მათ უყვარდათ ერთმანეთი არანაკლებ შეყვარებულ წყვილთა უმრავლესობისა: ე. ი. ერთმანეთისადმი იმდენი ლტოლვა ჰქონდათ, რომ შეუღლება გადაეწყვიტათ. მაგრამ პირველი დღეებიდანვე მათ ბედნიერებას დიკენსის ორი სიყვარული უშლიდა ხელს — მარია ბიდნელისა და შემდეგ მერი ჰოგარტისადმი. ერთი სიტყვით, ქმარმა თავიდანვე აგრძნობინა ქეთს, ცოლის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ხარო. მაგრამ უწყინარი და არამომთხოვნი ქეთ ამასაც შეურიგდა, ხოლო, როცა მისი ოჯახის მართვა ჯორჯინას ხელში გადავიდა, ქეთ კიდევ უმადლოდა დას. მისთვის სამძიმო, უფრო მეტი — აუტანელი სხვა რამე იყო: ხშირი უსიამოვნება ქმართან. ანდა, როგორ უნდა შეწყობოდნენ ერთმანეთს ეს ორი ადამიანი, ასეთი შეუფერებელი ხასიათითაც და ტემპერამენტითაც. წლები მიდიოდა და განხეთქილება. მეუღლეებს შორის ღრმავდებოდა, დიკენსი უფრო თავნება, მოუსვენარი და გულფიცხი ხდებოდა, უთუოდ დაძაბული მუშაობა, აუარებელი მოვალეობა და საზრუნავი თავის გავლენას ახდენდა. „საოჯახო კითხვის“ დაარსების შემდეგ ქეთმა პირველად შესთავაზა ქმარს, გაეცაროთ.

დიკენსს რამდენიმე წელი ამის გაგონებაც არ სურდა. ცოლს ეუბნებოდა, ჩვენს უპირველეს მოვალეობას შვილებზე ზრუნვა შე-

ადგენს და ამიტომ ერთად უნდა ვიყოთო. მაგრამ დრო გადიოდა და დიკენსი უფრო და უფრო ხშირად ჩიოდა, ოჯახურ ცხოვრებაში ბედნიერი არა ვარ, ჩემი შესაფერი მეუღლე ვერ ავირჩიე და ამის გამო კატასტროფა განვიცადეო. თავის თავისადმი სიბრალული ფრიალ ხშირი მოვლენაა, მაგრამ დიკენსის თავისებურება ის იყო, რომ ყველაფერს უფრო მძლავრად და ღრმად განიცდიდა, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები. ეს თავისებურება შექსპირსაც ახასიათებდა. შექსპირს ესმოდა, რომ ადამიანს იშვიათად შეუძლია თანაუგრძნოს მეორეს იმაში, რაც თვითონ არ განუცდია. ლატაკი რომ შეიბრალო, თვითონ უნდა იყო ნაცხოვრები სიღარიბეში, ავადმყოფს რომ თანაუგრძნო — ტკივილის სიმწარე უნდა იცოდეს, უბედურს რომ გაუგო — თვითონ უნდა იყო განსაცდელში გამოვლილი. ასევე სხვების შებრალება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც საკუთარი თავისადმი სიბრალული განუცდია.

მაგრამ თუ დიკენსს უფრო ებრალებოდა თავისი თავი, ვიდრე შექსპირს, ეს მისი არტისტული ბუნების შედეგი იყო. ის მეტად თავშეუყავებლად აპყვებოდა წუთიერ სწრაფვას, ძლიერ დაჩვეული იყო სანტიმენტალური დრამის გმირის როლში ყოფნას. დრამის გმირობა ხომ საუკეთესო საშუალებაა საკუთარი თავისადმი სიბრალულით დატკობისათვის. დიკენსი არსად არ იყო ისე ბედნიერი, როგორც სცენაზე, განსაკუთრებით ისეთი გმირის როლში, რომელიც სიყვარულს ემსხვერპლება. მალე დავინახავთ, რომ ოჯახურმა დრამამ შეაქმნევინა მწერალს ყველა მის თხზულებაზე უფრო სცენური ნაწარმოები. 1858 წელს დიკენსი დაუფარავად ამბობდა, მრავალი წელია, რაც ოჯახურ ცხოვრებაში უბედური ვარო. ასეთი გახლდათ ეს ადამიანი; როცა ის მწვავედ განიცდიდა თავის უბედობას, ეჩვენებოდა, თითქოს მთელი საუკუნე იყო უბედური. ნამდვილად კი ოჯახურ უსიამოვნებაზე მხოლოდ 1855 წლის იანვარში ჩივის გადაკვრით თავის წერილებში. მწერალი ამბობს, დევიდ კოპერფილდის მსგავსად ცხოვრების თანამგზავრი ვერ ვიპოვეო. იგივე ნოტები გაისმის 1856 წლის აპრილში დაწერილ წერილშიც: „სადა ხართ, ჩემო წარსულო დღეებო! ოდესმე შევძლებ, დავიბრუნო წინანდელი სულიერი სიმშვიდე? შეიძლება, ნაწილობრივ, მაგრამ მთლიანად — არასოდეს! ჩემი ოჯახური არეულობა რაღაც საშიშრად მატულობს.“ ასე წერდა ის პარიზში. როცა „პაწია დორიტზე“ მუშა-

ობდა. წუხილი უკანდაუბრუნებელი დანაკარგის გამო ჩანს კლენემის სიყვარულში ბები მიგლზისადმი, მის ფიქრებში იმაზე, რომ ცხოვრებამ გვერდი აუქცია, რომ ცოლის შერთვა მისთვის გვიანაა, იმაშიც, რომ ანგელოზისებრ პატარა დორიტში დიკენსი ისევ მერი ჰოგარტს ხატავს. უაზრობა იქნებოდა, ვიძიოთხაოთ იმაზე, გაეყრებოდა დიკენსი ცოლს, თუ არა, დუგლას ჯეროლდი რომ არ მომკვდარიყო და დიკენსს პროფესიონალი მსახიობები არ მოეწვია საქველმოქმედო წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად. ერთი რამ ნათელია: იმ წამში, როცა მარია ბიდნელისა და მერი ჰოგარტის როლი ელენ ტერნანს გადაეცა, ქეთის ბედი გადაწყდა. „გაყინული მორევის“ უკანასკნელი წარმოდგენის შემდეგ არ ვიცი, რა მოსვენება და სიხარული, — სწერდა დიკენსი კოლინზს 1858 წლის მარტში, — არასდროს არავინ არ ყოფილა ასე შეპყრობილი ერთი მოუშორებელი ზმანებით“. ასეთ სერიოზულ და საპასუხისმგებლო მომენტში მისთვის, რა თქმა უნდა, საჭირო იყო ფორსტერი და მისი ცხოვრებისეული სიბრძნე. ფორსტერისაგან რჩევის მიღება შეიძლებოდა, ის მრავალი წლის მანძილზე იცნობდა ჩარლზსა და ქეთს. ის უეჭველად წინდახედულად და საქმიანად იმოქმედებდა. ერთი სიტყვით, ფორსტერი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც შეეძლო საქმის მოგვარება ისე, რომ დაეცვა ორივე მხარის ინტერესები! კოლინზი ამ მიზნისათვის არ გამოდგებოდა: ძლიერ ახალგაზრდა, ზარმაცი და გამოუცდელი იყო და თანაც ქორწინების სიწმინდეზე, ცოტა არ იყოს, თავისებური შეხედულება ჰქონდა. საექვოა, რომ ქეთი ნდობოდა ამ წარმართს.

ფორსტერმა, უპირველეს ყოვლისა, ურჩია მწერალს, მოფიქრებულად და ფრთხილად იმოქმედეთო. 1857 წლის სექტემბერში დიკენსმა უპასუხა: „თქვენ არ იწყნარებთ იმ ცვალებად და მტანჯველ გრძნობას, რომელიც, ჩემი აზრით, ჩვენი შინაგანი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. უეჭველია, თქვენ კარგად იცით, რა ხშირად და როგორ შეუბრალებლად ვიხშობდი მე ამ გრძნობას, — მაგრამ კმარა ამაზე. მე ჩივილი და წუწუნნი არ მსურს. თქვენ მართალი ბრძანდებით: როცა ახალგაზრდები ადრე შეუღლდებიან, მათ ცხოვრებაში უთანხმოებანი ხშირია. არ მავიწყდება, რომ მქონდა ბედნიერება ბევრი სიხარული განმეცადა. გულწრფელად და სინდი სიერად ვთვლიდი და მრავალი წლის განმავლობაში ვუმეორებდი

ჩემს თავს, რომ ბრწყინვალე წარმატების მიღწევის შემდეგ არა მაქვს უფლება ვბუზღუნებდე, თუ ერთ რამეში არ გამოიღმა ბედმა... მაგრამ დრო მიდის და ჩვენ ორივეს უფრო - და უფრო გვიძძის ერთად ყოფნა. არ შემოძლია, არ ვიფიქრო იმაზე, რომ რამე ვიღონო. ეს ჩემთვისაც საჭიროა და მისთვისაც... გთხოვთ, არ იფიქროთ, თითქოს ჩემი თავი უმწიკვლოდ მიმაჩნია. მშვენივრად ვიცი, რომ მეორე მხარესაც აქვს საფუძველი უკმაყოფილო იყოს. უთუოდ ბევრ რამეში ვარ დამნაშავე: ათასნაირი ახირებულება, მძიმე ხასიათი...“

სექტემბერში დაწერილ მეორე წერილში მწერალი ფორსტერს თავის გულის ნადებს უზიარებს: „მე და საბრალო ქეთრინი ერთმანეთისათვის არა ვართ გაჩენილი. რას იზამ! მხოლოდ ის კი არ არის უბედურება, რომ მისი დანახვა მალონებს და მაბრაზებს; მეც სწორედ ასევე ვმოქმედებ მასზე. მხოლოდ ათასჯერ უფრო ძლიერად. დიახ, ის მართლაც ისეთია, როგორც თქვენ იცნობთ: უბოროტო და ხათრიანი; მაგრამ მე და ის გასაოცრად შეუფერებელი წყვილი ვართ. ღმერთმა ხომ იცის, სხვა ყაიდის ადამიანთან ბევრად უფრო ბედნიერი იქნებოდა. მისი ბედი რომ სხვანაირად მოწყობილიყო, ჩემზე ნაკლებად არ მოიგებდა. ხშირად გულის ტკივილით ვფიქრობ: რა საწყენია, რომ სწორედ ჩემთან შეხვედრა არგუნა მას ბედმა! ხვალ რომ მოგვკვდე, ან უბედურ შემთხვევას ვემსხვერპლო, ვიცი, ის შეწუხდება, რომ ერთმანეთი დავკარგეთ. ასევე — მეც! მაგრამ თუ გადავრჩებოდი და მოვიკეთებდი, ჩვენი ხასიათების შეუთვისებლობა ისევ ჩადგებოდა ჩვენს შორის და ისევ ვერ გავუგებდით ერთმანეთს. მისი ტემპერამენტი ჩემსას ვერ უთავსდება. ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვიდრე ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა გვეფიქრა. მაგრამ მას შემდეგ გარემოება შეიცვალა: ამჟამად რაიმეს მოგვარების ცდას აზრი აღარა აქვს. რაც ახლა მემართება, უეცრად არ მომხდარა. დიდი ხანია ვხედავდი, როგორ მიახლოვდებოდა ყოველივე ეს. აი, იმ დღიდან, გახსოვთ? ჩემი მერი რომ დაიბადა“.

„გარემოება შეიცვალა“, რომ ამბობდა დიკენსი. უეჭველად ბევრ რამეს გულისხმობდა; ნამდვილად კი ყველა მიზეზი, არსებობდა, ერთ რამეში იყრიდა თავს: მწერალს სხვა ქალი შეუყვარდა. მას აუცილებლად რაიმესთვის უნდა მოეკიდა ხელი. რომ გაუზიან-

რებელი სიყვარულით გამოწვეული კაეშანი გაენელებინა. გარდა ამისა, ფულის შონაც საჭირო იყო. ასეთი სულიერი განწყობილებით ახალი რომანის დაწყებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. და აი, ოცდაერთი წლის შემდეგ ისევ საჯარო კითხვების გამართვა მოუვიდა აზრად, ოღონდ უკვე არა საქველმოქმედო მიზნით. ფორსტერი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამ იდეას. მისი აზრით, სახელგანთქმულ მწერალს არ შეჰფერის კომენდიანტივით ართობდეს ხალხს. იგი ურჩევდა დიკენსს, თავი დასძლიეთ და კეთილგონივრულად იმოქმედეთო. ფორსტერის ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა: დიკენსი კიდევ უფრო გაჩივტდა. „უკვე გვიანაა იმის ჩიჩინი, რომ თავი უნდა ავლაგმო. გარდა მუშაობისა, ვერაფერი ვერ მომცემს შვებას. გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შემიძლია. ჩემს ძალღონეს გაუფრთხილდე? ხომ მოგკვდი! ისა ჯობს, საქმიანობაში მოგკვდე. ისეთი ვარ, როგორც ბუნებამ გამაჩინა. ჩემს უბედურებას იმ საშუალებებით უნდა ვებრძოლო, რაც გამაჩნია. ვალდებული ვარ, ის გავაკეთო, რაც განგებას ჩემთვის წინასწარ განუსაზღვრავს“.

1857 წლის ოქტომბერში დიკენსი მოგზაურობიდან დაბრუნდა და ცალკე მოაწყობინა თავისი საწოლი ოთახი.

1858 წლის იანვარია. ტევისტოკ-ჰაუსი. დიკენსი და ქეთი სხვადასხვა ოთახებში არიან. დიკენსი სულდამძიმებული, განაწამებია, ბორგავს; აქეთ-იქით აწყდება გალიაში დამწყვდეული ვეფხვივით. „ყველაფერი ეს სიზმარს ჰგავს: შრომობ, რალაცას აღწევ, ბოლოს და ბოლოს კი ყველაფერი ისე უმნიშვნელოა, — სწერდა დიკენსი მარტში მაკრიდის. — სწორედ გუშინ მესიზმრა, თითქოს ხელფეხშეკრული ვარ და, რაც ძალა და ღონე მაქვს, ზღუდეების გაუთავებელი წყების გადალახვას ვლამობ. ხომ ძალიან ჰგავს ცხადს? უილკი კოლინზს კი სწერდა: „ჩემი ოჯახური უბედურება ისე მალონებს, რომ მოსვენება დავკარგე. არც წერა შემიძლია.“ იმავე დროს, მიუხედავად ფორსტერის პროტესტებისა, საჯარო კითხვებისათვის ემზადებოდა ნელ-ნელა. მართალია, ერთი გარემოება აწუხებდა: რას იტყვიან მკითხველები, როცა გაიგებენ, მათმა საყვარელმა მწერალმა პროფესიად საჯარო კითხვები აირჩიაო. ხომ არ მოახდენს ეს გავლენას მისი შემოქმედების პოპულარობაზე? მაგრამ კოლინზს კი მაინც უთხრა, ფორსტერს ამ საკითხში „მეტად უგუნური“ პოზიცია უჭირავს, უთუოდ იმის გამო, რომ „ფულმა თავბრუ დაახვია“. განა



ამაღლელებელი იღეა არ არის ფართო საზოგადოების წინაშე თავი-  
სი გმირების გათამაშება? ეგებ დროებით მაინც დაავიწყოს მღელ-  
ვარება, რომელიც მის სულშია გამეფებული? „რამე საქმეს უნდა  
მოვიკიდო ხელი, თორემ გავგვიყლები!“ — სასოწარკვეთილებით ამ-  
ბობდა ის. ბოლოს, მარტში გადაწყვიტა საკითხი და იმპრესარიოც  
გამოძებნა თავისთვის (ეს არტურ სმიტი იყო, მისი ძველი ნაცნობი)  
და გამოაცხადა, „საშობაო სიმღერის“ კითხვის სერიას ჩავატარებო.  
მისი გამოსვლები 29 აპრილს უნდა დაწყებულიყო ლონდონის სენ-  
მარტინზ-ჰოლში და იენისამდე გაგრავლებულიყო, ხოლო შემოდ-  
გომაზე კითხვა პროვინციულ ქალაქებში განახლებულიყო.

კითხვა ორჯერ საქველმოქმედო მიზნით გაიმართა: პირველი სა-  
ბავშვო სამკურნალოს, მეორე — ედინბურგის ფილოსოფიური სა-  
ზოგადოების სასარგებლოდ. რეპერტუარი თანდათან იზრდებოდა:  
სენ-მარტინზ-ჰოლში „ზარებიც“ წაიკითხა. წარმატება კოლოსალუ-  
რი იყო. ის რომ პროფესიული მკითხველი გამხდარიყო და სხვა  
არაფერი ეკეთებინა, ბევრად მეტ ფულს გააკეთებდა, ვიდრე ყვე-  
ლა მისმა წიგნმა მისცა.

პირველი ფასიანი კითხვის წინაღეს დიკენსის ცოლმა დედისა  
და დის თანხლებით დატოვა ტევისტოკ-ჰაუსი. ქეთ, როგორც ვი-  
ციტ, ძალიან გულუბრყვილო იყო და ნათესავეებმა ადვილად დაარწ-  
მუნეს, ჯორჯინა შენს წინააღმდეგ მოქმედებს, ხოლო ელენ ტერნანი  
დიკენსის საყვარელიაო. მათი ღვარძლიანი დამოკიდებულება დი-  
კენსისადმი სულ უბრალოდ აიხსნება: დიკენსმა დაუფარავად აგრძ-  
ნობინა პოგარტებს, რომ მათი საზოგადოება მისთვის არასასიამოვ-  
ნო იყო. ერთ საღამოს მწერალი ტევისტოკ-ჰაუსიდან წავიდა, ათი  
მილი ფეხით გაიარა ჰედსჰილამდე და განაცხადა, შინ არ დავბრუნ-  
დები, სანამ პოგარტები იქ არიანო. მისი რამდენიმე წერილიდანაც  
ნათელაა, რომ მტრულ დამოკიდებულებას ცოლის ნათესავეებისა-  
დმი აღარ ფარავდა. რაც შეეხება ჯორჯინას, მან ჩარლზს დაუჭირა  
მხარი და ამით აიძვდრა თავისიანები. გარდა ამისა, ის დიკენსის  
ოჯახს განაგებდა და ესეც სწყინდა მისიანებს: მათ ერჩიათ, ოჯახი  
დამთმობი ქეთის ხელში ყოფილიყო, ვინაიდან მას თავიანთ ჰკუაზე  
ატარებდნენ. დიდი ხნის წინ (ზუსტად 1843 წლის 8 მაისს) დიკენსი  
წერდა: ხასიათით და ჰკუით ჯორჯინა ჩემს დაუვიწყარ მერი ჰო-  
გარტს ჰგავსო. „ეს მსგავსება ხანდახან ისე გასაოცარია, რომ რო-

დესაც ჩვენ სამნი — ქეთ, ისა და მე ერთად ვსხედვართ, მეჩვენება, თითქოს ყოველივე განვლილი საშინელი სიზმარი იყო, რომელიც ეს-ესაა გათავდა. ზუსტად მერისთანა ქვეყანაზე არავენ იქნება, მაგრამ მისი სული ისე ხშირად გამომიბრწყინდება ჯორჯინას იერში, რომ ძნელი გასაგები ხდება, სად მთავრდება მოგონებები და სად იწყება ცხადი“. შემდეგ, წლების მანძილზე, ეს მსგავსება უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა და ჯორჯინა მტკიცედ გამეფდა მის გულში (და სახლშიც). მასში დიკენსი იდეალური არსების ორიგინალს არა, მაგრამ მის ზუსტ ასლს ხედავდა, ასლს იმ არსებებსა, რომელთანაც სულიერი სიახლოვე ასე აუცილებელი იყო მისთვის.

ბუნებრივია, ჯორჯინა არ იყო ამით აღტაცებული, რადგან, ექვს გარეშეა, ის თავყვანს სცემდა დიკენსს. მაგრამ რას იზამ? სათნოების განსახიერების როლს უნდა შერიგებოდა. არაბუნებრივმა მდგომარეობამ, რომელშიც ჯორჯინა აღმოჩნდა, განაწყყო ის ქეთის წინააღმდეგ. მისი აზრით, ქეთიმ მხოლოდ ცოლქმრობის სიამენი დაიტოვა, ხოლო დედისა და დიასახლისის მოვალეობა მას აჰკიდა.

მაგრამ აი, სცენაზე ელენ ტერნანი გამოჩნდა და პირველ ხანებში ძლიერ დახლართული მდგომარეობა მალე გამარტივდა. ადვილად შისახვედრია, როგორ შეხვდა ჯორჯინა ელენ ტერნანის გამოჩენას. ჰოგარტებს კი ქარბად მიეცათ საზრდო გესლიანი ავენობისათვის. დიკენსი არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც უახლოეს მეგობრებსაც კი არ უმყლავნებდნენ თავიანთ განცდებს. თითოეული მათგანი სულ ადვილად იგებდა მისი გატაცების ამბავს. სულ მალე ეს ამბავი კლუბებში საჭორაო თემად იქცა; ამ გზით გაიგეს ის თეკერეიმ და ბრაუნინგმა, რომლებიც დიკენსის ახლო მეგობრები არ იყვნენ; ქეთიმ კი ეს ამბავი შემთხვევით გაიგო, როცა ჩარლზის მიერ ელენისათვის ნაყიდი რაღაც სამკაული შეცდომით მას მიუვიდა. ამით აღძრული ექვები ქალს მალე გაუმართლდა: დიკენსმა მოაგონა ცოლს ჯერ კიდევ დაქორწინებამდე დადებული პირობა (არ დაემალათ, თუ რომელიმე მათგანს სხვა ვინმე შეუყვარდებოდა). დიკენსმა სთხოვა მეუღლეს, სადარბაზოდ მისულიყო ელენ ტერნანთან. თავზარდაცემულმა ქეთიმ ყველაფერი დედას უამბო. ქალიშვილებსაც არ დაუფარა თავისი მწუხარება. ერთმა მათგანმა მტირალ დედას ჰკითხა, რა მოხდაო. „მამაშენი მოითხოვს, რომ ელენ ტერნანთან სადარბაზოდ მივიდე“, — საცოდავად უპა-

სუხა დედამ. ქალიშვილი ურჩევდა, არ წახვიდო, მაგრამ ქეთმა მაინც შეასრულა ქმრის დავალება. ასევე გულწრფელად მოელაპარაკა დიკენსი ჯორჯინას და უფროს შვილებს: ჩარლზს, მემისა და ქეთს. მან განსაკუთრებით აღნიშნა (როგორც ჩანს, ექვების გასაბათილებლად), რომ ელენის მიმართ მხოლოდ მაღალი გრძნობები მაქვს და ჩვენი ურთიერთობა სავსებით „უბიწოაო“. პოგარტებმა არ დაიჯერეს — თუ თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს არ სჯეროდათ, — ჩააგონეს ქეთს, მხეცურად გექცევიანო და ოჯახიდან წაიყვანეს.

დიკენსმა ჰედსპილიდან ტევიატოკ-პაუსში დაბრუნებისთანავე გაიგო, რომ „საზოგადოებაში“ ყველას პირზე ეკერა სკანდალური ამბები მასზე, ჯორჯინასა და ელენ ტერნანზე. კლუბში ვიღაცამ უთხრა თეკერეის, დიკენსი ცოლს ცოლისდის გამო გაეყარაო. „ცოლისდის გამო? — შეეკამათა თეკერეი, — სულაც არა. მსახიობის გამო!“ ეს უმაღლეს გადასცეს დიკენსს და მან თეკერეის მისწერა წერილი, რომელშიც აღშფოთებით უარყოფდა ყოველგვარ ბრალდებას. არწმუნებდა, ცოლი და მე ხასიათით ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს და გავიყარეთო. როცა გამოარკვია, ცილისწამების კამპანიის ინიციატორები თუ არა, ყოველ შემთხვევაში აქტიური მონაწილეები მისის პოგარტი და მისი ქალი პელენი იყვნენ, მწერალი ისე მოიქცა, რომ ხმა გავრცელდა, დიკენსი ქუიდან შეირყა და თავისი გრძნობების დამორჩილების უნარი დაკარგაო. ზოგნი ამბობდნენ, სულ სხვანაირი გახდა, თითქოს სხვა კაციაო. მაგრამ ასეთი მსჯელობა ყოველთვის ზერელეა. ადამიანის ხასიათი სიყრმიდან დაწყებული მოხუცებულობამდე ძირითადად არ იცვლება. მხოლოდ ხდება, რომ ზოგი გარემოება გამოავლენს თვისებებს, რომლებსაც წინათ ყველა ვერ ამჩნევდა. დიკენსის ყოფაქცევაში, თუ კარგად დავაკვირდებით, მოულოდნელი არაფერი იყო: ადამიანი, რომელშიც მსახიობის განმცდლობა და ემოციურობა უთავსდებოდა საქმიანი კაცის ენერჯიასა და სიფხიზლეს, სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. პოგარტებს დიკენსი ოცი წლის განმავლობაში ეხმარებოდა და მეურვეობდა, მაგრამ მათ დიდი უმადურობა გამოიჩინეს: ზურგსუკან ცილი დასწამეს სახელის გასატეხად. დიახ, მას თავდაჭერილობამ უმტყუნა, მაგრამ არც ეს არის გასაკვირი: ის ყოველთვის ჰკარგავდა წონასწორობას, როცა გზაზე ვინმე გადაუდგებოდა. ცოლქმრობის პირველი დღეებიდანვე მისი ყოველი სიტყვა კანონი იყო: ქეთ არა-

ზოდეს არაფერში არ ეწინააღმდეგებოდა. მაშინ, როცა მან სახლი დატოვა, სამუდამო განშორება აუცდენელი გახდა. ყოველგვარი ფორმალობის მოგვარება ფორსტერს დაევალა. ქეთმა თავის რწმუნებულად მარკ ლემონი აირჩია, რადგან ფორსტერი მუდამ მტრულად უცქეროდა მას. 1858 წლის მაისში ხელი მოაწერეს აქტს, რომლის მიხედვით ქეთს სიკვდილამდე ექვსასი გირვანქა უნდა მიეღო ყოველწლიურად ყოფილი ქმრისაგან და უნდა ეცხოვრა № 70 სახლში გლოსტერ კრესენტზე უეჯროს შვილთან ერთად. დანარჩენ ბავშვებს მამა იტოვებდა.

სანამ ყოველივე ეს გვარდებოდა, დიკენსს გალიაში ჩაკეტილი ვეფხვივით ეპირა თავი. საეჭვოა, რომ ამ დროს მისი შვილები მხიარულად ყოფილიყვნენ და რამე გართობაზე ეფიქრათ. მაგრამ აი საბუთს ხელი მოაწერეს, გაცოფებული ვეფხვი გათავისუფლდა და ყველა შემხვედურს თავს ესხმის. ყველა, ვინც არ ამართლებდა, მისი მტერი იყო. თავს ისე უსამართლოდ დაჩაგრულად გრძნობდა, იმ მტანჯველი წლების დაძაბულობამ იმგვარად იმოქმედა მასზე, რომ მისი გული, როგორც თვითონ ამბობდა, „დაფლეთილი, დასახიჩრებული და დამახინჯებული“ იყო. დიკენსმა შვილებს უბრძანა, ყოველგვარი ურთიერთობა გაეწყვიტათ დიდდა მისის ჰოგარტთან და დეიდა ჰელენთან. დედის ნახვა არ ეკრძალებოდათ, მაგრამ მამამ ნათლად აგრძნობინა მათ, რომ ეს არ ესიამოვნებოდა. ჯორჯინას მიაწვრინა წერილი პირველი შეყვარებულისათვის (მისის ვინტერისათვის), რათა საქმის ვითარება აეხსნა (რა თქმა უნდა, დიკენსის პოზიციებიდან). ეს წერილი ჰემმარიტად გასაოცარ რწმუნებას შეიცავდა, თითქოს ქეთს ხასიათის საუბედურო თვისებების გამო არ შეეძლო დედობრივი მოვალეობის შესრულება და თავის შვილებს ჩვილობის ასაკიდან სხვებს ანდობდა; ამის გამო, როცა ბავშვები წამოიზარდნენ, მათსა და დედას შორის ბუნებრივი მტკიცე კავშირი ვერ დამყარდაო. უფრო მართალი იქნებოდა, ეთქვათ, დიკენსმა და ფორსტერმა გადაწყვიტეს, ქეთ საკუთარი შვილების აღმზრდელად არ ვარგაო. როგორ უნდა ეთქვა მას უარი დედის მოვალეობის შესრულებაზე, როცა ამ მოვალეობის შესრულება აღუკვეთეს. გარდა ამისა, არავითარი საბუთი იმისა, რომ უმცროს შვილებს არ უყვარდათ, არ არსებობს. ხოლო სამი უფროსიდან, რომლებიც დიკენსმა საქმეში ჩააწვინა, ორი — ჩარლი და ქეთ — დედის მხარეზე

იყვნენ. მამას მხოლოდ მემი მიემხრო. უადრესად თვალმახვილი და დაკვირვებულნი კი ყოველთვის ვერ იჩინეს გამჭრიახობას, ხოლო ისიც, ვინც გარეგან ნიშნებს შეუმცდარად ამჩნევს, ზოგჯერ საღად ვერ მსჯელობს. მაინც რა მოხდა? ვიღაც რეგვენები თავიანთ კლუბებში ლაყბობდნენ, ხოლო მოდური სალონების ზოგმა მუდმივმა სტუმარმა გასართობად სკანდალური ხმა გაავრცელა. და აი, ადამიანი, რომელსაც არასოდეს არც ერთი გამოხედვა, არც ერთი ინტონაცია არ გამოეპარებოდა, უცნაური შეცდომის მსხვერპლი გახდა. მისი აზრით, მთელი ქვეყანა მხოლოდ მის ოჯახურ საქმეებში იქეჩებოდა და ამიტომ გადაწყვიტა პრესის საშუალებით გაებათილებინა ცილისწამება (კიდევ უფრო უცნაური შეცდომა!). მას ამ ხმებისათვის ყურადღება არ უნდა მიექცია — ხომ არ აქცევდა ყურადღებას მის რომანებზე დაწერილ კრიტიკულ წერილებს! უეჭველია, საღდაც გულის სიღრმეში, გრძნობდა, რომ საბაბი ჭორებისათვის თვითონ მისცა. საუცხოოდ ჰქონდა განვითარებული იუმორის გრძნობა, ამიტომ მწერლობაში მიღწეულმა წარმატებამ თავბრუ არ დაახვია, მაგრამ ისე ადრე მოიხვეჭა სახელი და ისე დიდი იყო მისი პოპულარობა, რომ საკუთარ თავზე მაინც რამდენადმე გაზვიადებული აზრისა იყო. მკითხველებზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს რაღაც იღუმალი კავშირი ჰქონოდა მათთან და თითქოს აღქურვილი ყოფილიყოს უზარმაზარი ნდობით, რომელსაც ბოროტად ვერ გამოიყენებდა. ამ წრფელი რწმენით და ცილისმწამებლებზე განაწყენებით აიხსნება ნაწილობრივ ყოვლად გასაოცარი საქციელი ამ გასაოცარი ადამიანის ცხოვრებაში. მან „საოჯახო კითხვაში“ მკითხველებისადმი „მიმართვა“ გამოაქვეყნა და ყველა მსხვილ გაზეთს დაუგზავნა დასაბეჭდად. ამ „მიმართვის“ დაწერა და გამოქვეყნება მისი მსახიობური ნიჭით აიხსნება: მთელი ქვეყნის წინაშე დრამის გმირად გამოჩენის ცდუნება ვერ დასძლია. ეს, ასე ვთქვათ, მისი ბენეფისი, თეატრალური სენსაცია იყო. როცა „მიმართვის“ ტექსტი მზად იყო, დიკენსს წუთით ექვე შეეპარა ამ ნაბიჯის გონიერებაში და დაწერილი ფორსტერსა და ლემონს უჩვენა. ორივემ განუცხადა, გადაჭრით წინააღმდეგი ვართ ამის გამოქვეყნებისო. დიკენსი ამან უფრო შეაგულიანა. ბოლოს ფორსტერმა ურჩია, ჯონ დილენისათვის — გაზეთ „ტაიმის“ რედაქტორისათვის — ეკითხა რჩევა და ისე ემოქმედა. დილენს თავიანთ საიდუმლოებას მინისტრებიც კი

უზიარებდნენ. მასზე უკეთესად არავინ იცოდა, როგორ შეხედებოდა საზოგადოება ამ: თუ იმ ცნობას. ასეთი ადამიანის ნდობა თითქოს შეიძლებოდა. როცა დიკენსმა „მიმართვა“ უჩვენა, დილეინმა დაბეჭდვა ურჩია. რითი აიხსნება ეს, არავინ იცის. შეიძლება მას არ უყვარდა დიკენსი, რომლის თხზულებებს „ტაიმსი“ მუდამ მკაცრად უსწორდებოდა; ანდა დარწმუნდა, რომ დიკენსი მაინც თავის სურვილისამებრ მოიქცეოდა და გადაწყვიტა, საწინააღმდეგოს თქმა არ ღირსო.

„მიმართვის“ დაბეჭდვის წინ დიკენსმა ტექსტი ცოლს გაუგზავნა და სთხოვა, მაცნობე, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებაო. ამავე დროს სწერდა თავის აზრს მისი დედის, დეიდისა და დის ყოფაქცევის შესახებ. „ვინც არ უნდა აღმოჩნდეს ახლა მათ შორის, ვისაც მე არასდროს არც ცოცხალი, არც მკვდარი არ შევინდობ, გულით მჯერა, რომ ჩემსა და შენს შორის ერთხელ და სამუდამოდ გამორიცხულია ყოველგვარი უკეთური გრძნობები“. „კარგი ქეთრინი“ (ასე მიმართავდა ახლა დიკენსი ცოლს), როგორც ყოველთვის, არ შეჰკამათებია. 1858 წლის 12 ივნისს „მიმართვა“ — „ოჯახურ კითხვაში“ გამოქვეყნდა. ბევრმა გაზეთმა, რომელმაც „მიმართვა“ მიიღო, უყურადღებოდ დატოვა, მაგრამ ბევრმა გამოაქვეყნა. ამ უკანასკნელთა შორის ბევრი ისეთი აღმოჩნდა, რომლებმაც საკმაოდ არასასიამოვნო ხასიათის კომენტარებიც დაურთეს. მკითხველებმა არ იცოდნენ, რა ეფიქრათ. დიდმა უმრავლესობამ მწერლის ოჯახურ დრამაზე არაფერი იცოდა. მისი მეგობრები, რომლებმაც ბუნებრივად მეტი იცოდნენ, ვიდრე „მიმართვაში“ გამოცხადდა, შეცბუნდნენ. ზოგიერთები კრიტიკულად შეხვდნენ მის საქციელს და ამან გააცოფა დიკენსი. ადამიანებთან ურთიერთობაში უფრო თავდაჭერილი და ცივი გახდა: გულითად მეგობრებში ფარულ მტრებს ხედავდა. როგორც ჩანს, მისმა უფრო ფხიზელმა მეგობრებმა „მიმართვის“ წაკითხვის შემდეგ მართებულად გადაწყვიტეს, რომ მასთან ამ ნაწარმოებზე მსუბუქი და გულგრილი ტონით მსჯელობა შეცდომა იქნებოდა.

„ეს ერთი ხანია, მთელ რიგ მძიმე გარემოებათა გამო ჩემი ოჯახური ცხოვრება გართულდა. ამ გარემოებათა თაობაზე აქ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ისინი უაღრესად პირადული ხასიათისაა და ამიტომ, მე მგონია, პატივისცემის ღირსია. ამ ცოტა ხნის წინათ

ის დამთავრდა შეთანხმებით, რომელიც მტრობისა და გულისწყრომის შედეგი როდია. ჩემმა შვილებმა თავიდან ბოლომდე ყველაფერი იცოდნენ. რაც შეეხება ამ შეთანხმების გამოძმვევ მიზეზებს, უმჯობესია დაივიწყოს ყველამ, ვინც იცნობს მათ.

რალაც მანქანებით — ბოროტი განზრახვით თუ მოუსაზრლობით, შეიძლება, სულაც შემთხვევით — ეს სამძიმო გარემოებები არასწორად იქნა გაგებული და უალრესად ყალბი და უსამართლო ხმების საბაზად იქცა. ცილისწამების საგნად მხოლოდ მე კი არა, ჩემი მახლობლებიც გახდნენ. ის სხვა უდანაშაულო პირებსაც შეეხო, ვისაც არც კი ვიცნობ, არ ვიცი, რეალური პიროვნებები არიან ისინი, თუ გამოგონილი. ცილისწამება ისე ფართოდ გავრცელდა, რომ ყოველი ათასიდან, ვინც ახლა ამ სტრიქონებს კითხულობს, მე მგონია, ერთი თუ მოიძებნება ისეთი, რომ მისი ბოროტი და მავნე სუნთქვა არ შეჰხებოდეს. იმათ, ვინც მე მიცნობს, არ სჭირდებათ ვარწმუნო, ეს მონაჩმახები იმდენად უაზრო და შეუსაბამოა, ისევე ეწინააღმდეგება ჩემს არსს, როგორც ერთმანეთს. მაგრამ აუარებელი ზალხი — მხოლოდ ჩემი თბზულებებით მიცნობს. მე ვერ ავიტან, რომ თუნდაც ერთი მათგანი დაექვდეს ჩემში. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს, რომ მე სიმართლის ნათელყოფას ავარიდო თავი.

ამრიგად, საკვეყნოდ ვაცხადებ: ყველა მითქმა-მოთქმა ჩემს გარშემო მომხდარ უსიამოვნო ამბებზე ჰორია. თუ ამ „მიმართვის“ შემდეგ მაინც გაიმეორებს ვინმე რომელიმე მათგანს, ის შეგნებულად და უნამუსოდ ცრუობს, როგორც უსინდისო ფიცის გამტეხი სტყუის ღმერთისა და კაცის წინაშე.

მაგრამ ჯერ სადა ხარ! გაშმაგებულმა დიკენსმა თავის იმპრესარიოს — არტურ სმიტს მეორე, უფრო გულახდილი განცხადება გადასცა და სთხოვა, ეჩვენებინა იმათთვის, ვისაც ცილისწამება სჯეროდა და იმათთვისაც, ვისაც სურდა მისი უარყოფა. ამ განცხადებას ზედ ერთვოდა მისის ჰოგარტისა და მისი უმცროსი ქალის უარყოფა. ამ უარყოფაზე ხელისმოწერა დიკენსმა, როგორც ჩანს, მუქარით გამოსძალა ჰოგარტებს, რასაც შემდეგ ისინი ძალიან ნანობდნენ. უარყოფაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ჩვენ გავიგეთ, რომ ამ ბოლო ხანებში გარკვეული აზრი გავრცელდა იმ უთანხმოებაზე, რომელიც მისტერ დიკენსისა და მისი მეუღლის გაყრით დამთავრდა. ამ აზრის მიხედვით, ზემონახსენები უთანხმოება გა-

მოწვეულია გარემოებით, რომელიც ჩრდილს აყენებს მისტერ დიკენსისა და სხვა პირთა სახელს და რეპუტაციას. ჩვენ ვაცხადებთ: ამ ხმების არ გვჯერა და ვიცით, რომ მისი დიკენსისაც არა სჯერა მათი. ჩვენ დღეიდან ვკისრულობთ, ვაბათილოთ ეს ხმები, რადგან ისინი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია“. სმითმა საუკეთესო განზრახვით მიღებულ რწმუნებულებას გადააჭარბა და ეს განცხადებები ვიღაც კორესპონდენტს წააკითხა. ამის შედეგად ორივე განცხადება ნიუ-იორკის „ტრიბიუნში“ გამოქვეყნდა, იქიდან — რამდენიმე ინგლისურ გაზეთში და დიკენსს საჯარო გაკიცხვა ხვდა წილად.

აი, რამდენიმე ადგილი მისი განცხადებიდან:

„მრავალი წლის განმავლობაში ჩემი ცხოვრება მისი დიკენსთან ბედნიერი არ იყო. ყველა, ვინც ახლოს გვიცნობდა, უეჭველია, ამჩნევდა, რომ ჩვენ გასაოცრად შეუფერებლები ვიყავით ერთმანეთისათვის, როგორც ხასიათით, ისე ტემპერამენტით. საეჭვოა, მოიძებნოს ცოლი და ქმარი (თავისთავად არა ცუდი ადამიანები), რომ ჩვენსავით ცოტა საერთო ჰქონდეთ, რომ ჩვენსავით უძნელდებოდეთ ერთმანეთის გაგება...“

უეჭველად დიდი ხნის წინ გავიყრებოდით, მისი დიკენსის და ჯორჯინა პოგარტი რომ არ ყოფილიყო ჩვენთან და თხუთმეტი წლის ასაკიდან არ ეზრუნა ჩვენს სახლსა და ბავშვებზე. ის ბავშვების ამხანაგიც იყო, გამღელიც, მეგობარიც, თანამგზავრიც, მცველიცა და მრჩეველიც. მისი დიკენსის გრძნობების პატივისცემის გამო (როგორც ჯენტლმენს, მათი დაზოგვა მევალება) შევნიშნავ მხოლოდ იმას, რომ მისი ხასიათის ზოგი თავისებურების გამო ბავშვებზე ზრუნვის მთელი სიმძიმე მის დას დააწვა. არ ვიცი, არც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მოუვიდოდათ ბავშვებს, რომ არ ჰყოლოდათ ეს დეიდა, რომელიც მათ შეიყვარეს, რომელიც მათთან ერთად გაიზარდა და თავისი სიყრმე და თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები არ დაიშურა მათთვის. როგორ ცდილობდა ის, რომ ჩემსა და მისი დიკენსს შორის განხეთქილება არ მომხდარიყო, რამდენი ტანჯვა გაიარა ჩვენს გამო!

უკანასკნელ წლებში მისი დიკენსი დაჟინებით მარწმუნებდა, უმჯობესი იქნება, გავშორდეთ და ცალკე ვიცხოვრო, ჩვენი ურთიერთობა სულიერად მაშფოთებს, კიდევ მეტი — მე შეუფერებელი



ვარ იმ ცხოვრებისთვის, რომელითაც იძულებული ვარ, ვიცხოვრო, როგორც შენმა ცოლმა, უკეთესად ვიგრძნობ თავს, როცა შენგან შორს ვიქნებიო. მე მუდამ ვუპასუხებდი, ჩვენს უბედურებას უნდა შევეუროვდეთ, რადგან პირველ რიგში ბავშვებზე უნდა ვიფიქროთ და მათი სიყვარულით ცოლ-ქმრული ურთიერთობა სხვის შესახებ დად მაინც უნდა დავიცვათ-მეთქი“.

მათი განშორების პირობების გამო ის დასძენდა: „რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, აქ... მე მგონია, ყველაფერი ისე გულუხვად მოვაწესრიგე, თითქოს მისის დიკენსი წარჩინებული მანდილოსანი იყოს, ხოლო მე — ძლიერ მდიდარი კაცი“. და შემდეგ:

„დანამდვილებით გავიგე, რომ ორმა სულმდაბალმა ადამიანმა, ჩვენს გაყრასთან დაკავშირებით დაასახელა ერთი ჩემგან ღრმად პატივცემული ახალგაზრდა ქალი. მე არ ვასახელებ მას მისი პატივისცემით. ჩემს სინდისსა და სულს ვიფიცავ, რომ დედამიწაზე არ მოიძებნება უფრო უმწიკვლო და ღირსეული არსება, ვიდრე ეს ახალგაზრდა პიროვნებაა. მე ვიცი, ოს ისევე უბიწო, წმინდა და სათნოა, როგორც ჩემი საკუთარი საყვარელი ქალიშვილები. მეტ-საც ვიტყვი: როცა მისის დიკენსი ჩემგან ყველაფერს გაიგებს, მან უნდა დამიჩეროს, რადგან ყოველთვის პატივისცემით მეპყრობოდა და ჩემი გულწრფელობა მუდამ სწამდა...“

დიკენსი არაჩვეულებრივად შეწუხებული იყო, როცა 1858 წლის ზაფხულში მისი „უაღრესად პირადული“ განცხადება ინგლისურ გაზეთებში გამოქვეყნდა. მაშინვე უბრძანა თავის რწმუნებულს, ეცნობებინა ქეთისათვის, ამ პუბლიკაციის ნებართვა არ გამოცაო. დიკენსის აზრით, არავის არ შეურაცხყოფდა ეს პუბლიკაცია ისე, როგორც მას, იგი ფრიალ აღშფოთებული და შეწუხებული იყო. როგორც ჩანს, თავისი თავის სიბრალულმა დაუკარგა დიკენსს სხვისი ტანჯვის დანახვის უნარი: საჯაროდ განცხადება იმისა, რომ ქეთი საკუთარ შვილებზე არ ზრუნავდა, ათასჯერ უფრო მეტად შეურაცხყოფდა ცოლს, ვიდრე დიკენსს.

ამრიგად, ისინი გაიყარნენ. უბედურთა და გაწამებულთა რიცხვს ორი ადამიანი შეემატა. დიკენსს უღმობელი ომი დაეწყო საკუთარ სინდისთან. გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ქეთს უსამართლოდ მოექცა, მაგრამ თავი გაისასტიკა, გაიბოროტა და სინდისი ნებისყოფით დასძლია. ამ გამარჯვებას კმომე სულიერი ტანჯვით მიაღწია.

1858 წლის აგვისტოში ანჯელა კუტისისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, როგორი თავგამოდებით ცდილობდა დიკენსი, ქეთისათვის დაებრალებინა ყველაფერი. ცდილობდა თავის თავის მოტყუებას, ღრამის კეთილშობილი გმირის როლში დანახვას. ამტკიცებდა, ჩემს ცოლს შეილება არასდროს არ უყვარდა, ბავშვებს კიდევ—ის, მათი ცოლქმრობის პერიოდში არასდროს არაფრით არ დახმარებია მას, ახლა კი თანამზრახველებთან — არამზადა ნათესავეებთან ერთად, რომლებსაც სიძე მუდამ წყალობით ავსებდა, ცილსაც სწამებს. მას სურს აპატიოს და დაივიწყოს.

ქეთ კი? უკანასკნელ დღემდე გაუქარვებელ მწუხარებაში იმყოფებოდა. მისი ბედი ორმაგად აუტანელი იყო: როგორც ცოლი, ის უდანაშაულოდ დაისაჯა და თავის დაცვისათვის ძალა არ შესწევდა. როგორც დედამ, მარცხი განიცადა, მარცხი, რომელიც „მთელ ქვეყანას მოჰფინეს“... „თქვენ წარმოდგინეთ, ოჯახის დატოვება ოცი წლის ცოლქმრობის შემდეგ! საბრალო!“ — წუხდა თეკერეი. „აფსუსს! რა ფასი აქვს ამ ამბის შემდეგ მთელ ჩვენს ხელოვნებას!“ აი. რა ცუდი აზრისა იყო თავის ხელოვნებაზე „პატარა დორიტის“ გმირი პენრი ჰოუენი. და სწორედ ეს ხომ არ იყო იმის მიზეზი, რომ ვიქტორიას ეპოქის ორი უდიდესი მწერლის ურთიერთობა ასე უხეიროდ წარიმართა?

## გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ა

1859 წელს უ. პ. ფრიტმა<sup>1</sup> დიკენსი დახატა. „საწყენია, რომ ასეთი მოუსვენარი და შეურევებული სახე, მეტად დაბნეული და შემფოთებული გამოხედვა აქვს. ნეტავი როდესმე მანახა მძინარე, ანდა დაწყენარებული“, — თქვა ედვინ ლენდორმა, როცა ეს პორტრეტი ნახა. თვით დიკენსმა უფრო გარკვევით გამოთქვა აზრი: „კაცს ეგონება, თითქოს ესეისაა მითხრეს, მეზობლის სახლი იწვისო, მაგრამ ეს მეზობელი ჩემი დაუძინებელი მტერია, მისი სახლი კი დაზღვეული არ არის“. დიახ, ცოლთან განშორების შემდეგ პირველი ორი წლის განმავლობაში ის სასიამოვნო შესახედავი არ იყო. ყოველ შემთხვევაში თავის ქალიშვილ ქეთს ძლიერ სტანჯავდა იმით, რომ გულდაგულ თამაშობდა დჩაგრული მეუღლის როლს. ცოლთან განშორების შემდეგ სულ მალე თეკერეის წაეჩხუბა. მართალია, მათ ურთიერთობაში რაღაც უხერხულობა ადრეც იგრძნობოდა, მაგრამ სხვა დროს დიკენსს თავდაქერილობა არ უღალატებდა, უფრო წინდახედულად მოიქცეოდა და განხეთქილებას აიცილენდა.

1836 წლიდან, როცა თეკერეიმ „პიკვიკის კლუბის“ დასურათება იკისრა, ვიდრე მისი „ამაოების ბაზარი“ გამოვიდოდა. ის და დიკენსა მეგობრები იყვნენ. ერთმანეთთან დადიოდნენ, საერთო ნაცნობებთანაც ხვდებოდნენ და ხშირად მეგობართა წრეში ერთად „მოუსმენიათ შუალამის ზარები“. ამავე დროს აღზრდით, წრით. ჩვეულებებით, შეხედულებებით და მიდრეკილებებით სულ სხვადასხვა-

<sup>1</sup> უ. პ. ფრიტი — ინგლისელა მხატვარი (1819—1909 წ.)

ნაირები იყვნენ, არაფრით არ ჰგავდნენ ერთმანეთს. თეკერეი თავისი ეპოქის შვილი არ იყო. განწყობილებით მეთვრამეტე საუკუნესთან უფრო ახლოს იყო. მას სურდა, ფილდინგივით თავისუფლად ეწერა, ვიქტორიას თავმომწონე და რესპექტაბელური საუკუნე არ მოსწონდა, აჯავრებდა ზრდილობის წესები, რომლებიც სქესის პრობლემებზე წერის საშუალებას არ აძლევდა. გრძობდა, რომ საყოველთაოდ მიღებული გემოვნების გამო თავისი წიგნების გაფუჭება უხდებოდა და თავი ისე ექირა, თითქოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აკუთვნებდა მათ, აქილიყებდა თანამოკალმეებს. მკითხველებთან მფარველურად ექირა თავი და მთელი თავისი ყოფაქცევით აგრძობინებდა, გენიოსობაზე მეტად უფრო ჯენტლმენობას ვაფასებო. აი, რას ამბობს ის თავის ხელოვნებაზე „პაწია დორიტის“ ერთ-ერთი გმირის — ჰოუენის პირით: „რა ვუყო, ღმერთს ვფიცავ, გულით და სულით მიყვარს ჩემი პროფესია, მაგრამ იძულებული ვარ, ყოველ ნაბიჯზე ვუღალატო მას“. რა გასაკვირია, რომ ასეთი პოზიცია აბრაზებდა დიკენსს, რომელიც თუმცა ზოგჯერ ლანძღავდა მეცხრამეტე საუკუნეს, მაგრამ თავს ისე გრძობდა ამ საუკუნეში, როგორც თევზი წყალში. სამუშაოს ძალიან სერიოზულად უცქეროდა, ყველაფერზე მნიშვნელოვნად მიანხნდა ის, პროფესიით ამყობდა და ნიქს მეტ პატივს სცემდა, ვიდრე შთამომავლობას. განსხვავება მათ შორის ხელის ჩამორთმევაშიც კი იგრძობოდა: დიკენსი მაგრად, ენერგიულად ჩამოართმევდა ხოლმე თეკერეის ღუნედ გამოწვდილ ხელს.

ერთხელ თეკერეი გამოტყდა, არასდროს გარკვეული მიზანი არა მაქვს დასახული და წინასწარ არ ვიცი, რას გავაკეთებო. ასეთი თავმოუყრელი რომ იყო, მტკიცე მრწამსი რომ არ გააჩნდა და ფიქრობდა, გვიან დავიბადეო, ამიტომაც ხშირად მოსდიოდა საწყენი შეცდომები ადამიანებთან ურთიერთობაში. აი, რამდენიმე მაგალითი:

1. ერთხელ პარიზში ის და მკოლეი რაღაც საზეიმო კრებას უნდა დასწრებოდნენ. თეკერეიმ შესთავაზა, როლები შეეცვალოთ, თქვენ „ამაოების ბაზრის“ ავტორად გაასაღეთ თავი, მე კი ინგლისის ისტორიის მკოდნელო. როცა მკოლეიმ ეს წინადადება სიხარულით არ მიიღო, თეკერეი გულწრფელად გაკვირვებული დარჩა.

2. როცა თეკერეი ერთ-ერთი წიგნის ლირსებაზე ლაპარაკობდა,

აღნიშნა, „წარმოიდგინეთ „პანჩის“ ნომერი ჯონ ლიჩის ილუსტრაციების გარეშე. რა ფასი ექნება მას? სწავლულ გვაძებს, რომლებიც ამ ქურნალში თანამშრომლობენ, უნდა ვსმოდეოთ, რომ ლიჩი თუ არ ეყოლებათ ილუსტრატორად. მ.თთვის კალნის ხელში აღებას სწორი არ ექნება“. ამ ნათქვამმა ძლიერ გაანაწყენა „პანჩის“ თანამშრომლები, მით უფრო, რომ ერთ დროს თვითონ თეკერეიც თანამშრომლობდა ამ ქურნალში.

3. თეკერეი მაკრიდის დაჰპირდა, „ამოების ბაზარს“ გიძღვნი-თო. მართლაც, ერთ დღეს მსახიობს ეს რომანი ავტორის ავტოგრაფით მიუვიდა. მაგრამ წიგნი მაკრიდის მეუღლეს ეძღვნებოდა. ამ შემთხვევის გამო მაკრიდის თავის დღიურში უწერია: „თეკერეის საქციელის უკმაყოფილო ვარ, შეიძლება, განზრახ არ მოსვლია, თუმცა, საეჭვოა“.

4. თეკერეის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჰენრი ტეილორთან და მის მეუღლესთან. ტეილორი ძალიან მდიდარი იყო, ცუდ ლექსებს წერდა და პურმარილიანი მასპინძელი იყო. თეკერეი მისი ხშირი სტუმარი გახლდათ. საეჭვოა, ნასიამოვნები დარჩენილიყო, როცა „პანჩში“ სახელგანთქმული სატირიკოსის იუმორესკა წაიკითხა, მიძღვნილი ვინმე ტიმოთეუსისადმი. ერთხელ ტიმოთეუსი (იგულისხმება ტეილორი) ძალიან სანდომიან ქალიშვილს შეხვდა და განიცადა „აღტაცება, რომელსაც ასეთი ქალიშვილის ნახვაზე, უმკველია, ყველა გემოვნების მქონე ადამიანი განიცდის. მისის ტიმოთეუსი რომ უაღრესად გონებადამჭდარი არ ყოფილიყო, ეჭვიანობით შეაწუხებდა დიად მგოსანს. მაგრამ მომხიბვლელი მისის ტიმოთეუსი თვითონაც ისეთი მშვენიერია. რომ შეუძლია ეს ნაკლი ააპატიოს სხვა ქალსაც. კიდევ მეტი, ის სამაგალითო კეთილგონიერებით ამბობს (შეიძლება ოდნავ ზედმეტი სიცხარით), რომ თვითონაც საესეებით იზიარებს ბრწყინვალე ტიმოთეუსის აღტაცებას“.

ტეილორიც და მისი მეგობრებიც მიხვდნენ. ვისზეც იყო ლაპარაკი. მისის ტეილორი, — როგორც ჩანს, არც ისე გონიერი, როგორც იუმორესკის ავტორი სთვლის, — გაშმაგებული ბობოქრობდა. თეკერეი, დარწმუნებული იყო, რომ მის ხუმრობას საამო ღიმილით შეხვდებოდნენ, გაოცდა, როცა გაიგო, ტეილორებს რატომღაც არ ეცინებათო. ის იძულებული იყო, ბოდიში მოეხადა ცოლქმრისათვის.

თეკერეი ლიტერატურულ პაროდებს წერდა ბენჯამინ დიზრა-ელზე, ხარლ ლევერზე და ბულვერ ლიტონზე. ყველა ისინი თავს ისე უჩვენებდნენ, თითქოს ეს ართობდა მათ, მაგრამ არც ერთს არ უპატიებია თეკერეისათვის. მას კი მათი ჭიუტი მტრობა აოცებდა. რა სასიამოვნოა იმის შეწყყნარება, ვინც შეგცოდა! თვითკმაყოფი-ლების რა უშრეტო წყაროა! თეკერეის უფრო იშვიათი თვისებაც ახასიათებდა: ის მათაც იწყნარებდა, ვისაც თვითონ შესცოდა. დი-კენსი არასახარბიელო აზრისა იყო საერთოდ პაროდებზე და ერ-თხელ კიდევ შეუთვალა თეკერეის, ეს სასახელო. არაა არც მწერ-ლობისა და არც მწერლებისათვის, პაროდების წერა უიღბლო, მე-ორეხარისხოვანი მწერლების საქმეაო; და მაინც ჩვენთვის რაღაც ძლიერ სიმპათიური არის ამ კაცში — მის წინდაუხედავობაში, შეც-დომებში, ადამიანებთან სადა ურთიერთობაში. ის მართლაც საყვარ-ელი ადამიანი იყო, რბილი, კეთილი, ალალმართალი, ახლო მე-გობრებს უყვარდათ, მისი ქალიშვილები კი პირდაპირ თაყვანს სცემდნენ. მსგავსად იმ ადამიანებისა, რომლებიც სხვის გრძნობებს მაინცადამაინც არ ზოგავენ, ის მეტად მგრძნობიარე იყო, როცა საქმე მას შეეხებოდა, მაგრამ ძლიერ გაუკვირდებოდა, თუ მას, ვი-საც ის გაკენწლავდა, წყენას შეატყობდა.

ბედნიერი ხასიათი ჰქონდა: თავისი წარმატება სასწაულად მი-აჩნდა, რისთვისაც უსაზღვროდ უმადლოდა ბედს. უსაზღვრო იყო მისი გულუხვობაც: ფულს ყველას აძლევდა, ვინც კი სთხოვდა. იმითაც ძლიერ განსხვავდებოდა დიკენსისაგან. დიკენსი მეგობრის ან საქმისათვის არც ღონეს იშურებდა, არც დროს, მაგრამ ფულს კი, ყველას არ მისცემდა. თეკერეი, პირუკუ, თუ ადამიანს გასაჭირ-ში ხედავდა, უკანასკნელ გროშს არ დაიშურებდა, მაგრამ სარეკო-მენდაცოდ წერილი რომ ყოფილიყო საჭირო ან საერთოდ ენერჯის დახარჯვა, მთელი საათობით ბუზღუნებდა, ჭუჭღუნებდა და საქმეს დღიდან დღეზე, კვირიდან კვირამდე გადასდებდა ხოლმე.

დიკენსისა და თეკერეის ურთიერთობაში ყოველთვის დაძაბუ-ლობა და ამ დაძაბულობის მტრობად გადაზრდის საშიშროება იგრ-ძნობოდა. როდესაც თეკერეი სტუმრად დადიოდა დიკენსთან, ეს ასატანი იყო, რადგან დიკენსი მასპინძლად იყო გაჩენილი, თეკერეი კი იდეალური სტუმარი გახლდათ, მაგრამ არც აქ იყო საქმე მთლად კარგად. მაკრიდის პატივსაცემად გამართულ გამოსათხოვარ ბანკეტ-

ზე დიკენსს აბრეშუმით გაწყობილი ლურჯი, სპილენძის დილებიანი ფრავი, შავი ატლასის ყილეტი და მდიდრული თეთრ ატლასის საყელოიანი პერანგი ეცვა. თეკერემ მწვობელს გადაულაპარაკა, დიან, ეს არამზადა პეპელასავით ლამაზია, განსაკუთრებით გულისპირია მომხიბლველიო.

სხვა შემთხვევაშიც მათ საერთო ენის გამონახვა ეძნელებოდათ. დიკენსი საქმიანი და პრაქტიკული კაცი იყო; თეკერეის საქმე ეზიზღებოდა და არა გაეგებოდა რა მისი. დიკენსი ენერგიული იყო; თეკერეი — ზარმაცი. დიკენსს ლატაკების ოვაციები ახარებდა, თეკერეის — მდიდართა აპლოდისმენტები. ამაყი და თვითდაჯერებული დიკენსი არისტოკრატიულ საზოგადოებას არაფრად აგდებდა; თეკერეის ახარებდა, ამ საზოგადოებას რომ უყვარდა და ანებივრებდა მას. ქალთა საზოგადოებაში ყოფნა იზიდავდა, მისთვის ქალთა გარემოცვაში ყოფნა ისე სასიამოვნო იყო, როგორც დიკენსისათვის — შამაკაცთა საზოგადოება. კლუბშიც კი სხვადასხვანაირად იქცეოდნენ: თეკერეი, როგორც უსაქმო ადამიანი, ან ბარში, ან ბიბლიოთეკაში, ან საბილიარდოში იყო ატუზული, ან ლაყბობდა, ან სავარძელში მჯდომარეს ეძინა, ანდა გაშლილ ვაზეთს აიფარებდა სასეზე. დიკენსი დროს ტყუილად დაკარგვას ვერ ეგუებოდა და კლუბში მხოლოდ საქმიანი შეხვედრისათვის თუ მივიდოდა. თეკერეის სასტუმროში ან კლუბში ერჩია მუშაობა; დიკენსისათვის მუშაობის დროს აბსოლუტური სიწყნარე და განმარტობა იყო საჭირო. გარიკ-კლუბის მუდმივი სტუმრები ანჩნევდნენ: თუ რომელიმე მათგანი შევიდოდა ოთახში. სადაც მეორე იმყოფებოდა, ახლადმოსული აქეთ-იქით იწყებდა ცქერას, თითქოს ვინმეს ან რამეს დაეძებდა, და ოთახიდან გადიოდა. ამკარად ეუხერხულებოდათ ერთად ყოფნა, რადგან სულ სხვადასხვა თემაზე უყვარდათ ლაპარაკი: თეკერეი მწერლობასა და მხატვრობაზე საუბრობდა, დიკენსს თეატრალური ჭორები, ბოროტმოქმედთა და ბოროტმოქმედებათა ამბები და ანეკდოტები აინტერესებდა.

მაგრამ აი, მათ ურთიერთობას რაღაც ახალი შეეპარა, რაშიც არცერთი არ იყო დამნაშავე. გამოვიდა და განმაურდა „ამაოების ბაზარი“. კლუბებში გაიხარეს: როგორც იქნა იხილეს ჯენტლმენის მიერ ჯენტლმენებისათვის დაწერილი რომანი. ეს ძახილი კრიტიკოსებმა აიტაცეს და ლიტერატურული სამყარო ორ ბანაკად გაი-

ყო — თეკერეის მომხრეებად და დიკენსის თაყვანისმცემლებად. ამ „სამოქალაქო ომის“ უნებური მსხვერპლები ხელოვნურად გაზვიადებული ანტაგონიზმის ატმოსფეროში მოექცნენ. პატივისმცემლები თითოეულ მათგანს აღიდებდნენ, როგორც ეპოქის უდიდეს წევრებს. თეკერეის დიკენსი გულწრფელად უფრო ნიჭიერად მიაჩნდა. დიკენსი არანაკლებ წრფელად იყო გულგრილი თეკერეის თხზულებებისადმი. მაგრამ პატივისმცემლების მიერ ატეხილი აურზაურის, სათაყილო შედარებების, ბანაკიდან ბანაკში მფრინავი ყალბი ხმების წყალობით დიკენსი ბრაზდებოდა იმის გამო, რომ მეტოქე გაუჩნდა, თეკერეიმ კი დაიჭერა, თანამოკალმეს ჩემი წარმატება შურსო. დიკენსს უთუოდ ახარებდა ის, რომ მისი წიგნების ათი ათასები სალდებოდა, ხოლო თეკერეისა — მხოლოდ ათასები. თეკერეის სიამოვნებდა, რომ გემოვნების მქონენი მას აძლევდნენ უპირატესობას. მაინც ბესტსელერის ავტორს ნატიფი ინტელიგენტის პრესტიჟი მუდამ შურს, ხოლო ამ უკანასკნელს — ბესტსელერის პოპულარობა არ ასვენებს, რა გასაკვირია, რომ დიკენსი და თეკერეი ერთმანეთს. დიდი ალტაცებით არ ხვდებოდნენ.

მეოცნებეს საქმის გაზვიადება სჩვევია. თეკერეი დედას სწერს, „ამაოების ბაზრის“ გამოსვლამდე ლიტერატორებს ვუყვარდი, მაგრამ. როცა სახელი გავითქვი, ზოგი მტრულად და ზოგი უნდობლად მიცქერისო, მაგალითად, ჯეროლდი, ეინსვორტი, ფორსტერი, ბულვერი და დიკენსიო. „რა სამწუხაროა, როცა ამა ქვეყნის დიდ ბრძენთა და დამრიგებელთა წვრილმან შურიანობას ხედავ!.. უკვე აღარ მესმის, რით ხელმძღვანელობენ ადამიანები თავიანთ ქვეყანაში — მათ შორის თვითონ მეც!“ მაგრამ არა მხოლოდ წარმატების გამო აითვალწუნეს თეკერეი მწერლებმა. ამის მიზეზი მისი ახირებული ყოფაქცევა იყო, უფრო მეტად კი ის, რომ მან უეცრად დიდი არისტოკრატის როლის თამაში დაიწყო. მსახიობთა საზოგადოებაში ჭენტლმენობდა, ხოლო ჭენტლმენებში მსახიობობდა.

პირველი ბზარი დიკენსისა და თეკერეის ურთიერთობაში 1847 წლის ივნისში გაჩნდა, როცა კლუბებში „ამაოების ბაზარზე“ ალაპარაკდნენ. უსიამოვნების საბაბი ფორსტერმა მისცა: მან დრამატურგ ტომ ტეილორის თანდასწრებით განაცხადა, თეკერეი სატანასავით ვერაგიაო. ტეილორს ეს ფრაზა სასაცილოდ ეჩვენა და თეკერეის უთხრა. თეკერეიმ სასაცილო ვერაფერი დაინახა და, როცა



ფორსტერს შეხვდა, თავი ისე დაიპირა, თითქოს არ იცნობდა. ფორსტერმა ამ „აღმაშდოთებელი უტაქტობის“ განმარტება მოსთხოვა თეკერეის და, როცა პასუხი მიიღო, მისწერა: არ ნახსოვს, ვთქვი ასეთი რამე თუ არაო და დასძინა, მეც მქონდა თქვენზე გაჯავრების საბაზი; მაგრამ არ გაეჯავრებულვარო. ამ შემთხვევის გამორღვევნა თეკერეის ერთ მეგობარს უთხრა, ყველა გაუგებრობას თვით თეკერეი იწვევს, რადგან ნეტად იოლად ესუბრება მართალსა და ტყუილს და აშირად ღალატობს პირველსო. დაფიქრების შემდეგ თეკერეი მიხვდა, ფორსტერის განრისხება ჩემს კარიკატურებს გამომუწვევიაო. უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაეყენებინა ტვილიორი, რომელიც თავის შეცდომას ნანობდა, თეკერეიმ საჭიის მოგვარება ღიქენსს სთხოვა. შეორიგება გრინვიჩში აღინიშნა ბანკტით.

შემდეგი ყურადსაღებო ამბავი 1848 წლის იანვარში მოხდა. თეკერეიმ „დომბი და შვილი“ მხურვალედ შეაქო. დიქენსმა უპასუხა: „თქვენი სულგრძელი წერილი გულის სიღრმეში ჩამწვდა. მე მგონია, ამქვეყნად ყველაფერზე ჭვირჯასია მეგობრული ყურადღება, რომლითაც თქვენ ასე უხვად დამაჯილდოვეთ“. ამ წერილმა რიდი ასიამოვნა ადრესატს, რადგან თავზიან ფრაზებს სულ სხვანაირი ურაზები მოსდევდა. დიქენსი სწერდა, იმედი მაქვს, ინგლისელი ლიტერატორების მდგომარეობის გაუწკობესებას შევძლებთო. ამით თეკერეის გადაკრულად აგრძობინებდა. შენი პაროდები ცნობილ ინგლისელ მწერლებზე საწინააღმდეგო მიზანს ემსახურებო, შემდეგ ხუმრობით თითქოს წუხდა იმის გამოც, რომ ამ კომიკურ გალერეაში მისი სურათი არ მოხვდა. გარდა ამისა, „ამაოების ბაზრის“ ავტორმა გაიგო, რომ დიქენსი მისი რომანის წაკითხვას არ აპირებდა, ვიდრე „დომბის“ არ დაამთავრებდა. ორივე კეთილსინდისიერად ცდილობდა ერთმანეთის შეყვარებას, მაგრამ... 1849 წელს ამას ახალმა საკმაოდ უმნიშვნელო გარემოებამ შეუშალა ხელი. თეკერეი სამეფო აკადემიის მიერ გამართულ საზეიმო ბანკეტზე მიიწვიეს. დიქენსი — არა. შემდეგ წელში ეს შეცდომა გამოასწორეს, მაგრამ დიქენსმა მიპატიჟება არ მიიღო. 1855 წლის მარტში თეკერეიმ თავის ერთ-ერთ ლექციაში მხურვალედ ილაპარაკა დიქენსზე და უწოდა მას „ადამიანი, რომელიც განგებით მოწოდებულია, რომ თავისი მოძმეები ჰეშმარტების გზაზე დააყენოს“. როცა

დიკენსმა „ტაიმსში“ წაიკითხა ცნობა ამ ლექციის თაობაზე, — თეკერეის მისწერა: „თქვენმა ქათინაურმა ღრმა მღელვარება განმაცდევინა. ვერ ავიწერო, როგორ გამითბა გული. მერწმუნეთ, თქვენ მიერ ქებით მოხსენიება არასოდეს დამავიწყდება. დარწმუნებული ვარ, თქვენს გულს ნათელი შეემატებოდა, რომ იცოდეთ, როგორ ამიჩუყეთ გული და აღმაფართოვანეთ“. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ დიკენსი სწერდა უილსს თეკერეის „უადგილო აღტაცებაზე“ საქველმოქმედო კამპანიის გამო, რომელიც მოხუც პენსიონერთა სახლის დასახმარებლად გაიმართა. ის წინადადებას იძლეოდა, „საოჯახო კითხვაში“ ამ თემაზე წერილი დაებეჭდათ, რათა უბედურ მოძმეთა მისამართით მავნებელი გულის აჩვილებისაგან ქვა ქვაზე არ დარჩეს“. მას დაეთანხმნენ და წერილი 1855 წლის დეკემბერში დაიბეჭდა.

მიუხედავად ამისა, გარეგნულად მეგობრულ განწყობილებას ისინი 1858 წლის ივნისამდე ინარჩუნებდნენ, ვიდრე გარიკ-კლუბის ერთ-ერთმა წევრმა, ახალგაზრდა ჟურნალისტმა ედმუნდ იეტსმა ჟურნალ „ტაუნტოკში“ არ დაბეჭდა თეკერეისადმი მიძღვნილი ნარკვევი. აი, ზოგი ადგილი ამ ნარკვევიდან: „მას თავი ცივად, მიუყარებლად უჭირავს, მის საუბარში ხან დაუფარავი ცინიზმი გაისმის, ხან — თვალთმაქცური გულარხეინობა. მისი გულითადობა არაბუნებრივია, ოხუნჯობა — გესლიანი, მაგრამ თვითონ ასეთი რამისათვის ადგილად განაწყენდება ხოლმე. თავისი სიმპათიების სწრაფად გამოცვლა გარემოების მიხედვით მასავით არავის ეხერხება: ინგლისში არისტოკრატებთან ქლესაობს, ოკეანეს გაღმა კი ჯორჯ ვაშინგტონია მისი კერპი... ჩვენ მიგვაჩნია, რომ თეკერეის სახელმოხვეჭილობა დაღმავლობის გზაზეა...“ თეკერეის რომ გონიერად ემოქმედნა, ამ წერილისათვის ყურადღება არ უნდა მიექცია, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია: წერილის ავტორის სახელი გაიგო (უნდა ითქვას, რომ წარსულში თეკერემ ბევრი სიკეთე უყო მას) და გაუგზავნა ბარათი, რომელშიც ნარკვევს „მტრული და შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური სიცრუე“ უწოდა. თეკერეი სწერდა, კლუბში მიყურადებით გაგონილი საუბრის გამოქვეყნება უტაქტობააო. „მე მაქვს უფლება მოგთხოვოთ, რომ ჩემი კერძო საუბრების პრესაში კომენტირებას და ტლანქად დამახინჯებული ფაქტებით ჩემს პირად საქმეებზე მსჯელობას თავი დაანებოთ. კეთილი ინებეთ და დაიხ-

სომეთ, რომ ჩემს პატიოსნებაზე და გულწრფელობაზე მსჯელობა თქვენი საქმე არ არის“. ცოტა ხნის წინათ იეტსმა დიკენსს ოჯახური უსიამოვნების დროს რაღაც სამსახური გაუწია. ახლა ამით ისარგებლა, დაუყოვნებლივ მიჰმართა მას რჩევე-სათვის, თან საპასუხო წერილის შავი ასლი მიუტანა. ამ წერილში დასახელებული იყო ყველა, ვინც თეკერეიმ თავის წერილებსა და რომანებში სასაცილოდ აიგდო. დიკენსმა უთხრა იეტსს, ნარკვევი დიდ შეცდომად მიმაჩნია, მაგრამ თეკერეის წერილის შემდეგ უკვე აღარ შეიძლება ბოდიშის მოხდაო. რაც შეეხება საპასუხო წერილს, ის დიკენსს არასაკმაოდ სერიოზული და მეტისმეტად თავდაუპერელი ეჩვენა. მან ურჩია, თეკერეის მისივე სიტყვებით უპასუხეთო: „თქვენი წერილი რომ ცილისწამებას და სიცრუეს არ შეიცავდეს, სიამოვნებით ვიმსჯელებდი მასზე თქვენთან ერთად და გულწრფელად ვალიარებდი სურვილს, გამოვასწორო ჩემი შეცდომა, რომელიც ეგებ მართლა დაევუშვი. მაგრამ თქვენი წერილის საპასუხოდ აღარაფერი მაქვს სათქმელი“. თეკერეიმ ეს წერილი იეტსის ნარკვევისა და თავისი წერილის ასლით გარიკ-კლუბის გამგეობას გაუგზავნა და სთხოვდა, გადაეწყვიტათ საფუძვლიანი იყო თუ არა მისი პრეტენზიები მისტერ იეტსის მიმართ, ეწინააღმდეგებოდა თუ არა მსგავსი საქციელი კლუბის ინტერესებს და შეეძლო თუ არა ჭენტლმენტა საზოგადოებას მათი მოთმენა.

დიკენსმა განაცხადა, თუ კლუბის ორი წევრი წაიჩხუბა, ეს გამგეობის საქმე არ არისო. გამგეობა არ დაეთანხმა მას და იეტსს შესთავაზეს, ან ბოდიში მოეხადა მისტერ თეკერეისათვის, ან კლუბიდან გასულიყო. მაშინ დიკენსმა განაცხადა, გავდივარ გამგეობის შემადგენლობიდან, რადგან არ შემიძლია იმ სამძიმო და არასასიამოვნო მოვალეობის შესრულება, რომელსაც გამგეობა თავის წევრებს აკისრებსო.

18 ივნისს თეკერეის რომან „ვირჯინიელების“ მეცხრე გამოცემა გამოვიდა. მასში ახალგაზრდა გრაბსტრიტის სახელით გამოყვანილია იეტსი, რომელიც „ერთდროულად სამ ბულვარულ გაზეთში თანამშრომლობს და „კლუბებში“ გაცნობილ ჭენტლმენტების პირად თვისებებზე და იქ მიყურადებით გაგონილ საუბრებზე წერს“. იეტსმა რომ ეს წაიკითხა, გარიკ-კლუბის გამგეობას მისწერა, არც ბოდიშს ზოიხდი და არც კლუბიდან წავალო, და მოითხოვა საკითხი

საერთო კრებაზე გაეტანათ. 10 ივლისს კლუბის წევრთა საერთო კრებაზე წაიკითხეს იეტსის წერილი. იგი წერდა, მზადა ვარ ბოდიში მოვუხადო კლუბის წევრებს მიყენებული უსიამოვნების გამო, მაგრამ თეკერეის წინაშე ბოდიშის მოხდა არ მსურსო. სამოკლდათი ხმით ორმოცის წინააღმდეგ საერთო კრებამ დაადასტურა გამგეობის უფლებამოსილობა და მისი გადაწყვეტილება მოიწონა. იეტსი გააფრთხილეს, კლუბიდან გავრიცხავთ, თუ თეკერეის ბოდიშს არ მოუხდით. იეტსმა ყურადღება არ მიაქცია გაფრთხილებას და ის კლუბიდან გარიცხეს. კლუბის ერთმა წევრმა ამის გამო თქვა, ჰქუიანი „ი“ ძლიერ უქკუოდ მოიქცათ.

მაშინ იეტსმა იურისტს მიჰმართა და გარიკ-კლუბის მდივნის წინააღმდეგ საქმე აღძრა სასამართლოში. მაგრამ ვიდრე ის სასამართლოს მიჰმართავდა, დიკენსმა გადაწყვიტა, მოლაპარაკებოდა თეკერეის და წერილი მისწერა, რომელშიც სთავაზობდა, მე და თქვენი რწმუნებული ვიმსჯელებთ ამ სამწუხარო ამბების გარემოებებზე და ვეცდებით საქმე წყნარად, მშვიდად და ყველასათვის სასიამოვნოდ მოვაგვაროთ. ის გამოუტყდა წერილში თეკერეის, მე ვურჩიე იეტსს თქვენთვის პასუხი მოეწერა და კლუბის გამგეობის კრებაზე უიღბლო ჟურნალისტს ვიცავდიო. ბოლოს დასძინდა, თუ ჩემი წინადადება არ გაწყობთ, „ჩვენ არაფერს ვკარგავთ: ჩემი წერილი დახიეთ, მე კი თქვენს პასუხს დავხევე და ყველაფერი აღრინდულად დარჩება“. წერილში კეთილი გრძნობები მეტი აღმოჩნდა, ვიდრე საღი აზრი. ყოველ შემთხვევაში, თეკერეიმ ეს წერილი ფარული მტრობის დამტკიცებად მიიჩნია. „ძლიერ მეწყინა, როცა თქვენი წერილიდან გავიგე, რომ იეტსი თქვენი წაქეზებით მოქმედებდა ჩემს წინააღმდეგ. სწორედ მისმა წერილმა მაიძულა, გარიკ-კლუბისათვის მეთხოვა, დავეცავი შეურაცხყოფისაგან“. ის ავზაენიდა დიკენსს გარიკ-კლუბის ხელმძღვანელებთან. „ეს კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა, განსაჯოს, შესაძლებელია თუ არა ჩემი შერიგება თქვენს მეგობართან“. შემდეგ კლუბის გამგეობას აცნობა დიკენსის წინადადება და დასძინა, მე პირველი გავიხარებ, თუ ამ საქმის სიამტკილობით მოგვარება მოხერხდებაო. მაგრამ ახლა გამგეობის წევრები აბოპოქრდნენ და მათი დაწყნარება შეუძლებელი გახდა. საქმე სასამართლოში გადავიდა, დაიწყო პროცესი. გაიმარჯვა გამგეობამ. იეტსის ნარკვევი დაიბეჭდა.

ამრიგად, შეეჯამოთ, რაც მოხდა. ამ ამბავში ყველა საკმაოდ სულელურად მოიქცა. იეტსმა სისულელე ჩაიდინა, როცა შეურაცხმყოფელი ნარკვევი დაუწერა ადამიანს, რომელსაც ხშირად და მეგობრულად ხვდებოდა კლუბში. დიკენსმა ურჩია, არ აეღო შემრიგებლური ტონი. თეკერის მიერ ჩადენილი პირველი სისულელე ის იყო, რომ ყურადღება მიაქცია იეტსის ნარკვევს, მეორე — ის კლუბის გამგეობას გადასცა განსახილველად. ამ უჯანსჯენელმა ვერ გამოიჩინა საკმაო სიბრძნე და ეს საქმე წარმოუდგენლად გააზვიავდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას თავისი გონიერი ახსნა მოეპოვება. იეტსი ახალგაზრდა იყო და ფიცხი, თეკერე — ავადმყოფი, დიკენსი მძიმე სულიერ კრიზისს განიცდიდა, ხოლო კლუბის გამგეობაც განუყურნებელი სენით იყო დაავადებული: ის გამგეობა იყო.

იეტსის ამბებმა ბოლო მოუღო დიკენსისა და თეკერის ე. წ. „მეგობრობას“ და, უეჭველია, ორივემ თავისუფლად ამოიხუნტა. 1861 წლის დასაწყისში ისინი თეატრში შეხვდნენ და უსიტყვოდ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. „თუ მან შესძლო წაეკიბა ჩემს სახეზე ყველაფერი, რასაც მე ვგრძნობდი. — მასავით ჭკვიან კაცს კი ეს არ გაუჭირდება, — მიხვდებოდა, რომ ბოლომდე გაცნობილი მყავს“, — წერდა თეკერე ერთ-ერთ წერილში. მაგრამ იგი ნახი სულის პატრონი იყო და ამიტომ 1863 წლის ბოლოს, თეკერის სიკვდილის წინ, ისინი შერიგდნენ კლუბ „ატენეუმის“ ჰოლში. თეკერე იღვა და სერ თეოდორ მარტინს ესაუბრებოდა. უეცრად დიკენსი გამოჩნდა, თავი ისე დაიპირა. თათქოს არც ერთს არ იცნობდა. მოსაუბრეებს გვერდი აუქცია და პირდაპირ ბიბლიოთეკის კიბისაკენ გაემართა. კიბის პირველ საფეხურზე თენი რომ შედგა, თეკერე მისცენ მიბრუნდა და უთხრა: „დროა. ბოლო მოეუღოთ უაზრო უსიამოვნებას და ძველებურად ვიყოთ. თქვენი ხელი!“ დიკენსი ერთი წუთით შეცბა, მაგრამ მაინც ჩამოართვა ხელი და რამდენიმე წუთი შშვიდად ისაუბრეს. თეკერემ უთხრა, სამი დღე ლოჯინში ვიწეკი, ახლა ძლიერი ყრქოლა მტანჯავს. ვსუსტდები, მუშაობა არ შემძლია, მაგრამ ახალი მეთოდით უნდა ვიმკურნალოო, და ხუმრობით უამბო. რას ნიშნავდა ეს ახალი მეთოდი. მარტინთან რომ დაბრუნდა, თეკერემ თქვა: „ვერ მოვითმინე — მიყვარს ეს კაცი!“ ერთი კვირის შემდეგ თეკერე გარდაიცვალა და მის მიერ რედაქტირებულ ყურნალ „ქრონიკლ მეგეზინის“ პატრონებმა დიკენსს სთხოვეს, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი დაეწერა. „გავა-

კეთე ის, რაზეც სიხარულით ვიტყვოდი უარს, რომ შესაძლებელია ყოფილიყო“, — უთხრა დიკენსმა უილკი კოლინზს. თუმცა უგულოდ მოკიდა ხელი წერილის წერას, მაგრამ მაინც ჩინებულად გამოუვიდა. მართალია, თავი ვერ შეიკავა და მოიხსენია თეკერეის ერთი სუსტი მხარე, რომლითაც ადრე მან „პაწია დორიტის“ ერთ-ერთი გმირი, ჰენრი ჰოუენი დააჯილდოვა: „მე ვფიქრობ, რომ ის ამაოდ ცდილობდა, გულგრილი მოეჩვენებინა თავი, თითქოს დიდად არ აფასებდა თავის შემოქმედებას. ეს მისი ხელოვნებისათვის საზიანო იყო“.

ვიდრე თეკერეისთან დაკავშირებული ამბები მწიფდებოდა და მიმდინარეობდა, დიკენსს თავისი, ბევრად უფრო სერიოზული უსიამოვნება ჰქონდა. ეს იყო კონფლიქტი გამომცემლებთან. მისმა ახლო მეგობარმა მარკ ლემონმა, რომელიც ცოლ-ქმრის განშორების გამო გამართული მოლაპარაკების დროს, ქეთის ინტერესებს იცავდა, დიკენსის „მიმართვის“ „პანჩში“ დაბეჭდვაზე უარი თქვა. „პანჩის“ პატრონებმა ბრედბერიმ და ევანსმა მხარი დაუჭირეს მას. დიკენსი, როგორც ადამიანი, რომელიც სინდისის წინაშე მართალი არ არის, წაეჩხუბა ლემონს, ბრედბერის და ევანსს, ერთი სიტყვით, ყველას, ვინც მიუკერძოებლად (დიკენსის აზრით, მიკერძოებით) სჯიდა უსიამოვნებას მის ოჯახში. მან უბრძანა შვილებს, შეეწყვიტათ ყოველგვარი ურთიერთობა ამ ადამიანებთან და ელოდა, რომ მისი „ერთგული“ მეგობრებიც ასევე მოიქცეოდნენ. ევანსი არ უფარავდა, რომ ქეთს თანაუგრძობდა, მაგრამ დიკენსმა აგრძნობინა, თანაგრძნობა არასწორი მისამართითაა მიმართულიო. „მნიშვნელოვანი საფუძველი მქონდა ჩამენერგა ჩემი შვილებისათვის, რომ მათ უდიდეს სიმდიდრეს მათი მამის სახელი შეადგენს, — სწერდა ის ევანსს 1858 წლის ივლისში, — რომ მათი მამა თავის თავს არაფრის მაქნის ბედოვლათად ჩასთვლიდა. თუ პირადად ან მათი მეშვეობით განაგრძობდა ურთიერთობას იმათთან, ვინც მას უდიდესი გასაკვირის დროს უღალატა. თქვენ ძალიან კარგად იცით, რატომ ვიყავი მე ოძულებული თქვენც ამ კატეგორიაში ჩამერიცხეთ. სხვა არაფერი მაქვს სათქმელი“. რარიგ დიდი. უნდა ყოფილიყო მისი გულისწყრომა, როცა სამი წლის შემდეგ ვაჟმა ჩარლიმ ევანსის ქალიშვილი შეირთო ცოლად! დიკენსმა თავის ძველ მეგობარსა და შვილის ნათლიას თომას ბირდს მისწერა, ჩემთვის გასაგებია

ჯვრისწერაზე დასწრების თქვენი სურვილი, მაგრამ გულწრფელად ვიმედოვნებ, ამ შემთხვევაშიც კი „მისტერ ევანსის სახლში ფეხს არ დაადგამთ“.

თავისთავად ცხადია, დიკენსს რ შეეძლო მუშაობა იმ ადამიანებთან, რომლებსაც მიაჩნდათ, მწერალი ცოლს მკაცრად მოეპყრო. ბრედბერიმ და ევანსმა არ ისურვეს, უარი ეთქვათ „საოჯახო კითხვაში“ მონაწილეობაზე. მაშინ დიკენსმა არც აცივა, არც აცხელა, სულ მოულო ბოლო ამ ჟურნალს, და ახალი დააარსა. გამოაცხადა, დღეიდან არათფერი მაქვს საერთო „საოჯახო კითხვასთან“ და საკუთარ კვირეულ ჟურნალს ვაარსებო. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ „საოჯახო კითხვას“ მკითხველის თვალში ყოველგვარი ფასი დაკარგოდა. საქმე საკანცლერო სასამართლოში დაბოლოვდა. გაზეთის ქონება დიკენსმა იყიდა სამი ათას ხუთას გირვანქად. ასე დამთავრდა მისი თანამშრომლობა ბრედბერსა და ევანსთან. ახალ ჟურნალს დიკენსმა „მთელი წელი“ დაარქვა. ჟურნალის თანამეპატრონედ და რედაქტორის თანაშემწედ უილსი იყო. უილკი კოლინზი 1863 წლამდე ჟურნალის შტატში ირიცხებოდა, შემდეგ ავადმყოფობის გამო დაანება თავი. ჟურნალში მისი სამი ცნობილი რომანი იბეჭდებოდა: „ქალი თეთრებში“ (1860 წ.), „უსახელოდ“ (1862 წ.) და „მთვარის სპეკალი“ (1868 წ.)

დიკენსი ჩვეულებისამებრ მთელი არსებით ჩაეფლო მუშაობაში და სამი თვის შემდეგ აღნიშნა, ჟურნალი ფენომენალური წარმატებით სარგებლობსო. „მთელი წლის“ საქმეები ისე კარგად მიდის, რომ უკვე გუშინ ასი პროცენტით დაიფარა გამოცემის მთელი ხარჯები (ქალაღი, შრიფტები და სხვა — უკანასკნელ ნომრამდე). ანგარიშზე კიდევ ხუთასი გირვანქა წმინდა შემოსავალი დამრჩა“. ეს წარმატება უმთავრესად იმით აიხსნება, რომ პირველი ნომრიდანვე ჟურნალში დიკენსის რომანი „ორი ქალაქის ამბავი“ ყოველკვირეულ გამოშვებებად იბეჭდებოდა იმავე წლის 26 ნოემბრამდე. ამ რომანის დასაწყისზე დიკენსმა ბევრი იწვალა: 1859 წლის თებერვალში მან აღიარა, არ ვიცი, წერა როგორ დავიწყეო. ეს არც გასაკვირია. თუ ადამიანი, რომელმაც ეს-ესაა ოჯახური კატასტროფა გადაიტანა, განუწყვეტლივ მოგზაურობს, თავის თხზულებებს უზარმაზარ აუდიტორიებს უკითხავს და თანაც ახალი ერთკვირეულის გამოცემას ხელმძღვანელობს, ბუნებრივია, მისი ფანტაზია

ჩვეულებრივზე უარესად იმუშავენს, ვინაიდან ზემოთჩამოთვლილ საქმეებს აუარებელი დრო და ძალა სჭირდება. ამასთან ერთად კარლელიშა. რომელსაც დიკენსმა სთხოვა საფრანგეთის რევოლუციის გარშემო ორი-სამი ნაშრომი მიმითითეთო. ორი წიგნებით დატვირთული საზიადარი გამოუგზავნა: მოდი და თავი გაართვი! და, თითქოს საგანგებოდ. პირველი გამოშვების გამოსვლის შემდეგ ავტორი ავად გახდა. მაგრამ წიგნმა თანდათან გაიტაცა ავტორი. იგი ერთ-ერთ წერილში სწერდა, „ღრმად აღელვებული და გულაჩუყებული“ ვარ სიუჟეტით, ეს ჩემი საუკეთესო წიგნია და ვოცნებობ, თეატრში სიღნეი კარტონის როლი შევასრულოო. კარლელიშ ბუზღუნებდა: არ უყვარდა წიგნის ნაწილ-ნაწილ კითხვა, მაგრამ პირველი გამოშვების წაკითხვის შემდეგ განაცხადა, ეს გასაოცარი წიგნიაო. იმ დროს მოდაში მყოფი ვეჟილი ელვინ ჭეიმსი, თვითდაჯერებული ფანფარონი, უეჭველია, უფრო გარკვეულ აზრს გამოთქვამდა ამ წიგნზე, რაკი მის ერთ გმირში, სტრაივერში თავისი თავი იცნო. საქმე ის იყო, რომ კონტრასტისათვის დიკენსმა განიზრახა თავის რომანში სიღნეი კარტონის საწინააღმდეგო ტიპი დაეხატა. საქირო მასალის უშუალოდ მიღების მიზნით იეტსის თანხლებით რამდენიმე წუთით ჭეიმსის კანტორაში შეიარა. „ჰგავს!“ — უთხრა დიკენსს იეტსმა, როცა სტრაივერი „ორი ქალაქის ამბავში“ გამოჩნდა. „ღიახ, მე მგონია, ერთი სეანსისათვის არ არის ეუდი“, — დაეთანხმა დიკენსი.

სიუჟეტის მხრივ დიკენსი მართალი იყო.\* ამ თვალსაზრისით „ორი ქალაქის ამბავი“ მის წიგნებში მართლაც საუკეთესოა. ის ისევე (თუ არა მეტად) პოპულარულია, როგორც „დევიდ კოპერფილდი“. შესაძლებელია, ეს იმიტო აიხსნება, რომ თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში ის დიდი წარმატებით იდგმებოდა თეატრში სათაურით „სხვა გზა არ არის“. ჩვენ არ ვიცნობთ პირველხარისხოვანი ინგლისური რომანის უკეთეს ინსცენირებას და ეს გადამწყვეტი ფაქტია ამ რომანის ადგილის განსაზღვრისათვის დიკენსის შემოქმედებაში. ზოგი კრიტიკოსის აზრით, ეს ნაწარმოები ყველა სხვაზე ნაკლებად ტიპიურია მწერლისათვის, მაგრამ მეორე მხრივ ის სწორედ ყველაზე ტიპიურია ავტორისათვის: სცენისთვის გაჩენილმა შემოქმედმა წმინდა სცენიური ნაწარმოები შექმნა. ის იმ დროის ჩანაფიქრია, როცა ავტორი საგანგებოდ მისთვის დაწერილ



მელოდრამაში მთავარ როლს ასრულებდა. ყოველი დიდი მსახიობის ოცნებას იდეალური როლი და იდეალური სპექტაკლი შეადგენს. წარმოვიდვინოთ. რომ დიდი მსახიობი დამატებით სჯავ ნიკის პატრონიცაა: შეუძლია თავისი ოცნება სიცხადედ აქციოს. სწორედ ასეთ ხორცშესხმულ ოცნებას წარმოადგენს „ორი ქალაქის ამბავი“. თხზულების გმირი, ცინიკოსი და გარყვნილი ახალგაზრდა, სიყვარულის ზეგავლენით უეცრად კეთილშობილურად მოქმედებს: საყვარელი ქალის ქმარს გადაარჩენს და მის ბედნიერებას მსხვერპლად ეწირება. ცოლ-ქმარი მის ხსოვნას თაყვანს სცემენ: „ის, რასაც ამ წიგნის გმირები აკეთებენ და განიცდიან. ჩემთვის ისე რეალური გახდა, თითქოს ყოველივე თვითონ გამეკეთებინოს და განმეცადოს“. — წერდა დიკენსი — ეს ერთადერთი დიდი მსახიობი მსოფლიოში, რომელიც ამავე დროს დიდი შემოქმედი იყო და სიდნეი კარტონის სცენაზე დახატვას ისევე კარგად შეძლებდა. როგორც კალმით. მოთხრობის დრამატულ უღერას არც ერთი ხალისიანი ნოტა არ არღვევს. მასში (ისე, როგორც „ჰამლეტში“) ერთადერთი კომიკური ფიგურა მესაფლავია. უფრო სწორად, საფლავების დამრბევი ჯერი კრანჩერი. რომელიც „რალაც განსაკუთრებულად ჩაიხველებს ხოლმე მუშტში. რაც, როგორც ცნობილია, გულწრფელობისა და პირდაპირობის მაჩვენებელი როდია“. იმ დროს, გარდა დიკენსისა, ძლიერ ცოტა ვინმეს შეეძლო ამა თუ იმ სტიქიური მოძრაობის ერთი თავისებურების ღირსეულად შეფასება: „ცნობილია, რომ ზოგჯერ ექსტაზში მყოფი ან მთვრალი უდანაშაულო ადამიანები სიხარულით აღიოდნენ გილიოტინაზე. ეს უბრალო ბაჭიაობა კი არა, ხალხში მოდებული მასობრივი ისტერიის კერძო შემთხვევა იყო. როცა გარშემო შავი ჰიბრი მძვინვარებს. რომელიმე ჩვენგანს უცებ იგი წარბეჭად მოეჩვენება და მისგან სიკვდილის ფარული და საშინელი სურვილი შეიპყრობს. დიახ, ბევრი ახირებული რამ არის დაფარული თითოეული ადამიანის სულში პირველ მარჯვე შემთხვევამდე“.

ეს ბრწყინვალე და ამაღლევბელი წიგნი უშუალოდ დაკავშირებულია დიკენსის ყველა იმდროინდელ განცდასთან. ის მაშინ დაიწერა, როცა ავტორი შეყვარებული იყო, როცა ეჩვენებოდა, სამარცხვინოდ მიღალატეს და დაუმსახურებლად შეურაცხმყვეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ყოფელნიარად დავალებული არიან ჩემგა-

ნო; როცა მასი მეგობრების ნაწილმა აშკარად დაძრახა ის, ნაწილი კი უსიტყვოდ კიცხვდა; როცა თავი განმარტოებულად იგრძნო და ეჩვენებოდა, ვერავინ გამოიგოო. ამ მტრული სამყაროსაგან (როგორც მას ეჩვენებოდა) და თავისი სინდისისაგან თავის დასაცავად ცხოვრებაში საკუთარი თავის წინაშე კომედიას თამაშობდა, ხოლო მწერლობაში დრამატიზმით აღსაქსე ნაწარმოები შექნა. ამ ნაწარმოებს რომ წერდა, დიკენსი უსამართლოდ დაჩაგრულ მოწამედ და გმირად გრძნობდა თავს. წარმატება, რომელიც მის ნაწარმოებს წილად ხვდა, გვარწმუნებს, რამდენად ბევრია ამქვეყნად უსამართლოდ დაჩაგრული, მაგრამ სულით ამაყი მოწამე.

ამ თავის სანუგეშებელმა წამოწყებამ ცუდი გავლენა როდი მოახდინა მწერლის ფინანსურ საქმეებზე: მოთხოვნა „მთელ წელზე“ ბევრად მეტი იყო, ვიდრე „საოჯახო კითხვაზე“. ეს მოთხოვნა თანდათან იზრდებოდა. ათი წელი გავიდა ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ და მისმა ტირაჟმა სამას ათას ცალს მიაღწია. გარდა უილკი კოლინზის რომანებისა, მკითხველებმა ჟურნალიდან გაიცნეს ჩარლზ რიდის „ლითონის ფული“, ბულვერ-ლიტონის „ახირებული ამბავი“, თვითონ დიკენსმა „ორი ქალაქის ამბის“ გარდა ჟურნალში რამდენიმე საშობაო მოთხრობა და ნარკვევების სერია გამოაქვეყნა. ეს ნარკვევები შემდეგ შეიკრიბა და ერთტომეულად გამოიცა სახელწოდებით „ჩანაწერები არაკომერციულ საქმეებზე მოგზაურობისას“. ამ „ჩანაწერების“ თემა მრავალფეროვანი იყო. ბევრი მათგანი ეძღვნებოდა ქალაქსა და მის მიდამოებში მოგზაურობას ღამღამობით, როცა დიკენსს ძილი გაუტყდებოდა. თეატრები, სამუშაო სახლები, გემის დაღუპვა, მაწანწალები, ეკლესიები, ნავსაშენები, სამიკიტნოები და... მოხარული ხორცი — ავტორი ყველაფერზე წერდა, რასაც ის დაუინტერესებია ღამის რომელიმე ვითაყის დროს. „ჩანაწერები“ ჟურნალის ყველაზე საინტერესო განყოფილებად იქცა.

## ისტორიული აღზილვაი

შექსპირი პირველად მსახიობი იყო და მხოლოდ შემდეგ გახდა მწერალი. დიკენსმა მწერლობით დაიწყო და თანდათან მსახიობად იქცა. სწორედ ამიტომ შექსპირის გმირები უფრო ღრმანი გახლავთ, ვიდრე დიკენსისა, ხოლო დიკენსის გმირები უფრო ბრწყინვალედ არიან დაწერილი. შექსპირის გმირები თავიანთი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ, გარემოსაგან და პიესის პირობებისაგან დაპოუკიდებლად. დიკენსის გმირებს ცხოვრება მხოლოდ იმ გარემოში შეუძლიათ, რომლებშიც მოათავსა ისინი ავტორმა. ინგლისურ მწერლობაში დიკენსზე ბრწყინვალე მწერალი არ არის. ის შეუშხუნის ცეცხლოვან ბურთს ჰგავს: ზოგჯერ წიშინებს, ბოლავს, მაგრამ უფრო ხშირად ენთება, ბრწყინავს და აფრქვევს ნაპერწკლებს, რომლებიც ნელ-ნელა იძირებიან წყველიაღში. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი ამას გრძნობდა და ამიტომ საჯარო კითხვების დროს ძლიერ ამოკლებდა და ასხვაფერებდა გმირების დახასიათებას, ახალი ფერადებით ამკობდა მათ თავისი სცენური ოსტატობის მიხედვით.

არასოდეს ყოფილა და არ შეიძლება იყოს დიკენსის კითხვების მსგავსი სანახაობა. რასაკვირველია, კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა შექსპირის ნახვა მისი რომელიმე პიესის მთავარი გმირის როლში, ანდა ბეთჰოვენისა — საკუთარი სიმფონიის დირიჟორად. მაგრამ დიკენსის გამოსვლები რალაც ერთადერთი და შეუდარებელი იყო. შედარება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, შექსპირს რომ თავისი პიესის ყველა როლის შესრულება შესძლებოდა, ხოლო ბეთჰოვენს — ორკესტრის ყველა საკრავზე ერთდროულ-

ლად დაჯერა. „ადრე ვერ წარმომედგინა, — წერდა კარლეილი, — რა შესაძლებლობები აქვს ადამიანის ხმასა და მიმიკას. თეატრის არც ერთ სცენაზე არ ნახულა იმდენი მოქმედი პირი, როგორც ამ ერთ სახეშია. ხმა? არავითარი ორკესტრი არ არის საჭირო!“ ესეცაა, კარლეილი ხომ წინასწარმეტყველი იყო. ქების სიტყვებში ის მუდამ წინასწარმეტყველურ აზრებს აბრუნებდა და ამჯერად გადაკრულად მიანიშნებდა, თვითონ მე ყოველივე „ჩამბაზობაზე“ მაღლა ვდგავარო. „ასე თუ ისე, დიკენსს შესანიშნავად გამოუღის, მაკრიდიზე უკეთ თამაშობს. ნამდვილი ცოცხალი თეატრია, კომიკური, ტრაგიკული და პეროიკული, ყველა შემსრულებელი ერთ პერსონაშია თავმოყრილი. მთელი საღამო სიცილი გრგვინავს, ცრემლნარევი სიცილი, როგორც ზოგიერთი ჩვენგანი ფიქრობს.“

დიკენსმა თავისი კითხვებით მთელი ინგლისი, მოტლანდია და ერლანდია მოიარა 1856 წლიდან 1870 წლამდე. მისი იმპრესარიო არტურ სმიტი მეორე ტურის დამთავრებამდე გარდაიცვალა, მეორე იმპრესარიო დიკენსს არ მოეწონა. კითხვის შესამე და მეოთხე იმპრესარიო ჯორჯ დოლბი იყო, ფირმა „ჩეპელი და კომპანიის“ წარმომადგენელი. ის საქმის საორგანიზატორი და ფინანსურ მხარეს განაგებდა. ყოველი კითხვა არანაკლებ სენსაციური მოვლენა იყო, ვიდრე რომელიმე სახელგანთქმული მოღვაწის სიტყვით გამოსვლა ძველ დროს, როცა სახელმწიფო მოღვაწეები და მკვერმეტყველების ხელოვნება ჯერ კიდევ პოპულარობით სარგებლობდა. კითხვებით მიღებული შემოსავალი არ ჩამოუვარდებოდა თეატრის „ვარსკვლავის“ იმდროინდელ შემოსავალს, როცა თეატრალური ცის კამარა ჯერ კიდევ არ ჰგავდა თანავარსკვლავედ „ირმის ნახტომს“. ათასობით ადამიანები იყრიდნენ თავს დიდ ქალაქებში კითხვებზე დასასწრებად. ბევრი ვერ ესწრებოდა კონცერტს, რადგან ადგილები აღარ იყო. დიკენსს მქუხარე ოვაციებით ეგებებოდნენ. ამას იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ხშირად, როცა კითხვის დამთავრების შემდეგ დიკენსი თეატრიდან უკვე წასული იყო, ფეხზე მდგარი საზოგადოება ისევ ტაშს უკრავდა. ქუჩაში ხალხი ელოდებოდა, რათა მის ხელს ანდა პალტოს სახელოს მაინც შეხებოდნენ. ქალები კიდაობას მართავდნენ დიკენსის საღილედან ჩამოვარდნილი ყვავილის ფურცლის ხელში ჩასაგდებად. ხანდახან, როცა ტაშის ბობოქრობა არ წყდებოდა, დიკენსი სცენაზე ბრუნდებოდა და მა-

ყურებლებს მოკლე სიტყვით მიჰმართავდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს კითხვები მას ისევე არ სიამოვნებდა, როგორც მის მსმენელებს: ის ტკებოდა, თავის განსაკუთრებულ სამყაროში გადადიოდა, თავის სტიქიაში იყო. „გასაოცარი გრძნობაა, როცა აუდიტორია ხელში გყავს“, — განაცხადა მან ერთხელ. ეს განცდა მას არ ყირკედებოდა, პირიქით, რაც უფრო ატკებოდა, მით უფრო სწყუროდა. არსებითად ღიკენსმა მიაღწია იმას, რისკენაც ისწრაფვის ყველა, ვინც მსახიობადაა დაბადებული: ყველა როლი შეასრულა მის მიერვე შექმნილი დრამატული ნაწარმოებების სერიიდან. მას შეეძლო როლის გადიდება ან შემკირება, შეეძლო ჩაემატებინა, რაც საჭიროდ მიაჩნდა, ან ამოეგდო ის, რაც, მისი აზრით, ზედმეტი იყო. ამასთან ერთად ღიკენსი თავისი თავის რეჟისორიც იყო: თვალყურს ადევნებდა, როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელეზზე ახალი ხერხი და პერსონაჟების დახასიათებაში ყოველთვის სცვლიდა, რამეს: ხან უფრო მძლავრად გამოქერწავდა რომელიმე გულში ჩამწვდომ თვისებას, ხან ამა თუ იმ სცენის გმირულ ქლერას გამოავლენდა განსაკუთრებით. შეეძლო მოჭადლოებული აუდიტორიისათვის შთაეგონებინა ნებისმიერი გრძნობა, განწყყო ისე. როგორც მოიხსურებდა. რეპერტუარი თანდათან შეავსო, ყველა ნაწყვეტი ზეპირად დაისწავლა და უწიგნოდ გამოსვლა შეეძლო. გამოსვლებისათვის გულმოდგინედ და განუწყვეტლივ ემზადებოდა, ერთხელ საცდელი კითხვა გამართა რამდენიმე მეგობრის თანდასწრებით (რომელთა შორის ბრაუნინგი, ფეხტერი, კოლინზი და ფორსტერი იყვნენ). კითხვის დამთავრების შემდეგ თქვა: „ასე! ეს ნაწყვეტი ორასჯერ მაინც მაქვს გამეორებული!“ დაუღალავად მუშაობდა დაქულოვნების მისაღწევად, ღიქციის სრულყოფისათვის ცალკეულ ფრაზებს გაუთავებლად იმეორებდა სხვადასხვანაირად. ყოველ სცენას თავის კაბინეტში ისე მონდომებულად წარმოადგენდა, თითქოს დიდი აუდიტორიის წინაშე იყო. არ მოისვენებდა. ვიდრე ყოველ ეპიზოდს ბრწყინვალედ არ დაამუშავებდა, ვიდრე ყველა საშუალებას არ ამოწურავდა თავისი გმირების კომიზმის, პათოსისა თუ ახირებულების გადმოსაცემად. „როცა აუდიტორიის წინაშე გამოვდივარ, არასდროს არ დავკარგავ შემთხვევას, რომ რამე ახალი მოვიფიქრო.“ — თქვა მან 1868 წელს. ამბობენ, მსახიობი ვერ მიაღწევს თავისი ოსტატობის უმაღლეს წერტილს, თუ არ ნერვიუ-

ლობსო. დიკენსი გამოჩაყლისი იყო. 'მემსრულებელი-მსახიობის. ორატორის. მკითხველის როლში თავისი ნერვების დამორჩილების არაჩვეულებრივ ნიქს იჩენდა (შემოქმედის როლში, როგორც ვიცით. საქმე სხვანაირად იყო). მისი თავდაპირილობა და აუდიტორიის დამორჩილების უნარი არაერთხელ გამოვლინდა პრაქტიკაში. მაგალითად, ლიტონის კომედიის წარმოდგენის დროს ლონდონში ფარდას ცეცხლი მოედო, მაყურებლები ერთადერთ გასასვლელს მიაწყდნენ. სცენაზე მყოფი დიკენსი რამპასთან მივიდა და ბრძანების კილოთი შესძახა: „დასხედით თქვენს ადგილებზე“. მაღალი საზოგადოების ხუთასი მანდილოსანი და ჩენტლმენი მის ხმას უფრო შეგუშინდა, ვიდრე ცეცხლს და ყველა თავის ადგილს დაუბრუნდა, მან კი საქირო განკარგულებები გასცა და თამაში განაგრძო. მეორეჯერ, როცა ტაინის ნიუკასლში გამოდიოდა, დიდი პანიკის აცილება მოახერხა. განაბულ აუდიტორიას სმაიკის სიკვდილის სცენას უკითხავდა „ნიკოლას ნიკლბიდან“. უეცრად გაზის სანთურას ტყაცანით მოსწყდა ცხაური და ხალხით გაქედილი დარბაზის იატაკზე დაეარდა. დარბაზის სამივე განიერ იარუსს მხოლოდ ერთი კიბე გააჩნდა. პანიკა შექველად კატასტროფას გამოიწვევდა. პარტერის პირველ რიგში მჯდარი ქალი კვილით გაექანა დიკენსისაკენ. რადგან ამ ქალს მთელი დარბაზი შესცქეროდა, დიკენსმა სიცილით დაუწყო მას ლაპარაკი, თითქოს მსგავსი შემთხვევა ყოველდღე ხდებოდა. „გარწმუნებთ, არაფერი არ მომხდარა. გთხოვთ დაბრძანდეთ თქვენს ადგილზე“. ქალი დაემორჩილა და დარბაზში ტაშმა იგრიალა. მაგრამ საშიშროება გავლილი არ იყო, ყოველ წუთში დიდი ხანძარი იყო მოსალოდნელი. ცხაურის შემკეთებელი მუშები ამას გრძნობდნენ და ისე ნერვიულობდნენ, სცენის ფიცარნაგი მათ ფეხქვეშ ცახცახებდა. დიკენსს კი ხელები ჩიბებებში ჩაეწყო, იდგა და თითქოს უდარდელად უცქეროდა რემონტს. სცენის ერთმა მუშამ ეს ეპიზოდი თავის მეგობრებს რომ უამბო, დასძინა: „უფროსი კი იდგა, თითქოს აქ არაფერიაო, გეგონებოდა, მატარებლიდან ბაქანზე გამოსულა. რომ სუფთა ჰაერით ისუნთქოსო... რაც უფრო ეცნობი, მით უფრო გაკვირვებს ეს კაცა“. ბირმინჰემში კითხვის დროს დიკენსმა შენაშნა, რომ გაზის სანთურიდან ალი ამოვარდა და „სპილენძის მავთულს მოედო, კიდევ ცოტა და — მძიმე ამრეკლავი პარტერში ჩავარდებოდა“. დარბაზში არავის არაფერი შეუნიშნავს. დი-

კენსმა კი გასაოცარი სიმშვიდე გამოიჩინა: გაიანგარიშა, რომ მოასწრებდა კითხვის დასრულებას და გაზის ჩაქრობას. ასეც მოიქცა. რისკი უზარმაზარი იყო, მაგრამ მან არც ერთი მოძრაობით არ აგრძნობინა ეს დარბაზს. მის შემხედვარეს არაფრით არ შეეძლო მიმჩედარიყო, თუ რა დიდი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა.

ვისთანაც არ უნდა მოსვლოდა შეტაკება — ადგილობრივი ხელისუფლება იქნებოდა ის, თუ განრისხებული ბრბო, მწერალი სიმშვიდეს არ კარგაედა და თავისას აღწევდა: ერთხელ ბერვიკში გამოიჩინა, რომ კითხვა მინებისა და ფოლადისაგან აგებულ უზარმაზარ შენობაში უნდა ჩაეტარებინა. ახალ ადგილზე გამოსვლის წინ დიკენსი აუცილებლად ამოწმებდა დარბაზის აკუსტიკას და, სადაც საჭირო იყო, ხალიჩებსა და ფარდებს ჰკიდებდა. ის დარწმუნდა, რომ ეს შენობა უზარმაზარი რეზონატორი იყო. აქ კითხვის ჩატარებაზე გადაკრით უარი განაცხადა და დასძინა, საერთოდ არ გამოვალ, სანამ არ მომცემენ ოტელის მოხერხებულ, მყუდრო დარბაზს, სადაც ხუთასი კაცი დაეტევო. „ადგილობრივი აგენტები შეძრწუნდნენ, მაგრამ მაინც მოიხარეს ქედი ღრენით, ხოლო რამდენიმე ასეული ბილეთის მყიდველი იმედგაცრუებული დარჩა. მალე ედინბურგში მოუხდა პატარა „აქანყების“ ჩაქრობა. ისევ ადგილობრივი აგენტების შეცდომის გამო ბილეთიანების უმრავლესობა დარბაზში ვერ მოხვდა. დარბაზი ხუთ წუთში აივსო. კარებში კი ისევ განრისხებული ბრბო იდგა, ხელში ბილეთი ეკირა და დარბაზში შესვლას ლამობდა. აი, სცენაზე დიკენსი გამოჩნდა. აპლოდისმენტებთან ერთად სტვენაც გაისმა, მაგრამ დარბაზში უმალვე იგრძნეს, ამ კაცთან ზუმრობა არ შეიძლებოა და ხმაურობა მიწყდა. დიკენსმა თქვა, თქვენზე თანამემამულეების შეცდომის გამო საჭიროზე მეტი ბილეთი გაყიდულა, მაგრამ ვეცდები საქმის მოგვარებას, ან მუსიკპოლში უნდა გადავიდეთ, სადაც ადგილი ყველას ეყოფა, ანდა გამოსვლების გეგმას შევცვლი და ედინბურგში სულ ბოლოს დავბრუნდები, რომ მთელი ქალაქის წინაშე გამოვიდეთ. გაისმა მქუხარე ტაში და შეძახილები: „დაიწყეთ. მისტერ დიკენს, ხმაურობა აღარ იქნება!“ მაგრამ სხვა ხმებიც ისმოდა: „ჩვენ სულერთია არ გავჩუმდებით! მაინც ვიხმაურებთ! ჩვენ მოგვატყუეს!“ და სხვა ასეთები. დიკენსმა თქვა: „დრო სამყოფი გვაქვს. ნუ ღელავთ, ვიდრე არ შევთანხმდებით, არავითარი კითხვა არ იქნება.“ წიგნი დახურა და ღი-

მილით უცქეროდა, როგორ გაჰყავდათ დარბაზიდან „დაჩაგრულე-ბი“. აი, ისევ სიჩუმე გამეფდა. მან წიგნი გახსნა და ის იყო კითხვა უნდა დაეწყო, რომ უეტრად ვილაც შეეკითხა, შეიძლება თუ არა, მანდილოსნები, რომლებიც კინალამ გაჰყლიტეს, სცენაზე მოთავსდნენო. „რა თქმა უნდა, შეიძლება“, — იყო პასუხი. ერთ წამში სცენა მანდილოსნებით აივსო. მაშინ დარბაზიდან გაისმა ხმები, ვერაფერს ვხედავთო და დიკენსმა სთხოვა ქალებს, დამსხდარიყვენ ან დაწოლილიყვენ იატაკზე. მანდილოსნები უმაღვე დაეთანხმნენ. „არ ვიცი, რას უფრო ჰგავდა ეს: ბრძოლის ველს, არაჩვეულებრივ ცოცხალ სურათს თუ გიგანტურ პიკნიკს, — ჰყვებოდა შემდეგ დიკენსი. — ერთი მშვენიერი, საღამოს კოსტიუმში გამოწყობილი ქალი-შვილი მთელი საღამო გვერდზე იწვა ჩემი მაგიდის ფეხზე მიბლაუჭებული“. საღამო „გამაყრუებელი ტაშით დაბოლოვდა“.

დიკენსს მოსამსახურე პერსონალიც თან დაჰყვებოდა და საკირო მოწყობილობაც ჩაჰქონდა ყველგან, მაგრამ გაზის სანთურას დადგმას ყოველთვის თვითონ ადევნებდა თვალყურს, სპილენძის მიღების ვარგისიანობას თვითონ ამოწმებდა. სცენაზე, ან ფიცარნაგზე, სადაც კითხულობდა, ორი მხრიდან ფარდა იკიდებოდა. დიკენსის ზურგს უკან ფარი ეკიდა, რომელზეც ღია ყავისფერი ქსოვილი იყო გადაკრული. წინ ოდნავ ღია ფერის ხავერდის სუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა, მაგიდაზე — პიუპიტრი. მაგიდას ორივე მხრიდან შვერილი ჰქონდა გაკეთებული: ერთზე წყალი იდგა, მეორეზე მკითხველის ხელთათმანები და ცხვირსახოცი ეწყო. წინ, სცენის ზემოთ გაზის სანთურები იყო ჩამწყობებული და თუნუქის ამრეკლავი იდგა. რამპის გვერდებზეც ფარნებს რეფლექტორები ჰქონდა. მკითხველის ყოველი მხრიდან ძლიერი და თანაბარი სინათლით განათებულ სახეს და ტანს მთელი აუდიტორია ჩინებულად ხედავდა.

წელში გამართული და მშვიდი დიკენსი მარჯვენა ბეჭს წინ წამოსწევდა და სცენაზე გამოვიდოდა. საღამოში ყვავილი ჰქონდა გარკობილი, ხელში ხელთათმანები ეჭირა. დარბაზში ისეთი აღტაცებული ღრიალი ატყდებოდა, რომ გაუგებარი იყო, როგორ არ კარგავდა მწერალი სიმშვიდეს. ისეთი დიდი და წრფელი სიხარულით ეგებებოდნენ, რომ მასაც კი აუჩუყდებოდა ხოლმე გული, მაგრამ ამას არასდროს იმჩნევდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ყოველივე ეს მას არ ეხებოდა. და აი, უბაღლო წარმოდგენა იწყებო-



და. პირველი სიტყვებისთანავე დარბაზში გამეფდებოდა სრული სი-  
ჩუმე, რომელსაც ზოგჯერ სიცილის აფეთქება და ტაში არღვევდა.  
დიკენსს თავდავიწყებით უსმენდნენ, ცდილობდნენ, არც ერთი მი-  
სი სიტყვა არ გამოჰპარვოდათ. ფრაზები ნალარასავით ეღერდა. რაც  
არ უნდა ეკითხა, მუდამ გასაოცარი, ჭეშმარიტად ჰიპნოზური ძა-  
ლით იპყრობდა დარბაზს. ზოგჯერ თვითონ მასაც უძნელდებოდა  
თავის შეკავება, რომ ყველასთან ერთად არ ეცინა და არ ეტირა,  
მაგრამ თავის თავსაც ისე ჩინებულად ფლობდა, როგორც აუდიტო-  
რიას და მღელვარებას იშვიათად შეიმჩნევდა.

თავიდანვე, მაშინაც კი, როდესაც მთელი რეპერტუარი ზეპირად  
არ იცოდა, დიკენსის გამოსვლებს „კითხვას“ ვერ დაარქმევდით. ეს  
უაღრესად თეატრალიზებული წარმოდგენა იყო, რომელშიც ერთი  
აქტიორი მონაწილეობდა, მაგრამ მას თავისი თავის უამრავ სხვა-  
დასხვა სახედ გარდაქმნა შეეძლო. ხმა, სახის გამომეტყველება, მიხ-  
რა-მონრა ელვისებური სისწრაფით ეცვლებოდა და ის ყველას  
თვალწინ სხვა ადამიანად გადაიქცეოდა. ათასნაირი ხმით ლაპარა-  
კობდა: მამაკაცების, ქალების, მოხუცების. ხანში შესულების და  
ახალგაზრდების, ლონდონელი კოკნის აქცენტით და სოფლური გა-  
მოთქმებით. ლაპარაკი შეეძლო სამხედრო მეზღვაურებივით, ექიმე-  
ბივით, პასტორებივით, მოსამართლეებივით და არისტოკრატები-  
ვით. ათეულობით „სახე“ ჰქონდა მარაგად — მოსწავლის ეშმაკური  
და მიამიტი სახიდან სკრუჟის ხარბ, დანაოჭებულ ფიზიონომიამდე.  
მის ბუნებით ღრმა, სასიამოვნოდ მჟღერ და მოქნილ ხმას გრძნობე-  
ბის უფაქიზესი ელფერის გადმოცემა შეეძლო: ჩუმი სევდის, გადამ-  
დები მხიარულებისა და საბრძოლო გულსწრაფობისა. მაგრამ გამო-  
მეტყველი ხმისა და მდიდარი მიმიკის გარდა ის, უეჭველია, რაღაც-  
ნაირი ჰიპნოზური ძალით იყო დაჭილდოებული, რის გამო შეეძლო  
მაყურებლების მთლიანად დაპყრობა, თავის ნებისათვის დამორჩი-  
ლება. შეეძლო თავის სურვილისამებრ აქტულებინა ისინი ეცინათ,  
ეტირაათ, ემღერათ და ტაში დაეკრათ. ამ ძალის გამოყენებით, რო-  
გორც ვიცით, მას ადამიანების მკურნალობაც კი შეეძლო.

არც ერთი მისი მოძრაობა სცენაზე შემთხვევითი არ გახლდათ.  
საკმარისი იყო, თითები აეთამაშებინა მაგიდაზე, და თვალწინ და-  
ვიდგებოდათ მხიარულება, ფეზიუიგებისას რომ სუფევდა ცეკვის  
ღროს. აი დაიხარა, ვილაცის ხელი აიღო, ძლიერ ჩუმად ალაპარაკ-

და — ყველა ხედავს, როგორ სასოწარკვეთილი დასტირის ბობ კრეტჩიტი პატარა თიშს. აი, გასამართლების სცენა „პიკვიკიდან“. ეს ვინაა, კითხვის დროს რომ ხვრინავს? აი, შეკრთა, გაელვიძა! ისევ ხვრინვა ამოუშვა! დიკენსი კი კითხვას განაგრძობდა და მაყურებლები უხილავად გრძნობდნენ, რომ მოსამართლე სტიერლი ხან ხვრინავს, ხან კრთება და იღვიძებს. აი, უცნაური ხმა გაისმა, თითქოს ვიღაც პაპირუსის ქაღალდში გახვეულ სავარცხელზე ტუჩებს დაატარებს. ეს ხომ მისის ჰემპია! ჯერ მასზე არაფერი თქმულა, ის კი უკვე აქ არის. აგერ ბიჭის ალტი გაისმის — ეს პოლ ლომბია. საბრალო! როგორი განაწამებია და როგორ ცხადად ეტყობა, რომ ჯერ სულ ბავშვია. ეს კი, მგონი, ნიკოლას ნიკლბი ელაპარაკება ფანის სკვირსს? დიახ, ისაა. დიკენსის ფიზიონომიის ერთი ნახევარი ფანის წარმოგვიდგენს, მეორე — ნიკოლასს. აი, თვითონ სკვირსიცი — რა საზარელი ვინმეა! აი, ჯონ ჩეზლვიტი — როგორი სისხლისმსმელის სახე აქვს!

მაგრამ სემი — სახელგანთქმული სემ უელერი დიკენსს არ გამოუდიოდა. ეს ერთადერთი მარცხი შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ „პიკვიკის“ ავტორი მნიშვნელოვანი პერსონა გახდა? ჩანაფიქრით სემი თავისი პატრონის ბატონი იყო, ახლა კი დიკენსი მასში მხოლოდ მსახურს ხედავდა. შეიძლება სწორედ ამ წინააღმდეგობამ გაამრუდა სემის სახე?

თვითონ ძალიან უყვარდა ნაწყვეტების კითხვა „დევიდ კოპერფილდიდან“, რომელიც ყველაზე საინტერესოდ მიაჩნდა თავის წიგნებში. ამბობდა, გამხელა მრცხვენია, მაგრამ ჩემი „დევიდი“ ნახად მიყვარსო. მრავალი კვირის განმავლობაში მუშაობდა უმთავრესად სტიერფორსისადმი მიძღვნილ ნაწყვეტებზე „კოპერფილდიდან“. მასალას არჩევდა და აკავშირებდა, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო. მაშინაც არ იკისრა კითხვის პირდაპირ ლონდონში ჩატარება და პირველად პროვინცია მოიარა. მსმენელებს რაღაც აუწერელი ემართებოდა: ყველა გიჟივით იცინოდა და ტიროდა. როცა დიკენსი დაასრულებდა თავის თხრობას ქარიშხალზე იარმუტში, დარბაზშიც გაშმაგებული ალტაცების ქარიშხალი ატყდებოდა ხოლმე. ჩელტენემში დიკენსის სალამოს მაკრიდი დაესწრო (სცენიდან წასვლის შემდეგ მსახიობმა მეორე ცოლი შეირთო და ახლა აქ ცხოვრობდა). დიკენსი მის სახლში ჩამოხდა.

კითხვის დამთავრების შემდეგ მეგობართან რომ დაბრუნდა, უცნაურ მდგომარეობაში იხილა: მაკრიდი ვერ ლაპარაკობდა, საერთოდ არაფერი შეეძლო, მხოლოდ უმწეოდ ატრიალებდა თვალებს და ტუჩებს ამოძრავებდა. დაძაბულობის შესანელებლად დიკენსმა რაღაცა იხუმრა თავისი კითხვის თაობაზე, მაკრიდიმ მხოლოდ ხელის გაქნევით გააჩუმა ის და ძლივს ალაპარაკდა.

— არა, მმ. დიკენს! რამდენი გზნებაა. ღმერთს ვიფიცავ! როგორი სილაღია, მმ... მერე, როგორ შერწყმულია! გასაოცარია... მმ... არა, მართლა, დიკენს, რა ღრმად ამაღლეგებელია! არა, როგორი ოსტატობაა... თქვენ ხომ იცით, მმ... რომ მე... არა, დიკენს! მე ხომ, ღმერთმა დაწყევლოს, ისეთი შედეგები მინახავს — ახლანდელისთანა კი არა! მაგრამ ეს მიუწუდომელია. როგორ უნდა ვიღწიოს კაცმა ამას?... მმ... როგორ? ერთ ადამიანს როგორ შეუძლია, ჰა?... არა, მე... მმ... დაძლიებული ვარ, რად უნდა ლაპარაკი!

შემდეგ მაკრიდიმ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ხელი დიკენსს დაადო გულზე: „თითქოს ის ვერნერია, მე კი — მისი პარტნიორი“. თავისი აქტიორული ოსტატობის უფრო მაღალ შეფასებას დიკენსა ვერსად გაიგონებდა. მაკრიდის ედმუნდ კინთან უთამაშია, სარა სიდონსი და კემბლები უნახავს, საკუთარ ნიჭზეც არ იყო ცუდი აზრის. ფენომენალურმა სანახაობამ, რომელსაც ის დაესწრო, აგრძნობინა მაკრიდის, ჩემი საქმე წასულიაო. მაგრამ დიკენსს გულხელდაკრეფილი ჯდომა არ სჩვეოდა, მის გვერდით მყოფ მეგობარს რომ სევდა შეიპყრობდა. „როცა ამ თავხედმა გამიცხადა, ვბერდებიო, ქოლგას ვსტაცე ხელი და ნამდვილი მაკდუფისებურად შევუტეე. მაშინ მასშიც ძველებურმა საბრძოლო სულმა გაიღვიძა და ისე გააფთრებით იწყო თავის დაცვა, როგორც ოცდაათი წლის წინათ“.

„კოპერფილდის“ კითხვებს ლონდონშიც არანაკლები წარმატება ხვდა წილად. „წარმატებამ ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა“... — თქვა დიკენსმა, რომელიც წაქცევაზე იყო იმ მგზნებარე სიტყვების მოსმენის შემდეგ, რომლებითაც საზოგადოებამ საყვარელი მწერალი და დიდი მსახიობი დააჩილდოვა.

გასტროლების დროს ის ძლიერ იშვიათად ჩერდებოდა მეგობრებთან და ნაცნობებთან და თითქმის არ ესწრებოდა ბანკეტებსა და დარბაზობას. თავის მოვალეობად მიაჩნდა, წესიერ ფორმაში

ყოფილიყო და მხოლოდ სამეშაოზე ეფიქრა. ამის გამო საზოგადოებას გაუბრბოდა. მაგალითად. როცა ირლანდიის მეფისნაცვალმა ლორდმა სადილად მიიწვია დუბლინის სასახლეში, ნიწვევა არ მიიღო. როცა გლოსტერის ეპისკოპოსმა თავის სასახლეში შესთავაზა ბანა, უარი თქვა. მთელი მისი სიცოცხლე აქეთ-იქით დარბოდა: ვაჟილიდან — სასტუმროში. სასტუმროდან სცენაზე. სცენიდან: — ვაჟნალზე. რამდენი კაათი ვაატარა დღისით თუ ღამით მატარებელში, სადაც მოსაწყენი დროს მოსაკლავად თავის იმპრესარიო დოლბის ემასლაათებოდა, ვიდრე ის სიცოცხლისაგან არ აკენესდებოდა.

ამ დროს კამა-სმაში ზომიერებას იცავდა. მხოლოდ სცენაზე გამოვლების დროს ანტრაქტში ძალ-ღონის მოსაკრებად თორმეტ ცალ ხამანწყას შეჰამდა და ერთ კიქა შამპანურს დააყოლებდა.

1850 წლის შემოდგომიდან თავის ახალ მამულში, ჰედსჰილ-ჰლისში ცხოვრობდა. აქ გადმოზიდა ტევისტოკ-ჰაუსიდან თითქმის მთელი ავეჯი და საოჯახო ნივთები. მხოლოდ აუცილებელი რამეები დატოვა ვალენტინ-სტრიტზე, სადაც ლონდონში ყოფნისას ცხოვრობდა. „მთელი წლის“ რედაქციაც ამავე სახლში იყო მოთავსებული, აქვე მუდამ მზად იყო ოთახი მისი რომელიმე ქალიშვილისათვის ან ცოლისდისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეურნალის მასალასა და რომანზე მუშაობით ყელამდე დატვირთული იყო, მარცხ გამოიხატა დრო იმისათვის, რომ ბინის მთელი მოწყობილობა ოთახებში თვითონ დაელაგებინა. წერილმანებშიც პედანტური დიკენსი, როგორც მამა, ძლიერ მომთხოვნი იყო. თითოეულ მის ვაჟს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი საკიდარზე ქუდისა და პალტოსათვის. თითოეულს თავისი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული: მაგალითად. კრიკეტის თამაშის შემდეგ ერთს კარები მოჰქონდა მოედნიდან და თავის ადგილზე აწყობდა, მეორეს — ჩაქუჩები, მესამეს — ტაფელები, მეოთხეს — ბურთები. დროგამოშვებით მშობელი ამოწმებდა. რომელიმე ვაჟიშვილს კოსტიუმი ხომ არ დაუღაქიანებიაო. ყოველ დილას ჩამოივლიდა მათ ოთახებს და ნახულობდა თანის ადგილზე იდო თუ არა ყველა სკამი, სწორად ჰქონდათ თუ არა აწეული ფანჯრების ფირფიტანები, იატაკზე ხომ არაფერი ეყარა. ყოველდღე ამოწმებდა, წესიერად იყო მოვლილი თუ არა საჩინბო, საძალე და ბაღი. თვითონ ძალიან ფაქიზი გახლდათ და თავის გა-

რევნობაზე ზედმიწევნით ზრუნავდა. თუ ქარი თმას აუწეწდა, დაუ-  
ყოვნებლივ შედიოდა ოთახში და თმას ივარცხნიდა. ასევე ფხიზ-  
ლად ადევნებდა თვალყურს, რომ მისი ქალიშვილები აკურატული  
ყოფილიყვნენ, ზოგჯერ რომელიმე მათგანს საქინძისთავო ბალიშზე  
მამის პატარა ბარათი დახვდებოდა შენიშვნებით. პუნქტუალობა —  
საერთოდ რომ ვთქვათ, კარგი თვისებაა, იმას მოწმობს, რომ ადამი-  
ანი სხვებს ანგარიშს უწევს, მაგრამ დიკენსის პუნქტუალობა მანკი-  
ერების საზღვარს აღწევდა. იმ აზრისა იყო, რომ სუფრაზე ან პაე-  
მანზე დაგვიანებულის გამართლება არაფრით არ შეიძლება. სწყინ-  
და, როცა თავის ქალიშვილებს ქცევაში, ან საუბარში მოურიდებ-  
ლობას შენიშნავდა და ყოველთვის მიუთითებდა, თუ რომელიმესა-  
გან გაიგონებდა: „საშინლად ლამაზია“ ან „საშინლად მესიამოვ-  
ნაო“.

ჰედსპილში მისი უფროსი ქალიშვილი მემი ოჯახობდა, მამა ას-  
წავლიდა, მომთხოვნი და მომპირნე იყავი, სისტემატურად და ზედ-  
მიწევნით შეამოწმე ყველა ხარჯი და ჩააგონე მსახურებს, რომ ზედ-  
ღეტი ხელგაშლილობა დაუშვებელია. მემი მამას აღმერთებდა, დე-  
დის წასვლის შემდეგ არც ერთხელ არ შეხვედრია მას, თავის საქმ-  
როს უარი უთხრა მხოლოდ იმიტომ, რომ მამამ არ მოიწონა. ზოგი  
საოჯახო საქმე ჯორჯინას და თავის უმცროს დას ქეთს დაავალა. ქეთ  
დედ-მამის უთანხმოებას სულ სხვანაირად უტკეპროდა. მისი აზრით,  
ჯორჯინა არც ისე კრისტალურად სუფთა იყო. დედასთანაც დადიო-  
და. დიკენსი ამას ისე აღიქვამდა, როგორც გაკიცხვას. მოკლედ,  
ქეთს უმძიმდა ჰედსპილში ყოფნა, მან გადაწყვიტა, რაც შეიძლება  
მალე წასულიყო სახლიდან. მას ჩარლზ კოლინზმა, უილკის ძმამ ხე-  
ლი სთხოვა. ქეთს არ უყვარდა ჩარლზი. მაგრამ ოჯახში ყოფნა ისე  
უმძიმდა, რომ მამას ანგარიში არ გაუწია და წინადადება მიიღო.  
1860 წლის ივლისში ჩარლზმა და ქეთმა ჯვარი დაიწერეს. ქორწილს  
თითქმის მთელი ოლქი დაესწრო. ტრიუმფალური თაღები ააგეს,  
ეკლესიის ეზო ყვავილებით იყო დაფარული, სამკვდლოდან სიძე-  
დედოფალს ზარბაზნის გასროლით მიესალმნენ. ლონდონიდან აუ-  
არებელი მეგობარი ჩამოვიდა საგანგებო მატარებლით. სწორედ  
ცერემონიის დაწყებას მოუსწრეს. „კარგად ვერ გაერკვიათ, როგორ  
უნდა დაეჭირათ თავი: შეწუხებულიყვნენ, გაეხარათ. თუ გულაჩუ-  
ყებულებს თვალები ესრისათ ცხვირსახოცებით, — ჰყვებოდა შემ-

დღე დიკენსი, — ისეთ სასაცილოდ და გაუბედავად გამოიყურებოდნენ, რომ იძულებული გავხდი, საკურთხევლის რიკულებს დავყრდნობოდი და ხელისგულით დამეფარა მშობლის საპატიო სიფათი“. როგორც შეუღლების ცერემონიის მოწმემ, დიკენსმა თავის თავი საკმაოდ ორაზროვნად „ლიტერატურულ ჭენტლმენად“ ჩააწერინა, სხვათა შორის, იმ დღეს საერთოდ რალაც უცნაური სულიერი განწყობილება ჰქონდა. საქორწინო ღვინოში არაბუნებრივად აღგზნებული იყო, ხოლო, როცა სტუმრები დაიშალნენ, მემიმ მამა დის ოთახში იპოვა: ის იჯდა, სახე ქეთის ძველ კაბაში ჩაემალა და მწარედ ჰქვითინებდა. „ჩემი ბრალია, ქეთ რომ სახლიდან წავიდა“, — ძლივს ჩაილაპარაკა მან და ოთახიდან გავიდა. ქეთს ძლიერ უყვარდა მამა, მაგრამ მისი თანაგრძნობა დედის მხარეზე იყო. მოსუცებულობაში მან მამას ცუდი კაცი უწოდა. ამით იმის თქმა უნდოდა, რომ მამა ჭიუტი, თვითნება იყო, თავისი გზით მიდიოდა, სხვების გრძნობას კი სთელავდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ დიკენსი შეიპყრო სურვილმა, წარსული დავიწყებისთვის მიეცა. ვადაწყვიტა, ახალგაზრდობის დღეებთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი გაეწყვიტა და ცხოვრების ახალი ფურცელი დაეწყო. სხვებს (და თავის თავსაც) ის სხვანაირად განუმარტავდა ჰედსჰილში დანთებულ „ღიად კოკონს“: ამბობდა, საერთოდ ორ ადამიანს შორის მიმოწერის გამოცემის წინააღმდეგი ვარ, თუ ის ფართო აუდიტორიისათვის არ არის ნაეარაუდევიო. 1860 წლის 3 სექტემბერს დიკენსმა ყველა თავისი პირადი წერილი შეაგროვა, სახლის მახლობლად მინდორზე დააწყო და დაწვა. „როცა საქმე დავიწყე, მშვენიერი ამინდი იყო, როცა მოვრჩი, კოკისპირული წვიმა მოვიდა. ექვი მაქვს, რომ ცა ჩემი კორესპონდენციის გამო მოილუშა“. შემდეგშიც დაუყოვნებლივ წვადა ყოველ კორესპონდენციას, გარდა საქმის ქალღმერთისა. ასე დაიფერფლა კარლილის, თეკერეის, ტენისონის, ბრაუნინგის. უილკი კოლინზისა და ბევრი სხვა გამოჩენილი თანამედროვის წერილები. როცა უკანასკნელი შეკვრა ცეცხლში შეაგდო, თქვა: „სულით და გულით ვისურვებდი, ამ გროვაში ჩემი საკუთარი წერილებიც მენახა უკლებლივ“. ამ სიტყვებს დიკენსის არც ერთი ბიოგრაფი არ დაუპყრდა მხარს: წერილები რომ არ დარჩენილიყო, ვერ გავიგებდით, რომ იგი სანდო მეგობარი, კარგი შვილი და ასეთივე კარგი მამა იყო.

მართალია, ყოველი ლიტერატურული ძეგლისთვის შეილება უფრო მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ისიც მართალია, რომ ყოველგვარ „ლიტერატურულ შთამომავლობას“ მოკლებულთა შორის ბევრი არ მოიძებნება შეილებისადმი მისებრ ყურადღებიანი და მზრუნველი მამა. მისმა ცოლმა თქვა, დიკენსს მუდამ უნდა ჰყავდეს პატარები, პირველ რიგში — ჩვილებიო. მართლაც, ის გულით ნორჩების ერთგული იყო. ამბობდნენ, რომ ერთხელ აედევნა ერთ პუწასს, რომელსაც მხარზე შესპული შვილი მიყავდა და მთელი გზა ალუბლით უმასპინძლებოდა ბიჭუნას. მაგრამ სასკოლო ასაკის შვილები ძლიერ უშლიდნენ ხელს მის ლიტერატურულ ძეგებს, რომლებიც მხოლოდ მყურდროებაში ჩნდებოდნენ და ყურადღებას მოითხოვდნენ, როგორც ნამდვილი ბავშვები. ასე, 1862 წელში, ზამთრის არდადეგების დროს ის ჩიოდა, რომ „მთელი სახლი ბიჭუნებით სავსეა და თითოეულ ბიჭუნას ყოვლად გაუგებარი და საზარელი თვისება აქვს ერთდროულად სახლას ყველა ნაწილში თავისი ჭრილა ფეხსაცმელებით იაროსო. მისთვის ადვილი არ იყო ორი უზარმაზარი ოჯახის ინტერესების შეთავსება. რომელთაგან ერთი მის სახლში ბობოქრობდა, ხოლო მეორე — წარმოსახვაში. როცა ვაჟიშვილებს პროფესიის არჩევის დრო მოუვიდა, დიკენსი დაწამუნდა, რომ „უფრო მრავალრიცხოვანი და თავის თავზე ზრუნვისათვის ნაკლებად განწყობილი ოჯახი ქვეყანაზე არ ნახულა“. რამდენიმე შვილი „ჰედსპილ-გაზეთის“ მოძბადებასა და გამოცემაში მონაწილეობდა. თითქმის ყველაფერი, რაც ამ გაზეთში იბეჭდებოდა, მათ გარდა არავის აინტერესებდა, თუმცა, ცნობას, ოჯახის უფროსი მორიგი ტურნედან ბრუნდებაო. სხვებიც გულისყურით ეკიდებოდნენ. დიკენსი ხალისიანად კითხულობდა „ჰედსპილ-გაზეთს“, მაგრამ მისი ავტორები ბრწყინვალე ნიჭის პატრონებად არ მიაჩნდა. რაკი მშვენივრად იცოდა, რა ეკლიანია მწერლის ცხოვრების გზა, რა ახლოს იცნობდა სიღარიბეს პროფესიული მწერლების უმრავლესობა, თავის ვაჟებს ჩვეულებრივად ურჩევდა, ჩემს მაგალითს ნუ მიჰბაძავთო.

უფროსი ვაჟი, ჩარლი. ბერინგის ფირმის წევრი, გაკოტრდა. მაგრამ მამა მიეშველა. შემდეგ ჩარლიმ უილსის ადგილი დაიჭირა „მთელ წელში“, მამის სიკვდილის შემდეგ კი — ეურნალის პატრონი გახდა. მეორე ვაჟი — უოლტერი, ისტინდოეთის ამხანაგობის ოფი-

ცერი, 1863 წელს კალკუტაში გარდაიცვალა. მესამეს, ფრენსისს ჯერ უნდოდა მედიცინისათვის მოეკიდა ხელი, შემდეგ ფერმერობა მოიწადინა. შემდეგ — ისევ ექიმობა. დიკენსმა საკმაო დრო მისცა დასაფიქრებლად, მაგრამ, როცა დაინახა, ვერაფერს სწყვეტდა, კომერციულ საქმეში მოაწყო. შვილს არ მოეწონა ეს. ბოლოს მამამ „მთელ წელში“ აიყვანა და იმავე დროს საადვოკატო გამოცდებისათვის ამზადებდა. ფრენსისს არც ადვოკატობის, არც ჟურნალისტობის მიდრეკილება არ აღმოაჩნდა და ბოლოს და ბოლოს ბენგალის ცხენოსან პოლიციაში სამსახური მოიწადინა. მამა ამ საქმეშიც დაეხმარა. მეოთხე ვაჟმა ალფრედმა ჯარში სამსახური მოისურვა და ამიტომ არტილერიისტობას სწავლობდა. შემდეგ გადაიფიქრა, კომერციისადმი ინტერესი გამოავლინა, მამამ სიტყვა უშოვა ადგილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ალფრედს გულმა შორეული ქვეყნებისაკენ გაუწია და მამის თანხმობით ავსტრალიაში წავიდა. მამისაგან მიიღო მოქმედებამდე სრული თავისუფლება და რჩევა, რა წამს იგრძნო, ავსტრალიაში საშენო ადგილი არ არის, მაშინვე შინ დაბრუნდით. მაგრამ ალფრედმა მოსწერა მამას, „მეფესავით ბედნიერი“ ვარო, და ავსტრალიაში დარჩა. მეხუთე ვაჟი, სიდნეი, ბავშვობიდანვე მეზღვაურობაზე ოცნებობდა. „რომ ვიცოდე, ეს სერიოზული და საბოლოო გადაწყვეტილებაა, ხელს არ შევუშლიდი ბიჭს. დარწმუნებული ვარ, როცა საბოლოო არჩევანს გააკეთებს, მხურვალედ მოეკიდება თავის მოწოდებას“, — წერდა დიკენსი. სიდნეი ფლოტში შევიდა. ჩინებული რეპუტაცია დაიმსახურა და თავისი ბედის კმაყოფილი იყო. მეექვსე ვაჟი, ჰენრი, თითქმის ყველაზე გონიერი, მშვენივრად სწავლობდა კემბრიჯში<sup>1</sup>, სადაც ორი სტიპენდია ეძლეოდა; შემდეგ ადვოკატი გახდა და ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა.

დიკენსის უმცროსი (მეშვიდე) ვაჟი ედვარდი (რომელსაც ოჯახში პლორნს ეძახდნენ) თავის სკოლას ვერაფრით ვერ შეეგუა და დიკენსმა ბევრი იწვალა, რომ სხვა, უფრო შესაფერი აღმოეჩინა. პლორნი მორცხვი, ყველასათვის საყვარელი, მაგრამ არა განებივრებული ბიჭუნა იყო. „ყველას ისე გვიყვარს ბავშვები, რომ ვცდილობთ არ წავახდინოთ ისინი“, — შენიშნა ერთხელ დიკენსმა.

<sup>1</sup> კემბრიჯი -- პატარა ქალაქია ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში. ამ ქალაქშია მეცამეტე საუკუნეში დაარსებული ინგლისის უდიდესი უნივერსიტეტი, რომელსაც თავისი კოლეჯები ე. ი. საშუალო სასწავლებლები აქვს.



პლორნს „ბეჯითობა და გულმოდგინეობა“ აკლდა და თავის ნებანე მიშვებულს სრულიად არაფრის კეთება არ შეეძლო. როცა პლორნმა იკითხა, შეიძლება თუ არა მეორე სკოლაც მივატოვოო. მამამ უპასუხა, შეიძლება, მაგრამ არ გირჩევო. პლორნს არც რომელიმე პროფესიისადმი მიდრეკილება გამოუვლენია. „რამდენადაც მას ცხოველები და ცხენზე ჯდომა უყვარს, მე მგონია, მისთვის წიგნთ-წაჭდომას ცხენზე ჯდომა აჯობებს“, წერდა მამა. მისი აზრით, პლორნი უფრო ბედნიერად იგრძნობდა თავს, თუ ავსტრალიაში დასახლდებოდა ძმასთან. მართლაც, სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის შემოკლებული კურსის დამთავრების შემდეგ დიკენსის ვაჟი მეორე ნახევარსფეროსაკენ გაემგზავრა. დიკენსი მტკივნეულად განიცდიდა პლორნთან განშორებას და, როცა აცილებდა, მწარედ ტროდა ნაგზალზე.

ჰედსპილ-პლეისში დამკვიდრების შემდეგ დიკენსი ამ სახლზე მეტს ზრუნავდა, ვიდრე რომელიმე სხვაზე ლონდონში. არ ივიწყებდა, რომ ჰედსპილი ისტორიულ ადგილზე იდგა და პირველ რიგში სახლის კედელზე ჩარჩოში ჩასმული დაფა დაკიდა. დაფას შემდეგი წარწერა გაუკეთა: „ეს სახლი დგას ჰედსპილის ბორცვის მწვერვალზე, რომელსაც შექსპირმა უმღერა, რითაც ჰედსპილ-პლეისის სახელი სამუდამოდ დაუკავშირა მისი კეთილშობილი კალმით შექმნილ სერ ჯონ ფალსტაფს“. რა სიამოვნებას ჰგვირიდა ფიქრი, რომ მისი ოთახი „სწორედ იქაა, საიდანაც ფალსტაფი გაიპარა!“ 1860 წლის სექტემბერში განაცხადა, მღელვარების ხანა მეწყებაო. ის ახალი წიგნის დასაწერად ემზადებოდა. „მთელი წელის“ საქმის გამოსასწორებლად დიკენსი იძულებული იყო, ახალი თხზულება ჟურნალში ებეჭდა. „დიდი იმედების“ პირველი გამოშვება „მთელ წელში“ 1860 წლის პირველ დეკემბერს დაიბეჭდა, უკანასკნელი — 1861 წლის აგვისტოში. პირველი თვის განმავლობაში ჟურნალის ტირაჟმა „ლევერამდელს“ გაუსწრო. ხოლო შემდეგ კიდევ იმატა და დიკენსის სიცოცხლეში აღარ შემცირებულა. „ჟურნალი ჰყვავის. „დიდი იმედებს“ უდიდესი წარმატება აქვს“, — წერდა დიკენსი 1861 წლის თებერვალში. ამ დროს იგი თავისი ქალიშვილების თხოვნით ჰანოვერ-ტერასზე რიჩენტს-პარკში ცხოვრობდა. აქ მაისამდე დაჰყო. ხოლო ნევრალგიის შეტევის შემდეგ მარტო წავიდა დუვერში, სასტუმრო „ლორდ უორდენში“ დაბინავდა. იქ რომანს

წერდა, სეირნობდა და მარტობით ტკებოდა: ერთხელ კლდოვან ნაპირზე ისეირნა ფოლქსტონამდე და უკან. იმ დღეს ისეთი საუცხოო ამინდი იყო, რომ: „ჩემად ყოფნა არ შემეძლო, თუმცა მარტო ვიყავი“. მისი წერილებიდან ჩანს, რომ დღევრში მშვენიერ გუნებაზე იყო.

დიკენსის სხვა რომანებთან შედარებით კრიტიკამ „დიდ იმედებს“ გადაქარბებული ხობა შეასხა. შეიძლება, იმის გამო, რომ ის სხვებზე მოკლეა და უფრო მარტივად დაწერილი. მაგრამ გასაკვირია! რაც უფრო ბუნებრივად წერას ცდილობს დიკენსი, მით უფრო ნაკლებად ბუნებრივები არიან მისი გმირები. როცა ის განსაკუთრებულ, თავის საკუთარ სამყაროს ქმნის, მისი გენიის ძალა გვიმორჩილებს და გმირებში ცოცხალ ადამიანებს ვხედავთ, მათი ფანტასტიკური გარემოცვა კი სარწმუნოდ გვეჩვენება. მაგრამ, როცა სადად, შეულამაზებლად იწყებს წერას, ადამიანის პიროვნების ფსიქოლოგიურ განვითარებაზე მოგვითხრობს, ჩვენ შარიანად ელაპარაკობთ მასზე, როგორც რომელიმე საშუალო მწერალზე. პამბლჩუკში უმაღვე დიკენსის ზმანებათა ქვეყნის ბინადარს ეცნობთ. მაგრამ კატორღელი — ფილანტროპი მეგვიჩი, მკედელი — ცენტლმენი პიპი ჩვენთვის მიუღებელია, რადგან მათში დიკენსური არაფერია. ისინი უსიცოცხლონი არიან. როცა დიკენსი ფანტასტიკური სამყაროს სურათს ქმნიდა, ფრთების გასაშლელად არე სჭირდებოდა, რომ არაფერს შეეზღუდა ჯადოქრის მოძრაობა. როცა თავის თხზულებას მკაცრი ჩარჩოებით ზღუდავდა, დიკენსური გაუმეორებელი მომხიბვლელობის რალაც ნაწილი იკარგებოდა.

ეს „მძიმე დროებსაც“ ეხება, „ორი ქალაქის ამბავსაც“ და „დიდ იმედებსაც“. ყველა ეს თხზულება ხელოვნურად შემოკლებულია ყოველკვირეული გამოშვებებისათვის და გაანგარიშებულია ერთკვირეული ჟურნალის მკითხველისათვის, რომელსაც რომანში უმთავრესად მიჯნურობის ამბავი აინტერესებს. „დიდი იმედების“ დასაწყისი საუცხოო სცენებს შეიცავს, მაგრამ პიპის ლონდონში ცხოვრება და ის ეპიზოდები, სადაც საოცრად გამოცვლილი მეგვიჩი მონაწილეობს, იმის მაჩვენებელია, რომ დიკენსი გაყვა მოდაში ახლად შემოსულ რეალისტურ-ნატურალისტურ-ფსიქოლოგიურ მეთოდს და გენიალური შემოქმედის ხელოვნება ნიჭიერი პროზაიკოსის ხელობით შესცვალა. მან ზურგი შეაქცია თავის სამყაროს და

გმირებიც და თხზულებებიც ნაკლებად დამაჯერებელი გახდა. როცა ცდილობდა, სისადავისათვის მიეღწია, მერყეობა და გაუბედაობა იპყრობდა. ამის გამო წიგნის უკანასკნელი ფურცლები ხელმეორედ გადაწერა სხვისი რჩევით და რომანის დაბოლოება ბანალური და ყალბი გამოუვიდა. დიკენსი გრძნობდა, რომ კვანძის გახსნა პიპრსა და ესტელას მთელ ურთიერთობას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ბულვერ-ლიტონმა დაიყოლია ეს გმირები შეეუღლებინა და დიკენსმაც გემოვნებას მოკლებული მჭლაბნელის ვულგარული რჩევა ყურად იღო.

რომანის ცალკე წიგნად გამოსვლისას ყველა გააოცა იმან, რომ იგი მარკუს სტოუნს დაესურათებინა. სად არის ფიზი, ეს იდეალური ილუსტრატორი, რომლის სახელი „პიკვიკის“ დღეებიდან განუყრელად დაკავშირებული იყო დიკენსის სახელთან? ბრაუნზე ძლიერ მცირე ცნობები მოგვებოვება. ის კუშტი, უკარება კაცი იყო. საზოგადოებას გაურბოდა, თუ რამე გარემოების გამო საზოგადოებაში ყოფნა მოუხდებოდა, ცდილობდა სადმე კუთხეში მიყუყულიყო, ანდა ფარდას ამოფარებოდა. ხათრიანი ბრაუნი მუდამ ზუსტად ასრულებდა ყველაფერს, რასაც კი დიკენსი ავალუბდა. მაგრამ ფიზი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ წარსულთან, რომლის უარყოფაც ასე გაგიჟებთ სურდა დიკენსს. ოჯახური უთანხმოების არეულ დღეებში ტევისტოკ-ჰაუსში მან არ გამოავლინა, ვის მხარეზე იყო მისი სიმპათია, რითაც ბნელი ექვები აღუძრა დიკენსს. ბრაუნის ბედი მაშინ გადაწყდა საბოლოოდ, როცა დათანხმდა, შტატიანი თანამშრომელი გამხდარიყო ჟურნალისა „ერთხელ კვირაში“. ეს ჟურნალი ბრედბერიმ და ევანსმა დიკენსის ჯიბრზე დააარსეს. დიკენსის აზრით, ფიზის საქციელი აღმაშფოთებელი ვერაგობა იყო. ფიზი რომ ერთდროულად რაფაელი. ტიცინი და მიქელანჯელო ყოფილიყო, დიკენსი მაინც სათოფეზე აღარ მიიკარებდა მას.

როცა დიკენსი მუშაობდა იმ წიგნზე, რომელმაც ახლად გაუთქვა სახელი მის საყვარელ კენტის მხარეს, ხელახლა განიცადა თავისი ყრმობა იმ დაუვიწყარ ადგილებში, სადაც ოდესღაც ბედნიერი იყო. სიცოცხლის უკანასკნელ ათეულ წლებში სეირნობა უყვარდა იმ კუთხეებში, რომლებიც ბავშვობაში „აღმოაჩინა“. ისევ და ისევ დაეჩეტებოდა საშიში კულინგის ქაობში, რომელიც ასეთი ძალით აღწერა „დიდ იმედებში“. მას არასოდეს ბეზრდებოდა როჩესტერის

მიდამოები, სადაც მისი ბავშვობის ნამდვილ მეგობრებთან ერთად მწერლის წარმოდგენით არანაკლებ ნამდვილი ჰამბიუჯი, მის ჰევი-შემი და მისტერ გრების ბიკი ცხოვრობდნენ. ის უეჭველად უჩვენებდა თავის სტუმრებს პატარა სოფელ კობემს, მის ტავერნა „ტყავის მათარას“, პატარა ეკლესიას, დავრდომილთა თავშესაფარს და, რაც მთავარია, პარკს. ერთ კვირასაც არ გააცდენდა ისე, რომ ამ ადგილებს არ სწევოდა. ზაფხულობით ხშირად იჭდა ხოლმე შორნის სასაფლაოზე, დიდხანს იდგა დაფიქრებული ჩოკის ეკლესიაში ბერის ქანდაკების წინ. მაგრამ მაინცდამაინც რეგულარულად არ ესწრებოდა წირვა-ლოცვას, ერთხანს კი სულ დაანება თავი ჰაიემელ თვითდაჭერებული პასტორის გრძელ და გაბერილ ქადაგებათა გამო. „ვერ ვიტან მღვდლის ცხვირწინ ჭდომას, როცა ის ისეთი კილოთი ესაუბრება თავის მრევლს, თითქოს ცაში ასავლელი და უკან დასაბრუნებელი ბილეთი ჯიბეში ეღოს“, — ამბობდა ის. მოსწონდა გრეივსენდის გზაზე სეირნობა, — ხოლო შვიდი მილი როჩესტერიდან მეიდსტონამდე ინგლისის ერთ-ერთ მომჯადოებელ ადგილად მიაჩნდა. როცა ჰედსპილში ჩავიდოდა, ყოველდღე, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ჩქარი, თანაბარი ნაბიჯით გაივლიდა თორმეტ მილს. ჩვეულებრივად თავისი ძაღლებიც მიჰყავდა თან. ძაღლები ყოველ მის სიტყვას ემორჩილებოდნენ და მაწანწალებს შიშის ზარს სცემდნენ. საპატიო ადგილობრივი ბინადრებიც კრთებოდნენ ამ ინგლისური დოჯების, მეძებრების, ნიუფაუნდლენების და სენბერნარების ხროვის დანახვაზე. ერთი ნაგაზი ისე მძვინვარედ ესხმოდა თავს თავის მოძმეებს, რომ მისი უალიკაპოდ ტარება არ შეიძლებოდა. „გარდა ამისა. ნაგაზს დაუძლეველ ზიზღს აღუძრავდნენ ჯარისკაცები. ეს ძლიერ სამძიმოა პატრონისათვის, რადგან იგი მსხვილი სამხედრო სახელმწიფოს მოქალაქეა“. მას შემდეგ, რაც ნაგაზი თავს დაესხა გზაზე მწყობრად მიმავალ ჯარისკაცთა ასეულს. ეტაკა ორ პოლისმენს, და ვილაც გოგო კინალამ დაგლიჯა, ძალღი პატრონის სამწუხაროდ, ტყვიით გაემირეს.

დიკენსი დაულალავად ზრუნავდა ჰედსპილის კეთილმოწყობაზე და აყვავებაზე, ცოტა ხნის შემდეგ სახლის უკან მდებარე ჰალა შეიძინა. აქ კრიკეტის პარტიებსა და სხვა სპორტულ თამაშობებს ატარებდნენ. ჰაიემში კრიკეტის კლუბი იყო. დიკენსმა ნება დართო შეჯიბრებები ჰალაში ჩაეტარებინათ და დიდ ინტერესს იჩენდა მათ-

დამი. ერთადერთი მისი თხოვნა ის გახლდათ, რომ კლუბის წევრებს თავი დამოუკიდებლად დაეკირათ და მათ საქმეებში ჩარევის ნება არ მიეცათ არც მისი შვილებისათვის, არც ადგილობრივი მემამულეებისათვის, რომლებიც თამაშში მონაწილეობდნენ. მასში მულამ ღრმა ზიზღს იწვევდა ის მფარველური მანერა, რომლითაც მდიდარი ინგლისელები ღარიბებს ეპყრობოდნენ. კრიკეტის მატჩებმა ისეთი აპოკალიფსიკური მოიპოვეს, რომ დიკენსი თავის მოედანზე სირბილში შეჯიბრებას და სხვადასხვა სპორტულ თამაშობებს აწყობდა. მეზობლად მდებარე ტავერნა „ფალსტაფის“ პატრონს თავის მიწაზე ლუდის ფარდულის გახსნის ნებაც კი მისცა. გამარჯვებულთათვის ფულადი პრემიები დააწესა: ერთ-ერთ შეჯიბრებას ორი ათასი მაყურებელი დაესწრო, მათ შორის ბევრი სეზონური მუშა, ჯარისკაცი და მეზღვაური იყო. „სასპორტო მინდორზე სრული წესრიგი სუფევდა, არ დამთვრალან, ყვაილები და ბუჩქები უვნებლად გადაჩნა. ჩათემიდან ჩვენს სახლამდე მომავალ გზაზე ხალხმრავლობა იყო, როგორც ბაზრობაზეო, — წერდა დიკენსი სიამაყით:— აბა, მოახერხეთ ასეთი სანიმუშო. ყოფაქცევის მიღწევა: ნავსადგურების თავზებულაღებულებთან! მაშ!“

დიკენსი ძველებურად გულთა და სტუმართმოყვარე იყო. იშვიათად, რომ ჰედსპილში სტუმრები არ ყოფილიყვნენ. პაიემის საღაგურზე მათ ეტლი ხედებოდა. ჰედსპილში ყველას თავის ნებაზე ყოფნა შეეძლო. ხანდახან იმდენი სტუმარი მოიყრიდა თავს; რომ ზოგი „ფალსტაფში“ ათევეა ღამეს. ჰედსპილის ყველა საწოლ ოთახში პატარა ბიბლიოთეკაც იყო; სიცივეში ბუხარში ცეცხლი ენთო; ბუფეტში ფინჯნები და ლამაქები, ღრდი ჩაიდან, ჩაის. გამოსახლელი, სარძევე და საშაქრე იდგა. დილით სტუმრები ერთობოდნენ, ვისაც როგორ სურდა, მასპინძელი კი მუშაობდა. გასართობი მოგზაურობისათვის სხვადასხვანაირი ეტლები ჰყავდათ. დიკენსი ლენჩისთვის ცნაღდებოდა და სიამოვნებით უცქეროდა, რომ სტუმრები მაღიანად შეექცეოდნენ. ბუფეტზე უკვე სადილის მენიუ იდო. რომელსაც მთელი კომპანია განიხილავდა ხოლმე. დაბეჯითებით შეიძლებოდა თქმა, რომ ლენჩის შემდეგ მასპინძელი სტუმრებს გასეირნებას შესთავაზებდა. ნამდვილი მოსიარულეთათვის ეს დიდა სიამოვნება იყო. მაგრამ გამოუცდელელებიც ერივნენ. რომლებმაც არ იცოდნენ, რას ნიშნავდა დიკენსთან გასეირნება. ასეთებისათვის

ერთი გასეირნება საკმაო იყო, რომ შემდეგში სიტყვა „სეირნობის“ გაგონებაზე უმაღლვე უამრავი სასწრაფო წერილების დაწერა მოკვონებოდათ. ისეც ხდებოდა, რომ დიკენსი ეტლს უგზავნიდა იმათ, ვინც ფეხებზე გაჩენილი ბებერების ან სულის ხუთვის მსხვერპლი ხდებოდა და სიარული აღარ შეეძლო. უფრო ამტანებს შექება ხდებოდათ. წილად: „თორმეტი მილი სამ საათში! ყოჩაღ!“ ასეთი ლაშქრობის შემდეგ სტუმრები დიდი შვებით იგებდნენ, რომ განზრახული იყო პიკნიკის მოწყობა რომელიმე თვალწარმტაც კუთხეში, ან მედუფიზე, სადაც ნაგებით სეირნობა შეიძლებოდა. მაგრამ წამოცდებოდა თუ არა მასპინძელს, ფეხით უნდა დაებრუნდეთ, სტუმრები უმაღლვე ერთხმად უჩიოდნენ დაღლილობას. მხოლოდ ზოგიერთი ახალგაზრდა არ იხევდა უკან. დიკენსს ძლიერ სტანჯავდა ლუმბაგო, მაგრამ ვერავითარი სენი ნაბიჯს ვერ შეანელებინებდა და გზას ვერ შეამოკლებინებდა. სადილობისას ყველაზე მზნედ მასპინძელი იყო, თუმცა ყველანი მთელი დღე მხოლოდ ერთობოდნენ, დიკენსი კი ოთხი საათის განმავლობაში მუშაობდა, ოთხი სიარულში ჰქონდა გატარებული. საუბრის ძაფი ერთი წუთით არ ეკარგებოდა — მაშინაც კი, როცა სუფრის სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა თემაზე საუბრობდნენ. გულისადა მასპინძლობდა სტუმრებს და თვალს ადევნებდა, რომ ყველას ჰქონოდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. ნასადილევს თითქმის ყოველთვის წერილებს ჩაუჯდებოდა, მაგრამ მორჩებოდა თუ არა საქმეს, მაშინვე ჩაებმებოდა თამაშსა და სიმღერაში, თამაშობდა ბანქოს. შუალამეზე დასაძინებლად მიდიოდა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ სტუმრებიც მის მაგალითს მიჰყოლოდნენ და მამაკაცები ხშირად ღამის ორ-სამ საათამდე ბილიარდით ერთობოდნენ, ან ვისკის შეექცეოდნენ.

ჰელსპილში ყველაფერი იდეალურ წესრიგში უნდა ყოფილიყო. დიკენსი თვითონ მეთვალყურეობდა ამ საქმეს. „თქვენი წარმოებიდან დაბრუნების შემდეგ, — სწერდა ის ერთ მესაათეს, — კედლის საათმა ძლიერ უხალისოდ იწყო რეკვა ვესტიბიულში და დიდი შინაგანი ტანჯვის შემდეგ, რომელიც ყოველგვარი თანაგრძნობის ღირსია, გადაწყვიტა, მეტი საერთოდ აღარ დარეკოს. ვცნობ, რომ საათისათვის ეს საუკეთესო გამოსავალია მდგომარეობიდან, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრებს ხელს არ აძლევს. თუ საჭიროდ დაინახოთ,

გამოგვიგზავნეთ საიმედო კაცი, რომელიც გულწრფელად მოელაპარაკება საათსა და, დარწმუნებული ვარ, საათიც სიამოვნებით, გადმოულაგებს ყველაფერს, რაც ჰანკიკებზე დაგროვებია“. როცა საჭირო იყო საკვამურის გაწმენდა, ახალი ჰის გათხრა, ბაღში ყვავილნარის გაკეთება, მოთიბვა, იატაკის ან შპალერის გამოცვლა სახლში, — დიკენსი ყველაფერში ენერგიულად მონაწილეობდა, სიკვდილამდე რალაცის გადაკეთებაში იყო და მუდამ „უქანასკნელად“. ყოველი სიახლე დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა. როგორცაც პროვინციაში მორიგი ტურნეს შემდეგ რომ ბრუნდებოდა და ჰაიმის საღვურზე ეტლში ჩაჯდა, მეეტლემ უთხრა:

— ყუთები მიღებულია, სერ.

— რაო?

— ორმოცდაათი ყუთია, სერ.

— რა ყუთები? პირველად მესმის!

— არა უშავს, სერ. ისინი ჭიშკართან დააწყვეს, ასე რომ, უმაღლესე დაინახავთ.

აღმოჩნდა, რომ ეს მისი ახლო მეგობრის, სახელგანთქმული ფრანგი მსახიობის შარლ ფეხტერის საჩუქარი იყო: შალე—შვეიცარული სახლი. მისი გზის გადღმა მდებარე ნაკვეთზე დადგმა და შიგ თავისი სამუშაო კაბინეტის მოწყობა შეიძლებოდა. მთელი ოთხოთახიანი სახლი ორმოცდათვრამეტ ყუთში იყო ჩაწყობილი. მხოლოდ საძირკვლის ჩაყრა იყო საჭირო. ამის შემდეგ, დაბრუნდებოდა თუ არა დიკენსი შინ, მისთვის ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობდა შალეს აგებასა და გაწყობას. სიამოვნებით არჩევდა ავეჯს ახალი სახლისათვის, ჰკიდებდა სურათებს, აშენებდა პატარა ორანჟერეას. ჰელსპილის ბალიდან შალემდე გვირაბი გააყვანინა, რომ მოკლე გზით ევლო. 1865 წლის გაზაფხულზე მშენებლობა დამთავრდა. დიკენსს ბავშვივით უხაროდა ახალ სახლში მუშაობა. როცა საწერ მაგიდასთან-მჯდომი თავს ასწევდა, თვალწინ მთელი მიდამო გადაეშლებოდა: მდინარე, ყანები, წებხილის ბაღები და სვივნარები.

დიკენსის მეგობრებს ვერ გაეგოთ, რით იზიდავდა მას ფეხტერი. როგორც ჩანს, არც ერთ მათგანს კარგად არ ესმოდა, რომ დიკენსი მსახიობური ბუნების კაცი იყო. ორმოცდაათიან წლებში მწერალმა ფეხტერი სცენაზე ნახა. მისი გაცნობა მოიწადინა. ფეხტერი ინგ-

ლისში ჩავიდა და ახლებურად ითამაშა ჰამლეტი — ინგლისის თეატრი ჯერ ასეთ თამაშს არ იცნობდა. ცნობილ მონოლოგებს ჩაფიქრებული წარმოთქვამდა და არა დეკლამაციით, როგორც სხვები. „ეს, ექვს გარეშეა, ყველაზე ლოგიკური, თანმიმდევრული და ჰკუიანი ჰამლეტია, რომელიც ოდესმე შინახავს“, — წერდა დიკენსი. ფეხტერი როლს ინგლისურ ენაზე ასრულებდა: ინგლისურად თავისუფლად და სასიამოვნო აქცენტით ლაპარაკობდა. დიკენსი მის სპექტაკლებს აფინანსებდა, აქტიორებისა და რეპერტუარის თაობაზე რჩევას აძლევდა, დასს რეპეტიციებს უტარებდა, თვით მსახიობს ქებას ასხამდა პრესაში, აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა „ატლანტიკურ ერთთვიურში“. ერთი სიტყვით, ეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო. ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც დიკენსი დითირამბებს არ უმღეროდა ფეხტერს, მაკრიდი იყო. მაკრიდი ვერ დააფასებდა მათ. დიკენსის მეგობრები ფეხტერს თავხედად სთვლიდნენ, დიკენსი კი — გენიოსად. თუმცა არ ითქმის, რომ ამ ორი რამის შეთავსება შეუძლებელი იყოს.



## სანანასკნელი სიყვარული

თუ თქვენი მშობლებიდან ერთ-ერთი ახირებული ადამიანია, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ბედი გქონიათ. დიკენსი ორმაგად იღბლიანი იყო: მისი ორივე მშობელი ობროლი იყო. 1860 წლის აგვისტოში დიკენსის ძმა ალფრედი მოკვდა, ცოლი და ხუთი შვილი უსახსროდ დარჩა. ვინ უნდა დახმარებოდა მათ, თუ არა დიკენსი? მანაც აიკიდა ზურგზე ეს ახალი ტვირთი, შეუდგა ქვრივისა და ობლების საქმეების მოგვარებას. ინახულა მისის ნიკლბი, უნდოდა გაეგო, როგორ გადაიტანა მან ეს მძიმე ელდა. „დედაჩემი, რომელიც მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ ჩემი ხელების შემყურე დარჩა (მე მემკვიდრეობად საერთოდ მხოლოდ ნათესავეები მრჩება), მეტად უცნაურ მდგომარეობაშია. მას სრულიად არ ესმის, რა მოხდა, და, თან დიდი სურვილი აქვს ღრმად სამგლოვიარო ტანისამოსით მოირთოს (როგორც ჰამლეტი), რაც ამ არასამხიარულო სანახაობას ტრაგიკომიკურ ელფერს აძლევს. ეს ჩემთვის ნუგეშის ერთადერთი წყაროა“. სამი თვის შემდეგ ისევ ჩავიდა დედასთან სწორედ იმ დროს, როცა მას თავზე ცხელ საფენს ადებდნენ. „ჩემს დანახვაზე უმაღლე გამხნედა და ერთი გირვანქა მთხოვა“. 1863 წელს მისის დიკენსი გარდაიცვალა. დიკენსისათვის ეს სამგლოვიარო ათწლედი იყო: ამ ხნის განმავლობაში გარდაიცვალა მისი ძმა ფრედერიკი, ქვისლი ჰენრი ოსტენი, ძველი მეგობარი ჯონ ლიჩი და კლარკსონ სტენფილდი, რომელთა სიკვდილი მისთვის დიდი ელდა იყო. „საყვარელმა მოხუცმა სტენიმ“ სიკვდილის წინ დიკენსს მეორე ძველი მეგობარი დაუბრუნა: სთხოვა, მარკ ლემონს შეურთებო. სტენ-

ფილდის ახლად გაჭრილ საფლავეზე დიკენსმა და ლემონმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

დიკენსი უფრთხილდებოდა თავის ურთიერთობას ფორსტერთან, ძველებურად მიჰმართავდა რჩევისათვის, რომელსაც არასდროს არ მისდევდა. ხანდახან ერთად სადილობდნენ. 1860 წლის ოქტომბერში ბრაიტონში ჩავიდა მასთან. „გუშინ ექვს-ნახევარი საათი ცარცის ბორცვებზე დავდიოდი; ერთხელაც არ შევჩერებულვარ და არ დავმჯდარვარ“. მაგრამ, როცა მოესურვებოდა „გასართობი ლაშქრობის მოწყობა ქალაქში“, ამხანაგად უილკი კოლინზს აიჩივებდა ხოლმე. 1860 წლის ბოლოს მეგობრები კორნუელში იყვნენ. 1862 წლის შემოდგომაზე, როცა უილკი ავად გახდა, დიკენსმა მაშინვე პარიზიდან ლონდონში დაბრუნების სურვილი გამოთქვა, რათა მის მაგიერ მისი რომანის „უსახელოს“ რამდენიმე თავი დაეწერა „მთელი წლისათვის“. პარიზში ორი თვე ცხოვრობდნენ დიკენსი, მისი ქალიშვილი მეში და ეოლისდა ჯორჯინა, რომელმაც ის-ის იყო. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მოიკეთა. საფრანგეთის დედაქალაქში ნაპოლეონ III ცხოვრებას აწესრიგებდა: — ახალ შენობებს აგებინებდა, ახალი ბულვარების გაშენებას მოითხოვდა. მეორე იმპერია თავისი აყვავების ხანაში იმყოფებოდა. დიკენსი დარწმუნდა, რომ ფრანგები გასაოცრად ცუდად იცნობდნენ მის ქვეყანას და ხალხს. ერთხელ მატარებელში ერთმა კიურემ უთხრა, იმ ერტიკოს ინგლისელებს სიძველის არც ერთი ძეგლი არ გააჩნიათო.

- ნუთუ არც ერთი? — დაეჭვდა დიკენსი.
- არც ერთი. სამაგიეროდ თქვენ გემები გყავთ.
- დიახ, ორიოდ წყვილი მოიძებნება.
- მძლავრებია?

— მაშაო, თქვენ სასულიერო პიროვნება ხართ. ასე რომ, ჯობს ნილსონის სულს ესაუბროთ ამაზე.

ამ მოსწრებულმა პასუხმა მათი თანამგზავრი, არმიის კაპიტანი აღტაცებაში მოიყვანა. ის გამოტყდა, ასეთ მოსწრებულ საუბარს ინგლისელისაგან არ მოველოდი და ახლა ვნანობ ჩემს შეცდომასო. 1863 წლის დამდეგს დიკენსმა სამჯერ გამართა საქველმოქმედო კითხვები ინგლისის მისიაში. „როგორი საზოგადოებაა! რა მიღებაა! არაფერი მსგავსი არ მინახავს.“ პარასკევს სამხიარულო მღელვარე-

ბამ აპოთეოზს მიაღწია: „ტაშის ქარიშხალი ორ საათს გაგრძელდა. ქუჩაშიც კი გაისმოდა ტაში, როცა ეტლებში სხდებოდნენ შინ წასვლელად“.

დიკენსს უამრავი საქმე ჰქონდა. ერთი მათგანი ლიტერატურულ გილდიასთან იყო დაკავშირებული. როგორც ვიცით, ამ ორგანიზაციას დიკენსმა ბევრი დრო და ენერჯია შესწირა დღიდან მისი დაარსებისა. 1865 წელს ნეივორტში დიდი ალიაქოთი ატყდა. შვიდი წლის უმოქმედობის შემდეგ ბულვერ-ლიტონის მამულში, სტივენჯის მახლობლად, სამი სახლი აშენდა ისეთი მხატვრების, მწერლებისა და მსახიობთათვის, რომლებსაც გილდია ყველაზე ღირსეულად სთვლიდა. ამ შემთხვევის გამო ლიტონმა თავის ბაღში საუბზე გამართა. რომელზეც „კეთილშობილი“ მეზობლები მოიწვია და დიკენსს ნაცნობი მსახიობების ჩამოყვანა სთხოვა. ვაგზალ კინგსკროსზე შეკრებილ მსახიობებთან ერთად დიკენსი სტივენჯში წავიდა. მწერალს ქალიშვილიც ახლდა. სადგურზე მათ დაუხვდათ ფორსტერი, რომელსაც ლიტონმა სტუმრების ნეივორტში ჩაყვანა დაავალა. მაგრამ იმ დღეს დიკენსი სადღესასწაულოდ იყო განწყობილი და განაცხადა, ასეთ სიციხეში აუცილებლად ლუდხანაში უნდა შევიაროთ, ხომ შეიძლება, მასპინძლებმა არ იცოდნენ, რომ სტუმრები მოწყურებული არიანო. ლუდხანა წამში გაიქვედა. ვისთვისაც შიგნით ადგილი არ დარჩა, გარეთ ისხდნენ. დაიწყო მხიარულება! შემდეგ ყველანი ბავშვთა თავშესაფრის დასათვალიერებლად წავიდნენ და ბოლოს ძმური გრძნობებით აღგზნებულებმა ნეივორტს მიაღწიეს. აქ მათმა შესახედაობამ „წმინდა საზოგადოების“ უცმაყოფილება გამოიწვია. ჭენტლმენებს მსახიობები რალაც გასაოცარ ბრბოდ ეჩვენა, ჭენტლმენები მსახიობებს — მოსაწყენ კამპანიად. ერთმანეთისაგან განზე ეჭირათ თავი. დიკენსმა ბოქმის შვილები ლიტონს წარუდგინა. მასპინძელი ზრდილობიანად, მაგრამ თავდაქერილად მიესალმა მათ, როგორც მომავალ დიდ თანამდებობის კაცს შეჭფეროდა. გასაოცარი თვითრწმენისაგან გაბლენძილი ფორსტერი იქვე მიმოდოდა და მხოლოდ არისტოკრატ სტუმრებს ხდიდა თავისი ყურადღების ღირსად. ძველ მეგობარ ჟურნალისტებს სულაც ვერ ამჩნევდა, რაზეც ერთმა მათგანმა დიკენსს შესჩივლა. „კარგი ერთი! თქვენ როგორ დაგინახავდათ? — მხიარულად უპასუხა დიკენსმა. — მეც ვერ დამინახა! თვითონ განსაჯეთ, სად ეცალა ჩვენ-

თვის! კაცი ღრუბლებში დაფრინავდა, როგორც მალვოლიო“.<sup>1</sup> სა-  
უზმეზე დიკენსმა სიტყვა წარმოთქვა. „ქალბატონებს და ბატონებს,  
რომლებსაც ჩვენ მიერ აგებულ სახლებში ვიწვევთ, არასდროს მი-  
ეცემათ საბაბი იფიქრონ, თითქოს ისინი რამეს კარგავენ საზოგადო-  
ების თვალში. მათ აქ იწვევენ, როგორც მსახიობებს... და მათ უფ-  
ლება აქვთ სხვებთან ერთად სულგრძელი მეზობლის სტუმართმოყ-  
ვარეობის იმედი იქონიონ“. ბედშავ მსახიობთა საბედნიეროდ, მათ  
არ დასცალდათ პრაქტიკულად შეემოწმებინათ, რომ მათ ნამდვი-  
ლად იგივე უფლებები აქვთ, რაც მთელ ოლქს და „სულგრძელი  
მეზობელი“ ლიტონი ნამდვილად გაუწევს მათ სტუმართმოყვარეო-  
ბას. აგებულ სახლებს ფულადი ფონდი არ გააჩნდა, სეზონური ბი-  
ლეთი ლონდონამდე კი ღირდა არანაკლებ ერთი პატარა ოთახის  
ფასისა ლონდონში, არც ერთ მსახიობს ამ პირობებში არ სურდა  
უდროოდ დაკარგულიყო სტივენჯში. ასე რომ, თავშესაფრის გამო-  
ყენება არავინ ისურვა. რაც შეეხება „ბოჭემის შვილებს“, მათ სუ-  
ლაც არ ანალღებდათ თავშესაფრის ბედი, სამაგიეროდ აუცილებ-  
ლად მიაჩნდათ რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ ნეივორტის და  
„კეთილშობილი“ საზოგადოების ცივ ატმოსფეროს. ისინი ჩუმად  
იპარებოდნენ ბალიდან და იმ ლუდხანისაკენ მიემართებოდნენ, სა-  
დაც დილით „გადაკრეს“. როცა სადგურზე მიმავალმა დიკენსის  
ეტლმა ჩაუარა მათ, ყველანი მხურვალედ მიესალმნენ მწერალს.  
გილდიის კომიტეტი რამდენჯერმე შეიკრიბა ფონდის ნაშთის ბედის  
გადასაწყვეტად (ამის შემდეგ ეს ნაშთი საგრძნობლად შემცირდა).  
ბოლოს გადაწყდა ის მსახიობთა დამხმარე სხვა საზოგადოებებს გა-  
ნაწილებოდა.

იმავე ზაფხულში დიკენსი კიდევ ერთი „მოვლენის“ უნებლიე  
მონაწილე გახდა. 9 ივნისს საფრანგეთში ხანმოკლე ყოფნის შემ-  
დეგ, სადაც ის ელენ ტერნანთან ისვენებდა, ფოლკსტონიდან ლონ-  
დონში ბრუნდებოდა. სტეიპლჰერსტთან გზებზე სარემონტო სამუ-  
შაოები მიმდინარეობდა; გაქანებულმა მატარებელმა იმ ადგილს მი-  
აღწია, სადაც რელსები გაშლილიყო. რვა ვაგონი ხიდიდან წყალში

<sup>1</sup> მალვოლიო — მოქმედი პირა შექსპირის კომედიაში „მეთორმეტე ღამე“. არის უფროსი მსახური, გაბღენძილი პედანტი, რომელიც შინამოსაშსახურე გოგამ დაარწმუნა: ქალბატონს უყვარხარო და მანაც ოცნებაში თავი მის მეუღ-  
ლედ წარმოიდგინა.

გადაეშვა. ვაგონი, რომელშიც დიკენსი იმყოფებოდა, „რალაჲ სასწაულით გატეხილი ხიდიდან ჰაერში ჩამოეკიდა და საშინლად ძიგძიგებდა. ელენ ტერნანს და მათ თანამგზავრ მოხუც მანდილოსანს ლაღადისი აღმოხდათ. დიკენსმა მაგრად მოხვია ორთავეს ხელი და უმეორებდა: „დახმარება შეუძლებელია. დამშვიდდით, თავს მოერიეთ. ღვთის გულისათვის შეწყვიტეთ ყვირილი!“ უცებ ისინი ვაგონის უკანა კუთხეს მიენარცხნენ. — აი, ყველაფერი განვლილია. დალუპვა აგვცდა, — ეს ცხადია. ახლა, გთხოვთ, აქ დარჩეთ და ფეხი არ მოიცვალოთ. მე ფანჯრიდან გადასვლას ვცდი“. მანდილოსნები დაეთანხმნენ. დიკენსი ფანჯრიდან გადაძვრა და ვაგონის საფეხურზე დადგა. ხიდი აღარ იყო. მგზავრები კუბეებში პანიკას შეეპყრო, ხოლო ვაგონის მეორე, ნაკლებად საშიშ მხარეზე ორი კონდუქტორი დარბოდა წინ და უკან.

— ერთი წუთით! — მიაძახა დიკენსმა. — გაჩერდით ბოლოს და ბოლოს! შემოაშხედეთ. მიცნობთ თუ არა?

— ძალიან კარგად გიცნობთ, მისტერ დიკენს.

— მაშ მომისმინეთ, ძმებო! მოიტათ თქვენი გასაღებები, ღვთის გულისათვის, და აი, იმ მუშებს დაუძახეთ. ვაგონი უნდა დაივლოს.

მგზავრები ვაგონიდან გამოიკრიბნენ, მათთვის გაღებულ ორ ფიცარზე გაიარეს და უშიშარ ადგილზე გადავრდნენ. დიკენსმა კი თავისი კონიაკის მათარას სტაცა ხელი, დაბლა ჩავიდა, ქუდით წყალი ამოიღო და დაზარალებულების დასახმარებლად გაეშურა. ზედინზედ რამდენიმე საათი მუშაობდა დაქრილთა და მომაცვდავთა შორის. მატარებლის მარცხს ის სრულიად არ აუღელვებია, მაგრამ ადამიანთა საშინელი ტანჯვის სურათებმა ისე ძლიერ იმოქმედა, მომდევნო დღეებში გული უღონდებოდა, როგორც კი რამდენიმე სიტყვის დაწერას სცდიდა. ამ შემთხვევის შემდეგ ის ძალიან შეიცვალა. როცა ეტლში ჯდებოდა, ნერვიულობდა. მატარებელში თავის გასამხნეველად ბრენდის შეექცეოდა. პირველ ხანებში მხოლოდ მცირე სიჩქარის მატარებლებით მოგზაურობდა. მაგრამ ასეთი მგზავრობა მისთვის აუტანელი იყო და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ექსპრესს დაუბრუნდა. ზოგჯერ კატასტროფის მოგონება ისე აუტანელი ხდებოდა, რომ პირველ სადგურზევე ჩამოდიოდა მატარებლიდან.

უცნაურია, მაგრამ, დიკენსიც 9 ივნისს გარდაიცვალა, ე. ი. იმავე დღეს, რა დღესაც სასწაულით სიკვდილს გადაურჩა.

რომან „ჩვენი საერთო შეგობრის“ ძირითადი მოტივები დიკენსმა ჯერ კიდევ 1861 წელს ჩამოაყალიბა თავის ერთ-ერთ წერილში. მაგრამ უურნალი, საგასტროლო მოვზაურობანი, უმთავრესად კი პირადი საქმეები 1863 წლამდე არ აძლევდნენ საშუალებას, გულდაგულ ემუშავა ახალ წიგნზე. ახლაც მისი ფიქრები სხვა რამეს დასტრიალებდა თავს. ასე რომ, წერა არაჩვეულებრივად უძძიმდა. „აქ იუმორი და ლირიკა შერწყმულია, ეს კი არც ისე ადვილია. უარს ვამბობ ბევრ ცალკეულ თემაზე, რომლის გაშლა ჩინებულად შეიძლება. სამაგიეროდ ვიმედოვნებ, რომ ძალიან კარგი გამოვა. კი არ ვიმედოვნებ, დარწმუნებული ვარ!“ მწერალს თავის თავისთვის არ უღალატნია: ყოველგვარ კართობაზე უარს ამბობდა და მხოლოდ მუშაობით ცოცხლობდა. „არასდროს არ მიცდია წიგნზე მუშაობა სხვა რამესთან შემეთავსებინა, — წერდა ის. — პირიქით, ყოველთვის ვთვლიდი, რომ ის ყოველივე სხვას გამორიცხავს“. როცა მუშაობა კარგად მიდიოდა, ავტორი კვირაში ერთხელ თავის თავს ნებას აძლევდა, ვინმეს სადილად სწვეოდა. ჩემთვის სამუშაო მუდამ პირველ ადგილზეაო, — სწერდა ის ნაცნობს მიწვევაზე უართან ერთად, „ყველაფერს მას ვანაცვალბდი, როგორც საყვარელ საქმეს“. მუშაობით „თრობის“ დროს ჭეშმარიტად უბედურება ვარ ოჯახისათვისო, ამბობდა იგი. ეს ადვილად დასაჯერებელია. ერთხელ, რაღაც ავადმყოფობის შემდეგ, მემი, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად იყო, მამის კაბინეტში იწვა დივანზე. უეცრად საწერ მაგიდასთან მჯდომი მამა წამოვარდა, სარკესთან მიიჭრა და სახე საშინლად დამანჭა. შემდეგ აჩქარებით დაუბრუნდა მაგიდას და ერთი-ორი წუთი გამშაგებით წერდა რაღაცას, ისევ სარკეს მივარდა, ცოტა ხანს კიდევ იჯალბნებოდა, შემდეგ მიბრუნდა და აჩქარებით აჩურჩულდა. ბოლოს მიუჯდა მაგიდას და საუზმემდე თავაულებლად წერდა, თითქოს აქ არაფერიყო. შვილის იქ ყოფნა არც კი შეუნიშნავს, ისე ჩაფლული იყო თავის სამუშაოში. ზოგჯერ მისი რომელიმე გმირი არ დაემორჩილებოდა და „ადრე ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ იქცეოდა“.

„ჩვენი საერთო შეგობრის“ პერსონაჟი, როგორც დიკენსის ყველა გმირი, — მხატვრული მონაგონისა და ცხოვრებისეული სიმართ-

ლის რთული ნაყოფია. მისტერ ვინუსი, ეს ადამიანთა ჩონჩხების ამ-  
წყობი მას სანტჯაილის ტაძარში ჰყავდა ნანახი, ჩარლი ხაკსამი და  
მამამისი — ჩათემში, ვინირინგები კი — ყოველ ნაბიჯზე მაღალ სა-  
ზოგადოებაში. ებრაელი მისტერ რაია ქვეყანას მოველინა დიკენსი-  
სა და ელაიზა დევისის მიწერ-მოწერის შედეგად. ელაიზა დევისმა  
დიკენსს უსაყვედურა, ფეჯინის დახატვით ებრაელობას ცილი დას-  
წამეთო. დიკენსი არ ეთანხმებოდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, გა-  
მოესყიდა თავისი დანაშაული ებრაელთა ერის უკეთესი ნაწილის  
წინაშე და შეექმნა სახე ადამიანისა, რომელიც უეჭველად მოეწო-  
ნებოდა ფეჯინს. ამ წიგნის ბევრი სურათი და პერსონაჟი მას ღამღა-  
მობით ნავსაშენებსა და ნავსადგურებში მოგზაურობის დროს ჰქონ-  
და ჩაფაქრებული, ხოლო ტემზის გაცალკევება „ჩვენი საერთო მე-  
გობრისაგან“ ისევე შეუძლებელია, როგორც ლონდონის ბურჟუ-  
სისა — „ცივი სახლისაგან“. რამდენიმე პოლისმენის თანხლებით  
დიკენსი დადიოდა ქურდების თავშესაფრებში, ოპიუმის მოსაწევებ-  
ში, ბუნაგებში, სადაც ბოროტმოქმედნი იკრიბებოდნენ, და საექვო  
რეპუტაციის მქონე სამიკიტნოებში. ის პოლიციის ინსპექტორებისა  
და კონსტებლების დიდი მოყვარული იყო, სიამოვნებდა მათთან  
საუბარი. აკვირდებოდა, როგორ გულმშვიდად ეკირათ თავი საშიშ  
უბნებში, რომელთა ყოველი მობინადრე უდიდესი სიამოვნებით გა-  
მოსალმებდა მათ სიცოცხლეს, სამაგიეროს მიზღვის შიში რომ არ  
ჰქონოდა. ნაქურდალის ერთი შემსყიდველი — დიკენსმა მას ბარკი  
დაარქვა — უეჭველია, თითოეულ მათგანს ყელს გამოსჭრიდა, მაგ-  
რამ თაღლითმა მობინადრეებმა, რომლებსაც მისი გამბედაობის მე-  
ასედიც არ გააჩნდათ, ხელის შეწყობაზე უარი უთხრეს.

ასე გაჩნდა „ჩვენი საერთო მეგობრის“ ფურცლებზე ლონდონის  
სანაპიროების გამოსახულება, ხოლო მათთან ერთად — ამ წიგნის  
განსაკუთრებული ატმოსფეროც. „ჩვენი საერთო მეგობარი“ 1864  
წლის მაისიდან 1865 წლის ნოემბრამდე ყოველთვიურად გამოდიო-  
და ნაწილ-ნაწილ. მისი გამომცემლები ძველი ნაცნობები — ჩემპენი  
და ჰოლი იყვნენ. მაგრამ დიკენსის წერილებიდან ჩანს, რომ საქმი-  
ანი ურთიერთობის განახლება ძველი მეგობრობის აღდგენას არ  
წმენდა. 1860 წლის იანვარში დიკენსი წერდა. ფრედერიკ ჩემპენი.  
„გასაოცარი გაიძვერაა, რომელიც თავისი სიცოცხლის ნახევარს  
გართობას ანდომებს, მეორე ნახევარს — შეცდომების დაშვებას.“

ფულის მოხვეჭას კი ყოველ დროს ახერხებს“. 1865 წლის ივლისში ვილაც ქალმა, რომელსაც იმედი ჰქონდა, დიკენსის ერთი სიტყვაა საკმაო, გამომცემლები რომ ყურადღებით მომეპყრანო, წერილით მიჰპართა მწერალს. „თქვენ სცდებით, — უპასუხა დიკენსმა. — მათზე მე არავითარი გავლენა არა მაქვს. ეს ამ ცოტა ხნის წინათ დადასტურდა“.

„ჩვენს საერთო მეგობარში“ დიკენსმა კვლავ თავისი ღვიძლი სტიქიისაკენ იბრუნა პირი — იმ სასაცილო და გასაოცარ სპეციალისტს, რომელსაც „პაწია დორიტის“ შემდეგ განშორდა. „საილას გევი“ წინანდელი მანერით და ძლიერებით დაწერილი შედეგია. თუმცაღა გენიოსის სუნთქვა ამ წიგნის ყოველ პეჯარში იგრძნობა. მარტო ვინიჩინგები და მთელი მათი წრე რად ღირს! ეს დიკენსის სატირის საუკეთესო ნიმუშია. ჩვენს დღეებში ის კიდევ უფრო გესლიანად და მწარედ ჟღერს: უკანასკნელი ოთხმოცი წლის განმავლობაში ნუგორიშების<sup>1</sup> გავლენის სფერო ხომ უზომოდ გაიზარდა! მისის ვილფერი „მდუმარედ იჭდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყოველი მისი ამოოხვრა უიშვიათესი თავგანწირულობის დადასტურებას წარმოადგენს, რომელიც კი ისტორიაში ცნობილია, — ეს, რა თქმა უნდა, მისის დიკენსია: მწერლის დედა ხომ სწორედ მაშინ გამოიყურებოდა ნაკლებად მიმზიდველად, როცა, თავი ქედმაღალ არისტოკრატივით ეჭირა. ბეტი ხიგდენი სიმბოლოა დიკენსის მარადიული ზიზღისა თავშესაფრებისა და დაერდომილთა სახლებისადმი. ეს სიძულვილი პირველად „ოლივერ ტვისტში“ გამოვლინდა. პოდსნაპი კი — ჯონ ფორსტერის პორტრეტია, ზომიერად შენიღბული, რათა მსგავსება ფორსტერს თვალში არ სცემოდა. თუმცა, ორიგინალს რომ თავის დანახვა შეძლებოდა, ის უკვე პოდსნაპი აღარ იქნებოდა. გაბღენძილი, რესპექტაბელური, ქედმაღალი, შეურყეველად თვითდაჭერებული — აი ფორსტერი!

თუ ცოცხალმა ფორსტერმა ვერ იცნო თავისი თავი მარკუს სტოუნის ილუსტრაციებზე, ის თავისი უსაზღვრო თვითდაჭერებულობის გამო უფრო ბრმა ყოფილა, ვიდრე „ჩვენი საერთო მეგობრის“ გმირი. ფორსტერის გარეგნობაში კიდევ ერთი მონუმენტური რამ იყო. მას დღისითაც აუცილებლად ტანზე მჭიდროდ მოყვანილი,

<sup>1</sup> ნუგორიში — მდიდარი მეტიჩარა, რომელიც ომისა და მომდევნო დროს გაძლიერდა სპეკულაციით.



დილებშეკრული ფრაკი ეცვა. მაღალფარდონად, მძიმე სტალით-  
ლაპარაკობდა, როგორც მაკრიდი სცენაზე.

„ყველა დილშეკრულ კაცს საზოგადოებაში წონა აქვს. ყველა  
დილშეკრული კაცისა სჯერათ, — წერს დიკენსი „პაწია დორატი-  
ში“. — რა გვატყვევებს მასში? ეგებ დილების გახსნის განუხორცი-  
ელებელი შესაძლებლობა? თუ ადამიანებს ჰგონიათ, რომ დილებ-  
შეკრული სიბრძნე მატულობს, იზრდება, ხოლო ერთი დილიც რომ  
გაიხსნას, ის გაქრება? ასე თუ ისე, ერთი ცხადია: ამ სამყაროში  
გავლენას მხოლოდ ის ახდენს, ვისაც ყველა დილი შეკრული აქვს“.

ბიოგრაფისტის „ჩვენს საერთო მეგობარში“ ქალთა სახეებს შო-  
რის ყველაზე საინტერესოა ბელა უილფერის პორტრეტი, რომელიც  
ძალიან ჰგავს ელენ ტერნანს. როცა ელენს ამა თუ იმ გმირი ქალის  
პროტოტიპად მივიჩნევთ, ლოგიკით უფრო ვხელმძღვანელობთ,  
ვიდრე ფაქტებით, თუმცა საკმაო მასალა გვაქვს ხელთ, რომ ზოგ  
რამეზე დარწმუნებით ვილაპარაკოთ. მაინც რა ვიციტ სარწმუნოდ  
ელენ ტერნანზე? ის 1839 წლის 3 მარტს დაიბადა მსახიობთა ოჯახ-  
ში. მისი დედა და მამა თეატრ „პრინსესის“ დასში თამაშობდნენ  
ჩარლზ კინის ხელმძღვანელობით. ელენის მამა კეჟუაზე შეირყა და  
გარდაიცვალა, მაშინ ელენი შვიდი წლისა იყო. მას ორი და ჰყავ-  
და — ფანი და მარია. დიკენსს ყველა ისინი უნახავს სცენაზე უფ-  
რო ადრე, ვიდრე მანჩესტერში მიიწვევდა სპექტაკლზე. ერთხელ  
ანუგეშა კიდეც ელენი, რომელსაც წინ არასასიამოვნო დილემა უნ-  
და გადაეწყვიტა: ან ნახევრად შიშველი გამოსულიყო სცენაზე. ან-  
და სამუშაო დაეკარგა. ქალიშვილი მწარედ ტიროდა. მაგრამ დი-  
კენსმა დაამშვიდა ის და დაეხმარა ბორცვობის დაძლევაში. ჩვიდ-  
ნეტი წლის ელენი ორმოცდახუთი წლის დიკენსს შეუყვარდა. არა-  
მეგობრულად განწყობილი მნახველის სიტყვებიდან ვიციტ, რომ  
ელენ პატარა ტანისა იყო, ქერა, საკმაოდ სანდომიანი. თუ როგორ  
წარმოუდგებოდა ის დიკენსს. შეგვიძლია ვიმსჯელოთ ლუსი მანე-  
ტის გარეგნობის აღწერის მიხედვით („ორი ქალაქის ამბავი“). მომ-  
ცრო, წერწეტი. მშვენიერი ტანი, ოქროსფერი თმების გვირგვინით.  
შემკული თავი, ცისფერი თვალები, გაკვირვებული გამოხედვა, გა-  
დატყეცილი, ნორჩი და იმავე დროს გასაოცრად მოძრავი შუბლი;  
მისი წარბები ხან ზევით აიზიდებოდნენ, ხან შეიკვრებოდნენ და სა-  
ხეს რაღაც რთულ გამომეტყველებას აძლევდნენ: კეკიანურს და

დაკვირვებულს, ოდნავ შეცბუნებულს და მიუხვედრელს, ცოტა შეშფოთებულს... როცა მწერალი ხელახლა მოგვაგონებს, რომ ლუ-  
ლის „ასაკის შეუფერებელი გამომცდელი გამოხედვა“ და სახის გა-  
მომეტყველებაც „ასაკის შეუფერებლად დაკვირვებული აქვს“, რო-  
ცა ვიგებთ, რომ ესტელაც „დიდი იმედებიდან“ „ძლიერ დაჟინებით  
გაცქერდებათ“, შეგვიძლია დარწმუნებით დავასკვნათ, რომ სწო-  
რედ ასე შესცქეროდა დიკენსს ელენ ტერნანი, როცა მწერალმა  
პირველად მიაქცია მას ყურადღება.

ლუსი მანეტისა და ელენ ტერნანის მსგავსება ამით თავდება.  
მხოლოდ „დიდი იმედების“ გამოსვლის შემდეგ ყველასათვის, იმათ-  
თვისაც კი, ვინც არაფერი იცოდა დიკენსის პირად საქმეებზე, ნათე-  
ლი გახდა, რომ მწერლის ცხოვრებაში შეაბიჯა ქალმა, რომელსაც  
ბედად ეწერა ისეთივე გავლენა მოეხდინა მის შემოქმედებაზე, რო-  
გორც მარია ბიდნელმა და მერი ჰოგარტმა. ესტელა ელენის პორ-  
ტრეტი კი არაა, არამედ იმის მაჩვენებელია, რად იქცა ელენი დი-  
კენსისათვის. სხვა ცნობები რომ არ გვქონდეს, ამ რომანის წაკითხ-  
ვაც საკმარისი იქნებოდა იმაში დასარწმუნებლად, რომ დიკენსის  
სიყვარული ისევ გაუზიარებელი რჩებოდა. ესტელა „ამაყი, თავნე-  
ბაა“ და „მიუჯარებლად უჭირავს თავი“. მას თავის თაყვანისმცე-  
მელთან ლაციცი და მისი წვალება სიამოვნებდა. „მასთან არც ერთი  
ბედნიერი წუთი არ გამიტარებია, მაგრამ ოცდათხუთი საათი მხო-  
ლოდ იმაზე ვფიქრობდი, სიკვდილამდე მასთან ერთად ყოფნის ბედ-  
ნიერების ღირსი გავხდე-მეთქი“. ბოლოს რომანის გმირი, ვნებისა-  
გან სიგიჟემდე მისული, თავის გრძნობებს უმკლავნებს ქალს.  
„თქვენი სიტყვები, ჩემთვის მხოლოდ ბგერაა, სხვა არაფერი. ჩემს  
სულში ისინი არაფითარ გამოძახილს არ იწვევენ, სრულიად არ ეკა-  
რებიან ჩემს გულს“. მაშინ მან თავი ვერ შეიკავა: „თქვენ ჩემი არ-  
სებობის, თვით ჩემი ნაწილი ხართ. თქვენ ყოველ ჩემს მიერ წა-  
კითხულ პწკარში იყავით იმ დღიდან, რაც აქ პირველად მოვედი...  
მას შემდეგ ყველგან თქვენ გხედავთ: მდინარეზე, გემების იალქნებ-  
ზე, ტბაზე და ღრუბლებში, მზის სინათლეზე და ღამის სიბნელეში,  
ქარში, ზღვაზე, ქუჩაში... გინდათ თუ არა, ჩემი სიცოცხლის აღსას-  
რულამდე ჩემი არსების ნაწილი იქნებით“. როცა ქალი ეტყვის,  
ვთხოვდებო, ის როჩესტერიდან ლონდონამდე ფეხით მიდის, სწო-  
რედ ისე, როგორც დიკენსი მაშინ, როცა მომავალი აუტანლად წარ-

მოუდგებოდა. „დალა, ქანცის გაწყვეტა — მხოლოდ ამას თუ შე-  
ედლო ჩემი ვარამის შემსუბუქება“. მრავალი სხვა საბუთიც მოიპო-  
ვება იმისა, რომ ელენს დიკენსი არ უყვარდა, რომ მასთან სიახ-  
ლოვის ფიქრი ზიზღს აღუძრავდა. მწერლის ორი წერილიდან, რომ-  
ლებიც 1862 წლის შემოდგომაზეა დაწერილი, ჩანს, რომ ქალს წი-  
ნანდებურად შორს ეპირა თავი. ერთი წერილი უილკი კოლინზის  
მისამართითაა დაწერილი. „მტანჯველი კაეშანი მღრღნის. უთუოდ  
დაეძლევ მას. მე ხომ ასე ადვილად ვერაფერი მომერევა, მაგრამ  
ჯერჯერობით ის სულ ძლიერდება. აუცილებლად გაიამბობთ ყვე-  
ლაფერს მოკლე ხანში, როცა თქვენთან მოვალ, ან თქვენ მინახუ-  
ლებთ.“ მეორე წერილი ფორსტერისადმი მიწერილი: „რა თქმა  
უნდა, შემძლია ამ საწერ მაგიდასთან ის გავაკეთო, რაც ასჯერ გა-  
მიკეთებია. მეორე საკითხია, შეეძლებ თუ არა ახალი წიგნის დაწე-  
რას, როცა ყველაფერი ასე მერყევი, ასე გარდამავალია, როცა სუ-  
ლი ასე დამძიმებული მაქვს“. ახლა კარგად ჩანს, რატომ იქნებოდა  
ასე ბუნებრივი, რომ დიკენსს „დიდ იმედებისთვის“ ბედნიერი და-  
ბოლოება არ მიეცა: წიგნის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგაც კი  
დიკენსს ელენ ტერნანის წინააღმდეგობა ვერ გაეტეხა.

დიკენსი, როგორც ეს ხშირად სჩვევიათ მსახიობებს, ბევრი რა-  
მით განებივრებულ ბავშვს ჰგავდა. თუ რამე სურდა, დაუყოვნებ-  
ლივ უნდა შესრულებოდა, თორემ „ბავშვი“ აღრიალდებოდა და  
ფეხებს ააბაკუნებდა. დიკენსი ისე დაჟინებით, ისე თავდაუზოგავად  
ცდილობდა გაეტანა თავისი, რომ ბოლოს ელენ ტერნანი მაინც და-  
ნებდა, მაგრამ ამ გამარჯვებამ ვერ გაახარა დიკენსი. სამყარო ხომ  
ისეა მოწყობილი, რომ ვინც არ მიითხოვს, ის იღებს; ის პოულობს,  
ვინც არ ეძებს; კარს იმას უღებენ, ვისაც არ დაუკაკუნებია. სულიერ  
ღირებულებათა სამყაროზე ნუ ვილაპარაკებთ. იქ საქმე სხვანაირა-  
დაა, მაგრამ ცხოვრებაში მართლა მხოლოდ იმას ვაფასებთ, რაც  
იოლად თავისთავად გვეძლევა; ხოლო იმას, რასაც მთელი ძალ-ღო-  
ნის დაძაბვით ვალწევთ, დაუკმაყოფილებლობის და იმედების გატ-  
რუების გრძნობა მოაქვს. ამ წიგნის ავტორის გამოცდილება და დაკ-  
ვირება, ყოველ შემთხვევაში, ამას მეტყველებს და ამ ქვეშაირიტე-  
ზის მტკიცე დადასტურებას, მე მგონია, დიკენსის ბიოგრაფია წარ-  
მოადგენს. ის ხომ თავის მიზანს ხშირად აღწევდა, მაგრამ მტკიცე  
ბედნიერებას კი — ძლიერ იშვიათად. რაც შეეხება ელენს, მან, რო-

გორც ჩანს, სახელისა და სიმდიდრის ორმაგ ცდუნებას ვერ გაუძლო. მისი ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა, შემთხვევით შემოსავალზე იყო დამოკიდებული, რადგან თეატრი დაფნის გვირგვინს არც ერთ მათგანს არ უქაღდა. ელენის დის ფანის მოთხრობებს დიკენსი თავის ჟურნალში ბეჭდავდა. 1861 წელს მეორე და მარია ბენჯამინ უებსტერის დასში მოაწყო, ხოლო 1862 წელს — ფებტერის დასში. უთუოდ დიკენსი, და არა სხვა ვინმე — ქირობდა ტერნანების ოჯახისათვის სახლს ჰოუსტონ-პლეისში. როგორც ჩანს, ელენი კომფორტს უბიწოებაზე მეტად აფასებდა, თორემ დიკენსს არ დანებდებოდა. შემთხვევით არ არიან ასე ანგარებიანი. ესტელა „დიდი იმედებიდან“ და ბელა უილფერი „ჩვენი საერთო მეგობრიდან“. ესტელა ამბობს: „მე ფული მიყვარს, სიღარიბე მეზიზღება, ჩვენ კი ღარიბები ვართ — დამამცირებლად, აღმაშფოთებლად ღარიბები; საწყალი ღატაკები — აი, ვინა ვართ!“. ის სულ ერთსა და იმავეს იმეორებს: „მხოლოდ ფული მინდა, მხოლოდ ფულზე ვოცნებობ მთელი ჩემი სიცოცხლე, მთელი ჩემი მომავალი მხოლოდ ფულია, ფული, ფული და ის, რის მიღწევაც ფულით შეიძლება“. როგორც ესტელა, ისე ელენ ტერნანიც ამაყი და თვითნებაა. სთვლის, რომ ის, რასაც ადამიანები გულს ეძახიან, მას არ გააჩნია... „მე მგონია, ყველაფერი ეს სისულელეა“. შეყვარებულის აზრით, ის ისე, როგორც ესტელა თავხედი, უშინაარსი, პირვეული, ანგარებიანი, ფუქსავატი, გულქვა და ჟინიანია. მაგრამ „ჩვენი საერთო მეგობრის“ წერის დაწყების წინ, უთუოდ 1863 წელს, ელენ ტერნანი მისი საყვარელი გახდა და ამიტომ ბელას ხასიათი თანდათან იცვლება: „მერყევი, ცელქი და ალერსიანი არსება, რომლისთვისაც კეთილშობილური შიზანი და მტკიცე წესები უცხო იყო“. „ფუქსავატი, წვრილმან საზრუნავში ჩაფლული და პირვეული ქალიშვილი“ მაინც მომაჯადოებელი გახლდათ“. ბელა ხომ ძალიან ჰგავს ელენ ტერნანს, რომელსაც მატარებლის კატასტროფის დროს ყველაფერზე უფრო თავისი ქულების ბედი აწუხებდა? თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ელენს თავი თვალთმაქცურად, თეატრალურად ექირა, თავისუფლად შეიძლება მისი გაიგივება ბელა უილფერთან, რომელიც დიკენსის გმირ ქალთა შორის ყველაზე ცხოვრებისეულია, გარდა დორასი.

სურვილი ილუზიებით იკვებება. სიყვარული — სიმართლით,

მაგრამ დიკენსს — მსახიობს, მეოცნებეს და შეყვარებულს — ადვილად შეეძლო ფანტაზია სინამდვილედ მიეჩნია, როცა საქმე მისი სიყვარულის საგანს შეეხებოდა. ელენს ლაქუცი და პირფერობა ეხერხებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიკენსი მას ანებივრებდა. ამიტომ დიკენსმა დაიჯერა, ელენსაც ვუყვარვარო, დაივიწყა, რომ მხოლოდ მთხრობელია, თავის გრძნობას გონების დაძლევის ნება მისცა და ბელას ქორწილისადმი მიძღვნილი თავი დაამთავრა სიტყვებით *in propria persona*<sup>1</sup>. „აჰ, ხომ არის ცხოვრებაში დღეები, რომლებსათვისაც სიცოცხლეც ღირს და სიკვდილიც! აჰ, ტყუილუბრალოდ არ თქმულა კარგ ძველებურ სიმღერაში, რომ მხოლოდ სიყვარული, ერთადერთი სიყვარულია ქვეყნიერების მფლობელი!“ ელენს ის თავის ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებდა და მის რეპუტაციას საგულდაგულოდ იცავდა. ერთ თავის მეგობარ ქალს მისწერა: „ნელის (ასე ეძახდა ის ელენს) ძალიან ეწყინება იმის გაგება, რომ ჩემი და მისი ურთიერთობა ვინმემ იცის. ის არ დაიჯერებს, რომ თქვენ მას ისეთსავე ჰხედავთ, როგორც მე და ისეთივე აზრისა ხართ მასზე... ის, უნაზესი სულის პატრონი, ველარ შეინარჩუნებს ამის შემდეგ იმ სიამაყესა და დამოუკიდებლობას, ამდენი განსაცდელისაგან რომ დაიცვეს ის“. დიკენსი ურჩევს თავის ნაცნობ მანდილოსანს, ფრთხილად იყოს ტომ ტროლოპთან და მის მეუღლესთან (ფანი ტერნანი) და „ჩემზე ისეთი არაფერი წამოგცდეთ, რომ მათ ექვები აღეძრათ, რადგან ფანის გველის ნესტარზე უფრო მკრელი ენა აქვს“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ელენ ტერნანისა და მისი ურთიერთობის ამბავი ბევრად მეტმა ადამიანმა იცოდა, ვიდრე მას უნდოდა, მათ შორის — მისმა შვილებმაც.

ელენ ტერნანს, ცხადია, ისეთ ფუფუნებაში სურდა ცხოვრება, როგორც ადრე ვერც დაესიზმრებოდა. მართლაც, 1867 წლის დამდეგს დიკენსმა მას მდიდრულად მოწყობილი სახლი უქირავა, სადაც თვითონაც კვირაში რამდენიმე დღეს ატარებდა და სადაც დაწერა თავისი უკანასკნელი წიგნის ნაწილი. ეს „ედვინ დრუდი“ იყო. 1869 წლის ზაფხულში მწერალმა თავისი ნელი ჰედსჰილში მიიწვია-რისთვის? ვინ იცის! ეგებ უნდოდა მათი ურთიერთობისათვის უფრო რესპექტაბელური იერი მიეცა; ეგებ ელენს შეუსრულა სურვი-

<sup>1</sup> *In propria persona*—პირული პირისგან.

ლი, ანდა ჯორჯინას ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა. ასე თუ ისე, ელენ ჰედსპილში ჩავიდა და კრიკეტის თამაშშიც კი მონაწილეობდა. ამავე დროს დიკენსმა უკვე მშვენივრად იცოდა, რომ ელენს ის არ უყვარდა, რომ ის მწარედ ნანობდა და სინდისი ქენჯნიდა. ეს უქანასკნელი მარცხი სიყვარულში დიკენსმა იმ დროს განიცადა, როცა სიცოცხლის ხალისი უფრო და უფრო ხშირად ღალატობდა, და თავს ისე უბედურად გრძნობდა, როგორც არასდროს. „მას ეგონა, ახალ ცხოვრებას ვიწყებ და ჩემი გზა ვარდებით, მხოლოდ ვარდებით მოიფინებაო, — წერდა ტომას რიტი. — მას დაავიწყდა, რომ ვარდებს ეკლებიც აქვს... მას ეგონა, უმაღლესი ნეტარების ზღურბლზე ვდგავარ, რაც კი ოდესმე ადამიანს მისცემიაო. ის ცდებოდა“.

ხელახლა, — მაგრამ ამჯერად ბევრად უფრო ძლიერად, ვიდრე ახალგაზრდობაში, — განიცადა მან ექვიანობის სიმწარე, სასოწარკვეთილება და ტანჯვა. ეს უბრალო მონაჩმახი არაა. არავის ასეთი გულისტკივილით არ უწერია გაუზიარებელი სიყვარულით გამოწვეულ ტანჯვაზე, როგორც დიკენსი წერდა, როცა თავის ბრედლი ჰედსტოუნს ქმნიდა; შექსპირის გარდა ექვიანობით გამოწვეული ტანჯვის ასეთი გულისტკივილით გადმოცემა არავის მოუხერხებია. არ ვიცით, ჰქონდა თუ არა დიკენსს რეალური საფუძველი ექვიანობისათვის, გარდა იმისა, რომ იცოდა, ელენს არ ვუყვარვარო. მაგრამ ესეც საკმარისი იყო. ყველა, ვისაც ელენი კარგად ეყარობოდა, ვისაც დაელაპარაკებოდა, დიკენსს თავის შესაძლებელ მეტოქედ მიანჩნდა. ამ ექვიანობას სიკვდილამდე ვერ დააღწია თავი. ჯონ ჯასპერიც „ედვინ დრუდში“ ექვიანობის მსხვერპლია, მაგრამ ამ გრძნობას არავინ შეუპყრია ისეთი გამანადგურებელი ძალით, როგორც ბრედლი ჰედსტოუნი, ის შეყვარებულს სიყვარულს უხსნის, როგორც პიპი „დიდი იმედებიდან“, მაგრამ კიდევ უფრო მხურვალედ და მგზნებარედ: „თქვენ რომ ჩემ გვერდით ხართ, ან თქვენზე ვფიქრობ, ვიბნევი, თავის თავისათვის პასუხს ვერ ვაგებ. ჩემს თავს არ ვეკუთვნი. ხოლო ვფიქრობ თქვენზე მუდამ, წამითაც ვერ გშორდებით პირველივე ნახვის შემდეგ. აჰ, როგორი მწუხარე დღე იყო ის ჩემთვის! რა სამწუხარო და უიღბლო დღე იყო!... რაღაც ძალა ჩემი სურვილის წინააღმდეგ თქვენკენ მეზიდება. საპყრობილეში, ცხრაკლიტულში რომ ვიჯდე, სულ ერთია, თავს დავაღწევდი, რომ

თქვენთან გავჩნდე. ისეთი ძალა მეზიდება თქვენკენ, რომ ჩემს წინ კედლები დაინგრეოდა და მე თქვენთან გავჩნდებოდი. მძიმე სენი რომ შემყროდა, იგივე ძალა ამაყენებდა ლოგინიდან, მოვფოფხდებოდი და თქვენს ფერხთით გავირთხმებოდი... დრომდე არც ერთმა აღამიანმა არ იცის, რა ძალები იფარება მისი სულის სიღრმეში. ზოგს არ უწერია ამის გაგება — მშვიდობა არ მოკლებოდეს მათ და ბედს უმადლოდნენ. ძიყვარხართ. რისი თქმა სურთ ამ სიტყვით სხვებს, მე არ ვიცი. მე კი მინდა გითხრათ, რომ დაუძლეველი ძალა მამოქმედებს. წინააღმდეგობის გაწევა ვცადე, — ამაოდ. მან გამანადგურა... ჩემი ტვინი აფორიაქებულია, აღარაფრად ვვარგვარ. ამას ვგულისხმობდი, როცა გეუბნებოდი, ჩემი დამლუბველი ხართ-მეთქი!“

მაგრამ აი, ჰედსტოუნი სხვანაირად ალაპარაკდა. მოითმინეთ, ეს ვინაა? ღარიბთა სკოლის მორიდებული მასწავლებელია, თუ სახელგანთქმული მწერალი? „ხელმოკლედ არ ვცხოვრობ და თქვენ არაფერი დაგაკლდებათ. ჩემი სახელი ისეთი პატივითაა გარემოცული, რომ საიმედოდ დაგიცავთ, ნეტავი ოდესმე მუშაობის დროს გენახეთ, რომ დარწმუნდეთ, რა შემიძლია და რა პატივსა მცემენ ამის გამო. ეგებ ცოტა გეამაყათ ჩემით“... დიახ, ეჭვს გარეშეა, ეს თვით დიკენსია. განა ის არ მიაბიჯებდა დამღამობით ლონდონის ქუჩებში „გულის დამღევი მოლოდინით გაწამებული“? გეჩვენებოდათ, ეს განაწამები სახე ჰაერში მიცურავსო. მისი გამომეტყველება ისე გიზიდავდათ, რომ სხვა ყველაფერი ქრებოდა მხედველობიდან. რა თქმა უნდა, სრული პარალელის გატარება ავტორსა და მის გმირს შორის არ შეიძლება: იქ. სადაც გრძნობა დუმდა, დიკენსი მას წარმოსახვით სცვლიდა ხოლმე. და მაინც ბრედლი ჰედსტოუნს ვერ შექმნიდა, ის მთავარი რომ არ განეცადა, რამაც ეს სახე შეაქმნევინა. ჩვენ ვიცით, რაც იყო ეს მთავარი. ამრიგად, ესტელა, ბელა, ბრედლი ჰედსტოუნი. მაგრამ ამით არ ამოიწურება ელენ ტერნანის გავლენა დიკენსის შემოქმედებაზე: მასთან შეხვედრის შემდეგ დიკენსის წიგნებიდან ზნედაცემული არსება სამუდამოდ განიდევნა.

„ჩვენს საერთო მეგობარს“ კოლოსალური წარმატება ხვდა წილად. საუბედუროდ, სწორედ ამ დროს იჩინა თავი დიკენსის ჯანმრთელობის შერყევის პირველმა ნიშნებმა. 1865 წლის დამდეგს — როგორც ჩანს, თოვლში მეტად ხანგრძლივი სეირნობის შემდეგ —

ფეხი მოეყინა, მაგრამ რადგან ავადმყოფობა სძაგდა, გასიებულ ფეხზე ფეხსაცმელი ჩაიცვა და სამუშაოს ჩაუჭდა. ასე აკეთებდარამდენიმე ხანს. თან თოვლში ხეტიალს განაგრძობდა და თავისი საბრალო ფეხი იქამდე მიიყვანა, რომ იძულებული გახდა დაწოლილიყო (ისე დაქინებით ვერ ურიგდებოდა ვერავითარ ფიზიკურ ნაკლს, რომ სათვალეების ტარებაზე უარს ამბობდა, თუმცა ახლომკვრეტელი იყო და შორსმდებარე საგნების დასანახავად ძლიერ აბზავდა მხედველობას). ფეხი ჯერ ძლიერ სტკიოდა, შემდეგ — ცოტათი დაუამდა და მანაც დაუყოვნებლივ განაახლა თავისი ყოველდღიური თხუთმეტმილიანი სეირნობა. სალამოობით ფეხსაცმელ-გახდილი იჯდა. ასე ერთ წელიწადს გაგრძელდა. 1866 წლის დამდეგს კი გულმა შეუტია, მან მატონიზებელი წამლების მიღება დაიწყო. თავი უკეთ იგრძნო და მორიგი ტურნე გამართა. ტკივილები ფეხში და გულში ხშირად უახლდებოდა, მაგრამ დიკენსი ამბობდა, ჯანსაღად ვარო და თავისი ჩვევების შეცვლას არ აპირებდა. მაგალითად, გასტროლებზე იყო ტაინის ნიუჯასლში იმპრესარიოს თანხლებით. ორივენი პირსზე წავიდნენ, რომ ენახათ, როგორ ცეკვავენ ტალღებზე სავაჭრო ფლოტის გემები შტორმის დროს. „უეცრად ცისკიდური ოქროსფრად აინთო, ცაზე საუცხოო ცისარტყელა აელვარდა და მოიხარა დიდი გემის ზემოთ, რომელიც ისე ჩანდა, თითქოს პირდაპირ ცისკენ მიცურავდა. ამ მომხიბლავმა სანახაობამ ისე გამიტაცა, რომ ვერ შევნიშნე, როგორ გაიზარდა ჩემს წინ გასაოცარი მრავალტონიანი ზვირთი, დამარტყა, წამაქცია და თავიდან ფეხებამდე დამასველა ისე, რომ ჩემი საფულეც კი წყლით იყო სავსე“.

იქ, სადაც საქმე მის ჯანმრთელობას ეხებოდა, დიკენსი ფაქტებს დაქინებით თვალს არიდებდა. ნიკრისის ქარებია? არაფერიც, ფეხი გამიცვივდა და ისაა. გულის შეტევა? სრულიადაც არა! უბრალოდ ნერვები ცელქობენ. გულის შეწუხება მორიგი გამოსვლის შემდეგ? უთუოდ უძილობის გამო მომივიდა. ცუდად ვხედავ? წამლების ბრალია. 1867 წლის ზაფხულში ისევ ლოგინად ჩავარდა — ნიკრისის ქარებმა გააწამეს. „სათბურას გარეშე ერთ წუთს ვერ ვძლებ“. ხმა გავრცელდა, ჯანმრთელობა დალატობსო, მართალიც იყო, მაგრამ დიკენსს არ სურდა ამის დაჯერება.

„მისი ჯანმრთელობა კრიტიკულ მდგომარეობაშია“, — წერდა



ერთი გაზეთი. „კორექტურული შეცდომა — უნდა იყოს კრიკეტულ!“ — შეუსწორა მან. ჩარლზ რიდი, რომელსაც დიკენსი წრფელად უყვარდა და მეცხრამეტე საუკუნის გენიოსად სთვლიდა, ჩავიდა მასთან პელჰილში და... საუკეთესო ფორმაში ნახა. ჩავიდა კოლინზიც და დიკენსის ჯანმრთელობა საყვარელ თემად იქცა მისი მეგობრების ხუმრობისა და ენამახვილობისათვის. სადილობის დროს კოლინზი და რიდი დიდი ამბით უსინჯავდნენ მაჯას, ხოლო როცა მწერალი თავის შალეში მუშაობდა, წერილებს უგზავნიდნენ და თანაგრძნობას უცხადებდნენ მძიმე ავადმყოფობის გამო. მაგრამ გაზეთები არ ცხრებოდნენ და ფოსტას ყოველდღე მოჰქონდა მასთან სულ უფრო მეტი თანაგრძნობის წერილი. ასე რომ, საჭირო გახდა გაზეთის ნაცნობი რედაქტორისათვის მიემართა თხოვნით, უარყოფა დამიბეჭდეთო:

„ამით ვადასტურებ, რომ გაზეთების ციებ-ცხელების ქვემოთ ხელისმომწერი მსხვერპლის ჯანმრთელობა კრიტიკულ მდგომარეობაში არ არის. ზემოთ აღნიშნულ მსხვერპლს დიდი სპეციალისტებისათვის არ მიუმართავს დახმარებისათვის და საუკეთესოდ გრძნობს თავს; სამკურნალოდ შეერთებულ შტატებში წასვლა და ლიტერატურულ მუშაობაზე ხელის აღება მისთვის არავის ურჩევია. ყველაზე საშიში ავადმყოფობა, რომელიც მან უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გადაიტანა, თავის ტკივილის მსუბუქი შეტევაა“.

დიკენსი არც აპირებდა ამერიკაში მკურნალობას, მაგრამ მაინც მოიწადინა იქ წასვლა ფულის ეშხით. ჯერ კიდევ 1859 წელს მოსდიოდა მას მაცდუნებელი წინადადებები, ამერიკას საგასტროლოდ ეწვიეთო. შემდეგ ამერიკის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ომი გაჩაღდა, ის კი ავსტრალიაში მიიწვიეს - იმ პირობით, რომ იქ ათი ათას გირვანქას მიიღებდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ზანგების განთავისუფლებისათვის ომის ნამდვილი მიზეზების თაობაზე ის ილუზიებით შეპყრობილი არ იყო, არ სჯეროდა „ჩრდილო ამერიკელების სიყვარული შავკანიანებისადმი და არც ის, თითქოს „მონობისადმი სიძულვილი ომის ნამდვილი მიზეზი იყო და არა საბაბი“. ამის გაგონებაზე ჩრდილოეთის შტატებში „მარტინ ჩეზლვიტს“ სიამოვნებით მოუწყობდნენ მეორეჯერ „აუტოლაფეს“. ომის შემდეგ მიწვევები განახლდა. მათი დაუსრულებელი ნაკადი მოდიოდა კომიტეტების, ანტრეპრენიორების, ბიზნესმენებისა და მეგობრებისაგან. თი-

თოეული საარაკო შემოსავალს უქადდა. წასვლა არ ეხალისებოდა, მაგრამ ცდუნება მეტად დიდი იყო. „წინდაწინვე ვიცი, რომ იქ თავს ძლიერ ცუდად ვიგრძნობ“, — წერდა ის. კიდევ: „ეს რა სასჯელი იქნება, თუ მაინც მომინდა წასვლა! ფიქრისაც შეშინია!“ მაგრამ — „ანაზღაურება ისეთი უზარმაზარი ჩანს...“ ამერიკელ გამომცემლებს ახლა მასთან უმწიკვლოდ ეპირათ თავი. „გარპერსი“ „ორი ქალაქის ამბისა“ და „ჩვენი საერთო მეგობრის“ ყოველი გამოშვების სასიგნალო ეგზემპლიარებს ყიდულობდა და ინგლისურ გამომცემასთან ერთად ბეჭდავდა. მეორე ამერიკელმა გამომცემელმა მას ათასი გირვანქა მისცა მოთხრობაში „ღვენილი“. გარდა ამისა, კიდევ თითო ათასი გირვანქა უნდა მიეღო ორი მოთხრობისათვის, რომლებიც ის-ის იყო დაამთავრა: „სიყვარული არღადეგებზე“ და „ჯორჯ სილვერმენი განმარტავს“. ეს მოთხრობები ისე, როგორც „საშობაო მოთხრობები“, იმის დამამტკიცებელია, რომ დიკენსის ნიჭი მოთხრობის ჩარჩოში ვერ ეტეოდა. თუმცა ესეცაა, შეიძლება გაზეთ „ტაიმსის“ ლიტერატურული მიმოხილველი ზედმეტად მკაცრად მოიქცა, როცა „ქრიჰინას ლუმელზე“ ნაადრევად უწოდა „გამოტყინებული გენიოსის უბადრუკი ლულული“, მთელი „საშობაო მოთხრობებიდან“ მხოლოდ „საშობაო სიმღერა“ წარმოადგენს ღირებულებას სკრუჟის გამო. დანარჩენის უმრავლესობა მწერლის ყველასუსტი მხარის დემონსტრაციაა. აქ სენტიმენტალობაცაა, ავადმყოფური ინტერესიც ბოროტმოქმედთა სამყაროსი და მიაშიტი, ასაკის შეუფერებელი, გულის შემადონებელი სილაღე. დიკენსის შემოქმედება რომ ამ მოთხრობებით განისაზღვრებოდეს, ავტორი ადრე მიეცემოდა დავიწყებას. დიკენსის წიგნების მთავარ ღირსებას იუმორი და სიციცხლის ხალისი წარმოადგენს, ე. ი. ის, რაც თვით მწერლის მთავარი ღირსება იყო.

უილკი და ფორსტერი დიკენსს ამერიკაში წასვლას არ ურჩევდნენ. მიუხედავად ამისა, 1868 წელს დიკენსმა თავისი იმპრესარიო დოლბი შეერთებულ შტატებში გაგზავნა იმის გასარკვევად, თუ რას მისცემდა გასტროლები ამერიკაში. მწერალი თავის თავსაც არ უტყდებოდა, რომ მას ახალ შეგრძნებათა წყურვილი, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები და სცენაზე არაჩვეულებრივი წარმატება იზიდავდა. მშვენივრად იცოდა, რომ სამშობლოშიც არანაკლები შემოსავალი ექნებოდა, თუ საჯარო კითხვებით გამოვიდოდა ინგლი-

სური აუდიტორიის წინაშე. მაგრამ მისი იმპრესარიო ამერიკიდან ნათელი იმედებით აღსავსე დაბრუნდა, ამანაც მოახდინა გავლენა და 9 ნოემბერს დიკენსი ლივერპულიდან ბოსტონში გაემგზავრა. წასვლის წინ თავის ყოფილ ცოლს უკანასკნელად მისწერა: „საყვარელო ქეთრინ! მასიამოვნა შენმა წერილმა და კეთილმა სურვილებმა. ჩემგანაც მიიღე კეთილი სურვილები. მე მძიმე და დაძაბული მუშაობა მომელის, მაგრამ ჩემთვის ეს ახალი ამბავი არ არის. ბედს არ ვუჩივი და საქმეს განვაგრძობ.“

გულწრფელად შენი  
ჩარლზ დიკენსი“.

ამრიგად, ქეთმა კეთილი მგზავრობა უსურვა მას. უფრო ადრე, სტეიპლჰერსტის კატასტროფის შემდეგ მან თანაგრძნობის წერილი გაუგზავნა ყოფილ მეუღლეს. „წერილისათვის მადლობელი ვარ“, — ოფიციალურად უპასუხა დიკენსმა და მოუთხორო, რაც კატასტროფის დროს განიცადა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ქეთს მისი რჩევა დასჭირდა თავისი სახლის თაობაზე, მაგრამ დიკენსმა პასუხის გაცემა კორჟინას დაავალა: „არასდროს არ შევდგამ ფეხს მის სახლში და გადაწყვეტილი მაქვს, რაც შეიძლება ნაკლები საერთო მქონდეს მასთან (ეს ხელს არ მიშლის მისადმი კეთილი გრძნობები შევინარჩუნო).“ მისი ათი შვილის დედა ამ ახალ ელდას მშვიდად და ღირსეულად შეხვდა. თავს იმით ინუგეშებდა, როცა ჩვენი უმცროსი ვაჟი შეგვეძინა, მაშინ კიდევ ვუყვარდით.

როცა ადამიანი გადაწყვეტს რამე მოიმოქმედოს, ანდა არ მოიმოქმედოს, ამისთვის მას მრავალი მიზეზი აღმოუჩნდება. დიკენსი უამრავი საბუთით ამართლებდა თავის ტურნეს ამერიკაში და ყოველთვის მთავარი ფული იყო, მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია მოგზაურობის ნამდვილ მიზანზე: თავისი ბრწყინვალე მსახიობური ნიჭი ეჩვენებინა ამერიკელებისათვის, თვალები დაეყენებინა მათთვის ვირტუოზული შემსრულებლობითი ოსტატობით და დაებრუნებინა პოპულარობა, რომელზეც ძლიერ შეუტყია „მარტინ ჩეზლვიტმა“. მას სწადდა, გაეოცებინა ამერიკა, მტრობა ალტაცებით შეეცვალა, რისხვა — თაყვანისცემით. მართლაც, ფენომენალურ წარმატებას მიაღწია, მაგრამ გაუგონრად დიდ ფასად.

ჯერჯერობით კი გემი „კუბა“ ატლანტის ოკეანეში შტორმის არეში აღმოჩნდა.

„კუბას“ კაპიტანი თავდაჭერილი და ფლეგმატური კაცი იყო, მაგრამ დიკენსმა მთელი თავისი უნარი გამოიყენა, რომ მასში თანაზიარობა გაეღვიძებინა. მართლაც, გამოსათხოვარი სადილის შემდეგ კაპიტანმა სიტყვა წარმოთქვა და იმღერა კიდევ. ამით ძლიერ გააოცა თავისი ეკიპაჟი, რომელსაც მის ასეთ ნიჭზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. „კაპიტნის გამოცოცხლებამ, მგონი, ამ შორეულ ნაპირზე ისეთი კარგი რეპუტაცია მომიპოვა... როგორსაც აქამდე ვერაფრით ვერ მივალწიე, — წერდა დიკენსი. — ვშიშობ, ამ გმირობამ ჩემი გამოსვლები არ დაჩრდილოს“.

ბოსტონში მისი ოთახები სასტუმრო „პარკერ-ჰაუსში“ ყვავი-

ლებით და წიგნებით სავსე დაუხვდა, ამაზე მისის ფილდსს, ამერიკელი გამომცემლის ჯ. ფილდსის მეუღლეს ეზრუნა. მიუხედავად ურაცხვი მიწვევისა, დიკენსს არც ერთ კერძო სახლში არ დაუდევს ბინა და არც უსადილია. მხოლოდ ფილდსებს ვერ გაუტეხა ხათრი. ბოსტონში ერთ-ერთი ჩასვლისას მათთან გაჩერდა. მათ ოჯახში შეხვდა ლონგფელოს, ემერსონს და ოლივერ უენდელ ჰოლმსს<sup>1</sup>. მისის ფილდსი დღიურს წერდა, მისმა ქმარმა კი შემდეგში დიკენსზე წიგნი დაწერა. ორივე წყარო მრავალ საინტერესო ამბავს შეიცავს მათ სახელგანთქმულ სტუმარზე. სტუმარმა კი იმით დაიწყო, რომ სუფრაზე ლვინოზე უარი თქვა, ხოლო ნასადილევს — სიგარაზე და მობობდიშა, როცა კითხვები მეწყება, არც ვსვამ და არც თამბაქოს ვეწევიო. ერთხელ უენდელ ჰოლმსმა თქვა, პროვინციულ საზოგადოებასთან ურთიერთობა ისეა, ერთხელ ჩემს ლექციაზე დარბაზში მხოლოდ ერთი დაინტერესებული სახე შევნიშნე, ეს ჩემი ბინის დიასახლისის სახე იყოო. დიკენსმა უმაღლვე დაურთო: „უთუოდ დაინახა, შემოსავალი ამჯერად საკმაო იქნება და ანგარიშს გამისწორებენო“. ეს ჩინებული „შენიღბული“ რეპლიკა იყო; ვიდრე სიცილი შეწყდებოდა, დიკენსი წამოხტა და შეკრებილთ ძილი ნებისა უსურვა. მის ერთ-ერთ გამოსვლას ემერსონი დაესწრო, შეუშფოთებელი ემერსონი, რომელიც სიცილით იფხრიწებოდა და კვნესოდა. „ეს გენიოსი მეტისმეტად ნიჭიერია, — უთხრა მან შემდეგ მისის ფილდსს. — მისი ნიჭი თითქოს გასაოცარი მანქანაა, რომელზეც ის ისე მაგრადაა მიჯაჭვული, რომ არც თავის განთავისუფლება შეუძლია, არც დასვენება. თქვენ ის, როგორც ჩანს, სხვა-ნაირად გეხატებათ. თქვენ გინდათ დაპარწმუნოთ, თითქოს უწყინარი არსებაა, სიმპათიური, რბილი, სულით მაღალი და თავის ნიჭს სერიოზულ მნიშვნელობას არ აკეთუნებს. მე კი მეშინია, რომ ის მთლიანად შეპყრობილია თავისი ნიჭით. თავიდან ფეხებამდე მსახიობია, ბუნებრიობას მასთან რა უნდა? ის მე მაშინებს! მისთვის გასაღები ვერ მიპოვია“. მაგრამ მისის ფილდსი. როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ კი უპოვიდა. ყოველ შემთხვევაში თავის დღიურში მან ჩაიწერა: „ბანქოს გასაკვირი ხელი ვითამაშეთ — არა, გასაკვი-

1 ჰოლმს ოლივერ უენდელ (1809—1894)—ამერიკელი მწერალი, ნარკვევების ავტორი, პროფესიით ექიმი.

რი კი არა, რაღაც მეტი იყო... ისიც კი დამავიწყდა, რომ მისი მე-  
შინია“.

ფილდსების ოჯახში ხანდახან ლიტერატურაზე ჩამოვარდებოდა  
საუბარი და დიკენსი თავის საყვარელ მწერლებზე და მათ წიგნებ-  
ზე იწყებდა ლაპარაკს: კობეტზე, დე-კვისისზე, კარლეილის „საფ-  
რანგეთის რევოლუციის ისტორიაზე“, სიდნეი სმითის „ლექციებზე  
ეთიკიდან“, იმაზე, რომ ფილდინგს სმოლეთი ურჩევნია, „პერეგრინ  
პიკლი“—ტომ ჯონსს. არც ერთი ადამიანი—თქვა მან თომას გრეი-  
ზე, — არ სწვევია მომავალ თაობას მასავით პატარა წიგნაკითო. ის  
კარგად იცნობდა შექსპირს და ძლიერ ეხერხებოდა მისგან რომელი-  
მე ციტატის შებრუნებით გამოყენება: „უკვე ახლოა ჩემი საათი, რო-  
ცა გოგირდოვან გაზს უნდა დავუბრუნდე“,—წარმოთქვა მან მორიგ-  
კითხვაზე წასვლის წინ. როცა სპირიტუიზმზე ჩამოვარდებოდა ლაპა-  
რაკი, ძლიერ წყრებოდა, რომ ადამიანებს ასეთი სისულელეებისა  
სჯეროდათ. მაგრამ თავის თავზე და თავის წიგნებზე ლაპარაკი არ  
უყვარდა. თავის გამოსვლებს არასოდეს გადასდებდა, — ავადა-  
რამ ყოფილიყო. ერთხელ ფილდსმა თქვა, მას ძეგლს მხოლოდ ასე-  
თი გმირული საქციელისთვის დავუდგამდიო. „არაა საქირო, აჯობებს!,  
რომელიმე ძველი აიღოთ“, — მიუგო სტუმარმა. მხოლოდ იშვიათად,  
როცა მასპინძელთან ერთად სეირნობდა, გაკვრით გაიხსენებდა რო-  
მელიმე თავის გმირს: „შეხედეთ, რომელიღაც პამბლჩუკი მოემარ-  
თება ჩვენთან შესახვედრად. გავუძვრეთ როგორმე!“ ანდა „აი მისტერ  
მიქობერი მოდის! უკან დავბრუნდეთ, რომ არ დაგვიანახოს!“ მაგ-  
რამ უფრო ხშირად მისი თხრობის თემას სასაცილო შემთხვევები,  
ადამიანთა ახირებულებისა და ბოროტმოქმედების ამბები შეადგენ-  
და. „წარმომიდგენია, რა ძნელია საუბრის თემის გამოჩახვა ადამიან-  
თან, რომელიც ნახევარი საათის შემდეგ უნდა ჩამოახრჩონ,—შენიშ-  
ნა მან ერთხელ. — ვთქვათ, წვიმს. ხომ ვერ ეტყვი, ბვალ მშვენიერი  
ამინდი იქნებაო. მას რაში ესაქმება! მე უთუოდ იულიუს კეისარის  
ან მეფე ალფრედის ეპოქის ამბებზე გავუბამდი საუბარს“. როცა  
ტურნე დასასრულს უახლოვდებოდა, დიკენსს ფეხის ანთება და  
სურდო გაუმწვავდა. მიუხედავად ამისა, ჩინებულ გუნებაზე იყო.

ყველგან, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, სერიოზულად რთულ-  
დებოდა ბილეთების გაყიდვა. სალამოს, ბილეთების გაყიდვის წინა  
დღეს, შესასვლელთან ბრბო იყრიდა თავს. ისინი, ვისაც მთელი და-

მე სიცივისაგან კანკალი არ სურდა, რიგში თავიანთ კლერკებს, ან მსახურებს აგზავნიდნენ. ადრიან დილით ქუჩა ისე გამოიყურებოდა, თითქოს აქ უზარმაზარი პიკნიკი იყო გამართული. მამაკაცები, ქალები და ბავშვები სკამებზე ისხდნენ, ლეიბებზე ან პირდაპირ მიწაზე იწვნენ საბნებში გახვეულები. ყველას თან ჰქონდა საუზმე და სასმელი. თავის გასამხნეველად რიგში მყოფნი სიმღერებს მღეროდნენ ჯონ ბრაუნზე და „დილამდე შინ არ წავალთ“, ნიუ-იორკში სასტიკ ყინვაში ხალხი რიგში ყაყანებდა, ბლაოდა და სიმღერებს ღრიალებდა მთელი ღამე, სწორედ ისე, როგორც ის ბრბო, რომელიც მზის ჩასვლიდან განთიადამდე ირეოდა ოულდ ბეილის კარებთან, რათა სიკვდილით დასჯას დასწრებოდა. როცა საღარო გაიღებოდა, ყველა წინ მიისწრაფოდა და ცდილობდა რიგგარეშე გამძვრალიყო; უკან მდგომნი წინ მოექცეოდნენ და იწყებოდა ცემა-ტყეპა და მუშტი-კრივი. მაგრამ გაჩნდებოდნენ პოლისმენები (პოლიციას წინდაწინ აფრთხილებდნენ, არეულობაა მოსალოდნელიო), გულმოდგინედ ატრიალებდნენ ხელკეტებს და წესრიგს ამყარებდნენ. ახლა ქუჩა უკვე ბრძოლის ველს ჰგავდა კავალერიის იერიშის შემდეგ. ყოველივე ეს რეგულარულად ხდებოდა, თითქოს ბუნებრივი ამბავი იყო. დიკენსის იმპრესარიოს დოლბის სულ სხვა რამე აწუხებდა: სპეკულაცია. დაადგინეს, ერთი ადამიანისათვის ექვსი ბილეთი მიეცათ. თავდაპირველად სპეკულანტები ორდოლარიან ბილეთებს ყიდულობდნენ და ოცდაექვს დოლარად ასალებდნენ. შემდეგ როცა დაინახეს, რა დიდი იყო მოთხოვნა, იწყეს დაჭირავებული პირების რიგში ჩაყენება. ამ გზით მოხერხებული ყალთაბანდები სამასამდე ბილეთის დაგროვებას ახერხებდნენ და საარაკო ფასებში ყიდდნენ. გაიგებდნენ თუ არა, სად და როდის იყო დანიშნული კითხვა, ყოველი მხრიდან კალიასავით მიცვივდებოდნენ, გახსნიდნენ თავიანთ „საღაროებს“ და ვაჭრობა იწყებოდა: ადამიანებს, რომლებსაც ხუთდოლარიან ბილეთში ორმოცდაათის გადახდა არ შეეძლოთ, ეგონათ, ყველაფერი დიკენსის იმპრესარიოს ბრალია, ისაა ბილეთებს რომ ფასს უწევსო და მალე მთელ ამერიკაში არ მოიპოვებოდა მასავით საძულველი ადამიანი, მხოლოდ გასტროლების დამთავრების წინ გამოარკვია დოლბიმ. რომ ერთი მისივე თანამშრომელი, მასთან ერთად ჩამოსული ინგლისიდან, არა მარტო თვითონ სპეკულანტობდა, ყალთაბანდებს ჰყავდათ მოსყიდული. ის, რა

თქმა უნდა, დიითხოვეს, მაგრამ ეს კი არ იყო მთავარი, არამედ მდიდარი ამერიკელები, რომლებიც მზად იყვნენ, რაც გინდა თანხა გაეცათ, ოღონდ დიკენსის კითხვა მოესმინათ.

ჯორჯ დოლბის მარკ ტვენმა ერთხელ „გულგაუტეხელი გორილა“ შეარქვა. ის უწყინარი კაცი იყო, ცინიკოსი და, როგორც იტყვიან, სულში ჩანაძვრენი, მყვირალა, ენერგიული და პატიოსანი. წლების მანძილზე კონცერტების, ლექციების, თეატრალური გასტროლების მოწყობა-ჩატარება იყო მისი საქმე. ყველა სახელგანთქმულ პირს, რომელთანაც საქმე ჰქონია, მას დიკენსი ერჩია. ამბობდა, ასეთ მცირეს მომთხოვნ, სადა, მხიარულ, პრაქტიკულ და გულკეთილ კაცს ჯერ აბ შევხედრივარო. დიკენსი მთლად უფარგის სასტუმროსაც არ იწუნებდა, თავი დიდ ვინმედ არ მოჰქონდა, არ დიდკაცობდა, მოუწყობლობას ურიგდებოდა და ხუმრობაში ჩაატარებდა. არასდროს ბრძანებებს არ იძლეოდა. თუ რამე უნდა დაევალებინა, იტყოდა: „ეგებ ასე და ასე ჯობდეს, თქვენ როგორ გგონიათ?“ თუ დოლბი რაიმე უმნიშვნელო საკითხის გაბო მიჰმართავდა, უბასუხებდა: „როგორც გინდათ, ისე მოიქეციოთ და ნუ ჩამაკვიდით“. დიკენსს ძლიერ შეუყვარდა დოლბი, რომელიც ფხიზლად იცავდა მას თავყვანისმცემლებისა და მთხოვნელებისაგან, ხოლო ავადმყოფობის დროს კარგ ძიძასავით უვლიდა. დოლბი ხმამალა ლაპარაკობდა, გამოთქმების შეურჩევლად. დიკენსს მისი ლაპარაკი ართობდა. „სად მოახერხეთ ასეთი სიტყვის გამოძენა?“ — შეეკითხა დიკენსი, როცა დოლბიმ განუცხადა, ვილაცამ გამაცურაო. ზედმეტი თავაზიანობით იმპრესარიო თავს არ იწუხებდა. ბოსტონის ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორმა სთხოვა, განცხადება გასტროლების შესახებ ჩემს გაზეთში დაბეჭდეთ და სამაგიეროდ, რა ცნობასაც ისურვებთ, დაგიბეჭდავთო. არც მის თხოვნას, არც დაპირებას დოლბიმ ყურადღება არ მიაქცია. ამის შედეგი ის იყო, რომ რედაქტორმა მაინც დაბეჭდა თავის გაზეთში ცნობა, მაგრამ სულ სხვა წყაროდან: „ტიპი, რომელიც თავს დოლბის უწოდებს, გუშინ უგრძობლად დიითრო ქალაქში და ვილაც ირლანდიელს ჩხუბი აუტეხა, რისთვისაც საპოლიციო უბანში გაიგზავნა“. მეორე გაზეთი — ნიუ-იორკისა — რჩევას იძლეოდა: „დროა, დიდი ხანია დროა, ეს რეგენი გაქრეს აქედან, იქ წავიდეს, საიდანაც დროებით მოგვევლინა“.

პირველი კითხვა 2 დეკემბერს შედგა ბოსტონში და გაუგო-



ნარი წარმატებით ჩატარდა: „რალაც აუწერელი ხდება. მთელი ქალაქი მოარული სიგიჟითაა შეპყრობილი... ყველგან მხოლოდ კონცერტებზე ლაპარაკობენ და სხვა არაფრის მოსმენა არ სურთ. ერთობლივ ყველას აზრია, რომ მსგავსი ფერორი აქ ჭერ არავის მოუხდენია“. რამდენიმე დღის შემდეგ დიკენსს უკვე საფუძველი ჰქონდა დაეკვებნა, ყოველი კითხვა ხუთას დოლარს მაძლევსო. იმ დროს კი შვიდი დოლარი გირვანქა სტერლინგს უდრიდა. ბოსტონიდან ნიუ-იორკში მთელი მისი ყოფნის დროს არ ჰქონდა მას შტაბბინა. „ნიუ-იორკს ვერ იცნობთ. გაზრდილა, უზარმაზარი გამხდარა, აქ ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს ბუნების კანონების წინააღმდეგ ნივთები კი არ ძველდება, უფრო ახლდება“. ნიუ-იორკში ბილეთების რიგები ფანტასტიკურად გაიზარდა. დილის ცხრა საათისათვის სალაროსთან ხუთი ათას კაცზე მეტი იყრიდა თავს, მახლობლად მდებარე რესტორნების ოფიციანტები საუზმეს დაატარებდნენ. თავდაპირველად ნიუ-იორკის მკვიდრები შეცბუნდნენ, როცა გაიგონეს, რომ საყვარელი გმირები ინგლისური აქცენტით: ლაპარაკობდნენ. მაგრამ ნიუ-იორკელის გზნების განვლება ადვილი არაა. ვერც ერთი ადამიანი, ბარბიჯი<sup>1</sup> იქნებოდა ის, თუ ბეტერტონი<sup>2</sup>, გარიკი<sup>3</sup>, თუ კინი<sup>4</sup> — ერთ სახეში გაერთიანებული მეტ წარმატებას ვერ მიაღწევდა. დიკენსი აღნიშნავდა, რომ მისი პირველად ყოფნის შემდეგ „აქ ბევრი ცვლილებაა: — ადამიანები წესიერად თავისდაქერას შეჩვევიან. სამწუხაროდ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებითი ვერაფერი შევნიშნე“. ის რომ ნიუ-იორკში იმყოფებოდა, სასტუმროში ხშირად ჩნდებოდა ხანძარი: „ხანძარი ამ ქვეყანაში ჩვეულებრივი, სანიადაგდლეო ამბავია“. დოლბიმ რომ პირველად გაიგო, სასტუმროში ხანძარიყო, ზევით ავიდა დიკენსის გასაფრთხილებლად და დაინახა, რომ „შეფი“ დასაწოლად გამზადებულიყო.

- რა მოხდა? — ჰკითხა დიკენსმა.
- სასტუმრო იწვის.
- ვიცი.
- იცით? საიდან?

1 2, 3, 4 — ბარბიჯი, ბეტერტონი, გარიკი, კინი — გამოჩენილი ინგლისელი მსახიობები. დიკენსის თანამედროვეები.

— სუნით. მერე, რა ვქნათ?

— ვერ წარმომიდგენია.

— სახელდობრ სადაა ცეცხლი?

— ზუსტად არავინ იცის, მაგრამ ფიქრობენ, რომ სადღაც იმ მხარეზეა.

— თქვენი აზრით, აქამდე როდის მოაღწევს?

— უთუოდ დილას, დაახლოებით საუზმის დროისათვის. ხუთი-ექვსი საათის წინ გაჩნდა.

დიკენსმა ტანთ ჩაიცვა, თავის კამერდინერ სკოტს უბრძანა, გამოსვლებისათვის საჭირო წიგნები და ტანისამოსი შეეგროვებინა, თვითონ საბუთები და ფასიანი ნივთები ჯიბეებში ჩაიჩარა და დოღბის თანხლებით ბარში ჩავიდა, სადაც სასტუმროს სხვა ბინადრები, ნაირფეროვნად და ყოვლად წარმოუდგენლად ჩაცმულები, უკვე შეკრებილიყვნენ. ბოლოს და ბოლოს ხანძრის კერა აღმოაჩინეს და ნაშუალამევის 2 საათზე მთელი ეპოპეა სახლგადამწვართა ქეიფით დაბოლოვდა დიკენსის ნომერში.

იმ წელს ზამთარი განსაკუთრებით მკაცრი იყო და დიკენსს სასუნთქი გზების კატარი დაეწყო. ტურნეს დამთავრებამდე ვერ მოიშორა თავიდან. ოთხი თვე ებრძოლა ავადმყოფობას, ოთხი თვე აზრჩობდა ხველება, სტანჯავდა სურდო, უძილობა, გულისყრა, მაგრამ ავიდოდა სცენაზე და კითხვას დაიწყებდა თუ არა, ტკივილები იმ წამშივე უყუჩდებოდა. ზოგჯერ დღისით ისე ცუდად გრძნობდა თავს, რომ ვერ დაიჭერებდით, თუ ეს კაცი საღამოს ესტრადაზე გამოჩნდებოდა. მაგრამ გამოსვლის წინ რაღაც სასწაულით საუცხოო ფორმაში იყო: ხიხინი უწყდებოდა, გონება უნათდებოდა, ტემპერატურა ეცემოდა და არც ერთხელ არ მოუტყუებია თავისი მრავალრიცხოვანი მსმენელები. არანდროს თავის უსიამოვნებას სხვაბ არ ახვევდა თავზე და ხალხში ისე ეკირა თავი, თითქოს სულ კარგად იყო. ერთხელ ექიმმა უთხრა, ძლიერ სუსტად ხართ და არ უნდა გამოხვიდეთ, რადგან ძალების დაძაბვას ვერ აიტანთო. „თუ აღამიანს ლოგინიდან ადგომა შეუძლია, — უპასუხა დიკენსმა, — მას არავითარი უფლება არა აქვს საზოგადოებასთან შეხვედრა ჩაშალოს“. მაგრამ კანადაში და დასავლეთის შტატებში მოგზაურობაზე უარი თქვა. მას უთხრეს, ჩიკაგოში რომ არ გამოხვიდეთ, საზოგადოებას

დამბლა მოუვაო. „ჯობს ისევ მათ მოუვიდეთ, ვიდრე მე“, — უპასუ-  
ხა დიკენსმა.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ხან ბისტონში კითხულობდა, ხან ნიუ-იორკში და აქეთ-იქით მიმოსვლა მის გაჯანმრთელებას როდი უწყობდა ხელს. დახუთულ, ფანჯრებდახურულ ვაგონებში სულ ცუ-  
დად ხდებოდა. მწერლის ამერიკაში ყოფნით იქაურმა თეატრებმა ისარგებლეს და იწყეს მისი თხზულებების სცენისათვის გადაკეთება და ყველა დიდი ქალაქის სცენებზე დადგმა, მაგრამ დიკენსს ფინანსური საქმეები ისე კარგად ჰქონდა, რომ გაპროტესტება არც უფიქრია. „ჩემი იმპრესარიო ყველგან დიდი ბალიშისოდენა შეეკრას დაათრევს თან; ეს ქალაქის ფულია.“ როცა ფილადელფიაში მიემგზავრებოდა, ეს უკვე ბალიში კი არა, ნამდვილი ლეიბი იყო. 1868 წლის იანვრის შუა რიცხვებში დიკენსი კვაკერების ქალაქში ჩავიდა და რეპორტიორები არაჩვეულებრივი სიმშვიდით გააოცა. „როგორც ჩანს, ისინი ვერ ურიგდებიან იმ ფაქტს, რომ სცენაზე გასვლისას მუხლები არ მიკანკალებს გრანდიოზული სანახაობის გამო, რომელიც მათი ერის სიდიადის მაჩვენებელია, აქ მიჩვეული არიან ყველაფერი დიდი ხმაურით და დოლის ბრაზუნით აკეთონ. ხშირად, როცა სცენაზე გავდივარ, არ სჯერათ, რომ ნამდვილად ჩარლზ დიკენსი ვარ, ვიდრე პირს არ გავაღებ. აი, ჯერ რომ ვინმე სცენაზე აფრინდებოდეს, ჩემდამი მოძღვნილ საზეიმო სიტყვას წარმოთქვამდეს, შემდეგ ძირს ჩამოფრინდებოდეს, მოწიწებით ჩამქიდებდეს ხელს იდაყვზე და წამიყვანდეს, სულ სხვა იქნებოდა“. დიკენსის პორტრეტი ქალაქის თითქმის ყველა ვიტრინაში იყო გამოდგმული, ასე რომ ქუჩაში შემხვედრანი უცებ ცნობდნენ მას და ხშირად უკან ბრუნდებოდნენ, წინ გაუსწრებდნენ, რომ კარგად დაკვირვებოდნენ.

ნიუ-იორკში ოთხჯერ გამართა კითხვა, შემდეგ ბალტიმორში წავიდა: იქ მისივე დადგენილი წესის წინააღმდეგ თავის მეგობარს, ჩარლზ სამნერს<sup>1</sup> სადილად ეწვია. დიკენსის გარდა ამ სადილზე სტუმრად მხოლოდ მისი დიდი თაყვანისმცემელი, შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი ედვინ სტენტონი იყო. დაბადების დღე

<sup>1</sup> ჩარლზ სამნერი (1811—1874)—ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, მონა-  
ძის მოწინააღმდეგე.

დიკენსმა ვაშინგტონში გადაიხადა. იქ ყვავილების აუარებელი კალათი და თაიგული გამოუფხვანეს. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ენდრიუ ჯონსონმა<sup>1</sup> ორჯერ მიმართა თხოვნით, დრო გამოენახა თეთრ სახლში ვიზიტისათვის. 7 თებერვალს დილით, თავის დაბადების დღეს დიკენსი პრეზიდენტს გამოეცხადა. „თვალს არ ვაშორებდით ერთმანეთს და ორივენი ვცდილობდით. ჩვენი შეხვედრა რაც შეიძლება უფრო სასიამოვნო გაგვხებადა ერთმანეთისათვის. ჩემი აზრით, კიდევ მოვახერხებთ ეს“. დღის მეორე ნახევარში ქრონიკული კატარი მკვეთრად გაუმწვავდა. ხმა დაეკარგა და, როცა სამწერმა ის მლოგვის საფენებით ნახა, იკითხა: „მისტერ დოლბი, დღეს ყოველ შემთხვევაში, ვერ წაიკითხავს?“ დოლბიმ მიუგო: „სერ, დღეს ოთხჯერ ვუთხარი ეს ჩემს ძვირფას შეფს. მეც ძლიერ მეშინია. მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ იცვლება, როცა სცენაზე თავის პატარა მაგიდას მიუჯდება“. დიახ, იმ დღესაც გამოსვლის დროისათვის დიკენსმა ჩვეული მეტამორფოზა განიცადა. კონცერტის შემდეგ დამსწრეები, მათ შორის პრეზიდენტი თავის ოჯახით, მინისტრები, უმაღლესი სასამართლოს წევრები, ელჩები და სხვა დიდი პირები ადგილებიდან წამოცვივდნენ და ფეხზე მდგომნი უკრავდნენ ტაშს, ვიდრე ის სცენაზე არ დაბრუნდა და მოკლე სიტყვით არ მიჰმართა საზოგადოებას, რის შემდეგ ქალებმა თაიგულებით აავსეს, მამაკაცებმა კი — ბუტონიერებით.

თებერვლის დამლევს ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტ ჯონსონს სახელმწიფოებრივ დანაშაულში ედებოდა ბრალი იმის გამო, რომ სამხედრო მინისტრი სტენტონი სენატთან შეუთანხმებლად მოხსნა თანამდებობიდან. ქვეყანა უმაღლე მთარულმა სიგიჟემ მოიცვა: გარდა პოლიტიკისა, ადამიანები აღარაფერზე ლაპარაკობდნენ და გარდა პოლიტიკური მიტინგებისა, არსად დადიოდნენ. იმის მოლოდინში, ეგებ ამერიკელებს სიგიჟემ ნაწილობრივ მაინც გადაუაროსო, დიკენსმა რამდენიმე გამოსვლა გადადო და დოლბისა და ჯეიმს ოსგულდს შორის გამართული სიარულში შეჯიბრების მსაჯობა იკისრა. ამერიკელმა გაიმარჯვა და ეს მოვლენა სადღესასწაულო სადილით აღინიშნა. ამ უნებლიე შესვენების დროს დიკენსი მაინც გამოვიდა ქალაქ პროვიდენსში. აქ დაუხვდა მრავალათასიანი ბრბო, რომელმაც სად-

<sup>1</sup> ენდრიუ ჯონსონი — აშშ-ის პრეზიდენტი 1865—1869 წლებში.

გურიდან სასტუმრომდე მიაცილა. „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს პოლიციის სამმართველოში მივეყვართ ფურგონით“,—ჩაულაპარაკა დიკენსმა თავის იმპრესარიოს, როცა მოქალაქეთა მკვიდრო რიგებში სასტუმროს კიბეზე აღიოდა.

დასავლეთის ქალაქებში მოგზაურობა რომ დააპირა, ამერიკაში გრიგალები დაიწყო. ამბობდნენ, დიდი წყალდიდობა იქნებაო, მაგრამ დიკენსი არ შეეპუა: როგორც ქუჩს, ისე არ წვიმსო, და როჩესტერისა და სირაკუზისაკენ გაემართა. ბუფალოში ჩატარებული დასკვნითი კონცერტის შემდეგ თავის პერსონალს პატარა არდადაგები მოუწყო და მათთან ერთად ნიაგარის წყალვარდნილის სანახავად წავიდა. ამ სანახაობამ ახლაც ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, როგორც პირველად. „უწერილესი შეხვედრის ღრუბელში წყალვარდნილის ქვეშ გადაჰიმული დაბლობი ცისარტყელის სხივებით მოქარგულს ჰგავდა... თითქოს რალაცამ დედამიწიდან ამიტაცა და ჩემს წინაშე ცა გაიხსნა... უცქერი და გრძნობ, როგორ გეცლება მიწიერი სხეულის ჯავშანი“.

დიკენსი საათობით დადიოდა თოვლში და მარცხენა ფეხი ისევ გაუსივდა და ატკივდა. კოჭლობა დაიწყო. წყალდიდობის გამო იუტიკში მოუხდათ ლოდინი. ერთადერთი სასატუმრო გადატვირთული იყო, მაგრამ დიკენსს მაინც გამოუჩნახეს ერთი ოთახი. მისი მიწვევით მთელი პერსონალი აქ შეიკრიბა სუფრასთან. ღამით წყალმა დაიწია. „და აი, ჩვენ წყალში შევაბიჯეთ. გარშემო ყველაფერი წყლითაა დაფარული: ფერმები, ნოეს კილობანივით ტალღებზე მცურავი ბელლები, უკაცრიელი სოფლები, დანგრეული ხიდები და უბედურების სხვა ნიშნები. სალამოს ოლბანში უნდა ჩამეტარებინა კითხვა, ყველა ბილეთი გაყიდული იყო. მაშველი სამუშაოების უფროსმა, ძალიან საქმიანმა კაცმა, გამომიცხადა, ჩემს მეტს არავის შეუძლია თქვენი ადგილზე მიყვანაო. შემდეგ უეცრად კაბუკების ასეული გაჩნდა. ვაჟკაცებმა გრძელი ჭოკები დაატრიალეს და გზებს ყინულის თოშებისაგან გვითავისუფლებდნენ. როგორც იქნა, ამ კავალკადის წინამძღოლობით ხმელეთს მივალწიეთ და სწორედ დროზე მოვესწარიო კონცერტს. „საშობაო სიმღერისა“ და გასანართლების სცენის წაკითხვა მოვასწარო სრული ტრიუმფით“.

თავისი ტურნე დიკენსმა ბოსტონში და ნიუ-იორკში გამოსვლებით დააბოლოვა. ბოსტონში ბრძმების თავშესაფარი ინახულა და გან-

კარგულება გასცა, ამერიკის ყველა ასეთი თავშესაფრისთვის სპეციალური შოიფტით „სიძველეთა სავაჭრო“ დაებეჭდათ მის ხარჯზე.

როცა მარტის მიწურულში დიკენსმა აღმოსავლეთ სანაპიროს მიაღწია, ის სახსრებით არაქათგამოცლილი იყო. ძაგოამ ვერც ერთი სულიერი ვერ ამჩნევდა ამას. მადა დაეკარგა. — „დღეში ნახევარ გირვანქა საქმელსაც არ ვიღებ“. ყოველ ღამეს ორიდან ხუთ-ექვს საათამდე გახუწყვეტელი ზველება სტახავდა. დიკენსი პორტლანდიდან იწერებოდა: „გუშინ საღამოს თრიაქის ნაყენი მივიღე. ეს ერთადერთია, რაც ცოტას მაინც მშველის“. ტურნეს ბოლოს ის ორივე ფეხით კოკლობდა. ბოსტონში და ნიუ-იორკში გამოსათხოვარ კონცერტებზე დიკენსი დოლბის აპყავდა სცენაზე და ჩამოჰყავდა. „დოლბი ქალივით ნაზი და ექიმივით ყურადღებიანია: გამოსვლების დროს ერთი წუთით არ შმორდება. სცენის კიდეში ზის და თვალს არ მაშორებს... ყოველი გამოსვლის შემდეგ გაფითრებული, სრულიად ღონემიხდილი დიკენსი ტახტზე თავგადაგდებული დაეცემოდა და ნელ-ნელა სულიერდებოდა. „ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიჰქირს კოსტიუმის გამოცვლა, როცა ყველაფერი მთავრდება“, — უთხრა მან ერთხელ ერთ თავის ნაცნობს.

დიკენსმა გასტროლები ნიუ-იორკში გაათავა. ამ დასკვნითმა კითხვებმა კინალამ თვითონაც გადაიყოლეს. 18 აპრილს ასოციაცია „ნიუ-იორკ პრესმა“ რესტორანში მოუწყო დიკენსს ბანკეტი. თავმჯდომარედ ორას გრილი<sup>1</sup> იყო. დიკენსმა მთელი საათი დაიგვიანა მიუხედავად მისი ფანატიკური პუნქტუალობისა. ადვილი წარმოსადგენია, როგორ იტანჯებოდა და როგორ უჭირდა ბანკეტზე მოსვლა. კიბეზე ასვლისას მიეშველნენ. როდესაც გრილის ხელზე დაყრდნობილი დარბაზში შევიდა, ყველამ დაინახა, რომ მარჯვენა ფეხი შეხვეული ჰქონდა. დიკენსი იტანჯებოდა, თუმცა კი ცდილობდა არ შემჩნეოდა ეს. თავის სიტყვაში დიკენსმა თქვა: „ყველგან უაღრესად თავაზიანად, ტკბილად, გულლიად და გულთბილად მიღებდნენ, მუდამ ანგარიშს უწევდნენ იმ გარემოებას, რომ საქმის ნირისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებული ვიყავი, სულ განმარტობით მეცხოვრა. საზეიმოდ ვაცხადებ ამას ამერიკისადმი მიძღვნილი ორი წიგნის წინასიტყვაობაში. ვიღრე მე ცოცხალი ვიქნები და

<sup>1</sup> გრილი ორას (1812—1872) — ნიუ-იორკის გაზეთ „ტრიბუნის“ დამაარსებელი.

ვიდრე ჩემი მემკვიდრეები ჩემს წიგნებზე რაიმე უფლებას შეინარჩუნებენ, ეს წინასიტყვაობა ყოველ გამოცემაში დაიბეჭდება“. მან ილაპარაკა ამ ქვეყანაში მომხდარ უზარმაზარ ცვლილებებზე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. „ეს ვარსკვლავები და ზოლები, ქარში რომ ფრიალებენ, ინგლისელის გულს ისე აღელვებენ, როგორც არც ერთი სხვა, გარდა მისი სამშობლოს დროშისა“. სიტყვის დასასრულს ქვეყანას ისეთი რამ უსურვა, რაც იმას მოწმობდა, რომ მომავალს მისი გამჭრიახი თვალი უკეთ ხედავდა, ვიდრე რომელიმე მისი თანამედროვისა: „დაე, ჩვენი პლანეტა მიწისძვრამ გახეთქოს, ცთომილმა დაწვას, მყინვარებმა დაფაროს, პოლარული დათვები და მეღიები დაეპატრონონ მას—ყველაფერი უმჯობესი იქნება, ვიდრე დანახვა ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებული ორი დიდი ერისა, რომლებმაც თავის დროზე მამაცურად იბრძოლეს განთავისუფლებისათვის და გაიმარჯვეს კიდევ“.

დიკენსი ბანკეტზე თავს ისე ცუდად გრძნობდა, რომ იძულებული გახდა, შინ წასულიყო. ერთი კვირის შემდეგ იგი ლივერპულში გაემგზავრა გემით. რა გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობა ჰქონდა ამ კაცს! სამი დღე გაატარა ზღვაზე და უკვე არ კოჭლობდა, გაუარა კატარმა და უძილობამ, სამაგიეროდ მგლის მადა მიეცა. მაგრამ როცა თანამგზავრები შეეკითხნენ, რამეს ხომ არ წაგვიკითხავთო, მიუგო, უმალ ჩვენი კაპიტნის სიცოცხლეს ხელგვეყოფ და დარჩენილ დღეებს კატორღაში გავატარებო. როცა გემი ინგლისის ნაპირებს შიადგა, დიკენსი ისე ჯანსაღად გამოიყურებოდა, რომ მისი ექიმი „სულით დაეცა“. „ღმერთო ჩემო! — წარმოთქვა თავზარდაცემულივით და უკან დაიხია, — შვიდი წლით გაახალგაზრდავებულა!“

ამერიკული ტურნეს შედეგები — თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ მან დიკენსი კინალამ საიქიოს გაისტუმრა, ჩინებულ იყო. ორი კვირის განმავლობაში სამოცდათექვსმეტჯერ გამოვიდა კითხვით. ცამეტი ათას ექვსასი გირვანჯა დახარჯა, თითქმის ოცი ათასი წმინდა შემოსავალი მიიღო და კიდევ უფრო მეტად გაიბეჭდა სახელი. სხვას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ეს დაკმაყოფილებდა, მაგრამ დიკენსს არ შეუძლო არც სახელოვან საქმეთა შემდეგ განცხრომას მისცემოდა, არც მიღებული დოლარებით დაკმაყოფილებულიყო.

## FELO DE SE<sup>1</sup>

სამშობლოში დიკენსს ხელმწიფის შესაფერი პატივით ხვდებოდნენ. გრეივსვენიდან ჰედსჰილამდე ყველა სახლი დროშებით იყო შემკული, ხოლო გზაზე მთელი ოლქის ფერმერები გამოვიდნენ. ჰედსჰილი ხომ ყვავილებსა და დროშებში იყო ჩაფლული. კვირას დიკენსი ეკლესიიდან შინ რომ ბრუნდებოდა, ჰაიემელთა მრეკველებმა სახლამდე ზარების რეკვით მიაცილეს. ქვეყნიერებაზე არაფერი სჯობია ინგლისს მაისის დღეებში. ამერიკის შემდეგ სამშობლო დიკენსს სამოთხედ ეჩვენა. ის თავის მალეში მუშაობდა. ირგვლივ ჩიტები გალობდნენ, პეპლები ფანჯრებში შემოფრინდებოდნენ და ოთახში ფარფატებდნენ, ისმოდა ფოთოლთა ხელი შრიალი, მიწდვრები ღრუბლების მსუბუქ ჩრდილს უცნაურად მოეხატა!

მაგრამ განა დიდხანს გაძლებდა დიკენსი სამოთხეში: ჯოჯოხეთი იზიდავდა. ტყუილუბრალოდ კი არ იყო მასში რაღაც ეშმაკისეული! უილსს ნადირდბის დროს უბედურება შეემთხვა: ტვინი შეერყა და შრომის უნარი სამუდამოდ დაკარგა. უილკი კოლინზი, რომელიც მას დიკენსის არყოფნაში ეხმარებოდა და თავის „მთვარის სპეკალს“ „მთელ წელში“ ბეკდავდა, რედაქციაში მუშაობის განსაკუთრებულ სურვილს არ იჩენდა. ამის შედეგად გარდა რედაქტორის მოვალეობისა, ყველა სხვა საკითხიც დიკენსს დააწვა და იგი თავიდან შეუდგა დიდი წარმოების ხელმძღვანელობის საქმის შესწავლას. შემდეგ კოლინზთან ერთად დაწერილ პიესაზე „გასასვლელი დაკეტილია“ უნდა

<sup>1</sup> Felo de se—თვითმკვლელობა (ლათინურად)



ემუშავათ. წარმოდგენა თეატრ „ადელფში“ იდგმებოდა დიდი წარმატებით, მაგრამ მისი რამდენჯერმე ნახვის შემდეგ დიკენსმა დაასკვნა, მრავალი სცენა მეტად გაუიანურებულია, ფეხტერსა და კოლინზს მთელი რიგი მომგვებიანი მომენტი გამოპარვიათო. რაკი ასეა, პარიზში წასვლაა საჭირო, რომ ნახოს, როგორ გამოუყენებიათ ფრანგულ სცენაზე პიესის შესაძლებლობანი. მეორე საქმეც ჰქონდა. სანამ ის შტატებში იმყოფებოდა, მისი ძველი მეგობარი უწმინდესი ჩონსი ტაუნსენდი გარდაიცვალა. მას თავის დროზე დიკენსმა „დიდი იმედები“ უძღვნა. ტაუნსენდმა დიკენსს ათასი გირვანქა დაუტოვა, თავისი ანდერძის ამსრულებლად დანიშნა ლიტერატურულ საქმეებში და მიანდო „ყოველივე შესწორების გარეშე გამოეცა აუარებელი რელიგიური ხასიათის ჩანაწერი, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ შედგენილი ამ ჯენტლმენის მიერ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში. ჩანაწერები უწესრიგოდ იყო გაფანტული რვეულებში, ბლოკნოტებსა და ფურცლებზე და მართლა რომ „ყოველივე შესწორების გარეშე“ დაბეჭდილიყო, სიტყვების უაზრო რახარუხი გამოვიდოდა. თუმცა დიკენსი დიდი სიამოვნებით შეპყრიდა ამ ჩანაწერებს ბუხარში, მაგრამ თავს ვალდებულად თვლიდა, მათთვის ნორმალური სახე მიეცა. თავისი შრომის შედეგს, თავისივე წინასიტყვაობა წაუძღვარა და „რელიგიური ფიქრები“ მისცა სახელად, თუმცა თავდაპირველად ფიქრობდა, ამ შრომისათვის „რელიგიური სლოკინი“ დაერქვა.

მიუხედავად ყველა ამ საქმეებისა, დიკენსმა იმავე ზაფხულში დრო გამონახა, ჰედსპილში ლონგფელო მიიღო და ქალაქის ძველებური შენობები, როჩესტერის კათედრალური ტაძარი, სასახლე და სხვა ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერებინა.

1868 წლის შემოდგომაზე დიკენსმა კიდევ ერთი ტურნე მოაწყო. პირველი კითხვა ლონდონის სენტ-ჯეიმს ჰოლში შედგა. მისი კონცერტების საორგანიზაციო მხარეს ფირმა „ჩეპელი“ განაგებდა. ის დიკენსს პირველი ტურნეს დროს ორმოცდაათ გირვანქას აძლევდა ყოველ გამოსვლაში, მეორის დროს—სამოცს. ახლა ფირმა ყოველი საღამოსათვის ოთხმოც გირვანქას უხდიდა, გასტროლების ჩატარების ყველა ხარჯს კისრულობდა და მაინც თვითონაც გვარიანი მოგება რჩებოდა. დიკენსი ყოველთვის მადლიერების გრძნობით ახსენებდა გულუხვობასა და სულგრძელობას, რომლებიც ასე განასხვა-

ვებდა „ჩეკელს“ სხვა საგამომცემლო ფირმებისაგან. ოქტომბერში დიკენსი ლივერპულში ჩავიდა. მეგობრებმა სადილად მიიწვიეს, მაგრამ თავს კარგად არ გრძნობდა და დოლბი გაგზავნა თავის მავიერად. თან დაავალა, წიგნების მალაზიაში შეიარეო და განკარგულება მიეცით, საკითხავი რამე გამომიგზავნონო. დოლბი შეეკითხა, სახელდობრ რაო. „თქვენ თვითონ იცით. თქვენი გემოვნებით აარჩიეთ“. დოლბი არ ეშვებოდა და დიკენსმა უთხრა, უოლტერ სკოტის ან... დიკენსის რამეო. დოლბიმ „სიძველეთა სავაქრო“ უყიდა. წიგნი ავტორს ძლიერ მოეწონა, რადგან მრავალი წლის განმავლობაში არ წაეკითხა. როცა დოლბი დაბრუნდა, ნახა, დიკენსი თავის რომანს კითხულობდა და სიცილით კედებოდა. თურმე რომანის გმირები კი არ აცინებდა ისე რიგად, როგორც იმის მოგონება, რა ვითარებაში იწერებოდა მისი ზოგი ფურცელი. ვინ იცის, ამ ძვირფასმა მოგონებებმა ხომ არ გადააწყვეტინა თავი დაეღუპა სწორედ იმით, რაც ასე ძალიან უყვარდა? ეჭვი არ არის, რომ დიკენსმა სიკვდილი მაშინ მოიახლოვა, როცა თავისი გამოსათხოვარი კონცერტების პროგრამაში „ოლივერ ტვისტიდან“ ნენსის მკვლელობის ამბავი შეიტანა. ეს შემთხვევით მოხდა? საეჭვოა. ასეა თუ ისე, მან ეს თავისი ხელით გააკეთა. ოჰ! უეჭველია, სიტყვა თვითმკვლელობა შეაშინებდა მას. ის ყველას ნადირად მონათლავდა, ვინც ამაზე ხმას ამოიღებდა მასთან. მაგრამ ფაქტს რას უზამ? დიკენსი ბედნიერად არ გრძნობდა თავს. იცოდა, რომ თავის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა და მაინც უკან არ იხევდა. მაშასადამე, უეჭველია, რამდენადმე გარკვეული ჰქონდა, რასაც უმზადებდა მისივე გადაწყვეტილება. დიკენსის მეგობარი ედმუნდ იეტსი პირდაპირ ლაპარაკობდა, ეს თვითმკვლელობა იყოო. ამას სხვა გარემოებათა მთელი რიგიც ადასტურებს.

ამ საზარელი სცენის თავის რეპერტუარში შეტანის აზრი თავდაპირველად ჯერ კიდევ 1863 წლის მაისში დაებადა: „ვცადე, განმართოებით წამეკითხა მკვლელობის სცენა „ოლივერ ტვისტიდან“, მაგრამ რაღაც კომმარული გამოდის, ასე რომ, აუდიტორიისათვის ჩვენებაც კი საშიშია“ (შეიძლება ეს იმას ამტკიცებს, რომ მაშინ მისი სიყვარული ისევ გაუზიარებელი რჩებოდა). ამ აზრს ხუთი წლის შემდეგ დაუბრუნდა, როცა ბედნიერების, საყვარელ ქალთან ჰარმონიული ურთიერთობის იმედი დიდი ხნის დაკარგული იყო. 1868 წლის-

ოქტომბერში ის ფორსტერს სწერდა: „ცოტა ვიმუშავე მკვლელობის სცენაზე „ოლივერ ტვისტიდან“, მაგრამ ვერ გადაწყვიტე, წაიკითხო, თუ არა. ეკვი არ მეპარება, ეს სცენა თუ ისე შევასრულე, როგორც ჩავიფიქრე, საზოგადოება საშინელებისაგან გაქვევდება. სხვა საკითხია,— მოისურვებს თუ არა ამის შემდეგ ვინმე ჩემს კითხვებზე დასწრებას. ამაში დარწმუნებული არა ვარ“. მან გადაწყვიტა, „ჩეპელის“ თანამშრომლებისაგან მიეღო რჩევა. მათ შესთავაზეს, საცდელი კითხვა მოეწყო ერთი თვის შემდეგ რამდენიმე მეგობრისათვის. დანიშნული დღის წინა ხანებში დიკენსის შეიღმა ჩარლემ, რომელიც ჰედსპილში სტუმრად იყო, სახლის უკან გულშემზარავე ხმები გაიგონა. ის ბაღში გავიდა და დაინახა, რომ მამამისი „ნენსის კლავდა“. ამ სანახაობისაგან ჩარლის ძარღვებში სისხლი გაეყინა.

საცდელი კითხვა 14 ნოემბერს შედგა სენტ-ჯეიმს ჰოლში. მხოლოდ ახლო მეგობრები და რამდენიმე გამოჩენილი კრიტიკოსი დაესწრო. დიახ, ისინი საშინელებისაგან გაქვევდნენ, მაგრამ ბევრმა ეს წამოწყება ძლიერ სარისკოდ მიიჩნია. ფორსტერი მკვლელობის სცენის პროგრამაში შეტანას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. დოღბი დაბნეული იყო. მანდილოსნები შეძრწუნდნენ. ერთი მამაკაცი გამოტყდა, ძლივს შევიკავე თავი, რომ არ ავკვირებულიყავიო. რომელიღაც ექიმი წინასწარმეტყველებდა, დარბაზში ისტერიკა ატყდებაო. ფირმა „ჩეპელის“ წარმომადგენლები წაკითხვის მომხრე იყვნენ, ხოლო ერთმა ცნობილმა მსახიობმა ქალმა თქვა:

— ღმერთო ჩემო! რა თქმა უნდა, წაიკითხეთ. ასეთი ეფექტისათვის მიგიღწევიათ და განა დასაშვებია, რომ ყველაფერმა ფუჭად ჩიაროს? მაყურებელი უკვე ორმოცდაათი წელი ელოდება სენსაციას და აი მოესწრო!

თავისი სტუმრების აზრების მოსმენის შემდეგ დიკენსმა ისინი ყვავილებით დამშვენებულ სუფრასთან მიიწვია. სუფრა იმ ეკრანის უკან იდგა, რომელიც მკვლელობის სცენის ფონს წარმოადგენდა. დიკენსი ლიქიორითა და შამპანურით გაუმასპინძლდა სტუმრებს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მან ყური არ ათხოვა კეთილგონიერი მეგობრების რჩევას და 1859 წლის 5 იანვარს იმავე სენტ-ჯეიმს ჰოლში პირველი კითხვა გამართა ფართო აუდიტორიისათვის.

თავდაპირველად ის ნაწყვეტი წაკითხა, სადაც ფეჩინი უბრძანებს ნოე კლეიპოლს თვალყური ადევნოს ნენსის... ამას მოჰყვა პაე-

მანი ლონდონის ხიდზე, როცა ნენსი გასცემს ფეჯინს. დიკენსის ოსტატობა ამ სცენაში ისე დიდი იყო, რომ ამ დროს ყველა პერსონაჟი ცოცხლებივით იდგა მსმენელების თვალწინ. ამას მოსდევდა ნაწყვეტი, სადაც ნოე საიქსს მოუთხოვრებს, რაც დაყურადებით მოისმინა, შემდეგ მკვლელობის სცენაა, ბოლოს — ბოროტმოქმედის გაქცევა. მკვლელობის სცენა დიკენსმა ძალიან მშვიდად დაიწყო, იგი თანდათან ამუქებდა ფერებს. მსმენელებს სახეები უფითრდებოდა, სამარი-სებური სიჩუმე დგებოდა და ბოლოს ყველა რინდებოდა, საშინელებით გაოგნებული. გულგამვირავი ფალცეტით ავსებდა დარბაზს შეშინებული ნენსის გოდება და, როცა დიკენსი კითხვას ამთავრებდა, ყველა ისევ გაუნძრევლად იჯდა და ძლივს სუნთქავდა. „კომპარული მოჩვენებები“ მკვლელს რომ განუშორებლად მისდევდნენ. ამ შემზარავი სიმფონიის ტრაგიკული ფინალივით ელერდნენ. ეს ნამდვილად დიდი მოვლენა იყო. ყველამ, ვინც ამ კითხვას დაესწრო, მთელი თავისი სიცოცხლე დაიხსომა ის, მაგრამ მხოლოდ ყველაზე გამძლეებმა შეძლეს მისი ორჯერ მოსმენა. დიკენსმა ამ სცენებში მთელი თავისი მსახიობური ნიჭი ჩააქსოვა. კითხვის დროს წიგნში არ იცქირებოდა, არც ფურცლავდა წიგნს და წაშში ამა თუ იმ გმირად გარდაისახებოდა ხოლმე. თითქოს სასწაულებრივად ცოცხლობდნენ მსმენელთა თვალწინ ერთიმეორის მიყოლებით რომანის პერსონაჟები: სასაცილო, ცბიერი ებრაელი, დათაფლულ მოსწრებულ სიტყვებს რომ აფრქვევდა; ცრუ, გონებადაზნული ნოე, აღვირახსნილი, ულმობელი საიქსი; დამფრთხალი, სიკეთეს მოწყურებული ნენსი. მკითხველი რომ უკანასკნელ სიტყვას წარმოთქვამდა, შეძრწუნებულ, გარინდებულ დარბაზში ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდებოდა. დიკენსი შებრუნდებოდა. სცენიდან გადიოდა და მხოლოდ მაშინ, როცა ღონემიხდილი, თითქმის გრძობადაკარგული ტახტზე დაეშვებოდა თავის გასაბღელში, დარბაზში ოვაციების გრიგალი ატყდებოდა.

სახელგანთქმული მსახიობი ქალი არ შემცდარა: საზოგადოება მართლაც ეღირსა სენსაციას. დუბლინში დარბაზის შესასვლელთან მხოლოდ პოლიციის დიდმა რაზმმა შეძლო ბრბოს მოწოლის შეკავება. ჩელტნემში დიკენსი საგანგებოდ მაკრიდისათვის გამოვიდა. კონცერტის შემდეგ სწორუპოვარი მაკბეტი შევიდა დიკენსთან და დიდხანს უსიტყვოდ ამტერდებოდა მას. დიკენსმა ძველი მეგობარი დივანზე დასვა, ხელში შამპანურით სავსე სირჩა მისცა და ხუმრობა

დაუწყო, მაგრამ ამაოდ. მაკრიდის თავისი აზრი აუცილებლად უნდა გამოეთქვა.

— არა, ლიკენს... მმ... მმ... მე სიტყვის ბანზე აგდების... მმ... ნებას არ მოგცემ... ჩემს დროში... მმ... საუკეთესო დღეებში... ზომ გახსოვთ, ჩემო ბიჭო? ... ახლა ყოველივემ განვლო — სამუდამოდ განვლო! არა, რაც ახლა გავიგონე, ეს... მმ... ორი მაკბეტია!

ლიკენსთან ყოფნა ყოველთვის გამაცოცხლებლად მოქმედებდა მაკრიდიზე; მსახიობი იმ საღამოსაც გასაოცრად გაახალგაზრდავდა. ეჭიმებს რომ სკოდნოდათ, კლიფტონში ლიკენსი მკვლელობის სცენას წაიკითხავსო, საეჭვოა, რომ, იმ სეზონში თავისი პაციენტებისათვის ამ კურორტზე წასვლა ერჩიათ. „აქ ჩვენთან გულისყრის ეპიდემიაა... ყოველთვის ორ ათეულამდე გაციებული და სიცოცხლის ნიშანწყალდაკარგული მანდილოსანი გააქვთ დარბაზიდან. პირდაპირ სასაცილოა“. მოდურ კურორტ ბატში ეს არავის აცბუნებდა, — აქ ადამიანები ისედაც ყინვასავით ცივები იყვნენ და დიდი ხანია სიცოცხლის ნიშანს არ ავლენდნენ.

— მხოლოდ ახლა მივხვდი, საიდანაც გაჩნდა ეს ძველი სულელური საქათმე, — უთხრა ლიკენსმა თავის იმპრესარიოს ბატზე. — შეგიძლიათ დამიკვიროთ: საიქიოდან გამოსულების აშენებულთა. საფლავეებიდან ამოვიდნენ, საფლავის ქვები თან წამოიღეს, იერიშით აიღეს ეს ადგილი, მოახერხეს ქალაქის აგება და შიგ დასახლდნენ. ახლა თავი ისე უქირავთ, თითქოს ცოცხლები არიანო, მაგრამ არაფერი გამოუდით.

კაცისმკვლელად თავის წარმოდგენა და ადამიანებში თრთოლის გამოწვევა — ასეთ როლს ლიკენსი პირველად ასრულებდა და ამაში დიდ სიამოვნებას ჰპოვებდა. „როცა ქუჩებში დავდივარ, გაუჩვეველი წინათგრძნობა მაქვს, თითქოს აი ახლა მეცემიან და პოლიციაში წამიყვანენ, — წერდა ის. — თეატრში გამოუკლებლივ ყველანი დაუფარავი შიშით მათვალისწინებენ. სახრჩობელაზე მიმავალ ბოროტმოქმედსაც კი არ უცქერიან ასე... ასეთი ერთსულოვანი ზიზღის გამოწვევაში რაღაც სიახლის მომხიბლაობა არის! იმედი მაქვს, რომ ამ გრძნობას შევინარჩუნებ!“ მაგრამ კიდევ უფრო სასიამოვნოა, როცა გრძნობ, რომ ყველას უყვარხარ. „იცი, რომ გამახარა აქ ამგვარად ყველაფერზე უფრო? — იწერებოდა ის ლივერპულიდან, — როდესაც არ უნდა გავიდე ქუჩაში, უეჭველად მუშე-

ბი შემაჩერებენ, ხელს ჩამომართმევენ და მეუბნებიან, თქვენს წიგნებს კარგად ვიცნობთ“.

ყოველი კითხვის დროს დიკენსი სანათებისა და რეფლექტორების სხივებში „ცოცხლად იწვოდა“, ხოლო დანარჩენ დროს ცდილობდა შორს ყოფილიყო აირმაშუქებისა და ბრბოსაგან. მეგობრებთან არ ჩამოხტებოდა, ბანკეტებს საპატიო საბაბით თავს არიდებდა. მართალია, ერთი მიწვევა მაინც მიიღო. 1869 წლის 10 აპრილს ლივერპულის მუნიციპალიტეტმა მის პატივისაცემად სადილი გამართა სენტ-ჯორჯ ჰოლში. ლორდმა დაფრინმა სადღეგრძელო წარმოთქვა. ლორდ ხოტონმა თავის სიტყვაში სურვილი გამოთქვა, დიკენსმა სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა მიიღოსო. დიკენსმა, რომელმაც ერთხელ განაცხადა, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლია თუნდაც ერთ ადამიანს, რომელსაც თავის თავის პატივისცემა აქვს, მშვიდად უცქიროს თემთა პალატასო; დიკენსმა, რომელმაც სწორედ იმ წელს არ ისურვა კენჭი ეყარა პარლამენტის დეპუტატობაზე ედინბურგისა და ბირმინჰემისაგან, ახლა ისევ დაადასტურა, რომ თავიდანვე ლიტერატურას უძღვნა თავისი სიცოცხლე და ვერაფერი ვერ აიძულებს სხვა რამეს მოახმაროს თავისი ძალღონე. ნამდვილი, ცოცხალი ხელოვნების უნაყოფო, გამოგონილი პოლიტიკის სამყაროზე გადაცვლის პერსპექტივა დიკენსს სრულიად არ იზიდავდა. მან ამისი წერილობითი დამოწმებაც დატოვა და კარგადაც მოიქცა. „ხელისუფლებისაკენ მუდამ უფრო მდაბალი ბუნების ადამიანები მიისწრაფვიან“, — წერდა ის „ჩვენს საერთო მეგობარში“. არა, მას სრულიად არ იზიდავდა მოღვაწეობა, რომელსაც, თუ წინასწარმეტყველებს დაეჭვრება, დაღუპვისაკენ მიჰყავს სახელმწიფო და ეკლესია, რომელნიც შეჩვევიან იმას, რომ განწირულნი არიან და არხეინად ცხოვრობენ, ყურსაც არ იბერტყავენ“. მაგრამ მისთვის მაინც უკეთესი იქნებოდა, თავისი მოღვაწეობა ხელოვნების დარგში შეეკვება, სცენაზე ხელი აეღო და მხოლოდ ლიტერატურისათვის ეძღვნა თავი.

1869 წლის დეკემბერში დიკენსს ძვირად დაუჯდა, ასეთი აზარტით რომ უსწორდებოდა საბრალო ნენსის. გადაჭარბებულმა დაძაბულობამ მის ჭანძრთელობაზე გავლენა მოახდინა და ის ისევ დაკოჭლდა. ექიმმა სრული სიმშვიდე დაუნიშნა. მწერალს რამდენიმე კითხვის გადადება მოუხდა. მაგრამ, როგორც ჩანს, დიკენსს ჩაგონებით

მკურნალობა მხოლოდ სხვებისა კი არ შეეძლო, არამედ თავის თავისაც, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ უკვე დივანზე იწვა და... ედინბურგში მიემგზავრებოდა. „რკინიგზის უფროსებმა ისეთი კონფორტით მომაწყვეს, რომ მგზავრობა წოლაზე უფრო სასიამოვნო აღმოჩნდა“. შამპანურზე უარი თქვა და კონცერტებზე მხოლოდ თითო სირჩაყინულიან ბრენდის სვამდა, მაგრამ გარემოს გულცივად კვრეტის უნარს ყინული ხომ არ შეჰმატებდა, მას კი სწორედ ეს აკლდა. მართალია, ერთხელ ედინბურგში მორიგი „მკვლელობის“ შემდეგ იმპრესარიომ მისი მოქუუიანება სცადა. დოლბიმ უკვე რამდენჯერმე შენიშნა, რომ მკვლელობის სცენის კითხვის შემდეგ დიკენსს ნერვულ ადგენება ეწყებოდა: უმიზეზო მხიარულება, სცენაზე დაბრუნების ცდა, ზოგჯერ კიდევ — კითხვის თავიდან გამეორების დაუოკებელი სურვილი. ერთხელ ვახშამზე დიკენსმა დოლბის მომავალი გამოსვლების პროგრამა მიაწოდა. მკვლელობის სცენა თითქმის ყველგან შეეტანა.

— კარგად დააკვირდით ამ სიას. ვერაფერს ამჩნევთ? — ჰკითხა დოლბიმ.

— ვერა.

— კვირაში ოთხი გამოსვლა და სამჯერ — მკვლელობის სცენა.

— მერე რა?

დოლბი ცხარედ შეუდგა მტკიცებას, რომ ეს დიკენსს საშინლად აენებდა. ყოველი გამოსვლის შემდეგ პულსი ოთხმოცსა და ასს შუა ქანაობს, ხოლო „ოლივერ ტვისტის“ წაკითხვის შემდეგ ასოცამდე აღისო — მოაგონებდა დოლბი. ბოლოს ურჩია, როგორც არ უნდა იყოს თქვენი კონცერტის პროგრამა, ხალხი მაინც დაესწრება, მკვლელობის სცენა მხოლოდ დიდ ქალაქებში წაიკითხეთო.

— მორჩით? — შეაწყვეტინა სიტყვა გაჯავრებულმა დიკენსმა.

— დიახ, ყველაფერი ვთქვი, რასაც ვფიქრობ.

— ფრთხილად, დოლბი! სულ მალე ძვირად დაგიჯდებათ თქვენი წყეული წინდახედულება! — წამოიძახა გააფთრებულმა დიკენსმა, სკამიდან წამოიჭრა და დანა-ჩანგალი ისე დაანარცხა მაგიდაზე, რომ თეფში დაამსხვრია. დიკენსის ასეთი გაჯავრება დოლბის არასდროს ენახა და გაეგონა.

— შეიძლება, სერ. თუ ასე მოხდება, იმედია, თქვენ მართებულ-

ლად მომექცევით და მეტყვიით, რომ ჩემი სიფრთხილე თქვენი ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

დოლბი წამოდგა სიის ნესესერში ჩასადებად. რომ მობრუნდა, დაინახა, მისი შეფი ტიროდა.

— მაპატიეთ, დოლბი, — უთხრა დიკენსმა, ხელებგაშლილი გაემართა და მოეხვია მას. — თქვენი წყენინება არ მინდოდა, — თქვენ მართალი ხართ. დილით მშვიდად განესაჯოთ.

მართლაც, დილით რამდენიმე მკვლელობა დააკლდა პროგრამას.

აპრილში ისევ უძილობა განუახლდა დიკენსს. თავბრუს ხვევა და საშინელი სისუსტე დაეწყო; სხეულის მარცხენა მხარე ისე უბუფდებოდა, რომ მარცხენა ხელში ვერაფერს იჭერდა.

12 აპრილს ლიდსში მასთან ედმუნდ იეტსი მივიდა. დიკენსი დივანზე იწვა, მარცხენა ფეხი შებანდული ჰქონდა. დაღონებული და უსაზღვროდ დაქანცული ერთბაშად მოხუცებულიყო, ლოყებზე ღრმა ნაოჭები გასჩენოდა, თვალებთან უფრო მკვეთრად უჩანდა ნაოჭები. ის მართლაც კატასტროფის წინაშე იყო. ბლევბერნში ისე ცუდად გახდა. რომ დასასვენებლად ბლევკულში წავიდა ერთი დღით, მაგრამ შემდეგ კისრისტენით გაეჭანა პრესტონში. მოიწვიეს ექიმი, რომელმაც გამოსვლების შეწყვეტა მოითხოვა. ბილეთების პატრონებს პრესტონში და უორინგტონში ფული დაუბრუნეს. დიკენსი ლონდონში დაბრუნდა და თავის ბინაში დამკვიდრდა, სხეული ექიმებს გადასცა, ტვინი კი „მთელ წელს“ უძღვნა. როგორც ყოველთვის. დაუყოვნებლივ მოიკეთა, თითქოს სულ კარგად იყო. ერთი კვირის შემდეგ უკვე წერდა, „ბრწყინვალე ფორმაში“ ვიმყოფები. მაგრამ სერ თომას უოტსონმა, იმ დროის დიდმა სპეციალისტთაგანმა, ავადმყოფობის ისტორიაში აღნიშნა, რომ „ტვინის მოვლენების პირველმა ნიშნებმა იჩინა თავი“. სისხლის ჩაქცევა და დამბლა — აი, რას უმზადებდა დიკენსს სცენაზე გამოსვლები, მათთან განუყრელი მღელვარება და გადაჭარბებული მუშაობა. კიდევ სულ ცოტა, და ეს უნდა მომხდარიყო.

მაისში დიკენსი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ანდერძის შედგენას შეუდგა. ყველაზე წინ ამ ანდერძში მის ელენ ლოლეს ტერნანი იყო ნახსენები. მის ტერნანმა ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო. ჯორჯინა ჰოგარტს რვა ათასი გირვანქა სტერლინგი დაუტოვა. ასეთივე თანხის პროცენტები — თავის ცოლს, რომლის გარდაცვალების



შემდეგ ეს თანხა მათ შვილებს უნდა გადასცემოდა. თავის უფროს ქალს მემის ერთდროულად ათასი გირვანქა უანდერძა, დამატებით წელიწადში სამასი გირვანქა სიკვდილამდე, თუ მარტოხელა დარჩებოდა. მთელი დანარჩენი ქონება (მემის კუთვნილი სამასი გირვანქაც, თუ ის გათხოვდებოდა) თანაბრად უნაწილდებოდა დანარჩენ შვილებს და შესანახად უნდა ჩაბარებოდა მისი ანდერძის ამსრულებლებს — ჯორჯინა ჰოგარტსა და ჯონ ფორსტერს. თითოეულმა მისმა მსახურმა ცხრამეტი გინეა მიიღო. წიგნები, სურათები, ძვირფასეულობა და ავეჯი თავის უფროს ვაჟს ჩარლის და ჯორჯინა ჰოგარტს უანდერძა: საათი, ოქროს ძეწკვები, ბეჭდები და სხვა წვრილმანი — ჯონ ფორსტერს, მასვე ერგო დიკენსის ავეჯი გამოუქვეყნებელი ხელნაწერი. ამ ანდერძის ბოლოს დიკენსი წერდა:

...„ვავალებ ჩემს ძვირფას შვილებს მარად ახსოვდეთ, რომ ისინი დიდად დავალებული არიან ჯორჯინა ჰოგარტისაგან და ეს უზღონ მას ასეთივე ერთგულებითა და სიყვარულით, რადგან მთელი თავისი სიცოცხლე ის მათი თავდადებული და ერთგული მეგობარი იყო. კატეგორიულად ვბრძანებ, სადაღ და წყნარად დამსაფლავოთ, ჩემი დაკრძალვის დროს და ადგილს პრესაში ნუ გამოაცხადებთ. ჩემს კუბოს უბრალო სამგლოვიარო ეტლები გაჰყავს. არა უმეტეს სამისა. არც ერთ ჩემს გამცილებელს არ ჰქონდეს სამგლოვიარო ბაფთები, ლაბადები და სხვა ასეთი შეუსაბამობა. ჩემი საფლავის ქვაზე ჩემი სახელი უბრალო ინგლისური შრიფტით ამოიტვიფროს. სიტყვები „მისტერ“ და „ესკვიარ“ არ დაერთოს. ჩემს მეგობრებს ვაფიცებ, არავითარ შემთხვევაში ძეგლი არ აშენონ. ნეკროლოგები და მოკონებები არ მიძღვნან. საკმარისია, თუ ჩემს ქვეყანას ჩემს თავს ჩემი წიგნები მოაგონებს, მეგობრებს კი — ის, რაც ერთად განვიციდით.“

კერძო საუბრებში დიკენსი ამბობდა, მინდა, ან როჩესტერის კოშკის კედელთან, ან კობემის, ან შორნის სასაფლაოზე დამსაფლავონო. აქედან დაასკვნეს, რომ ის წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ ყოველივე ზარზეიმის გარეშე ვესტმინსტერის სააბატოში დაასაფლავებდნენ და ასეც მოიქცნენ. საერთოდ მისიანები ძლიერ ეცადნენ მწერლის ნება-სურვილი ზუსტად შეესრულებინათ. მაგრამ ძეგლების აგებაზე კი ხალხს ვერავითარი ძალა ვერ ააღებინებდა ხელს.

1869 წელს დიკენსმა შობა ჰედსპილში გაატარა. აქ მისმა შვილებმა და აუარება სტუმრებმა მოიყარეს თავი. ფეხის ტკივილის გამო

დიკენსი მთელი დღეები არ გამოდიოდა თავისი ოთახიდან, მხოლოდ სადილისათვის მოახერხებდა კიბეზე ჩამოსვლას, სუფრაზე რომ ყველასთან ერთად ყოფილიყო და საერთო მხიარულებაში მიეღო მონაწილეობა. არ უყვარდა, როცა უფროსი ვაჟის შვილები „ბაბუას“ ეძახდნენ და შეუთანხმდა მათ „დიდად პატივცემული“ დაეძახათ. მთელი სახლი შვილიშვილების განკარგულებაში იყო, მაგრამ მას-პინძლის კაბინეტი წმინდათაწმინდად რჩებოდა და, როცა ერთმა სტუმარმა ქალმა დიკენსის ბიბლიოთეკის ნახვა მოიწადინა, ერთ-ერთმა შვილიშვილმა უთხრა: „ფრთხილად, მის ბოილ! დიდად პატივცემულა გაიგებს, რომ თქვენ მის წიგნებს ჩხრეკთ და კარგად მოგხვდებით“.

დიკენსს მკურნალმა ექიმმა სერ ტომას უოტსონმა თორმეტი გამოსათხოვარი კონცერტის გამართვის ნება დართო იმ პირობით, თუ ამას არავითარი მოგზაურობა არ მოჰყვებოდა. უეპველია, დიკენსმა ეს ნებართვა ხანგრძლივი რწმუნების შემდეგ მიიღო. მაგრამ მას უკვე ენატრებოდა ძლეღვარება და საერთო თავყვანის-ცემის განცდა, თან უნდოდა ფირმა „ჩეპელისათვის“ ის ზარალი აენახლაურებინა, რომელიც უკანასკნელი შეწყვეტილი ტურნეს წყალობით მიაყენა. ამრიგად, 1870 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში ლონდონის სენტ-ჯეიმს პოლში გამოსათხოვარი კითხვები ჩატარდა, სცენა „ოლივერ ტვისტიდან“ ოთხჯერ იყო პროგრამაში. პირველი მკვლელობის შემდეგ პულის სამოცდათორმეტიდან ასოცამდე აუვარდა, მეორის შემდეგ — ასთერამეტამდე, მესამისა — როცა გრძნობა დაკარგა და დიდხანს ვერ მოაბრუნეს, — ასოცდაოთხამდე. ერთ-ერთი კითხვა საგანგებოდ მსახიობების თხოვნით ჩაატარა: „ზოგი მხოლოდ იმისთვის მოვიდა, რომ ენახათ, რა ხერხით ვალწევ ასეთ ეფექტს. მეც მიზნად დავისახე, ისე გამეტაცებინა ისინი, რომ ყველაფერი დავიწყებოდათ. მგონი, მოვახერხე კიდევ“. მსახიობთა საზოგადოებაში ის მუდამ თავის სტიქიაში გრძნობდა თავს და თეატრის ყოველ ღირექტორზე უკეთ შეეძლო ნამდვილი ნიჭის გამოცნობა. ის ყველაზე ადრე მიხვდა, რომ ფსევდონიმით „ჯორჯ ელიოტი“ ქალი წერდა. პირველი ნახვისთანავე გამოიცნო ნიჭიერი მსახიობები: მარი უილსონი („ჩემს მიერ სცენაზე ნანახ მსახიობ ქალთა შორის ყველაზე დახელოვნებულთა“); ქეთ ტერი, რომელიც პირველი რეპეტაციის დროს აღმოაჩინა „არაჩვეულებრივად ქალური და ნა-

„ზია“); ჯ. ლ. ტულე, რომელშიც ყველა კრიტიკოსზე ადრე იგრძნო „კომიკური მსახიობისათვის ნამდვილად არაჩვეულებრივი ძალა და მგზნებარება“; ჰენრი ირვინგი: „ან არაფერი გაშეგება ხელოვნებისა, ანდა ეს ახალგაზრდა კაცი ოდესმე დიდი მსახიობი დადგება“ — თქვა დიკენსმა, როცა ის რაღაც მეორეხარისხოვან როლში ნახა გ. ჯ. ბაირონის პიესა „ლანკაშირელ გოგონაში“. სამიოდე წლის შემდეგ, 1871 წლის ნოემბერში მისი წინასწარმეტყველება ახდა: ირვინგმა „ზარებში“ მათეასის როლი შეასრულა და ლონდონი დაიპყრო.

„დიკენსი დიდი ორგანიზატორული ნიჭით იყო დაჯილდოვებული, შეეძლო რეპეტიციების მაღალ დონეზე ჩატარება და მსახიობებთან მოთმინებით მუშაობა. უეჭველია, ის ბრწყინვალე წარმატებას მიიღწევდა, როგორც თეატრის დირექტორი. ეს მისთვისაც დიდი გამოწვევებისა და სიამოვნების წყარო იქნებოდა, „გითხრათ, როგორია ჩემი სანუკვარი ოცნება? — შეეკითხა ის თავის ახალგაზრდა მოწაფეს, ჩარლზ კენტს ერთი თვით ადრე სიკვდილამდე, და ვიდრე პასუხს მიიღებდა, განაგრძო: — სადმე კარგი თეატრის მახლობლად დავსახლდე და მისი ხელმძღვანელი ვიყო. — თეატრს, რა თქმა უნდა პირველხარისხოვანი, საუცხოოდ მგრჩეული და მომზადებული მსახიობთა დასი ჰყავდეს. — ჰიესების შერჩევა მე მქონდეს მონდობილი, დადგმები ჩემი მითითებებით ხორციელდებოდეს. ერთი სიტყვით, რეპერტუარისა და შემსრულებლების საქმე ჩემს ხელში იყოს, აი, ესაა ჩემი სანუკვარი ოცნება.“ — მზიარულად დაასრულა მან სიტყვა. ეს დიკენსმა მაშინ აღიარა, როცა მისი შემსრულებლობითი მოღვაწეობა უკვე დამთავრებული იყო და სამუდამოდ გამოეოხოვა ამ საქმეს. როცა იგი სცენაზე აღიოდა, რათა მკვლელობის სურათი უკანასკნელად წაეკითხა, ჩარლზ კენტს უთხრა, ჩემი თავი უნდა გავანადგურო — და კიდევ შეასრულა ეს პუქარა. მსახიობთა გასახლდელში მიმავალს მიშველება დასჭირდა, რომ არ წაქეუულიყო, შემდეგ თხუთმეტი წუთის განმავლობაში ლაპარაკი ვერ დაიწყო. 15 მარტს დიკენსის დასკვნითი გამოხვლა შეიჯა. როცა მწერალი სცენაზე გამოჩნდა, საზოგადოება ფეხზე წამოდგა და მხურვალე აპლოდისმენტები რამდენიმე წუთი გაგრძელდა. მან წაიკითხა „საშობაო სიმღერა“ და გასამართლების სცენა „პიკვიკიდან“. ბოლოს მან მოკლე გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა საზოგადოებას და ცრემლმორეულმა დატოვა სცენა.

1858 წლის აპრილიდან 1870 წლის მარტამდე დიკენსი ოთხას-ოცდასამჯერ გამოვიდა კითხვით (გარდა საქველმოქმედოთა); ორმოცდახუთი ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო, ე.ი. თითქმის ნახევარი მთელი ქონებისა (მისი ქონება მწერლის გარდაცვალების შემდეგ ოთხმოცდაცამეტ ათას გირვანქად შეაფასეს). მაგრამ ეს მიღწევები მას ფულზე ძვირად დაუჯდა, რადგან ათი წლით მაინც შეუმოკლდა სიცოცხლე. უკანასკნელი გასტროლების დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მისი ნერვული სისტემა ახალ დატვირთვას ვერ უძლებდა. „დაღლილობა და სისხლისდენა, რომელიც თითქმის შეჩერებული იყო, გამიძლდა, ზედ საშინელი ფხუყიანობა დაერთო, რაც აღრე არ მქონდა. ვერ წარმოიდგენთ, რა მდგომარეობაში ვარ დღევანდელი უეცარი და მძაფრი შეტევის შემდეგ“. მას თავისი სახლი ენატრებოდა ქალაქგარეთ. სადილები, რომლებსაც თავისი ქალიშვილის ხათრით მართავდა, ძლიერ ქანცავდა, მუშაობაც უმძიმდა, თან არავითარ ძალას არ შეეძლო შეეწყვეტილებინა მისთვის. სრულ ღონემიხნდილობამდე მუშაობა, სიარული, სანამ ფეხები არ უღალატებდა, ჰაბუკური აზარტით გართობა, ერთი სიტყვით, თავისი ძალების თავშეუთავებელი ფლანგვა. პატარა ეშმაკუნა მასში მუდამ იჯდა, ხოლო ახლა თითქოს თვით სატანამ შეიპყრო, შოლტით ერეკებოდა, გონს მოსვლის საშუალებას არ აძლევდა, აიძულებდა ხან ერთ როლს ჩასჭიდებოდა, ხან — მეორეს თავისი თავისაგან გაქცევის ქინიანი და უნაყოფო მისწრაფების ჟამს. „მრგვალი მაგიდის“ ზოგი თანამშრომელი უკვე ამჩნევდა, როგორ დაღონებული და შეურკვებელი იყო, როგორ აღრე მოხუცდა, რა გაცრეცილი და განაწამები შესახედაობა ჰქონდა, როგორ მოხრილი იჯდა მაგიდასთან და ბეცივით დასცქეროდა ხელნაწერს.

„ედვინ დრუდი“ მძიმედ მიიწევდა წინ. წერის მოთხოვნილებამ, წინათ რომ ასე ძლიერი იყო მასში, თითქოს სამუდამოდ ზურგი შეაქცია. მაგრამ ამ ამბის გაზიარება თავისი რომანის ილუსტრატორისათვის არც კი უფიქრია, რომ მას გული არ აცრუებოდა. პირიქით; მუშაობისადმი დიდ ინტერესს იჩენდა. ჯონ მილეს რეკომენდაციით თავისი წიგნის გაფორმება მხატვარ ლიუკ ფაილძს მიანდო.

1870 წლის აპრილში დიკენსს დიდი მწუხარება დაატყდა თავს: მისი ძველი მეგობარი დენიელ მაკლიზი გარდაიცვალა, მაგრამ დიკენსს საკმაო ძალა აღმოაჩნდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ სამე-

ფო აკადემიაში ბანკეტზე მეგობრის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოეთქვა. მაისში მაკლიზს „მზის სამყაროდან მარადიული წყვდიადის მხარეში“ მარკ ლემონი მიჰყვა. დიკენსი ცდილობდა, მხნედ ყოფილიყო და მეგობრებსაც ამხნევებდა: რიგები უნდა შევამკიდროვოთ და მხნედ ვიაროთო. მაგრამ თვით მას დიდხანს სიარული აღარ ეწერა. მაისის პირველ რიცხვებში პრემიერ-მინისტრ გლადსტონთან იყო საუბრებზე, ხოლო ათ მაისს ფეხში ანთებითი პროცესი განუახლდა. დღე და ღამე ცხელ საფენებს უცვლიდნენ. „სამინელი ტკივილები“ სტანჯავდა, უძილობა დაეწყო, ისევ თრიაქის ნაყენს მიეძალა. იძულებული გახდა, უახლოესი ღროისათვის გავალისწინებული ყველა საქმე და გართობა გადაედო. მაგრამ ლორდ ხოტონს მაინც ეწვია სადილად, რადგან იქ უნდა შეხვედროდა უელსის პრინცსა და ბელგიის მეფეს, რომელიც მის გაცნობაზე ოცნებობდა. დიკენსს ისე სტკიოდა ფეხი, რომ ვერ ავიდა სასტუმრო ოთახში, სადაც მთელ საზოგადოებას მოეყარა თავი და დაბლა ელოდებოდა სტუმრებს სასადილოში. სასადილოში წარუდგინეს ის პრინცს.

ძლიერ შეშფოთდა დიკენსი, როცა გაიგო, რომ მისი შვილი პლორნი ავსტრალიაში ვერ მოეწყო. „როგორც ჩანს, მას ბუნებით არავითარი მოწოდება არ გააჩნია. რას იზამ! მაგრამ, თუ ის თვითონ არ ისურვებს, ან ვერ შეძლებს იქ მოწყობას, ისევ მე უნდა ვეცადო მისი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება და, სანამ ცოცხალი ვარ, უნდა ვიზრუნო მასზე“. ხანდახან ლაპარაკობდა, ავსტრალიაში წავალ, შვილებს მოვიწინაებ და ახალი წიგნისთვისაც მასალას შევგროვებო. მაგრამ მისი უკანასკნელი მოგზაურობა ჰედსპილში ჩასვლა იყო 1870 წლის მაისში. ლონდონთან სამუდამოდ გამოთხოვების წინ, რამდენიმე რეპეტიცია ჩაატარა კრომველჰაუსში. სპექტაკლში მისი ქალიშვილები მონაწილეობდნენ. როცა წარმოდგენა დამთავრდა. ის ვერსად იპოვეს. ბოლოს ვიღაცა შემთხვევით წააწყდა კულისებში. დიკენსი შორეულ კუთხეში მიკუნჭულიყო, ოცნებამორეულებით იჯდა, მისი გონება სხვაგან ქროდა. თავი უკვე შინ მეგონაო, ჩაილაპარაკა მან.

დიკენსის სახელთან ჩვენს წარმოდგენაში, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ლონდონი, ქალაქი, რომელსაც ის თავის ქმნილებაში სიყვარულით ხატავდა. მაგრამ ცოცხალი დიკენსი უნებლიეთ

ჰედსპილში წარმოგვიდგება: ჭიშკართან მდგომ ბიჭუნას მამა ეუბნება, შეიძლება ოდესმე ამ სახლში დასახლდე, თუ ბეჯითად იშრომებო. სტუმართმოყვარე მასპინძელი, საზოგადოების სული და გული, მხიარული, დაუშრეტელი შემაქცევარი და ოხუნჯი მწერალი, თავის კარავში რომ მუშაობს, გააშემო მდებარე ბილიკებზე რომ მიაბიჭებს ჩოკში, კობემში, შორნში, კულინგში, როჩესტერში, სადაც ყოველ ქუჩას, ყოველ სახლს, სახლს კი არა, ყოველ აგურს, კედლის ყოველ ბზარს იცნობდა. და სწორედ ჰედსპილი მოენატრა, როცა იგრძნო ჩემი დღეები დათვლილიაო. აქ, უპირველეს ყოვლისა, თავის ანდერძში ახალი მუხლი შეიტანა; მისი სიკვდილის შემდეგ „მთელი წელი“ უნდა გადასცემოდა მის უფროს ვაჟს, რომელიც ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ამ ქუჩანალში რედაქტორის თანაშემწედ მუშაობდა. ფეხი ნაკლებად სტკიოდა, ნაცნობი ადგილები ამ დროს განსაკუთრებით წარმტაცი იყო და დიკენსი ისევ სეირნობით ტკებობდა. ბაღში მისი საყვარელი გიორგელა ჰყვოდა, ირგვლივ ქორფა ბალახი ხასხასებდა. დიკენსი ახლად გაკეთებულ ორანჟერეას შეჰხაროდა სასადილო და სასტუმრო ოთახებიდან და ტკებობდა. მის სიციოცხლეს არაფერი აბნელებდა, მას არაფერი აკლდა, გარდა სულიერი სიმშვიდისა.

მისმა ქალიშვილმა ქეთმა მსახიობობა მოისურვა და 2 ივნისს ჰედსპილში ჩამოვიდა მამასთან რჩევის მისაღებად. მამა არ ურჩევდა: „შენ სანდომიანი ხარ და, რასაკვირველია, შეგიძლია წარმატებას მიაღწიო, მაგრამ ყველაფერს ღრმად განიცდი და რბილი ხასიათი გაქვს. ბევრი რამ ისეთი შეგხვდება, რასაც ვერ გაუძლებ. თეატრში კარგი ადამიანები არიან, მაგრამ ისეთებსაც ნახავ, რომ თმა ყალყზე დაგიდგება. საკმაოდ ნიჭიერი ხარ, სხვა რამეს მოჰკიდებ ხელი. ვეცდები, რომ არ ინანო“. მათი საუბარი დილის სამ საათამდე გაგრძელდა. დიკენსი თავის თავს უსაყვედურებდა, კარგი მამა არ ვიყავიო. მას შეეძლო თავის გასამართლებლად ეთქვა, რომ უნაკლო ადამიანი არ არსებობს, ხოლო „კარგი“ ჩვეულებრივად ის გამოდის, ვისაც თავის ბუნებით, ან შემთხვევით „ცდუნება“ არ შეხვედრია. ის ხომ, უპირველეს ყოვლისა, მსახიობი იყო და თავისუფლად შეეძლო დამაჯერებლად გაეთამაშა თავისთვის უმწიკვლო მამისა და მეუღლის როლი, მაგრამ ახლა თავისმართლების განწყობილება აღარ ჰქონდა.

მეორე დღეს ქეთი მამასთან დასამშვიდობებლად შევიდა კარავში. როცა ის გვირავით ბრუნდებოდა, რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ შეიპყრო, ისევ კარავისაკენ გაბრუნდა და კარებზე დააკაკუნა. მამა შემობრუნდა, შეილი დაინახა და მხურვალედ გადაკონა.

დილას კარავში მუშაობის შემდეგ დიკენსი ლენჩისთვის ბრუნდებოდა შინ. სუფრაზე ჩუმად იჯდა ღონემიხილი, ანგარიშმიუცემლად ჰამდა, უმადოდ და ცოტას. სხვების ლაპარაკი არ აწუხებდა, მაგრამ ყოველი მკვეთრი ბგერისაგან, ჭიქის გაწყარუნება იქნებოდა ეს თუ დავარდნილი კოვზისა — სახე ისე შეეშლებოდა, როგორც ტკივილისას. საღამოთი სასტუმრო ოთახში მიმოდოდა, მემის სიმღერას ისმენდა, კითხულობდა, ან თამბაქოს ეწეოდა. სანტიმენტალური სიმღერები უყვარდა; ეგრეთწოდებული კლასიკური სიმღერა არ იზიდავდა.

ორშაბათს, 6 ივნისს თავისი ძაღლები წაიყვანა და როჩესტერის ფოსტაში წავიდა წერილების გასაგზავნად. ვილაცხს დაენახა, როგორ გადაიარა ვენახები, შემდეგ კი რესტორეიშნ-ჰაუსთან იდგა და შესცქეროდა სახლს, რომელიც „დიდ იმედებში“ „სატის-ჰაუსის“ სახელწოდებით აღწერა (მისის ჰევიშემის სახლი). ადამიანის ყოველ ტრავადიას საფუძვლად თითქმის ყოველთვის მძიმე პირადი კატასტროფა უდევს. რაოდენ ღრმად სიმბოლური იყო ეს ახლოსმჭვრეტელი კაცის ფიგურა, გალავნის ცხაურიდან რომ ათვალეირებდა იმ სახლს, რომელშიც პიპა ესტელა შეიყვარა. თუმცა სულის სიღრმეში გრძნობდა, რომ მისი სიყვარული სამუდამოდ გაუზიარებელი დარჩებოდა.

7 ივნისს მემი ჰედსჰილიდან ქეთისთან წავიდა სტუმრად. ლენჩის შემდეგ დიკენსმა და ჯორჯინამ კობემის ტყეში გაისეირნეს ეტლით. იქიდან ქვეითად დაბრუნდნენ. საღამოს ორანჟერეაში მან ჩინური ფარნები ჩამოკიდა. ჯორჯინასთან ერთად სასადილოში იჯდა და მათი ცქერით ტკებებოდა. ამბობდა, კარგად მოვიქეციო, ლონდონიდან ჰედსჰილში რომ გადმოვსახლდი, ახლა ჩემი სახელი ამ ადგილებთან იქნება დაკავშირებულიო, სურდა სიკვდილის შემდეგ კათედრალური ტაძრის პატარა სასაფლაოზე, როჩესტერის სასახლის კედელთან დაეკრძალათ. 8 ივნისს, ჩვეულებისამებრ, დილიდანვე შეუდგა მუშაობას, როგორც ჩანს, მეექვსე გრძნობამ უკარნახა, უნდა იჩქაროთ, და ლენჩის შემდეგ დღის განრიგი დაარღვია, ისევ შალეში

წავიდა, სამუშაოს ჩაუჭდა და თავისი უკანასკნელი სტრიქონები როჩესტერს მიუძღვნა:

„ძველ ქალაქს ნათელი დილა ეპარება: აუწერლად მშვენიერია ძველთაძველი შენობები, სუროშემოხვეული ნანგრევები, მზეზე რომ კრიალებენ, სურნელოვანი ნიავისაგან ოდნავგასაგონად მოშრიალე, ტოტებგაშლილი ხეებით გარსშემორტყმული. ტოტების რხევისაგან ტაძრის კედელზე კაშკაშა ციმები კრთიან, ფანჯრებში ჩიტების ჭიკ-ჭიკი იჭრება; ამ დიდი ბალის, სიყვარულით დამუშავებული პატარა კუნძულის ყოველი მხრიდან — მინდვრებიდან, ტყეებიდან, ბაღებიდან ტაძარში ნაკადებად მოედინება სურნელება, ძველი შენობის სინესტის სუნს ახშობს და სიცოცხლის მუდმივი განახლების სადიდებლად ჰიმნს წარმოთქვამს. საუკუნოვანი სამარხების ქვებიც კი თბებიან. მზის ათინათები მარდად დაბტიან მარმარილოს ბოძებ შორის, სულ შორეულ კუთხეებში მიძვრებიან და იქ პეპლების ფრთებივით კრთიან“.

სადილი ექვსი საათისთვის იყო დანიშნული იმ ანგარიშით, რომ დიკენსს თავისი ჩვეულებრივი გასეირნება მოესწრო. სადილის წინ მწერალი თავის კაბინეტში შევიდა ორი-სამი წერილის დასაწერად. ერთ მათგანში ხუმრობით ჩარლზ კენტს შექსპირის სიტყვებით უსაყვედურებდა: „ასეთი ვნებათაღელვის ბოლო საშიშია ხოლმე“. მეორე წერილში ის წუხდა იმის გამო, რომ ერთ მკითხველთაგანს სწორად ვერ გაეგო მისი წიგნის რომელიღაც ადგილი. „მუდამ ვცდილობდი, ჩემს წიგნებში მოკრძალებული პატივისცემა გამომეხატა ჩვენი მაცხოვრის ცხოვრებისა და მოძღვრებისადმი, იმიტომ რომ ასეთია ჩემი გრძნობები, იმიტომ რომ მე ქრისტეს ისტორია დაეწერე ჩემი შვილებისათვის და ხშირად ვუმეორებდი მათ, რომ ყველა მათგანს კითხვის შესწავლამდე, თითქმის ენის ადგმისთანავე სცოდნოდა ის“.

სადილზე ჯორჯინამ შენიშნა, რომ დიკენსი იტანჯებოდა. დიკენსმა დაუდასტურა, უკვე ერთი საათია, რაც თავს ძლიერ ცუდად ვგრძნობო, მაგრამ მოითხოვა, მშვიდად განეგრძოთ სადილობა. უეცრად რამდენიმე უაზრო წინადადება წაილულულა, წამოდგა, თქვა, დაუყოვნებლივ ლონდონში უნდა წავიდყო, და წაბარბაცდა. ჯორჯინამ ხელის შეშველება მოასწრო და დივანთან მიყვანა სცადა, მაგრამ დიკენსმა ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადადგა. მხოლოდ „მიწა-



“ზეო“, — თქვა და იატაკზე დაეშვა. ეს დამბლა იყო. იმავე საღამოს შისი ქალიშვილები ჩამოვიდნენ, მეორე დღეს კი — ვაჟები — ჩარლი და ჰენრი. დიკენსი მთელი ღამე უმოძრაოდ იწვა, მძიმედ სენტქავედა და გონზე არ მოსულა. მეორე დღესაც ასევე გაგრძელდა. 9 ივნისს საღამოს, შვიდის ათ წუთზე ტანში კრუნჩხვამ გაუარა, ამოიოხრა, ლოყაზე ცრემლის მსხვილი წვეთი ჩამოუცურდა და... დაქანჯულმა სხეულმა სამუდამოდ დაიძინა და მშფოთვარე სულაც დამწვიდდა.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

პირველი დაკვირვებანი	5
პირველი სიყვარული	19
უბადლო ბოსი	31
უთანხმოებანი	46
დიდი შოგოლი	67
შრომა და გართობა	77
კვილპი და ტაპერტიტი	94
მეუღლითურთ ამერიკაში	108
მოგზაურობის შედეგები	. 125
შფოთი და მღელვარება	. 138
СД და АС . . . . . :	148
სარედაქციო და სხვა საქმეები	. 168
ახალი მეგობარი . . . . . :	. 182
ბრწყინვალე . . . . .	. 200
ოჯახური საქმეები	. 207
განხეთქილება-	. 223
ისტორიული ადგილები	. 239
უკანასკნელი სიყვარული	. 261
ეფლი . . . . . :	. 280
Felo de se	. 292

რედაქტორები: გ. ნატროშვილი,  
ნ. ჭოლოხაია მხატვარი დ. დუნდუა  
მხატვრული რედაქტორი გ. ლლონტი  
ტექნიკურა რედაქტორი ზ. დონდუა  
კონტ.-კორექტორი დ. კალანდარიშვილი  
კორექტორი ზ. ლალაძე  
გამომშვები ი. ხაჩიძე

გადეცა ასაწყობად 11/IV-73 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/II-74 წ.  
ანაწყობის ზომა  $6 \times 8^{3/4}$   
ქაღალდის ზომა  $60 \times 84^{1/16}$   
ნაბეჭდი თაბახი 18,13  
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,06  
ტირაჟი 10.000 შუკვ. № 6517  
ფასი 1 მან. 06 კპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯა-  
ნიშვილის ქ. № 5

Издательство «Накадули», Тбилиси, ул.  
Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომ-  
ცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრო-  
ბის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამ-  
ბა № 2, „ნაკადული“, ფურცელაძის ქ. № 5  
Типография № 2, «Накадули», Государ-  
ственного Комитета Совета Министров Гру-  
зинской ССР по делам издательств, поли-  
графии и книжной торговли, Тбилиси,  
ул. Пурцеладзе № 5